იოსეგ გოცვაძე

სერგეი მესხი
და 70—80-იანი წლების
ქართული პრესა

გამომცემლობა „განათლება"
19 თბილისი '68

I ф (С41)
301 (47.922) (С92 მესხი)
ბ 895

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული დამხმარე სახელმძღვანელოდ ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

6—6.

232—68.

XIX საუკუნის ყველა პროგრესულ საზოგადო მოღვაწეს სწამდა, რომ პერიოდული პრესა არის ერთი უდიდესი სასწავლებელი, რომლის მეოხებითაც უნდა აღორძინდეს, აღიზარდოს, დაფუძნდეს და გამშვენიერდეს საზოგადოებრივი აზრი და რწმენა, გრძნობა და გემოვნება. როგორც ქართველი ხალხის მებაირახტრე დიდი ილია აღნიშნავდა „ჟურნალ-გაზეთობა წარმოადგენს მას, რაშიაც უნდა იხატებოდეს თვით საზოგადოების აზრი, გრძნობა, სურვილი ცხოვრების სხვადასხვა საგანთა თაობაზე“.

მაგრამ XIX საუკუნის პირველი ნახევარი არ ხასიათდება ქართული პრესის ინტენსიური განვითარებით. გაზეთები, რომელნიც 1819—1846 წლებში გამოდიოდნენ, არ წარმოადგენდნენ მებრძოლი ხასიათის პერიოდულ ორგანოებს. მათ შორის განცალკევებით დგას მხოლოდ ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელმაც უმაგალითო შევიწროვების პირობებშიც მოახერხა ეპოქალური სიტყვის თქმა.

ჟურნალი „ცისკარი“, რომელიც გიორგი ერისთავის, ხოლო შემდეგ ივანე კერესელიძის რედაქტორობით გამოდიოდა, წინ გადადგმული ნაბიჯი იყო XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პერიოდულ ორგანოებთან შედარებით, მაგრამ „ცისკარი“ მაინც ვერ უპასუხებდა ეპოქის მიერ წამოყენებულ რიგ საჭირბოროტო საკითხებს.

60-იანი წლებიდან არსებითად ახალი ხანა დაიწყო ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამ ახალი ეპოქის მესიტყვედ მკითხველ საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბე“ მოევლინა.

„საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ ერთი წელი იარ-

სება, მაგრამ მან უაღრესად ღრმა კვალი გაავლო ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ საზოგადოება ისევ „ცისკრის“ ამარა დარჩა. „საქართველოს მოამბის“ მდიდარი გამოცდილება და პერიოდული პრესის ის ჯანსაღი ტრადიციები, რომელთაც საფუძველი ილია ჭავჭავაძემ ამ ჟურნალში ჩაუყარა, განაგრძო და განავითარა გაზეთმა „დროებამ“, შემდეგ კი ჟურნალმა „კრებულმა“ და „ივერიამ“, რომელნიც 70—80-იან წლებში წარმართავდნენ ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ „მნათობი“, „იმედი“ და „თეატრი“, რომელნიც ხშირად უპირისპირდებოდნენ ზემოხსენებულ პერიოდულ ორგანოებს და მათთან ცხარე პოლემიკა ჰქონდათ, მაგრამ სწორედ ამ პაექრობაში იჭედებოდა ჭეშმარიტება და ყალიბდებოდა ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი.

განვითარების არც თუ დიდ გზაზე ქართულ პერიოდულ პრესას ბევრი სახელოვანი წარმომადგენელი ჰყავდა. მათ აურაცხელ დაბრკოლებათა გადალახვით უთანასწორო ბრძოლებში გმირული შეუპოვრობით გამოატარეს ეროვნული პრესის დიადი დროშა და უდიდესი როლი შეასრულეს ქართული ჟურნალისტიკის, მხატვრული ლიტერატურის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და საერთოდ ქართველი ხალხის ინტელექტუალური ცხოვრების განვითარებაში.

ქართული პრესის მოამაგეთა რიგებშია სერგეი სიმონის ძე მესხიც, რომელმაც, მიუხედავად ხანმოკლე სიცოცხლისა, თავისი ხალხის ჭეშმარიტად გულწრფელი სიყვარული და სიმპათია დაიმსახურა. იგი სახელოვან ქართველ სამოციანელთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი და პროგრესულად მოაზროვნე პიროვნებაა, რომელმაც ილია ჭავჭავაძესთან ერთად ზიდა XIX საუკუნის 70—80-იანი წლების ქართული პრესის მძიმე უღელი და აუტანელი შრომით ნაადრევად ჯანგატეხილი დაიფერფლა სამშობლოსა და მშრომელი ხალხის კეთილდღეობის სადარაჯოზე.

ს. მესხმა თავის დიდ თანამედროვეებთან — ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, ნიკო ნიკოლაძესთან, იაკობ გოგებაშვილთან და გიორგი წერეთელთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა ქართული პრესისა და საზოგადო-

ებრივი აზროვნების ისტორიაში არა მხოლოდ თავისი მგზნებარე პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით, არამედ პრაქტიკული მოღვაწეობითაც. არ ყოფილა თითქმის არც ერთი საზოგადოებრივი საქმე 70—80-იან წლებში, რომელშიც ს. მესხს აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს და თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას.

ყველაზე მეტად ს. მესხის სახელი გაზეთ „დროებასთან" არის დაკავშირებული. იგი თოთხმეტი წელი ხელმძღვანელობდა ამ პერიოდის ერთადერთ ქართულ გაზეთს და მას შეალია თავისი ჭაბუკური ენერგია. ს. მესხი და „დროება" განუყრელნი არიან. მართალი იყო პეტრე უმიკაშვილი, როდესაც შენიშნავდა: „სერგეი მესხის შრომის დამფასებელი მასალა თვით „დროებაა", რომელსაც ის ჰმართავდა... ამ გაზეთის თავგადასავალი ს. მესხის თავგადასავალია, მათი ჭირი და ლხინი ერთი და იგივეა".

მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის მადლიანი ძუძუთი ნასაზრდოები, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილი, დასავლეთ ევროპის რევოლუციურ-დემოკრატიულ და უტოპიურ სოციალისტურ აზროვნებას ნაზიარები, ფართო განათლებისა და დიდი ერუდიციის მქონე ს. მესხი, ტიპიური განმანათლებელია, რომელიც თავდადებით იბრძოდა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვის, სამშობლოს დემოკრატიზაციისა და მშრომელი ხალხის ბედნიერებისათვის.

ყოველი კაცური კაცის აუცილებელ მოვალეობას ს. მესხი იმაში ხედავდა, რომ შეემსუბუქებინა მძიმე უღელი და განეკურნა მტკივნეული წყლულები, რომელიც სტანჯავდა მის ხალხს და სამშობლოს.

„ახლანდელი დროის ქართველებს დიდი მოვალეობა გვაწევს, — წერდა იგი, — ხალხი კრიზისულ მდგომარეობაშია ყოველის მხრით; ერთი უმთავრესთაგანი საუნჯე ჩვენი ხალხის — ენა — ისეთ დევნაშია, რომ დღეს თუ ხვალ შეიძლება სრულიად მოსპონ, თუ ვინმე დამცველი და მეპატრონე არ ეყოლა. განა მარტო ენა? აიღე სხვა ყველაფერი, რაც კი ხალხს ხალხად ხდის, აიღე მაგალითად ხასიათი, ჩვეულება, მიწა-წყალი და საზოგადოთ ჩვენი ზნეობითი და მატერიალური მხარეები. ყვე-

ლაფერს გარე'მე და შინაური მტრები ემუქრებიან. ყველაფერს დარაჯი და დამცველი სჭირია"[1].

ამ დიდი საქმის გუშაგად ს. მესხს „დროება" მიაჩნდა.

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილი" — წერდა ილია ჭავჭავაძე. ეს იყო სამოციანელების მტკიცე ბირთვად გამაერთიანებელი ეპოქალური ლოზუნგი, რომლის განსახორციელებლადაც იბრძოდნენ ქართველი ხალხის ფიქრთა მპყრობელნი. ეს იყო აგრეთვე ს. მესხის ფიქრისა და ზრუნვის საგანი, მისი პირველი და უკანასკნელი სურვილი.

---

1 ს. მესხი, „წერილები", ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, აფხაზეთის სახელგამი, 1950 წ., გვ. 2.

I. სერგეი მესხი და გაზეთი „დროება“

— ტანმორჩილი, მაგრამ მაგრად ასხმული, ფართო სახე, დიდრონი მოცისფრო თვალები, შავი გრუზა თმა და მაღალი შუბლი, მოწინავე ახალგაზრდათა მოდისამებრ „წვეროსანი“, ხშირი, თითქმის შეერთებული წარბები, რაც მრისხანებას უნდა ნიშნავდეს, მაგრამ ამ ადამიანმა მშვენიერი ყმაწვილური სიცილი იცოდა; იმდენს და ისე გულით იცინოდა, რომ თვალებში ცრემლი წამოუვიდოდა ხოლმე.

ასე ახასიათებენ სერგეი მესხს თანამედროვენი, ასეთი ყოფილა იგი გარეგნულად.

სერგეი სიმონის ძე მესხი დაიბადა 1845 წლის 12 (25) ოქტომბერს ქუთაისის მახლობლად, ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ რიონში, რომელიც „გუმათის ზღვის“ ჩრდილო აღმოსავლეთით მდებარეობს.

დავით მესხის თქმით, „მესხების გენეალოგია ძველის-ძველია. ისტორიულ წარსულს ეკუთვნის. შორეულ წინაპრებად იტყოდნენ მოსოხებს, მოსაგეტებს. მესხი გვარად მერე გადაიქცა. ადრე მესხი თემური წოდება იყო, ისე როგორც ლეჩხუმი — ლეჩხუმელი, რაჭა — რაჭველი და სხვ. ჩვენც მესხეთიდან უნდა ვიყოთ მესხები“.

შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ ერთი ცხადია — მესხების გვარი უძველესია და მას მრავალი თავდადებული და მოამაგე შვილი მიუცია სამშობლოსათვის; მესხების საგვარეულოდან განსაკუთრებით სიმონ მესხის ოჯახი გამოირჩეოდა. მახვილგონივრულად თქვა ნ. ლორთქიფანიძემ, რომ მესხის ოჯახი ქართული კულტურის მთელი ხომლია, რომლის ყოველი სანთელი მეტნაკლები სიძლიერით, მაგრამ ერთგვარი ურყეობით იწვოდა მრავალი წელიო.

სიმონ მესხი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული ადამიანი იყო, თუმცა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მხოლოდ სამი კლასი ჰქონდა დამთავრებული. იგი ქუთაისში საგუბერნიო სასამართლოში მსახურობდა საქმის მწარმოებლად და ხშირად თარჯიმნობდა კიდეც. სიმონს ქუთაისში სერგეის ნათლიის, მელიტონ დადიანის, მიერ ნაჩუქარ ნაკვეთზე აუგია ოთხოთახიანი ქვის სახლი,

სადაც ცხოვრობდა თავისი დიდი ოჯახით. გარდა ამისა, სოფელ რიონში ჰქონდა მემკვიდრეობით მიღებული პატარა მამული, რომელიც მინიმალურად აკმაყოფილებდა მისი ოჯახის მოთხოვნილებას. მცირე ხელფასის მქონე მოხელისათვის, ცხადია, ძნელი იქნებოდა ცამეტი შვილის შენახვა და მოვლა-პატრონობა, მაგრამ იგი მაინც ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ბავშვებისათვის კარგი განათლება მიეცა და სწორ გზაზე დაეყენებინა.

სერგეის დედას — მაგდანა ანდრიას ასულ მარჯანიშვილს (კოტე მარჯანიშვილის მამის დას) შინაური განათლება ჰქონდა მიღებული. ბავშვობაში წერა-კითხვა მისთვის „ვეფხისტყაოსნით" უსწავლებიათ და მთელი პოემა ზეპირადაც სცოდნია. კარგი დეკლამატორი იყო და ხშირად პოემის ცალკეულ ადგილებს დიდი გრძნობით ზეპირად უკითხავდა ბავშვებს. უყვარდა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა, იყო კარგი მეოჯახე და ქმარ-შვილის მოყვარული.

პირველდაწყებითი განათლება სერგეიმ დედის ხელმძღვანელობით მიიღო. 1856 წელს, 11 წლის სერგეი მამამ ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა და საკუთარი ხარჯით მოაწყო გიმნაზიასთან არსებულ კეთილშობილთა პანსიონში, რომელიც მაღალი წოდებისა და დამსახურებულ მოხელეთა შვილებისათვის იყო განკუთვნილი. ამ პერიოდში ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდნენ აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და კ. ლორთქიფანიძე.

როგორც სარწმუნო წყაროები იუწყებიან, XIX საუკუნის 50-იანი წლების ქუთაისი, მიუხედავად იმისა, რომ იგი საგუბერნიო ადმინისტრაციულ ცენტრად ითვლებოდა, ადამიანს უფრო მოზრდილ დაბას მოაგონებდა, ვიდრე ქალაქს.

მეტად სუსტი იყო ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემა. 1855 წელს ქუთაისში მხოლოდ ოთხი აგურის ქარხანა, სამი სამღებრო და რამდენიმე წვრილი სახელოსნო ყოფილა. თუ მრეწველობის მხრივ ქუთაისი საკმაოდ უღიმღამოდ გამოიყურებოდა, სამაგიეროდ შედარებით განვითარებული ყოფილა ვაჭრობა. ქუთაისელ ვაჭრებს საქონელი შემოჰქონდათ არა მხოლოდ თბილისის, არამედ რუსეთისა და საზღვარგარეთის ცნობილი ბაზრებიდანაც. მაგალითად, ნ. ნიკოლაძე თავის ავტობიოგრაფიულ-მემუარულ ნაწარმოებში „წარსულიდან" იუწყება, რომ მისი მამა და ბიძა „ვაჭრობისათვის მარტო ტფილისს კი არა, რუსეთშიაც დაიარებოდნენ... საქსონიაშიაც ყოფილან ლეიპციგის იარმუკაში, სანამ კიდევ შეიძლებოდა საზღვარგარეთიდან რუსეთში საქონლის შემოტანა".

დაბალი იყო ქუთაისის გონებრივ-კულტურული დონე, ერთადერთ ცნობილ საგანმანათლებლო დაწესებულებას ქუთაისის გიმნა-

ზია წარმოადგენდა, სადაც გამეფებული იყო სწავლა-აღზრდის იეზუიტური მეთოდები.

საკვირველია, რომ ძველი სკოლა, რომელიც' ვ. ლენინის თქმით, მხოლოდ წერთნის, მუშტრირების, წიგნური სწავლებისა და ზეპირობის სკოლა იყო, რომელიც „ათვისებინებდა ადამიანს მრავალ გამოუსადეგარ, უვარგისს, ზედმეტ, მკვდარ ცოდნას, რომლითაც უვსებდნენ ახალთაობას თავს და საერთო რანგის მოხელეებად აყალიბებდნენ", ვერავითარ გონებრივ და სულიერ საზრდოს ვერ მისცემდა ახალგაზრდობას.

მასწავლებლები და მოწაფენი ორ მტრულ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი. ხშირად იყო მათ შორის ინციდენტი, რაც ზოგჯერ მოსწავლეთა მიერ მასწავლებელთა ცემა-ტყეპით თავდებოდა. „მგონია არც ერთ სასწავლებელში დედა-მიწის ზურგზე არ უნახავს კაცს ისეთი დაშორება და გულგრილობა მასწავლებლებსა და მოსწავლეთა შუა, როგორც ქუთაისის გიმნაზიაში იმ დროს, როცა ჩვენ იქ ვსწავლობდით. უფროსებისაგან არც ერთი ტკბილი სიტყვა, არც ერთი მამობრივი დარიგება არ გაგვიგონია. ისინი ჩვენზე მარტო შიშით, ტუქსვით, დასჯით მოქმედობდნენ", — იგონებს ნ. ნიკოლაძე.

ცხადია, ამგვარ პირობებში შეუძლებელი იყო სერგეი მესხს გიმნაზიიდან რაიმე სასარგებლო ცოდნა გამოეტანა. გონიერი და სწავლას მოწყურებული ნიჭიერი ახალგაზრდა თვითგანვითარებას დაეწაფა.

გიმნაზიაში სერგეი ერთ-ერთ საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. კითხულობდა ძალიან ბევრს, თუმცა უსისტემოდ, მაგრამ მოწაფეობაში უკვე გამოირჩეოდა ნაკითხობითა და განათლებით. საუკეთესო აკადემიური წარმატებისათვის მესამე კლასიდან სერგეი სახელმწიფო ხარჯზე გადაიყვანეს.

მოსიყვარულე გული ჰქონდა სერგეის. „ბეჯითი, სიტყვის კაცი იყო და რასაც იტყოდა — აასრულებდა კიდეც". ეს იყო მიზეზი, რომ ბავშვობიდანვე იგი უსაყვარლეს და საიმედო მეგობრად ითვლებოდა მოსწავლეთა და თანამოაზრეთათვის.

გიმნაზიის უკანასკნელ კლასში ყოფნისას სერგეი მძიმე ავადმყოფობამ სამი თვით ლოგინს მიაჯაჭვა, მაგრამ გონებაგახსნილმა ახალგაზრდამ გამოსაშვები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და გიმნაზიის სრული კურსი 1863 წლის ივნისში წარჩინებით დაამთავრა. ამავე წელს ს. მესხი უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგს გაემგზავრა და ჩაირიცხა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე კავკასიის სტიპენდიანტად. შემთხვევითი არ იყო ს. მესხის მიერ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა არჩევა. ბავშვობიდანვე დაინტერესებული ყოფილა ბუნებისმეტყველებით და როგორც მისი თანამედ-

როვენი გადმოგვცემენ, მეექვსე კლასში ყოფნისას, გიმნაზიის კაბინეტისათვის შეუდგენია მშვენიერი ბოტანიკური ალბომი და მინერალების კოლექცია.

როდესაც ს. მესხი პეტერბურგში ჩავიდა, იქ უკვე აღარ გიზგიზებდა ის რევოლუციური ცეცხლი, რომლის ცხოველმყოფელი ძალა იგრძნეს ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკოლაძემ, აკ. წერეთელმა, კ. ლორთქიფანიძემ და სხვებმა. ახალგაზრდობის იდეური ბელადი, ნ. ჩერნიშევსკი პეტრე-პავლეს ციხის ობმოკიდებულ ჯურღმულებში იხდიდა სასჯელს, ნ. დობროლუბოვი სამარეში განისვენებდა, ხოლო „სოვრემენიკი" აღარ გამოდიოდა. რეაქციის სუსხი ბატონობდა მთელს იმპერიაში და განსაკუთრებით. მის სატახტო ქალაქში. რუსული კულტურის უდიდესი კერა — პეტერბურგის უნივერსიტეტი, რომელიც 1861—1862 წწ. თითქმის მთლიანად დაარბია ხელისუფლებამ, 1863 წელს დიდი ვაინაჩრობით იდგამდა წელს. თუ 1861 წლამდე, პეტერბურგის უნივერსიტეტის დახურვამდე, მასში 1500—1600 სტუდენტი სწავლობდა, 1863 წელს, როდესაც ყველა ფაკულტეტზე განახლდა ლექციების კითხვა, უნივერსიტეტი მხოლოდ 265 სტუდენტს ითვლიდა. უნივერსიტეტში შექმნილი მძიმე ადმინისტრაციულ-პოლიციური რეჟიმი კოშმარივით აწვა მოსწავლე ახალგაზრდობას. „არც ლექციები ტარდებოდა ძველი ხალისითა და ინტერესით. მართალია, სტუდენტები ცხადდებოდნენ ლექციებზე. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ადმინისტრაციისა და პოლიციის გადაწყვეტილებებს ემორჩილებოდნენ. პირიქით, შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ სტუდენტებს ერთი წუთითაც არ მოუხრიათ ქედი მთავრობის უხეში პოლიტიკის წინაშე და 1861 წელს დაწყებული სტუდენტთა მასობრივი მღელვარება შემდეგ წლებშიაც გრძელდებოდა"[1], გრძელდებოდა იგი იატაკქვეშეთში, არალეგალურად არსებულ წრეებსა და ბიბლიოთეკებში.

მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ 1863—1866 წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთათვის, დ. ღოღობერიძისა და ვ. ოტტის ხელმძღვანელობით, არსებობდა რამდენიმე არალეგალური ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეიცავდა საზღვარგარეთიდან შემოტანილ არალეგალურ ლიტერატურასაც. ეს ბიბლიოთეკები რევოლუციურად განწყობილ სტუდენტობას აწვდიდა ხელისუფლების მიერ აკრძალულ პოლიტიკურ თუ მხატვრულ ლიტერატურას. ერთ-ერთ ასეთ ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ს. მეს-

---

[1] კ. მეძველია, „თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები", ნაწ. I, გვ. 151.

ხის ახლო მეგობარი – სიმონ გიორგის ძე წერეთელი. გარდა ბიბ-ლიოთეკებისა, არსებობდა სტუდენტთა არალეგალური წრეებიც. ამ წრეებს ჰქონია საიდუმლო სალარო, საკმაოდ კარგად დაყენებული საქმის წარმოება, მოქმედების გარკვეული გეგმა და საყურადღებო დოკუმენტები, როგორიც იყო მაგალითად „ნ. გ. ჩერნიშევსკის ოფიციალური დოკუმენტების საქმე", ამონაწერები „კოლოკოლი-დან", რილეევის ლექსი „ახალგაზრდა თაობას", დობროლუბოვის, ბესტუჟევისა და ოგარიოვის ლექსთა კრებულები და სხვა მასალები, რომლებიც საინტერესო ცნობებს შეიცავენ პეტერბურგის სტუ-დენტთა წრეებზე, საიდუმლო შეკრებებზე. არალეგალური ლიტე-რატურის კითხვა-განხილვაზე და სხვა... სერგეი მესხი აქტიურად ჩაება არალეგალური წრეების საქმიანობაში და, როგორც მასალე-ბიდან ირკვევა, ნიკოლოზ დიმიტრის ძე ყიფიანთან ერთად ქართველ სტუდენტთა ფარულ წრეში და აგრეთვე კავკასიელთა არალეგალუ-რი წრეების ხელმძღვანელი კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდა.

სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა გულმოდგინედ დაეწაფა მეცნიერების შესწავლას. სერგეი მესხი განსაკუთრებით გაიტაცა დიდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა და რუს ბუნებისმეტყველ-თა მოძღვრებამ. სახელოვანი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების მატერიალისტურმა შეხედულებებმა და განსაკუთრებით ჩერნიშევ-სკის ნათელმა იდეებმა, უდიდესი როლი ითამაშა ს. მესხის მსოფლ-მხედველობის ჩამოყალიბებაში.

სამწუხაროდ, ზემოთქმულის გარდა ჩვენ თითქმის არაფერი ვი-ცით სერგეი მესხის სტუდენტობის პერიოდის შესახებ.

1867 წ. სერგეი მესხმა დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი და მშობლიურ ქუთაისს დაუბრუნდა. მას მასწავლებლობის უდი-დესი სურვილი ჰქონდა, მაგრამ ვინაიდან თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა, იძულებული გახდა სახელმწიფო ქონებათა სამმართვე-ლოს გამგებლის მდივნად დაეწყო მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინოვნიკური კარიერა სერგეის უზ-რუნველ ცხოვრებას შეუქმნიდა, იგი მაინც ვერ შეეგუა მწვანე მა-უდგადაფარებულ მოხელის მაგიდას და, როდესაც 1869 წელს აპ-რილში სერგეი „დროების" რედაქტორად მიიწვიეს, მან სიხარულით დატოვა სახელმწიფო სამსახური და თბილისს მოაშურა. აკ. წერე-თელმა მშვენივრად დაახასიათა ს. მესხის პირველი ნაბიჯები საზო-გადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე: „სერგეი მესხი ზოგიერთებთან ერთად გამოვიდა სამოქმედო ასპარეზზედ. გრძნობითა და სურვი-ლებით აღვსილი ახალგაზრდა, ჭაბუკი გამოდის ცხოვრების სარბი-ელზე და ჰხედავს, რომ მის წინ ორი გზა იშლება: ერთი საპირადო და მეორე საზოგადო. პირველი ექადის მას კეთილდღეობას, ყო-

ველგვარ ხორციელ წარმატებას, ამაღლებას და დიდებას; მეორე კი ტანჯვას, სიღარიბეს, შიმშილ-წყურვილს, უმეტესობის და მერე როგორი უმეტესობის თვალში დამცირებას, უბრალო რამ სურვილებისაც კი უხმოდ გულში ჩაკვლას, სხვებისაგან დევნას, თავისიანებისაგან განწირვას და სხვ. და სხვ., მაგრამ ის მაინც უკანასკნელად ირჩევს და საზოგადო გზას ადგება"[1].

ს. მესხმა ეს ნაბიჯი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სრული შეგნებით გადადგა და ამ დღიდან მთელი თავისი ცხოვრება, მისი ყოველი წუთი გაზეთ „დროებას" დაუკავშირა.

სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე დღიდან ს. მესხი მკაფიოდ გრძნობდა, რომ ბრძოლა სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ზრუნვა ჩაგრული მშრომელი მასების ბედის შემსუბუქებისა და გაუმჯობესებისათვის ხშირად ფეხს წაამტვრევინებდა ადამიანს, ხშირად თავბედს აწყვეტინებდა და ხან ულუკმაპუროდაც დატოვებდა, მაგრამ ამ კეთილშობილური საქმისათვის საკუთარი ბედნიერების მსხვერპლად შეწირვა ს. მესხისათვის ფრიად საპატიოვნო მოვალეობა იყო. მისი ღრმა რწმენით „იმაზე მომეტებული ნეტარება კაცისათვის კიდეევღა იქნება, რომ ის გრძნობდეს, რომ სასარგებლო არის თავისი ქვეყნისათვის?" ადამიანი, რომელიც ამ ნათელი მიზნისაკენ არ მიილტვის, ს. მესხის აზრით, ორფეხა ცხოველია, რომელიც დედამიწას ტყუილუბრალოდ ამძიმებს. მგზნებარე მოწოდებად გაისმოდა როგორც „დროების" ფურცლებიდან, ასევე კერძო წერილებში თუ პირად საუბარში ს. მესხის ძარღვიანი სიტყვები: „ვეცადოთ... ჩვენმა პატარა, მშვენიერმა მხარემ ცოტათი არის მაინც იგრძნოს თავისი მძიმე ტვირთის შემსუბუქება, თავისი გაჭირვებული და შევიწროვებული ცხოვრების გაუმჯობესება"[2].

გარდა „დროების" რედაქტორობისა, სერგეი მესხს დროებით „სასოფლო გაზეთის" ხელმძღვანელობაც დაევალა.

„სასოფლო გაზეთი" მეტად საინტერესო და ორიგინალური პერიოდული გამოცემა იყო. „გუთნის დედის" (1862—1876 წწ.) შემდეგ იგი წარმოადგენდა მეორე სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიური ხასიათის გაზეთს, რომელიც თავისი ფორმით უფრო ჟურნალს უახლოვდებოდა.

„სასოფლო გაზეთი" გ. წერეთელმა 1868 წელს დააარსა. ამ წელს იგი მისივე რედაქტორობით გამოდიოდა. 1869 წელს გაზეთის რედაქტორობა გ. წერეთელმა ს. მესხს გადააბარა; 1870—1873 წწ. „სასოფლო გაზეთს" კვლავ გ. წერეთელი ხელმძღვანელობდა, ხო-

---

1 აკ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., ტ. XII, გვ. 252.

2 ს. მესხი, „წერილები", 1950 წ., გვ. 3.

ლო 187- წლიდან „სასოფლო გაზეთს" სათავეში პეტრე უმიკაშვილი ჩაუდგა, რომელმაც გაზეთი 1880 წლამდე მიიტანა.

1868—1870 წწ. „სასოფლო გაზეთი" ყოველკვირეულად გამოდიოდა, 1871 წლიდან კი ორკვირეული პერიოდული ორგანოს სახე მიიღო.

როგორც გ. წერეთლის, ასევე ს. მესხისა და პ. უმიკაშვილის რედაქტორობით გამომავალმა „სასოფლო გაზეთმა" მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ქართველი გლეხობის გამოფხიზლება-გათვითცნობიერების საქმეში.

გაზეთის პროგრამა, რომელიც 1868 წლის „დროების" მერვე ნომერში დაიბეჭდა, ნათელ წარმოდგენას იძლევა „სასოფლო გაზეთის" მიზნებზე, ხასიათსა და მიმართულებაზე. ამ პროგრამას არსებითი ხასიათის ცვლილება არც ერთი რედაქტორის ხელში არ განუცდია.

„სასოფლო გაზეთში", იუწყებოდა „დროება", იქნება შემდეგი ნაწილები: 1. ოფიციალური ნაწილი: მთავრობის განკარგულებანი, რომელიც განსაკუთრებით შეეხება სასოფლო სამმართველოთა.

ა) განკარგულებანი, რომელნიც სასულიერო სამმართველოთა უნდა მოიყვანონ ასრულებაში.

ბ) განკარგულებანი, რომელნიცა უნდა ეუწყოს სასოფლო სამმართველოთა, რომ ისინი გახდნენ იმათ ხელმძღვანელათ.

II. არაოფიციალური ნაწილი:

1. სამეურნეო ცნობანი: ამ ნაწილში დაიბეჭდება იმისთანა სტატიები, რომელნიც შეეხება სხვა და სხვა სამეურნეო ნაწილსა, მაგალითად: მიწის მუშაობას, ბოსტნის კეთებას, ღვინის მოყვანას. პირუტყვის მოშენებას და სხვა; სოფლის ვაჭრობას, აღებ-მიცემობას და ოჯახობის მაჩვენებელი სტატიები.

2. სახალხო მედიცინა (მკურნალობა): აქ დაიბეჭდება ისეთი სტატიები, რომელშიაც იქნება დარიგება, თუ როგორ უნდა იცხოვროს ხალხმა, რომ სიმრთელით იყოს, აგრეთვე იქნება ნაჩვენები ისეთი ექიმობა სხვა ავადმყოფობაზე, რომ თვითონ ხალხსაც უმკურნალოთ შეეძლოს ზოგიერთი ავადმყოფობის მორჩენა.

3. ამბავი სასოფლო ხალხის ცხოვრებაზე. აქ დაიბეჭდება ამბები თუ როგორ მიდის სასოფლო გამგეობა ჩვენს ქვეყანაში, სახალხო შკოლებზე, პურის მაღაზიებზე, ბანკებზე, აგრეთვე კორრესპონდენციები და მოთხრობები სოფლის ხალხის ცხოვრებიდან.

4. სხვა და სხვა ცნობა: წერილმანნი ხალხის გასაგებნი სწავლანი, რომელსაც ექნება მხოლოდ ის განზრახვა, რომ ხალხს ამაოდ-მორწმუნება და ცუდი ჩვეულება მოაშლევინოს.

5. სახაზინო და კერძო განცხადება".

„დროებისა" და „სასოფლო გაზეთის" რედაქტორობა ს. მესხს იმ პერიოდში დაევალა, როდესაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა საგაზეთო მუშაობის გამოცდილება. გარდა ამისა, არც მისი მატერიალური მდგომარეობა იყო სახარბიელო.

ს. მესხს თვეში ოთხი თუმანი დაენიშნა, მაგრამ ეს თანხა იმდენად მცირე იყო, რომ ერთი ადამიანის მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი ძნელად დააკმაყოფილებდა, ამიტომ იძულებული გახდა დამატებითი სამუშაო ეძებნა და მართლაც, წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში მათემატიკის გაკვეთილები აიღო. ამ საგანს მთელი ერთი წლის განმავლობაში ასწავლიდა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა სასწავლებლისათვის თავი დაენებებინა, რადგან რთული საგაზეთო საქმიანობა მასწავლებლის პროფესიის შეთავსების საშუალებას არ იძლეოდა.

ერთის მხრივ, მატერიალურმა ხელმოკლეობამ, ხოლო მეორეს მხრივ, გამოუცდელობამ საგაზეთო საქმიანობაში პირველ ხანებში ერთგვარად შეაკრთო ახალგაზრდა ს. მესხი. გარდა ამისა, მას არც იმის იმედი ჰქონდა, რომ სამუდამოდ დარჩებოდა „დროების" რედაქტორად და ეს იყო მიზეზი, რომ 1869 წლის 30 აგვისტოს პეტერბურგში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს სწერდა: „გიორგი (წერეთელი, — ი. ბ.) თუ წამოსული არ არის ახლა, ძალიან ცუდი ამბავი იქნება, იმიტომ, რომ სხვა სალუკმა-პურო საქმეები ავიჩინე, იმათ უნდა მოვკიდო ხელი და გაზეთებისათვის ძალიან ცოტა დრო დამრჩება: ამის გამო ისინი, იმედია კიდევ უფრო შესუსტდებიან... გაზეთს („დროებას") რომ ჩემი რჩენა შეეძლოს, ვინ მამაძღლი ხელს აიღებდა იმაზე. მე ვიცი, რომ „დროებას" 300 ხელისმომწერით ერთი კაცის დარჩენა კარგათ შეუძლია, რადგან 800—1000 მანეთამდი დარჩება ხარჯს გარდა, მაგრამ უბედურება ეს არის, ჩემი თავის იმედი არა მაქვს; იმედი არა მაქვს, რომ ხეირიანად წავიყვანო ანგარიში; ამას გარდა დეკემბრამდი რით უნდა იცხოვროთ (სანამ ხელისმოწერის ფული არ შემოვა?). ნიკოლაძე რომ აიღებდეს გაზეთს თავის რისკზე (თუმცა რისკი არ არის ეს) და ერთად წავიყვანდეთ საქმეს, მგონია ძალიან კარგი იქნება; მაშინ სხვა გარეშე საქმეს მივატოვებდი და გაზეთს მოვახმარდი მთელ დროს"[1].

ეს იყო მძიმე შრომაში ჯერ კიდევ გამოუცდელი ახალგაზრდის კრძალვა და შიში. მართლაც ერთ და იმავე დროს ორი ისეთი სოლიდური გამოცემის რედაქტორობა, როგორიც „დროება" და „სა-

---

1 ს. ხუნდაძე, „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის", გვ. 64.

სოფლო გაზეთი" იყო, ისიც მძიმე მატერიალურ პირობებში, ცხადია იოლი საქმე არ იყო.

„სასოფლო გაზეთს" სერგეი მესხი 1869 წლის 3 მაისიდან 20 სექტემბრამდე რედაქტორობდა. ს. მესხმა მოჰკიდა თუ არა ხელი ამ გაზეთის დროებით რედაქტორობას, პირველ რიგში, შეეცადა რაიმე საშუალებით გაეუმჯობესებინა გაზეთის მატერიალური ბაზა. ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით 1868 წლის 30 სექტემბერს თბილისის გუბერნატორის სახელზე გიორგი წერეთელსაც ჰქონდა შეტანილი განცხადება, რომლითაც თხოულობდა 1869 წლისათვის „სასოფლო გაზეთისათვის" დაენიშნათ სუფსიდია 600 მანეთის ოდენობით. თბილისის გუბერნატორს მიზანშეწონილად მიუჩნეია გ. წერეთლის თხოვნა და დაუვალებია სასოფლო სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომ ივანე კერესელიძის რედაქტორობით გამომავალ „გუთნის დედისათვის" განკუთვნილი სუფსიდია — 600 მანეთი გადასცემოდა „სასოფლო გაზეთს", მაგრამ გ. წერეთელმა 1869 წელს ეს თანხა ვერ მიიღო, რადგან ივ. კერესელიძეს იგი უკვე გაეტანა.

1869 წლის ივნისში ს. მესხმა კვლავ მოითხოვა დახმარების მიღება და მოხსენებითი ბარათით მიმართა თბილისის გუბერნატორს, რომელშიც წერდა: „...Основываясь на том, что „Сельская газета" уже в настоящее время приносит не малую пользу сельскому населению, а в будущем при лучших средствах сумеет принесть еще больше и что вместе с тем она будет соответствовать предначертаниям правительства, я имею честь снова просить ходатайства в пр-ства о назначении на будущий 1870 год вышеозначенного пособия для „Сельской газеты".[1]

მასალებიდან არ ჩანს მიიღო თუ არა რაიმე დახმარება ს. მესხმა, უფრო სავარაუდოა, რომ მისი თხოვნა უყურადღებოდ დატოვეს, რადგან „სასოფლო გაზეთის" და აგრეთვე „დროების" ეკონომიური მდგომარეობა 1870 წლისათვისაც მეტად არასახარბიელო იყო.

თუმცა ს. მესხი „დროებას" 1869 წლის აპრილიდან რედაქტორობდა, მაგრამ ოფიციალურად იგი რედაქტორად გაფორმდა მხოლოდ 1870 წლის სექტემბერში, ხოლო 1872 წლის 15 თებერვლიდან „დროების" გამომცემლადაც დაამტკიცეს.

როგორც კი ს. მესხმა „დროება" საკუთარ ხელში აიღო, პირველ რიგში შეეცადა გაზეთის ირგვლივ დაერაზმა ქართველ კალმოსანთა საუკეთესო ნაწილი. მართლაც ს. მესხის ხელში გაზეთი გა-

---

[1] ცსსა. ფონდი 31, საქმე 21113, ფურც. 76—77.

მოცოცხლდა. ამის მთავარი და ძირითადი მიზეზი კი, როგორც პეტრე უმიკაშვილი აღნიშნავს, თვით ს. მესხის ხასიათი იყო. მესხის გულგაშლილობა, მშვიდი ხასიათი, გულწრფელობა, მოსწრებული მოსაზრება, ყველასთან გულის გაერთება, სალიტერატურო საქმის ერთგულებასთან შეერთებული, იზიდავდა ახალ და ახალ თანამშრომლებს გაზეთში, რამაც „დროებას" სიცხოველე, მრავალფეროვნება და ინტერესი შემატა.

„დროების" ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენ ძალად სერგი მესხს აკაკი წერეთელი მიაჩნდა, ამიტომ აკაკის მან სპეციალური წერილი გაუგზავნა და სთხოვა „დროებაში" თანამშრომლობა.

აკაკი წერეთელს, როგორც პერიოდული პრესისათვის დიდად სასარგებლო მუშაკს, მაღალ შეფასებას აძლევდა ნიკო ნიკოლაძეც. 1875 წელს იგი სწერდა აკაკის: „ჩემის მხრით მე შემიძლიან ვთქვა, რომ როგორც პატიოსანი კაცი ყოველთვის მადლათ მიმაჩნდა შენი ნიჭი, ყოველთვის სასარგებლოთ და მეტისმეტად გამოსადეგრად მიმაჩნდა შენი წერა".

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნ. ნიკოლაძემ აკაკის არა მხოლოდ „დროებასთან" მჭიდრო ურთიერთობა სთხოვა, არამედ 1875 წელს გაზეთ „ბუკის" რედაქტორობაც შესთავაზა.

„ბუკი" უნდა ყოფილიყო ძირითადად გლეხობისათვის განკუთვნილი სახალხო გაზეთი, რომელიც თავდაპირველად კვირაში ერთხელ გამოვიდოდა. „მე გთხოვ, — სწერდა ნ. ნიკოლაძე აკაკის, — მოხვიდე და ამ საქმეს ხელი მოჰკიდო, ითხოვო ნებართვა და გაება საქმეში მკვიდრათ და მარჯვეთ".

• როგორც აკაკისა და ნ. ნიკოლაძის პირადი მიმოწერიდან ჩანს, აკაკის უარი უთქვამს „ბუკის" რედაქტორობაზე და გაზეთიც არ გამოსულა.

ს. მესხი ძალიან კარგად იცნობს თავისი ქვეყნისა და ხალხის მდგომარეობას. მან იცის, რომ სოციალურად და პოლიტიკურად შეკიწროებული ხალხი უკმაყოფილოა თავისი ბედით, მაგრამ მან არ იცის, ვის და რას მიაწეროს თავისი ამგვარი ყოფა. მიძინებული, თავმინებებული და გონებაგაუხსნელი ხალხი მთელი სისრულით ვერ გრძნობს თავის უმწეო მდგომარეობას, ამიტომ გაზეთისა და „მოწინავე თაობის ვალდებულება იმაში მდგომარეობს, რომ გაუხილოს თვალი ამ მიძინებულ საზოგადოებას და დაანახვოს ნამდვილი მიზეზი ყველა იმის გაჭირვებისა და უბედურებისა".

სერვეი მესხის აზრით, ბრძოლის ამ ეტაპზე, როგორც გაზეთის, ასევე მოწინავე თაობის პირველი და გადაუდებელი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას ერი გადაგვარებისაგან, და დათესოს საზოგადოებაში ეროვნული განთავისუფლების ბრწყინვალე აზრი.

„ჩვენ ეხლა ისეთს გარემოებაში და ხალხში ვცხოვრობთ, — წერს ს. მესხი, — რომ ერთ მოდგმას, ერთ თაობას ბევრის გაკეთება არ შეუძლია; თუ ჩვენ ჭკვიანათ ვიმოქმედეთ, ძმურად მოვკიდეთ საქმეს ხელი და ენერგია ვიხმარეთ, ამ თავით გარუსებისაგან რომ დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და ქართველობა დავიფაროთ, — ისიც ბევრი იქნება. თუ ჩვენ მოვახერხებთ ცოტათი მაინც გაცხოველებას ჩვენი საზოგადოების და ლიტერატურისას, თუ ამ საზოგადოებაში ოდესმე განთავისუფლების აზრი დავთესეთ, — ღმერთმანი ჯერ-ჯერობით, ესეც ბევრია, ესეც საკმაოა, შემდეგში ყველაფერი აგრეთვე ჩვენს ჭკუაზე, გამჭრიახობაზე და ბედნიერ გარემოებაზე იქნება დამოკიდებული“.[1]

სერგეი მესხმა ძალიან კარგად იცის, რომ ეს იოლი საქმე არ არის, რომ მას ბევრი შრომა, დიდი ენერგია და მსხვერპლი სჭირდება, რომ მხოლოდ ქართველი ხალხი უძლური იქნება ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამიტომ იგი ამიერკავკასიის ხალხთა გაერთიანებაზე ოცნებობს: „იმის შესრულებას ერთობ ბევრი შრომა, ბედნიერი გარემოება და შემთხვევა და მსხვერპლი დასჭირდება — ,რა თუ მარტო ჩვენის მხრით, მთელი კავკასიის მხრითაც“.

სერგეი მესხის ეს შეხედულება ერთგვარი გამოხმაურებაა ჯერ კიდევ 60-იან წლებში ამიერკავკასიის ხალხთა ერთიანობის აუცილებლობის შესახებ ილია ჭავჭავაძის მიერ ხატოვნად გამოთქმული აზრისა:

ხალხი აღელდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება.

ამიტომ იყო, რომ ყოველგვარი განხეთქილება თუ წინააღმდეგობა, რომელიც თავს იჩენდა ქართველ საზოგადოებაში და განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ს. მესხისათვის არასასიამოვნო და დამაფიქრებელი იყო, რადგან ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ გაერთიანებული ძალებით იყო შესაძლებელი.

ამ „საზოგადო მტრის“ წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ძლიერ იარაღად ს. მესხს „დროება“ მიაჩნდა. „თუ რამე მუშაობას და განზრახვას შევუდექით, უთუოთ ეს „დროების“ რედაქციასთან უნდა დაიწყოს, „დროების“ რედაქციასთან უნდა მოგროვდნენ საქმის კაცები, ისეთი პირები, რომელთაც სამშობლოს საქმე უნდა იკისრონ. ჯერ-ჯერობით ჩვენ ახალგაზრდობას, მხოლოთ ეს გაზეთი, მხოლოთ ლიტერატურა გვაერთიანებს და მერე არ ვიცი, რა იქნება“.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, „წერილები“ გვ. 103.

მართლაც, XIX საუკუნის 70—80-იან წლებში გაზეთ „დროების“ რედაქცია წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთგვარ შტაბს საქართველოში, სადაც ისახებოდა ცხოვრების ქარტეხილში წარმოქმნილი დიდი იდეები, რომელნიც ქართველი ერის საკეთილდღეოდ, მრავალ დაბრკოლებათა გადალახვით, განხორციელებას მაინც პოულობდა.

გაზეთს და საერთოდ პერიოდულ პრესას ს. მესხი გარკვეულ ამოცანას უყენებდა. მისი ღრმა და მართებული რწმენით „ყოველ გაზეთს... ერთი მტკიცედ გარკვეული მიმართულება, გზა და პროგრამა უნდა ჰქონდეს... რასაკვირველია, რედაქცია თავის აზრს და მიმართულებას ყველას ძალდატანებით ვერ მიაჩეჩებს, ვერ მოითხოვს, რომ ყველამ იმ გზაზე გაიაროს. თანახმა ვარ, რომ ჩვენში მაგალითად, სადაც თითქმის ერთადერთი გაზეთია აზრების გამოსათქმელად, რედაქცია თითქმის ვალდებულიც არის, რომ თავისი აზრების წინააღმდეგი სტატიები დაბეჭდოს, რომ მით მკითხველებს სხვადასხვა მხარეები უჩვენოს რომლისამე საგნისა და რაც აზრიც უნდა ის მიიღოს. აზრების შეტაკებაში, ბრძოლაში აღმოჩნდება ჭეშმარიტება“[1].

ამიტომ, ს. მესხი ზოგჯერ იძულებული ხდება გაზეთში დაბეჭდოს ისეთი წერილები და სტატიები, რომლებშიც გატარებული თვალსაზრისი მის შეხედულებათა საწინააღმდეგოა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ რედაქტორი სისტემატურად არ ათავსებს ასეთ წერილებს. ს. მესხი ითვალისწინებს ქართველი ფართო მკითხველი საზოგადოების გონებრივ შესაძლებლობას, მის საერთო მომზადების დონეს და აღნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოება ჯერ იმდენად მომზადებული არ არის, რომ მას შეეძლოს სხვადასხვა შეხედულებებიდან შეარჩიოს და აიღოს საუკეთესო და ჭეშმარიტი აზრები და ისინი მიიღოს სახელმძღვანელოდ. „დროების“ მკითხველებს „მზამზარეული, გარკვეული გონიერი საზრდო ეჭირება. რაც უფრო ნაკლები სხვა და სხვა ჰაზრები იქნება ერთსა და იმავე საგანზე ჩვენი მკითხველებისათვის ისა სჯობია, უფრო ადვილად შეითვისებს ერთ შეხედულებას, ბევრში ერთს საუკეთესოს ვერ ამოარჩევს“. ამიტომ, ს. მესხი თავს იკავებს გაზეთში სხვადასხვა შეხედულებათა შემცველი წერილების ბეჭდვისაგან, ამიტომ ხშირად იმეორებს ერთსა და იმავე აზრს, რომელიც მისი რწმენით ჭეშმარიტების გამომხატველია. ეს გზა მას პროპაგანდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნია.

მაგრამ „დროების“ რედაქტორი სხვა წინააღმდეგობათა წინა-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, „წერილები“, გვ. 191.

შეც დგება. იგი ხედავს, რომ „დროების“ მკითხველი საზოგადოება ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასებისაგან შედგება. ერთია — თავადაზნაურობა, ხოლო მეორე — გლეხობა. სხვადასხვაა მათი განათლება და ინტერესთა სფერო. „ჩვენს აზნაურ-თავადებს უნდათ სასიამოვნო, ადვილი საკითხავი რამეები. რასაკვირველია, ისინი უნდა მიაჩვიოს კაცმა ხეირიანი სტატიებისა და წიგნების კითხვას“, რაც შეეხება გლეხობას, „გლეხები ისე განაზებული არ არიან, იმათ ისე წახდენილი გემო არ აქვთ, როგორც მათ უწინდელთ (და ახლანდელთ) ბატონებსა. ისინი ზრუნავენ უფრო ლუკმა-პურზედ, სარგებლობაზედ“[1] და რედაქტორიც იძულებულია დააკმაყოფილოს ეს მათი სხვადასხვა მოთხოვნილება, შეაჩვიოს საზოგადოება კითხვას. უდაოდ ძნელი იყო ამ ამოცანის სრულყოფილად გადაწყვეტა, რადგან გაზეთს მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა, ს. მესხი გრძნობდა და ხედავდა ყველა იმ ხარვეზს, რაც მის „დროებას“ გააჩნდა და გულისტკივილით წერდა: „განა მე არ ვიცი, რომ გაზეთი ისეთი ვერ არის, როგორც ჩემი აზრით უნდა იყოს? მაგრამ რას იქ, რომ მეტი შეძლება არ არის და ამასთან ცენზურა სულს გვაძრობს“.

ცენზურის სიმკაცრით შეწუხებული ს. მესხი 1869 წლის 17 მაისს სწერდა პეტერბურგში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს: „შენ ვერ წარმოიდგენ როგორ გვავიწროვებს ცენზურა. რაც რუსულად იბეჭდება, იმის მეოთხედსაც არ გვაბეჭდვინებენ და ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ ისე წერა არ ვიცით ჯერ, რომ მკითხველმა სტრიქონებს შუა გაიგოს ჩვენი აზრები“.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად, როდესაც საცენზურო კომიტეტი „დროების“ პროგრამას ამტკიცებდა, რედაქციას ნება მისცეს მიმდინარე პოლიტიკური საკითხების გაშუქებისას დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ოფიციალური რუსული გაზეთებით, როგორიც იყო „Русский инвалид“, „Северная почта“, „Кавказ“-ი, და პოლიტიკური ხასიათის მასალა მხოლოდ ამ ორგანოებიდან გადმოებეჭდა ყოველგვარი განმარტებისა და კომენტარების გარეშე.

70-იანი წლების დასაწყისში საცენზურო კომიტეტმა ზემოხსენებული დადგენილება შეცვალა და „დროებას“ უფლება მისცა პოლიტიკური ხასიათის მასალა ამოეღო მხოლოდ „Правительственный вестник“-იდან. საცენზურო კომიტეტის აზრით, „Правительственный вестник» может служить одним из лучших источников здешним газетам для выбора самых интересных

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, „წერილები“, გვ. 55.

для здешнего края сведений о России, ибо в ней постоянно помещаются статьи о ходе развития торговли и промышленности, железнодорожного дела, образования в России, земских учреждений, статьи юридические, проекты законодательных мер, коротко сказать, о всех явлениях русской жизни, не говоря уже об этом богатом материале, ознакомление с которым читателей здешних туземных газет всего было бы желательнее. «Правительственный вестник» представляет также не бедный материал и для текущих политических известий».[1]

ს. მესხს იმთავითვე არ აკმაყოფილებდა საცენზურო კომიტეტის მიერ პოლიტიკური ამბების წყაროდ მიჩნეული და დადგენილი „Русский инвалид"-ი და „Северная почта", ხოლო „Правительственный вестник"-ი მით უფრო არასაკმარისი იყო, რადგანიქიდან ამოკრებილი მასალებით „დროების" მკითხველები საფუძვლიანად ვერ გაერკვეოდნენ ვერც რუსეთის და ევროპის პოლიტიკურ ვითარებაში. ამიტომ 1870 წლის ოქტომბერში ს. მესხმა მოხსენებითი ბარათით მიმართა საცენზურო კომიტეტს, რათა ამ უკანასკნელს შეეცვალა დადგენილი წესი და ნება მიეცა „დროების" რედაქტორისათვის, თავისუფლად შეერჩია ცნობები საზღვარგარეთის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ და ამავე დროს მიეცა ამ ცნობების ახსნა-განმარტება.

საცენზურო კომიტეტი ერთგვარად გააოცა ს. მესხის მოხსენებითმა ბარათმა: «Странно, что в такой большой и обильной по содержанию газете (როგორიც მათი აზრით «Правительственный вестник»-ი იყო) редакция «Время» не находит достаточного материала для своей выходящей всего один раз в неделю, и в объеме несравненно меньшем»[2], მაგრამ პრინციპული წინააღმდეგობა ს. მესხისათვის არ გაუწევიათ და 1870 წლის 24 ოქტომბერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსს, ბარონ ნიკოლაის მიმართვა გაუგზავნეს, რომელშიც საცენზურო კომიტეტი თავის შეხედულებებს გამოთქვამდა ს. მესხის მოხსენებითი ბარათის შესახებ და საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ბარონ ნიკოლაის სთხოვდა.

1870 წლის 3 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველომ საკითხი ს. მესხის სასარგებლოდ გადაწყვიტა და საცენზურო კომიტეტს აცნობა:

---

[1] ცსსა, ფონდი 480, საქ. 58, ფურც. 1.

[2] იქვე.

«Цензурный комитет, на заключение которого передавалась означенная записка г. Месхи, отозвался, что он не находит препятствий к дозволению редакции газеты «Время» заимствовать иностранные известия из всех русских газет, причем присовокупил, что излогать своими словами и пояснять газетные сведения комитет не препятствует, если автор не изменяет смысл приводимой из другой газеты статьи и представляет политические факты в их настоящем свете.

Одобряя означенное заключение комитета, я, на основании ст. 45 учрежд. управлением Кавказского и Закавказского края, предлагаю комитету привести оное в исполнение, предоставлением редакции газеты «Время» извлекать политические сведения из дозволенных к изданию русских газет, с необходимыми, в случае надобности, пояснениями редакции, но с тем, чтобы таковые извлечения и пояснения не были противны цензурным постановлениям».[1]

ამჯერად საქმე თითქოს მშვიდობიანად მოგვარდა, მესხს მიეცა უფლება ყველა ნებადართული რუსული გაზეთებიდან პოლიტიკური ხასიათის ცნობების ამოკრებისა და მათი ახსნა-განმარტებისა, მაგრამ ამით არ შენელებულა წინაღმდეგობა ცენზურასა და „დროების“ რედაქციას შორის. დავასა და უკმაყოფილებას რედაქციის მიერ გაკეთებული ე. წ. „ახსნა-განმარტებანი“ იწვევდნენ. ს. მესხი სწორ კომენტარს უკეთებდა მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს, რაც ცენზურას არ მოსწონდა. პოლიტიკური ფაქტების „დროებისეულ“ განმარტებას ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად საცენზურო კანონმდებლობის დარღვევად თვლიდა, რის გამოც ცენზურა ზღუდავდა ან კრძალავდა ამა თუ იმ სტატიას, ანდა შეჰქონდა მასში არსებითი ხასიათის შესწორებანი.

არა ერთი და ორი შემთხვევა ყოფილა, რომ ცენზორის მიერ დაჩეხილი სტატია „დროების“ რედაქტორს აღარ დაუბეჭდია, რადგან დამახინჯებული სტატიის დაბეჭდვას არავითარი აზრი არ ჰქონდა.

მიუხედავად ცენზურის სიმკაცრისა, გაზ. „დროება“ ს. მესხის ხელმძღვანელობით შეუპოვრად ილაშქრებდა არა მხოლოდ ცარიზმის მახინჯი პოლიტიკის წინააღმდეგ, არამედ, იმ ცალკეულ პიროვნებათა წინააღმდეგაც, რომელნიც შეგნებულად თუ შეუგნებლად წყალს ასხამდნენ ქართველი ერისა და განსაკუთრებით ქართველი მშრომელი მოსახლეობის მტრების წისქვილზე. „დროება“ განსა-

---

ცსსა, ფონდი 480, საქმე 58, ფურც. 3—4.

კუთრებით იბრძოდა გადაგვარებული ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ, მოურიდებლად ამხელდა მათ მანკიერ მოქმედებას და კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა მათ ყოველ უკუღმართ ნაბიჯს.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართველი თავადაზნაურობის რეაქციული ფრთა ყოველ ღონეს ხმარობდა, ჩამოეშორებინათ „დროებისათვის“ მკითხველები და საბოლოოდ სავსებით მოესპოთ გაზეთი. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არ თაკილობდნენ არავითარ უზნეო მოქმედებას: თანამშრომელთა ფიზიკურ შეურაცხყოფას, ჯაშუშობას, ჭორების გავრცელებას, ოღონდ კი მათი მამხილებელი ორგანო აღეგავათ „პირისაგან მიწისა“.

ს. მესხისათვის ცნობილი იყო გარეწართა ბრძოლის ამგვარი მეთოდები. მტრული ბანაკის მოქმედებას „დროება“ ხშირად მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებია, მაგრამ მხნე რედაქტორი ფარ-ხმალს არ ჰყრიდა და ამავე „დროების“ ფურცლებიდან დიდი პრინციპულობით აცხადებდა: „...ზოგიერთები, თურმე, ჰყრიან ხმას, რომ „დროებას“ ნურავინ გამოიწერთ, თორემ ტყუილი შრომა იქნებაო, რადგან ამ გაზეთს მალე მოსპობენო... ნუ სწუხდებიან: „დროებას“ კარგად ესმის თავისი დანიშნულება, ის უკანონოს არას ჩაიდენს და თუ ცუდის საქმისა და კაცობის გამოაშკარავება მიაჩნიათ იმ დარბაისელ პირებს საწინააღმდეგო საქმეთ, შემცდარან!.. ამგვარი მხილება არა თუ გაზეთის, ყოველი რიგიანი კაცის ვალია და კანონიც მოითხოვს! დიახ, „დროება“ რასაც კი საზოგადოების სავნებელსა და შეუფერებელს დაინახავს, გამოამჟღავნებს სინდისისა და კანონის თანახმად“.

ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ მხარეთა და გადაგვარებული ქართველი თავადაზნაურობის სიმახინჯეთა მხილებებში აკ. წერეთელმა განსაკუთრებული როლი ითამაშა. აკაკის მახვილმა ფელეტონებმა, მისმა სატირულმა ლექსებმა თუ სხვა ჟანრის ნაწარმოებებმა არა ერთხელ შეაშფოთა და შეაძრწუნა რეაქციულად განწყობილი თავადაზნაურობა, ბევრმა ტერორიც კი დაუნიშნა პოეტს, ხოლო ზოგიერთებმა რჩევით მიმართეს, რომ წერისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ გაზეთის რედაქტორის მხარდამხარ მდგარი აკაკი ამგვარ რჩევას მისთვის დამახასიათებელი ცინიზმით პასუხობდა: „ერთი ჩინებული გვამი მირჩევს, რომ ახირებულების (მისი აზრით) წერას თავი დავანებო და თუ მაინცა და მაინც აღარ მოვიშლი წერას, ეპიტაფები, ე. ი. საფლავის ქვაზე დასაწერი ლექსები დავწერო! დიდად ვმადლობ ამ რჩევისათვის და მზათა ვარ, რომ ყველაზედ პირველ იმას ვემსახურო!“[1]

---

[1] „დროება“, 1875 წ., № 11.

1870 წლის ზაფხულში სარედაქციო მუშაობით გადატვირთულ და გადაღლილ ს. მესხს ნ. ნიკოლაძე წამოეშველა. ნ. ნიკოლაძის თანამშრომლობა საგრძნობლად დაეტყო „დროებას“. საზოგადოება ერთხმად აღნიშნავდა გაზეთის წარმატებას. ს. მესხი, რომელიც მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესებით ხელმძღვანელობდა, დიდი სიამოვნებით შეხვდა საზოგადოების გულისხმიერ გამოხმაურებას და აღფრთოვანებული წერილი გაუგზავნა კ. ლორთქიფანიძეს: „ძალიან სასიამოვნოა, რომ ნიკოლაძის ჩამოსვლა და „დროებაში“ მისაგან მონაწილეობის მიღება ასე დაეტყო გაზეთს. ნეტა განახვა ამ თავით რანაირათ არის ის გართული ამ გაზეთში (это свойство всех стремительных натур). ვნახოთ შემდეგში...“[1] მაგრამ შემდეგში ს. მესხისა და ნ. ნიკოლაძის თანამშრომლობა აღარ გაგრძელებულა. ყოველდღიურ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობამ ორი დიდი პუბლიცისტი მალე გათიშა. ნ. ნიკოლაძე 1914 წელს ვლადიმერ ალექსანდრეს ძე ბაქრაძისადმი მიწერილ ერთ-ერთ ავტობიოგრაფიული ხასიათის პირად წერილში საინტერესო ცნობებს გვაწვდის „დროებაში“ თანამშრომლობისა და ს. მესხთან გათიშვის მიზეზების თაობაზე: „მას შემდეგ, რაც დავამთავრე ციურიხის უნივერსიტეტის კურსი დოქტორის ხარისხით (ჩემი დისერტაციის თემა იყო „განიარაღება და მისი ეკონომიური და სოციალური შედეგები“) სამშობლოში დაებრუნდი და 1870 წლის ზაფხულზე ქ. თბილისში დავსახლდი. დავიწყე თანამშრომლობა „დროებაში“. მონაცემებს ჩემი მუშაობისა და პერიპეტიების შესახებ საქართველოს პერიოდულ გამოცემებში თქვენ იპოვით ჩემს ამასწინდელ ბროშურაში — „ჩემი პოლიტიკის შესახებ“. ჩემი და განსვენებული ს. ს. მესხის აზრი ყოველდღიურ საკითხებზე მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და პირველი, მაგრამ წარუმატებელი ცდების შემდეგ გვეთანამშრომლა ერთად, ჩვენ შევთანხმდით, რომ გაზეთის ერთ ნომერს მთლიანად იგი შეადგენდა, მეორეს კი — მე. 1870 წელს გაზეთი ყოველთვის ასე გამოდიოდა. ერთ ნომერს მთლიანად მე ვწერდი, ან ვადგენდი ისე, როგორც მე მინდოდა, ხოლო მეორეს რედაქტორი. არ შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო ასე. წლის ბოლოს მე დავაარსე ჟურნალი „კრებული“, რომელსაც ვხელმძღვანელობდი ერთპიროვნულად 1871 წლამდე, სანამ მამაჩემის სიკვდილმა იძულებული არ გამხადა დამეტოვებინა თბილისი“[2].

„დროებიდან“ წასვლის შემდეგ ნ. ნიკოლაძეს გაზეთთან კავ-

---

1 ს. ხუნდაძე, „მასალები...“, გვ. 78.

2 კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა. ნ. ნიკოლაძის არქივი, № 13—16.

შირი მაინც არ გაუწყვეტია. მიუხედავად იმისა, რომ 1871 წელს იგი მეტად ინტენსიურად და მთელი გატაცებით მუშაობდა „კრებულ-ში“, „დროებასაც“ არ ივიწყებდა. 1871 წლის მანძილზე ნ. ნიკოლა-ძეს „დროებაში“ ოცდაათზე მეტი სტატია დაუბეჭდია. ეს ფაქტი იმის ნათელი მაჩვენებელია, რომ ამ პერიოდში წინააღმდეგობა ს. მესხსა და ნ. ნიკოლაძეს შორის ჯერ კიდევ არ არის მწვავე ხა-სიათისა.

პირიქით, ნ. ნიკოლაძე სცნობს და იმდენად ენდობა ს. მესხს, როგორც რედაქტორს, რომ უფლებას აძლევს თავისი სიტყვებით შეავსოს ცენზორის მიერ ამოშლილი ადგილები მისი სტატიებიდან. ამ მხრივ უდაოდ საყურადღებოა ნ. ნიკოლაძის ერთ-ერთი პირადი წერილი ს. მესხისადმი, გამოგზავნილი სტამბოლიდან, 1873 წლის 7(19) თებერვალს:

„საყვარელო ძმაო სერგეი! გიგზავნი ხელდახელ კორესპონდენ-ციას, თუ ძმა ხარ, ეს რუბრიკა: „სხვათა შორის“ არ წაშალო, რად-განაც ამნაირი ზედ წარწერით მინდა მგზავრის შთაბეჭდილებები გწერო. სხვა, გადარჩება ეს სტატია ცენზურას, თუ არა, არ ვიცი. მაგრამ იმას კი გთხოვ, რომ თუ მაინცა და მაინც ბევრი რამ წაშა-ლოს ან თლათ ნუ დაბეჭდავ, ანა და შენ თვითონ აავსე წაშლილი ადგილები ისე, რომ აზრის ერთობა არ დაიკარგოს და ნაკუწ-ნაკუ-წათ სტატია არ გამოვიდეს. ამას საზოგადოთ ამ სტატიაზე კი არა, ყველა ჩემ სტატიებზე გწერ, და გთხოვ ნუ დაიზარებ შემდეგში ორი-სამი ფრაზის ჩამატებას წაშლილის მაგიერ, რომელსაც აზრის გადაბმა შეეძლოს“[1]. მაგრამ ასე არ გაგრძელებულა ბოლომდე. 1878 წლიდან, როდესაც ნ. ნიკოლაძემ საკუთარი გაზეთი „ობზორი“ დაარსა, აზრთა სხვადასხვაობამ ცალკეულ საკითხებზე ს. მესხსა და ნ. ნიკოლაძეს შორის პრინციპული ხასიათი მიიღო და დაიწყო ცხა-რე პოლემიკა „დროებასა“ და „ობზორს“ შორის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქართველი სა-ზოგადოების ერთი ნაწილი ნ. ნიკოლაძის მიერ გაზეთის რუსულ ენაზე დაარსებას უარყოფითად შეხვდა. მკვლევარი თ. მაჭავარიანი სწორად შენიშნავს, რომ „დაიბადა თუ არა ნიკოლაძის დიდი ხნის ნანატრი „ობზორი“, მას თან მოჰორილი ხმებიც დაჰყვა: მთავრო-ბის გაზეთია, მთავრობის მიზნებს ემსახურებაო“.

ცხადია, ამ ჭორს, რომელიც მთავრობის წრეებიდან მოდიოდა არაფერი ჰქონდა საერთო სინამდვილესთან. „ობზორის“ ნომრების გადათვალიერება ნათლად ადასტურებს, რომ იგი უაღრესად რადი-

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს. მესხის არქივი, საბ. № 38.

კალურ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი იყო, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მტკივნეული საკითხების მოგვარებისათვის. მასში თანამშრომლობდნენ როგორც ადგილობრივი, ასევე რუსეთისა და საფრანგეთის პროგრესული მოაზროვნენი: ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი, დ. ფურცელაძე, გლებ უსპენსკი, ნ. სიმბორსკი, ი. სვედენცოვი, ალ. სტეფანოვი, ანრი როშფორი, იულიუს მურიე და სხვები.

„ობზორის" რადიკალურ მიმართულებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გაზეთის პირველივე ნომრის გამოსვლიდან საცენზურო კომიტეტსა და ნ. ნიკოლაძეს შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. ხშირი იყო შემთხვევები, რომ ცენზურა კრძალავდა არა მხოლოდ ცალკეულ სტატიებს, არამედ მთელ ნომრებსაც კი.

წინააღმდეგობა ნ. ნიკოლაძესა და საცენზურო კომიტეტს შორის იმდენად გამწვავდა, რომ 1880 წ. „ობზორი" დახურეს, ხოლო ნ. ნიკოლაძე სტავროპოლში გადაასახლეს.

ჟურნალმა „იმედმა" „ობზორის" დახურვა უდიდეს დანაკლისად მიიჩნია და აღნიშნა, რომ „ობზორის" დახურვის შემდეგ „ჩვენ ცხოვრებას უფრო მძლავრი უარაქათობა დაეტყო".

გაზეთმა „დროებამ" და პირადად ს. მესხმა სწორად ვერ შეაფასა „ობზორის" მნიშვნელობა. ს. მესხის აზრით, გაზეთი ვერ ასრულებდა ხალხის აღმზრდელისა და დამრიგებლის მოვალეობას, „ნიკოლაძის გაზეთი ენებათა გამომთქმელი იყო, ამ გაზეთის დევიზი პიროვნება იყო".

ს. მესხმა არა თუ „ობზორის" იდეური მიმართულების სწორი შეფასება ვერ მოგვცა, მან ვერ დააფასა ის დიდი შრომაც, რაც ნიკოლაძემ „ობზორის" გამოცემით იტვირთა. ნ. ნიკოლაძე არ იყო „ობზორის" მხოლოდ რედაქტორი და გამომცემელი. მის კისერზე გადადიოდა გაზეთის ბეჭდვასთან დაკავშირებული ყველა სამუშაო. და, თუ რაოდენ რთული და მძიმე იყო ეს საქმიანობა, ს. მესხს საკუთარ თავზე ჰქონდა გამოცდილი.

სერგეი მესხი ალბათ ბედნიერ ადამიანად ჩათვლიდა თავს, რომ მისი მოვალეობა მხოლოდ რედაქტორის ფუნქციით განსაზღვრულიყო. მაგრამ არ არსებობდა არავითარი სუფთა თუ სამურეხო სამუშაო, რომელიც ს. მესხს არ შეესრულებინა. ხშირად მას საკუთარი ხელით აუწყვია „დროების" ნომერი, თუ ცალკეული ფელეტონი.

სერგეი მესხს, რომელიც პირველ ხანებში თვითონ წარმოადგენდა „დროების" რედაქციას, უხდებოდა არა მხოლოდ მასალის აწყობა, არამედ შემოსული მასალების სწორება, კორექტურის კითხვა, გაზეთის ექსპედიცია და ხელისმომწერთა ძებნა. ს. მესხის და-

ძაბულ და მძიმე შრომაზე მოგვითხრობს ეფემია მესხი თავის მოგონებებში.

გაზეთის ხელისმომწერთა ძებნა ს. მესხის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და უსიამოვნო სამუშაო იყო. გაზეთის გავრცელების მიზნით „დროების“ რედაქტორი საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, დაბებში და ქალაქებში დაეძებდა კეთილსინდისიერ და ქართული ლიტერატურისათვის გულშემატკივარ ადამიანებს, რომელნიც უსასყიდლოდ იკისრებდნენ „დროების“ აგენტის მოვალეობას. მათ უნდა ეზრუნათ არა მხოლოდ გაზეთის გავრცელებისათვის, არამედ კორესპონდენციებიც უნდა მოეწოდებინათ რედაქციისათვის. ერთადერთი ჯილდო, რაც „დროების“ ღარიბ რედაქციას შეეძლო მიეცა თავისი აგენტისათვის, ეს ის იყო, რომ გაზეთს მთელი წლით უფასოდ უგზავნიდა მას. ამ მხრივ ყურადსაღებია ს. მესხის ერთი წერილი გაგზავნილი გორში, აღალო თუთაევისადმი, რომლითაც რედაქტორი სთხოვს მას, შეუგროვოს რაც შეიძლება მომეტებული ხელისმომწერნი და მოკრიბოს მათგან ფული. „ამ თქვენი შრომისათვის ჩვენ მხოლოდ ერთი ჯილდოს მოცემა შეგვიძლია, — ეს ის, რომ გაზეთს მომავალი წლიდამ მუდამ მუქთად მიიღებთ. თუმცა ეს მცირეოდენი რამ არის, მაგრამ განა ამით ხო არ ვაფასებთ თქვენს კეთილ თანაგრძნობას“[1].

ს. მესხის, როგორც რედაქტორის უდიდესი დამსახურება ისიცაა, რომ მან შექმნა კორესპონდენტთა მტკიცე ბირთვი, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. მაგრამ „დროების“ რედაქცია კორესპონდენციებს იღებდა რუსეთისა და საზღვარგარეთის უმნიშვნელოვანესი ქალაქებიდანაც. ს. მესხი, როგორც რუსეთში, ასევე საზღვარგარეთ მყოფ მეგობრებს, რომელნიც ამ დროს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდნენ, სისტემატურად სთხოვდა წერილებსა და კორესპონდენციებს „დროებისათვის“. ს. მესხი დაინტერესებული იყო ევროპასა და რუსეთში სოციალური მოძრაობით, რადგან მისი აზრით, „ახლანდელი ევროპის ხალხების ცხოვრებანი სოციალურს მოძრაობას უფრო მომეტებული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პოლიტიკურსა.“

ს. მესხის განსაკუთრებული ყურადღება სოციალური მოძრაობის ამსახველი მასალებისადმი შეიძლება იმითაც აიხსნებოდეს, რომ პოლიტიკური შინაარსის ფელეტონებისა და სტატიების ბეჭდვა „დროებაში“ აკრძალული იყო.

როდესაც ს. მესხმა 1869 წელს ნ. ნიკოლაძეს სთხოვა საფრანგეთის ისტორიული და სოციალური ცხოვრების ამსახველი წერ-

[1] საქართველოს სახ. ლიტ. მუზეუმი, № 15956—6.

ლების მიწოდება, კ. ლორთქიფანიძემ ეს შეუძლებლად მიიჩნია. მისი აზრით, ასეთი წერილები თავისი სიდიდის გამო შეუფერებელი იქნებოდა გაზეთისათვის, მაგრამ ს. მესხმა განუმარტა მას, რომ ყველა ისტორიული მომენტი და წვრილმანი მოვლენა სოციალურ სფეროდან არ უნდა ყოფილიყო საგაზეთო სტატიის თემა, „ავტორმა, — წერდა ს. მესხი, — რასაკვირველია, მხოლოდ ისეთ მომენტებზე და ისტორიულ მოვლენებზე უნდა უჩვენოს, რომელთაც ამჟამათაც აქვთ ხალხის ცხოვრებაზე გავლენა და რომლებზე სჯა და მოლაპარაკება ჯერ არ გათავებულა... ამათ იმ დანიშნულების გარდა, რომლისთვისაც დაიწერებიან, თავისთავადაც ექნება დიდი მნიშვნელობა ჩვენი მკითხველებისათვის“. ასეთი სტატიები, ს. მესხის ღრმა რწმენით, გაალვივებდნენ სოციალური მოძრაობის კოცონს საქართველოში და ხელს შეუწყობდნენ მშრომელი მასების დარაზმვას სოციალური მოძრაობის დროშის ქვეშ.

ს. მესხის ენერგიული შრომის შედეგად „დროებისადმი“ მკითხველთა ინტერესი საგრძნობლად გაიზარდა, ხელისმომწერთა რიცხვი 650-მდე ავიდა, ხოლო მკითხველთა რიცხვმა ერთი სამად იმატა. ძნელია დავასახელოთ რომელიმე პერიოდული ორგანო XIX საუკუნის 70—80-იან წლებში, რომელსაც ისეთი ფართო გავრცელება ჰქონოდა, როგორც „დროებას“. ქუთაისის მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმში დაცულ კ. ლორთქიფანიძის არქივში შემონახულია სია იმ პუნქტებისა, სადაც იგზავნებოდა და ვრცელდებოდა გაზეთი „დროება“. ეს პუნქტებია: თბილისი, გორი, ქარელი, მიხაილოვო (ხაშური), ყაზბეგი, გომბორი, თელავი, სენაკი, სოხუმი, ბათუმი, ლაილაში, ფოთი, ზუგდიდი, ოზურგეთი, ხონი, ონი, სამტრედია, ყვირილა, ახალციხე, ლაგოდეხი, სიღნაღი, ყვარელი, ზაქათალა, გოგჩა, კარაკლისი, ვლადიკავკაზი, მაიკოპი, სტავროპოლი, მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი, ოდესა, ყაზანი, იაროსლავლი, ალექსანდროპოლი, ვირცბურგი, პარიზი, ჟენევა, ციურიხი და სხვა. თუმცა ზემოჩამოთვლილ პუნქტებში მცხოვრებ „დროების“ ბევრ მკითხველს გაზეთი უსასყიდლოდ ეგზავნებოდა, მაგრამ ს. მესხი იმითაც დიდად კმაყოფილი იყო, რომ ქართველი მკითხველი საზოგადოების ინტერესი „დროებისადმი“ ესოდენ გაიზარდა. „საზოგადოებაში თანდათან იხსნება ხალისი კითხვისა, — წერდა ს. მესხი, — გაზეთს თანდათან ემატება ინტერესი, ემატება ძალა და გავლენა“. იმატა კორესპონდენციებმა და წერილებმაც: „ამ ხუთი ექვსი წლის წინათ კარგი იქნებოდა, თუ კვირაში ერთი ან ორი წიგნი, ან კორესპონდენცია შოვიდოდა რედაქციაში, — ახლა ისე დღე არ გავა, რომ საქართველოს სხვადასხვა მხრიდამ (და აგრეთვე რუსეთიდან და საზღვარგარეთიდანაც) ხუთი, ათი და ხან მეტი წიგნი, სტატია, ან

ორესპონდენცია არ მოვიდეს. ისე არაფერი დაიბეჭდება გაზეთში, რომ სადმე რაიმე ლაპარაკი და ხან შფოთი არ აღძრას. ეს გვიმტკიცებს, რომ გაზეთი საჭიროა, რომ იმას საზოგადოებაში ინტერესი აქვს, რომ მკვიდრ საძირკველზე დგას".[1]

უფრო მეტად რომ გაეღვიძებინა მკითხველთა ინტერესი „დროებისადმი" და საერთოდ ხელი შეეწყო ქართული ლიტერატურის განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის, 1870 წელს ს. მესხმა გადაწყვიტა ცალკე კრებულად გამოეცა და „დროების" ხელისმომწერთათვის გაზეთის დამატების სახით დაერიგებინა საუკეთესო ქართული ლექსები, მოთხრობები და რომანები.

ამ მიზნით მან გარკვეული მოსამზადებელი მუშაობაც კი ჩაატარა. „კრებულის" პირველი ორი ნომერი, რომელიც ს. მესხის ინიციატივით და ნ. ნიკოლაძის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა, უფრო „დროების" ლიტერატურული დამატება იყო, ვიდრე დამოუკიდებელი ლიტერატურული ჟურნალი. „კრებულის" პირველი ნომერი გამოვიდა 1870 წლის დეკემბერში, ხოლო მეორე — 1871 წლის იანვარში. ორივე ნომერი არსებითად ლიტერატურულ მასალას შეიცავდა.

ქართველი განმანათლებლები გრძნობდნენ, რომ „კრებული", თუკი იგი „დროების" უბრალო ლიტერატურულ დამატებად დარჩებოდა, თავის მიზანს ნაკლებად მიაღწევდა. საჭირო იყო დამოუკიდებელი პერიოდული ორგანოს შექმნა. სწორედ ამ მიზნით, 1871 წლის 25 იანვარს ნ. ნიკოლაძის თხოვნით გ. წერეთელმა, როგორც „სასოფლო გაზეთის" რედაქტორმა და მთავრობის თვალში გარკვეული ნდობით აღჭურვილმა პირმა, მიმართა კავკასიის მეფისნაცვალს, რათა მიეცათ მისთვის უფლება, გამოეცა ყოველთვიური ჟურნალი „კრებულის" სახელწოდებით. განცხადებას ერთვოდა ჟურნალის პროგრამა, რომელიც ექვსი ძირითადი განყოფილებისაგან შედგებოდა:

I. Романы, повести, сцены, стихотворения, рассказы как оригинальные, так и переводные.

II. Общепонятные статьи исторического, экономического и естество-исторического содержания.

III. Критика и библиография вновь выходящих и старых книг и журналов.

IV. Заметки об общественной жизни и новостях (за исключением политического).

---

1 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს. მესხის არქივი, საბ. № 2.

V. Фельетон.

VI. Приложение: переводы русских и иностранных классических писателей...».

1871 წლის 9 აპრილს კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსმა აცნობა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რომ გ. წერეთელს ნება დაერთო გამოეცა ჟურნალი „კრებული", როგორც დამოუკიდებელი პერიოდული ორგანო.

ამავე წლის 10 აპრილს მოსახლეობაში გავრცელდა ორგვერდიანი დაბეჭდილი განცხადება, რომელიც ქართველ საზოგადოებას აუწყებდა ახალი სალიტერატურო ჟურნალ „კრებულის" მიზანს, დანიშნულებას, პერიოდულობას, თანამშრომელთა ვინაობას, ხელისმოწერის პირობებს და სხვა. „ამ ჟურნალის დანიშნულება, — ვკითხულობთ განცხადებაში, — ის იქნება, რომ მკითხველს მისცეს სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი და ცოტ-ცოტათ გააცნოს საზოგადოება, როგორც თავის საკუთარ ცხოვრებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხასიათს, იმათს წარსულს და ახლანდელს მდგომარეობას. ამას გარდა „კრებული" თავის ყურადღებას განსაკუთრებით მიაქცევს კრიტიკულ ნაწილს, რომელთაც ეცდება თანადროული აზრის მოძრაობა დაანახოს მკითხველს საზოგადოებას.

„კრებულის" რედაქციაში ნიადაგ მონაწილეობას მიიღებს ნ. სკანდელი. ამას გარდა „კრებულს" თანამშრომლობა აღუთქვეს ილ. ჭავჭავაძემ, კირ. ლორთქიფანიძემ, გ. ჩიქოანმა, რაფ. ერისთავმა, ს. მესხმა და სხვ. — „კრებულს" იმედი აქვს დაბეჭდოს ამ მწერლების თხზულებებს გარდა, სხვა ახალგაზრდა პირების ნაწერიც.

„კრებული" გამოვა ყოველ თვე, სივრცით თოთხმეტ პატარა თაბახიდგან მოკიდებული ოცამდი. პირველი და მეორე წიგნი გამოვიდა ამ წლის დამდეგს. ეხლა, რაკი მთავრობის ნებართვა მივიღეთ „კრებულის" ჟურნალათ გამოცემაზე, მესამე და მეოთხე წიგნს გამოვცემთ აპრილში და მეხუთეს — მაისის ნახევრამდი. დანარჩენი წიგნები გამოვლენ უთუოთ ყოველი თვის დასაწყისში". განცხადებას ხელს აწერდა რედაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი.

ანალოგიური ხასიათის ცნობა გამოქვეყნდა 1871 წლის „დროების" მეთხუთმეტე ნომერში, რომელშიც, ამავე დროს, აღნიშნული იყო, რომ „კრებული" და „დროება" ჩვენ ლიტერატურაში ერთი მეორის დამხმარე და შემავსებელი იქნებიანო.

ამ ცნობისა და ზემოხსენებული განცხადების საფუძველზე პირადად ჩვენ და სხვა მკვლევარეებიც (ზ. ჭიჭინაძე, ა. ჯორჯაძე, ს. ხუნდაძე, ვ. კოტეტიშვილი, შ. რადიანი, აპ. მახარაძე და სხვ.) ავითარებდნენ მოსაზრებას, რომ „კრებულის" დამაარსებელი, რე-

დაქტორი და გამომცემელი გ. წერეთელი იყოო. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ისიც აღნიშნა, რომ „კრებული“ „დროების“ ლიტერატურულ დამატებას წარმოადგენდაო.

მკვლევარმა ალ. კალანდაძემ „ნარკვევებში ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან“ დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ „კრებულის“ ფაქტიური რედაქტორი და გამომცემელი ნ. ნიკოლაძე იყო. ეს დებულება უდაოდ გასაზიარებელია, მაგრამ „კრებულის“ დამაარსებლად ნ. ნიკოლაძეს ვერ მივიჩნევთ. ამ დიდი საქმის თაოსნობა უშუალოდ ს. მესხის სახელთან არის დაკავშირებული.

არც ის დებულება მიგვაჩნია მართებულად, თითქოს „კრებული“ „დროების“ ლიტერატურულ დამატებას წარმოადგენდეს. „კრებული“ სავსებით დამოუკიდებელი პერიოდული ორგანოა, რომელიც ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტის დროს მკვეთრად განსხვავდება „დროებისაგან“ და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან „დროების“ რედაქტორის — ს. მესხის და „კრებულის“ რედაქტორის — ნ. ნიკოლაძის შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხზე ხშირად არ ეთანხმება ერთმანეთს.

„კრებულის“ მესამე ნომერი 1871 წლის მარტის ბოლოს გამოვიდა. იგი იხსნება ნ. ნიკოლაძის საპროგრამო ხასიათის წერილით „კრებულის“ დანიშნულებაზედ“, რომელშიც ნათლად არის გარკვეული ჟურნალის მიზნები და ამოცანები.

გაზეთი „დროება“ და, კერძოდ, მისი რედაქტორი ს. მესხი დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს „კრებულის“ საქმიანობას და დრო და დრო საყურადღებო რეცენზიებსაც ბეჭდავდა ცალკეულ ნომრებზე.

მიუხედავად „დროება“-„კრებულის“ რედაქტორთა შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, „კრებული“ „დროების“ სახით თავის ქომაგს ხედავდა, რომელიც დიდად იყო დაინტერესებული ჟურნალის წარმატებით.

არა ერთი და ორი წერილი მიუღია ს. მესხს საქართველოს სხვაღასხვა კუთხიდან, უბრალო მშრომელი ადამიანებისაგან, რომელნიც გულახდილად მოუთხრობდნენ გულისხმიერ რედაქტორს თავის გაჭირვებას და შველას სთხოვდნენ. ამ წერილებიდან ნიმუშის სახით შემოკლებით მოვიყვანთ მხოლოდ ერთს:

„თქვენო კეთილშობილებავ, ძიავ, ქართველო მეგაზეთევ! მე მინდა ძიავ, შეგატყობინო ჩვენი ქობულეთის ამბავი, მარა ქართული წერა პაწიას მეტი არ ვიცი და იგიც, ძიავ, ბებიამ მასწავლა პაწაობას და მეშინია, რომ კარგათ ვერ მიგახთინო.

ახლა, ძიავ, ჩვენი ქობულეთის საქმე გლახათ არის: ხალხი სუნთლათ არეულია, დიდი და პაწია სილაღით დგანა, სამართალი არ

გვაქ, არც გვაძლევს ვინმე: იმიზდაუფრო ხალხი ადგა ბრუნდიც და მართალიც, ცალკ-ცალკე სოფლებში ოლქობა იქნეს. აღარ ვიცი-რა ექნათ.

ქობულეთში წერა არ ვიცით, კითხვა, კლასი არ გვაქ. გზაი არ გვაქ, ხელობა (ზანათი) არ ვიცით, არც ვინმე გვასწავლის, მარტო პაწია სიმინდის და ღომის მუშაობა დაგვრჩა ხელში; ამით მარტო სახვანთქრო გადასახადი მივსცეთ, თუ ცოლ-შვილი ვარჩინოთ, თუ მეეალეს მივსცეთ, თუ მოყვარეს ქორწილზე მიულოცოთ, თუ ამით რა ექნათ, თუ სული დავიპუროთ, თუ ტან-ფეხი ჩევიცვათ?!... ამაში გამოდის ყოლიფერი უბედურება და ამიზა ფუხარა (ღარიბი) შეეიქენით, ძია, ჩვენმა ახალგაზდა ბიჭებმა ვერაფერი იფიქრეს და ბეური ქართველი აფხანაგები ფირალები იშოვნეს და ქურდობა და ღლეტა-წეკვა დაიწყეს და ერთქამეტში მტრობა დაიწყეს, ცხენი და ხარი არ შეგვარჩინეს... ჩვენი ახალი კაიმაკამი ჯერ ვერაფერი სამართალს ექცევა, ძიავ; ქე ზის ოდაში ქალაქში, მისწერს ხონდი ხან იხტარ-მეჯლიშის (მამასახლისი); მაგრამ არა კაცის ბრძანება ეყურებიან, ძიავ, და სამართალი აღარ გვაქვ... ასე შეწუხებული ვართ; გეხვეწები, ძიავ, აგი ჩემი სიტყვა კარგათ გააკეთე და შენს გაზეთში ჩასწერე, ჩემო ძიავ. ბატონო.

ქობულეთელი სოფლის სამების მცხოვრები გულაი კაიკაცაშვილი"[1].

ასეთივე ხასიათისაა ს. მესხისადმი გამოგზავნილი ვალელი გლეხის მუროს წერილი, რომელიც დაბეჭდილია 1875 წლის „დროების" 144-ე ნომერში.

თუ რა უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გაზ. „დროებას" ქართველი საზოგადოების გონებრივი განვითარების საქმეში, ამას ნათლად მეტყველებს „დროების" ერთ-ერთი მკითხველის მიერ წარმოთქმული სიტყვა ს. მესხის დაკრძალვის დღეს: „ბევრმა ჩვენთაგანმა მხოლოდ მაშინ დაინახა თავისი თავი ქვეყნის სარკეში, მაშინ გაიცნო თავი, როდესაც გაზეთი გავიცანით... ბევრმა ჩვენთაგანმა, რომელნიც ჩხირით ძლივს არჩევდნენ ნაწერს ასოებს, ეხლა შეიყვარა გაზეთი; ადრე საქართველოს კუთხეებიც არ ვიცოდით, ეხლა მთელ ქვეყანას ვიცნობთ. თუ დაუახლოვდით სწავლა-განათლებას», ამის მიზეზი მესხი იქნება, რადგან გაზეთის საშუალებით ჩვენს გულში ჩაჰყარა საძირკველი სწავლა-განათლების სურვილისა"[2].

სერგეი მესხის უდიდესი სურვილი იყო, მაშინ „დროებას" საკუთარი სტამბა ჰქონოდა, მაგრამ მატერიალური ხელმოკლეობა სტამ-

---

[1] „დროება", 1875 წ., № 43.

[2] „ივერია", 1883 წ., № 78, გვ. 178.

ბის დაარსების საშუალებას არ იძლეოდა, ამიტომ გაზეთი იბეჭდებოდა სტ. მელიქიშვილის, ვ. თულაშვილის, დ. ბაქრაძის და ნ. ღოღობერიძის მიერ 1865 წელს დაარსებულ სტამბაში და ეს ამხანაგობა ითვლებოდა „დროების“ გამომცემლად. სტამბა დროულად ვერ ასრულებდა რედაქციის დაკვეთას. იგი პირველ რიგში უფრო მომგებიან სამუშაოს ეძებდა, როგორიც იყო სხვადასხვა ბლანკებისა და განცხადებების ბეჭდვა, ამის გამო „დროება“ ნაცვლად პარასკევობისა კვირას ან ორშაბათს გამოდიოდა. ცხადია, ეს გარემოება ხელისმომწერთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა.

ს. მესხი სტამბის ამხანაგობას და, კერძოდ, ვ. თულაშვილს, კატეგორიულად სთხოვდა გაზეთის გამოშვების გრაფიკის ზუსტად დაცვას. 1871 წელს ს. მესხის კანონიერ მოთხოვნას მწვავე უთანხმოება მოჰყვა, რამაც სტ. მელიქიშვილი, ვ. თულაშვილი და დ. ბაქრაძე იმ გადაწყვეტილებამდე მიიყვანა, რომ 1872 წლიდან ს. მესხი ჩამოეცილებინათ „დროების“ რედაქტორობიდან.

დაიწყო ახალი რედაქტორის კანდიდატურის ძებნა. წამოაყენეს სამი კანდიდატურა: გ. იოსელიანი (წყალტუბელი), სერ. მელიქოვი და ანტ. ფურცელაძის მეუღლე.

როდესაც ს. მესხმა ეს ამბავი გაიგო, მტკიცე ულტიმატუმი წაუყენა ამხანაგობას და მოითხოვა გამომცემლის ფუნქციები მთლიანად მისთვის გადაეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თავს დაანებებდა გაზეთის რედაქტორობას და შეუდგებოდა ახალი გაზეთის გამოცემას.

ამხანაგობის წევრები ამას არ მოელოდნენ, ამიტომ იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ და საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად ს. მესხი მოსალაპარაკებლად მოიწვიეს.

მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ 1) 1872 წლიდან „დროების“ გამომცემელნი იქნებოდნენ სტ. მელიქიშვილი და ს. მესხი, 2) ს. მესხს გაზეთი სტ. მელიქიშვილისა და ამხანაგობის სტამბიდან სხვა სტამბაში უნდა გადაეტანა, 3) „ეკონომიური მხარე გაზეთისა“, ე. ი. შემოსავალ-გასავლის წარმოება მთლიანად ს. მესხის ხელში უნდა გადასულიყო და 4) ს. მესხის ნებართვის გარეშე სტ. მელიქიშვილს უფლება არ ჰქონდა გამომცემლის ფუნქცია სხვა პირისათვის გადაეცა. ამის უფლება არ ჰქონდა არც ს. მესხს სტ. მელიქიშვილის ნებართვის გარეშე.

ზემოხსენებული პირობა ნოტარიალური წესით დაადასტურეს. მართლაც 1872 წლიდან „დროების“ ბეჭდვა გ. წერეთლის სტამბაში დაიწყო და იქ იბეჭდებოდა ერთი წლის განმავლობაში. 1872 წლიან 1882 წლამდე კი კვლავ სტ. მელიქიშვილის სტამბაში იბეჭდე-

ბოდა, ხოლო ს. მესხის სიცოცხლის უკანასკნელ წელს „დროებას“ ე. ხელაძის სტამბაში ბეჭდავდნენ.

მატერიალური ხელმოკლეობა ყოველთვის წარმოადგენდა „დროების“ ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ მიზეზს. გრ. თარხან-მოურავი ერთ თავის წერილში „დროება“ და „მნათობის“ ღონისძიება და საზოგადოების თანაგრძნობა ლიტერატურისადმი“ — საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ ერთადერთი ქართული გაზეთის ფინანსური მდგომარეობისა და ხელისმომწერთა რაოდენობის შესახებ.

გაზეთს, რომელსაც მთავრობისაგან არავითარი სუფსიდია არ ჰქონდა, დაარსების პირველ წელს 400 ხელისმომწერი ჰყავდა, 1867 წელს — 350; 1868 წ. — 330; 1869 წ. — 300, ხოლო 1870 წ. — 243. გრ. თარხან-მოურავი გულისტკივილით მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ისედაც მცირერიცხოვან ხელის მომწერთაგან ბევრს სრულიად არ ან საერთოდ არ შემოჰქონდათ ხვედრი ფული. 1866—1870 წწ. „დროების“ რედაქციამ ხელის მომწერთაგან ვერ მიიღო 3.058 მანეთი, რაც კუთვნილი თანხის თითქმის მეოთხედს შეადგენდა (სულ უნდა მიეღო 11 361 მან.). ცხადია, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი ზარალი იყო, რომლის ანაზღაურებაც რედაქტორს საკუთარი ჯიბიდან უხდებოდა.

„უეჭველია, — სამართლიანად აღნიშნავდა გრ. თარხან-მოურავი, — რომ საზოგადოების ამგვარი თანაგრძნობით ჩვენი ლიტერატურა ვერ ნახავს წარმატებას. წინააღმდეგ ამისა, უნდა ვთქვათ, რომ „დროება“ თავის მოვალეობას ასრულებს დიდის მეცადინეობით და თავის საქმის ერთგულებით... ესეც უნდა მივაწეროთ მის რედაქციის განსაკუთრებულ ენერგიას“.[1] და ეს რედაქცია არსებითად ერთი კაცი — ს. მესხი იყო.

ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც „დროების“ რედაქტორს არა თუ გაზეთის დასაბეჭდი ქაღალდის, არამედ საფოსტო მარკის ფულიც კი არ ჰქონდა, რომ ხელის მომწერთათვის გაზეთი მოეწოდებინა, მაშინ იგი იძულებული ხდებოდა ჯიბის საათი დაეგირავებინა, რომ აღებული ფულით მარკები შეეძინა და მკითხველთა წინაშე პირნათლად გამოსულიყო.

პირდაპირ გასაოცარია ის მტკიცე ნებისყოფა და შეუპოვრობა, რაც ს. მესხს ახასიათებდა გაჭირვებასა და წინააღმდეგობებთან ბრძოლაში. თუმცა „საქმეები ჯერ მატერიალურის მხრით კარგათ ვერ მიდის, — წერს იგი, — მაგრამ მე მაინც მხნეთა ვარ: მიჩვეული ვარ, რომ ჩემი საქმეები კარგათ არასოდეს არ ყოფილა და ეხლა რომ

---

[1] „დროება“, 1871 წ., № 2.

ყველაფერი კარგათ მოთავსდეს, კიდეც გამიკვირდება! ისეთ დროში არ ვცხოვრობთ ჩვენ, რომ იმ კაცებს, რომელთაც ქართული ლიტერატურისათვის შეუწირავთ თავი, ტკბილი, მოსვენებითი და უდარდელი ცხოვრება მოელოდესთ. ღმერთი მოწყალეა! ამისთანა დაბრკოლებები ვერ შეგვაშინებს".

1875 წლის მიწურულს „დროების" მატერიალური მდგომარეობა მეტად კატასტროფული გახდა. ამ ვითარების გამოსასწორებლად რედაქციაში მოიწვიეს სპეციალური სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ილ. ჭავჭავაძე, ბეს. ღოღობერიძე, პ. ნაკაშიძე, კ. ლორთქიფანიძე, ბეს. ჯაფარიძე, დ. ჩქოტუა, სტ. მელიქიშვილი და ს. მესხი.

ილ. ჭავჭავაძე დაპირდა რედაქციას 7.000 მანეთს. ამ თანხით გაზეთს საკუთარი სტამბა უნდა დაეარსებინა. ეს რედაქციას გაზეთის მუქთად გამოცემის შესაძლებლობას მისცემდა, ხოლო თვით გაზეთის შემოსავალი მოხმარდებოდა რედაქტორს და რედაქციის ორ მუდმივ თანამშრომელს ხელფასის სახით.

თუმც დაპირება დიდი იყო, მაგრამ იგი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ შესრულდა და გაზეთს დახმარება არ მიუღია.

თბილისის სამოქალაქო გუბერნატორმა კონსტანტინე ივანეს ძე ორლოვსკიმ მშვენივრად იცოდა, რომ ს. მესხის ეკონომიური მდგომარეობა არ იყო სახარბიელო, და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩამოეცილებინა იგი საგაზეთო საქმიანობისათვის, 1875 წელს სამსახური შესთავაზა: „დაანებე თავი მაგ გაზეთს, ისეთს რასმეს მოჰკიდე ხელი, რომელმანაც ფული მოგცესო". რა თქმა უნდა, ს. მესხისათვის უხერხული იქნებოდა ცივი უარის თქმა, და თბილისის გუბერნატორის წინადადებას გონივრული პასუხი გასცა: მხოლოდ მატერიალური სარგებლობისათვის ვსცემ გაზეთსო.

ქართული ლიტერატურის წინსვლით დაინტერესებულმა ს. მესხმა, — მიუხედავად მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, მცირედი ჰონორარიც კი დააწესა — ორიგინალურ სტატიებში — სტრიქონში 3 კაპიკი, ხოლო თარგმანში — 2 კაპიკი. მაგრამ ეს ჰონორარი მიეცემოდა არა ყველას, არამედ „ისეთ პირებს, რომელნიც განსაკუთრებით საჭიროებენ და, რასაკვირველია, ხეირიან რამის დაწერას შესძლებენ".

საყურადღებოა, რომ ს. მესხი, რომელიც გრძნობდა ორიგინალური ქართული პროზის ჩამორჩენილობას, მისი აღორძინებისა და ავტორთა წახალისების მიზნით, ისეთი მოთხრობებისა და რომანებისათვის, რომელნიც საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებას ასახავდნენ, სტრიქონში 4 კაპიკ ჰონორარს აძლევდა.

მართალია, ეს ჰონორარი მეტად მცირე იყო, მაგრამ ქართული პუბლიცისტიკისა და ლიტერატურის აღორძინებისათვის იგი მაინც ერთგვარ სტიმულს წარმოადგენდა.

საგაზეთო მასალის უქონლობა ხშირად იძულებულს ხდიდა ს. მესხს უკანასკნელი გროშები მიეცა მწერლებისათვის, ოღონდ მათგან საჭირო და საინტერესო მასალა მიეღო. ჰონორარის გაცემის წესი ხშირად მეტად თავისებური იყო. ს. მესხის ძმა — ივანე მესხი საინტერესო ცნობას გვაწვდის ჰონორარის გაცემის ერთ-ერთი ამგვარი ორიგინალური წესის შესახებ:

„რედაქციაში შემოდის აკაკი. რედაქტორი სერგი მესხი მაგიდას უზის და კორექტურას ასწორებს გაზეთისას.

— სერგეი, სადილის ჟამი მოახლოებულ არს და ფული ოიხტურ?

— სთქვი რაღა, რამდენი გინდა?

— ერთი ან ორი მანეთი!

— ბატონი ხარ, მაგრამ აი მაგიდა, ჩაუჯექი და ერთი „ცხელ-ცხელი ამბავი“ გამოაცხე, რომ ხვალინდელ ნომერში დავბეჭდო.

აკაკი მიუჯდება მაგიდას და წერს დღის ვარამზე ფელეტონს „ცხელ-ცხელი ამბების“ სერიიდამ, — ერთ საათში ფელეტონი მზათაა და აკაკიც ღებულობს სამ მანეთს „გონორარს“.

ამგვარივე „გონორარის“ მიმღები იყო სანდრო ყაზბეგიც.

სადილობისას სანდრო დაღვრემილი შემოდის რედაქციაში და ეუბნება სერგეის:

— სერგო, დღეს სადილი არ გვინდა?

— აი, თუ გინდა, მაგრამ მეც რომ „ელგუჯას“ გაგრძელება მინდა? ჩაუჯექ ჩქარა გაგრძელებას, რომ ხვალ ფელეტონად იკმაროს და სადილის ფული ორი მანეთი ჩემს კისერზე იყოს“.[1]

ცხადია, გაზეთის შემოსავალი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაფარავდა მის გასავალს, ამიტომ ს. მესხი იძულებული ხდებოდა ვალები აეღო, ხშირად კერძო პირებისაგანაც კი. ზოგიერთი უგუნური მევალე კი მას ხშირად მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებდა. მაგალითად, ვინმე დავიდოვმა ვალის გადაუხდელობისათვის ს. მესხს უჩივლა, სადაც ჯერ არს, აიღო აღმასრულებელი ფურცელი და აუწერა უძრავი და მოძრავი ქონება. შეწუხებული ს. მესხი სწერდა კ. ლორთქიფანიძეს: „გუშინ პრისტავი იყო ჩემთან, მებელის და სხვა ყველაფრის წაღება უნდა და ქარვასლასთან გატანა

---

1 ივ. მ ე ს ხ ი, „ალ. ყაზბეგის აეტორობის გარშემო“, ჟურნ. „დროშა“, 1924 წ., № 23, გვ. 29.

გასაყიდათ. დამიხსენი, თუ ძმა ხარ, ამ უხეირო სირცხვილისაგან. ორშაბათამდე ვადა მომცეს".[1]

„დროების" უკეთ გამოცემისა და მისი ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ს. მესხმა ქუთაისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკში სოფ. რიონის მამისეული მამულები დააგირავა, რამაც ერთგვარად გააუმჯობესა რედაქციის მატერიალური მდგომარეობა. როგორც დ. მესხი გადმოგვცემს, ს. მესხი სიცოცხლეში დროულად იხდიდა ბანკის ვალს, მაგრამ გარდაცვალების შემდეგ გადაუხდელი ვალები სერგეის ღარიბ ოჯახს დააწკა. ბანკის ვალების დასაფარავად დ. მესხი იძულებული გახდა მამულის რამდენიმე ნაკვეთი ადგილობრივი გლეხებისათვის მიეყიდა, მაგრამ ბანკის ვალიდან 500 მანეთი მაინც გადაუხდელი დარჩა. ვინაიდან გამოსავალი აღარ არსებობდა, დ. მესხმა განცხადებით მიმართა ბანკის გამგეობას, ეპატიებინათ მესხების ოჯახისათვის დარჩენილი 500 მანეთი, რადგან ეს თანხა მოხმარდა არა ოჯახის საჭიროებას, არამედ საზოგადო საქმეს.

ბანკის ერთ-ერთ სხდომას, რომელზედაც განიხილეს დ. მესხის განცხადება, აკ. წერეთელიც ესწრებოდა. აკაკიმ ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა მესხების ოჯახის სასარგებლოდ და მოითხოვა ვალის პატიება.

„ბატონებო! — მიმართა აკაკიმ კრებას, — იყო დრო, დრო შავბნელი, როცა ჩვენში გარდა კუჭისა არავინ არაფერზე ჰფიქრობდა. ამისთანა დროს ორი თუ სამი ახალგაზრდა გამოვიდა საზოგადო სარბიელზე საეროვნო პროგრამით. მათ რიცხვში სერგეი მესხიც იყო. დაამთავრა თუ არა სწავლა, ის მიადგა ორკაპ გზას, ერთი იყო ია-ვარდით მოფენილი, საპირადო, საფუნდრუკო, მაგრამ ქვეყნისათვის კი საუკულმართო. მეორე — ეკლიანი, სახიფათო, მაგრამ საზოგადო. ამან ეს მეორე აირჩია. დაუდვა თავი და საზოგადოებას მსხვერპლად შესწირა. დიდხანს იტანჯა, და რომ ვეღარ აიტანა, თან გადაყვა გულს. დარჩა ვალი, ვალი საზოგადო საქმისათვის აღებული, და არა საპირადოთ, რომელიც მისმა მცირე ადგილ-მამულმა გადაიხადა, გარდა ხუთასი მანეთისა, რომლის სახსარი აღარსად იყო. ამგვარი კაცის დავიწყება ჩვენის მხრივ უსამართლობა და დიდი უბედურება იქნება. ვალდებული ვართ — ეს დანარჩენი ვალი ჩვენ თავზე მივიღოთ და მის საფლავზე, სადღაც სოფლად მივარდნილზე, ნიში რამ დავდგათ. პირადად მისთვის ეს ყველაფერი უსარგებლოა,

---

[1] ქუთაისის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, № 624, 626.

მაგრამ დე, იცოდეს ყველამ, რომ ქართველი, შეძლებისდაგვარად არ ივიწყებს მის საზოგადო, გულწრფელ მოღვაწეს".[1]

კრება „ვაშას" ძახილით შეხვდა აკაკის სიტყვას. მესხების ოჯახს დარჩენილი 500 მან. ვალი მოუხსნეს და დაადგინეს, რომ ს. მესხის საფლავზე ნიში აეგოთ, მაგრამ დადგენილება დადგენილებად დარჩა და სერგეის საფლავი დღესაც იმავე მდგომარეობაშია.

ყოველი ნაბიჯი, ს. მესხის მიერ ცხოვრების სარბიელზე გადადგმული, „დროების" გაუმჯობესების სურვილით იყო გაპირობებული. „მას აქეთ, — წერდა ს. მესხი, — რაც პირველად ადამიანისა და ქვეყნიერების საქმეებსა და ცხოვრებას თვალ-ყურის დევნა დაუწყე, ჩემი მუდმივი სურვილი, დაუწყნარებელი ნატვრა და გულითადი განზრახვა ის იყო, რომ ევროპა და განსაკუთრებით საფრანგეთი მენახა.

ჩემთვის, რომელსაც ბედნიერი გარემოება ნებას მაძლევს, რომ კვირაში ერთხელ რამდენსამე ათასს თუ არა, რამდენსამე ასს კაცს მაინც ერთად ველაპარაკო, ჩემთვის, ვამბობ, ევროპის ხალხების ნახვა და იმათი ცხოვრების გაცნობა მაინც განსაკუთრებით საჭიროებას შეადგენდა"[2].

სწორედ ამ მიზნით 1873 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ს. მესხი სამი თვით საფრანგეთში გაემგზავრა. გზად მიმავალმა სერგეიმ თან თამარ მეფის სურათი წაიყოლა, როგორც სიმბოლო საქართველოს ძლიერებისა და დამოუკიდებლობისა. სამშობლო ხომ ს. მესხის ტრფიალების უპირველესი საგანი იყო და იგი ბედნიერად თვლიდა თავს, რომ საშუალება ჰქონდა თავის ქვეყნის სამსახურისა. „როდესაც თამარ-დედოფალს შევჩერებივარ, — წერდა იგი, — მე მახსენდება უნებლიეთ ჩემი საყვარელი, მშვენიერი, მაგრამ დატანჯული სამშობლო; ჩემი ბუნებით მდიდარი, მაგრამ კაცისაგან დაღარიბებული და აოხრებული საქართველო! და ეს მხოლოდ ერთი შეხედვა თამარ-დედოფლისა, მე მაგონებს, რომ ამ ჩემ სამშობლოს დახმარება, ხელები მშველელნი და კაცები სჭირია. მე მაგონდება ძველი დრო. თამარ მეფის დრო, როდესაც ეს ჩემი ქვეყანა აღყვავებული, თავისუფალი, დამოუკიდებელი და შემძლებელი იყო, მე მაგონდება, რომ ეხლანდელი ქართველი უნდა ებრძოდეს მტერს ამ ჩვენი ქვეყნის აღდგინებისათვის... ამ ბრძოლას ვიკისრებ და შეძლებისა და გვარათ... ვემსახურები იმ იდეალს, რომელიც ჩვენ მუდამ ფარანსავით უნდა გვინათებდეს ჩვენი ცხოვრების გზას"[3].

ამ ნათელი იდეებით ესტუმრა იგი საფრანგეთის სატახტო ქა-

---

[1] დ. მ ე ს ხ ი, „მოგონებანი", გვ. 32—33.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 365.

[3] ს. მ ე ს ხ ი, „წერილები", გვ. 69.

ლაქს 1873 წლის აგვისტოს ბოლოს. მართალია, ამ დროს საფრანგეთში აღარ გიზგიზებდა რევოლუციის ცეცხლი, მაგრამ პარიზის ქვაფენილებს ჯერ კიდევ არ შეშრობოდა კომუნართა სისხლი. პარიზი დრტვინავდა.

მატერიალური ხელმოკლეობა ს. მესხს პარიზშიც არ აძლევდა ხელგაშლილი ცხოვრების საშუალებას. თვეში მხოლოდ 50—60 ფრანკის დახარჯვის უფლება ჰქონდა. თუ სიცივე ძალიან არ შეაწუხებდა სახლის პატრონს შეშას და ნახშირს არ სთხოვდა, რადგან ეს მეტად ძვირი უჯდებოდა. ერთხელ სახლის პატრონმა ოთახიც კი დაუკეტა ბინის ქირის გადაუხდელობის გამო, იკვებებოდა მეტად ეკონომიურად, მაგრამ ამავე დროს უკანასკნელ გროშებს აძლევდა ლუი ბლანის „საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაში“ და გატაცებით კითხულობდა მას.

პარიზში მცხოვრებმა ს. მესხმა მტკიცე დღის რეჟიმი შეიმუშავა: დილის 9 საათიდან 12 საათამდე კითხულობდა რესპუბლიკური გაზეთის ახალ ნომერს და რომელიმე ფრანგულ წიგნს. ცდილობდა ერთ თვეში იმდენად დაუფლებოდა ფრანგულ ენას, რომ ულექსიკონოდ შეძლებოდა გაზეთის კითხვა. 12 საათზე სადილობდა და ნასადილევს კვლავ მეცადინეობდა, დადიოდა სორბონში, ისმენდა პოლიტიკური ეკონომიის, ლიტერატურის და „საფრანგეთის მეზერმეტყველების“ ლექციებს, სისტემატურად ესწრებოდა ვერსალის კრებებს; ნავახშმევს, საღამოს 7 საათის შემდეგ იგი, დ. მიქელაძე, პ. იზმაილოვი და სტ. ზარაფოვი დადიოდნენ პარიზის ქუჩებში, თეატრებში, კაფეებში, საბილიარდოში. სერგეი ეცნობოდა ხალხს, იტეხდა ენას, ეჩვეოდა ფრანგულად ლაპარაკს. მოუთმენლად ელოდა „გამოჩენილი საქვეყნო პატრიოტის“, გარიბალდის ნახვას და ემზადებოდა ჟენევაში წასასვლელად, სადაც 1873 წლის სექტემბრის ბოლოსათვის გარიბალდის მონაწილეობით მუშათა კონგრესის ჩატარება იყო ნავარაუდევი.

პარიზში მყოფი ს. მესხი ტრიანონში ესწრებოდა საფრანგეთის არმიის მარშლის ფრანსუა-აშილ ბაზენის სასამართლო პროცესს. მან საინტერესოდ აღწერა სასამართლოს უკანასკნელი სხდომა და კორესპონდენციის სახით გამოუგზავნა „დროებას“.

1873 წლის დასასრულს საფრანგეთის პოლიტიკური სიტუაცია მეტად დაიძაბა, ჰაერში რევოლუციის სუნი დატრიალდა. ს. მესხი მოუთმენლად ელოდა რევოლუციას და გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ „თუ ღვთის მადლით, რევოლუცია მოხდა... ჩვენს კვარტალში საუკეთესო ბარიკადს გავმართავო“.

1873 წლის 5 ნოემბრისათვის უნდა მოწვეულიყო ეროვნული კრება, სადაც გადაწყდებოდა საკითხი, „თუ როგორი მმართებლო-

ბის ფორმა უნდა დაარსდეს საბოლოოთ საფრანგეთში — მონარხიული თუ რესპუბლიკური". ს. მესხი ხედავდა, რომ რესპუბლიკას საფრანგეთში უკვე საკმაოდ ბევრი მომხრეები ჰყავდა, შეიძლება რესპუბლიკას გაემარჯვა და ტიერიც კი მოეწვიათ რესპუბლიკის პრეზიდენტად, მაგრამ ეს გარემოება მაინც და მაინც დიდად არ სიამოვნებდა, რადგან ძალიან გულით სურდა რომ ერთი რევოლუცია მაინც ენახა, გაშმაგებული ხალხი, „რომელიც მხოლოდ ამ რევოლუციის დროს იჩენს თავის ნამდვილ ძალას და გულის მიდრეკილებას".

რამდენადაც დიდი იყო ს. მესხის სურვილი საფრანგეთში „ერთი პატარა რევოლუციის" ხილვისა, იმდენად ძლიერი იყო მისი ინტერესი საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი. სწორედ ამ დიდმა ინტერესმა და ქართველ ხალხში რევოლუციური სულისკვეთების გაღვიძების სურვილმა გადააწყვეტინა ს. მესხს ქართულად შეედგინა პატარა წიგნი საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე. „ჩემი აზრით, — წერდა იგი, — დიდი რევოლუციის გაცნობა ჩვენი მკითხველებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. მართლა: ყველა ეხლანდელი პრინციპები, ყველა ეხლანდელი წარმატება, ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც კაცობრიობას ეხლა ძვირფასად მიაჩნია, რის მიღწევასაც ის ცდილობს, ყველაფერს დიდ რევოლუციაში აქვს საფუძველი და თავი, ყველაფერი საფრანგეთის რევოლუციამ გამოსთქვა და დააფუძნა პირველად; ის არის წყარო, რომლიდამაც ჩვენი უძვირფასესი პრინციპები, რწმუნებები და აზრები მომდინარეობენ. მაშასადამე, ყოველმა კაცმა უნდა იცოდეს კარგათ ამის ისტორია... თუ ჩემი პატარა წიგნი ცოტათი მაინც გააცნობს ჩვენს მკითხველებს უუდიდესს და ყველაზე უფრო შესანიშნავ ეპიზოდს კაცობრიობის ცხოვრებისას — ჯერ-ჯერობით ესეც საკმარისი და სასარგებლო იქნება".

სამწუხაროდ, ს. მესხს ასეთი შრომა არ დაუწერია, მასალები კი საკმაოდ ჰქონდა დაგროვილი. თუ რა მიზეზებმა შეუშალეს ხელი ამ კარგი ჩანაფიქრის განხორციელებას, გაურკვეველია. სამაგიეროდ, ბევრი საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწის ცხოვრება აღწერა, ზოგიერთების შესახებ უხვი მასალა დააგროვა, რომლის ხორცშესხმასაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ფიქრობდა. ესენი იყვნენ: მადამ როლანი, ჟანა დ'არკი, მადამ სტალი, ჟორჟ ზანდი, დავით ლივინგსტონი, გარიბალდი, გიორგი ვაშინგტონი, დანიელ ოკონელი, რობერტ ოუენი და სხვები. ქართველი მკითხველი პირველად „დროების" საშუალებით გაეცნო ზემოჩამოთვლილი ზოგიერთი სახელოვანი ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის რთულ გზას, მათ ვინაობას.

ეჭვს გარეშეა, რომ ს. მესხის მიერ „დროებაში" დასაბეჭდად

გამოგზავნილი ბევრი მასალა იმ სახით არ მოდიოდა მკითხველთან, როგორც იგი პირველად გამოვიდა ავტორის ხელიდან, ამას თვით ს. მესხიც გრძნობდა და სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „ვაი თუ რობერტ ოუენის ბიოგრაფიას ცენზურის ბრჭყალები მოხვდეს; ხომ იცი რომ ის სოციალისტი იყო და ჩვენ ცენზურას სოციალისტების, როგორც ცეცხლის ისე ეშინიათ". და ცენზურაც არ ერიდებოდა არავის და არაფერს. ცენზურის დაღი ამჩნევია ს. მესხის მიერ პარიზიდან გამოგზავნილ პოლიტიკურ კორესპონდენციებს. ეს კორესპონდენციები მეტად თავისებურად იწერებოდა; ს. მესხი მათში ურთავდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების (ლუი ბლანის, გამბეტას) და რესპუბლიკელი დეპუტატების სიტყვების თარგმანს; ურთავდა იმ მიზნით, რომ გაეცნო ქართველი მკითხველისათვის ფრანგული მჭევრმეტყველების ნიმუშები, შეექმნა ნათელი წარმოდგენა საფრანგეთის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და ეჩვენებინა, „თუ როგორ მკაცრად ელაპარაკებიან ხალხის წარმომადგენლები მმართველობას".

ს. მესხის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში „დროებას" კ. ლორთქიფანიძე, ხოლო დროდადრო ნ. ნიკოლაძე რედაქტორობს. ორივე გრძნობს მის არყოფნას, მის საჭიროებას საგაზეთო საქმიანობაში. „შენ აქ მე ძალიან მაკლიხარო" — სწერს მას ნ. ნიკოლაძე და სთხოვს წერილებს, სტატიებს „დროებისა" და „კრებულისათვის".

თვით ს. მესხი გულმოდგინედ ადევნებს თვალ-ყურს „დროებას", არ მოსწონს კ. ლორთქიფანიძისა და ნ. ნიკოლაძის მიერ გამოშვებული ნომრები — უაზრო პოლემიკა, უსუსური სტატიები, ღარიბი კორესპონდენციები, პოლიტიკაში მცდარი აზრები, — ასე გამოიყურება ს. მესხის თვალში „დროების" ზოგიერთი ნომერი. აღშფოთებული ს. მესხი გულისტკივილით სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „ვხედავ გაზეთი, რომლის გასაცოცხლებლად და ფეხზე დასაყენებლად სამი წელიწადი ვშრომობდი, რომ ეს გაზეთი თან და თან ფუჭდება, სუსტდება, რომ ამას თანდათან ფერი ეკარგება და ძალა აკლდება".

უდავოა, რომ ს. მესხის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში „დროებას" ძველებური ელფერი მოაკლდა. ამას ნ. ნიკოლაძეც არ მალავს და სწერს სერგეის: „დროება" ვიცი არ მოგეწონებოდა, რადგან საკმაო სხვადასხვაფრობა არა აქვს და ამ მხრით მეც არ მომწონს გაზეთი".[1]

ეს გარემოება უმთავრესად იმით აიხსნება, რომ კ. ლორთქიფა-

---

1 „მნათობი", 1959 წ., № 11, გვ. 182.

ნიძეს, რომელიც ძირითადად ხელმძღვანელობდა გაზეთს, სათანადო გამოცდილება არ ჰქონდა, ხოლო ნ. ნიკოლაძე ყოველთვის ვერ ახერხებდა „დროებისათვის“ საკმაო დრო გამოეყო. იგი ხან „ტიფლისკი ვესტნიკის“ რედაქტორ-გამომცემელ კონსტანტინე ბებუთოვს ცელიდა, ხან კი „კრებულის“ გამოცემაზე ზრუნავდა. „კრებული“ იმდენათ გვტანჯავს და დროს გვართმევს, რომ დროებისათვის ყურადღება ხეირიანათ ვერ მითხოვებია, რა ვქნა მომიტევე“ — სწერდა იგი ს. მესხს.

თუმცა პარიზში მყოფი ს. მესხი საკმაოდ დატვირთული იყო, მაგრამ დრო და დრო მასში იღვიძებდა თბილისში დაბრუნებისა და გაზეთის ხელმძღვანელობის ძლიერი სურვილი. „ვერ წარმოიდგენ როგორი სურვილი მომივლის ხანისხან თფილისში წასვლისა! როგორც მწყურვალს წყალი, ისე მომინდება ხანდისხან თფილისში ყოფნა, გაზეთის ხელში ჩაგდება, მოწინავე სტატიების წერა, საზოგადოებაში ლაპარაკის აღძერა, გაზეთის გაცხოველება“ — სწერდა იგი ეკ. მელიქიშვილს.

სამშობლოს მოშორებული ს. მესხის ფიქრი კვლავ თავის ქვეყანას დასტრიალებს, ზრუნავს მოზარდი თაობისათვის სახელმძღვანელოების შედგენაზე. „სახელმძღვანელოების თაობაზე ჩვენ მოლაპარაკებას ეაპირებთ და გვინდა, რომ კამისია შევადგინოთ, რომელმაც თარგმნოს და გამოსცეს ჩვენი შკოლებისათვის პატარ-პატარა სახელმძღვანელოები, რომელიც უფრო საჭიროა“.

როგორც ცნობილია, 1873 წელს ციურიხში დაარსდა საზოგადოება „უღელი“, რომელიც აერთიანებდა საზღვარგარეთ მყოფ ქართველ ახალგაზრდობას. საზოგადოების ძირითადი მიზანი იყო საზღვარგარეთ მყოფი ქართველი ახალგაზრდობის გაერთიანება, ევროპის პოლიტიკური ცხოვრების, სოციალური მოძრაობის და აზროვნების გაცნობა, ზრუნვა ქართული ლიტერატურის წინსვლისა და აღორძინებისათვის და ერთმანეთის დახმარება ცოდნის შეძენის საქმეში. გ. აბზიანიძის ცნობით, „უღელში“ უკვე 1873 წლის შუა თვეებში თავი იჩინა შინაგანმა ორმა ძირითადმა ტენდენციამ. პირველი ტენდენცია გამოხატავდა იმ ჯგუფის შეხედულებებს (ივ. მესხი, ალ. სუმბათაშვილი, ელ. ინანიშვილი, პ. ნაცელიშვილი, დ. ქადაგიძე და სხვ.), რომლის აზრით „უღელის“ მიზნები სწავლა-განათლებით უნდა განსაზღვრულიყო. მეორე მიმართულება, რაც უმრავლესობის შეხედულებებს გამოხატავდა (გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ბ. ჯაფარიძე, ა. ელიაშვილი, დ. მიქელაძე, ო. გურამიშვილი, ეკ. ნიკოლაძე, პ. იზმაილოვი და სხვ.) „უღელს“ ფართო მიზნებს უსახავდა. რუსეთისა და დასავლეთის დემოკრატიულ-რესპუბლიკური იდეების გაცნობა, სოციალური მოძრაობის კურსში ყოფნა და ამ მოძ-

რაობის დაკავშირება ეროვნულ-რევოლუციურ იდეასთან, ამიერკავკასიის ერთა სოლიდარობის დამყარება და ქართულ მწერლობაში დემოკრატიულ-პროგრესული ნაკადის შემოტანა".[1]

„უღელის" ჯგუფში ჩასახული ორი ტენდენცია გახდა საფუძველი საზოგადოების დაპირისპირებისა, რაც მალე წვრილმან კინკლაობაში და ერთმანეთის პირად შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ს. მესხი ყოველთვის წინააღმდეგი იყო ამგვარი ურთიერთობისა, რაც საერთო საქმის საზიანოდ მიაჩნდა და დაბეჯითებით სწერდა „უღლის" ერთ-ერთ წევრს ეკ. მელიქიშვილს: „ჩვენი პარტიის სარგებლობა, იმ საქმის სარგებლობა, რომლისთვისაც ჩვენ ვშრომობთ, მოითხოვს, რომ ჩვენ მუდამ ერთმანეთის მხარე გვეჭიროს და ჩვენი მოწინააღმდეგეების წინ მაინც არ ვიმცირებდეთ, არ ვამდაბლებდეთ ერთმანეთს. თუ ჩვენ ერთმანეთის პატივისცემა, ერთმანეთის დანდობა და ერთმანეთზე კარგი აზრი არ გვექნება, რასაკვირველია, რომ სხვები სრულებით არ იქნებიან ჩვენი თაყვანის და პატივის მცემელნი...

ვიცი, რომ ისინი ჩვენ უმთავრეს საქმეში გამოსადეგნი არიან და კერძოთ თუ რაიმე ნაკლულევანება აქვთ, ისევ კერძოთ, ამხანაგურათ შევნიშნავთ პირში და პირდაპირ ვეტყვი ჩემს აზრს... ამას მოითხოვს პოლიტიკური ტაქტი,... ამას მოითხოვს პარტიის საზოგადო სარგებლობა. ამ აზრით, ამ პრინციპით ვხელმძღვანელობ მე". ამ სიტყვებიდან ჩანს დიდი ბუნების ადამიანი, რომელიც შორს არის ყოველივე პირადულისაგან, რომელსაც მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესები ამოძრავებენ და რომელიც არასოდეს არ ებმება ინტრიგების ქსელში.

პარიზში მყოფი ს. მესხი საფუძვლიანად გაეცნო საფრანგეთის პრესას, გონებრივ განათლებასთან ერთად გაზეთზე მუშაობის დიდი გამოცდილებაც შეიძინა და ახალი გეგმები დასახა „დროების" გასაუმჯობესებლად. მაგრამ ერთმა ბედნიერმა გარემოებამ ს. მესხს დროებით ააღებინა ხელი თავისი გეგმების განხორციელებაზე. 1873 წლის ბოლოს გაირკვა, რომ მეგობრების დახმარებით სერგეის საშუალება ეძლეოდა კიდევ ერთი წელი დარჩენილიყო საზღვარგარეთ. ეს გარემოება მას საშუალებას აძლევდა, უფრო მეტად გაემდიდრებინა გონებრივი სფერო და სრულყოფილად დაუფლებოდა ჟურნალისტის პროფესიას. მართალია, ამ მოულოდნელმა სურპრიზმა ჩაშალა ს. მესხის ძველი გეგმები, მაგრამ ეს მცირე მსხვერპლი სიამოვნებით გაიღო მან მომავალი დიდი საქმეებისათვის. აღფრთოვანებული ს. მესხი სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „ამ გარემოებამ ჩემი ძველი პლანები სულ ერთიანად დაფუშა. ამასწინათ გწერდი, რომ

[1] გ. აბზიანიძე, „ნარკვევები XIX ს. ქართული აზროვნების ისტორიიდან", გვ. 464—465.

იქნება მე და მიქელაძე ერთად წავიდეთ თფილისში მეთქი და კვირაში სამჯერ გამოვსცეთ გაზეთი. ახლა ამის შესრულებას მე ისევ ის ვამჯობინე, რომ ერთი წელიწადი აქ დავრჩე, უკეთ მოვემზადო იმ საგნებიდამ, რომელიც ყოველ ჟურნალისტისათვის საჭიროა და მერე წავიდე და სამჯერ გამოვსცე გაზეთი".

მეტად ფართო იყო რედაქტორის გეგმები: „დროება", რომელიც 1875 წლიდან კვირაში სამჯერ გამოვიდოდა, უმთავრეს ყურადღებას საქართველოს შინაგან საქმეებს მიაქცევდა. როგორც მოწინავე, აგრეთვე ყველა სხვა სტატია ადვილად გასაგები, ცოცხალი და კარგი ქართული ენით უნდა ყოფილიყო დაწერილი. ს. მესხს განზრახული აქვს ფართო ადგილი დაუთმოს გაზეთში მოთხრობებსა და რომანებს, პირველ რიგში ორიგინალურს, განსაკუთრებით საქართველოს ცხოვრებიდან და აგრეთვე თარგმანებსაც. მისი აზრით, გაზეთში ამ ნაწარმოებთა მოთავსების შემდეგ, უფრო ადვილი იქნება მათი ცალკე წიგნად გამოცემა, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ლიტერატურის გამდიდრებას და პოპულარიზაციას. ს. მესხს ასევე განზრახული აქვს სისტემატურად ბეჭდოს გაზეთში გამოჩენილი ადამიანების მოკლე ბიოგრაფიები, ისეთი ადამიანებისა, რომელთაც თავისი ქვეყნის თავისუფლებისათვის უცხოვრიათ და თავი შეუწირავთ. მაგრამ ს. მესხი მარტო ამით არ კმაყოფილდება და საქართველოს გამოჩენილი შვილების ცხოვრების დაბეჭდვასაც ფიქრობს. ყოველივე ეს ს. მესხს გარკვეული მიზნისთვის ესაჭიროება: თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანთა ცხოვრების აღწერა გამამხნევებელი მაგალითია ერის გამოსაფხიზლებლად, მის დასარაზმავად ეროვნულ-განმათავისუფლებელი დიადი ბრძოლებისათვის.

ს. მესხი ვარაუდობდა აგრეთვე, რომ „დროების" რედაქცია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა ე. წ. „წვრილ ამბებს", რადგან კარგად შედგენილ მოკლე ცნობებს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა და მკითხველიც დიდი ინტერესით ეტანებოდა მას.

მაგრამ ს. მესხმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ამ ფართო გეგმების განხორციელებას იგი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა და დიდ იმედებს ამყარებდა ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელზე: „რომელიმე მოთხრობისათვის ან საზოგადოთ ბელეტრისტული ნაწილისათვის ილია ჭავჭავაძეს წავავლებ ხელს და აკაკი წერეთელს. თითომ რომ წელიწადში თითო მოთხრობა ან რომანი მომცეს, საკმაო იქნება, აკაკის ამას გარდა ფელეტონებს მივანდობ", — ოცნებობს რედაქტორი.

ს. მესხს სურს საკმაოდ გააფართოოს თანამშრომელთა და კორესპონდენტთა ქსელი: პოლიტიკურ წერილებს პარიზიდან იზმა-

ილოვი მიაწედის, ამერიკიდან ბეთანიშვილის იმედი აქვს, გერმანიიდან — დალგატისა და პეტრე მელიქიშვილისა, შვეიცარიაში საიმედო თანამშრომლები ეგულება ივანე მესხისა და ბესარიონ ჯაფარიძის სახით, მოწინავე წერილებს კი თვით რედაქტორი და დავით მიქელაძე მოუელის.

გარდა ამისა, გაზეთში იქნება სავაჭრო და სახაზინო განცხადებები, ცნობები თბილისისა და სხვა მრავალი სავაჭრო ქალაქების ბირჟებიდან.

ს. მესხი ფიქრობს აგრეთვე ორგვარი კალენდრის გამოცემას: „ერთი „დიდი" წიგნთ, სადაც სხვადასხვა კალენდარულ ცნობებს გარდა, იქნება ევროპის და ჩვენი ქვეყნის სტატისტიკური მდგომარეობა და სხვადასხვაგვარი მოთხრობები და სტატიები: ერთი სიტყვით ისე, როგორც აქ ალმანახები გამოდიან. ამ დიდ კალენდარს გარდა გამოიცემა პატარა კალენდარი, ერთი კარდონის ფურცელი, კედელზე გასაკეთებელი... ეს არის მოკლედ ჩემი პლანები და ან მოვკვდები და ან შევასრულებ",—დაბეჯითებით აცხადებს ს. მესხი და თავაუღებლივ შრომობს, ამზადებს მასალებს მომავალი წლის „დროებისათვის", წერს სახელოვან ადამიანთა ცხოვრებას უშუალოდ პირველი წყაროების საფუძველზე, ამზადებს ვრცელ სტატიას „მამულის სიყვარულზე" და სხვ.

საფრანგეთში ყოფნის პერიოდში იგი ცდილობს, მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს ევროპაში მყოფ ქართველობასა და კონსტანტინოპოლელ სომხებს შორის, რადგან ეს მეგობრობა შეიძლება როდისმე საქართველოს კეთილდღეობისათვის გამოიყენოს, კონსტანტინოპოლელ სომხებთან „საქმის დაჭერა და კავშირი, ვინ იცის, ერთ დროს იქნება გამოადგეს ჩვენს ქვეყანას, რადგან შეიძლება ისეთი შემთხვევა მოხდეს, რომ ოსმალეთთან ჩვენ ანგარიშები და საქმეები გაგვიჩნდეს. ამ შემთხვევისათვის იქ კაცების ყოლა კარგი და სასარგებლო იქნება".

მეგობრული ურთიერთობის დამყარება სურს ს. მესხს აგრეთვე საფრანგეთის რესპუბლიკანური პარტიის მეთაურებთან, რადგან „საფიქრებელია, რომ ეხლა თუ არა, ოდესმე საფრანგეთის ბედი რესპუბლიკელებს ჩაუვარდებათ ხელში და იმათ მეგობრობა და გაცნობა მაშინ ჩვენი ქვეყნისათვის უნაყოფოდ არ ჩაივლის... იმისთანა კაცებთან გაცნობა, როგორც გამბეტტა და ლოკრუაა, ყოველთვის გამოსადეგი იქნება ჩვენთვის".

ეკ. მელიქიშვილმა საზღვარგარეთ ყოფნის დროს გაიცნო ფრანგი პოლიტიკური მოღვაწე, გაზ. „მარსელიოზას" და „ფარანის" გამომცემელი, პუბლიცისტი ანრი როშფორი, ს. მესხი შეეცადა მისი ეს ნაცნობობა თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის გამოეყე-

ნებინა. ამიტომ იგი ერთგვარ დავალებასაც კი აძლევს ეკ. მელიქი-შვილს: „აუხსენი დაწვრილებით საქართველოს მდგომარეობა, განსაკუთრებით პოლიტიკური, ბატონებთან ჩვენი დამოკიდებულება, ჩვენი ხასიათი, ახალგაზრდობა, მომავლის იმედი და ლტოლვა და სხვა... სხვა ქვეყნებზედაც რომ რასმე სწერდეს, რამდენ იმის კალმის, ნიჭის და მახვილობისათვის გამოსადეგ მასალას გამოუგზავნიდი აქაური ჩვენი ბატონების მოქმედებიდამ!"

ს. მესხის და საერთოდ საზღვარგარეთ მცხოვრებ კავკასიელთა მოქმედება, მათი გატაცება რესპუბლიკანიზმით, სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეებით ჟანდარმერიას შეუნიშნავი არ დარჩენია. 1874 წლის 12 აგვისტოს ჟანდარმთა შეფმა სპეციალური მიმართვა გაუგზავნა კავკასიის მეფისნაცვალს პარიზში მყოფ კავკასიელთა პოლიტიკური არაკეთილსაიმედობის შესახებ. მიმართვაში ნათქვამი იყო: «Ваше императорское высочество, получены сведения, что из русских, посещающих в настоящее время высшие учебные заведения в Париже, отличаются особенною страстью к социализму и коммунизму кавказские уроженцы, живущие там под предлогом изучения химии и медицины, а в сущности занимающиеся только чтением разных произведений социалистов. Более других замечательны Измайлов, называющий себя журналистом, Мецкий (იგულისხმება სერგეი მესხი) и Таргажанов. Последний прямо говорит, что он приехал в Париж с целью изучить социальные вопросы, чтобы, по возвращении в Россию, постараться разрешить их практическим путем.

По высочайшему государя императора повелению, имею честь сообщить о вышеизложенном Вашему императорскому высочеству».[1]

მეფის ნაცვალი საფუძვლიანად ჩააფიქრა ზემომოტანილმა მიმართვამ, რომელიც მან ბარონ ნიკოლაის გადაუგზავნა შემდეგი რეზოლუციით: „Иметь строжайший надзор за этими лицами в случае их возвращения на Кавказ и представить сведения какие они уроженцы, какого происхождения и где обучались на Кавказе?"[2].

გაიმართა ფიცხელი მიწერ-მოწერა, მთელი დატვირთვით ამუშავდა ჟანდარმერიისა და თბილისის გუბერნატორის კანცელარიის აპარატი ტარგაჯანოვის, მესხის და იზმაილოვის ვინაობის გამოსარ-

---

[1] ცსსა, ფონდი 5, საქმე 7193, ფურც. 3.

[2] იქვე.

კვევად. მიუხედავად საგულდაგულო ძიებისა, ჟანდარმერიამ ტარგაჯანოვის შესახებ ვერავითარი ცნობა ვერ მოიძია, იზმაილოვის ვინაობის დადგენა შეძლო და აგრეთვე სწორად აიღო კვალი მიმართვაში მოხსენიებული „მეცკის“ ვინაობის დასადგენად. 1874 წლის 26 ოქტომბრის ცნობაში, რომელიც ორლოვსკის ხელმოწერით თბილისის გუბერნატორის კანცელარიას გაუგზავნია კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს უფროსის თანამდებობის აღმსრულებელ სენატორ გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონისათვის, ნათქვამია: «Под именем же Мецкого, которого среди Тифлисских уроженцев и воспитанников также никогда не было, не следует ли подразумевать дворянина Кутайсской губернии Месхи, редактора грузинской газеты «Дроэба», выезжавшего в июле 1873 года за границу и ныне возвратившегося в Тифлис...

При этом считаю долгом присовокупить, что относительно учреждения на Измайловым, в случае возвращения его в пределы вверенной мне губернии, строжайшего полицейского надзора, мною сделано надлежащее распоряжение, и что таковой надзор будет установлен и над Месхи...»[1].

1874 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში ს. მესხმა დატოვა პარიზი და სამშობლოსაკენ გამოემგზავრა. 16 სექტემბერს ს. მესხი უკვე პეტერბურგშია. თან მხოლოდ 15 კაპიკი ჩამოჰყვა, ისიც პოლონური გროშები, რომელიც რუსეთის სატახტო ქალაქში არავინ მიიღო.

პეტერბურგში სერგეიმ ინახულა იქ მყოფი ქართველობა, მათ შორის ალ. ცაგარელი და ივ. მაჩაბელი, მოელაპარაკა მათ „დროებაში“ თანამშრომლობაზე და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე, ისესხა სამგზავრო ფული და ქუთაისისაკენ გამოსწია, ქუთაისში სერგეი 22 სექტემბერს ჩამოვიდა, ინახულა ოჯახის წევრები, ნათესავები და აგრეთვე ქუთაისის ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები: ნ. ბაგილო-მ. ჯანაშვილი, ა. ლორთქიფანიძე და სხვები და მათაც შესთავაზა „დროების“ მუდმივი თანამშრომლობა.

თბილისში ს. მესხი 24 სექტემბერს დაბრუნდა. როგორც ირკვევა ჟანდარმერიამ კარგად იცოდა მისი ყოველი ნაბიჯი, არა თუ თბილისში, არამედ, მისი ქუთაისში ჩასვლაც კი ცნობილი იყო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსისათვის და ჯერ თბილისის სადგურზე ფეხიც არ ჩამოედგა, ჟანდარმერიამ უკვე მოასწრო ს. მესხზე

---

[1] ცსსა, ფონდი 5, საქმე 3330, ფურც 4—5.

ფარული მეთვალყურეობის დაწესება. დ. მესხის გადმოცემით, სერ-გეიმ პირველ ხანებში ამის შესახებ არაფერი იცოდა.

სამშობლოში დაბრუნებული ს. მესხი გულწრფელად მიესალმა თავის საყვარელ მკითხველ საზოგადოებას: „დღეს მე სიხარულით და სიამოვნებით ვბრუნდები ჩემს სამშობლო ქვეყანაში და ვიჭერ იმავე ალაგს, რომელიც ერთი წლის წინად მეჭირა.

უცხო ქვეყნებისა და ხალხების დანახვამ ჩემი ქვეყანა და ხალხი უფრო მომეტებულად შემაყვარა. იმათი ცხოვრების გაცნობამ საუკეთესო მომაელის იმედი და მომეტებული ენერგია აღძრა ჩემში.

ეს იმედი იქნება ჩემი წინამძღოლი და ენერგია ჩემი საქმის წინ წამწევი... სალამი მკითხველს!"[1]

თბილისში დაბრუნებულ ს. მესხს მეტად უნუგეშო მდგომარეობა დახვდა, რის შესახებაც გულისტკივილით სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „საქმეები აქ გვარიანად არეულ-დარეული და აბურდულ-დაბურდული დამხვდა. განსაკუთრებით მატერიალური მხრით. თუმცა ჩვენ საზოგადოთ არასოდეს არ ვყოფილვართ კარგ მდგომარეობაში, მაგრამ ამისთანა დაბურდული, ამისთანა დავალიანებული და დავახშიანებული არასოდეს მაინც არ ვყოფილვართ. გაზეთი ყველამდე ვალშია. ჩემი ძმების ვალი წარმოუდგენელია. ახლა რომ ჩამოვედი, როგორც ჩანს, ყველანი თურმე ამ ჩემ დაბრუნებას მოელოდნენ და ყელში მომაფრინდნენ".[2]

ს. მესხმა მალე გაიგო, რომ მის პოლიტიკურ კეთილსაიმედოობაში ადგილობრივ ხელისუფლებას ეჭვი ჰქონდა შეტანილი. მაგ. არც გაზეთის შესახებ ჰქონდათ დადებითი აზრი. „დროება" მეფისნაცვლის ღრმა რწმენით „ტენდენციური გაზეთი" იყო, ხოლო მისი რედაქტორი ნაკლებად სანდო პიროვნება.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ს. მესხი ყოველთვის წინდახედულად და სიფრთხილით მოქმედებს, ცდილობს დაძაბული მდგომარეობის ნორმალიზაციას, მეგობრებსაც სთხოვს, ფრთხილად იყვნენ, „აქაურ ბატონებზე" ცუდი არაფერი მოიწერონ, რადგან ხელისუფლება ყველას და ყველაფერს იჭვის თვალით უყურებს და რომ „გაუწყრეთ ღმერთი და რომელიმე ამგვარი წერილები ჩაუვარდეთ ხელში... ტყუილ-უბრალოთ გავებმებით".

ს. მესხი ითვალისწინებს შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას და საზოგადო საქმის სარგებლობისათვის ხშირად მისთვის მეტად უსიამოვნო როლის გათამაშება უხდება. „მე ეხლა ძალიან მეგობრათა

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 423.

2 ს. მ ე ს ხ ი, „წერილები", გვ. 156.

ვარ მაქსიმოვიჩთან, ორლოვსკისთან და სხვა ტუზებთანაც, მათი ყურმოჭრილი ყმა და ყველაფერის კმაყოფილი ვგონივართ. დაე, ეს აზრი ჰქონდესთ ჩემზე, სასარგებლოა, — და ეხლა რომ ცოტა რამ მიზეზი ნახონ, უამისოთაც მიზეზს ეძებენ, და სულ დავიღუპებით. ჩემი თავის მე ისე არ მეშინიან, როგორც გაზეთისა; ამას წინათ რომ აქ სემინარიელების თაობაზე რაღაც გამოძიება იყო და შემდეგაც ყოველთვის, როდესაც რამე გამოძიებაა, ყოველთვის პირველად იმას ჰკითხავენ ხოლმე: თქვენ „დროების" რედაქტორთან ხომ არა კავშირი გაქვთო. ამისთანა დროში წინდახედულობით და სიფხიზლით უფრო ბევრი რამ გაკეთდება, ვიდრე თავხედობით..."

ასეთ დაძაბულ ვითარებაში ს. მესხმა გადაწყვიტა „დროების" კვირაში სამჯერ გამოცემა.

დ. ბაქრაძემ, მაქსიმოვიჩმა და ორლოვსკიმ ს. მესხს ურჩიეს, ცოტახნით თავი შეეკავებინა ზემოხსენებული საკითხის ირგვლივ განცხადების შეტანაზე, რადგან ბარონ ნიკოლაი თერთმეტი თვით აპირებდა თბილისიდან წასვლას, მის ადგილს გიორგი მუხრანსკი იკავებდა და მასთან საქმის მოგვარება უფრო ადვილი იქნებოდა.

ვიდრე საქმეს ოფიციალურ მსვლელობას მისცემდა, ს. მესხმა გადაწყვიტა, წინასწარ მოლაპარაკებოდა გ. მუხრანსკის თავისი გეგმის შესახებ. შედგა თუ არა მათი მოლაპარაკება, ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან არ ჩანს, მაგრამ ის კი ცხადია, რომ 1874 წლის 21 ოქტომბერს ს. მესხმა და სტ. მელიქიშვილმა თხოვნით მიმართეს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს „დროების" კვირაში სამჯერ გამოცემის, გაზეთის ფორმატის გადიდებისა და პროგრამის გაფართოების შესახებ.

ს. მესხის მიერ ზემოხსენებული საკითხის დაყენება სავსებით დროული იყო. რაც დრო გადიოდა, თანდათან უფრო რთულდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, იზრდებოდა „დროების" მკითხველთა ინტერესის სფერო, ყოველკვირეული გაზეთი კი, ისიც მცირე მოცულობისა, ვეღარ აკმაყოფილებდა მკითხველ საზოგადოებას. ს. მესხი მშვენივრად გრძნობდა ამ უხერხულობას და ამიტომ სტ. მელიქიშვილთან ერთად სავსებით დასაბუთებული თხოვნით მიმართავდა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს:

«В продолжение тех десяти лет, которые прошли со времени основания газеты «Дроэба», редакция, по мере средств и возможности, старалась удовлетворить потребностям читающей публики.

Но в последнее время, в редакции особенно часто получаются, со стороны читающей публики, заявления и жалобы о том, что как сообщаемые в газете сведения и новости, так

и всякие правительственные распоряжения доходят до нее несвоевременно и не в желаемой полноте и что желательно, чтобы редакция нашла возможность участить срок выхода газеты.

Такого рода заявления слышатся особенно часто с тех пор, как из трех журналов, издающихся у нас, один («Светоч») совершенно прекратил свое существование, а другой («Сборник»), если и не прекратился совершенно, то во всяком случае, выходит далеко не аккуратно.

Редакция предпологает на будущее время обратить в своей газете особенное внимание, с одной стороны, на русскую жизнь, с которою мы так тесно связаны, с другой, на беллетристический отдел газеты, который как в русских, так в иностранных газетах занимает обыкновенно такое видное место, и на который мы по недостатку места, принуждены не обращать почти никакого внимания.

Ввиду вышеизложенных обстоятельств, покорнейше просим в с-ство разрешить нам издавать газету «Дроэба» в формате до 8° и на место одного, три раза в неделию: по средам, пятницам и воскресеньям. Подписная цена газеты будет в год 8 рублей, шесть месяцев — 4 рубля, месяц — 1 рубль.

Кроме того имеем честь заявить просьбу о следующем изменении программы газеты «Дроэба».

По программе газеты, утвержденной в 1866 году, нам дозволено было политические известия и вообще известия об европейской жизни заимствовать исключительно из официальных газет; таких газет тогда существовало несколько, как-то: «Северная пчела», «Северная почта», «Русский инвалид», местная — «Кавказ» и др. Следовательно, у нас тогда были газеты, из которых можно было черпать более или менее богатый материал для политического отдела газеты. Но со времени основания одной официальной газеты — «Правительственного вестника», — который по необходимости обращает мало внимания на иностранную жизнь, этот материал для нас поневоле сузился.

Если принять во внимание, с одной стороны, что возрастающий интерес, с которым наша публика начинает следить за европейскою жизнью, и, другой — издание газеты три раза в неделию, — то становится очевидным насколько

для нашей газеты необходимо расширение программы в этом отношении.

Поэтому мы покорнейше просим, в. с-ство, расширить политическую часть нашей программы, и именно в той мере, как она разрешена остальным местным изданиям (армянской газеты «Мшак» и русской «Тифлисский вестник»), т. е. разрешить заимствовать политические известия из всех русских газет и иностранных, дозволенных в обращение в России, а также печатать собственные корреспонденции и статьи о явлениях политической и общественной жизни Европы».[1]

თხოვნას ხელს აწერენ სტ. მელიქიშვილი და ს. მესხი. საყურადღებოა, რომ ს. მესხს იმთავითვე არ ჰქონდა იმედი პოლიტიკური პროგრამის შეცვლის ნებართვის მიღებისა და სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „პოლიტიკური პროგრამმის თაობაზე კი, როგორც სჩანს, იმდენ უფლებას არ მოგვცემენ, რამდენიც ჩვენ ვითხოვეთ. მგონია მარტო იმის ნება მოგვცენ, რომ რუსული გაზეთებიდამ პოლიტიკური ცნობების გამოკრების ნება გექნებათო და საკუთარი პოლიტიკური სტატიებისა და კორრესპონდენციების ბეჭდვის ნებას კი გაგვიჭირვებენ“.

მიზნის მისაღწევად ს. მესხი და სტ. მელიქიშვილი შეეცადნენ როგორმე მოესყიდათ ცენზორი მაქსიმოვიჩი. სერგეიმ მას „დროების“ არსებობის ათი წლის თავისადმი მიძღვნილი იუბილეს პრეზიდენტობა შესთავაზა, ხოლო სტ. მელიქიშვილი შეჰპირდა, რომ დაბეჭდავდა მის მიერ შედგენილ არითმეტიკის სახელმძღვანელოს — და მომბალმა მაქსიმოვიჩმაც აღუთქვა: „თქვენი თხოვნის თაობაზე რომ ჩვენ გვკითხავენ, ჩვენგან არავითარი დაბრკოლება არ იქნებაო;“ მაგრამ ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები იყო. დაგეშილმა ცენზორებმა ძალიან კარგად იცოდნენ, თუ რა პასუხი უნდა გაეცათ ზემდგომი ორგანოებისათვის, თუკი ს. მესხისა და სტ. მელიქიშვილის თხოვნის თაობაზე რაიმეს ჰკითხავდნენ.

გაიმართა ბიუროკრატიული მიმოწერა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოსა და კავკასიის საცენზურო კომიტეტს შორის.

საცენზურო კომიტეტი, რომელიც მუდამ ფხიზლად ადევნებდა თვალს „დროების“ პოლიტიკურ მიმართულებას, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ზღუდავდა მას და ამ შემთხვევაშიც ს. მესხის თხოვნას, რათა რედაქციას უფლება ჰქონოდა სხვადასხვა გაზეთებიდან ამოკრებილი პოლიტიკური მასალისათვის თავისი კომენტარი გაეკეთებინა და მოეთავსებინა აგრეთვე საკუთარი კორესპონდენციები და წერილები

---

[1] ცსსა, ფონდი 5, საქმე 799, ფურც. 20.

ევროპის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ, — საცენზურო კომიტეტმა უარით უპასუხა: «Комитет... считая долгом присовокупить, что, по мнению его, при помещении заимствованных из газет политических известий, не могут быть допускаемы собственные рассуждения здешней газеты о сообщаемых событиях.

Что же касается дозволения помещать собственные корреспонденции из-за границы о политической жизни, то, хотя цензура и в этом случае вправе не дозволять статей, или мест из них, на основании преподанных ей правил; однако, принимая в соображение направление газеты «Дроэба», комитет пологает возможным разрешить ей помещение собственных корреспонденций только о явлениях общественной жизни Европы, ограничивая ей чисто общественной стороною, и не касаясь политической».[1]

პირდაპირ პარადოქსია. როგორ შეეძლო „დროებას“ ელაპარაკა ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და არ შეხებოდა პოლიტიკურ ვითარებას? ამგვარი პირობის წაყენება „დროების“ რედაქციისათვის იმას ნიშნავდა, რომ გაზეთს ეკრძალებოდა პოლიტიკურ მოვლენებზე ხმის ამოღება და საკუთარი აზრის გამოთქმა.

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს ნებართვა „დროების“ პოლიტიკური განყოფილების გაფართოების შესახებ იმაში გამოიხატა, რომ რედაქციას ნება მიეცა ამოეკრიბა და დაებეჭდა პოლიტიკური ცნობები მხოლოდ ცენზურის მეთვალყურეობით გამომავალ საიმპერიო გაზეთებიდან და არ გაეკეთებინა მათთვის არავითარი კომენტარი და განმარტება.

კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს კანცელარია ამავე დროს აფრთხილებდა სამმართველოს უფროსს, რომ «Главный сотрудник газеты, издатель-редактор оной Сергей Месхи... навлекает на себя сомнение в политической неблагонадежности, о чем производится по главному управлению секретная переписка»[2].

ამრიგად, სამი თვის მიმოწერის შემდეგ, 1875 წლის 4 იანვარს, კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველომ აცნობა საცენზურო კომიტეტს, რომ ს. მესხს უფლება ეძლეოდა გაზეთის ფორმატისა და ხელისმოწერის ფასის გადიდებისა და აგრეთვე „დროების“ კვირაში სამჯერ გამოცემისა.

---

1 ცსსა. ფონდი 5, საქმე 799, ფურც. 18.

2 იქვე, ფურც. 24.

მეფისნაცვალის განკარგულება ს. მესხს 1875 წლის 14 იანვარს ეცნობა და აქედან „დროებამ“ კვირაში სამჯერ დაიწყო გამოსვლა. სერგეის სამუშაო გაუსამკეცდა, მაგრამ პირველ ხანებში თითქმის ისევ მარტოდ მარტოს უხდებოდა ამ მძიმე ტვირთის ზიდვა. დრო და დრო მისი ძმა ნესტორი თუ ეხმარება. მართალია, კორექტორი ჰყავდა, რომელსაც თვეში 20 მანეთს აძლევდა, მაგრამ მის განთავისუფლებასაც აპირებდა, რადგან 20 მანეთის გადახდის საშუალება არ ჰქონდა. „რანაირად დავფაცურობ, დავრბივარ, რომ მნახო გაგეცინება, — სწერს იგი ეკ. მელიქიშვილს, — ახალი წლიდამ დაწყებული, მგონი ერთი საათი მოსვენება არა მაქვს, ღამეში 3—4 საათს თუ მძინავს, მუდამ დავრბივარ, ნელი სიარული თითქოს დამავიწყდა! და ამ გაუწყნარებელ შრომასთან არც სულის მშვიდობა მაქვს: ყოველ დილას მოვალეები შემოიძურწებიან ჩემს ოთახში და ამნაირად მთელ დღეს ჩამიშხამებენ ხოლმე“.[1]

ს. მესხის თავაუღებელი შრომის შედეგად „დროება“ გამოცოცხლდა. გაზეთმა მკითხველი საზოგადოების სიყვარული დაიმსახურა და ფართო მასებში დიდი პოპულარობაც მოიპოვა. 1875 წლის 1 მაისს დიმიტრი ჯანაშვილი სწერდა ს. მესხს: „... გაზეთს „დროებას“ ძლიერ დიდი გავლენა აქვს ჩვენს საზოგადოებაზე. ესლა ყველა იმას ლაპარაკობს, რომ გაზეთი „დროება“ ქართველი საზოგადოების წინამძღოლი არისო, გაზეთი „დროება“ იცავს ქართულ ენასო, როგორც თქვა ეს ორბელიანმაცა იმ ბროშურაში, რომელიც მან გიორგი წერეთელს კრიტიკულად დაუწერა, გაზეთი „დროება“ იცავს ქართველობასო და სხვადასხვა. მეც ასეთი აზრისა ვარ და ვიტყვი კიდევ, რომ ის არასოდეს არ გამოცემულა ისრე და ისეთი გავლენა არ ჰქონია, როგორც მას აქეთ, რაც თქვენ პარიჟიდან დაბრუნდით“.[2] მართლაც მეტად ნაყოფიერი გამოდგა ს. მესხისათვის ევროპაში გატარებული დრო. ფართო განათლება და საგაზეთო საქმიანობის დიდი გამოცდილება, რაც იქ ყოფნის პერიოდში შეიძინა, მან ოსტატურად გამოიყენა პრაქტიკულ საქმიანობაში.

1875 წლიდან „დროება“ უფრო სისტემატურად და უფრო მეტი გამბედაობით ეხება ჩვენი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხს. გაზეთი მოურიდებლად ამხელს ცარიზმის მოხელეთა ბოროტმოქმედებას, მთავრობის ცალკეული ბრძანება-განკარგულებების უსუსურობას, მწვავედ აყენებს ეროვნულ და სოციალურ სა-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, „წერილები“, გვ. 175—176.

2 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად. ხელნაწერთა ინსტ. ს. მესხის არქივი, საქმე № 61, წერ. 1.

კითხებს და სხვ. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ადგილობრივი ხელისუფლება დიდად დაინტერესდა გაზეთით და მასზე მკაცრი კონტროლი დააწესა. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ მეფისნაცვალი „დროების“ ყოველ ნომერს ათარგმნინებდა, დიდი გულმოდგინებით კითხულობდა და გარკვეულ მითითებებს იძლეოდა, თუ რა ხასიათის მასალა უნდა დაეკავებინა ცენზურას. მაგალითად, როგორც ცნობილია, გელათისა და იმერეთის ზოგიერთი სხვა მონასტრებიდან ბევრი ძველი საეკლესიო ძვირფასი ნივთი დაიკარგა. გელათის მონასტრის გაძარცვას აკ. წერეთელი ლევაშოვს სწამებდა. „დროებამ“ მოინდომა ამის შესახებ თავისი სიტყვის თქმა, მაგრამ მეფისნაცვალმა სასტიკი განკარგულება გასცა, რომ ამ საქმის ირგვლივ „დროებაში“ არაფერი დაბეჭდილიყო.

რაკი ს. მესხმა საკუთარ გაზეთში ხმის აძოღება ვერ მოახერხა, „გოლოსს“ გაუგზავნა მამხილებელი კორესპონდენცია ს. იმერელის ხელმოწერით, ხოლო ეკ. მელიქიშვილს მისწერა: „... ჩვენ ხმას არ გვაღებინებენ, რადგან ლევაშოვს... დიდი ბატონი წყალობს, მაგრამ „დროებაში“ პასუხი რაღა საჭიროა, როდესაც „Голос“-ის № 112 დაბეჭდილია ჩემი კორესპონდენცია ამ საქმის თაობაზე, იქიდამ თითქმის ყველა რუსულ გაზეთებშია გადმობეჭდილი. პასუხად ესეც ეყოფა“.

იყო შემთხვევები, როდესაც ს. მესხი არ ემორჩილებოდა ცენზორებს, რისთვისაც მას არა ერთი უსიამოვნება შეხვედრია და არა ერთხელ წამდგარა სასამართლოს წინაშე, როგორც საცენზურო წესდების დამრღვევი.

ს. მესხი სასჯელსაც კი სიამოვნებით ხვდებოდა, ოღონდ საზოგადოებას გაეგო ის მძიმე ვითარება, რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა ქართული გაზეთის რედაქტორს, გაეგო ის სიმკაცრე, რასაც ცენზურა და ადგილობრივი ხელისუფლება იჩენდა ჭეშმარიტებისათვის მებრძოლ ადამიანთა წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზნით ბეჭდავდა დრო და დრო გაზეთში ს. მესხი ასეთი ხასიათის ცნობებს: „დღეს, პარასკევს, თფილისის ოლქის სასამართლოში განიხილეს საქმე „დროების“ რედაქტორის უფ. სერგეი მესხისა, რომელსაც ცენზურის კომიტეტის ჩივილით ბრალდება ის დანაშაული, რომ ცენზორისაგან წაშლილი ადგილები დაიბეჭდა შარშანდელის წლის „დროების“ მე-126 ნომერში.

საქმის გარჩევის შემდეგ სასამართლომ გადაუწყვიტა „დროების“ რედაქტორს ამ დანაშაულისათვის ათი მანეთი ჯარიმა და ან, თუ ამას ვერ შესძლებს, ორი დღით დატუსაღება“.[1]

---

[1] „დროება“, 1879 წ., № 94.

პირდაპირ გმირობად უნდა ჩაეთვალოს ს. მესხს ის შეუპოვრობა, რომელსაც იგი იჩენდა ცენზურასთან ბრძოლაში. „იქნება დაგვსაჯონ მე და სტეფანე, — სწერს ს. მესხი ეკ. მელიქიშვილს, — მაგრამ კარგია იმ მხრით, რომ ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობას მაინც გაიგებს საზოგადოება... დასჯა კანონით 5 მანეთიდამ 300 მანეთამდია, ან ორი კვირიდამ 6 თვემდი საპყრობილეში დამწყვდევა. ნუ გეშინიან, დამწყვდევით ვერ დამამწყვდევენ და კიდეც რომ დამამწყვდიონ,. ერთი-ორი თვით გაზეთისათვის, არა გვიშავს რა"[1].

1875 წელს ს. მესხმა ცოლად შეირთო ეკატერინე მელიქიშვილი. როგორც პ. უმიკაშვილი შენიშნავდა, მელიქიშვილების ოჯახთან დამოყვრებამ ს. მესხს და მის „დროებას" კარგი სამსახური გაუწია — მრავალი წლის განმავლობაში „დროება" სტ. მელიქიშვილის სტამბაში თითქმის უფასოდ იბეჭდებოდა, რაც მატერიალური თვალსაზრისით ღარიბი რედაქტორისათვის დიდ შეღავათს წარმოადგენდა.

ეკ. მელიქიშვილთან შეუღლებამ ს. მესხს გარკვეული შეღავათი აგრძნობინა ყოველდღიურ საგაზეთო საქმიანობაშიც. „სერგეის მეუღლე თანამშრომელი იყო ყოველს მისს მუშაობაში... რედაქტორს მუდამ თანამშრომლად მარტო ბატონი ეკატერინე ჰყავდა თარგმანშიაც, კორექტურის დაჭერაშიაც და გაზეთის ექსპედიციაშიაც. ეს პირველი შემთხვევა იყო ქართულს მწერლობაში, რომ ცოლქმართ სალიტერატურო შრომა ერთად გაეწიათ"[2].

1875 წლისათვის საქართველოში არც ერთი ლიტერატურული პერიოდული ორგანო აღარ გამოდიოდა („ცისკარმა" თავისი არსებობა 1875 წელს, მეორე ნომრით დაასრულა), ამიტომ ს. მესხი ხშირად იძულებული ხდებოდა მნიშვნელოვანი მოზრდილი მხატვრული ნაწარმოებებისათვის ზოგჯერ გაზეთის მთელი ან ნახევარი ნომერი დაეთმო. „დროების" ასეთი ნომერი „არაჩვეულებრივი ნომრის" რეკლამით გამოდიოდა. მაგალითად, 1875 წლის „დროების" 41-ე ნომრის ორგვერდნახევარი აკაკი წერეთლის პოემის „ბაგრატ დიდის" I—IV კარს უჭირავს. „რადგან ახლა ამ ერთი გაზეთის მეტი თითქმის არცერთი სალიტერატურო ორგანო არ მოიპოვება, ამის გამო, თუ რამ კარგი იქნება დიდი, გაზეთის ერთ ნომერს ვუძღვნი და ერთად დავბეჭდავო" — იუწყებოდა რედაქტორი.

მაგრამ, რა თქმა უნდა არ შეიძლებოდა ასე გაგრძელებულიყო დიდხანს. ერთადერთი გაზეთი ვერ აუვიდოდა მოზღვავებულ ლიტერატურულ მასალას. გარდა ამისა, საჭირო იყო ლიტერატურული

---

1 ს. მესხი, „წერილები", გვ. 193.

2 „ივერია", 1883 წ., № 7-8, გვ. 170.

მემკვიდრეობის პუბლიკაციაც და სწორედ ამ მიზნით 1875 წლის ნოემბერში თბილისში შედგა ქართული წიგნის გამომცემელი საზოგადოება, რომელშიც შევიდნენ: ილ. ჭავჭავაძე, ბეს. ღოღობერიძე. დიმ. ბაქრაძე, პ. უმიკაშვილი, რაფ. ერისთავი, იასე ჭავჭავაძე. გ. თუმანიშვილი, რომელსაც ამ პერიოდში „დროების“ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელობაც დაეკალა. ბეს. ჯაფარიძე და ს. მესხი. „განზრახვა ჩვენი ის არის, — წერდა ს. მესხი, — რომ ქართველი ძველი და ახალი საუკეთესო მწერალთა თხზულებები გამოვსცეთ, აგრეთვე ისტორიული და სახელმძღვანელო წიგნები. ფულები ჯერ-ჯერობით 500 მანეთამდე ხელში გვაქვს. ოთხს ამდენს კიდეე მოველით თუ ხელისმოწერით და თუ სხვა გარეშე შემოსავლით. ამჟამად ჩვენ ნიკ. ბარათაშვილის ლექსებს ვბეჭდავთ. ამას გარდა თითქმის დამზადებული გვაქვს დასაბეჭდათ ანტონოვის კომედიები და უნდა შევუდგეთ ალ. ჭავჭავაძის ლექსების მოკრებას. გვინდა გამოვსცეთ კიდეე ამ მოკლე ხანში ნინო — ქართველთ განმანათლებლის ცხოვრება, სახალხო არაკები და შემოკლებული ისტორია საქართველოსა — ნიკ. დადიანისა. ყველანი ძალიან მხურვალეთ ეკიდებიან ჯერ-ჯერობით ამ საქმეს და შემდეგაც თუ ასე გასწია, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ეს წიგნების გამოცემის საქმე ჩვენში კარგს გზაზე დადგება და კარგათ წავა. როცა ერთ-ორ წიგნს გამოვსცემთ და საზოგადოებას გავაცნობთ ჩვენს თავს, მერე გვინდა, რომ ამ საქმეში ჩვენი ბობოლები ჩავითრიოთ (გრ. ორბელიანისთანები) და ოფიციალურათ ვითხოვოთ მთავრობისაგან ჩვენი საზოგადოების დამტკიცება. მაშინ კიდეე უფრო მომეტებული ღონისძიება გვექნება, რომ ეს საქმე კარგათ მოვათავსოთ“.

ქართული მწერლობის დიდი მოამაგე ს. მესხი ყოველმხრივ უწყობდა ხელს და გზას უხსნიდა დამწყებ მწერლებს, რათა მათ გამოემჟღავნებინათ თავის შესაძლებლობა, უნარი და ნიჭი. ს. მესხმა პირველმა დაუბეჭდა ეკ. გაბაშვილს „დროებაში“ მისი პირველი ნაწარმოები „გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე“. 1881 წელს „დროება“ — „ივერიის“ სარედაქციო თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ ილ. ჭავჭავაძე, ს. მესხი, დ. მიქელაძე, ეკ. მელიქიშვილი და სხვანი, იხილებოდა ეკ. გაბაშვილის „რომანი დიდხევში“. ილ. ჭავჭავაძემ ვიქტორ ჰიუგოსა და ეკ. გაბაშვილის სტილს შორის მსგავსება დაინახა. დ. მიქელაძე არ დაეთანხმა ილიას და უპასუხა:—ვიქტორ ჰიუგო კი რა მოგახსენო, მაგრამ ტურგენევს კი თითქოს რაღაშიაც მიბაძავსო, — აზროვნებაში თუ სულიერ შეთანხმებაშიო. მაშინ „სერგეიმ ხარხარი დაიწყო, რატომ არ გგონიათ, რომ შესაძლებელია იყოს მიუბაძველობაო? და თუ მართლა მაგ ახალ-

გაზრდას ატყობთ რაისმე ჩანასახს მომავლის ბელეტრისტისას, უნდა ხელი წარუმართოთო".[1]

ს. მესხმა დიდად შეუწყო ხელი აგრეთვე ნ. ლომოურის სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას. მან დაუბეჭდა დამწყებ მწერალს პირველი ლექსები და კორესპონდენციები.

ასეთივე გულისხმიერებით მოექცა იგი თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეს სოფრომ მგალობლიშვილს, რომელიც ს. მესხთან „დროების" ასოთამწყობმა ექვთიმე ხელაძემ მიიყვანა. ს. მგალობლიშვილი იგონებს: ს. მესხმა „გამომკითხა ვინაობა, სემინარიის ამბები, წერილი გამომართვა და მითხრა, ხვალ მოდი და გეტყვი დაიბეჭდება თუ არაო.

მეორე დღეს გულის ფანცქალით მივდიოდი განოვის ქუჩაზე. რედაქციასთან რომ მივედი, გამობრუნება დავაპირე. ვაი თუ უხეირო წერილია, დაიწუნეს და რაღაზე შევიდემეთქი. მაგრამ დავძლიე თავსა და შევედი. სერგეიმ ღიმილით მიმიღო...

— შენ წერილს დაებეჭდავთ ხვალ, როცა დრო გქონდეს, წერე, რედაქციაში შემოიარე ხოლმე, გაზეთი ყოველთვის გექნება, აქ საზოგადოებას გაეცნობი, ჩვენს მწერლებსა.

მე რაღაც უცნაური სიამოვნება ვიგრძენ, სერგეის ტკბილმა ლაპარაკმა მომხიბლა და... რაღაც გამოურკვეველ ოცნებას მივეცი. მას შემდეგ ხშირად დავდიოდი სერგეისთან და იმ წლიდამ სამუდამო კორესპოდენტი გავხდი „დროებისა"[2].

ჩვენი სახელოვანი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი საინტერესო ცნობას გვაწვდის ს. მესხის გულისხმიერებისა და დამწყები მწერლებისადმი ფაქიზი დამოკიდებულების შესახებ. მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნებულ ალ. ყაზბეგს სერგეისათვის „მოეტანა სქელი რვეული — თავისი ნაწარმოებები, ესაუბრებოდა თავისი ნაწერების შინაარსის შესახებ, კამათობდა, შემდეგ დაუტოვა მესხს. როცა ის წავიდა, მე მივმართე სერგეი მესხს: საქმე არა გაქვს მეთქი, რომ დაჰპირდი ამის გადახედვას და წაკითხვას? რა შეუძლია მაგას დასწეროს, რომ ყურადღების ღირსი იყვეს. სერგეიმ მითხრა, რომ მე ვცდებოდი, რომ ყაზბეგის ნაწერებს უეჭველად აქვს მნიშვნელობა"[3].

ს. მესხმა გადამწყვეტი როლი ითამაშა, შემდეგში ცნობილი ქართველი მწიგნობრის, ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრებაშიც. 70-იან

---

[1] ე კ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, „რამდენიმე შეხვედრა. ილ ჭავჭავაძესთან", „ლიტ. ბატიანე", ნ. 1—2, გვ. 124.

[2] გაზ. „სახალხო ფურცელი", 1916 წ., № 502.

[3] „ქართული მწერლობა", 1927 წ., № 5, გვ. 148.

წლებში თბილისის ერთ-ერთ სასტუმროს წინ მიმავალმა აკ. წერეთელმა, ს. მესხმა, გ. წერეთელმა და კ. ლორთქიფანიძემ შეამჩნიეს თხუთმეტიოდე წლის ყმაწვილი, რომელიც ქუჩაში იდგა და გულდასმით ჩაჰკირკიტებდა გაზ. „დროებას". სერგეი გაოცდა — „დროებას" ახალი მკითხველი გასჩენია, ისიც ასე ახალგაზრდა. იგი დიდხანს ესაუბრება ყმაწვილს. აღმოჩნდება, რომ ეს ახალგაზრდა დღე და ღამ წიგნების კითხვაზეა გადალეული, რომ მას, ასე გასინჯეთ „დროებაც" კი აქვს გამოწერილი... სერგეი მესხი იახლოვებს ახალგაზრდა კაცს. ხელს უწყობს, მფარველობს, აქეზებს სწავლაზე. ჩქარა ზაქარია უახლოესი თანამშრომელი ხდება მისი გაზეთისა".[1]

ს. მესხი მამობრივ ზრუნვას იჩენდა თავისი და-ძმების მიმართ. ცდილობდა სწორ გზაზე დაეყენებინა და საზოგადოებრივ სამოქმედო ასპარეზზე გამოეყვანა ისინი.

ეფ. მესხმა დაწყებითი განათლება ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში მიიღო. იგი მეოთხე კლასში იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. ამის შემდეგ პატარა ეფემია სერგეიმ საცხოვრებლად თბილისში გადმოიყვანა. „დროების" რედაქცია მაშინ ს. მესხის ბინაში იყო მოთავსებული. აქ თავს იყრიდნენ მოწინავე ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი, მსჯელობდნენ ქართული თეატრის, ლიტერატურის და სხვა მრავალი მტკივნეული საკითხის ირგვლივ. ყოველივე ამას გულდასმით ისმენდა მომავალი დიდი მსახიობი. „დროების" რედაქცია ეფემიასათვის ნამდვილ სკოლად იქცა, აქ ეზიარა იგი პროგრესულ შეხედულებებს, ღრმად ჩაენერგა სიყვარული ქართული ლიტერატურისა, საერთოდ, ქართული კულტურისა და განსაკუთრებით ქართული სცენისა, რომელსაც შესწირა თავისი ნაყოფიერი ცხოვრების ორმოცი წელი. „აქ შევიგნე თუ რა მიზანი უნდა შეესრულებინა ქართულ თეატრსო" — სწერდა იგი შ. დადიანს.

ს. მესხი ეფემიას ლიტერატურული საქმიანობისაკენაც უბიძგებდა. „ერთ საღამოს, — იგონებს ეფ. მესხი, — სერგეიმ რუსული გაზეთი გადმომცა, რომელშიც დაბეჭდილი იყო ფრანგულიდან გადმოთარგმნილი ფელეტონი — პარიზელი პატარა ბავშვის ამბავი — „პეპისტრელლო".

— აბა ეს წაიკითხე, თუ მოგეწონოს გადმოაქართულე და მე დავბეჭდავ „დროებაშიო". წავიკითხე და ძალიან მომეწონა. შევუდექი თარგმნას დიდი მღელვარებით. ორი დღე ვთარგმნიდი და როდესაც გავათავე, შიშით მივუტანე სერგეის. მან დაიწყო კითხვა. მე იქვე ჩამოვჯექი და თვალს არ ვაშორებდი იმის სახეს. ის ხან გაიცინებდა, ხან ფანქრით ასწორებდა და მითხრა:

---

1 ლ. ასათიანი, „რჩეული ნაწერები", ტ. I, 1958 წ., გვ. 335.

— ჩინებულია. გადასწერე სუფთად, ბოლოში მოაწერე შენი სახელი და გვარი და მე დასაბეჭდად გავგზავნი.

ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. როგორ მოუთმენლად მოველოდი იმ გაზეთის ნომერს, რომელშიც ჩემი თარგმანი უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი და როგორ ვამაყობდი, როდესაც ის წავიკითხე უკვე გაზეთში დაბეჭდილი".[1]

უმცროსი ძმა — კოტე სერგეიმ ოდესაში გაგზავნა ბუხჰალტერიის შესასწავლად. გარდა მატერიალური დახმარებისა, სერგეი პირადი წერილებითაც არ აკლებდა გონივრულ რჩევა-დარიგებას ახალგაზრდა კოტეს. მაგრამ ხელოვნების ცეცხლით აღგზნებულმა კოტემ მალე მიატოვა ოდესა და პარიზში ამოყო თავი. მართალია, ეს ს. მესხის ნებასურვილის წინააღმდეგ მოხდა, მაგრამ სერგეიმ გაიგო მომავალი დიდი ხელოვანის შინაგანი სულიერი წვა და არც პარიზში მყოფს მოაკლო თავისი ფხიზელი ყურადღება.

ს. მესხის კალთაში გამოიზარდა მისი უმცროსი ძმა დავითი. მანაც „დროების" რედაქციაში, სერგეის უშუალო ხელმძღვანელობით, გაიარა აღზრდის საუკეთესო სკოლა. როდესაც დ. მესხი ლათინური ენის მასწავლებელთან უსიამოვნების გამო იძულებული გახდა ქუთაისის გიმნაზია დაეტოვებინა, დედამ მისი სამხედრო სამსახურში მიბარება გადაწყვიტა: „ერთი მაინც გამოვიდეს ჩემი შვილი ვოენიო". სერგეი წინ აღუდგა დედის სურვილს და დავითი „დროების" რედაქციაში წამოიყვანა სამუშაოდ. ამ დღიდან იგი სიკვდილამდე არ მოშორებია თავის მზრუნველ ძმას. დავითს ხშირად აღუნიშნავს, რომ თუკი მე რაიმე გამიკეთებია საზოგადო საქმისათვის, ეს სერგეის წყალობით მოხდა, რომელიც უდროოდ გამოგვეცალა ხელიდან და რომლის სიყვარულიც მამოქმედებდა მთელ ჩემს საქმიანობაშიო.

ს. მესხის მამობრივმა მზრუნველობამ და-ძმების მიმართ უნაყოფოდ არ ჩაიარა და მათ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩვენი კულტურის ისტორიაში.

ს. მესხი დიდ გულისხმიერებას და თანაგრძნობას იჩენდა თავის თანამშრომელთა მიმართაც. „ერთხელ, — იგონებს გ. თუმანიშვილი, — რაღაც საქმეზე დაატუსაღეს „დროების" ამწყობი, მგონი არს. კალანდაძე. ამ ამბავმა ს. მესხი ისე შეაწუხა, რომ გვეგონა გაზეთი ველარ გამოვაო. მთელი დღეობით რედაქტორი ეძებდა თავდებს, რომ გაენთავისუფლებინა კალანდაძე. რასაკვირველია ამ შემთხვევაში ს. მესხს აწუხებდა არა მარტო გაზეთის ინტერესი. იმას ჩვილი

---

[1] კრებული „ეფემია მესხი", გვ. 26.

გული ჰქონდა და ყველა თავის თანამშრომლისა და უკანასკნელი მუშის ბედისათვის გული ეწეოდა".[1]

ასეთივე გულწრფელი იყო ს. მესხის დამოკიდებულება მოძმე რუსი ხალხის სახელოვან წარმომადგენლებთანაც. ამ მხრივ საყურადღებოა მისი დამოკიდებულება ვასილ ალექსის ძე სლეპცოვთან. ვ. ა. სლეპცოვი XIX საუკუნის 60—70-იანი წლების რუსული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი იყო მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის და ჩერნიშევსკის თანამებრძოლი, თვალსაჩინო დემოკრატი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა „სოვრემენიკში" და სხვა რუსულ პერიოდულ გამოცემებში.

მებრძოლი სულისკვეთების, მუდამ მოძრავი და აქტიური სლეპცოვი ადრე დაავადმყოფდა და იძულებული გახდა სამკურნალოდ კავკასიაში წამოსულიყო. კარგა ხანი გაატარა სლეპცოვმა თბილისშიც, სადაც გაეცნო და დაუახლოვდა ს. მესხს. სლეპცოვის მატერიალური მდგომარეობა მეტად არასახარბიელო იყო. «Все его денежные средства поглатило лечение, он жил вбедноте на пособия литературного фонда».[2] ასეთ მდგომარეობაში მყოფ ვ. სლეპცოვს თვით ხელმოკლე და ვალებში მყოფი ს. მესხი ფულად დახმარებას უწევდა. ამ მხრივ უდაოდ საინტერესოა ვ. სლეპცოვის მეუღლის — ლიდია ფილიპეს ასული მაკლაკოვას (ბელეტრისტი ქალი, იბეჭდებოდა ფსევდონიმით ლ. ნელიდოვა). წერილი ვასილისადმი: «Вася.... нельзя ли еще получить от Месхи деньги, чтобы отдать прачке? Я об этом пишу и Нестору, но не знаю, в Тифлисе ли он: может, уехал в Кикеты».[3]

ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა ს. მესხი ნიკოლოზ ივანეს ძე გულაკთანაც. რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული და დემოკრატიული იდეებით შთაგონებული ნ. ი. გულაკი, როგორც პოლიტიკურად არაკეთილსაიმედო პირი, მეფის ხელისუფლებამ კავკასიაში გადმოასახლა.

1863 წ. ნ. ი. გულაკი ქუთაისის გიმნაზიაში ასწავლიდა მათემატიკას, ფიზიკას და კოსმოგრაფიას, შემდეგ კი იგი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში გადმოიყვანეს, სადაც ასწავლიდა ლათინურ ენას და მათემატიკურ საგნებს.

---

1 გაზ. „სახალხო ფურცელი", 1916 წ., № 522.

2 В. А. Слепцов, Сочинения в двух томах, под ред. К. Чуковского, т. I, зз. 35—36.

3 Центральный гос. литературный архив, фонд 479, опись I, единица хранения 9.

ნ. ი. გულაკმა გულწრფელად შეიყვარა ქართველი ხალხი და დაიწყო ინტენსიური მუშაობა ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე. განსაკუთრებით გაიტაცა გულაკი „ვეფხისტყაოსანმა“, რომლის შესახებაც რამდენიმე საჯარო ლექცია წაიკითხა თბილისში.

არა ერთი გულწრფელი წერილი მიუძღვნა გულაკის საქმიანობას ს. მესხმა, რომელიც მასში პროგრესულ პიროვნებას ხედავდა.

მეტად ფაქიზი იყო ს. მესხის ურთიერთობა ადამიანებთან და ასეთი ფაქიზი ურთიერთობის დამყარებას ცდილობდა მეგობრებს შორისაც. იგი არავის აძლევდა უფლებას პირადი სიმპათია-ანთიპათიის მიხედვით გადაეწყვიტათ საკითხი. არ ბეჭდავდა გაზეთში წერილს, ვისიც არ უნდა ყოფილიყო იგი, რომელსაც შეეძლო საზოგადო საქმისათვის თუნდაც ოდნავი ჩრდილი მიეყენებინა. როგორც ცნობილია, 1875 წლისათვის ქუთაისში იმდენად მოღონიერდა ქართული სცენისმოყვარეთა წრე, რომ ქალაქის საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა დაიწყო ზრუნვა მუდმივი დასის ჩამოყალიბებისა და თეატრისათვის შესაფერისი შენობის ასაგებად. ს. მესხმა ამ წლის „დროების“ 33-ე ნომერში გულთბილი წერილი უძღვნა ქუთაისის ინტელიგენციის ამ კეთილშობილურ წამოწყებას: „აბა, ჩვენო ქუთაისო! შენ მაინც გაგვიძეხ მომავალი ნათელი დღეებისაკენ და დაგვიმზადე ის კეთილი ცხოვრების მსვლელობა, რომელიც ჩვენთვის ასე სასურველია“.

მეტად დიდია ს. მესხის დამსახურება არა მხოლოდ ქუთაისის სცენისმოყვარეთა წრის, არამედ, საერთოდ, ქართული თეატრალური ხელოვნებისა და, კერძოდ, ქართული მუდმივი თეატრის შექმნისა და ჩამოყალიბების საქმეში. არც თუ იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც უზომოდ დატვირთულ ს. მესხს საზოგადოება ქართული წარმოდგენების გამართვასაც აკისრებდა. „საზოგადოებაში ძალიან მოთხოვნილებაა ქართული წარმოდგენებისა, — წერდა ს. მესხი, — და რადგან კაცი არა სჩანს ეს საქმე იკისროს, ისევ მე მომახვიეს კისერზე. მალე... „ყვარყვარე ათაბაგი“ და „პეპო“ უნდა წარმოვადგინოთ ამ ზაფხულამდე“.

ს. მესხის თეატრალურმა რეცენზიებმა, განხილვებმა და ცალკეულმა შენიშვნებმა, მისმა თავგამოდებულმა ბრძოლამ ჯანსაღი ქართული რეპერტუარისათვის, დიდად შეუწყო ხელი ქართული თეატრალური ხელოვნების აღორძინებას. ს. მესხის უდიდესი დამსახურება ქართული თეატრის წინაშე ისიც არის, რომ მან გამოძებნა მუდმივი სცენისათვის უაღრესად ნიჭიერი მსახიობი მარიამ საფაროვა-აბაშიძისა.

ს. მესხი იყო ინიციატორი მრავალი ლიტერატურული საღამო-

სი, რომელიც სახელოვან მწერალთა და მსახიობთა მონაწილეობით ტარდებოდა თბილისში. არა ერთი წერილი მოუწერია ს. მესხს დუშეთში მყოფ ილ. ჭავჭავაძისათვის, რომ ჩამოსულიყო და მონაწილეობა მიეღო ლიტერატურულ საღამოებში, მაგრამ სამსახურებრივი მდგომარეობის გამო ილია ზოგჯერ ვერ ახერხებდა ჩამოსვლას და გულდაწყვეტილი სწერდა სერგეის: „მწერ ჩამოდიო, ლიტერატურული საღამო გავმართოთო. მეც ძალიან მინდა, მაგრამ ოფიციალურად გამოცხადება ქალაქში არ შემიძლიან, რადგან არ დამითხოვენ. ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა. ეს ოხერი, ვერ დავაღწიე თავი ამ უგემურს სამსახურსა. მალე კი მოუღებ ბოლოს... ბიჭო, ერთი მეწვიეთ დუშეთს".[1]

XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში თითქმის სრულებით არ იყო სპეციალური ბიბლიოთეკა, რომელიც ახალგაზრდობას მიაწოდებდა საჭირო ლიტერატურას და ხელს შეუწყობდა მათ გონებრივ ზრდას. ს. მესხის ღრმა რწმენით, ასეთი ბიბლიოთეკების შექმნა აუცილებელი იყო, სპეციალურ ბიბლიოთეკებს ექნებოდათ არა ვიწრო მნიშვნელობა, არამედ იქ თავს შეიყრიდა ახალგაზრდობა, რომელსაც მიეცემოდა მსჯელობისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება.

ამგვარი ბიბლიოთეკის დასაარსებლად შედგა კომისია ს. მესხის, ალ. სარაჯიშვილის და პ. მელიქიშვილის შემადგენლობით, რომელთაც დაევალათ ბიბლიოთეკის წესდების შედგენა. ასეთი წესდება ს. მესხს კიდეც შეუდგენია, მის პირველ პარაგრაფში ნათლად არის განსაზღვრული ბიბლიოთეკის დანიშნულება. «Назначение библиотеки состоит в том, чтобы давать возможность тифлисской молодежи наиудобнейшим путем доставить книги для чтения и вместе с тем служить местом, где эта молодежь могла сходиться обмениваться мыслями».[2]

სავარაუდოა, რომ ამ ბიბლიოთეკაში, რომელსაც კერძო ხასიათი ექნებოდა, არალეგალური ლიტერატურაც იქნებოდა წიგნის თაროებს უკან გადანახული, ხოლო ახალგაზრდობის შეკრებებზე ალბათ ისეთ საკითხებზეც იმსჯელებდნენ, რომელიც მთავრობისათვის არასასიამოვნო იქნებოდა.

რამდენადაც ვიცით ასეთი ბიბლიოთეკა არ დაარსებულა და ს. მესხის მიერ შედგენილი წესდება წესდებად დარჩა

---

1 საქართველოს სსრ მეც. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს. მესხის არქივი, საქმე № 54.

2 იქვე. საბუთი № 20.

. დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ს. მესხში ახალგაზრდობის დიდ ქომაგსა და მზრუნველს ხედავდა, ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ როდესაც დასნეულებულ იაკობს თბილისიდან სამკურნალოდ გასვლა უხდებოდა, თავის სახელმძღვანელოების ბეჭდვის საქმეს ს. მესხს ანდობდა.

1876 წელს „დროებას" არსებობის ათი წელი შეუსრულდა.

ქართველმა საზოგადოებამ გულთბილად აღნიშნა თავისი საყვარელი გაზეთის იუბილე. საზეიმოდ გამართულ ნადიმზე, რომელსაც ესწრებოდნენ ილ. ჭავჭავაძე, ს. მესხი, სტ. მელიქიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ბეს. ღოღობერიძე, რუსული და სომხური პრესის წარმომადგენლები, სულ 70-მდე კაცი, მრავალი სიტყვა წარმოითქვა. გულმხურვალედ ილაპარაკეს გრ. არწრუნმა, აბგარ იონესიანმა, გაბრიელ სუნდუკიანცმა, არტემ ჩიმიშკიანმა და სხვებმა. მათი სიტყვები გამოხატავდნენ ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობის და ურთიერთთანამშრომლობის ღრმა რწმენას და კეთილ სურვილებს „დროებისა" და მისი რედაქტორისადმი.

თვით ს. მესხმა „დროებაში" დაბეჭდილ წერილში მოკლედ დაახასიათა გაზეთის ათი წლის ისტორია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ათი წლის განმავლობაში „რაც რამე ნიჭიერი, მოძრავი და ცოცხალი იყო ჩვენს საზოგადოებაში, ყველაფერმა და ყველამ თავის კვალი დაამჩნია ამ გაზეთში. ეს იყო თითქმის მთელი ჩვენი ლიტერატურის ერთად-ერთი წარმომადგენელი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა საზოგადოებასთან ბაასი; ეს იყო ერთად-ერთი ორგანო, რომლის საშუალებითაც მხოლოთ შეეძლო ეთქვა რაიმე ყველას, ვისაც ქვეყნისათვის რაიმე ჰქონდა სათქმელი, ვისაც თავის ჰაზრებისა და რწმუნების გავრცელება და გაზიარება უნდოდა ჩვენში".[1]

ს. მესხს „დროება" მიაჩნდა დროშად ქართული ლიტერატურისა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, ქართველი ერის შემაკავშირებელ ორგანოდ და სწორედ ამ გაგებით სვამდა იგი „დროების" სადღეგრძელოს.

1877 წლისთვის ს. მესხმა გადაწყვიტა დრო და დრო ეთანამშრომლა გაზეთ „კავკაზშიც". „კავკაზი" ოფიციოზს წარმოადგენდა და ემსახურებოდა მეფის მთავრობის პოლიტიკის გატარების საქმეს კავკასიაში. მაგრამ თუ ს. მესხმა მასში თანამშრომლობა გადაწყვიტა, ეს იმ მოსაზრებით უნდა აიხსნას, რომ ს. მესხს სურდა რუსი მკითხველისათვის გაეცნო საქართველო, ხალხის ზნე-ჩვეულება, ის მტკივნეული საკითხები, რომელნიც აწუხებდა ქართველ სა-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზ. ტ. II, 1963 წ., გვ. 189.

ზოგადოებას და დაეცვა ქართველი ხალხის ინტერესები. საყურადღებოა, რომ ს. მესხმა ამ საქმეში აკ. წერეთლის ჩაბმაც მოინდომა და აცნობა მას: „კავკაზის“ რედაქციაში ვიყავი, ვორონოვს (ნ. ვორონოვი „კავკაზს“ რედაქტორობდა 1877 წლიდან) მოველაპარაკე შენსა და ჩემს თანამშრომლობაზე. მითხრა, რომ დიდის სიამოვნებით თანახმა ვარო და სასიამოვნოც იქნება ჩემთვისო, ვინც ქართველთაგანი ჩემს გაზეთში მონაწილეობას მიიღებს და ქართველ საზოგადოებას გააცნობს რუსის მკითხველებსაო. მაგრამ პირობებზე არაფერი არ მომილაპარაკნია და არც მოველაპარაკები, სანამ ჩემსა და შენს სტატიებს არ წარუდგენ“[1].

მიუხედავად დიდი სურვილისა, ს. მესხმა ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელება ვერ შეძლო, რადგან 1877 წლის 12 (24) აპრილს დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი და ს. მესხს სხვა საზრუნავი გაუჩნდა. მან მოხერხებულად ისარგებლა შექმნილი ვითარებით და 1877 წლის 26 მაისს განცხადებით მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს, რათა ნება მიეცათ მისთვის, ომის დამთავრებამდე „დროება“ ყოველდღიურად გამოეცა. მოსაზრება გაზეთის ყოველდღიურად გამოცემის საჭიროების შესახებ ს. მესხმა შემდეგნაირად დაასაბუთა: «Ввиду особенного интереса к военным и политическим известиям, возбужденного в последнее время в нашем обществе, редакция газеты «Дроэба» нашла нужным на все время, пока будет продолжаться эта война, издавать газету ежедневно... Считает нужным заявить при этом, что как подписная цена на газету, так и ее программа останутся прежние».[2]

ნებართვა ომის პერიოდში „დროების“ ყოველდღიურად გამოცემის შესახებ ს. მესხმა 1877 წლის ივნისში მიიღო და ამის შემდეგ გაზეთმა ყოველდღიურად იწყო გამოსვლა.

ომის პერიოდში ს. მესხმა ფრონტს მიაშურა. იგი ფეხდაფეხ მიჰყვა რუსეთის არმიას ბათუმამდე. ყოფილა შემთხვევა, როცა მას საკმაო მანძილი ქვეითად გაუვლია, საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაუყენებია, მრავალი ღამე სანგრებსა და თხრილებში უთევია და ასე გზა და გზა უწერია სამხედრო ხასიათის კორესპონდენციები, რომლებიც „დროებაში“ იბეჭდებოდა. ისინი ნათლად ასახავდნენ ომის ვითარებას და მკითხველს გამარჯვების ღრმა რწმენას უნერგავდნენ.

---

[1] საქართველოს სსრ მეც. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, ტ. III, გვ. 178.

[2] ცსსა, ფონდი 5, საქმე 3850, ფურც. 2.

1878 წელს დამთავრდა რუსეთ-თურქეთის ომი და „დროებასაც“ გაუვიდა ყოველდღიურად გამოსვლის ვადა. მაგრამ მკითხველ საზოგადოებაში იმდენად დიდი იყო სურვილი ყოველდღიური გაზეთის არსებობისა, რომ ს. მესხმა 1878 წლის 7 აპრილს კვლავ თხოვნით მიმართა კავკასიის მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს, რათა მათი შუამდგომლობის საფუძველზე, მეფისნაცვალს ნება დაერთო „დროება“ ყოველდღიურ გაზეთად დარჩენილიყო. ს. მესხის თხოვნა დააკმაყოფილეს.

განსაკუთრებით დიდი იყო ს. მესხის ინტერესი ომის შედეგად შემოერთებული თურქეთის მიერ ადრე მიტაცებული ტერიტორიისა და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ გამაჰმადიანებული ქართველების მიმართ. მრავალი ღონისძიება ჩაატარა ქართველმა ინტელიგენციამ და, კერძოდ, ს. მესხმა, რათა დაეახლოვებინათ 300 წლის წინათ დაკარგული ძმები.

1879 წელს, როდესაც „დროების“ რედაქციაში შემოწირულობის გზით საკმაო თანხა შეგროვდა გაჭირვებული ქობულეთელების დასახმარებლად, ს. მესხი ალ. სარაჯიშვილთან ერთად ქობულეთს გაემგზავრა და თავისი ხელით დაურიგა უმწეო და გაჭირვებულ გლეხკაცებს მოგროვილი 1538 მანეთი.

ს. მესხმა, როგორც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა, დიდი შრომა გასწია აგრეთვე ბათუმში ქართული სკოლის დაარსებისათვის.

1880 წელს „დროება“ და „ივერია“ შეერთდა. ბანკის საქმეებით დატვირთულ ილ. ჭავჭავაძეს სარედაქციო საქმიანობისათვის მეტად მცირე დრო რჩებოდა, იგი არა თუ „დროების“ თანარედაქტორობისათვის, ხშირად „ივერიის“ ხელმძღვანელობისთვისაც ვეღარ იცლიდა და ამ ორი სოლიდური პერიოდული ორგანოს რედაქტორობის მთელი სიმძიმე ძირითადად ს. მესხს დააწვა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში აკ. წერეთელს, როდესაც საახალწლო მილოცვებში ს. მესხს სპეციალური სტროფი უძღვნა:

„ახლა შენთან ალავერდი, კარგო მუშა, ჩვენო სერგო,
„ივერიის“ და „დროების“ შემაერთებელო გვერგვო!
უმადური ჯაფა, შრომა, არჩევანში წილად გერგო
და დრო არ გაქვს ხელოვნურათ, რომ ჩვენ რამე დაგვინერგო“;

(„დროება“, 1880 წ., № 1).

მოღლილი ორგანიზმისათვის ძნელი შეიქმნა ამ ტვირთის ზიდვა. ამის შესახებ იგი სწერდა კ. მესხს: „ივერიაც“ რო მე მომახვიეს კისერზე ამ ოჯახ-დაქცეულებმა! ახლა ქანანოვი მოვიდა და მითხრა, ისევ ვიმუშავებო. მობრძანდი-მეთქი — ოღონდ იმუშავე და სხვა

რა გვინდა. თუ ასე წავიდა საქმე, მგონი „ივერია“ მომავალ წელს აღარ გამოვიდეს, რადგან სრულებით უპატრონოდ შეიქნა. მე მარტო „დროებაც“ მეყოფა, ღმერთო, ხო იცი, რომ ისიც ძნელია ერთის კაცისათვის, ისიც დაღლილის კაცისათვის“.[1]

მრავალმხრივ საქმიანობასთან ერთად ს. მესხს სხვა სამუშაოც დააწვა — 1880 წლის 10 მარტს იგი აირჩიეს ბარიათინსკის სახელობის პირველდაწყებითი სკოლისა და სახელოსნო სასწავლებლის კომიტეტის წევრად. გარდა ამისა, ს. მესხი ამავე წელს მიიწვიეს „ეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის წევრადაც.

მას. შემდეგ, რაც „დროება“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა, ურთიერთობა ს. მესხსა და საცენზურო კომიტეტს შორის მეტად გამწვავდა. ცენზურა არა მხოლოდ შლიდა წერილებიდან ცალკეულ ადგილებს, არამედ ხშირად კრძალავდა ცალკეულ სტატიებს და გაზეთის ნომრებსაც. კი. მაგალითად, 1879 წელს ცენზურამ მოახდინა „დროების“ 249-ე ნომრის კონფისკაცია და მთელი შეკრებილი ტირაჟი ცეცხლს მისცა. ამის შესახებ კავკასიის საცენზურო კომიტეტი (კერძოდ დ. ფურცელაძე) მეფისნაცვლის მთავარსამმართველოს სწერდა: «1 сего декабря Месхи в № 249 издаваемой им газеты «Дроэба», напечатал две статьи, с запрещенным в них лично мною местами. В тот же день я обратился к тифлисскому полицмейстеру и к начальнику почтового управления с просьбою — к первому конфисковать № 249 «Дроэба» на почте и в магазинах, где газета эта продается розничю, а к последнему — телеграфировать в Гори, Кутаиси и Поти о задержании того же номера газеты. Вследствие сего мне прислал начальник почтового управления, 5 декабря 105 экз. № 249 «Дроэба», задержанные в поименованных выше местах, а тифлисский полицмейстер, 6 декабря — 163 экз., конфискованные на почте и в магазинах. Все эти экземпляры сегодня, в присутствии полицейского чиновника, преданы огню в цензурном комитете».[2]

საცენზურო წესდების ხშირი დარღვევისათვის ს. მესხი რამდენჯერმე მისცეს პასუხისგებაში.

1881 წლიდან ცენზურის სიმკაცრემ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო. რეაქციის სულისჩამდგმელის, სინოდის ობერ-

---

[1] საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს. მესხის არქივი, საბ. № 24.

[2] ცსსა, ფონდი 5, საქმე 4753, ფურც. 1.

პროკურორის ვ. პობედონოსცევის და შინაგან საქმეთა მინისტრის დ. ტოლსტოის განკარგულებით თავისუფალი აზრის გამომხატველ პრესა უმკაცრეს მარწუხებში მოექცა, რეაქციის სუსხი და ცენზურის სიმკაცრე მთელი სიმძიმით დაატყდა „დროებასაც". 1882 წლის 21 სექტემბრიდან საცენზურო წესების 68-ე მუხლით აიკრძალა „დროების" ნომრის გამოშვება, ვიდრე ეს ნომერი არ მიიღებდა „ნებართვის ბილეთს". გაზეთის წინააღმდეგ იმდენად მკაცრ ზომებს ღებულობდნენ რომ ს. მესხი იძულებული გახდა სპეციალური განცხადებით მიემართა საცენზურო კომიტეტისათვის 1882 წლის 8 ოქტომბერს:

«Вследствие сообщения мне постановления Кавказского цензурного комитета, от 4-го сего октября за № 731, о применении к редактируемой мною газете статьи 68 цензурного устава, имею честь заявить следующее:

Принимая во внимание, во-первых, что нарушения цензурного устава были слишком незначительные: раз только, и то без ведома редакции, проскальзнуло несколько слов, зачеркнутых г. цензором и два раза зачеркнутые г. цензором места заменены несколькими точками.

Во-вторых, что ни одно из этих нарушений не доходило до моего сведения, так как я временно отсутствовал из Тифлиса, иначе я сделал бы, раз навсегда, распоряжение, чтобы таких, хотя и мелочных нарушений впредь не повторилось.

В-третьих, что применение к газете ст. 68 уст. ценз. наказание настолько сильно и чувствительно, что может серьезно угрожать существованию самой газеты, — я покорнейше прошу Кавказский цензурный комитет приостановить применение к издаваемой мною газете вышеупомянутой тяжелой статьи закона.

Вместе с этим, для гарантии цензурного комитета на будущее время, я обязываюсь перед ним избегнуть всякие нарушения цензурного устава и законных распоряжений самого комитета»[1].

ჩვენს ხელთ არსებული საბუთები ნათლად მიუთითებენ, რომ ცენზურა მეტად აქტიურ დამოკიდებულებას იჩენდა „დროების" მიმართ, მაგრამ თუ ამ შემთხვევაში ს. მესხი მხოლოდ სამიოდე შემთხვევას ასახელებს, ალბათ უკანასკნელ პერიოდს გულისხმობს, გულისხმობს იმ შემთხვევებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მისი

---

[1] ცსსა, ფონდი 480, საქმე 552, ფურც. 1—4.

თბილისში არყოფნის დროს და საცენზურო კომიტეტის თვალის აბ-ვევისა და მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით მხოლოდ მათ იხ-სენიებს.

საცენზურო კომიტეტმა გულდასმით განიხილა ს. მესხის გან-ცხადება და აღნიშნა, რომ „დროების" რედაქციის მიერ საცენზურო წესების დარღვევას სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რომ ს. მესხმა „დროების" 186, 190, 195, 196 და 198 ნომრებში დაბეჭდა ცენზო-რის მიერ ამოშლილი არა მხოლოდ ცალკეული სიტყვები, არამედ მთელი ტექსტი, აკრძალული გარკვეული მოსაზრებებით.

საცენზურო კომიტეტმა საკმარისად არ მიიჩნია ს. მესხის მიერ წაყენებული საპატიო მიზეზი, რომ თითქოს ცენზურისაგან აკრძა-ლული ადგილების დაბეჭდვა გაზეთში მოხდა მისი თბილისში არ-ყოფნის გამო და თითქოს ამ ადგილების დაბეჭდვით გამოწვეული საცენზურო წესდების დარღვევა მეტად უმნიშვნელო ყოფილიყო. ხმის უმრავლესობით, კომიტეტმა გადაწყვიტა „დროების" მიმართ ძალაში დაეტოვებინათ საცენზურო წესდების 68-ე მუხლი, რაც ფაქტიურად გაზეთის დახურვას უდრიდა. მაგრამ უფროსმა ცენ-ზორმა მელიქ-მეგრაბოვმა იხსნა „დროება" მძიმე მდგომარეობიდან, იგი წინ აღუდგა კომიტეტის უმრავლესობას და განაცხადა, რომ «Нарушения требований цензуры со стороны газ. «Дроэба» настолько незначительны по своей формальности, а применение 68 ст. настолько строго, что равносильно закрытию ежедневной газеты, а потому полагаю справедливым отменить постановление комитета о применении 68 ст. к газ. «Дроэба».

მიუხედავად იმისა, რომ მელიქ-მეგრაბოვის წინადადებას მხა-რი დაუჭირა კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარემ ლ. ნ. მოძალევსკიმ, კომიტეტმა მაინც არ მოუხსნა „დროებას" 68-ე მუხლი და საკითხის გადაწყვეტა კავკასიის მეფისნაცვალის მთავარ-სამმართველოს მიანდო.

ჩვენს ხელთ არსებული საბუთებიდან არ ჩანს, მოუხსნა თუ არა 68-ე მუხლი მეფისნაცვალმა „დროებას", მაგრამ ის კი ნათელია, რომ საცენზურო კომიტეტი და ადგილობრივი ხელისუფლება გან-საკუთრებული მტრობით განეწყო „დროებისა" და, კერძოდ, სერგეი მესხისადმი. მაგრამ არც „დროების" რედაქტორი რჩებოდა ვალში უხიაგ ცენზორებს. განსაკუთრებით დაძაბული იყო ს. მესხის ურ-თიერთობა ყოვლად ზნედაცემულ ცენზორ ლუკა ისარლოვისადმი. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ლ. ისარლოვის წერილი კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარისადმი, მიწერილი 1883 წლის 23 იანვარს.

«Ваше превосходительство, Лев Николаевич! Вчерашнего числа 22 сего января, в 6 часов вечера зашли ко мне редактор газеты «Дроэба» Месхи и Иона Меунаргия; Месхи принес мне с собой только что отосланные мною процензированные листы той газеты, заготовленные для сего 23 числа января, из коих мною была вырезана статья под названием «Матинов и кн. Язон Туманов» для представления на разрешение цензурного комитета ввиду 1006 и 1039 ст. улож., так как она заключала в себе оскорбительное и неприличное для чести кн. Туманова. Месхи настоятельно требовал, чтобы я пропустил эту статью для печати, сопровождая свое требование словами неприличными и, наконец, выходя от меня в азарте, в присутствии г. Меунаргия обозвал меня оскорбительными и бранными словами за непропуск той статьи, грозил убить меня как только я поправлюсь и выйду из дому.

Прежде еще неприличные выражения Месхи очень часто повторялись им при объяснениях его по статьям «Дроэба»; но вчерашнее обращение его и оскорбление превзошли всякие пределы приличия, и потому я не могу далее просматривать «Дроэба» и выносить дерзости Месхи.

Доктор не позволил мне выезжать из дому, а от вчерашнего поступка Месхи я еще более расстроен и потому я сам не мог приехать к Вам и лично доложить подробнее; но, во всяком случае, я покорнейше прошу ваше превосходительство цензирование статей «Дроэба» возложить на г. Евлахова, так как по болезни я ее просматривать не в состоянии.

С истинным почтением и совершенной преданностью имею честь быть вашего превосходительства покорнейшим слугою, **«Л. Исарлов»**[1].

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე — ლევ ნიკოლოზის ძე მოძალევსკი აღაშფოთა ს. მესხის საქციელმა. იგი შეეცადა დაეცვა თავისი ერთგული მოხელის „თავმოყვარეობა" და ინტერესები. მან კონფიდენციალური მოხსენებითი ბარათით მიმართა კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელის მთავარსამმართველოს უფროსს და მოითხოვა ს. მესხისათვის რედაქტორობის უფლების ჩამორთმევა ადმინისტრატიული წესით. იგი წერდა:

---

[1] „საისტორიო მოამბე", ტ. 11—12, გვ. 642.

«Представляя при сем письмо ко мне и. д. цензора грузинского языка статского советника Исарлова от 23 сего января, честь имею почтительнейше испрашивать указаний вашего превосходительства, не представлено ли будет комитету возбудить вопрос о лишении г. Месхи права редакторства административным порядком, так как в цензурном уставе не предусмотрено случаев, подобных совершившемуся 23 сего января.

К сему считаю долгом присовокупить, что я уже просил г. Исарлова хотя на некоторое время продолжать цензирование газеты «Дроэба», впредь до разрешения вашим превосходительством вопроса о правах редактора Месхи»[1].

სერგეი მესხისათვის სავსებით ნათელი გახდა, რომ მის ხელში „დროებას" საფრთხე მოელოდა. ადვილი შესაძლებელი იყო, რომ რედაქტორზე გადაკიდებულ საცენზურო კომიტეტს „დროება" სავსებით მოესპო და ქართველი მკითხველი საზოგადოება გაზეთის გარეშე დარჩენილიყო. ამ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ს. მესხმა „დროების" რედაქტორად წაყენებულ ნიკოლოზ დავითის ძე ქანანოვის კანდიდატურაზე თანხმობა განაცხადა და მთავარსამმართველოს უფროსს ოფიციალურად აცნობა, რომ «Отказываюсь от редакторских прав на газ. «Дроэба», изъявляю согласие на передачу моих прав Николаю Давидовичу Канакову».

აღსანიშნავია, რომ ს. მესხმა თავისი მდგომარეობა ადრევე შერყეულად ცნო, ამიტომ იმთავითვე შეუდგა სამსახურის ძებნის თადარიგს. ამასთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძეს სწერდა: „აქ რომ გითხარი ნიკო, რკინის გზაზე რამე ადგილის შოვნის შესახებ, იქნება მოახერხო რამე. ამბობენ პალაშკოვსკისთან და ბენგესთან შენ ყოვლად შემძლებელი კაცი ხარ და თუ დაფაცურდები, იქნება კი არა, მგონი ნამდვილად შეიძლო მოხერხება. ტფილისშივე მინდა, ტფილისს ვერ გავცილდები. მთელ დილას შევწირავ სამსახურს და, ღმერთმანი, კარგადაც, კეთილსინდისიერად ვიმსახურებ, თუ ცოტა რიგიანი ჯამაგირიც მექნა"[2].

როგორც ცნობილია, ნ. ქანანოვი „დროების" რედაქტორად არ დაუნიშნიათ, არც ს. მესხს დაუწყია რკინიგზაზე სამსახური. ბოლო ხანებში მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა და უკვე აშკარად

---

[1] ცსსა, ფონდი 610, საქმე 391, ფურც. 1.

[2] კ. მარქსის სახ. სახელმწიფო საჯარო ბიბ-კა, ნ. ნიკოლაძის არქივი, საბ. № 13/147.

გამოაჩნდა უკურნებელი სენის ნიშნები, რამაც სერგეი კვირაობით და ხშირად თვეობითაც სარეცელს მიაკრა. ამ პერიოდში გაზეთს ხან დავით მესხი და ხან იონა მეუნარგია მართავდა. დრო და დრო თუ დახედავდა დავრდომილი რედაქტორი თავის საყვარელ „დროებას“, რომელსაც შესწირა ჯანმრთელობა და საუკეთესო დრო თავის სიცოცხლისა.

1883 წლის მაისის პირველ რიცხვებში ს. მესხმა სამუდამოდ დატოვა „დროება“.

მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ 9 მაისს გამოსათხოვარი ბანკეტი მოუწყო თავის მოამაგე რედაქტორს. დღის 3 საათისათვის ვერის ბაღში შეიკრიბნენ საუკეთესო წარმომადგენლები ამ საზოგადოებისა. აქ იყვნენ მწერლები და მკითხველები, ყველა წოდებისა და პროფესიის ადამიანები, რომელთაც სურდათ ერთხელ კიდევ გულითადი მადლობა ეთქვათ ს. მესხისათვის იმ მოწამებრივი შრომის გამო, რაც მან თავისი ქვეყნისა და ხალხისათვის გადაიტანა. საღილს ასამდე კაცი ესწრებოდა.

ოთხის ნახევარზე, ბაღის კარებში გამოჩნდა გაფერმკრთალებული და მხრებში ოდნავ მოხრილი სერგეი მესხი. „ზურნამ „ტუში“ დაჰკრა, ჩრდილებში ჯგუფ-ჯგუფად გაფანტულმა ხალხმა ერთად მოიყარა თავი, ქუდები მოიხადეს და სიჩუმე ჩამოვარდა. თვით ს. მესხს მღელვარება და სულის შფოთვა ეტყობოდა“.[1]

დაიწყო ნადიმი, მრავალი სადღეგრძელო და მგრძნობიარე სიტყვა წარმოითქვა, ილაპარაკეს აკ. წერეთელმა, ალ. ყაზბეგმა, დ. მიქელაძემ, პ. უმიკაშვილმა და სხვებმა, რომელთაც ღირსეულად შეაფასეს ს. მესხის დიდი ამაგი და შრომა.

„დაუვიწყარო სერგეი მესხო, — მიმართა ალ. ყაზბეგმა, დღეს ისეთი დრო შეგვხვდა, როდესაც ერთად შრომის შემდეგ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს და ამის გამო მე არ შემიძლიან რამდენიმე სიტყვა გამოსასალმებლად არ გითხრა.

კარგად მიგყავდა გაზეთი თუ ავად ამაზედ ლაპარაკი არც მინდა და არც დრო არის. მე ვიცი მხოლოდ, რომ თოთხმეტის წლის განმავლობაში შენ თავი არ მოგიხრია არც შიმშილის, არც წყურვილის წინაშე, შენთვის თავი ვერ მოუდრეკინებია გაჭირვებასა და გმირულის მამაცობით გიბრძოლია ქართულის სიტყვის გასავრცელებლად, ქართულის სიტყვის ასაღორძინებლად, მე მინახივხარ ისეთს გაჭირვებაშიც, როდესაც გათოშილს თითებს ილხობდი პირის ორთქლით, რომ გაგეგრძელებინა წერილი და მახსოვს, რომ ამავე დროს მთელი შენი აზრი მიპყრობილი ყოფილიყო გაზეთის ქაღალ-

---

[1] „დროება“, 1883 წ., № 86.

დის ფულის შოვნისათვის; დავსწრებივარ იმ თავ-განწირულებას, რომლითაც გაჭირვებასთან გიბრძოლია და გაშტერებული დავრჩენილვარ...

ამ შრომისა და გაჭირვებული ბრძოლის დროს ყოფილან ისეთები, რომლებიც არამც თუ გვერდს მოგდგომიან, არამედ გასულან განზედ და გაზეთი საქვეყნოდ ულანძღიათ, ყოველი შეცდომა სალაპარაკოდ გაუხდიათ და, მოშველების მაგივრად, ყოვლის ღონისძიებით ცდილან, რომ ჩვენი ერთად-ერთი ყოველ-დღიური გაზეთისათვის ლაფი გადაესხათ.

ამ გაჭირვებაში იყავი, როდესაც მე გაგიცან და ჩავსთვალე ჩემს მოვალეობად ჩემი ღონისამებრ მოგშველებოდი, მოგშველებოდი რითაც კი შემეძლო.

დამეთანხმე, რომ ამდენი ხნის ერთად მშრომელნი გულგრილად ვერ გამოესალმებიან, ვერ დაშორდებიან ერთმანეთს.

არ ვიცი შეგვხვდება კიდევ ერთად შრომა თუ არა, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემი გულიდან თავის დღეში არ ამოიხოცება დღევანდლამდის „დროების" სულის ჩამდგმელის სახელი და მისი პატივისცემა შეძლებისამებრ დედა-ენის აღორძინების სამსახურისათვის.

ამხანაგო! საუკეთესო დრომდის, იმ დრომდის, როდესაც კიდევ ერთად შევუდგებით საერთო გუთანსა და შენს განცხრომაზედ ზრუნვას დავიწყებული ისევ ხელს მოჰკიდებ საერთო საქმეს.

სიკვდილამდე შენი ა. მოჩხუბარიძე (ყაზბეგი)".

მგრძნობიარე სიტყვებით გულაჩუყებულმა ს. მესხმა უღრმესი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას და თავის სიტყვის დასასრულ დასძინა: „დღეს, ავადმყოფობის, დაუძლურების გამო, საუბედუროდ, იძულებული ვარ გაზეთი მივატოვო და გამოვესალმო ჩემს 14 წლის ნაამაგევ, საყვარელ გაზეთსა და იმის მკითხველს.

ყველა გაიგებს — თუ რა გულით, რა გრძნობით უნდა ვეთხოვებოდე მე გაზეთს, რომელსაც ჩემი ყმაწვილ-კაცობის ძალ-ღონეც, ჩემი ჭკუა-გონება და, ერთის სიტყვით, მთელი ჩემი არსება შევწირე... ერთი რამ მანუგეშებს: ისეთის სანდო კაცების ხელში გადადის გაზეთი, რომელნიც, იმედია, ჩემზე უკედ თუ არა, უარესად არ წაიყვანენ იმას, რომელნიც უკეთეს პირობებსა და გარემოში ჰკიდებენ გაზეთს ხელს და მაშასადამე, უფრო გაუადვილდებათ იმის რიგიანად და მართებულად წაყვანა".

ნადიმის დასასრულს საზოგადოებამ ს. მესხი ხელში აიტაცა და თითქმის ნახევარი ვერსი „ვაშას" ძახილით გამოატარა.

ივანე მაჩაბელმა, რომელმაც ს. მესხის შემდეგ იტვირთა „დროების" რედაქტორობა, თვალი გადააცლო ს. მესხის მიერ განვლილ

ნარ-ეკლით მოსილ გზას და გონივრულად შეაფასა სერგეის უდიდესი დამსახურება ქართული ლიტერატურის, პერიოდული პრესისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში. მან წრფელი გულით მადლობა გადაუხადა „საზოგადოების გულისათვის წამებულ, ქართულის ერთადერთის გაზეთის ერთგულ მოამაგეს“ და საჯაროდ განაცხადა, რომ „ჩვენ ვკიდებთ ხელს სერგეი მესხისაგან დატოვებულ გაზეთს, მაგრამ დღეს საზოგადოებასთან სალაპარაკოდ არ გვცალიან. ამ წერილით გვინდა მხოლოდ საზოგადოების წინაშე მივსცეთ პატიოსანი სიტყვა სერგეი მესხს, რომ მისგან უდროოდ დაობლებულ გაზეთს დედინაცვლობას არ გაუწევთ და შეძლებისამებრ ჭირში აღზრდილს, ბოლოს მაინც მხიარულებას ვაჩვენებთ!“

ს. მესხის დიდ ღვაწლს ქართული ლიტერატურისა და, კერძოდ, პერიოდული პრესის წინაშე სპეციალურად შეეხო ილ. ჭავჭავაძე ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“.

ილიამ არ გაიზიარა ზოგიერთების აზრი, რომელიც სადილზე წარმოთქმულ სიტყვებში განავითარეს, რომ თითქოს ს. მესხს თვალსაჩინო არა დაეწეროს რა. „ზოგიერთთა სიტყვაში წარმოთქმული იყო სადილზე, — წერდა ილია, — რომ ბ-ნს მესხს თუმცა თვალსაჩინო არა დაუწერია-რაო, მაგრამ... და სხვანი. ჩვენის ფიქრით აქ ეგ „თუმცა“ უადგილო იყო. საკმაოა კაცმა იცოდეს, რომ მთელი თოთხმეტი წელიწადი ტანჯვით, ვაებით, უფულობით და ათასნაირი დამაბრკოლებელი გარემოებით თითქმის ერთმა კაცმა ატარა თავის მხრებზედ ეგ მძიმე ტვირთი გაზეთისა. საკმაოა კაცმა იცოდეს ეს და მაშინ ცხადი იქნება, რომ ბ-ნი მესხი ღირსად იცნოს იმ პატივისცემისა, რაც საზოგადოებამ აკუთვნა“.[1]

1883 წლის 12 მაისს ს. მესხი მეუღლითურთ მშობლიურ სოფელ რიონში გაემგზავრა.

სოფლის სუფთა ჰაერმა პირველხანებში ერთგვარად გამოაცოცხლა სნეული, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა და სერგეიმ სამკურნალოდ აბასთუმანს წასვლა გადაწყვიტა. გამგზავრების წინ თავის კოხტა იმერული ოდის კარებზე იშვნარევი წინაგრძნობის გამომხატველი სიტყვები წააწერა: „მშვიდობით ჩემო ლამაზო სოფელო. შეიძლება მე უკანასკნელად ვსუნთქავ შენს სუფთა ჰაერს. სერგეი“.

სერგეის ძმა, დავითი, განსაკუთრებით უფრთხილდებოდა და სათუთად უვლიდა ამ კარს. დავითის გარდაცვალების შემდეგ მესხების მამა-პაპური ოდა დაინგრა და კარებიც თავისი წარწერითურთ დაიკარგა.

---

[1] „ივერია“, 1883 წ., აპრილი.

1883 წლის 3 ივლისს ს. მესხი მეუღლითა და უმცროსი ძმიო (დავითით) აბასთუმანს გაემგზავრა. 19 ივლისს ს. მესხის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, უმატა ხველამ და გულის ტკივილმა. ექიმ გოპაძის მიერ მიღებული ყოველგვარი ზომა ამაო აღმოჩნდა... „აქ გასკდა რაღაც... გული გასკდა...“ ამოიკვნესა უკანასკნელად და სამუდამოდ დახუჭა თვალები.

ეს მოხდა 1883 წლის 21 ივლისს, ნაშუადღევის სამის ნახევარზე, თავზარდამცემი იყო ქართველი საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით „დროების“ რედაქციისათვის ს. მესხის გარდაცვალება; 22 ივლისს გაზეთმა განცხადება გამოაქვეყნა, რომლითაც იუწყებოდა: „ეს არის ეხლა მოგვივიდა ფრიად სამწუხარო ამბავი. დღეს 21 ივლისს, აბასტუმანში გარდაიცვალა 14 წლის მოამაგე გაზეთის „დროებისა“, ჩვენის ლიტერატურისათვის წამებული სერგეი სვიმონის ძე მესხი. ამ უცნაურის მწუხარეს ამბით თავ-ზარდაცემული მეტს ვერას ვახერხებთ და კალამიც არ გვერჩის, რომ საზოგადოებისათვის თავ-განწირულს კაცზედ მკითხველს ეუთხრათ რამე გარდა ჩვენის განუსაზღვრელის მწუხარების გაზიარებისა“.

23 ივლისს ს. მესხის ცხედარი აბასთუმნიდან ზეკარის ვიწროებით ქუთაისისაკენ წაასვენეს. გზებზედ აუარებელი ხალხი ხვდებოდა და მიცვალებულის კუბოს გვირგვინებით ამკობდა.

24 ივლისს ცხედარი ქუთაისში ჩამოიტანეს და დაასვენეს ქალაქის სობოროში, სადაც გადაუხადეს სამოქალაქო პანაშვიდი.

ს. მესხის გარდაცვალების გამო მრავალი დეპეშა მოვიდა. იწერებოდნენ პარიზიდან, პეტერბურგიდან, კიევიდან, ოდესიდან, ბაქოდან, ბათუმიდან, თელავიდან, სიღნაღიდან, გორიდან, აბასთუმნიდან და სხვ.

25 ივლისს, დილის 8 საათზე ქუთაისის სობოროში დანიშნული იყო სამოქალაქო პანაშვიდი, რის შემდეგაც, ს. მესხის ცხედარი სოფ. რიონში უნდა წაესვენებინათ. პანაშვიდის შემდეგ მრავალი სიტყვა წარმოითქვა, რომელთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა გიორგი წერეთლის სიტყვა. უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი გულისტკივილით გამოეთხოვა სახელოვან თანამოკალმეს და საზოგადოებას ერთხელ კიდევ შეახსენა ის დიდი შრომა და ამაგი, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა. „თოთხმეტი წლის განმავლობაში ამ ქველმოქმედმა კაცმა აუტანელი ჯაფით ატარა მაღლა ქართული ლიტერატურის დროშა...

ვერც ერთი თქვენგანი იმ საშინელ ჯაფას და თავგანწირულებით ბრძოლას ვერ წარმოიდგენს, რაც მე და ჩემს ამხანაგებს გვინახავს და გამოგვიცდია სერგეი მესხთან შრომაში.

კვირის-კვირობამდის, თვის-თვეობამდის, დღე-ნიადაგ უძილო-

ბა, მუდამ რკინის მტვერში ყოფნა და მით სუნთქვა, იმ მძიმე ჰაერით ფილტვების ლპობა!

ვის არ ახსოვს სერგეი მესხის თურაშაულ ვაშლივით აწითლებული ლოყები, მისი ლამაზი სახე და სიცოცხლით აღსავსე დიდრონი თვალები... ამასთანავე მისი სულის სიმტკიცე, ყველასაგან საყვარელი და მიმზიდველი ხასიათი, მისი გამბედავი სიტყვა...

ერთის მხრით რკინითა და ტყვიით დატვირთული სტამბის ჰაერი ჰგლეჯდა ნელ-ნელა მის ფილტვებს; დაუღალავი მისი მარჯვენა თანდა-თან სუსტდებოდა, მისი თურაშაული ვაშლივით წითელი ლოყები გადაიქცნენ ყვითელ სანთლის ფრად, რომელიც წმინდა მსხვერპლად დნებოდა სამშობლოს საკურთხეველის წინ...

საქმემან შენმან აღგიგო, ძმაო, უკვდავი ძეგლი, საუკუნო იყოს შენი ხსენება".[1]

აღელვებულმა აკაკიმ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა. დავით მესხის თქმით მან მხოლოდ ის შეძლო, რომ დაკრძალვის დღეს, იქვე, სოფ. რიონში აკანკალებული ხელით დაწერა სამსტროფიანი აკროსტიხი, რომელიც აცრემლებულმა გადასცა დავითს. ეს აკროსტიხი დღესაც ამშვენებს სერგეის საფლავზე დადგმულ უშნოდ გათლილ ქვას:

ხამაგალითო მოღვაწევ,
ერთგულო შვილო ქართველისა,
რწმუნება გქონდა მომავლის,
გიყვარდა ძებნა მართლისა.

მაგრამ უდროოდ გაგვიქრი,
ერთი ძმა პირველთაგანი!
საფლავში ჩაგყვა ნატვრის-თვლად
ხსნის იმედისა საგანი.

აქ კი დაგვიგდე ანდერძად,
კვალში რომ მივყვეთ იმ თქმულსა,
ამინ! მსხვერპლი ვართ იმ აღთქმის,
კიდობნად მივსცემთ ჩვენს გულსა!

25 ივლისს დამწუხრებულმა საზოგადოებამ სერგეის ცხედარი სოფ. რიონის მიწას მიაბარა.

მაგრამ დიდხანს არ შეწყვეტილა გლოვა და ზარი. ს. მესხის დაკრძალვის შემდეგაც იმართებოდა სამოქალაქო პანაშვიდები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა წერილები, ლექსები, მიმართვები და განცხადებები.

---

[1] „დროება", 1883 წ., № 145.

აღსანიშნავია, რომ აკაკიმ განსაკუთრებული გულისტკივილით განიცადა ძვირფასი მეგობრის დაკარგვა. ს. მესხის დაკრძალვიდან სამი კვირის შემდეგ მან კიდევ უძღვნა ერთი ლექსი სერგეის ხსოვნას.

1884 წელს, ს. მესხის გარდაცვალების წლისთავზე აკ. წერეთელმა კვლავ გაახსენა ქართველ საზოგადოებას ძვირფასი მეგობრის და თავდადებული მამულიშვილის სახელი. „გონებას სწამს მისი დაკარგვა, — წერდა აკაკი, — მაგრამ გულს კი არა სჯერა და კიდევ გვგონია, რომ, აი, სადაც არის გააღებს კარებს, შემოვა და ჩვეულებრივის ღიმილით გამოგვეცხადება ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგი! ანდა, სადმე ქუჩაში წინ შეხვდებით დაქანცულს, სახე-დაღვრემილს, დღიურ საშუალების მაძიებელ რედაქტორს, რომ ხვალ კიდევ ერთი ნომერი გამოსცეს როგორმე... სანამ ის გზა, რომელზედაც ჩვენ ვიდექით, რომელსაც ვკვალავდით და სისხლის ოფლითა ვრწყავდით, არ მოგვშლია, სანამ ის მიზეზები, რომლისადმი ჩვენ ერთად მივილტვოდით, არ გამქრალა, — სერგეი მესხიც ცოცხალივით ჩვენს გვერდით იდგომება სიმხნისა და ნუგეშის მცემლად“.[1]

იმავე 1884 წელს ერთ-ერთმა ქუთაისელმა მოქალაქემ ჟურნალ „ნობათის“ რედაქციას გამოუგზავნა რვა მანეთი თხოვნით, რომ რედაქციას თავისი შეხედულებისამებრ რომელიმე სკოლის ქართველ მოსწავლეთათვის ეგზავნათ ჟურნალ „ნობათის“ ორი ეგზემპლიარი ს. მესხის სახელის უკვდავსაყოფად.

რედაქციამ შეასრულა ქუთაისელი მოქალაქის კეთილშობილური თხოვნა და ჟურნალის ერთი ეგზემპლიარი გაუგზავნა თელავის საქალებო პირველდაწყებით სკოლას, ხოლო მეორე, — ქუთაისის ქალთა სასწავლებელს.

1896 წელს დ. მესხმა ს. მესხის სახელის უკვდავყოფის მიზნით მოწოდებით მიმართა საზოგადოებას: „სოფ. რიონს, სადაც დაკრძალულია სერგეი სიმონის ძე მესხი, განსვენებულის სახელზე მსურს დავაარსო წიგნთ-საცავი და სამკითხველო. ხოლო მარტო ჩემი სურვილით შორს ვერ წავალ, თუ ქართველ საზოგადოებამ არ მომხედა. ვსთხოვ ყველა გამომცემელთ ქართული წიგნებისას, ქართულ წრეთა და სხვადასხვა ამხანაგობათ, რედაქციებს და წიგნის მაღაზიებს, დამეხმარონ ამ კეთილს საქმეში, მომაწოდონ თავიანთი გამოცემანი დიდი იმედი მაქვს, რომ კერძო პირებიც ხელს გამიმართავენ ქართული წიგნის შემოწირვით“.[2]

---

1 „ნობათის“ პედაგოგიური დამატება, 1884 წ., № 5—6.

2 „ცნობის ფურცელი“, 1896 წ., № 1.

მიუხედავად იმისა, რომ გაზ. „ცნობის ფურცლის“ რედაქცია ღრმა რწმენას გამოთქვამდა, რომ მოწოდებაში დასახელებული ორგანიზაციები და ცალკეული პირებიც არ დაიშურებდნენ მცირედი შემწეობის აღმოჩენას ს. მესხის სახელის უკვდავსაყოფად, — შემოწირულების საქმე მაინც ცუდად წავიდა და დ. მესხმა მხოლოდ ოციოდე წიგნი მიიღო.

სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დავითს ხინჯად ჰქონდა გულში, რომ ვერ შეძლო სერგეი მესხის სახელობის ბიბლიოთეკის დაარსება.

ივანე მაჩაბელი ერთ თავის საყურადღებო წერილში — „გაზეთი „დროება“ და სერგეი მესხი“, სხვათა შორის წერდა: ს. მესხის ცხოვრება „მჭიდროდ დაკავშირებულია „დროების“ ისტორიასთან და ვინც კი მოინდომებს მისი ბიოგრაფიის დაწერას, უნდა ფეხდაფეხ მიჰყვეს რედაქციიდამ სტამბამდე, სტამბიდამ იმ დაწესებულებამდე, რომელსაც გაზეთის მეთვალყურეობა აქვს ჩაბარებული, ამ დაწესებულებიდამ კიდევ რედაქციამდე და სხვ.“

ამ სტრიქონების დაწერიდან რვა ათეული წელი გავიდა და, რა თქმა უნდა, დღეს ჭირს ფეხდაფეხ გაყოლა ივ. მაჩაბლის მიერ მითითებული გზისა. ჟამთა სვლამ ეს გზები თითქმის სრულიად წარხოცა და მეტად მკრთალად ჩანს მასზე გავლილი კაცის ნაკვალევი.

ს. მესხი და ეროვნული საკითხი 70—80-იანი წლების პერიოდულ პრესაში

ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ნათლად არის გარკვეული საკითხი, თუ რა შედეგები მოჰყვა საქართველოს რუსეთთან შეერთებას. როგორც ცნობილია, ამ ისტორიული ფაქტის უდიდესი დადებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ შესუსტდა ლეკთა უთავბოლო თარეში, შეწყდა ირანისა და თურქეთის გამუდმებული შემოსევები, რომელთაც ერთ დროს „განალაგეს საქართველო" და ფიზიკურ განადგურებას გადარჩენილ ქართველ ხალხს საშუალება მიეცა მშვიდობიან პირობებში კულტურული და ეკონომიური წინმსვლელობისა.

რუსეთთან საქართველოს შეერთებას მოჰყვა მოწინავე კულტურის შემოჭრა საქართველოში, რომელმაც გარკვეული ბიძგი მისცა ქართველი ხალხის ინტელექტუალური ცხოვრების შემდგომ განვითარებას.

ეს მნიშვნელოვანი პროცესი საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შესაბამისად მიმდინარეობდა და ხშირად სრულიად ეწინააღმდეგებოდა მეფის მთავრობის ნება-სურვილებს. და ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან რუსეთის სახელმწიფოს განაგებდა საკმაოდ ძლიერი თავადაზნაურული სამხედრო ბიუროკრატია, რომელიც რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა ხალხის და თვით რუსი ხალხის უბოროტეს მტრად გვევლინებოდა.

მეფის თვითმპყრობელობამ XIX საუკუნის პირველ ნახევარშივე მოსპო საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და იგი რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივ გუბერნიად, კოლონიად გადააქცია.

ცარიზმი ცეცხლითა და მახვილით იკაფავდა გზას, რათა მკვიდრად მოკალათებულიყო საქართველოში და ეს ქვეყანა გადაექცია

არა მხოლოდ სამხედრო პლაცდარმად, არამედ, რუსეთის საქონლის გასაღების ბაზრად და რუსეთის ფაბრიკა-ქარხნებისათვის საჭირო ნედლეულის ბაზად.

საქართველოს რუსეთის კოლონიად გადაქცევის საკითხი საბოლოოდ გადაიჭრა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც რუსული იარაღის გამარჯვების შედეგად განმტკიცდა რუსეთის მდგომარეობა კავკასიასა და შავი ზღვის რაიონში.

ბატონყმობის გაუქმებისა და რკინიგზის საშუალებით რუსეთის საქართველოსთან უფრო მჭიდროდ დაკავშირების შემდეგ, საქართველოში უფრო სწრაფი ტემპით წარიმართა სასაქონლო-კაპიტალისტური მეურნეობა და კოლონიალურმა პოლიტიკამაც უფრო მკაცრი ხასიათი მიიღო.

ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს ის გარემოებაც წარმოადგენდა, რომ მეფის ხელისუფლება მასიურად ასახლებდა საქართველოს საუკეთესო კუთხეებში კოლონიზატორულ ელემენტებს, რაც ადგილობრივი მოსახლეობის შეეიწროვებას, ან მათ სრულ აყრა-გადასახლებას იწვევდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ცარიზმი სრული შეგნებით ცდილობდა კავკასიის ხალხების ერთმანეთზე წასისიანებას და ამ მიზნით მოურიდებლად აღვივებდა მათ შორის ეროვნულ და რელიგიურ შუღლს.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ცარიზმი უკვე სრულიად აშკარად შეუდგა ამიერკავკასიის და, კერძოდ, ქართველი ხალხის რუსიფიკაციას, მოურიდებლად მიჰყო ხელი მისი კულტურის განადგურებას და თანაბარი ძალით მიიტანა იერიში ქართულ ეკლესიასა და სკოლაზე, პერიოდულ პრესასა და თეატრზე, საგამომცემლო საქმეზე და, ერთი სიტყვით, მოინდომა ფეხქვეშ გაეთელა ყველაფერი ის, რაც ქართველი ხალხის ინტელექტუალური ცხოვრების გამომხატველი იყო.

მაგრამ ცარიზმი ატარებდა არა მარტო არარუსი ხალხების უხეშ ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრის პოლიტიკას, არამედ ასევე ენერგიულად ეწეოდა თვით რუსი ხალხის სოციალურ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას.

რუსი ხალხისა და რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ხალხების აუტანელმა ჩაგვრამ და ექსპლოატაციამ წარმოშვა განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთში და რუსმა ხალხმა მტკიცედ აღმართა ცარიზმისა და მემამულეთა წინააღმდეგ ბრძოლის დიადი დროშა.

როგორც ლენინი შენიშნავდა, განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი პერიოდი განვლო: 1. თავადაზნაურუ-

ლი (1825—1861), 2. რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული (1861—1895) და 3. პროლეტარული — 1895 წლიდან.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლეს დიდმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა, რომელნიც იბრძოდნენ არარუსი ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობისა და თანასწორუფლებიანობისათვისაც.

რუსეთსა და ევროპაში მომხდარი ღრმად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები ხელს უწყობდა რევოლუციური სიტუაციის აღმავლობას როგორც რუსეთში, ასევე საქართველოშიც. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, რომ „დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელ რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ე ბ ი ს აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხებისა, რომლებსაც „ძალიან ხშირად“ სამხედრო ძალისა და სისხლისღვრის საშუალებით ა ი ძ უ ლ ე ბ დ ნ ე ნ ი მ „დებულებია“ მიღებას, რომელიც სულიან-ხორციანად ფეცქვნიდნენ მათ, აზნაურ მომრიგებელ მოსამართლეთა კოლექტიური უარი ასეთი „დებულების“ გატარებაზე, სტუდენტების არეულობა“[1] და სხვა, გარკვეულ გავლენას ახდენდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, აღვივებდა ჩვენში მეამბოხე სულს ცარიზმისა და მისი არაადამიანური პოლიტიკის წინააღმდეგ.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დიდ რუს განმანათლებლებს მხარში ამოუდგნენ მათი მოწაფენი, — ქართველი სამოციანელები, რომელნიც მწვავედ განიცდიდნენ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მთელ სიმწვავეს. და თუმცა ცარიზმი უსასტიკეს ზომებს ხმარობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყოველი გამოვლინების ჩასახშობად და ამ მიზნით აძლიერებდა როგორც ეროვნულ, ასევე სოციალურ ჩაგვრას, მან მაინც ვერ შეძლო ხალხთა აბობოქრებული ტალღის დამშვიდება. პირიქით, რაც უფრო ძლიერდებოდა ორმაგი ჩაგვრის ფორმები, ცარიზმი მით უფრო დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მით უფრო მაღლა იწევდა დიადი ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშა, რომელიც ხელთ ეპყრა ქართველი ხალხის დიდ განმანათლებელს — ილია ჭავჭავაძეს.

ამრიგად, „რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ზეგავლენით საქართველოშიც წარმოიშვა განმათავისუფლებელი მოძრა-

---

1 ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებები, ტ. 5, გვ. 34.

ობა, რომლის ფართო გაქანებისათვის იმდროინდელ საქართველოში, ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის პირობებში, საკმაოზედ მეტი მიზეზი იყო".[1]

აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას აკაკი წერეთელმაც გაუსვა ხაზი თავის „ჩემ თავგადასავალში". „... მესამოცე წლებში, — წერდა იგი, — იტალია და უნგრეთი ცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი, კოშუტი გაუხდათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად. სწორედ იმ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენიკს" და დობროლუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად, დასცა რუსეთს კიჟინა. ამოძრავდა რუსეთი... იმისი ხელახლა დამონება შეუძლებელი იყო... რაღა თქმა უნდა, რომ მაშინაც რუსეთის მიმართულება, დრო და ჟამის მიუხედავად... ჩვენშიაც გადმოვიდა" — და ქართველი სამოციანელებიც გაჰყვნენ პროგრესული რუსეთის ნათელ გზას.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ქართველი განმანათლებლები ბრმად მისდევდნენ რუს და ევროპელ განმანათლებლებს და ცალკეულ საკითხებზე შემუშავებული შეხედულებებით არ განსხვავდებოდნენ თავისი დიდი მასწავლებლებისაგან. პირიქით, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თავისებურებამ წარმოქმნა ის არსებითი დამახასიათებელი ნიშნები, რაც ქართველ განმანათლებლებს აშკარად განასხვავებდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის განმანათლებლებისაგან. ეს არსებითი ნიშნები ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობის პრობლემის ირგვლივ იყრიდა თავს. სავსებით სწორედ შენიშნავს პროფ. ლ. გორგილაძე, რომ „ბელინსკისა და ჩერნიშევსკის რევოლუციური დემოკრატიზმი უტოპიური სოციალიზმის ფორმას ატარებდა, ილიას და აკაკის (და აგრეთვე ს. მესხის, ი. ბ.) რევოლუციური დემოკრატიზმი კი პატრიოტულ-დემოკრატიულ ფორმაში ვლინდებოდა; მათ იტაცებდათ არა იმდენად დასავლეთის სოციალ-უტოპისტები, რამდენადაც დასავლეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისეთი სახალხო გმირები, როგორიც იყო გარიბალდი. უკანასკნელში ისინი ხედავდნენ ბრძოლის დროშას, სამშობლოს განთავისუფლებისა და დემოკრატიულ საწყისებზე მოწყობის სიმბოლოს"[2].

---

1 ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1961 წ., გვ. 52.

2 ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, იდეოლოგიური ბრძოლის ისტორიიდან საქართველოში, 1963 წ., გვ. 8.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართველი სამოციანელები საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას უკავშირებდნენ. ეს გარემოება მშვენივრად აღნიშნა აკაკი წერეთელმაც, როდესაც ერთ-ერთი თავისი მოკლე წერილი ასეთი მოწოდებით დაამთავრა: „გაუმარჯოს დიდებულ რუსეთს და მასთან ერთად ამ პატარა საქართველოს!... მრავალჟამიერ!...“

ქართველ განმანათლებლებს ღრმად სწამდათ, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალი პატარა ერების ეროვნული განთავისუფლების საკითხი მხოლოდ მაშინ გადაწყდებოდა, თუ დაემხობოდა ცარიზმი და მოგვარდებოდა ქვეყნის სრული დემოკრატიზაციის პრობლემა.

ქართველი განმანათლებლები მრავალ საკითხში და თვით ეროვნულ საკითხშიც მჭიდროდ ენათესავებიან თავის მასწავლებლებს. იაკობ გოგებაშვილმა თავის ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში მშვენივრად აღნიშნა, რომ „ჩვენს პატრიოტებს სურთ არა მკვდრის აღდგენა, არამედ ცოცხლის გამოყვანა ჭაობიდან. იგინი ნატრობენ იმასვე, რასაც მოისურვებდნენ, ჩვენს ქვეყანაში რომ ემოქმედნათ, რუსეთის უნიჭიერესი მედასაელეთენი (ზაპადნიკები): ბელინსკი, დობროლუბოვი, ავტორები რომანებისა: „ვინ სტყუვის?“ და „რა ქენათ?“, შჩედრინი და სხვანი. ჩვენი პატრიოტების მოქმედება იმ ეროვნულს გზასვე ადგია, რომელიც ხსენებულის მეორე რომანის ავტორმა ჩერნიშევსკიმ ვალად დაადო უკრაინელებს. სახელდობრ ეროვნული ენის, ლიტერატურის და მეცნიერების აყვავება შემდეგი თავისებური გამოხატულებით: „В гостях по временам бывать хорошо но не дай бог никому не иметь своего собственного угла“[1].

ს. მესხი, როგორც ტიპიური განმანათლებელი, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელიც მთელი არსებით მიისწრაფვის ნათელი მომავლისაკენ, რაც მისი წარმოდგენით იმაში მდგომარეობდა, რომ ქართველ ხალხს მოეპოვებინა დამოუკიდებელი ცხოვრება და შეექმნა ისეთი საზოგადოებრივი წყობილება, სადაც ადგილი არ ექნებოდა ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას.

უდაოდ მართებულია პროფ. ლ. გორგილაძის აზრი იმის შესახებ, რომ „ქართული განმანათლებლობა-თერგდალეულობა, თავის დროზე რევოლუციური მოვლენა იყო, როგორც პირველი დაყენება ეროვნული პრობლემისა დემოკრატიულ საფუძველზე“[2], რომ ქარ-

---

[1] „ივერია“, 1882 წ. № 1—2.

[2] ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან 1961 წ., გვ. 69.

თველი განმანათლებლები და მათ შორის სერგეი მესხიც ჩაგრული ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგები იყვნენ. მათ ძირითად მიზანს ქართველი ხალხისათვის ეროვნული თანასწორუფლებიანობის მოპოვება წარმოადგენდა. მართალია, ქართველმა განმანათლებლებმა და მათ შორის ს. მესხმაც ვერ შეძლეს თავი დაეღწიათ ისტორიული შეზღუდულობისათვის, ვერ შეძლეს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის არსის განმარტება, მაგ ვერც ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა დაინახეს, რომელიც ხორცს შეასხამდა მათ კეთილშობილურ მისწრაფებებს, მაგრამ მათი უანგარო ღვაწლი თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე მაინც დიდია, რადგან, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, „ისტორიული დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა ა რ მ ო უ ც ი ა ო ისტორიულ მოღვაწეებს თანამედროვე მოთხოვნებთან შედარებით, არამედ, იმის მიხედვით, თუ რ ა მ ო გ ვ ც ე ს ა ხ ა ლ ი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით“[1].

სერგეი მესხმა, სწორედ ისე, როგორც ეს ილია ჭავჭავაძისათვის, აკაკი წერეთლისათვის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვა ქართველ განმანათლებელთათვის იყო დამახასიათებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კეთილშობილური ამოცანები სოციალური ბრძოლის საკითხებს დაუკავშირა, წინა ხაზზედ წამოსწია ეროვნული პრობლემის მოგვარების საკითხი, რომელიც დემოკრატიულ ნიადაგზე დააფუძნა და ამით მშვენივრად გამოხატა ქართველი ხალხის ეროვნულ-დემოკრატიული მისწრაფებანი. მისი ღრმა რწმენით, ეროვნული პრობლემის მოგვარებაზე იყო დამოკიდებული ყველა სხვა საკითხის და მათ შორის სოციალური საკითხის გადაწყვეტაც. ცხადია, ეს უდაოდ შეცდომა იყო, მაგრამ ასე ფიქრობდა არა მხოლოდ ს. მესხი, არამედ ყველა სამოციანელი. ამ მხრივ უაღრესად საყურადღებოა „ივერიის“ თვალსაზრისი, რომელიც ნიშანდობლივია ქართველი სამოციანელებისათვის. „ივერიის“ ერთ-ერთ შინაურ მიმოხილვაში იაკობ გოგებაშვილი წერდა: „დიაღ, კარგი რამ გახლავთ ეროვნული პრინციპის დამყარება ყოველ სფეროში; მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი ქვეყნის დაყენებისათვის წარმატებისა და ბედნიერების გზაზედ. თუ მომეტებულად არა, იმოდენადვე მაინც საჭიროა ზრუნვა სოციალურს ცვლილებაზედ, ხალხის ეკონომიურ მდგომარეობის გაუკეთესებაზედ. მართალია, დოვლათის აღორძინებაზედაც ეროვნულს უფლებათა აღდგენას კეთილი გავლენა აქვს, მაგრამ პირდაპირ არა, მხოლოდ შუამავლობითი. მეორე მხრივ ეკონომიური აყვავება ქვეყ-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. II, 1948 წ., გვ. 217.

ნისა ხდება შეურყეველს ბურჯად ეროვნულის აღორძინებისა. ამ სახით ეს ორი დედა-ბოძი ხალხის ცხოვრებისა ერთმანეთს მხარს აძლევენ, ხელი-ხელს არიან გადაბმულნი და მათი დაცალკევება და გაყრა ხეირს არ დააყრის არც ცალკე პირს და არც საზოგადოებას. ეს კარგად ესმოდა ჩვენს ინტელიგენციას და ამიტომ იგი ცდილობდა, რომ ეროვნულ საქმეებთან ჯეროვანი ყურადღება მიექცია სოციალურ და ეკონომიურ კითხვებისთვისაც; მაგრამ უნდა გავტყდეთ და ვაღიაროთ, რომ სოციალურის და ეკონომიურის კითხვების შემუშავება ჩვენში ტოლად არ მიდიოდა პირველ კითხვებთან ერთად და თვალსაჩინოდ უკან რჩებოდა. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ ჩვენი ეროვნული მდგომარეობა უფრო საშიში იყო, ვიდრე ეკონომიური. ეროვნული მხარე ჩვენის არსებობისა უფრო ძლიერ გვტკიოდა, გვაღონებდა, ვიდრე სოციალური".[1]

XIX საუკუნის 70—80-იანი წლები რუსეთში მძიმე პოლიტიკური მომენტებით აღინიშნება: 1870 წელს პეტერბურგში მნიშვნელოვანი გაფიცვა მოხდა, 1873—1875 წლებში დაიწყო „ხალხში გასვლა", 1876 წელს პეტერბურგში, კაზინოს სობოროსთან, მოეწყო გრანდიოზული დემონსტრაცია, 1877 წელს მოხდა რევოლუციონერების გასამართლება, 1878 წლის 24 იანვარს ვერა ზასულიჩმა ესროლა პეტერბურგის „გრადონაჩალნიკ" ტრეპოვს, 1879 წლის 2 აპრილს სოლოვიოვმა ესროლა ალექსანდრე მეორეს, ხოლო იმავე წლის 19 ნოემბერს კურსკის გზაზე ადგილი ჰქონდა მეფის მატარებლის აფეთქების ცდას, 1880 წლის 5 თებერვალს რევოლუციონერებმა სცადეს მეფის ზამთრის სასახლის აფეთქება.

მშრომელი მასების იერიში ცარიზმის წინააღმდეგ 1881 წლის 1 მარტს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მკვლელობით დამთავრდა. ტახტზე ავიდა შეზღუდული გონების დესპოტი იმპერატორი ალექსანდრე მესამე. დაიწყო „აღვირახსნილი, წარმოუდგენლად უაზრო და მხეცური"[2] თავადაზნაურული რეაქციის ხანა, გაძლიერდა თვითმპყრობელობის დესპოტიზმი, რასაც შედეგად მოჰყვა დიდმპყრობელური ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გაძლიერება. პობედონოსცევი და კატკოვი, დანილევსკი და გრაფი დ. ტოლსტოი, ეს კაცთმოძულე ნაძირალები, რომელნიც 80-იან წლებში ცარიზმის იდეოლოგებად მოგვევლინენ, დაადგნენ „ინოროდცების" შევიწროვების, მცირე ერთა აბუჩად აგდების და ერთმანეთზე წასისინების გზას. რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ჰორიზონტზე რევოლუციის კოცონი ხრჩოლავდა.

---

[1] „ივერია", 1882 წ., № 1—2.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 336.

ვ. ი. ლენინი რევოლუციური სიტუაციის ნიშნების დახასიათებისას წერდა: „ჩვენ უეჭველად არ შეეცდებით თუ აღვნიშნავთ შემდეგ სამ მთავარ ნიშანს: 1. შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისთვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; „ზედაფენების“ ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეთქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება. რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ „ქვედაფენებს არ შეეძლოთ“ ძველებურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ, რომ „ზედაფენებს არ შეეძლოთ“ ძველებურად ცხოვრება. 2. ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. 3. აღნიშნული მიზეზების გამო, მასების აქტივობის მნიშვნელოვნად გადიდება. ისინი „მშვიდობიან“ ეპოქაში მშვიდად აძარცვინებენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ისე თვით „ზ ე დ ა ფ ე ნ ე ბ ი“ იწვევენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას“.[1]

თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის გაძლიერებამ და რევოლუციური სიტუაციის ნიშნების წარმოქმნამ რუსეთში, თავისი კვალი დაამჩნია საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასაც.

ქართული კულტურის მოსპობისა და ქართველი ხალხის რუსიფიკაციის მიზნით ცარიზმი მეტად მკაცრ და უხეშ ღონისძიებებს ატარებდა. იგი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა პროგრესულ საზოგადოებრივ აზრს, სდევნიდა ქართველი ხალხის მოწინავე ინტელიგენციას და რევოლუციურად განწყობილ მშრომელი მასების წარმომადგენლებს, მკაცრი საცენზურო კანონების შემოღებით ზღუდავდა ქართულ ბეჭდვით სიტყვას და ძირშივე სპობდა სეპარატიზმის ყოველგვარ გამოვლინებას.

ცარიზმის უხეში კოლონიური პოლიტიკის წყალობით მძიმე გახდა ფართო მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური ყოფა, მეტად დამძიმდა და გართულდა სოციალური ურთიერთობა.

ეს იყო მიზეზი, რომ მთელი მეცხრამეტე საუკუნის მანძილზე, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევრიდან ეროვნული და სოციალური საკითხი მწვავედ დადგა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ქართველმა სამოციანელებმა სწორედ ამ საკითხებზე გაამახვილეს ყურადღება. ს. მესხიც ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილისა და გიორგი წერეთლის მხარდამხარ იღწვოდა ამ საკით-

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 21, გვ. 248.

ხების მოგვარებისათვის და ამ ფრიად მნიშვნელოვან და საპატიო საქმეში უდიდესი წელილი შეიტანა.

შეუპოვარი ბრძოლა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის წითელ ზოლად გასდევს მთელ ქართულ პერიოდულ პრესას. „ჩვენ გვინდა ცოცხალ-ვიყოთ ჩვენის ენით, ჩვენის ხასიათით. ჩვენის ჩვეულებით, ჩვენის ქვეყნით. ერთის სიტყვით, ჩვენ გვინდა, რომ ვიყოთ ჩვენის ნაციონალურის, განსაკუთრებულის თვისებებითა, იმ თვისებებითა, რომლითაც ქართველი განირჩევა სომხისაგან, ფრანცუზისაგან, ჩინელისაგან და სხვ. ჩვენ გვინდა ვიყოთ ისეთ ხალხათ, რომელსაც საკუთარი სახე, თავისი განსხვავებული ტიპი, შეხედულება აქვს“.[1]

ამ თვალსაზრისით აღფურვილი გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი ს. მესხი გამძაფრებით იბრძვის ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ქართველი ერის მოსპობას, მის ასიმილაციას სხვა ხალხებთან.

თანამედროვე რუსეთში ს. მესხი ორ რუსეთს განასხვავებდა. ერთი, ეს იყო მეფე თავისი ძირმომპალი ტახტითა და ჩინოვნიკურ-ბიუროკრატიული აპარატით, ხოლო მეორე — ნათელი გონების ხალხით და მოწინავე შვილებით, რომელიც იბრძოდა ცარიზმის ვერაგი პოლიტიკის წინააღმდეგ.

ს. მესხი ამ მეორე რუსეთს უწვდიდა მეგობრულ ხელს. ცარიზმის დამხობა მას უპირველეს პირობად მიაჩნდა არა მხოლოდ რუსი ხალხის წინსვლისა და ბედნიერებისათვის, არამედ თავის სამშობლოს განთავისუფლებისათვისაც. ქართველი ხალხის ბედს ს. მესხი ყოველთვის რუსი ხალხის ბედს უკავშირებდა და მათთან მეგობრული ურთიერთობის გაღვივებას ცდილობდა. „ისე მკვიდრად, ისე მაგრათ ვართ ჩვენ რუსეთთან დაკავშირებული და შეერთებული, — წერს იგი, — რომ ყოველ იმის სუნთქვაზე, ყოველს იმის ცხოვრების ავსა და კარგს მოვლენაზედ ჩვენი ქვეყანაც ბანს უნდა აძლევდეს. თუ რუსებში კარგათ მიდის საქმეები, ჩვენც კარგათ ვართ; თუ იქ რომელიმე მოვლენამ შეაფერხა საზოგადო ცხოვრება, უეჭველია, ეს შეფერხება არც ჩვენ აგვცდება“.[2]

ს. მესხს მშვენივრად ესმის ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის არსი, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ ზრუნავდეს ხალხის განათლებაზე და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, იმის ცდაშია, რომ მასები უმეცრების ჭაობში ჩაახშოს და უკანასკნელი ტყავი გააძროს. „ზოგიერთ ხალხს, — წერს ს. მესხი, — ისეთი მთავ-

---

[1] „დროება“, 1879 წ., № 1.
[2] „დროება“, 1883 წ., № 6.

რობა ჰყავს, რომელსაც მხოლოდ თავისი საკუთარი კეთილდღეობა და ნეტარება აქვს სახეში და ამისათვის ყურს არ უგდებს არც ერის კეთილდღეობას, არც იმის განათლებას... ხანდისხან ერის გამგებელნი თავის სარგებლობისათვის განგებ ცდილობენ ხალხი გარყვნილებასა და უმეცრებაში ჩააგდონ".[1]

უდავოა, რომ ზემოხსენებულ „ზოგიერთ ხალხში" ს. მესხი პირველ რიგში თავის მშობლიურ ხალხს გულისხმობდა.

ს. მესხი ხედავდა, რომ ცარიზმის მოხელეები, რომელთაც ქართველ ხალხთან საერთო ენა ვერ გამონახეს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ცდილობდნენ მის დამცირებას და ქართველი ხალხის უმეცრებითა და უნიჭობით ხსნიდნენ იმ გარემოებას, რომ ფართო მშრომელი მოსახლეობა უნდობლად და მტრულად უყურებდა მათ და არ მიდიოდა იმ გზით, რომლისკენაც ცარიზმის დამქაშები მიუთითებდნენ.

ცარიზმის პირწავარდნილმა მოხელემ, ვინმე რემერტმა ის „სიბრძნეც" კი წარმოთქვა, რომ „კავკასიის ხალხი უმეცარი, ცრუმორწმუნე ხალხია, განათლებას ძნელად ითვისებს; მეცნიერების ყველა რჩევას და ქადაგებას იჭვნეულებით უყურებს და არ ენდობა".

ს. მესხმა მკაცრად გააკრიტიკა რემერტის და სხვა მის მსგავსთა მოსაზრებანი და მიუთითა იმ ორ არსებით მიზეზზე, რაც მათდამი ქართველი ხალხის უნდობლობას იწვევდა: „პირველად ის, რომ თქვენი კეთილი რჩევანი, თქვენი მჭერმეტყველური ქადაგება ჩვენში კაცს არ ესმის. თქვენ ჰქადაგებთ უცხო, ხალხისათვის გაუგებარ ენაზედ. თქვენი, იქნება ქვეყნისათვის სასარგებლო და მშვენიერი რჩევანი იკარგება ჰაერში, ვითარცა ხმა უდაბნოში მღაღადებლისა...

მეორე უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ხალხი თქვენს ქადაგებას და საქმეებს არ ერწმუნება... ის არის,... რომ თითონ თქვენ არ იცით როგორ უნდა ხალხში ქადაგება, როგორ უნდა რომელიმე ცვლილების მოხდენა, ცრუმორწმუნეობის მოსპობა, არ იცით ახალი რასმესი შემოღება, უხეირო ძველის აღმოფხვრა და საზოგადო ზნეობითი გავლენის ქონვა ხალხზე"[2].

ს. მესხი მიუთითებდა ბიუროკრატიას იმ გონივრულ გზებსა და საშუალებებზე, რომლითაც შეიძლებოდა მეცნიერების მონაპოვართა გატანა და დანერგვა ხალხში, ხალხთა ფართო მასების ნდობის მოპოვება. ამისათვის ს. მესხს საჭიროდ მიაჩნდა, პირველყოვლისა, ისეთი საქმეების დაწყება, რომელიც დაარწმუნებდა ხალხს, რომ ეს

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1926 წ., გვ. 229.

2 ს. მესხი, თხზულებანი, ტ. II, 1963 წ., გვ. 134.

საქმე ხელს შეუწყობს მის წინსვლას, საჭირო იყო იმგვარი პროპაგანდა, რომ ამ „ქადაგებაში და მოქმედებაში არავითარი პირადი და მიდგომითი მხარე“ არ ყოფილიყო, რომ მას ფორმალური ხასიათი არ ჰქონოდა და ჭეშმარიტი მაგალითებით დაემტკიცებინათ, რომ ისინი ნამდვილად ხალხის წარმატებისათვის ზრუნავდნენ და არა პირადი სახელისა და დიდებისათვის.

უქადაგეთ ხალხს მისთვის გასაგებ ენაზე, უჩვენეთ მისთვის სასარგებლო საქმეები და მაშინ ხალხიც გაჰყვება მეცნიერების დიად გზას. — ასეთია ს. მესხის მართებული დასკვნა. მართებულია აგრეთვე ის შეხედულებაც, რომ „მიჰქარავს, ვინც ამბობს, რომ ჩვენი ხალხი ჯიუტი, დაუნდობელი და ერთ წერტილზე გაყინული არისო, ხელებისა და ტვინის განძრევა ეზარებაო, არაფრის ახლის მიღება არ შეუძლიანო“[1].

საჭიროა ხალხში ნდობის დამსახურება, ეს კი იოლი საქმე არ არის. ს. მესხი იმ გარემოებასაც ამჩნევს, რომ ფართო მშრომელი მოსახლეობა და განსაკუთრებით კი სოფლის ხალხი, არა თუ ცარიზმის მოხელეებს არ ენდობა, არამედ უნდობლად უყურებს ქართველ ინტელიგენციასაც. მას „სერთუკიანებისა და მაუდის ჩოხიანების“ რწმენა არა აქვს. მართალია, „სერთუკიანებსა და მაუდის ჩოხიანებში, უეჭველია, ბევრი პატიოსანი ხალხი მოიძებნება, რომელთაც კარგად ესმით ხალხის საჭიროება და რომელნიც წრფელის გულით სცდილობენ, რომ გაჭირვებიდამ გამოიხსნან თავის უმცროსი ძმა-გლეხი“, მაგრამ მათდამი გლეხობის უნდობლობას ის გარემოებაც აღვივებს, რომ ქართველ ინტელიგენციას ხშირად ვერ მოუხერხებია სიტყვის საქმედ ქცევა. „მართალია, ჩვენ ხანდისხან თითქო რომელსამე კეთილ საქმეს წამოვიწყებთ სოფელში: ან შკოლას, ან ბანკს, ან სხვა რამე ამგვარს, მაგრამ მალე გვიგრილდება გული: დღეს წამოწყებული საქმე ხვალ გვავიწყდება; გუშინ რომ საქმისათვის ჯვარზე ასაცმელად მზათ ვიყავით, დღეს იმავე საქმისათვის თითის განძრევაც კი გვეზარება. და ამნაირად ამისთანა ჩვენგან ნაქადაგევი და დაწყებული საქმეები, ჩვენისავე გულგრილობით და დაუდევრობის წყალობით იფუშება, იღუპება“[2]. ცხადია, ამის შემდეგ გლეხობას აღარ სჯერა ინტელიგენციისა და აღარ მიჰყვება მას.

ამიტომ, ს. მესხი კატეგორიულად მოითხოვს ხალხთან დაახლოვებას და სიტყვის საქმედ ქცევას, მაგრამ მას არ ავიწყდება ის გარემოება, რომ ზოგჯერ კარგი ჩანაფიქრის განხორციელებას, ცა-

---

[1] ს. მესხი, თხზულებანი, ტ. 11, 1963 წ., გვ. 134.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 138—9.

რიზმის უხეში კოლონიალური პოლიტიკის წყალობით, წინ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა და მათთან ბრძოლაში ქართველი ინტელიგენცია ხშირად უძლურია.

მაგრამ ს. მესხი იმასაც ხედავდა, რომ ერთის მხრით კაპიტალიზმის განვითარებამ, ხოლო მეორეს მხრით ფეოდალიზმის რღვევამ როგორც გლეხობის, ასევე თავადაზნაურობის გაღატაკება გამოიწვია, რამაც შეასუსტა საზოგადოებაში დიადი ეროვნული გრძნობა და საზოგადოების თითოეული წევრი უაღრესად ეგოისტ, ინდივიდუალისტ პიროვნებად აქცია.

ქართველი სამოციანელების ამოცანა სწორედ ის იყო, რომ ქართველი ხალხი ეხსნათ ამ მძიმე მდგომარეობიდან და ადამიანური ცხოვრების დიდ შარაგზაზე გამოეყვანათ. ამ დიადი მიზნის განსახორციელებლად გამოიყენეს მათ ქართული პრესა.

70—80-იანი წლების ქართული პრესა არაერთხელ უპირისპირებს საქართველოს ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სურათებს თანამედროვეობას და ცდილობს დაანახოს მკითხველს ძველის სიდიადე და ახლის უბადრუკობა. „ამბობენ, — წერს „დროება", — რომ ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში ერთი დრო ყოფილა, როდესაც ჩვენს ხალხს ნამდვილი თავმოყვარეობა ჰქონია და თუ საჭირო ყოფილა, თავის ღირსების დაცვაც სცოდნია. ამბობენ, რომ ძველად რომელიმე უბრალო ჯილდოსათვის ამაყი ქართველი არასოდეს არ დაიმცირებდა თავს და თავის, სამშობლო ქვეყნის და რჯულის დასაცველად კი მუდამ მზათ იყო თავის სიცოცხლე შეეწირა... რომლის შემწეობითაც ის ათასჯერ გადარჩენია უანგარიშო მტრისაგან დამცირებასა და შეურაცხყოფას.

... ეხლაც აქვს ქართველს ასეთი პატიოსნური თავმოყვარეობა და კეთილ-შობილური სიამაყე თუ აღარ?

დიდი მწუხარებით უნდა აღვიაროთ, რომ ჩვენ ძლიერ ნაკლებად ვხედავთ ამ დროინდელ ქართველებში ამისთანა ხასიათს. რაც დრო და ჟამი მიდის, თანდათან ეტყობა, რომ ჩვენ ხალხს აკლდება თავმოყვარეობა, აკლდება კეთილ-შობილური მიდრეკილება ხასიათისა და ემატება სულის სიმცირე და მხოლოთ საკუთარი თავისა (ანუ უკეთ ვსთქვათ კუჭის) მოყვარეობა... მიჩვენეთ, ვის ესმის ახლა რიგიანათ თავმოყვარეობა? დამისახელეთ, ვის არ მიაჩნია თავმოყვარეობა თავის საკუთარი კუჭის გაძღომათ?.. ყველა მზათ არის თავის მოძმეს სამარე გაუთხაროს, თუ კი იცის, რომ ამით თვითონ იმას რაიმე შეემატება..."[1]

„დროების" მიერ ძველი ცხოვრების იდეალიზაცია იმას არ

---

[1] „დროება", 1873 წ., № 6.

ნიშნავს, თითქოს იგი ისტორიულ წარსულში ვერაფერს ხედავდეს უარყოფითს. ჩრდილოვანი მხარეები წარსულსაც გააჩნდა, მაგრამ ძველი დროის ქართველებს ახასიათებდათ სამშობლოს უანგარო სიყვარული და თავდადება მისი კეთილდღეობისათვის. აქ მეღავნდებოდა მათი საარაკო გმირობა და ფოლადისებური ნებისყოფა. წარსული ცხოვრების სწორედ ეს მხარე იზიდავს ჩვენს პუბლიცისტიკას.

სერგეი მესხი, რომელიც მთელი არსებით იბრძვის საქართველოს განთავისუფლებისათვის ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრისაგან, რომელსაც განუზომლად უყვარს თავისი ხალხი და თავისი ქვეყანა, სრულებით არ ამჟღავნებს გონება-შეზღუდული ნაციონალისტის რაიმე თვისებას. იგი ყოველთვის ობიექტურია თავისი ხალხის როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეების შეფასებისას, „ჩვენ არ ვეკუთვნით იმ პირთ, — წერს იგი, — რომელნიც ყოველგვარ თავის ხალხის ჩვეულებას, ხასიათს და სხვ., რაც უნდა უგუნური, უაზრო და მავნებელი იყოს, მაინცდამაინც აქებენ, ადიდებენ და ცდილობენ, რომ ყველა უკუნითი-უკუნისამდი წმინდათ და ხელ-უხლებლად დაცულნი იყვნენ.

მეორე მხრით, არც იმ პირთ ვეკუთვნით, რომელნიც თითქო წარმატებისა და ცივილიზაციის სახელით, უარყოფენ ყველაფერს თავის ხალხისას, უარყოფენ ამ ხალხის ყველა განსაკუთრებულ, ნაციონალურ ხასიათსა, ჩვეულებასა და მიმზიდველობას.

კარგათ ვიცით, რომ ყოველ ხალხს და განსაკუთრებით ჩვენისთანა გაუნათლებელ ხალხს, ბევრი ისეთი რამე აქვს ცხოვრებაში, რბილსა და ძვალში გამჯდარი, რომლის მიტოვება ხშირად უანგარიშო სარგებლობას მოუტანს. აგრეთვე ისიც ვიცით, რომ თუ ყველაფერი დავაგდეთ, რაც ჩვენ მამა-პაპათ ჩვენთვის უანდერძებია, რაც ჩვენ ხასიათსა, ჩვენს განსაკუთრებულებას შეადგენს, მაშინ თვით ქართველობაც დაკარგული და განიავებული შეიქნება"[1].

ამრიგად, სერგეი მესხი არ მოითხოვს წარსული ისტორიული ცხოვრების ყველა დამახასიათებელი წეს-ჩვეულების გადმოტანას და გამეორებას. მან ძალიან კარგად იცის, რომ წარსულში ბევრი რამ დასაგმობი და უარყოფითია, მაგრამ წარსულთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტა შეუძლებლად მიაჩნია. მისი ღრმა რწმენით ყოველი ხალხის აწმყო და მომავალი მის წარსულ ცხოვრებაზე უნდა იყოს დაფუძნებული. წარსულის საფუძვლიანი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ ჩვენი წინაპრების შეცდომები და ავიღოთ იქიდან ის დადებითი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 239.

ექნება აწმყოსა და მომავალი ცხოვრებისათვის. „უამისოდ ისტორიული პროგრესი და ხალხის წარმატება შეუძლებელია“.[1] ამიტომ, ერი, რომელიც წარსულის ღირსშესანიშნავ მოვლენებთან კავშირის გაწყვეტას მოისურვებს, მომავალში წარმატებას არ უნდა მოელოდეს. ისტორიულად ცნობილია, რომ „იმ ხალხის ცხოვრება მიდის ნორმალურს, რიგიანს გზაზედ, რომელსაც თავის წარსული ცხოვრების უკეთეს თვისებებთან ყოველი კავშირი არ მოუსპია. მეორეს მხრით, შენიშნულია, რომ ხალხი, რომელსაც თითქო მოუნდომებია თავის წარსულ ცხოვრებასთან ყოველი დამოკიდებულების მოსპობა, — ეს ხალხი ზნეობით და მატერიალურათ დაეარდნილა და შემდეგ საუკუნოთ მიძინებულა“.

სერგეი მესხი აღშფოთებულია იმ გარემოებით, რომ „სადაც ძველი ეკლესია დარჩენილა, ანგრევენ, სადაც ძველი სიგელი ან რამე წიგნი მოიპოვება, თაგვებს ვაჭმევთ, ჩვენი ძველი მეფეების ძვირფასი ნივთები, ვინ იცის ვის ჩაუგდია ხელში და რაზედ მოუხმარია“.[2]

ვინაიდან სერგეი მესხის ღრმა რწმენით გარდასულ საუკუნეთა ამსახველი ისტორიული საბუთები, ხელნაწერები, ნაგებობანი თუ ცალკეული ნივთები გვაცნობენ ჩვენ წარსულ ცხოვრებას და ამაეე დროს ამხნევებენ, აკეთილშობილებენ ადამიანს და ავითარებენ მასში ეროვნული თვითშეგნების ძვირფას გრძნობას, ამიტომ, მათი დაცვა და სათუთად მოვლა ყოველი მამულიშვილის პირდაპირი მოვალეობაა.

სერგეი მესხი მოითხოვს აგრეთვე ზოგიერთი ძველი წეს-ჩვეულების, სანახაობის და დროს გასატარებელ ღონისძიების დაცვას, როგორიცაა მაგალითად ყეენობა, ჯირითი, ბურთაობა და სხვა. ილაშქრებს იმ ცრუ-განათლებულთა წინააღმდეგ, რომელნიც აცხადებდნენ, რომ „ჩვენებური ყეენობა, ჯირითი, ბურთაობა და თუნდაც მუშტიკრივი ბარბაროსული და გაუნათლებელი ხალხის ჩვეულება და დროს გატარებაა... იქ, საცა ხალხი ვარჯიშობს, იწვრთნის თავის სხეულს (როგორც მაგალითად ჯირითის, ბურთაობის, ჭიდაობის დროს), იქ ბარბაროსობა არ არის. ამგვარ ჩვეულებებში იხატება ყოველი ხალხის, ნაციის განსხვავებული თვისება, ნაციონალური ხასიათები“.[3]

ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ზრდისა და მისი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში სერგეი მესხი

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 64.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 37—38.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 177—178.

უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ისტორიის საკითხების მონოგრაფიულად დამუშავებას, მაგრამ ეს უნდა ყოფილიყო არა მეფეებისა და დიდ ისტორიულ პიროვნებათა, არამედ ხალხთა ისტორია.

სერგეი მესხისათვის საკვლევად გარკვეულია, რომ ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა ხალხთა მასების საზოგადოებრივ მოქმედებათა ისტორია, რომ ხალხია ისტორიის შემოქმედი და არა ცალკეული ადამიანები. მართალია, მეფეებს და დიდ ისტორიულ პიროვნებებს შესწევთ უნარი დააჩქარონ ან შეანელონ ისტორიული პროცესის განვითარება, მაგრამ მხოლოდ დროებით და არა ხანგრძლივად.

ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ხვეულებში სერგეი მესხი ხალხს ეძებს. ხალხის შეუპოვარი გმირული სული და სამშობლოსადმი მათი განუზომელი სიყვარულის გრძნობა იზიდავს თვით გულმხურვალე მამულიშვილს, რადგან ამ თვისებათა დანერგვა და განვითარება თანამედროვე საზოგადოებაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღვივების აუცილებელ პირობად მიაჩნია.

მაგრამ სერგეი მესხმა ძალიან კარგად იცის, რომ „ჩვენი ისტორიის დაწერა ხეირიანად პატიოსნად არ მოხერხდება, ცენზურა ნებას არ მოგვცემს. მმართებლობა ნებას არ მისცემს იმისთანა ისტორიის დაბეჭდვისას, რომელშიაც ყველა იმის მოქმედების და განკარგულებების (საქართველოში) ქება არ იქნება....

ჩვენი ისტორიით ძნელათ შეიძლება იმის დამტკიცება და ჩვენება, რომ ძველად ჩვენი მეფეების ხელში საქართველო უფრო ბედნიერ მდგომარეობაში იყოო, ვიდრე ეხლა — რუსეთის მფარველობაში. უბედურ საქართველოს მშვიდობით, ბედნიერად და კაცურად თითქმის არასოდეს არ ღირსებია ცხოვრება. მაგრამ წარსულ დროს ის უპირატესობა მაინც ჰქონდა, რომ ხალხი სხვა ხალხისაგან დამოუკიდებელი იყო და იმედი ჰქონდა, რომ თავის გაჭირვებულ, გაძაღლებულ ცხოვრებას დღეს თუ არა ხვალ შეცვლიდა“.[1]

საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებულია არა მხოლოდ გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი ს. მესხი, არამედ ჟურნალი „მ ნ ა თ ო ბ ი ც“, რომელიც 1869 წელს იწყებს გამოსვლას ნ ი კ ო ლ ო ზ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით.

1869 წლის მიწურულს სარედაქციო განცხადებაში „მნათობი“ იუწყებოდა, რომ 1870 წელს იგი ეცდებოდა მიეწოდებინა მკითხველებისათვის საქართველოს სრული ისტორია, ხოლო ამჯერად ხელისმომწერლებს პირველ ნომერთან ერთად უგზავნიდა მუყაოს ქაღალდზე დაბეჭდილ საქართველოს რუკას.

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 314—315.

ჟურნალის პროგრამიდან ნათლად ჩანს, რომ რედაქცია მხოლოდ საქართველოს ისტორიის საკითხებით არ იფარგლება; მას ასევე აინტერესებს დასავლეთ ევროპის და რუსეთის ისტორიაც და საკმაოდ ფართო გეგმას იმუშავებს მკითხველთა გასათვითცნობიერებლად.

ისტორიის საკითხებს „მნათობმა“ მესამე განყოფილება დაუთმო და განაცხადა: „ისტორიულ ნაწილში განსაკუთრებითი ყურადღება მიეპყრობა საზოგადო ისტორიას და საქართველოს ისტორიას. საზოგადო ისტორიიდან დავბეჭდავთ უფრო იმ ხალხისა და სახელმწიფოების ისტორიას, რომელთაც ევროპიის და მთელი კაცობრიობის ცხოვრებასა და განათლებაზედ გავლენა ჰქონდა და აგრეთვე იმ სახელმწიფოებისასაც, რომელნიც რაიმე მხრით ფრიად შესანიშნავნი არიან. ამავე ნაწილში ვილაპარაკებთ იმ ევროპიის ცხოვრების შესანიშნავ ფაქტებზედაც, რომლის ზედმოქმედებით ევროპიის ხალხსა და მათს აზროვნებას სხვა მიმართულება მიეცა და სხვაგვარ ცხოვრებაში გადავიდა. აქვე ვილაპარაკებთ რუსეთის ისტორიის შესანიშნავ ეპოქებზედაც. რაც შეეხება საქართველოს ისტორიას — ჩვენ ვეცდებით წარუდგინოთ მკითხველებს საქართველოს ხალხის სრული ისტორიული ცხოვრება, მისი დაარსებიდგან მოყოლებული, ვიდრე აქამომდე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრობა იმ დროს ანუ ეპოქას, რომელსაც საქართველოს ხალხზედ, მის გონიერულ და ნიეთიერებითს ცხოვრებაზედ გავლენა ჰქონია. ამავე ნაწილში დავბეჭდავთ საქართველოს ისტორიისათვის გამოსადეგ მასალებს“.[1]

როგორც ვხედავთ, „მნათობის“ მიერ შემუშავებული პროგრამა საკმაოდ მრავალმხრივია.

„მნათობმა“ 1873 წლამდე იარსება და ამ ხნის განმავლობაში მოახერხა მკითხველი საზოგადოებისათვის მიეწოდებინა საკმაოდ საყურადღებო წერილები, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიიდან.

საქართველოს ისტორიის საკითხებზე მეტად ნაყოფიერად მუშაობდა ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე. მისი „საქართველოს ისტორიის პირველ-დაწყება“, „საქართველოს პირველი მეფე ფარნავაზი. შემდეგი დრო მიტრიდატ დიდის სიკვდილამდი“, „საქართველო მირიან მეფის დროს“ მნიშვნელოვანი შენაძენი იყო 70-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიაში.

„მნათობში“ გვხვდება ნიკ. ცხვედაძის, ა. ფურცელაძის, ინგილო ჯანაშვილის, ნ. გამრეკელის და სხვათა ისტორიული წერილები,

---

[1] „მნათობი“, 1869 წ., № 9—10, გვ. 4.

აქვეა გამოქვეყნებული რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც ძვირფასი მასალაა საქართველოს ისტორიის შესასწავლად.

რაც შეეხება წერილებს რუსეთისა და ევროპის ისტორიიდან, ისინი „მნათობში“ მეტად მცირე რაოდენობით გვხვდება.

მშობლიური ისტორიის შესწავლის აუცილებლობის საკითხში „მნათობი“ არსებითად „დროება“-„კრებულის“ პოზიციაზე იდგა და, თუმცა ამ პერიოდულ ორგანოებს შორის ცხარე პოლემიკა მიმდინარეობდა, ისინი მაინც ერთ საერთო საქმეს, ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეს ემსახურებოდნენ.

„მნათობის“ მიერ წამოყენებული პროგრამა, ისტორიის საკითხების შესწავლის შესახებ, შედარებით სრულყოფილად განახორციელა ჟურნალმა „კრებულმა“.

„კრებულის“ რედაქციას ჟურნალის პროგრამა ვრცლად არ გამოუქვეყნებია. 1871 წლის დასაწყისში დაბეჭდილ სარედაქციო განცხადებაში ვკითხულობთ: „ამ ჟურნალის დანიშნულება ის იქნება, რომ მკითხველს მისცეს სასიამოვნო და სასარგებლო საკითხავი, და ცოტ-ცოტათი გააცნოს საზოგადოება, როგორც თავის საკუთარ ცხოვრებას, აგრეთვე სხვა ქვეყნების ხასიათს, იმათს წარსულს და ახლანდელს მდგომარეობას. ამას გარდა, „კრებული“ თავის ყურადღებას განსაკუთრებით მიაქცევს კ რ ი ტ ი კ უ ლ ს ნ ა წ ი ლ ს, რომლითაც ეცდება თანადროული აზრის მოძრაობა დაანახოს მკითხველ საზოგადოებას“-ო.

უფრო კონკრეტულად „კრებულის“ პროგრამა ჩამოყალიბებულია ნიკო ნიკოლაძის სტატიაში „კრებულის“ დანიშნულებაზე“. რომელიც 1871 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა. სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტასთან ერთად ნ. ნიკოლაძე საზოგადოების ბედნიერების საწინდრად „საზოგადოების მეცნიერების“, კაცობრიობის ისტორიის შესწავლას მიიჩნევს.

საქართველოს ისტორიის შესწავლასთან ერთად ჟურნალი და მისი სულისჩამდგმელი ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განათლებულ ხალხთა ცხოვრების ისტორიის შესწავლასაც, რადგან „ჩვენ უნდა დავაკვირდეთ და გამოვიკვლიოთ, თუ რანაირად და რა გზით მიაღწიეს განათლებულმა ხალხებმა თავიანთ კეთილდღეობამდე, რა და რა წესი და განწყობილება მოუგონიათ იმათ ამ კეთილდღეობის დასაფუძნებლად და გასაძლიერებლად“.

განათლებულ ხალხთა ისტორიიდან „კრებულში“ დაბეჭდილია: „ახალი საფრანგეთი (საფრანგეთის მდგომარეობა წარსულ საუკუნეში)“, „ნაპოლეონ მესამის ცხოვრება“ და „დასავლეთ ევროპის გონებითი და ეკონომიური მოძრაობა თავისი მიზეზებით XVI საუ-

კუნეში". პირველი ორი წერილი ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის, ხოლო უკანასკნელი — ნ. ცხვედაძეს.

უფრო უხვად არის წარმოდგენილი წერილები საქართველოს ისტორიიდან. მათ შორის საყურადღებოა: „მორიგის ლაშქრობის განჩინება მეორის ერეკლის მეფისა", „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა, ბატონიშვილის ვახტანგისა", „ჩვენი ისტორიის მასალები. სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის განაჩენი სამართალი", „საქართველოს ისტორიის მასალები", „საქართველოს ისტორიის სურათები" და სხვა.

„დროებაში", „კრებულსა" და „მნათობში" დაბეჭდილმა წერილებმა, როგორც დასავლეთ ევროპის, ასევე საქართველოს ისტორიის საკითხებზე, დიდად შეუწყეს ხელი, ერთის მხრით, ქართველი მკითხველის გათვითცნობიერებას, ხოლო მეორეს მხრით, მათ მყარი ნიადაგი მოუმზადეს საქართველოს მეცნიერული ისტორიის შექმნას.

70-იანი წლების დასაწყისიდანვე ქართულმა პერიოდულმა პრესამ მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა. 1872 წლის დასასრულს შეწყდა „მნათობის" გამოცემა, 1873 წელს დაიხურა ჟურნალი „კრებული", 1875 წელს არსებობა შეწყვიტა „ცისკარმა", ხოლო 1875 წლის სექტემბერში დაიხურა „გუთნის დედაც". ასე რომ, ქართველი საზოგადოებრიობა მხოლოდ „დროებისა" და „სასოფლო გაზეთის" ამარა დარჩა.

„ს ა ს ო ფ ლ ო გ ა ზ ე თ ი" თავდაპირველად ყოველკვირეულ, ხოლო შემდეგ ორკვირეულ პერიოდულ ორგანოს წარმოადგენდა. იგი სასოფლო-სამეურნეო გაზეთი იყო, რომელიც არსებითად განსხვავდებოდა მანამდე გამომავალი პერიოდული ორგანოებისაგან. „სასოფლო გაზეთის" ყურადღების ცენტრში ქართველი გლეხობა იდგა და რედაქციაც არსებითად გლეხობის კულტურული დონის ამაღლებისა და ეკონომიური ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ზრუნავდა, აწვდიდა მათ სხვადასხვა სასარგებლო სასოფლო-სამეურნეო და სამედიცინო ცნობებს, აგიტაციას უწევდა სასოფლო ბანკების, პურის მაღაზიებისა და სახალხო სკოლების დაარსებას.

ილ. ჭავჭავაძე მშვენივრად გრძნობდა, რომ საჭირო იყო დამატებით ახალი პერიოდული ორგანოს დაარსება, რომელიც იქნებოდა „შუამავალი ცხოვრებისა და მეცნიერების შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა", მეორეს მხრით, იგი უნდა ყოფილიყო სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, მისი გონებითი და

ზნეობითი მოძრაობისა, რომელშიაც მკვეთრად აისახებოდა „ყოველდღიური აზრის მიდენ-მოდენა“.[1]

1876 წლის 18 ივნისს ილიამ საცენზურო კომიტეტს სთხოვა „ივერიის“ დაარსების ნებართვა და წარუდგინა გაზეთის საკმაოდ ვრცელი პროგრამა, რომელიც 14 განყოფილებას შეიცავდა: 1. მოწინავე სტატიები; 2. რუსეთის ცხოვრება; 3. ადგილობრივი ცხოვრება; 4. უცხოეთის ცხოვრება; 5. ადგილობრივი და საზღვარგარეთული კორესპონდენციების განყოფილება; 6. სამეცნიერო განყოფილება: სტატიები მეცნიერების ყოველი დარგიდან; 7. ბელეტრისტიკა: მოთხრობები, ლექსები და სხვა; 8. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 9. ფელეტონები, 10. სასამართლო ქრონიკა; 11. ნარევი; 12. საგაზეთო ცნობები; 13. კერძო განცხადებების განყოფილება და 14. საცნობარო განყოფილება.

„ივერიის“ გამოცემის ნებართვა ილიამ 1876 წლის სექტემბერში მიიღო. ქართველი საზოგადოება „ივერიის“ პირველ ნომერს 1877 წლის იანვრიდან მოელოდა, მაგრამ ვინაიდან დროულად ვერ მოხერხდა ორგანიზაციული და რიგი ტექნიკური საკითხების მოგვარება, „ივერიის“ პირველმა ნომერმა დღის სინათლე მხოლოდ 1877 წლის 3 მარტს იხილა.

1877—1878 წლებში „ივერია“ 16 გვერდის მოცულობით გამოდიოდა, და გარდა მოცულობისა, თავის შინაარსითაც უფრო ჟურნალის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

1879 წელს „ივერია“ ყოველთვიური ჟურნალის სახით გამოდიოდა, 1880 წელს კი — სამ თვეში ერთხელ, ხოლო 1881—1885 წლებში იგი ისევ ყოველთვიური ჟურნალია.

1886 წლიდან „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა და ამ სახით იარსება 1906 წლის სექტემბრამდე.

როგორც საქართველოს, ასევე სხვადასხვა ქვეყნების ისტორიის საკითხებზე 70—80-იან წლებში არც ერთ ქართულ პერიოდულ ორგანოს იმდენი წერილი, სტატია და მეცნიერული ნაშრომი არ გამოუქვეყნებია, რამდენიც „ივერიამ“ გამოაქვეყნა.

საქართველოს ისტორიის საკითხებზე განსაკუთრებული ინტენსიურობით მუშაობს დ. ზ. ბაქრაძე; მის გვერდით არიან ნ. დადიანი, პ. უმიკაშვილი, დიმ. ჯანაშვილი, ი. გოგებაშვილი, გრ. ყიფშიძე და სხვანი.

განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოს ისტორიის მასალების ბეჭდვა „ივერიაში“. ასეთებია, მაგალითად, ანტონ კათალიკოსის წერილები, მასალები საქართველოს ისტორიისათვის ამოკრე-

---

[1] „ივერია“, 1877 წ., № 1.

ბილი ნიკ. დადიანის „ქართველთ ცხოვრებიდან“, ისტორიული მასალა ვახტანგ VI-ის მეფობისა, შემოკლებული აღწერა თავადთა და აზნაურთა გვარებისა და სხვა მრავალი.

აღსანიშნავია, რომ გაზ. „დროების“ რედაქტორის და „იბერიის“ რედაქტორის თვალსაზრისი ისტორიული მეცნიერების აღმზრდელობითი მნიშვნელობის შესახებ ერთმანეთს ემთხვევა. მათ ღრმად სწამთ, რომ ისტორია „სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის, აქეზებენ, ამხნევებენ“ (ილია).

შედარებით მკრთალად გამოიყურება საქართველოს ისტორიის საკითხები ჟურნალ „ი მ ე დ ში“ (1881—1883 წწ.). „იმედში“ დაბეჭდილი წერილებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დ. ბაქრაძის „შემოკლებული ქართლის ცხოვრება“, ნიკ. ხიზანიშვილის „უფლება და კანონი ძველ საქართველოში“ და მიხ. გურგენიძის „შინაური მიმოხილვა“.

დაახლოებით იგივე მდგომარეობაა ყოველკვირეულ გაზეთ „შ რ ო მ ა შ ი ც“, რომელიც ქუთაისში გამოდიოდა დიმიტრი დადიანის რედაქტორობით 1881 წლის სექტემბრიდან 1883 წლის ივლისამდე. მასში დაბეჭდილია რამდენიმე ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, რომელიც საქართველოს ისტორიის საკითხებზე დაწერილ შრომებს ეხება. გაზეთში მცირე რაოდენობითაა აგრეთვე წარმოდგენილი მასალები საქართველოს ისტორიისათვის.

თვალნათლივ შეინიშნება, რომ XIX საუკუნის 70—80-იანი წლების ქართული პრესა და მისი რედაქტორ-გამომცემლები ხაზგასმით მიუთითებენ ისტორიის, როგორც მეცნიერების უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. ისტორია მათ ეროვნული თვითშეგნების, ხალხის ფართო მასებში ეროვნული სიამაყის გრძნობის გაღვიძების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ, რაც ესოდენ საჭირო იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის.

თანამედროვე საზოგადოებაში უკეთესი მომავლის რწმენის ჩანერგვა, ქართველი ხალხის ბრძოლის უნარიანობის ამაღლება ქართული პრესის და მისი ერთ-ერთი მესვეურის — ს. მესხის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა.

ამით აიხსნება 70—80-იანი წლების ქართული პრესისა და, კერძოდ, ს. მესხის ბრძოლა ყველა იმ მახინჯ გამოვლინებათა წინააღმდეგ, რომელიც ახალი დროის ვითარების შესაბამისად თავს იჩენდა ქართველ საზოგადოებაში და ადუნებდა მათ ეროვნულ შეგნებას.

ს. მესხი მშვენივრად ხედავდა, რომ ევროპული კულტურის შემოჭრა უარყოფით ზემოქმედებას ახდენდა ზოგიერთი სუსტი ნე-

ბისყოფის მქონე ქართველზე. ისინი ანგარიშმიუცემლად ტოვებდნენ ყოველივე ძველს და მათ შორის იმ დადებით ჩვეულებებსაც, რომელნიც ერის ნიშანდობლივი ხასიათის გამომხატველნი იყვნენ და ყოველივე ამას ახალი დროის მოთხოვნილებით ხსნიდნენ.

ს. მესხმა მთელი სისასტიკით გაილაშქრა ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ახალს დროებას თავის დღეში არ მოუთხოვნია და არც მოითხოვს, რომ მაინცადამაინც ესა და ეს ტანსაცმელი ჩაიცვითო, რომ ძველი ხასიათები და ჩვეულებები რომელშიაც ცუდი და მავნებელი არავისათვის არა არის რა, გადააგდეთ და მის ნაცვლად, რაც უნდა უმსგავსო იყოს, ახალი შემოიღეთო.

ახალი დროება თავის დღეში არ მოითხოვს, რომ ყველა ხალხებს ერთი და იგივე ტანსაცმელი, ერთი და იგივე ჩვეულება და ხასიათები უნდა ჰქონდესო".[1]

ს. მესხის მართებული რწმენით ყოველ ხალხს თავისი ხასიათი, ჩვეულება, ელფერი, თავისი საკუთარი სახე აქვს და იგი უნდა შეინარჩუნოს ისტორიულად შემუშავებული დადებითი მხარეების დაცვითა და განვითარებით. ცვლილება და ცივილიზაცია ერის გაუფერულებას არ უნდა იწვევდეს. „ხალხი, რომელიც თავის განსაკუთარებულ ჩვეულებას, ხასიათს, ცხოვრებას, ერთი სიტყვით, თავის ნაციონალურ ხასიათს იცვლის და სტოვებს, ის ხალხი დაღუპულია, ის ერი მალე ამოიხოცება და გალღვება დედამიწის ზურგზედა".[2] ასეთია ს. მესხის ღრმა რწმენა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების საქართველოში საკმაოდ ნათლად შეიმჩნევა რამდენიმე კლასისა და სოციალური ფენის არსებობა. აქ არის დეგრადაციის გზაზე დამდგარი ქართველი თავადაზნაურობა და უაღრესად გაღატაკებული და გაუნათლებელი გლეხობა, აქვეა აღმავალი ბურჟუაზიული ფენა და სამღვდელოება, რომელიც საკმაოდ რეაქციულ ძალას წარმოადგენს. მათ გვერდით ცხოვრობენ და მოქმედებენ ცარიზმის პირწავარდნილი მოხელენი, რომელნიც ჩინოვნიკობის დიდ წრეს ქმნიან. შეიმჩნევა აგრეთვე ინდიფერენტულად განწყობილი „ინტელიგენცია", რომელსაც მკვეთრად უპირისპირდება სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენცია.

ს. მესხი ხედავს ქართველი საზოგადოების სოციალური შემადგენლობის ამ მრავალფეროვნებას და გრძნობსა, რომ მათი ერთ ბირთვად შეკვრა საკმაოდ ძნელი საქმეა, რადგან განსხვავებულია

---

[1] „დროება", 1874 წ., № 453.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 434.

მათი ინტერესთა სფერო. მაგრამ საქართველოს ეროვნული ინტერესები მოითხოვს მთელი ერის ამოძრავებას და ჩაბმას საზოგადო საქმიანობაში, ბრძოლას ერთიანი ფრონტით ყველა უკეთესმართობათა და განსაკუთრებით, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ საკვლევით გასაგებია, თუ რამდენად აღაშფოთებდა ს. მესხს საზოგადოების ერთ ნაწილში წარმოქმნილი ეროვნული განცალკევების მავნე ტენდენცია, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ქართველი, კახელი, იმერელი, გურული და სხვ. მიიჩნიეს სხვადასხვა ტომის ადამიანებად, რომელთა შორის თითქოს საერთო არაფერი ყოფილიყო. ეს იყო ის უაღრესად მავნე შეხედულება, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის დაქსაქსვას და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შესუსტებას. სამწუხაროდ, ასეთი მიზანსწრაფვა გამოვლინდა ზოგიერთი სკოლის „პედაგოგებს“ შორისაც, რაც უდიდეს საფრთხეს ქმნიდა მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ს. მესხს, როდესაც წერდა: თუ ეს პედაგოგები „თვითონ არ განთავისუფლდებიან იმ ცრუმორწმუნეობისაგან, რომ მე ქართველი ვარ, ის კახელი, ის იმერელიო, თუ ის ვერ გაუგიათ, რომ ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, თუ თვითონ წვრილმანი თავმოყვარეობით არიან აღვსილნი, ვიმეორებთ... როგორ შეუძლიანთ იმათ საზოგადო შკოლის საქმის წაყვანა? როგორი შვილების გამოზრდას უნდა მოელოდნენ იმათგან ჩვენი მამები?“[1]

ქართველ საზოგადოებაში ეროვნული გრძნობის გაღვივების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ს. მესხი გამოჩენილი მამულიშვილების ცხოვრების აღწერას მიიჩნევს. ასეთ ადამიანებად მიიჩნია მას გარიბალდი და ვაშინგტონი, ჯორდანო ბრუნო და გალილეი, ვოლტერი და რუსო, რობერტ ოუენი და ჯუზეპე მაძინი და სხვანი. „ესენი, — წერს ს. მესხი, — მთელი კაცობრიობის ოსტატები, მასწავლებელნი არიან. ესენი გვასწავლიან და თავის ცხოვრებით გვიჩვენებენ, თუ როგორ უნდა ებრძოდეს ყოველი კაცი სხვადასხვა დამჩაგვრელ ძალებს, როგორ უნდა სცდილობდეს ადამიანი საუკეთესო ცხოვრების მიღწევას. ესენი გვასწავლიან საზოგადო კეთილდღეობისათვის თავის კერძო კეთილდღეობისა და ხანდახან ცხოვრების შეწირვასაც.

დიახ, ამისთანა კაცების ცხოვრების გაცნობა ყოველთვის და ყველასათვის სასარგებლო და აუცილებლათ საჭიროა და განსაკუთრებით ეხლა ჩვენთვის“[2].

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, 1963 წ., გვ. 48.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 22.

ზემოჩამოთვლილი თითოეული დიდი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა ს. მესხმა დიდი სიყვარულით აღწერა. მათ საქმიანობაში ავტორმა განსაკუთრებით სამშობლოს სიყვარულსა და უშრეტ პატრიოტულ გრძნობას გაუსვა ხაზი და თითოეული მათგანი ქართველი მკითხველის მისაბაძ მაგალითად მიიჩნია. ს. მესხის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი საესებით დროული და გონივრული იყო, რადგან იგი ხედავდა, რომ ქართველი საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს სამშობლოს ბედ-იღბალი ოდნავადაც არ აწუხებდა და ზოგი მათგანი პირადი ცხოვრებით კმაყოფილი, სიტკბოების მორევშიც კი ცურავდა.

პატრიოტული გრძნობის საუკეთესო გამოხატულებას ს. მესხი შვეიცარიელ ხალხში ხედავს. შვეიცარიელი, — წერს ს. მესხი, — „გრძნობს, რომ თავის ქვეყნის ბედნიერება იმის საკუთარი ბედნიერებაა და სამშობლოს დამცირება იმის დამცირებაა. ამის გამო ის მართლა ისე უვლის, ისე უყურებს თავის სამშობლოს, როგორც შვილი თავის მშობელს. შვეიცარიელი გრძნობს, რომ თავისუფალი წევრია თავის ხალხისა და არა ვისიმე ქვეშევრდომი. ის ამაყობს თავის სამშობლოთი, არავის არ მისცემს იმის დამცირების და შეურაცხყოფის უფლებას. გაჭირვების დროს, როდესაც შვეიცარიას რაიმე შიში მიადგება, მთელი ხალხი, როგორც ერთი კაცი, ისე ადგება ხოლმე და გადის ბრძოლის ველზე მტრის წინააღმდეგ; ყველა ისე იცავს ისე უყურებს საზოგადო მამულს, როგორც თავისს უძვირფასესს საქმეს. ყველა მზათ არის, მამულს თუ დასჭირდება, არა თუ თავის შეძლება და ქონება, თავის თავიც შესწიროს“.[1]

ცხადია, ეს სტრიქონები მხოლოდ შვეიცარიელთა დასახასიათებლად არ იწერებოდა. ამით ს. მესხს სურდა ქართველ ხალხში გაეღვივებინა ის ძლიერი გრძნობა სამშობლოს სიყვარულისა, რაც დამახასიათებელი იყო შვეიცარიის მკვიდრთათვის.

საქართველოში ფრთაგაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ხელმძღვანელი ესაჭიროებოდა. ხელმძღვანელად, ს. მესხის გაგებით, გამოდგებოდა ის წოდება, რომელიც უმრავლესობასთან შედარებით დაწინაურებული იყო როგორც ეკონომიურად, ასევე კულტურულადაც. ასეთ წოდებას კი იმ პერიოდში ქართველი თავადაზნაურობა წარმოადგენდა. ამიტომ, ს. მესხის სურვილი იყო, რომ ქართველ თავადაზნაურობას აქტიური მონაწილეობა მიეღო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და ამ მოძრაობის ხელმძღვანელადაც კი გამოსულიყო. მაგრამ, როგორც მიხ. გაფრინდაშვილი შენიშნავს, „ეს სურვილი ისეთივე უტოპიურია,

---

1 ს. მ ე ს ხ ი. თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 380—381.

როგორც მარქსამდელი სოციალისტების ოცნება „მდიდარ და განათლებულ“ მეფეებსა და კაპიტალისტებზე დაყრდნობით სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობაზე. ამ შემთხვევაში ქართველ განმანათლებლებსა და უტოპისტ-სოციალისტებს მხოლოდ მიზანი განასხვავებს, მათი საშუალებანი ერთია. მაგრამ, მსგავსად ევროპის სოციალისტ-უტოპისტებისა, რომლებიც აკრიტიკებდნენ ევროპელ მეფეებს და კაპიტალისტებს, რომლებსაც მათი აზრით „არ სურდათ“ ხალხის გაბედნიერება სოციალიზმის „შემოღებით“, ქართველი განმანათლებელი მკაცრად აკრიტიკებდა თავადაზნაურობას, რომელსაც აგრეთვე „არ სურდა“ გაძღოლოდა ხალხს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ცარიზმის წინააღმდეგ“.[1]

ს. მესხმა მალე შეამჩნია, რომ ქართველი თავადაზნაურობა, ნაცვლად ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა, თვით ამ ცარიზმის საიმედო დასაყრდენ ძალად იქცა და დეგრადაციის გზას დაადგა. ამის შემდეგ ს. მესხი ღრმად დარწმუნდა, რომ ქართველი თავადაზნაურობა ერის მეთაურად არ გამოდგებოდა. „თავად-აზნაურობა, — წერდა იგი, — რომელიც ჰფიქრობს, რომ ხალხის წინამძღოლია და წარმატების გზის მაჩვენებელი, ეს საზოგადოება თვითონ უმეცარია. სიბნელეში აფათურებს ხელებს, დაუდევარია და ყოველ საზოგადო საქმეში ზარმაცრ; რომ იმას არა თუ საზოგადო სამშობლოს სიკეთე, ხშირად თავის საკუთარი სარგებლობა და სიკეთე არ ესმის“.[2]

მიუხედავად ამისა, ს. მესხი მაინც ცდილობს, თავადაზნაურობა გამოიყენოს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში. ამიტომ, იგი არა ერთგზის მოუწოდებს მათ: „ოღონდ ჩვენი დაცემული ლიტერატურისა და ხალხის აღსადგინებლათ და განსაღვიძებლათ იზრუნეთ და ახალგაზრდობა მუდამ თქვენთან იქნება“[3].

ვინ უნდა იყოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელი? ვინ უნდა წარუძღვეს ქართველ ხალხს საზოგადოებრივი ცხოვრების ბედნიერებისათვის ბრძოლაში? ასეთ ძალად ს. მესხს მოწინავე ქართველი ინტელიგენცია, განათლებული ახალგაზრდობა მიაჩნია. „რომელსამე ხალხისა ანუ საზოგადოების წევრნი რომ ერთნაირად გონება გახსნილნი და ერთის მიმართულებისანი იყვნენ შეუძლებელია; შეუძლებელია, რომ ხალხში ყველას ერთნაირად ესმოდეს თავის ქვეყნის სიკეთე, ერთნაირის გონების

---

1 მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, ტ. I, 1959 წ., გვ. 255.

2 ს. მესხი, თხზულებანი, ტ. II, 1963 წ., გვ. 293.

1 იქვე, გვ. 155.

ძალით ხედაედეს იმ გზას, რომელიც იმის ქვეყნის წარმატებისათვის და თანამოძმეთ ბედნიერებისათვის, ყველაზე უფრო მოკლე და სწორი გზაა.

ყოველთვის და ყველგან, სხვადასხვა ბედნიერ გარემოებათა წყალობით ხალხში გამოჩნდებიან ხოლმე ისეთი პირები, რომელნიც თავის გონების გამჭრიახობითა და ტვინის ძალით, დანარჩენ თავის თანამემამულეებზე წინ დგანან, რომელნიც სხვებს წინ მიუძღვიან და საზოგადო კეთილდღეობის მისაღწევნელათ სწორ გზას უჩვენებენ.

ამისთანა პირნი შეადგენენ ხალხის საუკეთესო ძალას; ისინი, იქნება არც ხვნენ, არც სთესავენ, არც ვაჭრობენ და არც ჩინოვნიკობენ, მაგრამ, თუ კი მართლა საზოგადოების მოწინავე პირნი არიან, თუ ნამდვილად გული შესტკივათ თავის ქვეყნის სიკეთისათვის, დარწმუნებული იყავით, რომ მათი გავლენა ხალხის ცხოვრებაზე ყოველთვის შესამჩნევი იქნება და მთელს იმათ ქვეყანას, ადრე თუ გვიან დაეტყობა"[1].

მაგრამ ს. მესხი არ არის კმაყოფილი ჩვენი ახალგაზრდა ინტელიგენციისა. იგი ხედავს, რომ ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი, რომელსაც განათლება მიუღია და მრავალ მაღალფარდოვან ფრაზებს ისვრის ხალხის თავისუფლებისა, ბედნიერებისა და კეთილდღეობის შესახებ, არ იცნობს ამ ხალხს.

ს. მესხის აზრით ინტელიგენციის დაშორება ხალხისაგან იწვევს იმ გაუგებრობას და ზოგჯერ უთანხმოებასაც, რომელიც არსებობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის, ხოლო მეორეს მხრით, იმ უნდობლობას, რომელიც ჩანერგილია ხალხში განათლებული ახალგაზრდობის მიმართ. ყოველივე ეს კი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მუხრუჭად გვევლინება.

ამ არასასიამოვნო მდგომარეობის აღმოფხვრა ს. მესხის აზრით მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ინტელიგენცია დაუახლოვდება ხალხს, საფუძვლიანად გაიცნობს მათ ჭირსა და ლხინს და მოიპოვებს ავტორიტეტს და სრულ ნდობას ფართო მასებში. „ნუ დაივიწყებთ იმ ჭეშმარიტებას, — მიმართავს ს. მესხი ინტელიგენციას, — რომ ვისაც საზოგადოებაში მოქმედება და ხალხის ნდობის მოპოვება ჰსურს, ის ყველაზე პირველათ ამ საზოგადოებისა და ხალხის ცხოვრებასა, საჭიროებასა და ვითარებას უნდა იცნობდეს. უამისოთ ყველა იმის მოქმედება, ყველა იმის სიტყვა და ქადაგება დარჩება „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა"[2]. მხოლოდ

---

[1] ს. მესხი, თხზულებანი, ტ. II, 1963 წ. გვ. 266—267.

[2] იქვე.

ხალხთან ახლოს მდგომ ინტელიგენციას შეუძლია მასების ხელმძღვანელობა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში.

მაგრამ ს. მესხს ქართველი ინტელიგენცია მიაჩნია არა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურად, არამედ ქვეყნის ეკონომიური და სამრეწველო-სამეურნეო განვითარების ხელმძღვანელადაც.

ს. მესხი არც ამ მხრივ არის კმაყოფილი ჩვენი, ეგრეთ წოდებული „განათლებული ახალგაზრდობისა", რადგან „ახალგაზრდობა ამჟამათ მხოლოთ ჩინოვნიკობას ეტანება და ამნაირათ ივიწყებს და უყურადღებოთ სტოვებს ჩვენი ცხოვრების იმ მხარეებს, რომელთაც ყველაზე უფრო ეჭირვება მცოდნე კაცების დახმარება და ხელის მომართვა". ამაში კი ს. მესხი თვით საზოგადოებას ადანაშაულებს, რადგან იგი არ ზრუნავს ისეთი შვილების აღზრდაზე, რომლებიც „პირ-და-პირ ხალხსა და ქვეყანას გამოადგნენ თავისი კეთილი მიმართულებით და ცოდნით... რომელთაც იცოდნენ ამ ბუნებითი სიმდიდრის გამოყენება; რომელთაც შეუძლიათ თავის ცოდნით და წინდახედულობით დაგვიხსნან იმ უცხო-ქვეყნელებისაგან, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში შემოსევასა და ჩვენი ადგილ-მამულების, წარმოებისა, მადნებისა და სხვ. დაპერას გვემუქრებიან".[1]

შეიძლება თუ არა ისეთი ახალგაზრდობის აღზრდა, რომელიც იზრუნებს ქვეყნის ეკონომიური კეთილდღეობისათვის და აგეაცილებს როგორც სამეურნეო, ასევე ეროვნულ მარცხს?

ამ კითხვაზე ს. მესხის პასუხი დადებითია. ამისათვის საჭიროა, რომ ჩვენში შედგეს ისეთი წრე ან საზოგადოება, რომელიც ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდობას მატერიალურ სახსარს აღმოუჩენს უმაღლესი განათლების მისაღებად და ყოველმხრივ შეუწყობს მათ ხელს. ყოველი ქართველი მოვალეა ხალხის ოფლით შეძენილი ცოდნა ისევ თავის ხალხს მოახმაროს. ასეთია ს. მესხის დასკვნა.

სწორედ ეს თვალსაზრისი იყო მიზეზი, რომ ს. მესხი აღფრთოვანებით არ შეხვედრია ვ. პეტრიაშვილის, ი. თარხნიშვილის, ალ. ცაგარელის და სხვა ქართველი ახალგაზრდების სამეცნიერო მოღვაწეობას საქართველოს ფარგლებს გარეთ. მისი აზრით, მათ საქმიანობას „პირდაპირ ჩვენი ქვეყნისათვის თითქმის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა" არ ჰქონია, თუმცა შეიძლება თითეულ მათგანს ეს საქმიანობა უდიდეს კმაყოფილებას და სიამოვნებას განაცდევინებდა. მაგრამ, ს. მესხის გაგებით, ეს არ იყო ნორმალური მოვლენა, რადგან „მამულის ყოველ ნამდვილ შვილს ყველაზე პირველათ თავის სასიამოვნო და სასარგებლო შრომათ მხოლოთ ის უნდა მიაჩნ-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, 1963 წ., გვ. 89—141.

დეს, რაც ამ მამულისათვის სასარგებლო და გამოსადეგია" და ვი-ნაიდან ყოველი კაცის შრომა იქ უფრო გამოსადეგი და სასარგებ-ლოა, სადაც ის დაბადებულა, „სადაც ის ყოველ გარემოს იცნობს, ამის გამო ყველა თავის სამშობლოში უნდა მუშაობდეს".

ახალგაზრდობა მოვალეა აღიჭურვოს უფრო პრაქტიკული მეცნიერების ცოდნით. მართალია, ძალიან კარგია, რომ საქართველოს ჰყავდეს მეცნიერი ფიზიოლოგი, მცოდნე საბერძნეთის მითოლოგიისა, ჩინური ენისა და ლიტერატურისა და სხვ., მაგრამ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა პირველ რიგში მოითხოვს ისეთ განათლების მქონე ადამიანებს, რომელნიც წინ წასწევენ ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიურ მდგომარეობას. ასეთი იყო ს. მესხის თვალსაზრისი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და ეროვნული მდგომარეობით იყო ნაკარნახევი.

ამ საკითხის ირგვლივ ს. მესხს ნიკო ნიკოლაძესთანაც კი მოუხდა კამათი და წერილში „ორთავეს" არ გაიზიარა ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „სადაც უნდა იცხოვროს ან იმოქმედოს მამულის მოყვარე პირმა, ჩემის აზრით, ყველგან სასარგებლო იქნება თავის ქვეყნისათვის, თუ კი სურვილის გარდა, იმისათვის ბუნებას ნიჭი, ცოდნა და ძალა მიუნიჭებია".[1]

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ს. მესხი ნიკო ნიკოლაძესთან უდაოდ მართალი იყო. მაგრამ იგი ცდებოდა და არასწორად უდგენდა მკითხველს ნ. ნიკოლაძის მეორე დებულება — თითქოს ნ. ნიკოლაძისათვის სულერთი ყოფილიყო რა ენაზედაც უნდა ეწერა ქართველ კაცს, ოღონდ კი თავისი ნაწერით სარგებლობა მოეტანა მშობლიური ქვეყნისა და ხალხისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ნიკო ნიკოლაძე ასე არ აყენებს საკითხს. პირიქით, მისი მსჯელობა სავსებით გონიერული და მისაღებია. ნიკო ნიკოლაძემ იცის, რომ „ჩვენი ქვეყნის ბედი რუსეთთან არის დაკავშირებული", რუსეთი მართავს ჩვენს ქვეყანას და ამიტომ აუცილებელია, რომ მან იცოდეს ჩვენი მდგომარეობა. მაგრამ არა მხოლოდ რუსეთმა, არამედ, ეს უნდა იცოდეს მთელმა ევროპამაც, ამისათვის კი საჭიროა ქართველი წერდეს როგორც რუსულ, ასევე ევროპულ ენებზე. მაგრამ, ნიკო ნიკოლაძის აზრით, ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს „კაცმა რომ სთქვას მ ა რ ტ ო რუსულ ან მარტო ევროპულ ენებზე უნდა ვსწეროთო, ქართული კი სრულიად მივატოვოთო, ეს რასაკვირველია სიბრიყვე იქნება. ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი ქვეყნის მოყვარეთაგან ორგვარ შრომას მოითხოვს. ერთის მხრით ჩვენ უნდა ვშრომობდეთ თვითონ ჩვენი ხალხის გასანათლებლად, მისი

---

1 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, პუბლიცისტური წერილები, ტ. II, 1932 წ., გვ. 162.

გონების გასახსნელათ, მისი ხასიათის გასამაგრებლათ. უეჭველია, რომ ამგვარი შრომა მ ა რ ტ ო ქართულ ენაზე შეიძლება, მაგრამ ამასთანავე ჩ ვ ე ნ ვ ე უნდა ვშრომობდეთ რუსულ და სხვა ენებზე-დაც, იმ აზრით, რომ სხვებს ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი საჭიროება და სურვილი გავაცნოთ. ეს უკანასკნელი შრომა ყველასათვის, ვი-საც კი ცოტაოდნად ესმის პოლიტიკური ცხოვრების მოთხოვნილე-ბები, თითქმის იმდენათვე აუცილებელი და საჭიროა, როგორც პირველი".[1]

ყველა ქართველი განმანათლებლის და მათ შორის სერგეი მეს-ხის უპირველესი მიზანი ყოველგვარი ჩაგვრისაგან თავისუფალი და პოლიტიკურად დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის საკითხი იყო, რაც მის მშობლიურ ერს ბედნიერებას მოუტანდა. ამ წმინდა იდეისათვის სამსახურს ს. მესხი ადამიანის უპირველეს დანიშნულე-ბად სახავდა.

სერგეი მესხის პატრიოტიზმი ეს არის ქართველი ერის თვით-მყოფადობისა და მისი კულტურის შეუპოვარი დაცვა. მისთვის წარ-მოუდგენელია თავისი ხალხის ბედნიერების აშენება სხვა ხალხების უბედურებაზე.

სერგეი მესხის ღრმა რწმენით კაცობრიობის სიყვარული უნდა გამომდინარეობდეს მშობლიური ხალხისა და სამშობლოს სიყვა-რულიდან. მას სწამს, რომ „თავისი კერძო სამშობლოს სამსახურით ყოველი კაცი იმავე დროს მთელ კაცობრიობასაც და ქვეყანასაც ემსახურება, რადგან ყოველი მხარე მთელი ქვეყნის რომელსამე ნაწილს შეადგენს"[2].

ამიტომ სერგეი მესხი არ ეთანხმება იმ პირთ, რომელნიც ამტკი-ცებენ, რომ ყოველი კაცი მთელი კაცობრიობის შვილია და ამიტომ იგი არა თავისი ქვეყნის, არამედ მთელი ქვეყნის სიკეთეზე უნდა ზრუნავდეს და მთელი ქვეყანა უნდა მიაჩნდეს თავის სამშობლოდ.

სერგეი მესხის აზრით, მთელ ქვეყანაზე და მთელ კაცობრიო-ბაზე ზრუნვა მხოლოდ გენიოსს შეუძლიან, რიგითი ადამიანი ამ დიდ ტვირთს ვერ ასწევს. ჩვეულებრივი კაცი მოვალეა იმ ხალხს ემსა-ხუროს, რომელმაც იგი შობა და გამოზარდა და ეინაიდან მისი მშო-ბელი ხალხი მსოფლიო კაცობრიობის ნაწილია, ამდენად მის მიერ გაწეული შრომა მთელ კაცობრიობას მოუტანს გარკვეულ სარგებ-ლობას.

სერგეი მესხი მსოფლიოს ყველა ხალხების ბედნიერებისა და კეთილდღეობის მოსურნეა. სწორედ ამიტომ აღიმაღლა ხმა ოსმალე-

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, პუბლიცისტური წერილები, ტ. II, 1932 წ., გვ. 163.
[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 172.

თის მიერ მის ქვეშევრდომობაში მყოფ ქრისტიანი ხალხების ჩაგვრის წინააღმდეგ, რომელთაც ოსმალეთის ხელისუფლება ორმაგ გადისახადს ახდევინებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქრისტიანები იყვნენ. ხოლო როდესაც 1875 წელს უმაგალითოდ შევიწროებული ქრისტიანი მოსახლეობა აჯანყდა, ოსმალეთის ჯარმა მათ მუსრი გაავლო: „დამორჩილებულ სოფლებში და ქალაქებში დავარდნილ მოხუცებსა და ძუძუ-მწოვარ ბავშვებს, რომელთაც გაქცევა არ შეეძლოთ, ბევრს არ ალაპარაკებდნენ, შეუბრალებლათ, თითქო წიწილები იყვნენ, მიეღლტ-მოეღლტდნენ, დასჩეხენ ხმლითა და დაჰყრიან, მთელ სოფლებს ცეცხლს უკიდებენო“.[1] ამ მდგომარეობით აღშფოთებული სერგეი მესხი „დროების“ საშუალებით მოუწოდებს საზოგადოებას, მატერიალური და ზნეობრივი დახმარება გაუწიოს თავის თანამოძმეთ. ცხადია, სერგეი მესხმა იცის, რომ ამას უდაოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ექნება, მაგრამ არ უნდა გააშიშვლოს ქართველი საზოგადოების ეს ნაბიჯი და ოსმალოს ქართველებისადმი და, საერთოდ, ოსმალეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ქრისტიანი ხალხებისადმი დახმარებას ქრისტიანული მორალით ხსნის.

ასევე გულწრფელად თანაუგრძნო სერგეი მესხმა სლავ ხალხს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ოსმალეთის წინააღმდეგ და საზოგადოებას მათდამი დახმარებისაკენ მოუწოდა. „სლავიანები, — წერდა იგი, — იმიტომაც არიან თანაგრძნობის ღირსნი, რომ დაჩაგრულნი არიან და თავისუფლების მოპოვებისათვის იბრძვიან“.

სერგეი მესხი საერთოდ ყველა დაჩაგრული და შევიწროებული ხალხის დახმარების მომხრეა, რომელი სარწმუნოების მატარებელიც არ უნდა იყოს იგი. მისი აზრით, „კაცი იმიტომ კი არ უნდა დაეხმაროს მეორე გაჭირვებულ კაცს, რომ ის ფრანგია, სომეხია ან ლოტრანგი; არა — იმიტომ, რომ ის კაცია, რომ ყოველი კაცი ვალდებულია რითაც შეუძლია, ხელი მოუმართოს სხვას გაჭირვებაში და კეთილი მიზნის მიღწევაში. რაც კერძო კაცზე ითქმის, იგივე ითქმის მთელ ხალხზედაც“[2].

ამ აზრით ხელმძღვანელობდა სერგეი მესხი, როდესაც სასტიკად გაიალაშქრა ებრაელთა რბევის წინააღმდეგ, რასაც თითქოს სარწმუნოებრივი პრინციპი ედო საფუძვლად. მაგრამ სერგეი მესხმა მშვენივრად შენიშნა, რომ ებრაელთა რბევა, რომელსაც ცარიზმი აწყობდა, „უფრო სოციალური, ეკონომიური სიძულვილით აიხსნებოდა, ვიდრე სარწმუნოებრივით“. როდესაც 1877 წელს მე-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 127.

2 ი ქ ვ ე, გვ. 255.

ფის მთავრობამ რუსი ებრაელების მასიური გასახლება დაიწყო თბილისიდან, სერგეი მესხმა ეს განკარგულება მეტად არაგონივრულად მიიჩნია. თუ ებრაელების ერთი ნაწილი ავიწროებდა მშრომელ მოსახლეობას, ტყავს აძრობდა მათ ჩარჩობითა და ვაჭრობით, განა ამაში ყველა ებრაელი იყო დამნაშავე? დამნაშავე, ს. მესხის მართებული რწმენით, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება იყო და სწორედ მას სჭირდებოდა მკურნალობა.

ებრაელებისათვის მოქალაქეობრივი უფლების მინიჭება ს. მესხის რწმენით ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანი იქნებოდა მათი „კაცურ გზაზე" დადგომისათვის. „თუ ებრაელს მოქალაქის უფლება ექნება მინიჭებული, — წერს ს. მესხი, — თუ კანონი და ხალხი ისე შეხედავს, როგორც ადამიანს, დარწმუნებული იყავით, რომ დროს განმავლობით, ისიც კანონიერს და კაცურს გზას დაადგება"[1].

ყოველივე ზემოთქმული იმის ნათელი მაჩვენებელია, რომ სერგეი მესხი ქართულ პუბლიცისტიკაში უგვარტომო კოსმოპოლიტიზმისა და ნაციონალიზმის დაუძინებელ მტრად და დემოკრატიული პატრიოტიზმის მქადაგებლად გვევლინება. იგი ხალხთა ძმობისა და მეგობრობის გულწრფელი მომღერალია.

განსაკუთრებულ ყურადღებას სერგეი მესხი ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობაზედ ამახვილებს. სწორედ აღნიშნავს მიხ. გაფრინდაშვილი, რომ „ს. მესხი ცარიზმთან ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოკავშირეებს ეძებდა მეზობელ ჩაგრულ ხალხებში, უწინარეს ყოვლისა, სომეხ ხალხში".[2]

ს. მესხმა ძალიან კარგად იცის, რომ კავკასიის ხალხებს და განსაკუთრებით ქართველ და სომეხ ხალხს, მრავალი საერთო ინტერესი ამოძრავებთ, „ჩვენ სომხებთან თანხმობა და ძმური დამოკიდებულება გვინდა გვქონდეს. ჩვენ გვინდა და უარზე არც ისინი დგანანო" — წერს იგი და ამიტომ არ ინდობს იმ ადამიანებს, რომელი ერის წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ ისინი, რომელნიც ცდილობენ უთანხმოება ჩამოაგდონ კავკასიის ერთიან ოჯახში მცხოვრებ ხალხებს შორის და ამით შეასუსტონ ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სერგეი მესხი ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული ამიერკავკასიის ტერიტორიაზე დასახლებული მშრომელი რუსი ხალხის მიმართაც, რადგან მათ ამიერკავკასიის ხალხთან ერთად მრავალი საერთო ინტერესი ამოძრავებთ,

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 8.
2 მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები, გვ. 260.

პირველ რიგში კი — სურვილი ცარიზმის დამხობისა. „ჩვენ რუსები, ქართველები; სომხები ვინ გაგვყო, ვინ გაგვაცალკევა; თითოეულს ჩვენგანს, რასაკვირველია, რომ ერთი ბედი გვაქვს, ერთი ნატვრა და სურვილი უნდა გვქონდეს“.[1]

სერგეი მესხი იმასაც მშვენივრად ხედავს, რომ ცარიზმის დამხობის სურვილი ამოძრავებს თვით დიდ რუს ხალხსაც. ამიტომ მას არასოდეს არ დაუსვამს რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის საკითხი, რადგან კარგად გრძნობდა, რომ ამგვარი გამოყოფა თვით საქართველოსათვის არ იქნებოდა სასარგებლო, პუშკინის, ჩერნიშევსკის, გერცენისა და დობროლუბოვის რუსეთი მიაჩნდა მას ამიერკავკასიის ხალხთა მტკიცე მოკავშირედ ტირანიის დასამხობად ბრძოლაში.

ამრიგად, ამიერკავკასიის ხალხთა მტკიცე კავშირი მოწინავე რუსეთთან და ერთიანი ფრონტით ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა საქართველოს ეროვნული ავტონომიის ჩამოყალიბებაც რუსეთის დემოკრატიულ სახელმწიფოს შიგნით, მგზნებარე პუბლიცისტის სანუკვარი ოცნება იყო.

სერგეი მესხი, ისე როგორც სხვა ჩვენი სამოციანელები, მოურიდებლად ილაშქრებს ეროვნული ჩაგვრის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი დიდი და ძლიერი ერების მიერ პატარა და სუსტი ერების ჩაგვრისა და მათი სრული მოსპობის სურვილის წინააღმდეგ. პატარა ერებს, — წერს ს. მესხი, — „თვითარსებობისა და დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება აქვთ და მათდა-უნებურათ, მითუმეტეს ძალ-დატანებით, როგორც ერთმა კაცმა მეორე არ უნდა დაიმონავოს, ისე ერთმა ხალხმაც მეორე, რაც უნდა ძლიერი და განათლებული იყოს ერთი და უმეცარი იყოს მეორე, არ უნდა დაჩაგროს“[2].

გაზ. „დროება“ ს. მესხის მეთაურობით გაბედულად ებრძოდა იმ ვაი მეცნიერებს, რომელნიც „ამტკიცებენ“ პატარა ხალხების დამორჩილებისა და საბოლოოდ დედამიწის პირიდან მათი სრული გაქრობის აუცილებლობას. „არიან ისეთი ცრუ-მეცნიერნი, — წერს ს. მესხი, — რომელნიც ამტკიცებენ, რომ ადრე თუ გვიან ყველა წვრილი ხალხები უთუოდ უნდა შთაინთქან დიდი ხალხებისაგანაო; პატარა ხალხი როდისმე, უეჭველია, ძალაუნებურათ უნდა დაემორჩილოს იმ მსხვილ ხალხს, რომელიც იმის მეზობლათ ცხოვრობსო; იმან უნდა დაივიწყოს თავის ენა, სარწმუნოება, ხასიათი და ჩვეუ-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 325.

2 ი ქ ვ ე, გვ. 283.

ლება და ყველაფერი იმ თავის მეზობელ სხვილ ხალხის უნდა შეითვისოსო“.

ეს თეორია სერგეი მესხს სრულ უაზრობად მიაჩნია. მისთვის გაუგებარია, თუ „რათ არის საჭირო კაცობრიობისათვის, რომ ერთმა ხალხმა მაინცადამაინც მეორე შთანთქას და მოსპოს, თუ კი ორივეს ცალ-ცალკე თავისუფალი ცხოვრება და არსებობა შეუძლიათ და ამ არსებობით თუ არ შემატებენ არას დააკლებენ კაცობრიობას“[1].

ეროვნული და კოლონიური ჩაგვრის შემაძრწუნებელ მაგალითებს ხედავს სერგეი მესხი ინგლისისა და ამერიკის პოლიტიკაში, რომელსაც ისინი ინდოელებისა და წითელკანიანების მიმართ აწარმოებენ. „ინგლისელები, — წერს ს. მესხი, — იმას კი არ დასჯერდნენ, რომ ძალით დაიპყრეს ინდოეთი, წაართვეს იქაურ მცხოვრებლებს ადგილ-მამული და მიწა-წყალი; არ სჯერდებიან არც იმის სიმდიდრეს, რომელიც მუდამ წელს გამოაქვთ ამ ბუნებით მდიდარისა და უხვის ქვეყნიდამ: ისინი თვითონ მცხოვრებლებსაც უმოწყალოთ და სწორეთ ბარბაროსულათ ეპყრობიან“. ნაცვლად იმისა, რომ ინგლისელებსა და ამერიკელებს ინდოელებსა და წითელკანიანებში განათლება შეეტანათ და ხელი შეეწყოთ მათი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ისინი „იმნაირათ ეპყრობიან თავის უცხო ქვეყნელ კოლონიებს, თითქო იმათი არსებობა ქვეყნისათვის მავნებელი იყოს და იმათი მოსპობა კი აუცილებლათ საჭირო“[2].

განსაკუთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა სერგეი მესხისა და მოწინავე ქართველ განმანათლებელთა მხრივ ის ეროვნული ნიჰილიზმი და რეაქციული ინტელიგენციის რენეგატული მიზანსწრაფვა, რომელმაც საკმაოდ მკვეთრად იჩინა თავი XIX საუკუნის 70-იან წლებში როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში.

როგორც ცნობილია, 1872 წელს თბილისში გამოვიდა მშობლიური ერის გამყიდველის, ჯერ სენატორის, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრის გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის (მუხრან-ბატონის) ბროშურა: О существе национальой индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“.

გ. კ. მუხრანსკი, რომელიც იმპერატორისადმი უერთგულესი გრძნობით იყო გამსჭვალული, ცდილობდა სასიკვდილო ლახვარი ჩაეცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის, ქართველი ერის თვითმყოფადობისათვის და ურცხვად აყენებდა დებულებას

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 232.

[2] ი ბ ი ვ ე.

მცირე ერების დიდ ერებში გათქვეფისა და მცირე ერთა ენების მოსპობის აუცილებლობის შესახებ. ეს ის მუხრანსკია, რომლის რეაქციული მსოფლმხედველობა საკმაოდ ცნობილი იყო ქართველი ინტელიგენციისათვის.

გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის წინადადებით და დიდის მეცადინეობით 1871 წელს იმპერატორისადმი მირთმეული ადრესიდან. ამოიღეს თხოვნა თბილისში უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, რომლის მაგივრადაც რეაქციულმა ფრთამ მუხრანსკის მეთაურობით ცარიზმის საამებლად კადეტთა კორპუსის გახსნა მოითხოვა. მანვე წერილობით მიმართა იმპერატორს და გამოსთხოვა გარკვეული რაოდენობის თანხა, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ქართველების სრული ასიმილაციისათვის, რუს ხალხში მათი გათქვეფისათვის.

ს. მესხმა ადრევე გაიგო გ. კ. მუხრანსკის ავანტიურისტული ბროშურის გამოცემის ამბავი. ბეჭდვის პროცესში ს. მესხისათვის უკვე ცნობილი იყო ავტორის „ბრძნული" დებულებანი, ამიტომ ვიდრე ბროშურა დღის სინათლეს იხილავდა ს. მესხი წინასწარ ironიით წერდა: „... ერთ ქართველს დიდი და მეცნიერებით სავსე წიგნი დაუწერია, რომელშიაც დარვინის თეორიით და ისტორიული ფაქტებით ამტკიცებს თურმე, რომ ძლიერმა ხალხებმა უეჭველია, სუსტი ხალხები უნდა ჩაყლაპონო; კაცობრიობის ბედნიერებისათვის ეს აუცილებლათ საჭირო არისო. ერთი სიტყვით ამ წიგნში იმ აზრს ამტკიცებს, რომელიც ერთმა სომეხმა შემდეგი უბრალო სიტყვებით წარმოსთქვა: „Болшой риба маленки риба кушает" („დროება", 1872 წ., № 23).

გ. კ. მუხრანსკის ზემოხსენებული ბროშურის გამოქვეყნება შემთხვევითი მოვლენა არ იყო. მართებულად შენიშნავს პროფ. ი. კაჭარავა, რომ „მეფის თვითმპყრობელობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის მახვილი ჩაეცა. მათ ციხის შიგნიდან გატეხვა სცადეს. ქართველი ერის მესაფლავედ ქართველივე გამოიყვანეს".[1]

ქართველ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოღვაწეთაგან სერგეი მესხი და ილია ჭავჭავაძე პირველნი იყვნენ, რომელთაც ერთიანი ფრონტით და განსაკუთრებული სიმკაცრით გაილაშქრეს გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ბროშურაში გატარებული რეაქციული თვალსაზრისის წინააღმდეგ. 1872 წლის „დროების" 35-ე ნომერში დაიბეჭდა სერგეი მესხის „ბიბლიოგრაფია" და ილია ჭავჭავაძის ლექსი „რჩევა". ლექსში ილიამ მისთვის ჩვეული სარკაზმითა და პოეტური სახეებით ამხილა ბროშურის ავტორის მლიქვნელური ბუ-

---

[1] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, 1962 წ., გვ. 63.

ნება, ხოლო ს. მესხმა, მიუხედავად ცენზურის მკაცრი ჩარევისა, მაინც მოახერხა დაენახვებინა მკითხველისათვის შინაური მტრის საზიზღარი სახე.

ვიდრე ბროშურის შინაარსს განმარტავდეს, სერგეი მესხს სურს გაარკვიოს, თუ რისთვის და რა აზრით არის ეს წიგნაკი დაწერილი. მან კარგად იცის, რომ „ქაღალდი რასაც კი დასწერ, ყველაფერს „მოითმენს“, ყველაფერს გამოხატავს თავის თეთრ ფონზე, მაგრამ თუ კაცს არავითარი ახალი და საზოგადოებისათვის სასარგებლო არა აქვ-რა თავში გამოსათქმელათ, ამისთანა კაცი რისთვის უნდა აწვალებდეს ტყუილ-უბრალოთ ქაღალდსა და რისთვის უნდა ხარჯავდეს უნაყოფო მელანსა?“

სერგეი მესხის მართებული შენიშვნით, გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ბროშურაში არც ერთი რიგიანი აზრი და „დამტკიცებული ჭეშმარიტება“ არ არის გამოთქმული, რომელსაც რაიმე სარგებლობის მოტანა შეეძლოს რუსი და ქართველი ხალხისათვის. ეს ბროშურა მხოლოდ ბრწყინვალე მუნდირის შენარჩუნებისა და კარიერის შექმნის მიზნითაა დაწერილი არაკალმოსნის მიერ და ამდენად იგი სერგეი მესხს აგონებს „მოხუცი კრილოვის ჭკვიანურ არაკა, რომელიც ამბობს, რომ „ხარაზმა პურის ცხობას არ უნდა მოჰკიდოს ხელი და ხაბაზმა წაღების კერვასაო“.[1]

სერგეი მესხის გაგებით, გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის „აზრი ის არის, რომ კაცობრიობის ყოველ-მხრივი ბედნიერებისა და წარმატებისათვის საჭიროა პატარა ხალხებმა დაჰკარგონ თავიანთი საკუთარი ხალხოსნობა, თავისი ენა, ჩვეულება და განსაკუთრებული ცხოვრება და დიდ ხალხებს შეუერთდნენო... ყოველი ხალხის განმაცალკევებელი არის ენაო და ამიტომ პირველათ წვრილი ხალხების ენა უნდა „გაუქმდეს“ მერე ისინიც შეუერთდებიან დიდ ხალხებსაო. რადგან წვრილი ხალხების ენებს არ შეუძლიანთ მთელი კაცობრიობის ორგანოთ შეიქმნან, ამის გამო ისინი უნდა გაუქმდნენ და თვითონ წვრილი ხალხები თავის-თავსა და საზოგადოთ მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის უნდა სამუდამოთ გაჰქრნენ და აღიხოცონ დედა-მიწიდანაო“.

გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ზემოხსენებული „ბრძნულ მეტყველებანი“ ს. მესხს სრულ უაზრობად მიაჩნია. ბროშურის ავტორს სურს კალმის ერთი მოსმით შეცვალოს ხალხის ხასიათი, წაართვას ხალხს მშობლიური ენა და არ ესმის, რომ ეს სიცოცხლის წართმევას ნიშნავს. მაგრამ განსაკუთრებით გასაოცარი სერგეი მესხისათვის ის არის, რომ გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის „ხალხი და მათი ენა რომელ-

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 254.

სამე დეპარტამენტის თანამდებობად მიაჩნია! თითქოს ხალხის ენის გაუქმება ისე ადვილი და შესაძლებელი იყოს, როგორც რომელიმე თანამდებობისა დეპარტამენტში"[1].

სერგეი მესხმა, რომელიც კარგად იცნობს კაცობრიობის ისტორიას, იცის, რომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც დიდ და ძლიერ ხალხს, ფიზიკური ძალის უხეში ჩარევით, დაუპყრია და ხან კი მთლიანად მოუსპია პატარა ხალხები, მაგრამ ეს მომხდარა არა კაცობრიობის წარმატების სურვილით, არამედ საკუთარი თავის გაძლიერების მიზნით, რაც განდიდების მანიით შეპყრობილ ზოგიერთ დიდ ხალხებს ახასიათებდათ.

სერგეი მესხის მართებული რწმენით, ერის მრავალრიცხოვნება არ არის გადამწყვეტი ფაქტორი მისი წარმატებისა, რადგან ისტორიულად ცნობილია, რომ დიდი და მრავალრიცხოვანი ხალხი ყოველთვის არ არის დაწინაურებული პატარა ხალხებზე და დიდი ხალხის ენა ყოველთვის არ არის პატარა ხალხის ენაზე უფრო მდიდარი. „უეჭველია, რომ მრავალ რიცხვში, შეიძლება, ბევრი მომეტებული სწავლულები და მეცნიერები გამოვიდნენ, მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ერის წარმატება სრულებითაც რიცხვზე არ არის დამოკიდებული"[2].

სერგეი მესხს ყოვლად შეუძლებლად მიაჩნია ერების მექანიკური შერწყმა, რადგან ბუნება თავის მკვეთრ ბეჭედს ასვამს ყოველი ერის ხასიათს, ჩვეულებას, ენას და საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც საუკუნეთა განმავლობაში მტკიცდება და ვითარდება და მათი აღხოცვა, ერის გადასხვარჯულება, შეუძლებელია. „იმ ხალხს, რომელსაც ისტორიულად უცხოვრია, — წერს ს. მესხი, — რომელსაც თავისი საკუთარი ლიტერატურა და, ცოტაც არის, შემუშავებული ენა აქვს, — ამგვარ ხალხს, თუნდაც ერთი მუჭა ხალხიც რომ იყვეს, ვერც რჩევით და ვერც ნებაყოფლობით, ვერ გამოაცვლევინებთ, ვერ მოასპობინებთ თავის თანშეზრდილს, თანშეხორცებულს ენას და ლიტერატურას, ვერ მოასპობინებთ იმიტომ, რომ ეს ენა და გვარ-ტომობა იმას თავის არსებობის საფუძვლად მიაჩნია".[3]

ეროვნულ საკითხს სერგეი მესხი მეტად ფაქიზ და სათუთ საკითხად მიიჩნევს, იგი განსაკუთრებულ ყურადღებას და გულისხმიერებას მოითხოვს. მისი გადაწყვეტა და მოგვარება ფიზიკური ძალის უხეში ჩარევითა და ძალდატანებით არ შეიძლება. ამიტომ ს. მესხი

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 255—6.
2 ი ქ ვ ე, გვ. 257.
3 ი ქ ვ ე, ტ. II, გვ. 187.

გონივრულ რჩევას აძლევს ცარიზმს და ერთგვარად აფრთხილებს კიდეც: „ძალდატანება და ფიზიკური ძალის ხმარება კაცობრიობის გონიერ მოქმედებას არ შეჰფერის. ძალ-დატანებით გაკეთებულ საქმეს არასოდეს მკვიდრი საძირკველი და დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს. თუ არ ძალ-დატანებით... ხალხი არასოდეს არ მიატოვებს თავის განსაკუთრებულ ცხოვრებას და ამგვარათ დაკარგულის აღდგენას ყოველთვის ეცდება". მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ დიდი ერი მოახერხებს პატარა ერებში თავისი ენისა და სახელმწიფოებრივი წყობილების დამყარებას, ამ შემთხვევაშიც შეუძლებელი იქნება პატარა ერების შერწყმა დიდი ერის ხალხში. „ინგლისელებს, -- წერს ს. მესხი, — რასაკვირველია, შეუძლიათ თავისი საკუთარი სახელმწიფო წყობილება და იქნება რამდენიმე საუკუნის შემდეგ თავის ენაც დაამყარონ ინდოეთში, მაგრამ ამით თქვენ გგონიათ ინდოელები და ინგლისელები ერთ ერად, ერთ სხეულის ნაწილებათ შეიქმნებიან?"[1]

როგორც აკაკი წერეთლის ერთ-ერთი კომენტარიდან ირკვევა, გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ამავე საკითხზე „მეორე წიგნაკი თუმცა მზათ ჰქონდა, მაგრამ აღარ გამოუცია". როგორც ჩანს, ილია ჭავჭავაძის, სერგეი მესხის, პეტრე უმიკაშვილისა და აკაკი წერეთლის სასტიკმა თავდასხმამ „ჭკვით და გულით მოცვეთილ" (ილია) და გაცვეთილი კალმის პატრონს წერის მადა დაუკარგა.

მაგრამ გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ბროშურამ მაინც მნიშვნელოვანი ნაკადი მიუშვა ქართველი ხალხის მოძულეთა წისქვილზე. 1872 წელს რუსულ გაზეთ „გოლოსის" 170-ე ნომერში დაიბეჭდა მოწინავე წერილი, რომლის ავტორი ეყრდნობოდა გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ბროშურას და „ამტკიცებდა", რომ კავკასიის ხალხებისათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს ადგილობრივი ენების შესწავლა და რომ სწავლება კავკასიის სკოლებში მხოლოდ რუსულ ენაზე უნდა მიმდინარეობდესო.

ს. მესხმა „გოლოსის" პუბლიცისტს გამანადგურებელი პასუხი გასცა წერილით „რუსული გაზეთის აზრი წვრილი ხალხებისა და სამშობლო ენაზე", რომელიც 1872 წლის „დროების" 44 ნომერში დაიბეჭდა.

სერგეი მესხმა მოურიდებლად გააკრიტიკა მოწინავე წერილში გატარებული ყალბი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ერთ სახელმწიფო ორგანიზმში ორი ერის არსებობა შეუძლებელი საქმეაო.

თავისი მახვილი და დასაბუთებული პოლემიკური წერილით სერგეი მესხმა ნათლად დაანახვა მკითხველებს, რომ „გოლოსის"

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 258.

მოწინავის ავტორს „ელემენტარული ცოდნა არა აქვს იმ საგნისა, რომელზედაც წერს“.

სერგეი მესხის ზემოხსენებული წერილები, მიმართული გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა და „გოლოსის“ მოწინავის ავტორის წინააღმდეგ, დიდი პრინციპულობითა და გამბედაობით ხასიათდებიან და წარმოადგენენ ცარიზმის ვერაგული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლისა და ეროვნული ვინაობის დაცვის ბრწყინვალე ნიმუშებს.

სერგეი მესხში მეტად დიდია სურვილი საქართველოს ეროვნული ორგანიზმის გაძლიერებისა. იგი ცდილობს, ერთ მკვრივ ბირთვად შეჰკრას მთელი ქართველობა არა მარტო ჩვენი ქვეყნის შიგნით, არამედ, მის ფარგლებს გარეთაც. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მან ჯერ კიდევ 1875 წელს დააყენა საკითხი „ოსმალოს ქართველებთან“ დაახლოების აუცილებლობის შესახებ. წერილით „ოსმალოს საქართველო“, რომელიც დაბეჭდილია „დროების“ 1875 წლის 6 ივლისის ნომერში, მან გაახსენა საზოგადოებას, რომ აჭარა, შავშეთი, ლაზისტანი „ერთ დროს საქართველოს ნაწილები ყოფილან და დღეს სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა წყალობით ოსმალოს პროვინციებად შექმნილან“.

სერგეი მესხი „ოსმალოს ქართველებსა“ და ჩვენ ხალხს შორის მტკიცე ურთიერთობის საფუძველს ხედავს. მისი მართებული რწმენით ისინი ჩვენი ძმები, ჩვენი ქვეყნის განუყრელი შვილები არიან და განსხვავება ჩვენს შორის მხოლოდ ის არის, რომ მათ ძალდატანებით შეუცვალეს სარწმუნოება და ასევე ძალდატანებით დაექვემდებარნენ სხვა სახელმწიფოს. მათში კი მეტად ძლიერია სურვილი თავის ხალხთან შეერთებისა და სერგეი მესხისათვის ეს სრულებითაც არ არის შემთხვევითი და მოულოდნელი. „რა გასაკვირველია, რა სათაკილოა უცხო ხალხთან უკანონოთ მიკრულმა ადამიანმა განთავისუფლება და სამშობლოსთან შეერთების სურვილი განაცხადოს და კიდეც რომ მოინდომოს? განა გასაკიცხავია ის შვილი, რომელიც თავის მშობელ დედასთან ყოფნას ნატრულობს?“[1]

სერგეი მესხი გულისტკივილით განიცდის იმ გარემოებას, რომ ჩვენ ყოველგვარი კავშირი გვაქვს გაწყვეტილი „ოსმალოს ქართველებთან“, იმ დროს, როდესაც ისინი ძმურად გვიყურებენ და ეხლაც ახსოვთ, რომ „ჩვენი თანამოძმენი არიან, რომ ერთ დროს საზოგადო ისტორიული ცხოვრებით გვიცხოვრია, ერთი ბედისა და უბედობის ქვეშ ვყოფილვართ; ერთი მეფეები გვყოლია, ერთი მმართველობა და ერთი ენა, სარწმუნოება“[2].

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 415.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 92.

ამიტომ სერგეი მესხი ქართველობის ზნეობრივ მოვალეობად თვლის. რათა დაუახლოვდეთ ჩვენ დაკარგულ მოძმეებს, გავიცნოთ ისინი და ჩვენი თავიც გავაცნოთ მათ. ს. მესხის რწმენით შეიძლება ერთ დროს „ოსმალოს ქართველობა" მეტად გამოსაყენებელი ძალა ყოფილიყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლებში.

როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ომი, რომელიც 1877—1878 წლებში მიმდინარეობდა, 1878 წლის იანვარში თურქეთის დამარცხებით დამთავრდა. ამავე წლის თებერვალში კონსტანტინოპოლის ახლო მდებარე დაბა სან-სტეფანოში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება თურქეთსა და რუსეთს შორის. სან-სტეფანოს ხელშეკრულების საფუძველზე რუსეთს უნდა შემოერთებოდა არტაანი, ყარსი, ბაიაზეთი, ბათუმი და ალაშქერთის დაბლობი მის ირგვლივ განლაგებული ტერიტორიით. თურქეთის მხრივ ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი დათმობა იყო; იგი საკმაოდ აძლიერებდა და ამტკიცებდა რუსეთის პოზიციას, რაც არ იყო სასურველი ინგლისისა და ავსტრიისათვის. ამიტომ მათ კატეგორიულად მოითხოვეს, გადასინჯულიყო სან-სტეფანოში დადებული საზავო ხელშეკრულება.

1878 წლის ივლისში ბერლინში მოწვეულმა მსხვილ სახელმწიფოთა კონგრესმა მართლაც გადასინჯა სან-სტეფანოს ხელშეკრულება და შეცვალა იგი რუსეთისათვის გაცილებით უფრო ცუდი პირობებით.

ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით რუსეთს შემოუერთდა თურქეთის მიერ ადრე მიტაცებული: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ოლთისი (ტაოს ჩრდილო ნაწილი). ამრიგად შეიქმნა ბათუმისა და ყარსის ოლქები. ბათუმის ოლქში შევიდა აჭარა-ქობულეთი, შავშეთი და კლარჯეთი, ხოლო ყარსის ოლქში კოლა-არტაანი და ოლთისი.

სერგეი მესხმა ძალიან კარგად იცოდა, რომ თურქეთის მიერ მიტაცებული ადგილების და განსაკუთრებით ბათუმის შემოერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების აღმავლობისათვის, ამიტომ ამ კუთხეს მან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო და შეეცადა ქართველი საზოგადოების დარაზმვას სამი საუკუნის წინ დაკარგულ მოძმეთა დასახმარებლად. „ბათუმის და აჭარის მხრის შემოერთება ჩვენს ქვეყანასთან, — წერდა იგი, — დიდსა და მძიმე მოვალეობას სდებს ჩვენს ეგრეთწოდებულ განათლებულ საზოგადოებასო".

სერგეი მესხის ღრმა რწმენით, პირველ რიგში, აუცილებელი იყო ქართველ ხალხს შემოერთებულ მოძმეთა შორის სრული ნდობა დაემსახურებინა. მაჰმადიანი ქართველები თავიდანვე უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ „ერთი მეორის გასაცარცვავად და შესაჭმელად

როდი შეერთებულან, არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ ერთმანეთს ხელი ხელში ჩააელონ და ამნაირათ უფრო ადვილად გაიარონ ცხოვრების მძიმე გზაზედ".

ამისათვის კი, ს. მესხის გაგებით, საჭირო იყო შემოერთებული ხალხის ცხოვრების ყოველი დეტალის საფუძვლიანი გაცნობა, „ხშირი მისვლა-მოსვლა ერთმანეთთან, ვაჭრობა, აღებ-მიცემა". ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აჭარის შემოერთების შემდეგ ს. მესხმა მოუწოდა ბუნებისმეტყველებს, ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, ეთნოგრაფებს და სხვა მეცნიერების წარმომადგენლებს, წასულიყვნენ და შეესწავლათ ეს მხარე. მაგრამ პირველ რიგში კი საჭიროდ თელიდა ზრუნვას მათი განათლებისათვის, „ოსმალოს ქართველებში" ქართული ენისა და წერა-კითხვის გავრცელებით, რაც მხოლოდ სკოლების საშუალებით იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ სერგეი მესხმა მთელი კატეგორიულობით დააყენა საკითხი შემოერთებულ ტერიტორიაზე ქართული სახალხო სკოლების დაარსების აუცილებლობის შესახებ.

განათლებული ქართველი ინტელიგენციის წინაშე სერგეი მესხმა გადაუდებელ ამოცანად დააყენა ამ სკოლებისათვის სპეციალური სახელმძღვანელოებისა და ხალხთა ფართო მასებისათვის საკითხავი წიგნების შექმნის საკითხი. ამ წიგნებს უნდა გაეცნო შემოერთებულ მოძმეთათვის საქართველოს გეოგრაფია და ისტორია, ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი და ეს წიგნები მუქთად თუ არა, ძალიან იაფად, უნდა დარიგებოდა მოსწავლე ახალგაზრდობას და ხალხს.

განსაკუთრებით სათუთ და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს სერგეი მესხი მაჰმადიან ქართველთა სარწმუნოებისადმი და წერს: „აუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენ არ შევეხოთ ახლად-შემეენილ ქართველების სარწმუნოებას... წინააღმდეგ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ჩვენ თავიდანვე შევაძულებთ ჩვენ თავს... სარწმუნოება სინდისის საქმეა, ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს იმას კაცი... სარწმუნოების განსხვავება არ დააბრკოლებს, არ დაუშლის ჩვენსა და იმათ ძმობას და ერთობას..."[1].

როგორც ცნობილია, რუსეთ-თურქეთის ომმა ბათუმის ოლქის მოსახლეობა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩააყენა. ომის მწვავე შედეგები განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მისი დამთავრების შემდეგ და ეს სავსებით ბუნებრივიც იყო. როგორც „დროება" იუწყებოდა, ომის პერიოდში ხალხს მიწა არ დაუმუშავებია, ანდა როგორ შეეძლო მისი დამუშავება, როდესაც ოჯახები, სახლ-კარი,

---

[1] „დროება", 1878 წ., № 147.

ყანა-მინდორი აკლებული იყო გარეშე და შინაური მტრისაგან. გადამწვარ სოფლებში ხალხი მშიერ-მწყურვალი დადიოდა.

აი, ამ ხალხის დახმარებისაკენ მოუწოდა გაზ. „დროებამ“ და ს. მესხმა ქართველ საზოგადოებას, რათა ოდნავ მაინც შეემსუბუქებინათ მათი მძიმე მდგომარეობა. გაჭირვებული მოძმისათვის დახმარების ხელის გაწვდენა, ს. მესხის მართებული რწმენით, ქართველი საზოგადოებრიობის ზნეობრივი მოვალეობა იყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მაჰმადიან ქართველთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, განსაკუთრებით „გაფანატიკებულმა მაჰმადიან სარწმუნოებაში“, სათაკილოდ მიიჩნია მართლმადიდებელი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ ყოფნა და საქართველოსთან შემოერთების შემდეგ გადასვლა იწყო ოსმალეთში.

სერგეი მესხმა ეს გარემოება მეტად მავნებლად მიიჩნია, როგორც საქართველოსთვის, ასევე თვით რუსეთისთვისაც. „თვით რუსეთისათვის, — წერდა ს. მესხი, — მავნებელია ამათი გადასვლა ოსმალეთში პირველად იმიტომ, რომ ამათაგან დატოვებული ადგილების დასახლება კოლონიზაცია, როგორც აბხაზეთისა და საზოგადოთ შავი ზღვის ნაპირების მაგალითმა არა ერთხელ დაგვიმტკიცა, შეუძლებელია, რადგან უცხო ხალხი ამ ადგილებში ვერა სძლებს. ესენი კი, უეჭველია, დღეის შემდეგ იქნებოდნენ საუკეთესო დამცველები შავი ზღვის ნაპირებისა. მეორეთ იმიტომ, რომ ცარიელი, უდაბნო ადგილები საზოგადოთ მთელს რუსეთში, უმისოთაც ბლომათაა და ამ მხრისაც კიდევ გაუდაბნოება, დაცლა ხალხისაგან. უეჭველია საზარალო იქნება მთელს სახელმწიფოსათვის, რადგან ამ სახელმწიფოს მოაკლდება მუშა ხელი, მიწა-წყლის შემმუშავებელი და პატრონები“.

და სერგეი მესხიც ეძებს გამოსავალს ამ მდგომარეობიდან. მისი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი და აუცილებელი პირობა გადასახლების შესაჩერებლად იმაში მდგომარეობს, რომ რჩევითა და გონივრული მოქმედებით ჩავაგონოთ ოსმალოს ქართველებს, თუ რა უბედურება მოელით მათ ოსმალეთში გადასახლების შედეგად და პირადი მაგალითითა და მოქმედებით დავანახოთ მათ და დაანახოს განსაკუთრებით ჩინოვნიკობამ, რომ ისინი მათ გასაძარცვავად და მოსატყუებლად კი არ მოსულან, არამედ სურთ დაეხმარონ და ფეხზე წამოაყენონ დაჩაგრული თანამოძმენი.

ადგილობრივი მოსახლეობის ლტოლვა ოსმალეთისაკენ ზემოხსენებული მიზეზის გარდა იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ ხელისუფლებამ ბათუმის ოლქში სხვადასხვა თანამდებობებზე გაგზავნა უკანონო მოქმედებისა და უნიჭობისათვის სამსახურიდან დათხოვნილი ჩინოვნიკობა, რომელთაც ახლად მიღებული თანამდებო-

ბანი საკუთარი გამდიდრების წყაროდ გაიხადეს და ნაცვლად კანონიერებისა, უკანონობის გზას დაადგნენ. ყოველივე ამან ადგილობრივი მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია და აღძრა მათში სურვილი ოსმალეთში გადასახლებისა.

ამ გარემოებით აღშფოთებულმა სერგეი მესხმა აუცილებელ საჭიროებად მიიჩნია ობმოკიდებული და გახრწნილი ჩინოვნიკობის შეცვლა უანგარო და საღად მოაზროვნე ადამიანებით. ასეთ პირებად მას განათლებული ქართველი ახალგაზრდობა მიაჩნდა და გულჩხურვალედ მოუწოდებდა მათ: „წადით ბათუმში! იმსახურეთ იქ! დაიპირეთ რაც უნდა მცირე თანამდებობა იყვეს, ოღონდ კი ხალხთან თქვენ იქონიეთ საქმე და არა იმ პირებმა, რომელთაც ყველგან თავიანთი ბოროტი სული და ბოროტი საქმე დააქვთ! იქონიეთ ხალხთან საქმე და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ თქვენის კეთილშობილურის, უანგარო მოქმედების წყალობით გამაჰმადიანებული ქართველები კმაყოფილნი დარჩებიან... ნდობის თვალით შემოგვხედავენ ჩვენ, იმათ მოძმე ქართველებს და აღარ იფიქრებენ ოსმალეთში გადასახლებას... ამგვარი სამსახური... ყოველ საქართველოს შვილს მამულის ძვირფას სამსახურად ჩაეთვლება და შთამომავლობა დააჯილდოვებს იმათ“.

ს. მესხის მართებული რწმენით, საჭირო იყო საქართველოს ეს ნაწილი თვით ქართველებით დასახლებულიყო, რადგან ისინი უკეთ გამონახავდნენ საერთო ენას ჩვენ დაკარგულ მოძმეებთან, რასაც დიდი ეროვნული და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ცარიზმი კი საქართველოს ტერიტორიის საუკეთესო ნაწილს, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროებს განზრახ ასახლებდა არაქართველი ტომებით. მაგრამ ბევრი მათგანი ვერ შეეგუა იქაურ კლიმატურ პირობებს, ზოგმა მიჰყიდ-მოჰყიდა დარიგებული მამულები, ზოგმა კი უპატრონოდ მიატოვა.

გამომდინარე თავისი ქვეყნისა და ერის ინტერესებიდან სერგეი მესხი კვლავ კატეგორიულ მოთხოვნილებას უყენებდა მმართველობას: „შავი ზღვის ნაპირა ალაგები ისევ კავკასიის ხალხებმა უნდა დაასახლონ და შეიმუშაონ; სხვა ტომისა და სხვა ქვეყნის ხალხის აქ მოთავსებას თვით ბუნება ეწინააღმდეგებაო“.[1]

მაგრამ ეს გონივრული რჩევა ეწინააღმდეგებოდა ცარიზმის კოლონიალურ პოლიტიკას; პირიქით, იგი გულმოდგინედ ცდილობდა დაექსაქსა ქართველი ერი და არ მიეცა მისთვის კომპაქტური

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 237.

ცხოვრების საშუალება. ამის საუკეთესო მაგალითს შემდეგი გარემოებანი წარმოადგენდნენ:

„ოსმალეთში გადასახლებული ქართველები მალე დარწმუნდნენ, რომ ისინი სასტიკად მოატყუეს „ოსმალოს მქადაგებლებმა", რომელნიც „ოქროს მთებს" ჰპირდებოდნენ. ამიტომ გადასახლებულმა ქართველობამ ისევ სამშობლოს მოაშურა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ სამშობლოსაკენ ლტოლვილებს საზღვრები გადაუკეტა და დაბრუნების საშუალება არ მისცა.

სერგეი მესხმა არ მოიწონა ხელისუფლების ამგვარი მოქმედება და კატეგორიულად მოითხოვა, რათა გაეღოთ მათთვის მშობლიური ქვეყნის კარები. მათ დაბრუნებას, ს. მესხის რწმენით, თვით სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვდა, პირველ რიგში იმიტომ, რომ უპატრონოდ დატოვებული ადგილ-მამული მათი დაბრუნების შემდეგ დაუმუშავებელი აღარ დარჩებოდა და გადარჩებოდა გავერანებას, მეორე, გადასახლებული, გაგდებული ხალხი ყოველთვის ჩვენი მოსისხლე მტერი იქნებოდა, ხოლო თუ სამშობლოში დავაბრუნებდით, იგი მტრობას გულიდან ამოირეცხდა და მესამე — „ეს დაბრუნებულები საუკეთესო მქადაგებლები იქნებიან იმათთვის, რომელნიც ჯერ კიდევ აქ დარჩენილან, მაგრამ გადასახლებას აპირებენ. ერთი ამისთანა დაბრუნებული, რომელმაც ოსმალეთში ათასი წვალება და ტანჯვა გამოიარა, რომელსაც იქ არც ადგილი მისცეს, არც თავ-შესაფარი სახლი, არც ლუკმა-პური, ერთი ამისთანა კაცი ჩაასახლეთ სოფელში და, რასაკვირველია, დარწმუნებული უნდა იყვნეთ, რომ ამ სოფლიდამ მერე არცერთი კაცი აღარ გაივლებს ტვინში გადასახლებასო".[1]

სერგეი მესხი გამოესარჩლა ჩერქეზებსა და აფხაზებსაც, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ 1864—1866 წლებში, ხოლო შემდეგ რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში ძალდატანებით გადაასახლეს თურქეთში თვით თურქებმა და რომელთა ერთმა ნაწილმა სამშობლოში დაბრუნება მოიწადინა, მაგრამ ხელისუფლებამ ისინი მოღალატეებად ჩათვალა და მათი თხოვნა უკან დაბრუნების შესახებ არ დააკმაყოფილა. გაზეთი „დროება" და პირადად სერგეი მესხი ხაზგასმით მიუთითებდა ხელისუფლებას, რომ „კაცთმოყვარეობის გრძნობის გარდა, ამას (ჩერქეზებისა და აფხაზების უკან დაბრუნებას—ი. ბ.) მოითხოვდა სამართლიანობაც და თვით სარგებლობაც".[2]

მაგრამ ცარიზმი არა თუ თავის ნებით ან გარეშე მტრის მიერ

---

[1] „დროება", 1879 წ., № 189.
[2] „დროება", 1878 წ., № 158.

იძულებით გადასახლებულ კავკასიელ ტომებს აბრუნებდა სამშობლოში, არამედ თვითონ აკახლებდა კავკასიიდან ყველას, ვინც კი ეცდებოდა წინააღმდეგობა გაეწია იმ ბარბაროსული პოლიტიკისათვის, რომელსაც ზემდგომი ორგანოების ბრძანებით ადგილობრივი ბიუროკრატია და მოხელენი ატარებდნენ.

ამ ბარბაროსული პოლიტიკის მსხვერპლი გახდნენ თავისუფლებისმოყვარე მთიულებიც, რომლებიც უმაღლესი მთავრობის მიერ შედგენილი კომისიის დასკვნის საფუძველზე, 1879 წელს გადაასახლეს თავისი მშობლიური კუთხიდან რუსეთის შუაგულ გუბერნიებში.

სერგეი მესხმა მეტად მტკივნეულად განიცადა ეს უგუნური დადგენილება და მისი შესრულება თვით რუსეთის სახელმწიფოებრივი ინტერესის თვალსაზრისითაც საზიანოდ მიიჩნია, რადგან, მისი აზრით, იგი რუსეთის სახელმწიფოს დიდ ზიანს მოუტანდა, უკან დასწევდა მის ეკონომიურ მდგომარეობას.

კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრებ კავკასიელ ტომთა რუსეთში გადასახლება, ხოლო რუსეთიდან კავკასიაში რუსების ჩამოსახლება, სერგეი მესხის ღრმა რწმენით, არა თუ უაზრობა, არამედ მავნებლობაც კი იყო, რადგან, როგორც „დროება" აღნიშნავდა „ამ გადასახლება-გადმოსახლებით თვალ-უწვდენელ და უიმისოდაც ძალიან სუსტად დასახლებულ რუსეთს მხოლოდ მცხოვრებლები აკლდება და სხვა არაფერი. რუსები აქ იხოცებიან, მთიულები რუსეთში".[1]

განსაკუთრებით საზიანო იყო კავკასიის მცხოვრებთა რუსეთში გადასახლება თვით კავკასიელი ხალხისათვის — წმინდა მატერიალური თვალსაზრისითაც: „ჩვენ არ ჩამოვთვლით იმას, — წერდა ს. მესხი, — თუ მატერიალურის მხრით რამდენი დააკლდება კავკასიას მთიულების გადასახლებით. საკმაო იქნება მოვიგონოთ მხოლოთ, რომ თითქმის მთელი კავკასია გამოდის ოსურის ყველით, მთიულების კარაქით, ლეკების შალით და ამათი იარაღის კეთებით; საკმაო იქნება მოვიგონოთ, რომ ჩაჩნები მშვენიერი მჭედლები (მექვაბეები) არიან, ბელაკნელებს ჰყავთ ურიცხვი ცხვარი, აკეთებენ მატყლს, რომ აჭარელებს მოჰყავთ ჩინებული თამბაქო და ხილი, რომ ქობულეთელები არიან დახელოვნებული ხუროები და მიწის მუშაკნი, რომ მაჰახელის თოფი მთელს მცირე აზიაში და კავკასიაში განთქმულია და სხვადასხვა. ყველა ეს რომ მოვიგონოთ, მაშინ ცხადათ წარმოგვიდგება თვალ-წინ — თუ ყველა ამ მთიულის ხალხების გადასახლებით რამდენი დააკლდება კავკასიას, რამდენათ

---

[1] „დროება", 1879 წ., № 133.

უკან დაგვწევს ის ჩვენ ჩვენს ოჯახობაში, მეურნეობაში, წარმოებაში და სხვ. ნუ თუ ამას სახელმწიფო ინტერესი მოითხოვს?"[1]

სერგეი მესხმა ძალიან კარგად იცის, რომ მთიელთა უკმაყოფილებისა და ამბოხების მიზეზი იქ წარგზავნილი ბიუროკრატი და დესპოტი მოხელეები არიან, რომლებიც უხეშად თელავენ მათ რწმენას, თავმოყვარეობას და სარწმუნოებას; არავინ ზრუნავს მთიელთა განათლებაზე, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ნაცვლად დახმარების ხელის გაწოდებისა, ამ ხელში როზგი უპყრიათ და მით უსწორდებიან ხშირად სრულიად უდანაშაულო ხალხს. ამის შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ შეეიწროებულმა ხალხმა ხმა ამოიღოს და დაიცვას თავისი მეობა.

ყოველგვარი უსიამოვნებისა და ინცინდენტის თავიდან ასაცილებლად, სერგეი მესხი მეტად გონივრულ რჩევას აძლევს ხელისუფლებას: „დააყენეთ ამ შერისხულ მთიულ ქვეყნებში კარგი, პატიოსანი, ადგილობრივი ხალხის ხასიათისა და ენა-ჩვეულების მცოდნე ნაჩალნიკები; ყველაზე პირველად ყაზარმებისა და საპყრობილეების ნაცვლად, ააშენეთ იქ შკოლები, რომლებშიაც იმათ ენასა და სარწმუნოებას პატივი და განმავლობა ჰქონდეს, ჯარებისა და ზარბაზნების მაგიერად გაგზავნეთ იქ კარგი, მცოდნე მასწავლებლები სახელმძღვანელო წიგნებითა და კალამ-ქაღალდითა; დააწესეთ ადგილობრივი ადათის მსგავსად, კარგი სასამართლოები, გაგზავნეთ პატიოსანი მოსამართლეები, — და თქვენ ნახავთ, რომ ათი-ოცი წლის განმავლობაში თქვენ შეიძენთ ხალხს მშვიდობიანს, მხნეს, მუშაკს, რომელიც თავის თავისათვისაც კარგი იქნება და სახელმწიფოსთვისაც ძვირფასი და გამოსადეგი; თქვენ შეიძენთ ქვეყანას ნაყოფიერს, მდიდარს, კარგათ შემუშავებულს და მაგრად დაცულს გარეშე და შინაგან მტრისაგან"[2].

ასეთი იყო სერგეი მესხის გულწრფელი რჩევა, მაგრამ ცარიზმისათვის იგი წარმოადგენდა ხმას „მღაღადებლისას უდაბნოსა შინა".

სერგეი მესხის მიზანი დამოუკიდებელი, მთლიანი საქართველოს შექმნა იყო, სადაც ადგილი არ ექნებოდა ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას და სადაც ყველა წოდების წარმომადგენელი მხოლოდ თავისი ქვეყნის ბედით იქნებოდა დაინტერესებული.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ დროშას, რომელიც მხნედ აღმართეს ქართველმა სამოციანელებმა, სერგეი მესხის, თქმით არ ეწერა „არც ბატონი, არც გლეხი, არც ახალი და არც ძველი თაობა",

---

[1] „დროება", 1879 წ., № 133.

[2] ი ქ ე ე.

ამიტომ ამ დროშის ქვეშ უნდა დარაზმულიყო მთელი საქართველო: გლეხობა, თავადაზნაურობა, წვრილი თუ მსხვილი ბურჟუაზია და ქართველი სამღვდელოებაც კი.

სერგეი მესხის ღრმა რწმენით საქართველოს ეროვნული თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის აუცილებელ პირობას სწორედ ზემოხსენებული კლასების და ცალკეული სოციალური ფენების მტკიცე კავშირი წარმოადგენდა.

ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საუკეთესო საშუალებად სერგეი მესხი რევოლუციას მიიჩნევდა, „მხოლოდ... რევოლუციის დროს იჩენს თავს ხალხის ნამდვილი ძალა და გულის მიდრეკილება", — წერდა იგი.

საერთოდ, ჩვენი პუბლიცისტი, ყველა ხალხის განთავისუფლების იმედს რევოლუციაზე ამყარებდა, რომელსაც უნდა მოესპო მშრომელთა ჩაგვრა და ექსპლოატაცია. მაგრამ სერგეი მესხმა კარგად იცოდა, რომ არც ერთი რევოლუცია, რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში ჰქონდა ადგილი, ხალხის საბედნიეროდ არ დამთავრებულა. „საზოგადო ისტორიაში და განსაკუთრებით საფრანგეთის ისტორიაში ერთი ყურადღების ღირსი მოვლენაა შენიშნული: ყოველთვის, რევოლუციის შემდეგ, როდესაც მოქანცული, დაღლილი ხალხი რომელსამე ერთს პარტიას მიენდობა და იმას ჩააბარებს თავის ბედის გამგეობას და თავის ქვეყნის მმართველობას, ეს პარტია, ცოტა ხნის შემდეგ, თითქმის იმნაირათვე იწყებს მოქმედებას, იმნაირათვე ართმევს ხალხს თავისუფლებას, რომლისთვისაც იმ.ნ, იმდენი სისხლი დაღვარა, როგორც წინანდელი, გადაგდებული მმართველობა...

რასაკვირველია, ეს კანონი არ არის. იმ დღეს, როდესაც ხალხი თავის ნამდვილ მომხრეებს გაარჩევს პირმოთნე და მოღალატე პირებში, იმ დღეს, როდესაც ხალხი, რევოლუციის მოხთენის შემდეგ, თეითონვე დაესაკუთრება თავის საქმეებს, — იმ დღეს ეს თითქო კანონი მოისპობა და ხალხი იგრძნობს თავის სისხლის ღვრის ნაშდვილ სარგებლობას და შედეგს".

ს. მესხი რევოლუციის მომხრეა საქართველოშიც. მან ძალიან კარგად იცის, რომ საქართველოს განთავისუფლებას ცარიზმის მძიმე უღლისაგან „მსხვერპლი დასჭირდება არა თუ მარტო ჩვენის მხრით, მთელი კავკასიის მხრითაც", რომ აუცილებელია რევოლუცია „საზოგადო მტრის დასამხობად", მაგრამ მან ისიც კარგად იცოდა, რომ 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა რევოლუციის დაწყების საშუალებას არ იძლეოდა, მისი ღრმა რწმენით ასეთი ბრძოლებისათვის ხალხი ჯერ კიდევ მოუმზადებელი იყო. სწორედ ამით აიხსნება სერგეი მესხის ბრძოლა ხალ-

ხოსნების წინააღმდეგ, რომელნიც მხარს უჭერდნენ ხალხის დაუყოვნებელ ამბოხებას.

სერგეი მესხს ხალხოსნების მიერ გადადგმული ნაბიჯი ნაადრევად მიაჩნდა, რომელსაც შეეძლო უარყოფითად ემოქმედნა რევოლუციის მომავალ ბედზე. „აჩქარებით, თავხედური მოქმედებით, — წერდა იგი, — საქმე სრულიად გაფუჭდება... და მომავალსაც დაბრკოლება მიეცემაო“.

სერგეი მესხი ხალხის მომზადებას რევოლუციისათვის რევოლუციური ბრძოლის პირველ ეტაპად მიიჩნევდა. ამ მიზნით იგი საჭიროდ თვლიდა, რათა ქართველობა გასცნობოდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის გამოცდილებას.

ამრიგად, სერგეი მესხი საუსებით სწორად ამჩნევს, რომ 70-იანი წლების საქართველოში რევოლუციური ძალები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ და საჭირო იყო ასეთი ძალების შექმნა-მომზადება.

რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს თითქოს ამის გამო სერგეი მესხი მხარს არ უჭერდეს რევოლუციას, პირიქით, 70-იანი წლებია საქართველოში „რევოლუციონერობა ნიშნავდა არა მოწოდებას აჯანყებისაკენ, არამედ რევოლუციის პრინციპულად აღიარებას, რევოლუციური ძალების მომზადებას, უწინარეს ყოვლისა, იდეურად და შესაძლებელ რევოლუციაში ქართველი მშრომელი ხალხის ეროვნული და კლასობრივი ინტერესების დასაცავად ბრძოლის სურვილს“.[1]

მართალია, სერგეი მესხის ეროვნულ პროგრამაში ზოგი რამ უტოპიური იყო, მას არ ესმოდა, რომ ცარიზმის, ფეოდალიზმის რღვევის და კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, როდესაც კლასობრივი ბრძოლა თანდათანობით მწვავე ხასიათს იღებდა, ანტაგონისტურად განწყობილ კლასებსა და სოციალურ ფენებს შორის ჰარმონიული ურთიერთდამოკიდებულების დამყარება უნიადაგო ოცნება იყო. აქ იყო სწორედ სერგეი მესხისა და სხვა ქართველ სამოციანელთა შეცდომა. მაგრამ ეს ეპოქის შეზღუდულობით აიხსნება მხოლოდ. საერთოდ კი სერგეი მესხს გულწრფელად სწამდა საქართველოს ბრწყინვალე მომავალი, რისთვისაც იგი უკომპრომისოდ იბრძოდა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე.

---

1 მ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, I, გვ. 306.

ბრძოლა საქართველოს სოციალური და ეკონომიური აღორძინებისათვის

ვ. ი. ლენინმა ნაშრომში — „რა ბეჭკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?“ ნათლად ჩამოაყალიბა განმანათლებლობის არსი და მიგვითითა მის სამ დამახასიათებელ თვისებაზე. ეს იყო მხურვალე მტრობა „ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში. ეს „განმანათლებლის“ პირველი დამახასიათებელი თვისებაა. მეორე დამახასიათებელი თვისება, რაც საერთოა ყველა რუსი განმანათლებლისათვის, — ეს არის მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ რუსეთის ყოველმხრივი ევროპეიზაციისა. ბოლოს „განმანათლებლის“ მესამე დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა (რომელნიც ჯერ სავსებით განთავისუფლებულნი არ იყვნენ, ანდა ის-იყო თავისუფლდებოდნენ განმანათლებლობის ეპოქაში) ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისათვის ხელის შეწყობისა“[1].

ამავე ნაშრომში ვ. ი. ლენინი ხაზგასმით მიუთითებს, რომ განმანათლებელთა ყურადღების ცენტრში როგორც ევროპაში, ასევე რუსეთში, ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი იდგა, რომ „იმ ხანებში, როდესაც XVIII საუკუნის განმანათლებელნი სწერდნენ (რომელნიც საყოველთაოდ აღიარებული აზრით ბურჟუაზიის ბელადებად ითვლებოდნენ), როდესაც 40-იანი და 60-იანი წლების ჩვენებური განმანათლებელნი სწერდნენ, ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. II, 1948 წ., გვ. 626—627.

ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი, მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომ არავითარ ანგარებას მაშინ ბურჟუაზიის იდეოლოგები არ იჩენდნენ; პირიქით, დასავლეთ ევროპაშიაც და რუსეთშიაც მათ საესებით გულწრფელად სწამდათ საყოველთაო კეთილდღეობა და გულწრფელად სწამდათ იგი, გულწრფელად ვერ ხედავდნენ (ნაწილობრივ ჯერ არც შეეძლოთ დაენახათ) იმ წყობილების წინააღმდეგობებს, რომელიც ბატონყმური წყობილებიდან იზრდებოდა".[1]

განმანათლებლების მსოფლმხედველობის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად ვ. ი. ლენინი იმასაც მიიჩნევდა, რომ ისინი „მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდნენ, როგორც თავიანთი განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზედაც კი საერთოდ".[2]

ვ. ი. ლენინის მიერ ჩამოყალიბებული განმანათლებლობის არსებითი ნიშნები დამახასიათებელი იყო ქართველი სამოციანელებისა და მათ შორის სერგეი მესხისთვისაც.

როდესაც სერგეი მესხი სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, საგლეხო რეფორმა საქართველოში თითქმის გატარებული იყო, მაგრამ ამით გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა არა თუ გაუმჯობესებული, არამედ მკვეთრად გაუარესებული იყო. ისედაც გაძალტყაევებულ გლეხობას გაუდიდეს სხვადასხვა გადასახადი, ხოლო მიწის ნაკვეთები იმდენად შეუმცირეს, რომ შეუძლებელი ხდებოდა მინიმალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაც კი. მართებულად აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, რომ „ყბადაღებული „განთავისუფლება" იყო გლეხობის ყოვლად უსინდისო გაძარცვა, იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მოელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას"[3].

ბუნებრივია, რომ გაუნათლებელ, ეკონომიურად გაღატაკებულ და ყოველგვარ უფლებას მოკლებულ გლეხობას, რომელშიც სერგეი მესხი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ძირითად ძალას ხედავდა, არ შესწევდა უნარი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლისა.

სერგეი მესხი გრძნობდა, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველი მშრომელი ხალხის სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების სა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 628.
[2] ი ქ ვ ე ე, გვ. 656.
[3] ი ქ ვ ე ე, ტ. 17, გვ. 126.

კითხთან, რადგან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფორმა არ არსებობს სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის გარეშე.

ამიტომ სერგეი მესხმა მწვავე ბრძოლა გააჩაღა ბატონყმობისა და მისი მძიმე გადმონაშთების წინააღმდეგ, რადგან ბრძოლის ეს უბანი მიაჩნდა იმ მნიშვნელოვან ობიექტად, სადაც ერთმანეთა მჭიდროდ ენასკვებოდა იმ პერიოდის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სერგეი მესხის მოღვაწეობის პირველ წლებში (1870—1871 წწ.) ბატონყმობა ჯერ კიდევ არ იყო გადავარდნილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, მაგალითად, სვანეთსა და აფხაზეთში. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ბატონყმობისა და მისი გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი კვლავ მტკივნეულ და გადაუდებელ პრობლემად რჩებოდა.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს 70—80-იანი წლების ქართული პრესის პროგრესული მოღვაწენი სწორედ ბატონყმობაში ხედავდნენ. ის საშინელი ანტაგონიზმი, რომელმაც მძლავრად იჩინა თავი გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის, მკვეთრად ამუხრუჭებდა ქვეყნის ეკონომიური და ინტელექტუალური ცხოვრების განვითარებას.

სერგეი მესხიც ხედავდა, რომ ფეოდალურმა წყობამ და მისთვის დამახასიათებელმა კარჩაკეტილობამ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ერთმანეთს დააშორა, რამაც ქვეყანა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობამდე მიიყვანა. აფხაზეთში, შავი ზღვის სანაპიროებზე, სადაც ბატონყმობა ჯერ კიდევ მძვინვარებდა, შავი ზღვის პატრონი ხალხი მთა-გორებსა და დაბლობებში მოამწყვდია და ზღვა, ეს უძვირფასესი წყარო სიმდიდრისა და სხვა ხალხებთან ურთიერთობისა სრულიად გამოუყენებელი დარჩა. „რაში გამოვიყენეთ.. როგორ ვისარგებლეთ ჩვენ ზღვითა? დავუახლოვდით ჩვენ განათლებულ ხალხებს? ჩვენ მოძმე ხალხებთან, ამ ზღვის ნაპირას მცხოვრებლებთან მაინც თუ გვქონდა მისვლა-მოსვლა და ცნობა? იქნება ის სიმდიდრე მაინც გამოვიყენეთ, რომელიც ზღვაშია? არც ერთი, არც მეორე, არც მესამე“.[1]

სერგეი მესხისათვის სავსებით ნათელი იყო, რომ ბატონყმობა უარყოფითად მოქმედებდა არა მხოლოდ გლეხობაზე, არამედ თავადაზნაურობაზედაც, „ვალდებულებითი და ძალდატანებითი შრომა, მონობა მავნებელი და დამღუპველი იყო როგორც ბატონისათვის, ისე უმეტესათ გლეხობისათვისაც“.[2]

---

[1] მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 77.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 78.

გადავარდა ბატონყმობა, მაგრამ მისი გადმონაშთები კვლავ ბოგინობდნენ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. „უხეირო და მავნებელი თვისება დანერგა ბატონ-ყმობამ ჩვენს ხასიათში და ცხოვრებაში, — წერდა ს. მესხი, — ზოგიერთი ამ უხეირო თვისებათაგანი ისე ღრმათ იყენენ ჩანერგილი ჩვენს ცხოვრებაში და ჩვეულებაში, რომ ახლაც არაებობენ ჩვენში, თუმცა ბატონ-ყმობა კი გადავარდა და იქნება კაი ხანმა გაიაროს, სანამ ჩვენ ამ ბატონ-ყმობის კვალისა და იმის შედეგებისაგან განთავისუფლდებით და სწორ გზაზე დავაყენებთ ჩვენ ცხოვრებას".[1]

რადგან ბატონყმობის გადმონაშთები ხშირად მეტი თუ არა, ნაკლები ძალით არ აფერხებდნენ საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი დარგის განვითარებას, ვინაიდან იგი კვლავ რჩებოდა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების განვითარების შემაფერხებელ მნიშვნელოვან ძალად, ამიტომ სერგეი მესხი მთელი სიმწვავით აყენებდა მათ წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის საკითხს.

ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ უფრო მძაფრ ფორმებში გამოვლინდა წინააღმდეგობა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. ეს წინააღმდეგობა წმინდა ეკონომიურ საფუძველს ემყარებოდა.

სერგეი მესხისათვის გასაგები იყო, რომ ანტაგონიზმის გაღვივებას ორ მოპირდაპირე კლასს შორის მეფის ხელისუფლება უწყობდა ხელს, რომელიც თავადაზნაურობის ქომაგის როლში გამოდიოდა (ცხადია იმდენად, რამდენადაც ეს მის მიზნებს შეესაბამებოდა) და აქეზებდა მათ გლეხობის წინააღმდეგ.

სერგეი მესხი იცავდა ფართო მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს, მოურიდებლად ამხელდა ცარიზმის ამ ვერაგ პოლიტიკას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ყოველი მთავრობის მოვალეობაა... ყველა თავის ქვეშევრდომს ერთნაირად უპატრონოს, ერთგვარად მოუაროს, ყველას მიანიჭოს სამართლიანობა და კეთილდღეობა. არც ერთი ცოტათი მაინც ხეირიანად დაწყობილი მთავრობა აშკარად არ მოინდომებს, რომ ერთი ნაწილი, ერთი წოდება თავის ქვეშევრდომებისა მეორეს მისცეს, მეორეს ჩაუგდოს ხელში საცარცვავად და ჩასაყლაპავად".[2]

როგორც გაზეთი „დროება", ასევე მისი რედაქტორი ს. მესხი მშვენივრად გრძნობდნენ, რომ გლეხობასა და მემამულე თავადაზნაურობას შორის არსებული წინააღმდეგობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ეკონომიურ საფუძველს ემყარებოდა. მიწის არათანაბარი

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 124.

[2] „დროება", 1879 წ., № 114.

განაწილება ჰქმნიდა გარდაუვალ უფსკრულს ამ ორ ანტაგონისტურად განწყობილ კლასს შორის. ის იყო ერთ-ერთი მიზეზი გლეხობის აუტანელი სიდუხჭირისა.

საყურადღებოა, რომ ამავე თვალსაზრისს ავითარებს ჟურნალი „იმედიც" 1881 წელს. „სოფლისა და განსაკუთრებით ჩვენი სოფლის ცხოვრება, — ვკითხულობთ ჟურნალში, — თითქმის მთლიანად დამოკიდებულია მიწაზედ: თუ გლეხს კარგი მიწა უჭირავს და თან სახელმწიფო და საზოგადო ხარჯიც არ აწუხებს, ის სულჩადგმულია, „მდიდარია"; და თუ არა, ალაბი ჩითი აამ შაურათ კი არა, გროშათაც რომ გახადო და აგრეთვე სხვა სავაჭროც გააიაფო, უადგილმამულო გლეხი მაინც ღატაკი დარჩება"[1].

70—80-იანი წლების ქართული პრესა, რომელსაც სამოციანელები ხელმძღვანელობდნენ, დიდად იყო დაინტერესებული მშრომელი გლეხობის ბედით და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფიქრი ერთი წუთითაც არ შეუწყვეტიათ. ეს გარემოება საკმაოდ მკვეთრად ჩანს „დროების", „კრებულის" და „ივერიის" ფურცლებიდან. მიუხედავად ამისა, „იმედმა" მაინც უსაყვედურა სამოციანელებს გლეხობის ცხოვრების უცოდინარობა; უფრო მეტიც: „იმედის" აზრით, „დროება"-„კრებულის" და „ივერიის" კალმოსნება არც აინტერესებდათ მწარმოებელი კლასის ბედ-იღბალი. „იმედის" აზრით, ქართველი სამოციანელების „ნაკლოვანება იმაში მდგომარეობდა, რომ თავიანთ ნიჭიერებასთან და სწავლასთან სრულებით ავიწყდებოდათ დროება, გარემოება და ადგილი... ქართველი საზოგადოება, მთელი ხალხი, სწყდებოდა შიმშილითა და უმოსაცვლობით — ამ დროს ჩვენი მწერლები გაცხარებული ბაასობდნენ ტიერზე და გიზოზე..."[2]

ცხადია, რომ „იმედი" სასტიკად ცდებოდა. ქართველი სამოციანელები, კერძოდ, „დროება" და მისი თანამშრომლები მშვენივრად ხედავდნენ, რომ კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ ქართველ თავადაზნაურობას ფეხქვეშ ნიადაგი გამოაცალა. იგი ვერ იხსნა გლეხთა „განთავისუფლების" შედეგად იმპერატორის მიერ ნაბოძებმა დიდმა თანხებმა, ვერც შრომამიგების სისტემამ და გლეხობის მიერ ნადელების გამოსყიდვით, თუ მიწის რენტის სახით აღებულმა ფულმა. ულმობლად ირღვეოდა ფეოდალური წყობილება და ქართველი თავადაზნაურობა უაღრესად ექსპლოატატორულ და ეგოისტურ გრძნობათა მატარებელ კლასად იქცა, რომელიც დიდი სისწრაფით მიექანებოდა უფსკრულისაკენ.

---

[1] „იმედი", 1881 წ., № 1, გვ. 117.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 97.

უიალქნო გემივით მოხეტიალე თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი ახალმა ფერცელილმა ცხოვრებამ კაცურ გზას ააცდინა: „სანამ ჩვენში ბატონყმობა არსებობდა, — წერს „დროება", — ყველას გლეხობისა, მუქთა შრომისა და უზრუნველი ცხოვრების იმედი ჰქონდა. მებატონე ამაყად ამბობდა: საქმე რად მინდა, ფული რად მინდა? ჩემი გლეხების შრომა ჩემი ფულიაო!

ბატონყმობის მოსპობის შემდეგ ჩვენი გარემოება შეიცვალა: უწინდელ მებატონეს წაერთვა მუქთი შრომა და მასთან უზრუნველი შემოსავლისა და უზრუნველად ცხოვრების სახსარი. განსაკუთრებით წვრილ მებატონეებმა კარგათ იგრძნეს თავის საკუთარ კანზე, რომ სამუდამოდ წავიდა ის დრო... ყველამ ფულების ძებნას, საქმის ძებნას მიჰყო ხელი, შეიქნა ფაცა-ფუცი, მოძრაობა... უსწავლელი და შრომას შეუჩვეველი თავადანზაურობა ასე მალე სწორ გზას და გულმოდგინე შრომას ვერ დაადგა, ამის გამო გასაკვირველი არ არის, თუ ის ხშირად მრუდე გზებისაკენ უხვევს და ისეთ საქმეს უფრო დაეწაფა, რომელიც შრომას ცოტას თხოულობს და შემოსავლის, ფულების იმედს კი უხვად, უანგარიშოდ აძლევს".[1]

„დროების" რედაქტორი მოურიდებლად აკრიტიკებს ქართველ თავადაზნაურობას, რომელმაც დაკარგა საზოგადოებრივი შეგნება და ცხოვრების იდეალად პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა გაიხადა.

ჩვენი პუბლიცისტი მკაცრად ილაშქრებს თავადაზნაურობის მხრივ გლეხობისადმი არაადამიანური დამოკიდებულების წინააღმდეგ და გულისწყრომას გამოთქვამს იმის გამო, რომ გაზულუქებულ თავადაზნაურობას აქამდე ვერ შეუგნია, რომ გლეხიც ადამიანია და ნება აქვს ისარგებლოს ყველა ადამიანური უფლებით, რომ გლეხის შეურაცხმყოფელ თავადსა თუ აზნაურს პასუხი უნდა მოეთხოვოს, რადგან „კანონი არ არჩევს გლეხს და აზნაურს. კანონის წინაშე ყველა სწორია".

მართალია, სერგეი მესხი მშვენივრად ხედავს ქართველი თავადაზნაურობის დეგრადაციის პროცესს, მაგრამ მას მაინც ვერ იმეტებს დასაღუპავად და ცდილობს გამონახოს გზა და საშუალება, რომ ეს კლასი, უქნარა და გადაგვარებული, კვლავ სამშობლოს სამსახურში ჩააყენოს. ამ მიზნით სერგეი მესხი 1879 წლის „დროებაში" ბეჭდავს საკმაოდ ვრცელ წერილს — „ჩვენი თავადაზნაურობა".

„იყო დრო, — წერს ს. მესხი, — როდესაც თავად-აზნაურობას დიდი და უეჭველი მნიშვნელობა ჰქონდა თავის სამშობლო ქვეყნის საზოგადო ცხოვრებაში". ეს მნიშვნელობა იმაში გამოიხატებოდა,

---

[1] „დროება", 1874 წ., № 44.

რომ თავადაზნაურობა თავის უწმინდესს მოვალეობად თვლიდა სამშობლოს დაცვას აურაცხელი მტრისაგან. მართალია, ზოგიერთ დიდებულ თავადს თუ აზნაურს უღალატია თავისი ქვეყნისათვის, გადასულა მოწინააღმდეგის ბანაკში და გამოსძღოლია მტერს სამშობლოს წინააღმდეგ, მაგრამ „ისტორიულ დროში საზოგადოთ თავად-აზნაურობას მაინც შეიძლება დავარქვათ ქვეყნის დამცველი წოდება“.

მაგრამ ეს დრო წავიდა. ჩვენი პუბლიცისტი ხედავს, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამ ის დადებითი შედეგიც გამოიღო, რომ ქართველ ხალხს საშუალება მიეცა მშვიდობიანი ცხოვრებისა და ქართველმა მაღალმა წოდებამაც დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა.

მომხდარმა ისტორიულმა ცვლილებებმა შეცვალეს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარება, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა არსებითი ხასიათის ცვლილებანი თავადაზნაურობისა და ფართო მშრომელი მასების ურთიერთდამოკიდებულებაში, მაგრამ სერგეი მესხის დაკვირვებული თვალი ამჩნევს, რომ ეს ასე არ მოხდა, „თავად-აზნაურობა აღარ ემსახურება თავის ქვეყანას, მაგრამ ეს ქვეყანა კიდევ ემსახურება თავად-აზნაურობას“.

ამგვარი ურთიერთობა სხვადასხვა წოდებათა შორის სერგეი მესხს ნორმალურ მოვლენად არ მიაჩნია. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ის ანტაგონიზმი, რომელიც არსებობს თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის და რომელიც დღითი დღე უფრო მძიმე ფორმებში პოულობს გამოხატულებას. ეს მდგომარეობა კი დაღუპვით ემუქრება არა მხოლოდ თავადაზნაურობას, არამედ, საერთოდ, ქვეყნის კეთილდღეობის საქმეს. „რა კეთილი უნდა დაეყაროს საქართველოს, — წერს ს. მესხი, — როდესაც იმის თავად-აზნაური გლეხს ისე უყურებს, რომ თავის საალდგომო გოჭს, და გლეხსაც, თავის მხრით, ეს თავის ადრინდელი ქვეყნის დამცველი, დღეს თავის მძვინვარე მტარვალად მიაჩნია? როცა ერთის ოჯახის ძმებში ამისთანა უკმაყოფილება, ამისთანა განცალკევება და ინტერესების წინააღმდეგობა ჰსუფევს, რა ხეირი უნდა მოელოდეს ამისთანა ოჯახს? აკი არც გვეყრება ხეირი!“

სერგეი მესხის რწმენით აუცილებელია შექმნილი ანტაგონისტური მდგომარეობის ნორმალიზაცია, მაგრამ იგი შეუძლებელი იქნება, „სანამ ჩვენი თავად-აზნაურობა არ გაიგებს, რომ იმის პირდა-პირ სარგებლობა მოითხოვს გლეხთან, ხალხთან შეერთებას, იმასთან ხელი-ხელ გაყრით ერთად მსვლელობას; სანამ, ერთი სიტყვით, ჩვენ არ გავიგებთ, რომ ჩვენი ძალა ახლა ნამდვილი, ჭეშმარიტი

განათლება და ერთობაა, მანამ ჩვენი ხალხი მუდამ უბედური და დაცემული ხალხი იქნება".

მაგრამ, რა თქმა უნდა, თავადაზნაურობას ამის გაგების უნარი აღარ ჰქონდა. კაპიტალისტური ცხოვრების მორევში ჩათრეულ, ეკონომიურად გაღატაკებული, თავბრუდახვეული დაბორიალობდა იგი ულმობელი ცხოვრების ქარტეხილში და თავის გადარჩენისათვის ხშირად არ ერიდებოდა არავითარ უმსგავსოებას.

ამიტომ, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიური ცხოვრების აღორძინებისათვის სერგეი მესხი ქართველ თავადაზნაურობას დასაყრდენად ვერ მიიჩნევდა. რადგან მისი ღრმა რწმენით კაცი „ვერაფერს" გაარიგებდა ამ გამოყრუებულ და უტვინო თავადებში".

სერგეი მესხის სურვილი, რომ ბოლო მოღებოდა წინააღმდეგობას გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის განუხორციელებელი ოცნება იყო, რადგან რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში ბურჟუაზიული აგრარული ევოლუციის ორი, ერთი მეორისაგან არსებითად განსხვავებული გზა დაისახა: ერთი იყო რეაქციული, რომლისთვისაც იბრძოდნენ მეფის თვითმპყრობელობა და მემამულეები, ხოლო მეორე — რევოლუციური, რომლის განსახორციელებლადაც იბრძოდა საქართველოს მთელი გლეხობა.

სერგეი მესხის ღრმა რწმენით საქართველოს სახალხო მეურნეობის უმთავრესი და განმსაზღვრელი დარგი სოფლის მეურნეობა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს გარემოება არ გამორიცხავდა მრეწველობის განვითარების შესაძლებლობას. თუმცა, როგორც არ უნდა განვითარებულიყო იგი, ს. მესხის აზრით, საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითად დარგად მაინც ვერ იქცეოდა. „ბევრჯელ თქმულა, და ეს უთქმელადაც ცხადია, — წერს ს. მესხი, — რომ ჩვენი ქვეყანა ყველაზე უმთავრესად და ყველაზე უწინ მეურნეობის ქვეყანაა. შეიძლება ჩვენ, ქართველებმა, ვაჭრობაც დავიწყოთ, ქარხნები და ფაბრიკებიც გავმართოთ, მაგრამ თვითონ ხალხი ჩვენი მაინც მუდამ მეურნეობის მიმდევარი, მიწის შემმუშავებელი ხალხი იქნება. თითონ ბუნებას, ისტორიულ ცხოვრებას მოუნიშნია ჩვენთვის მეურნეობა".[1]

ვინაიდან საქართველოს აღორძინების ერთადერთ საშუალებად ს. მესხი სოფლის მეურნეობას მიიჩნევს, ვინაიდან „ის არის და ის უნდა იყოს ერთად-ერთი წყარო ჩვენი ცხოვრებისა", რადგან „ჩვენი ნამდვილი ძალა, ნამდვილი სიმდიდრე და მომავალი სოფელშია და

---

[1] „დროება", 1878 წ., № 207.

არა ქალაქში", ამიტომ სერგეი მესხის ყურადღება ძირითადად მშრომელი გლეხობისკენაა მიქცეული.

საკუთარი ბუნებრივია, რომ თავისი პუბლიცისტური მემკვიდრეობით სერგეი მესხი წარმოგვიდგება, როგორც მშრომელი მასების იდეოლოგი, თავადაზნაურობისა და ყველა ექსპლოატატორული ძალების წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი.

როდესაც 80-იან წლებში ჟურნალმა „იმედმა" და, კერძოდ, სტეფანე ჭრელაშვილმა გაილაშქრა „დროების" წინააღმდეგ და მის ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფი ქართველი პუბლიცისტებისა „აზნაურების პარტიის" სახელწოდებით მონათლა, სერგეი მესხს სასაცილოდ არ ეყო ეს უსაფუძვლო ცილისწამება და აღნიშნა: „ჩვენებური ესრედ წოდებული „კოსმოპოლიტები", ჩვენ, „დროების" პარტიას, „აზნაურების პარტიას" გვეძახიან. თქვენ აზნაურების მხარე გიჭირავთ და არა უბრალო ხალხისაო, ფეოდალები ხართო! არ გეცინება,... რომ ამასაც კი გვწამებენ".

სერგეი მესხი მშვენივრად ხედავდა, რომ ბატონყმობის მოსპობამ გლეხობას ადამიანური უფლებები არ მიანიჭა. გლეხთა „განთავისუფლება" ფაქტიურად გლეხების ხელმეორედ დამონება და კაცური უფლების წართმევა იყო, რაც ს. მესხის თქმით, ადამიანის სიკვდილს უდრიდა. „დიახ, უთავისუფლებოდ სიცოცხლე არ არის; ვისაც კაცობრიული უფლებები დაუკარგავს, ის ნამდვილი ცხოვრებით არ ცხოვრობს; მაგრამ რას მიქვიან მარტო უფლება, თუ ამით ვერ ვისარგებლებ? რათ უნდა დამბლათ დავარდნილ ავადმყოფს სეირნობისა და სიარულის უფლება, თუ ის ამ უფლებით თავის დღეში ვერ ისარგებლებს? რაში გამოადგება მუშა გლეხს თავისუფლება. თუ კი სამუშაოს ვერ იშოვნის, თუ მუდამ იმის შიშით უნდა ცახცახებდეს, რომ ხვალ ულუკმა-პუროთ და უსახლ-კაროთ არ დავრჩეო?"[1]

როგორც ჩვენს ისტორიოგრაფიაშია ცნობილი, რეფორმის შემდეგ მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი თავადაზნაურობისა და მეფის ხაზინის ხელში აღმოჩნდა. ამათ გარდა მიწებს დაეპატრონენ ჩარჩიევაჭრები, მრეწველები და ფინანსისტები, გაქნილი მოხელენი და ყველა ჯურის პარაზიტული ელემენტები, რომელნიც მიწას თვითონ არ ამუშავებდნენ. გლეხობა კი, რომელიც მიწის კანონიერი მეპატრონე იყო, როგორც მისი უშუალო დამმუშავებელი, ცარიელზე დარჩა. სტატისტიკური ცნობების მიხედვით მშრომელ გლეხობას საქართველოს სახნავ-სათესი ფართობის მხოლოდ 6,4% ეჭირა. რეფორმის შემდეგ შინაყმებსა და ხიზნებს მიწა თითქმის სრულიად არ მიუღიათ, ხოლო დროებით ვალდებული გლეხობა იმდენად იყო

---

[1] ს. მ ე ს ხ ი. თხზულებანი, ტ. I, გვ. 417.

გაღატაკებული, რომ უმრავლესობას თითქმის არავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა შეესყიდა მემამულისაგან ის მცირე ნაკვეთი, რომელიც „ჩამონაჭრების“ წართმევის შემდეგ დაუტოვეს. გლეხობის გაჭირვებული მდგომარეობით მოხერხებულად ისარგებლეს მემამულეებმა, კულაკობამ და ჩარჩმა ვაჭრებმა და ექსპლოატაციის უმაგალითო ფორმები განავითარეს.

სერგეი მესხი დაკვირვებით ადევნებდა თვალს როგორც საქართველოს, ასევე რუსეთისა და დასავლეთ ევროპის უღარიბესი მშრომელი მოსახლეობის ცხოვრებას და იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ მათი მდგომარეობა მეტად აუტანელი იყო, რომ ისინი „ხანდიხან პირუტყვის კმაყოფილებასაც კი შენატრიან“.[1] ჩვენი პუბლიცისტი იმასაც ხედავს, რომ ჰუმანური გრძნობით აღჭურვილი ზოგიერთი მდიდარი, რომელთა რიცხვიც მეტად მცირეა, ღარიბებს ფულს ურიგებს ან უსახლკარო მუშებს თავშესაფარს უშენებს, ანდა ღარიბთა შვილებს უფასო სკოლებს უმართავს, მაგრამ „ამნაირი საშუალებით, ამნაირი თითო-ოროლა გროშის მიგდებით რამოდენიმე მილიონი უსახლკარო ღარიბების დახსნა და ამასთან სიღარიბის მოსპობა“ ყოვლად შეუძლებელია. ფართო მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესება ფილანტროპებით, ს. მესხის რწმენით, არა რეალური ოცნებაა, რადგან „ფილანტროპია ისეთი წამალია, რომელიც არა თუ ძირიანათ აო მოსპობს სიღარიბეს, მაგდენათ ვერ შეამსუბუქებს იმას“. საჭიროა არა ამგვარი ქველმოქმედებანი, არამედ, სიღარიბის მიზეზის გამორკვევა და ამ მიზეზის ძირფესვიანად მოსპობა.

მაგრამ რა არის მშრომელი მოსახლეობის სიღარიბის მიზეზი? სერგეი მესხი, რომელიც სავსებით იზიარებს ლ ა ს ა ლ ი ს პოლიტიკურ-ეკონომიურ და ე ვ რ ო პ ი ს უ ტ ო პ ი უ რ ი ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს წარმომადგენელთა თვალსაზრისს, იმ დასკვნამდე მიდის, რომ ფართო მშრომელი მოსახლეობის სიღარიბის მიზეზი ორ გარემოებაში უნდა ვეძიოთ, — ეს არის მოსახლეობაში სიმდიდრისა და ცოდნის არათანაბარი განაწილება.

„სიღარიბის, როგორც სხვა ყველა უბედურების მიზეზი ქვეყანაზე, — წერს ს. მესხი, — არის ქ ო ნ ე ბ ი ს ა და ც ო დ ნ ი ს უ თ ა ნ ა ს წ ო რ ო გ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ა. იმ დროს, როდესაც ერთი ისე მდიდარია, რომ არ იცის, როგორ მოიხმაროს თავის სიმდიდრე, ათასი სხვა უსახლკარობისა და შიმშილისაგან კვდება; იმ დროს, როდესაც ერთი სწავლულია და მცოდნეა და ამით პოულობს სა-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 159.

ცხოვრებელ ტონისძიებას, ათი ათასი სხვა უმეცრებაში და ცრუმორწმუნოებაშია ჩავარდნილი!"[1]

არსებობს თუ არა გამოსავალი ამ არანორმალური მდგომარეობიდან? გამოსავალს სერგეი მესხი კერძო საკუთრებასა და საყოველთაო შრომაში ხედავს. მართალია, არც ამით შეიქმნება სრული სანეტარო ცხოვრება, რადგან საკუთრების თანაბრად განაწილება ყოვლად შეუძლებელ საქმედ მიაჩნია, მაგრამ, მისი აზრით, იგი მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ღარიბი ხალხის გაჭირვებულ ყოფას. „სიღარიბის შესამსუბუქებლად, — წერს ს. მესხი, — საჭიროა, რომ ყოველი კაცი შრომობდეს, რომ ყოველი კაცი თვითონვე სარგებლობდეს ამ თავისი შრომით და ამასთან, რასაკვირველია, ჰქონდეს საგანი, რომელზედაც ის თავის შრომას ალევდეს.

რასაკვირველია, ცოდვილ დედამიწაზე სიღარიბისა და ამასთან ყოველგვარი ცუდკაცობის მოსპობას კაცი იქნება ვერასოდეს ვერ მოესწროს, მაგრამ სრულ ნეტარებაზე ოცნებას თავი უნდა დავანებოთ და ბედნიერად ჩავრიცხოთ თავი მხოლოთ იმით, რომ ადამიანი შიმშილით არ კვდებოდეს და ამ მდგომარეობამდე მიღწევა თვითონ კაცზეა დამოკიდებული"[2].

სერგეი მესხის აზრით, დედამიწაზე ადამიანთა ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა პოლიტიკური ეკონომიის უშუალო ამოცანაა. უდაოდ საყურადღებოა პოლიტიკური ეკონომიის, ეკონომიური კანონებისა და კატეგორიების ის განმარტება, რომელსაც სერგეი მესხი იძლევა. მისი განმარტებიდან საკმაოდ ნათლად ჩანს დასავლეთ ევროპის უტოპისტ სოციალისტთა და ნ. გ. ჩერნიშევსკის შეხედულებათა გავლენა, რომელსაც 70-იან წლებში სერგეი მესხი განიცდიდა[3].

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სერგეი მესხს ეკონომიური კანონები და კატეგორიები სტატიკურ მოვლენებად მიაჩნია, რომელთაც ემორჩილებიან ცვალებადობაში მყოფი საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ამ საფუძველზე იქმნება უთანაბრო დამოკიდებულება შრომასა და კაპიტალს შორის, რაც იწვევს ფართო მშრომელი მოსახლეობის სიმდიდრისა და კაპიტალის შემქმნელი ელემენტების მასიურ გაღატაკებას, ცოდნისა და ჭონების არათანაბარი განაწილების გაღრმავებას.

მართალია, სერგეი მესხი ამჩნევდა კაპიტალისტური ურთიერთობის ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობასთან შედარებით უფ-

---

[1] ს. მესხი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 160.
[2] იქვე.
[3] იხ. ს. მესხი, წერილები, გვ. 61—62.

რო პროგრესულობას, მაგრამ მისთვის მიუღებელი იყო ექსპლოატაციის ის ფორმები, რომელსაც წარმოების კაპიტალისტური წესი ნერგავდა და ავითარებდა. სერგეი მესხის მართებული რწმენით გლეხობის სიღატაკის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კაპიტალისტური და ბატონყმური ექსპლოატაცია იყო, რომელსაც ცარიზმის უხეში კოლონიალური პოლიტიკა უფრო ამძიმებდა. ყოველივე ამის შედეგად „ხალხი მოიღალა გაჭირვებისაგან... ის ახლა ისიც აღარ არის, რაც ადრე იყო; ის ენერგია, ის მხნე, მხიარული, მარჯვე ხასიათი აღარა აქვს ჩვენ ხალხს, როგორც ადრე იყო, აღარ არის ის ზნეობითი თვისებანი, ის კაი ბიჭობა. თან-და-თან ეცემა, თან-და-თან უიმედო ხდება, თან-და-თან საუკეთესო მომავლის იმედი ექარვება გულიდამ“.[1]

ამრიგად, დაუსრულებელმა ძარცვა-გლეჯამ, უკიდურესმა სიღარიბემ და საზოგადოების გულგრილობამ გლეხობა კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა, ბევრ უაღრესად პატიოსან ადამიანს ადამიანური სახე უცვალა და მშრომელი მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქურდობისა და ავაზაკობის გზაზე დააყენა.

სერგეი მესხი იმასაც ხედავდა, რომ თუმცა ადგილობრივი ხელისუფლება თავგამოდებით იბრძოდა ქურდობისა და ავაზაკობის წინააღმდეგ, სცემდა ათასგვარ კანონებს და სასტიკად სჯიდა ღამნაშავეებს მაგრამ ყოველივე ეს საქმეს ვერ შველოდა.

ერთადერთ გამოსავალს ამ მდგომარეობიდან სერგეი მესხი ხალხის შემავიწროვებელი მიზეზების მოსპობაში ხედავდა და საჯაროდ აცხადებდა: „გაუჩინეთ ხალხს საქმე; თავის ოფლით ნაშოვნ ლუკმას ნუ წაართმევთ, გაანათლეთ და თუ ამ ხალხში ქურდები და ავაზაკები გამრავლდნენ, მაშინ შეგიძლიანთ სთქვათ, ადამიანი ბუნებით ბოროტი ქმნილება ყოფილა, რომ განათლებასა და კარგს ეკონომიურ მდგომარეობას არავითარი გავლენა არა ჰქონია ხალხის ზნეობაზე და კეთილ-მდგომარეობაზედა-თქო“.[2]

ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და საერთოდ საქართველოს მომავალი კეთილდღეობა, სერგეი მესხის რწმენით, იმაზე იყო დამოკიდებული — ექნებოდა თუ არა გლეხკაცობას მიწა, ექნებოდა თუ არა მას კერძო საკუთრება?

ვინაიდან ქართველი ერის მარჩენალი გლეხობაა, ამიტომ ქართველ გლეხს მიწა უნდა ჰქონდეს, „უმიწოთ იმის ცხოვრება შეუძლებელია. იმ დღეს, რა დღესაც ჩვენებურ გლეხს მიწა ჩამოერთმევა, ჩვენი ქვეყნის ბედს საუკუნოთ უნდა გამოვეთხოვოთ“. ასეთია ჩვენი

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 93.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 36.

პუბლიცისტის დასკვნა. იგი გულწრფელად მოუწოდებს თავადაზნაურობას, მთელ ქართველ საზოგადოებას, ხელი შეუწყონ გლეხობას, რომ მათ შეძლონ სანადელო მიწების შეძენა. „თუ ჩვენი მამულის პატრონები დარწმუნებული არიან იმ ჭეშმარიტებაში, რომ გლეხკაცებისა და იმათი კეთილმდგომარეობა და სიკეთე კუდი-კუდზე არიან გადაბმულნი, — მაშინ უეჭველია, ისინი გაუადვილებენ გლეხებს ნადელის შესყიდვას და საზოგადოთ მიწა-წყლის საქმეში არ შეავიწროვებენ იმათ“.[1]

სანადელო მიწების შესაძენად კი ფული იყო საჭირო, რომელიც გლეხობას თითქმის არ გააჩნდა. ამიტომ სერგეი მესხი საჭიროდ თვლიდა ისეთი ბანკების ან საკრედიტო დაწესებულებების გამართვას, რომლის ერთადერთი დანიშნულება იქნებოდა გლეხობისათვის მიწების შეძენის საქმეში ხელის მომართვა. მისი აზრით, ასეთ ბანკს სხვა ყოველგვარ ბანკებზე უფრო არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა, ვინაიდან მასზე იყო დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი.

საერთოდ, სერგეი მესხს სწამდა, რომ სასოფლო ბანკების დაარსება ერთგვარად შეამსუბუქებდა გლეხობის მძიმე მატერიალურ მდგომარეობას, მაგრამ გლეხობას არ ჰქონდა იმდენი თავისუფალი თანხა, რომ დაუხმარებლად, საკუთარი სახსრებით შესძლებოდა ამგვარი ბანკის დაარსება. ამიტომ იგი მთავრობას მიმართავდა, რათა მას გაეწოდებინა გლეხობისათვის დახმარების ხელი. „ვინ არ იცის, — წერდა ს. მესხი, — რომ ჩვენ ღარიბ სოფლებს იმდენი თავისუფალი ფული თითქმის არასოდეს არ მოეძებნებათ, რომ თავის აუცილებელ საჭიროებას გადაანარჩუნონ და ბანკის თავნის შესადგენად შეიტანონ? ამ უკანასკნელ შემთხვევაში სოფლელებისათვის ხელის მომართვა, უეჭველია, მხოლოთ მთავრობას შეუძლია, რომელსაც არ გაუჭირდება ყველა სასოფლო ბანკს, თუ სამუდამოთ არა, სესხათ მაინც მისცეს რამდენიმე ათასი მანეთი“.

ცხადია, ს. მესხის ეს ვარაუდი მეტად გულუბრყვილო ოცნება იყო, რადგან მთავრობა არა თუ სესხად მისცემდა გლეხობას ფულს (რა თქმა უნდა, ზედმეტია ლაპარაკი რამოდენიმე ათასი მანეთის სამუდამოდ გაღებაზე), არამედ, როგორც ცნობილია, უკიდურესი მოუსავლიანობის შემთხვევაშიც კი არ აპატიებდა ხოლმე მათ სახელმწიფო გადასახადს და უკანასკნელ მარჩენალ პირუტყვსა და აუცილებელ საოჯახო ნივთებსაც კი უყიდდა სახელმწიფო ვალის დასაფარავად.

სერგეი მესხი მშვენივრად ხედავდა, რომ სოფლის მოსახლეობის

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 65.

დუხჭირ მდგომარეობას უფრო მეტად ამძიმებდნენ მამასახლისები და სოფლის სხვა მოხელენი, რომლებიც წურბელასავით მოჰკიდებოდნენ გაძვალტყავებულ გლეხობას და თავისი ჯიბის გასქელებისათვის ქურდებსა და ავაზაკებსაც კი უწყობდნენ ხელს.

სოფლის მოხელეები, რომელთაც ეეალებოდათ გლეხობის ინტერესების დაცვა, ოდნავადაც არ ზრუნავდნენ ამისათვის და მექრთამეობის, ჯაშუშობის და უფროსთა მაამებლობის გზას ადგნენ.

ამის მიზეზს სერგეი მესხი იმაში ხედავდა, რომ სოფლის მოხელეთა არჩევნები დემოკრატიზმის საფუძველზე არ ხდებოდა. მართალია, დებულების მიხედვით მოხელენი სოფელს უნდა აერჩია, მაგრამ ამ საქმეში უხეშად ერეოდნენ ზემდგომი ორგანოები — „უეზდის ადმინისტრაცია", რომელიც მისთვის მისაღებ კანდიდატურას წარუდგენდა ხოლმე სოფელს ამოსარჩევად. ამგვარად „არჩეული" პირი თანამდებობის შენარჩუნების მიზნით ადმინისტრაციის სიამოვნებას ცდილობდა და სრულიად უგულებელყოფდა ფართო მშრომელი მოსახლეობის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს.

ყოველივე ეს იწვევდა დაუსრულებელ დრტვინვას და საშინელ ანტაგონიზმს ადგილობრივ ხელისუფლებასა და გლეხობას შორის.

სერგეი მესხი კატეგორიულად მოითხოვს ამ უმსგავსოების აღკვეთას და ხაზგასმით მიუთითებს, რომ „სანამ უეზდის ადმინისტრაცია არ მოსპობს თავის ზემოქმედებას სოფლის ამორჩევაში, სანამ ყოველი სოფლის მოხელე დარწმუნებული არ იქნება, რომ იმის ამორჩევა მხოლოთ საზოგადოების სურვილზე და არა ვისიმე თვითმნებელობაზეა დამოკიდებული, მანამ თუ მოელით, რომ ჩვენს სოფელში ხეირიანი მოხელეები გაგვიჩნდნენ, მაგრამ ესრედ წოდებული „გლეხის თვითმმართველობა" ჯეროვან ნაყოფს ვერ მოუტანს ხალხს, მანამ, იცოდეთ, არ შეწყდება ჩვენში საჩივარი სოფლის მოხელეებზე და იმათ მოქმედებაზე".

სერგეი მესხმა იცის, რომ გლეხობის მძიმე მდგომარეობა მხოლოდ ზემოხსენებული მიზეზებით არ აიხსნება. მას მრავალი გარეშე მტერი ჰყავს და ერთ-ერთ ასეთ მტერს ბუნების მოვლენები — გვალვა, სეტყვა, საქონლის ჭირი, კალია, ფილოქსერა და სხვა მისთანანი წარმოადგენენ. „თუ ბუნებისაგან, თუ ადამიანის დაუდევრობისაგან მოვლინებული უბედურება ერთ წელიწადსაც არ ასვენებს ჩვენ ხალხს" და ვინაიდან ხალხი ბედის ანაბრად არის მიტოვებული, ამიტომ მან თვითონ უნდა იზრუნოს თავის თავზე და შეიმუშაოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც მოათქმევინებენ სულს. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად სერგეი მესხს ერთმანეთის დახმარება მიაჩნია. ეს დახმარება მას ასეთი სახით აქვს

წარმოდგენილი: „რამდენიმე სოფლის მცხოვრებლებს ადვილათ შეუძლიანთ ერთმანეთს პირი მისცენ, რომ თუ რომელსამე ამ სოფელს უბედურება შეემთხვა, მაშინ ჩვენ, დანარჩენი სოფლები ვალდებულნი ვართ ხელი მოგიმართოთო“.

სურვილი უდაოდ კეთილი იყო, მაგრამ ჩვენი პუბლიცისტი ვერ გრძნობდა, რომ ამის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან უკიდურეს სიღარიბეში მყოფ სოფლებს საკუთარი თავის რჩენაც კი უჭირდათ და ისინი სხვას დახმარების ხელს ვერ გაუწვდიდნენ.

ასევე შეერთებული ძალით ფიქრობდა სერგეი მესხი გლეხობის დახსნას გვალვის საშინელი შედეგებისაგან. გლეხობამ თვითონ უნდა მოჰკიდოს ხელი არხების გაყვანას და არავითარ შემთხვევაში არ მიანდოს იგი უცხო კამპანიებს. ისტორიულ წარსულში, როდესაც საქართველო უმაგალითოდ იყო შევიწროვებული გარეშე თუ შინაური მტრებისაგან, როდესაც მეტად დაბალი იყო ტექნიკის განვითარების დონე, ქართველ ხალხს გაჰყავდა არხები და რწყავდა თავის ადგილ-მამულს. და ახლა, როდესაც მეტი შესაძლებლობა არსებობს ამ საქმის მოსაგვარებლად, გლეხობას დაქსაქსულობა და წვრილმანი შუღლი აბრკოლებს, რაც მისი ეკონომიური მდგომარეობის გაუარესებას იწვევს. სერგეი მესხის აზრით ქართველი ხალხი ამ მდგომარეობიდან მხოლოდ შეერთებული შრომით დააღწევს თავს, „რამდენსამე ერთად შეკრებილს სოფელს ბევრი რამ და დიდი საქმის გაკეთება შეუძლია და თავიანთი თავის სასარგებლოთ ისინი უფრო გულმოდგინეთ იმუშავებენ, უფრო კარგათ გაიყვანენ არხებს, ვიდრე უცხო კაცები და კამპანიები“.

გლეხობის და საერთოდ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად სერგეი მესხი ყამირი და დაუმუშავებელი მიწების ათვისებას და საერთოდ სოფლის მეურნეობის რაციონალიზაციას მიიჩნევს. მისი ღრმა რწმენით „არაფერს არ შეუძლიან ახლა იმდენი სარგებლობის მოტანა ჩვენთვის და იმდენათ ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესება, როგორც ჩვენ შეუმუშავებელ და დაცემულ მამულების რიგიანათ მმართვას“.

სერგეი მესხი მშვენივრად ხედავდა კაპიტალიზმის განვითარების პროცესს საქართველოში, მაგრამ იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო ამ ფორმაციის განვითარებისა მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობებითა და უარყოფითი მოვლენებით. იგი ეძებდა ახალ, ექსპლოატაციისაგან თავისუფალი მეურნეობის ფორმებს და ფიქრობდა, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი ასოციაციური და კოოპერაციული გზით წარემართა, რაც, მისი აზრით, საუკეთესო საშუალება

იქნებოდა არა მხოლოდ ცალკეულ პიროვნებათა, არამედ, მთელი ქართველი ხალხის და, პირველ რიგში, გლეხობის ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

როდესაც შორაპნის მაზრაში საზოგადო პურის მაღაზია გაიხსნა, სერგეი მესხი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ კეთილ წამოწყებას, რომელიც, მისი აზრით, დიდად შეუწყობდა ხელს გლეხობის მატერიალური მდგომარეობის ამაღლებას. ასეთ მაღაზიებში თითოეულ გლეხს ორი წლის განმავლობაში შეძლებისამებრ უნდა შეეტანა არა ნაკლებ ერთი და არა უმეტეს ოთხი ფუთი ხორბალი ან სიმინდი. მაღაზიიდან ჭირნახული მიეცემოდათ იმ გლეხებს, რომლებსაც უაღრესად უჭირდათ. მაგრამ გატანილი ჭირნახული, მცირედი სარგებლით, გლეხს განსაზღვრული ვადის შემდეგ იმავე მაღაზიისათვის უნდა დაებრუნებინა. თუ მაღაზიაში საჭიროებაზე მეტი პური და სიმინდი დაგროვდებოდა, საზოგადო კრების გადაწყვეტილებით შეიძლებოდა მისი გაყიდვა და შემოსული თანხით პატარა სასოფლო ბანკის დაარსება, საიდანაც გლეხობას შესაძლებლობა ექნებოდა მცირედი სარგებლით გამოეტანა საჭირო თანხა. იმ შემთხვევაში თუ პურის მაღაზია და ბანკი მოღონიერდებოდა, მას შეეძლო სოფელში სკოლაც გაემართა.

1872 წლის სექტემბერში ტვერის გუბერნიის ერობის ნევრმა მაქსიმოვიჩმა კაშინის მაზრის ერობაში შეიტანა წინადადება, რომ რუსეთის ერობას სოფლებში პურის მაღაზიების გამართვის მაგიერ გლეხობაში ფული მოეკრიბა, რომ ამ ფულით გლეხობას შიმშილობის დროს პურის შესყიდვის საშუალება ჰქონოდა. მაქსიმოვიჩის აზრით, ეს უფრო სასარგებლო და მოსახერხებელი იქნებოდა გლეხობისათვის, რადგან სოფელს ძვირი უჯდებოდა მაღაზიის აშენება, მოსავლის მოვლა-პატრონობა და, გარდა ამისა, შენახული პური მკვდარი კაპიტალი იყო, რომელსაც არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა და ყოველთვის იყო მოსალოდნელი, რომ დახავებული პური ან ცეცხლს გაენადგურებინა, ან სინესტეს გაეფუჭებინა და ან მოეპარა ვინმეს.

მაქსიმოვიჩის ამ თვალსაზრისმა მომხრენი საქართველოშიც პოვა, მაგრამ სერგეი მესხმა არ გაიზიარა მათი შეხედულება და სასოფლო პურის მაღაზიების არსებობას დაუჭირა მხარი. იგი თავის მოსაზრებას იმით ასაბუთებდა, რომ ქართველ გლეხს მეტად უჭირს ფულის შოვნა, რადგან უგზოობის გამო იგი მოწეული ჭირნახულის გასაღებას ვერ ახერხებს. გარდა ამისა, ფულის დახარჯვა ადვილი იყო, თუ მას სანდო კაცებს არ ჩააბარებდნენ.

საზოგადო პურის მაღაზიების სამოქმედო პროგრამა სერგეი მესხმა ჩამოაყალიბა წერილში: „შორაპნის უეზდის საზოგადო პუ-

რის მაღაზიები", მაგრამ ეს პროგრამა მეტად უტოპიური იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამგვარმა მაღაზიებმა საქართველოში ფართო გავრცელება ვერ პოვეს და სერგეი მესხმაც 1873 წლისათვის ზემოხსენებული თვალსაზრისი ერთგვარად შეცვალა და საზოგადო პურის მაღაზიებთან სასოფლო ბანკების უპირატესობა აღიარა: „როგორც საზოგადოთ ყველა ხალხს, აგრეთვე ჩვენ ხალხსაც, ამ გაჭირვებაში თითქმის ყველა სხვა საშუალებებზე მომეტებულ სარგებლობას მოუტანს სასოფლო ბანკების გამართვა. ეს მისთვის აუცილებლათ საჭირო საქმეაო".[1] თუ ყოველ სოფელში არ მოხერხდებოდა ბანკების გახსნა, მაშინ ყოველ მაზრაში მაინც უნდა დაარსებულიყო თბილისის ბანკის განყოფილებანი ან კანტორები, საიდანაც გლეხობას მოკლევადიანი სესხის გამოტანის შესაძლებლობა ექნებოდა.

ასევე საჭიროდ მიიჩნევდა სერგეი მესხი სოფლებში ყველისა და ერბოს დამამზადებელი არტელების დაარსებას, რომელიც შეიძლებოდა მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროდ ქცეულიყო. ამგვარი არტელების დასაარსებლად სერგეი მესხს საჭიროდ მიაჩნდა სამი მთავარი პირობის დაცვა: პირველყოვლისა თვით გლეხობა უნდა ყოფილიყო დარწმუნებული არტელის სარგებლიანობაში, იმ პირს, რომელსაც არტელური წესით წარმოების დაწყება სურდა, ხალხში ნდობა უნდა ჰქონოდა და, გარდა ამისა, საჭირო იყო წინასწარი ფულადი თანხა, რომელიც გლეხობას წარმოების დაწყების საშუალებას მისცემდა. „ყველა, ვისაც კი ჩვენი ხალხის სიკეთე ჰსურს, — წერდა ს. მესხი, — ხელს უნდა უწყობდეს და ეხმარებოდეს" ამ საქმის ორგანიზაციას, რადგან ამგვარი არტელები ხელს შეუწყობენ გლეხობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებასო.

დასავლეთ ევროპის უტოპისტ-სოციალისტთა და, კერძოდ, ლასალის თეორიებზე დაყრდნობით, სერგეი მესხი აღიარებდა, რომ „ასოციაცია, ანუ შეერთებული ღონის ხმარება ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, ისეთი სახსარია, რომელმაც ყველგან, სადაც კი არ შემოიღეს ის — ვაჭრობაში თუ ოჯახობაში, მოიტანა კეთილი ნაყოფი და ურიცხვი სარგებლობაო".[2]

ამრიგად, საქართველოს ეკონომიური და კულტურული აღორძინების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად სერგეი მესხი წარმოების კოოპერაციულ და ასოციაციურ ფორმებს მიიჩნევდა, რომელთა თანდათანობითი განვითარების შედეგად შრომაში უნდა ჩაბმულიყო ყველა წოდება და ბოლო მოღებოდა სხვისი შრომის

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 356.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 31.

ექსპლოატაციას. „შრომა, როგორიც უნდა იყოს ის, კაცის ღირსების ამამაღლებელია და არა დამამცირებელი“,[1] დასძენდა ჩვენი პუბლიცისტი.

სოფლის მეურნეობის განვითარებისა და საერთოდ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის წარმატებისათვის სერგეი მესხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების დაარსებას. რომელთა შესახებაც ქვემოთ დაწვრილებით გვექნება ლაპარაკი, მაგრამ გარდა სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა იგი უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობას აძლევდა სამედიცინო ტიპის სასწავლებლების გახსნასაც.

ხალხს, რომელსაც მუსრს ავლებდა სხვადასხვა ავადმყოფობა, ცრუმორწმუნეობა, — შველა და დახმარება ესაჭიროებოდა. მართალია, პერიოდული პრესა დრო და დრო აწვდიდა მოსახლეობას საექიმო-სანიტარულ რჩევა-დარიგებებს, მაგრამ ეს არ იყო ქმედითი ღონისძიება, რომელიც იხსნიდა ქართველ გლეხს მკითხავების, ექიმბაშებისა და ავადმყოფობისაგან. ამიტომ სერგეი მესხმა კავკასიის საექიმო საზოგადოების წინაშე დააყენა საკითხი საექიმო და საფერშლო სკოლის დაარსების შესახებ, რომელიც უნდა დაკომპლექტებულიყო ადგილობრივი ახალგაზრდებით.

საქართველოს და ფართო მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური მდგომარეობის აღორძინებით დაინტერესებული სერგეი მესხი არსებული ვითარების გარდაქმნის საშუალებათა ძიებაშია. ერთ-ერთ ასეთ საშუალებად იგი მწარმოებელთა ამხანაგობების შექმნას მიიჩნევს. ს. მესხი მწარმოებელთა ამხანაგობებს უმთავრესად სავაჭრო კაპიტალის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციად თვლიდა. „სავაჭრო კაპიტალი იმჟამინდელ საქართველოში ძლიერ ეკონომიურ ძალას წარმოადგენდა. იგი უშუალო მწარმოებლის სასტიკი ექსპლოატატორი იყო. ამიტომ პუბლიცისტს, რომელიც ხალხის ინტერესებიდან გამოდიოდა, თავისი მახვილი ახალ ექსპლოატატორთა შორის პირველ რიგში სავაჭრო კაპიტალის წინააღმდეგ უნდა მიემართა“.

სერგეი მესხმა მშვენივრად იცოდა, რომ ყოველ საზოგადოებას ორგვარი წევრები შეადგენდნენ: საზოგადოების ერთი ნაწილი შრომობს და აწარმოებს საქონელს, „იმას მოჰყავს ყოველგვარი მოსავალი, ხნავს, სთესავს, ჰკერავს, ქსოვს“ და ერთი სიტყვით ქმნის მატერიალურ დოვლათს, რაც მთელი საზოგადოების აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. სერგეი მესხის თქმით, ეს არის მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი ნაწილი საზოგადოებისა.

საზოგადოების მეორე ნაწილი სარგებლობს მწარმოებლის

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 70.

შრომით, იგი ყიდულობს და ხმარობს ამ საგნებს. ეს არის მ ო მ ხ მ ა რ ე ბ ე ლ ი ნაწილი საზოგადოებისა. შეიძლება, რომ საზოგადოების ერთი და იგივე ნაწილი მწარმოებელიც იყოს და მომხმარებელიც. მაგალითად, მიწის მუშა-გლეხი, რომელსაც პური და ჭადი მოჰყავს და რომელიც თავის ნამუშევარის ერთ ნაწილს მაინც თვითონ ხმარობს, მწარმოებელიც და მომხმარებელიც არის". მაგრამ სერგეი მესხი იმასაც ამჩნევს, რომ ბატონყმურ და ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ყოველი მომხმარებელი მწარმოებელი არ არის. „ბევრს ნახავთ ისეთ პირებს, რომელნიც სჭამენ, სმენ, იცმენ, იხურავენ, ერთი სიტყვით ხმარობენ სხვის ნაწარმოებ ნივთებს, მაგრამ თვითონ კი არაფერს არ აწარმოებენ, არაფერს არ აკეთებენ"[1], ეს გარემოება კი საზოგადოების დამღუპველია.

სერგეი მესხს ეკონომიურ ჭეშმარიტებად მიაჩნია ის გარემოება, რომ რაც უფრო მომეტებული მწარმოებელი, მომეტებული მშრომელია ამა თუ იმ საზოგადოებაში ან ქვეყანაში, ეს ქვეყანა მით უფრო ბედნიერი და ეკონომიურად დაწინაურებულია, ხოლო მეორე მხრით, რაც უფრო მეტია მომხმარებელი და ნაკლებია მწარმოებელი, — ასეთი ქვეყანა უფრო ღარიბი და ჩამორჩენილია.

კაცობრიობის სრული ბედნიერება კი, სერგეი მესხის აზრით, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, „როდესაც ყოველი ადამიანი იმდენს მოიხმარს თავისი ცხოვრებისათვის, რამდენსაც თვითონ მოიწევს, რამდენსაც იმუშავებს. სანამ ერთი ნაწილი საზოგადოებისა მუშაობს, ოფლს ღვრის და მეორე კი გულ-ხელ დაკრეფილი, მუხლმოკეცილი ზის და ამ მშრომელის ნაოფლარს სჭამს, მანამ ამ საზოგადოების კეთილდღეობა შეუძლებელი საქმეა. ეს არის ეკონომიური კანონი, ეკონომიური ჭეშმარიტება".

ფართო მშრომელი მოსახლეობის არაადამიანური ცხოვრების ერთ-ერთ უპირველეს მიზეზად სერგეი მესხი მასების უმეცრებას მიიჩნევს. „უმეცრება რომ არ უშლიდეს კაცს ხელს... მაშინ დედამიწაზე არ იქნებოდა ისეთი სიღარიბე და არ მოინახებოდნენ იმდენი ულუკმაპურო და უმიწაწყლო კაცები, რამდენიც ახლა მოიპოებიან".[2]

ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების მაგალითებზე დაყრდნობით, უტოპისტ-სოციალისტთა შეხედულებებიდან გამომდინარე, ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის სერგეი მესხი რამდენიმე ღონისძიებას სახავს. ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებაზ

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 103.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 104.

მას ერთ დროს მომხმარებლების საზოგადოებების დაარსება მიაჩნდა.

მომხმარებელთა საზოგადოება სერგეი მესხის წარმოდგენით შემდეგნაირად ყალიბდება: შეიკრიბება რამდენიმე პირი, რომელიც შეძლებისამებრ გამოიღებს გარკვეულ თანხას და შეადგენს პატარა ამხანაგობას. შეკრებილი თანხით ამხანაგობა ხსნის დუქანს, სადაც უნდა იყიდებოდეს აუცილებელი და პირველადი მოთხოვნილების საქონელი. მედუქნე, რომელიც ამხანაგობის ერთ-ერთი წევრი უნდა იყოს, საქონელს პირდაპირ მწარმოებლისაგან ყიდულობს, რადგან ეს უფრო იაფიც ჯდება და უკეთესი საქონლის არჩევის საშუალებაც ეძლევა. ამ დუქნიდან საქონლის შეძენა შეუძლიათ ზოგან მხოლოდ ამხანაგობის წევრებს, ზოგან კი გარეშე პირებსაც. ამხანაგობის წევრებს მედუქნე საქონელში დანიშნულ სარგებელზე მეტს ვერ გამოართმევს, გარეშე პირს კი შეიძლება საქონელი მიჰყიდოს იმ ფასად, როგორც მას სხვა ვაჭრები ყიდიან. ვაჭრობიდან მიღებულ შემოსავალს ამხანაგობის წევრები იყოფენ ერთმანეთში „იმის დაგვარათ, რამდენიც ამ დუქანში წევრს საქონელი უყიდნია, ე. ი. ვთქვათ რომელიმე წევრმა წელიწადში ასი მანეთის სხვადასხვა რამეები იყიდა ამ დუქანში და იმისაგან ათი მანეთი მოგება დარჩა დუქანს; წლის დამლევს ანგარიშის დროს ეს ათი მანეთი იმას უკანვე დაუბრუნდება, ზოგან კი ერთ ნაწილს სარგებლისას სტოვებენ და ამნაირათ კასსას აკეთებენ და ამ კასსითაც აგრეთვე ამხანაგობის წევრები სარგებლობენ დაჭირვების დროს".

მართალია, ამგვარი საზოგადოება ერთგვარად უმსუბუქებს მომხმარებელს მდგომარეობას, მაგრამ მას ის ნაკლი აქვს, რომ „მომხმარებელი საზოგადოების წევრები ჰყიდულობენ და ხმარობენ იმ საგნებს, რომელნიც სხვებისაგან არიან გაკეთებულნი, ნაწარმოებნი; მაშასადამე, ეს სხვები ცოტას თუ ბევრს სარგებლობას იღებენ იმათაგან. თუ მეჩექმეს, მაგალითად, წაღები სამ მანეთად დაუჯდა, ის, უეჭველია, ოთხ ან ხუთ მანეთ ნაკლებ არ მისცემს მყიდველს... თუ მეჩექმე თვითონ შრომობს, იმას, რასაკვირველია ერგება შრომის ფასი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ხშირათ ოსტატები თვითონ არ მუშაობენ, ისინი ამუშავებენ რამოდენსამე შაგირდს და იმათი შრომით თვითონ სარგებლობენ".[1] უფრო ძლიერია ექსპლოატაციის ფორმები მსხვილ საწარმოებში, ფაბრიკებსა და ქარხნებში, სადაც რამდენიმე ათასი კაცი მუშაობს. ასეთივე მდგომარეობაა სოფლად, სადაც ნაბატონრები და კულაკები ფართო მშრომელი მოსახლეობის ექსპლოატაციას ეწევიან.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, ოხზელებანი, ტ. I, გვ. 104—105.

ბომბმარებელი საზოგადოების მიერ შეძენილ ამგვარ ნაწარმოებ საქონელს თვით ამ საზოგადოების მიერ კიდეე ემატება თუმცა მცირე, მაგრამ გარკვეული თანხა, რაც მაინც მძიმე ტვირთად აწვება მშრომელ ფენებს.

საკითხს მომბმარებელთა საზოგადოებების შესახებ სერგეი მესხი უფრო ვრცლად შეეხო წერილში: „მომბმარებელი საზოგადოებები ხალხისათვის სასარგებლონი არიან თუ არა?", რომელიც დაბეჭდა 1871 წლის „დროების" 22-ე ნომერში და შეეცადა დაესაბუთებინა, რომ ამგვარ საზოგადოებებს ხალხისათვის მაინცდამაინც დიდი სარგებლობა არ მოაქვს.

ლასალის ეკონომიური მოძღვრების შესაბამისად სერგეი მესხმა განავითარა დებულება მუშახელის დღიური ხელფასის სტატიკურობის შესახებ. „საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებაში, — წერს ს. მესხი, — ნათლად დამტკიცებულ ჭეშმარიტებად ითვლება ის აზრი, რომ მუშა კაცის დღიური ქირა არც მატულობს და არც კლებულობს. კაცობრიობის ცხოვრება იმნაირათაა ახლა გამართული, რომ მუშა ხალხს საზოგადოთ თითქმის სწორეთ იმდენი დღიური ქირა ეძლევა თავის შრომისათვის, რამდენიც იმის აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ საჭიროა. ხანდისხან მოხდება, რომ მუშას ამ თავის აუცილებელ საჭიროების დასაკმაყოფილებელ ქირაზე ცოტა მომეტებული ეძლევა, მაგრამ ამაზე უფრო ხშირათ ისეთი შემთხვევები მოხდება, რომ ესევე მუშა თავის შრომით თითქმის ვერ აკმაყოფილებს ყველა თავის ბუნებით მოთხოვნილებას, როგორც მაგალითად შიმშილს, წყურვილს, სიცივისაგან და ავდრისაგან სადმე თავის შეფარვას და სხვ. მაგრამ საზოგადო კანონი ისევე რჩება".[1]

იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა ცოტა მომეტებულ ხელფასს ღებულობს, მისი მდგომარეობა ოდნავ უმჯობესდება, მაგრამ ეს გაუმჯობესება მხოლოდ დროებითია, რადგან „მუშა ხალხი ყოველთვის იმ ქვეყანაში მიდის სამუშაოთ, სადაც იმისი შრომა უკეთ იქნება დასაჩუქრებული, ე. ი. სადაც იმას მომეტებული ქირის აღება და უკეთ ცხოვრება შეეძლება. მაშასადამე... ქალაქში, სადაც „მომბმარებელი საზოგადოების" წყალობით ცხოვრება გაადვილებიათ, სხვა ქვეყნებიდანაც მოვლენ მუშები და დაიწყებენ სამუშაოს ძებნას. ამით, რასაკვირველია, ისარგებლებენ ფაბრიკანტები, მაძულის პატრონები და საზოგადოთ ისეთი პირები, რომელთაც მუშის შრომა სჭირდებათ: გაჩნდება ის სოციალური სენი, რომელსაც „კონკურენციას" ეძახიან, ე. ი. შეიქმნება ქიშპობა: ფაბრიკანტი ან მამულის პატრონი მხოლოდ იმ მუშებს დაიქირავებს, რომელნიც დღეში

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 146.

თხუთმეტი შაურის მაგივრათ ათ შაურათ იმუშავებენ. მუშებმა, რასაკვირველია, თუ სულ ულუკმაპუროთ არ უნდათ დარჩნენ, უთუოდ უნდა დაუკლონ ქირას... მაშასადამე, ამ შემთხვევაში „მომხმარებლების დუქნის“ საშუალებით მუშა ხალხს მხოლოთ დროებით შეუმსუბუქდათ მდგომარეობა“.[1]

ამრიგად, მუშახელის ზრდა იწვევს კონკურენციას შრომის გაჰყიდველ ელემენტებს შორის, რასაც თავის მხრივ ხელფასის დაკლება მოსდევს. ამნაირად, „მომხმარებელთა დუქნების“ წყალობით სურსათ-სანოვაგისა და სხვა საჭირო საქონლის გაიაფებით მუშა ხალხის მდგომარეობა მხოლოდ დროებით უმჯობესდება, საბოლოოდ კი მათ კეთილდღეობას ეს დუქნები ვერ შველიან, რადგან მშრომელთა ხელფასი საქონლის გაიაფება-გაძვირებასთან დაკავშირებით ხან კლებულობს და ხან მატულობს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინების შედეგად სერგეი მესხი საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ მომხმარებელი საზოგადოებები მშრომელი ხალხისათვის გამოუსადეგარია.

მომხმარებელთა საზოგადოებებთან შედარებით სერგეი მესხი უპირატესობას მწარმოებელ საზოგადოებებს ანიჭებს, რომელნიც იმგვარადვე იმართებიან, როგორც მომხმარებელი საზოგადოებანი: „რამდენიმე ერთი გვარი მოხელე მუშები, მაგალითად ვთქვათ, მაუდის მკეთებლები, შეიკრიბებიან ერთად, გამოიღებენ ფულს, ყიდულობენ ან მართავენ ახალ ქარხანას და ერთად მუშაობენ. შემოსავალი რაც იქნება... თანასწორათ იყოფენ. ნათლად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში ღარიბი მუშების შრომას ვერავინ ვერ შეჭამს, რადგან რაც გასავალს გადარჩება თვითონვე მიაქვთ“.

მაგრამ სერგეი მესხი ხედავს, რომ გაღატაკებულ მშრომელ ხალხს იმდენი თანხა არ გააჩნია, რომ საკუთრივ გახსნას ქარხნები და ფაბრიკები. ამიტომ იგი ეყრდნობა რა ლასალის თვალსაზრისს, ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში „სახელმწიფო ვალდებულია ხელი მოუმართოს მუშა ხალხს, თორემ მარტო საკუთარი ღონისძიებით მუშა ხალხი ვერ შესძლებს კაპიტალისტების დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას“[2].

ცხადია, ეს უტოპია იყო.

გაზეთ „დროების“ და, კერძოდ, ს. მესხის თვალსაზრისს ლასალის თეორიის გარშემო მკვეთრად დაუპირისპირდა როგორც „გუთნის დედა“, ასევე ჟურნალი „მნათობიც“ და მისი აქტიური თანამშრომელი ანტონ ფურცელაძე.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 147.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 106.

განსაკუთრებით საყურადღებოა 1872 წლის „მნათობში“ დაბეჭდილი ა. ფურცელაძის წერილი — „ათი მტერს, ერთი მოყვარეს“ და 1875 წელს „გუთნის დედაში“ გამოქვეყნებული მისივე „რამდენიმე სიტყვა სასოფლო-სამეურნეო ბანკებზედ“.

„მნათობი“ არ იზიარებს „დროების“ თვალსაზრისს „რკინის კანონის“ განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ ჩვენი ცხოვრებისათვის. „მნათობი“ არც იმ შეხედულებას იზიარებს, რომლის მიხედვითაც „დროება“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას მწარმოებელ ასოციაციებს ანიჭებდა. ამ შემთხვევაში, „მნათობი“ უპირატესობას მომხმარებელთა ასოციაციას აძლევდა.

1871 წელს რამდენიმე ქართველმა ნაბატონარმა გადაწყვიტა მწარმოებელი საზოგადოების დაარსება. ნაბატონარებს ჩარჩ-ვაჭრების ჩაურევლად უნდა მიეწოდებინათ მომხმარებლისათვის საქონელი და მოგებაც თვითონვე გაეინაწილებინათ.

ამ მოვლენის დადებით მხარეს გაზეთი „დროება“ იმაში ხედავდა, რომ მომხმარებელი გადარჩებოდა ვაჭრების კლანჭებს და საქონელს უფრო შეღავათიან ფასებში შეიძენდა, მაგრამ ნაბატონართა მიერ შედგენილი საზოგადოება მაინც არ იმსახურებდა დიდ თანაგრძნობას, რადგან იგი არ ითვალისწინებდა მშრომელი ფენების ინტერესებს. „თანაგრძნობა და ქება იმ პირს ან წრეს ეძღვნის, — წერდა ს. მესხი, — ვინც თავის თავზე ზრუნვაში არ ივიწყებს სხვებს და განსაკუთრებით იმათ, ვისაც, ყველაზე უფრო ეპირვება ღონისძიების შემატება და ცხოვრების გაუმჯობესება“.

მწარმოებელთა საზოგადოების დაარსებისას სერგეი მესხი ფართო მშრომელი მასების ინტერესებიდან გამომდინარეობს და ცდილობს ეს საზოგადოება ღარიბი ხალხის სამსახურში ჩააყენოს. „ღარიბ ხალხს, იმ ხალხს, რომელიც სწორედ რომ სთქვას კაცმა, ნაჭდვილი მწარმოებელი არის, რომ ჰქონოდა ამ საქმეში დაახლოებული მონაწილეობა და ეს საზოგადოება იმნაირათ რომ იყოს გამართული, რომ ჩვენ მუშა ხელს შეუმსუბუქოს და გაუადვილოს თავის ნაწარმოების რიგიანათ გასაღება, მაშინ ამ საზოგადოებას ვუძღვნიდით ჩვენ თანაგრძნობას“.[1]

„მწარმოებელ საზოგადოებებს“, სერგეი მესხის ღრმა რწმენით, პირველ რიგში გლეხობა უნდა გაეერთიანებინა, მაგრამ ამ საქმის მოგვარება გაუნათლებელ გლეხობას დამოუკიდებლად არ შეეძლო. საჭირო იყო ხელმძღვანელი, გზის მაჩვენებელი და ამგვარ ხელმძღვანელობას ჩვენი პუბლიცისტი ქართველი განათლებული ახალგაზრდობის მოვალეობად თვლიდა.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 108.

უდაოდ მართალი იყო სერგეი მესხი, როდესაც აღიარებდა გაერთიანებულ მწარმოებელთა შრომის უპირატესობას განცალკევებული მწარმოებლების შრომასთან შედარებით, მაგრამ იგი ვერ ამჩნევდა, რომ „კერძო კაპიტალისტური საკუთრების პირობებში მოწყობილი მწარმოებელთა ამხანაგობანი კაპიტალისტური შინაარსის მატარებელია, რომ კაპიტალიზმის პირობებში ისეთ კოოპერაციას შეუძლია არსებობა, რომელიც სამუშაო ძალის ექსპლოატაციის ზრდის საშუალებაა და არა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა".[1]

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის დაკნინებისა და ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის გამწვავების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს სერგეი მესხი სავაჭრო კაპიტალის განვითარებაში და ჩარჩ-ვაჭრების შეუზღუდველ პარპაშში ხედავს. ისინი ავიწროებდნენ როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მშრომელ მოსახლეობას.

ვ. ი. ლენინმა თავის ვრცელ გამოკვლევაში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" — მშვენიერად გაარკვია სავაჭრო კაპიტალის განვითარების ოთხი ძირითადი ფორმა. პირველ და ყველაზე უფრო მარტივ ფორმას, ლენინის თქმით, წარმოადგენს ვაჭრის ან მსხვილი სახელოსნოს პატრონის მიერ წვრილი საქონელმწარმოებლისაგან ნაწარმის შესყიდვა: „უმრავლეს შემთხვევაში ადგილობრივი შემსყიდველი არის ერთადერთი პირი, რომლისათვისაც თავის ნაწარმოების მიყიდვა გლეხს მუდამ შეუძლია, და მაშინ მყიდველი სარგებლობს თავისი მონოპოლური მდგომარეობით, რათა უზომოთ შეამციროს ის ფასი, რასაც ის აძლევს მწარმოებელს".

სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარების მეორე ფორმას წარმოადგენს სავაჭრო კაპიტალის შეერთება მევახშეობასთან: „გლეხი, რომელსაც ფული მუდამ სჭირდება, სესხულობს შემსყიდველისაგან ფულს და შემდეგ ვალში აძლევს მას თავის საქონელს. ამ შემთხვევაში (რაც ძალიან გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს) საქონლის გასაღება ყოველთვის ხდება ხელოვნურად დაწეულ ფასებში, რის გამოც შინამრეწველს ხშირად ხელში იმდენი არ რჩება, რამდენის მიღებაც დაქირავებულ მუშას შეეძლო. ამისთანა კრედიტორის და მოვალის ურთიერთობა აუცილებლად იწვევს უკანასკნელის პირად დამოკიდებულებას, კაბალას, იმას, რომ კრედიტორი სარგებლობს მოვალის გაჭირვების განსაკუთრებული შემთხვევით და სხვ."

სავაჭრო კაპიტალის განვითარების მესამე ფორმას ნაწარმის ფასში საქონლის მიცემა წარმოადგენს, რაც სოფელი შემსყიდველების ერთ-ერთი ჩვეულებრივი ხერხია „ამ ფორმის თავისებურება

---

[1] ს. გ. თ ო დ უ ა, „ს. მესხის ეკონომიური შეხედულებანი", გვ. 108.

იმაში მდგომარეობს, რომ ის ახასიათებს არა მარტო წვრილ სარეწებს, არამედ საზოგადოდ სასაქონლო მეურნეობისა და კაპიტალიზმის ყველა განუკითარებელ სტადიას".

მეოთხე ფორმა ეს არის „ვაჭრის მიერ ანგარიშის გასწორება სწორედ იმგვარი საქონლით, რომელიც სჭირდება „შინამრეწველს" წარმოებისათვის (ნედლი ან დამხმარე მასალები და სხვ.)... თუკი ნაწარმის შემსყიდველი იწყებს ანგარიშის გასწორებას იმ ნედლი მასალებით, რომლებიც „შინამრეწველს" ესაჭიროება, ეს ნიშნავს მეტად დიდ ნაბიჯს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაში. მას შემდეგ, რაც შემსყიდველმა წვრილი მრეწველი მოსწყვიტა მზა ნაწარმთა ბაზარს, ახლა იგი მას სწყვეტს ნედლეულის ბაზარს და ამით საბოლოოდ იმორჩილებს შინამრეწველს".[1]

კაპიტალიზმის განვითარების ოთხივე ფორმა დამახასიათებელი იყო საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, რასაც მშეენივრად ამჩნევდა სერგეი მესხი. იგი ხედავდა, რომ სავაჭრო კაპიტალი დღითი დღე თავის მარწუხებში აქცევდა როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მშრომელ მოსახლეობას და ცხოვრების უმძიმეს პირობებს უქმნიდა მათ. „თითქმის ყველა კავკასიის ქალაქში ვაჭრები მეფობენ. — წერდა ს. მესხი, — ყოველი უძრავი და მოძრავი ქონების პატრონები ისინი არიან. ქალაქები რა! აიღეთ რომელიმე პატარა სოფელი: თქვენ დარწმუნდებით, რომ თითქმის ყველა ამ სოფლის მცხოვრებლების სული და ქონება ერთის ან ორის წვრილი ვაჭრისა ანუ ფულის მსესხებლის ხელშია, რომელიც აქ ჩასახლებულა, ან რომელსაც ახლო ქალაქიდამ გადმოუწვდია ხელი და მუხრუჭივით წაუჭერიათ სოფლელებისათვის ყელში. ჩვენი გლეხის მამულები, განსაკუთრებით კახეთში და ქართლში, სანახევროთ იმათ აქვთ დარიგებული და უეჭველია, თუ რამე საშუალება არ მოინახა, ერთ დროს, იქნება მალეც, სრულებით იმათ ხელში გადავა. გლეხ-კაცი ამ ვაჭრის ვალით ყელამდი სავსეა, ეს ვალი წლობით კი არა, საათობით მატულობს".[2]

სერგეი მესხი სასტიკი წინააღმდეგია აღებ-მიცემობის იმ წესისა, რომელსაც ჩვენებური გაიძვერა ვაჭრები აწარმოებდნენ და რომელიც მლიქნელობაზე, მოტყუებაზე და მხოლოდ პირადი გამდიდრების ავადმყოფურ სურვილებზეა დამყარებული.

განსაკუთრებული სიმკვეთრით ილაშქრებს სერგეი მესხი მსხვილი ვაჭრების წინააღმდეგ, რომელთა ხელშიც მოქცეულია ყველა წვრილი ვაჭარი, თვით ქალაქის გამგეობაც კი და რომელნიც სასა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. III, 1948 წ., გვ. 428—430.
[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 323.

ქონლო ფასების განმგებლებად გვეევლინებიან. მსხვილი ვაჭრები ხელოვნურად ზრდიან სასაქონლო ფასებს, ეს კი მძიმე მდგომარეობაში აყენებს წვრილ ვაჭრებს, რის გამოც ეს უკანასკნელნი, გაკოტრების შიშით შეპყრობილები, ქალაქის მცხოვრებთ უმოწყალოდ ყვლეფენ.

მსხვილი ვაჭრების ასალაგმავად სერგეი მესხი მოუწოდებს წვრილ ვაჭრებს გაერთიანებისა და მსხვილი ვაჭრების წინააღმდეგ ერთიანი ძალით მოქმედებისაკენ. „მიეცით პირი ერთმანეთს, მომეტებული თანხმობა, უფრო გონივრული გაგება გქონდესთ თქვენი საზოგადო სარგებლობისა, და დამერწმუნეთ, რომ რამდენიმე ფულიანი კაცი თქვენ მბრძანებლათ აღარ იქნებიან". მაგრამ მათი საქმიანობა საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ უნდა წარმართულიყო და არა პირადი გამდიდრებისა და ხალხის მოტყუებისაკენ. მისი ღრმა რწმენით აუცილებელი იყო, რათა ვაჭრობასაც და მრეწველობასაც სათავეში პატიოსანი ადამიანები ჩასდგომოდნენ. პატიოსანი ადამიანების ხელში ვაჭრობა სპეკულაციაზე და ადამიანის მოტყუებაზე არ იქნებოდა დამყარებული.

როგორც წვრილი ვაჭრების, ასევე ღარიბი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მსხვილი ვაჭრების უღლისაგან თავის დახსნა, სერგეი მესხის აზრით, „გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობების" დაარსებით შეიძლებოდა. ეს ამხანაგობები მოუმართავდნენ ხელს ღარიბ მოსახლეობასა და წვრილ ვაჭრებს, „ისინი იძულებულნი აღარ იქნებიან ფულიან კაცს მიმართონ და მანეთში ხშირათ ნახევარი მანეთი სარგებელი აძლიონ; განთავისუფლდებიან სხვა მხრითაც იმათის დამოკიდებულებისაგან,... იძულებულნი აღარ იქნებიან, ვსთქვათ, ქალაქის ამორჩევების დროს იმათი ბრძანება აასრულონ და ისეთი კაცები ამოირჩიონ, რომელნიც ღარიბებისა და ქალაქის სიკეთისათვის თითქმის სრულებით არ ზრუნავენ".[1]

საქართველოს ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ საშუალებას სერგეი მესხი იმაშიც ხედავს, რომ საჭიროა ვაჭრობისა და მრეწველობის ფერხულში ქართველი ხალხიც ჩაებას და ხელიდან გამოგლიჯოს ეს საქმე სომეხ ვაჭრებსა და უცხოელ კომერსანტებს, რომლებიც გამდიდრების მიზნით საქართველოსაკენ მოისწრაფვიან.

სერგეი მესხის მართებული რწმენით, განსაკუთრებული საფრთხე საქართველოს უცხოელი კომერსანტებისა და კაპიტალისტებისაგან მოელის, რადგან „შენიშნულია, რომ როდესაც უცხო ქვეყნები რომელსამე ბუნებით მდიდარს ქვეყანაში მიდიან, იმათი

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 76.

უპირველესი აზრი ის არის, რომ რაც შეიძლება მომეტებული გამოიტანონ ამ ქვეყნიდამ, გამოსწოვონ იმას უკანასკნელი ცხოვრების წვენი და შემდეგ მიატოვონ".[1]

ამიტომ, სერგეი მესხი მოუწოდებს ქართველ ხალხს მოკიდოს ხელი ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის დამუშავებას და ვაჭრობას, მაგრამ საჭიროა არა ისეთი ვაჭრობა, რომელიც ძარცვა-გლეჯას უფრო წააგავს, არამედ საჭიროა პატიოსანი ვაჭრობა, რომელიც „სარგებლობის მეტს არავითარ ენებას არავის არ მოუტანს".

ცხადია, სერგეი მესხი ვერ ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ფიქრი „პატიოსან ვაჭრობაზე" და „პატიოსან ვაჭრებზე" მხოლოდ ილუზია იყო. ამიტომ იგი დაჟინებით მოითხოვდა ეროვნული ბურჟუაზიის შექმნას და ყოველმხრივ ცდილობდა, გაექარწყლებინა ის მავნე შეხედულება თითქოს „ვაჭრობა და აღებ-მიცემობა ქართველის საქმე არ არისო, ეს ხელობა სომხისა და ებრაელისათვის მიუნდვია ღმერთსაო".[2]

სერგეი მესხი აღშფოთებულია იმ გარემოებით, რომ ქართველს ეთაკილება ვაჭრობა, „იმერელ აზნაურს და განსაკუთრებით თავადიშვილს როგორ გაუბედავთ თქმას, რომ ვაჭრობა და აღებ-მიცემობა დაიწყოს! „მამიჩემის შვილს რავა ეკადრება მაგი ხელობა! ებრაელები რაღას გვიკეთებენო?" — გეტყვისთ. და როცა ერთი ორი თუმანი დასჭირდება, მაშინ კი იმავე ებრაელს მიმართავს დაეღრიჯება. თითქმის ფეხქვეშ ჩაუვარდება და წელიწადში ნასესხებ თუმანზე თუმანს სარგებელს აძლევს".

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სერგეი მესხი, რომელიც კატეგორიულად აყენებს ეროვნული ბურჟუაზიის შექმნის აუცილებლობის საკითხს, წინააღმდეგია იმგვარი სავაჭრო ბურჟუაზიისა, რომელიც წარმოებაში არ ურევია, რომელიც საქონელს არ აწარმოებს და მხოლოდ სხვის ნაწარმოებ პროდუქციას ასაღებს მომხმარებელზე. ეს პროცესი აღატაკებს მომხმარებელსაც და მწარმოებელსაც და მხოლოდ მცირერიცხოვანი ვაჭართა კლასის გამდიდრების წყაროს წარმოადგენს. „რიგიანი, ნორმალური ვაჭრობა და აღებ-მიცემა კი ის არის, — წერს ს. მესხი, — როდესაც სოფლის ან ქალაქის მწარმოებელი თვითონ პირ-და-პირ ჰყიდის თავის ნაწარმოებს მომხმარებელზე და როდესაც, ერთი სიტყვით, მომხმარებელსა და მწარმოებელს შუა არავითარი შუამავალი და ვაჭარი არ არის".[3]

აქედან გამომდინარე სერგეი მესხი მოითხოვს მწარმოებელთა

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 278—279.
[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 86.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 87.

უშუალო ჩაბმას ვაჭრობის ფერხულში. მწარმოებელთაგან უნდა შეიქმნას ეროვნული ბურჟუაზია, რაც საქართველოს იხსნიდა სიღარიბისა და უფულობისაგან, სავაჭრო კაპიტალის მძარცველური ექსპლოატაციისაგან.

ფრიდრიხ ენგელსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გერმანული გამოცემის წინასიტყვაობაში შენიშნავდა, რომ „ყოველი ისტორიული ეპოქის ეკონომიური წარმოება და მისგან გარდაუვლად გამომდინარე აგებულება საზოგადოებისა შეადგენენ ამ ეპოქის პოლიტიკური და გონებრივი ისტორიის საფუძველსო“. ამით ფ. ენგელსმა მიუთითა იმ უშუალო მჭიდრო კავშირზე, რომელიც არსებობს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას შორის. ამ კავშირს სერგეი მესხიც ხედავს და წერს: „რამდენათაც მმართებლობა უფრო შეთვისებულია ხალხის ხასიათთან, რამდენათაც ხალხის პოლიტიკური მდგომარეობა უფრო დამაკმაყოფილებელია... იმდენათ იმის ეკონომიური მდგომარეობაც უკეთესია; და წინააღმდეგ ამისა, რამდენათ პოლიტიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს ხალხს, რამდენათ ხალხი შევიწროვებულია, — იმდენათ იმის ეკონომიური მდგომარეობა ცუდია, იმდენათ იმის ვაჭრობა და წარმოება სუსტობს“.

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა კი სწორედ ისეთი იყო, რომ მეტად უარყოფითად მოქმედებდა როგორც მრეწველობაზე, ასევე ვაჭრობაზე მათი ეროვნული განვითარების თვალსაზრისით. როგორც სერგეი მესხი აღნიშნავდა, „როდესაც ხალხს შევიწროვებას და სხვა უფლებათა წართმევას ემუქრებიან, — მას აქვს ვაჭრობა და წარმოება თან და თან უკან მიდის, სახელმწიფო შემოსავალი არ ჰყოფნის სახელმწიფო გასავალს“.[1]

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარალელურად, სერგეი მესხი ასევე ენერგიულად იბრძოდა საქართველოს ეკონომიური აღორძინებისა და სოციალური საკითხის მოგვარებისათვის.

სერგეი მესხი მშვენივრად ხედავდა, რომ საქართველოს საუკეთესო მიწებს მემამულეები ფლობდნენ, ამ მამულების გონივრულად დამუშავებაზე კი ბევრად იყო დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ სერგეი მესხის ყურადღება მემამულეთა ხელში მყოფი მამულების რაციონალურად დამუშავებისაკენაც იყო მიპყრობილი. ამ მამულების დასამუშავებლად კი ფულადი სახსრები იყო საჭირო, რაც ქართველ თავადაზნაურობას არ გააჩნდა. ამიტომ ჩვენმა სამოციანელებმა და

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 400.

მათ შორის სერგეი მესხმაც მემამულეთა დარღვეული მეურნეობის აღდგენის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ბანკი მიიჩნიეს და როდესაც დაისვა საკითხი, თუ როგორი ბანკი უნდა დაარსებულიყო ჩვენში — საადგილმამულო, სავაჭრო, თუ ურთიერთ სესხის ამხანაგობისა, — სერგეი მესხმა საადგილმამულო ბანკის დაარსება მოითხოვა, რომელიც, მისი აზრით, უფრო შეესაბამებოდა ჩვენი თავადაზნაურობის მდგომარეობას და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ყოფას. „არ უნდა დავივიწყოთ, — წერდა ს. მესხი, — რომ ჩვენ ისტორიულად მიწის მომუშავე, მეურნეობის მიმდევარი ხალხი ვართ და ბანკი და იმისი ფულები უმთავრესად იმისათვის, ჩვენი მიწის შემუშავებისათვის უნდა გამოვიყენოთო".[1]

როგორც ცნობილია, თბილისის სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის დაარსება საკმაოდ გაჭიანურდა და მადაგახსნილმა რუსეთის კაპიტალმა ამ საქმეშიც მოინდომა ხელის მოთბობა. და აი, 1872 წელს გაზეთ „კავკაზის" 137-ე და 139-ე ნომრებში გამოქვეყნდა ცნობა, რომ პეტერბურგში შემდგარა აქციონერთა ორი დიდი კამპანია, რომელსაც სურს კავკასიაში საადგილმამულო ბანკის დაარსება. სერგეი მესხი აღშფოთებით შეხვდა ამ ცნობას და გაიფრთხილა ქართველი თავადაზნაურობა, რომ არ წამოგებოდნენ გადმოგდებულ ანკესს. „წინასწარმეტყველი არ უნდა იყოს კაცი, — წერდა იგი, — რომ სთქვას ამგვარი კაპიტალისტების ბანკი, ადრე თუ გვიან, მთელს ჩვენს მამულებს ჩაიგდებს ხელში, რადგან იმის განზრახვა მხოლოდ ის იქნება, რომ ისარგებლოს ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობით და, რაც შეიძლება. მომეტებული გამოუსყიდველი მამული დაისაკუთროს. თვით ჩვენმა მემამულეების ოცნებამ წარმოიდგინოს, რა ბედი და მომავალი მოელის მაშინ ჩვენ თავადაზნაურობას, რომელნიც უადგილ-მამულოთ და, იქნება, უსახლკაროდაც დარჩებიანო".[2]

როგორც იქნა, დიდი ჭაპანწყვეტის შედეგად, დაარსდა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი ჯერ თბილისში, ხოლო შემდეგ ქუთაისში, მაგრამ მან ვერ გაამართლა ის დიდი იმედები, რომელსაც ქართველი ინტელიგენცია მასზე ამყარებდა.

სერგეი მესხმა შეამჩნია, რომ სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკების დაარსების შემდეგ ქართველმა თავადაზნაურობამ ხელი მიჰყო მამულების დაგირავებას, მაგრამ ბანკებიდან გამოტანილი ფული მამულის რაციონალიზაციას არ ხმარდებოდა. ხშირ შემთხვევაში თანხა უმიზნოდ და უაზროდ იფლანგებოდა, მადაგახსნილი თა-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 426.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 295.

ვადაზნაურობა ქეიფებსა და ღრეობებში ჰფანტავდა მამაპაპეულ ქონებას, დაგირავებული მამულები საჯარო ვაჭრობით იყიდებოდა და იქმნებოდა ანგარიშგასაწევი ეროვნული და ეკონომიური საფრთხე, რადგან საუკეთესო მამულების მნიშვნელოვანი ნაწილი სომეხი ვაჭრებისა და უცხოელი კომერსანტების ხელში გადადიოდა, ხოლო მიწის ნამდვილი დამმუშავებელი — გლეხობა ისევ უმიწოდ რჩებოდა. ამიტომ სერგეი მესხმა კატეგორიულად დააყენა საკითხი, რათა საადგილმამულო ბანკებს შეექმნათ გლეხობისათვის ისეთი პირობები, რომ თავადაზნაურობის მიერ დაგირავებული მამულები მათ შეესყიდათ. „საჭიროა, — წერდა ს. მესხი, — რომ ბანკმა რაც შეიძლება გაუადვილოს კერძო გლეხს ან მთელ სოფლის საზოგადოებას ხსენებული გასაყიდი მამულების საკუთრებად შეძენა. ბანკს შეუძლიან ნაწილ-ნაწილ დაჰყოს ის მამულები და ისე გაჰყიდოს, შეუძლიან ფულის გადახდა ადროვოს, შეუძლიან, რომ მომეტებულ მოგებას არ გამოედევნოს და იმდენად მიჰყიდოს, რამდენათაც თვითონ უზის ეს მამული, და სხვა ბევრი შემსუბუქება და შეღავათი შეუძლიან მისცეს იმას, თუ მოინდომებს და თუ რიგიანათ ესმის ჩვენი ხალხის ვითარება".[1]

რაც დრო გადიოდა, სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკები თანდათანობით ჰკარგავდნენ თავის უშუალო დანიშნულებას. ბანკების მიზანი, — შენიშნავდა ს. მესხი, — „იყო და არის, რომ ფულით ხელი მოუმართოს იმ მემამულეთ, რომელნიც ცდილობენ თავიანთ მიწიდგან მომეტებული სარგებლობის მოტანას, რომელთაც ჰსურთ, რომ გონივრული მეურნეობა შემოიღონ; ერთი სიტყვით, ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები იმისათვის იყვნენ დაარსებულნი, რომ წინ წასწიონ, წარმატებაში შეიყვანონ მეურნეობის საქმე და ამის გამო წარმატება მისცენ აგრეთვე ჩვენს ხალხს, რომლის თითქმის ერთადერთი, ისტორიული ხელობა არის მეურნეობა, მიწის შემუშავება".

ნაცვლად იმისა, რომ ბანკს პირველ რიგში სესხი მიწის მეპატრონეებისათვის მიეცა, იგი ვაჭრებს, სახლის მეპატრონეებს და სხვა ამგვარ პირებს აკმაყოფილებდა. ბანკებიდან თანხის ორი მესამედი სწორედ ამგვარ პიროვნებებს მიეცათ. გართულდა ბანკიდან ფულის გამოტანის შესაძლებლობა და „ნამდვილი მეპატრონენი კი ბანკის თანხისა თითქმის, როგორც ამბობენ, რიყეზე დარჩნენ".[2]

ცხადია, ამგვარი მდგომარეობა არა თუ წინ წასწევდა, არამედ დააკნინებდა საქართველოს სოფლის მეურნეობას.

ცალკეულმა პიროვნებებმა: მინგრელსკიმ, პალაშკოვსკიმ და

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 305.

2 ი ქ ვ ე, გვ. 387.

ალდერბერგმა, რომელთაც მხოლოდ პირადული ინტერესები ამოძრავებდათ, მოინდომეს აქციონერული საადგილმამულო ბანკის დაარსება. სერგეი მესხი წინააღუდგა ამგვარი ბანკის დაარსებას, რადგან იგი მხოლოდ თავისი წევრების კერძო სარგებლობას ისახავდა მიზნად. ეს ბანკი გაამარტივებდა სესხის მიღების ოპერაციებს, კონკურენციას გაუწევდა სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკებს და ყოველ ღონეს იხმარდა, ხელში ჩაეგდო მთელი საქართველოს საადგილმამულო კრედიტის საქმე. ამას კი ის არასასიამოვნო შედეგი მოჰყვებოდა, რომ მთელ ადგილ-მამულებს ეს ბანკები და მისი მოთავენი ჩაიგდებდნენ ხელში, რაც საკმაოდ მსხვილ მესაკუთრეთა ახალ ფენას წარმოშობდა, ქვეყანას კი არავითარ სარგებლობას არ მოუტანდა.

ამ მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით სერგეი მესხმა დააყენა საკითხი სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის წესდების იმგვარად გადაკეთებისა, რომ ბანკიდან ფულის გამოტანის და გამოტანილი სესხის დაფარვის საშუალებანი უფრო ხელმისაწვდომი ყოფილიყო თავადაზნაურობისათვის. „თუ გვინდა რომ იმან (აქციონერთა ბანკმა — ი. ბ.) ჩვენი ბანკები არ ჩაყლაპოს, არ მოჰკლას, ჩვენც ისეთი ცვლილებანი უნდა მოვახდინოთ ჩვენს საადგილ-მამულო ბანკების პროექტში, რომ ამ ბანკებს იმასთან კონკურენცია, იმის წინ გადადგომა, იმის დამარცხება შეეძლოს. უნდა შეუმსუბუქოთ მსურველთ სესხის აღების საშუალება, უნდა შეუმსუბუქოთ იმათ განსაკუთრებით სარგებლისა და თავნის გადახდის ღონისძიება და სხვ.“[1]

XIX საუკუნის 70-იან წლებში უკვე საკმაოდ ნათლად იგრძნობა უცხოური კაპიტალის ექსპანსია საქართველოში, რაც ჩვენს ქვეყანას გარდაუვალი ეკონომიური საფრთხის წინაშე აყენებდა.

უცხოური კაპიტალის შემოტევისაგან თავის დაცვის მიზნით სერგეი მესხმა ქართულ პრესაში პირველმა წამოაყენა საკითხი თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო-სათავადაზნაურო ბანკების შეერთებისა. „ახლა, — წერდა იგი, — როდესაც ყოველი მხრიდან გვემუქრება ჩვენ კაპიტალის შემოსვლა, — ისეთი კაპიტალისტებისა, რომელთაც ჩვენი ბუნების გაცარცვა და ჩვენი უკანასკნელი წვენის გამოწოვა ექნებათ ჩვენში თავისი მოქმედების მიზანი, — ამისთანა დროს, ვამბობთ ჩვენ, აუცილებლათ საჭიროა, რომ ჩვენც შეძლებისა-დაგვარათ გავუწიოთ იმათ წინააღმდეგობა და დავიცვათ ჩვენი არსება, თორემ... ჩვენ მოგველის ისეთი თავ-დაცემა და შემოსევა უცხო ქვეყნის კაპიტალისტებისა, რომელიც ბარბაროსების შემოსე-

[1] „დროება“, 1879 წ., № 8.

ვაზე უარესი და უმავნებლესი იქნება ჩვენი საწყალი ქვეყნისათვის".[1]

თბილისისა და ქუთაისის ბანკების შეერთებით მომძლავრდებოდა ჩვენი ფინანსიური შესაძლებლობანი და უფრო ადვილი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის დაცვა უცხოელი კაპიტალისტების შემოტევისაგან. გარდა ამისა, ამ შეერთებას ის დადებითი შედეგებიც მოჰყვებოდა, რომ პირველყოვლისა ერთიორად შემცირდებოდა თანხა, რომელიც ბანკების ხელმძღვანელობაზე იხარჯებოდა და, რაც მთავარია, ბანკების შეერთებით მოისპობოდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს განცალკევება. „ეს შეერთება გაგვაცნობს ჩვენ ერთმანეთს, გაგვაგებინებს ერთმანეთის სარგებლობასა და ზიანს და უფრო მომეტებულ საშუალებას მოგვცემს, რომ ყოველი საზოგადო საქმე შევასრულოთ და დამაზიანებელი თაეიდამ ავიშოროთ"[2], დასძენდა ჩვენი პუბლიცისტი.

მაგრამ სერგეი მესხმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ვერც სხვადასხვა ბანკები და საზოგადოებანი, ვერც შემნახველი და გამსესხებელი სალაროები, ვერც პურის მაღაზიები, დეპოები და სხვა მისთანანი რადიკალურად ვერ გაუმჯობესებდნენ ხალხის მდგომარეობას. მათ შეეძლოთ ამ მდგომარეობის მხოლოდ ერთგვარი შემსუბუქება და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ყველა ამ დაწესებულება-ორგანიზაციების უშუალო მონაწილე ღარიბი მშრომელი მოსახლეობა იქნებოდა, თუ ისინი ღარიბებისათვის იქნებოდნენ დაარსებულნი და არა დიდი თანხის მეპატრონეთათვის. სერგეი მესხი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ევროპისა და ამერიკის ამნაირ საზოგადოების და ბანკების უმეტეს ნაწილს უბრალო მუშა ხალხი ჰყავს მხედველობაში", ჩვენში კი ამგვარი საზოგადოებანი და დაწესებულებანი მხოლოდ მდიდრებისა და შეძლებულთათვის არსდება, „ღარიბი ხალხი კი... ყველგან გამოსხლეტილია... იმათთვის არც სასოფლო ბანკები სუფევს, არც ხეირიანი პურის მაღაზიები, არც კასები და არც სხვა არაფერი".[3]

ამიტომ, როდესაც 1871 წელს დაისვა საკითხი ჩვენში „ურთიერთ სესხის საზოგადოების" დაარსებისა, რომელსაც არც ერთი წოდება არ ეყოლებოდა განსაკუთრებულ მხედველობაში და რომელიც მხოლოდ მცირე თანხის პატრონებს გააერთიანებდა, სერგეი მესხი სიამოვნებით შეხვდა ამ წამოწყებას, მაგრამ აქვე მიუთითა, რომ საჭირვილი იქნებოდა საზოგადოება იმგვარად ყოფილიყო გამართუ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 299—300.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 301.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 166—7.

ლი, რომ მასში უმთავრესად ღარიბებს ჰქონოდა მონაწილეობის უფ-ლება, რადგან პირველ რიგში სწორედ ისინი საჭიროებდნენ მატე-რიალურ დახმარებას. გარდა ამისა, ღარიბთა მონაწილეობა „ერთი-ერთ სესხის საზოგადოებაში“ ხელ-ფეხს შეუკრავდა მევახშეებს, რომელნიც უმოწყალოდ ჰყვლეფდნენ გაჭირვებულ მოსახლეობას. „თუ საზოგადოება ისე იქნა გამართული, — წერდა ს. მესხი, — რომ ღარიბებს არ შეეძლებათ იქ მონაწილეობის მიღება, მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან ფულის სასესხებლათ ისევ მდიდრებს, ფუ-ლის მეპატრონეებს მიმართონ. ესენი თავის მხრივ ამ საზოგადოები-დანვე გამოიტანენ ფულს მ ც ი რ ე ს ა რ გ ებ ლ ი თ და ღარიბებზე დ ი დ ი ს ა რ გ ებ ლ ი თ გაასესხებენ. აი, რა ენება შეუძლიან მოიტანოს ამ საზოგადოებამ, თუ თავიდანვე, კარგ საზოგადო სიკე-თისათვის გულ-შემატკივარ კაცებს არ ჩაუვარდათ ხელში“.[1]

ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საქმეში სერგეი მეს-ხი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს რკინიგზებისა და გზატკეცილე-ბის გაყვანისა და საერთოდ სატრანსპორტო საშუალებათა მოგვარე-ბის საკითხს. გზები და სატრანსპორტო საშუალებანი ხელს შეუწ-ყობდნენ „ჩვენი ნაჭერ-ნაჭერ დაკუწული ქვეყნის მცხოვრებლე-ბის“ დაახლოვებას. იგი მოსპობდა სხვადასხვა ისტორიულ გარე-მოებათა გ

გამოწვეულ კარჩაკეტილობას და ახლოს გააცხობდა ერთმანეთს საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებს, რაც დი-დად შეუწყობდა ხელს ქართველი ერის მჭიდროდ დაკავშირებისა და გამთლიანების პროცესს. ეს კი ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი პირობათაგანი იყო. ამიტომ, როდე-საც ექსპლოატაციაში შევიდა ფოთი-თბილისის სარკინიგზო ხაზი, სერგეი მესხი სიამოვნებით შეხვდა ამ მნიშვნელოვან მოვლენას და ღრმა რწმენა გამოსთქვა, რომ „ეს რკინის გზა ცოტა არის მაინც მოსპობს ამ ჩვენი მოძმეების ერთმანეთის გაუგებლობას და განცალ-კევებას და მომეტებულ კავშირსა და ერთობას დაამკვიდრებს მოძმე ხალხებს შორისო“.[2]

სერგეი მესხის აზრით, ყოველგვარ გზას და განსაკუთრებით რკინიგზას იმ მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ იგი დიდად შეუწყობდა ხელს ვაჭრობის განვითარებას, რასაც თავის მხრივ დადებითად უნ-და ემოქმედა ხალხის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. მაგრამ სერგეი მესხი ხედავდა, რომ ფოთი-თბილისის რკინიგზას ჯერჯერობით დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა ხალხისათვის, კერ-ძოდ, ქართველი გლეხობისათვის, პირიქით, იგი მათ გაღატაკებას

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 168.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 267.

გამოიწვევდა და მხოლოდ რამდენიმე ვაჭრის გამდიდრების საშუალებად იქცეოდა. ამ მდგომარეობით აღშფოთებული სერგეი მესხი მოურიდებლად გამოთქვამდა თავის გულისწყრომას: „როდესაც „ხალხზე“ ვამბობ, მე მდაბიო სოფლის ხალხი მყავს მხედველობაში და არა ვაჭრები, რომლების ვაჭრობაზედ რკინის გზას, თუ მოხერხებით წაიყვანს საქმეს, უეჭველია კარგი მნიშვნელობა ექნება. მაგრამ ჩვენი უბრალო ქართველი რას მოიგებს იმით, რომ რამდენიმე ვაჭრები გამდიდრდებიან. ჩვენი აზრით, მოიგებს კი არა, ბევრსაც წააგებს, რადგან ეს რამდენიმე პირის გამდიდრება პირდაპირ სოფლის მცხოვრებლების გაღარიბებაზე იქნება დამოკიდებული. ჩვენ ვიცით ეხლა როგორ ხდება ეს და შემდეგშიაც რკინის გზა როგორ გაუადვილებს აქაურ ვაჭრებს ჩვენი სოფლის ხალხის ოფლით სარგებლობას. საზოგადო სიტყვებით რომ ვსთქვათ, ეს სურათი ასე წარმოგვიდგება: თვითეულს გლეხს რამდენიმე მანეთის ნამუშევარი ან სხვა რამე ნახელავი ყოველთვის აქვს გამოსასყიდათ. მაგრამ სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო იმას იმდენი შეძლება არა აქვს და ხან სასარგებლოთაც არ ჰხედავს, რომ ეს გამოსასყიდი საქონელი იმან ქალაქში ან სხვაგან სადმე სავაჭრო პუნქტებში ჩაიტანოს და ღირებულ ფასად გაჰყიდოს. ვაჭრებმა ეს გარემოება კარგათ იციან; იმათ ის დროც კარგათ იციან როდესაც ყველაზე უფრო ეპირვება გლეხს ფული. იმ დროს ისინი კალიასავით დაეხვევიან სოფლებს, სარგებლობენ გლეხის გაჭირვებით და მეოთხედ ფასად ჰყიდულობენ რამოდენიმე გლეხის ან სოფლის ნამუშევარს, ჩამოაქვთ ქალაქში და აქ ერთი ორათ ჰყიდიან“.[1]

მოტანილი ამონაწერი შეუფერავად ახასიათებს XIX საუკუნის 70-იანი წლების ქართველი გლეხობისა და ჩარჩ-ვაჭართა ეკონომიურ ურთიერთობას. მართლაც რკინიგზის ხაზის გაყვანამ ქართველი გლეხობის ეკონომიური მდგომარეობა გააუარესა, ხოლო სოფელ-სოფელ მაწანწალა ჩარჩი პირველი გილდის ვაჭრად აქცია.

სერგეი მესხის ღრმა რწმენით სარკინიგზო ხაზი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუტანდა სარგებლობას მშრომელ გლეხობას, თუ ხეირიანი სასოფლო გზების გაყვანა მოხერხდებოდა, რომელიც მივარდნილ სოფლებს რკინიგზის მაგისტრალთან დააკავშირებდა.

რკინიგზებით საქართველოს ტერიტორიის დასერვას, სერგეი მესხის აზრით, ის საფრთხეც მოჰყვებოდა, რომ უცხოელები მოეფინებოდნენ საქართველოს. ისინი აქ წარმოებასა და ვაჭრობას მოჰკიდებდნენ ხელს, რაც ქვეყნის გაღატაკებას გამოიწვევდა.

უცხოქვეყნელთა დენას კავკასიაში სხვა საფრთხეც მოსდევ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 265.

და — მათ შორის ბევრი იყო გაიძვერა და უპატიოსნო ადამიანი, რომელთაც ადგილობრივ მცხოვრებთა ოსტატურად მოტყუება და ყინულზე გაცურება შეეძლოთ.

ამრიგად, სერგეი მესხი არ იყო წინააღმდეგი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებისა. პირიქით რკინიგზების, სამრეწველო წარმოების, სასოფლო გზების მშენებლობას, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და აღებმიცემობის განვითარებას იგი ჩვენი ცხოვრების გადაუდებელ ამოცანად სახავდა, რადგან ამაში ხედავდა საქართველოს ეკონომიური აღორძინებისა და ფართო მშრომელი მოსახლეობის ბედნიერების წყაროს. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ ჩვენი ქვეყნის ვაჭრობასა და მრეწველობას თვით ქართველობა მოჰკიდებდა ხელს, შექმნიდა ეროვნულ კაპიტალს, რომელიც ჩვენივე ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას მოხმარდებოდა.

სურვილი უდაოდ კეთილი იყო. მაგრამ სერგეი მესხი ვერ ამჩნევდა, რომ ეროვნული ბურჟუაზია, რომლის შექმნაზეც იგი ოცნებობდა, ისე როგორც ბურჟუაზია საერთოდ, მშრომელი მოსახლეობის კეთილდღეობაზე არ იზრუნებდა და მის ინტერესებს არ დაიცავდა.

აქვე ის გარემოებაცაა აღსანიშნავი, რომ ილია ჭავჭავაძის მსგავსად, არც სერგეი მესხი იზიარებდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას კლასთა ბრძოლის გზით, მაგრამ ამას ვერც მოვთხოვთ ჩვენს პუბლიცისტს, რადგან მისი დროის საქართველოში კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის გამო, სერგეი მესხი, ისე როგორც ყველა განმანათლებელი, მოსახლეობის არც ერთ კლასს არ გამოჰყოფდა, როგორც განსაკუთრებული ყურადღების საგანს, ლაპარაკობდა არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ.

სერგეი მესხი, როგორც ეს განმანათლებლებისათვის იყო დამახასიათებელი, მიისწრაფოდა სამართლიანობის პრინციპზე აგებული საზოგადოების შექმნისაკენ, რომელიც განაპირობებდა ადამიანის პიროვნების სრულ თავისუფლებას და ბედნიერებას. ეს კი მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი და არა თვითმპყრობელურ სახელმწიფოში, რომლის წინააღმდეგაც სერგეი მესხი მთელი თავისი შესაძლებლობებით იბრძოდა.

სერგეი მესხის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი

სერგეი მესხი სხვა ქართველ სამოციანელებთან შედარებით მოგვიანებით გამოვიდა სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს ის დრო იყო, როდესაც მის უფროს თანამოკალმეთ — ილ. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს და კ. ლორთქიფანიძეს უკვე გარღვეული ჰქონდათ რუტინიზმის ჯებირი.

ამ გარემოებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ს. მესხის ცხოვრებაში; მას სწორი გზის არჩევის შესაძლებლობა მიეცა.

ს. მესხის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა, ერთის მხრივ, მრავალსაუკუნოვანმა ქართულმა მწერლობამ და ფილოსოფიურმა აზროვნებამ, ხოლო მეორე მხრივ, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებამ და დიდმა რუსულმა ლიტერატურამ. ეს უკანასკნელი იყო უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განაპირობა სამოციანელთა და, კერძოდ, ს. მესხის მსოფლმხედველობის ფორმირება. ამ ფაქტორის უდიდეს მნიშვნელობაზე ილია ჭავჭავაძეც მიუთითებდა, როდესაც 1889 წელს დაწერილ სტატიაში „დედათა საქმე და ქალთა განათლება" წერდა: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზედ და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობას და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დაამჩნია მან თავის ავ-კარგიანობა. არ არის დღეს ჩვენში არცერთი მოღვაწე მომქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ — მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მიაწოდა საზრდო ჩვენს გონებას და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ.

რასაკვირველია, ამ ზემოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა. ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის...“[1]

ს. მესხიც იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც საკუთარი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და შემოქმედებითად აითვისა რუსული ლიტერატურისა და მეცნიერების საგანძური და ნაყოფიერად გამოიყენა თავისი ქვეყნის წარმატებისათვის ბრძოლაში. ასეთივე კრიტიკული იყო ს. მესხის დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის ლიტერატურისა და მეცნიერებისადმი, საიდანაც მან ბევრი რამ შეითვისა.

თუმცა საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთთან და რუს და ქართველ ხალხს მრავალი საერთო ინტერესი ამოქმედებდა, მაგრამ მაინც არსებობდა გარკვეული ნიშნები, რომელნიც განასხვავებდნენ რუსი და ქართველი ხალხის პოლიტიკურ, სოციალურ და ინტელექტუალურ ცხოვრებას.

პირველი და არსებითი განმასხვავებელი ნიშანი ის იყო, რომ ქართველი ხალხის წინაშე მთელი სიმწვავით იდგა ეროვნული საკითხი. ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა, რაც სრულიად უცხო იყო იმ პერიოდის რუსეთისათვის. გარდა ამისა, მეურნეობის ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა ამუხრუჭებდა კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში და მიუხედავად ბურჟუაზიული რეფორმებისა, საქართველო მაინც ჩამორჩებოდა რუსეთს კაპიტალიზმის განვითარების დონით.

თავისებური იყო ქართველი ხალხის შინაგანი ყოფა, მათი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და სხვა, რაც თავის ნათელ გამოხატულებას მდიდარ ლიტერატურაში და ხელოვნების სხვა დარგებშიც პოულობდა.

ნ. გ. ჩერნიშევსკი წერილში — „რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევებიდან“ შენიშნავდა: „თვითეულ საუკუნეს, თვითეულ ხალხს თავისი მოთხოვნილებები აქვს; ის, რაც გერმანელს აინტერესებს, ხშირად სრულიადაც არ არის საინტერესო ფრანგისათვის ან რუსისათვის, იმიტომ, რომ პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს მის ცხოვრების მოთხოვნილებებთან. უნდა ვილა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955 წ., გვ. 369—370.

პარაკოთ იმაზე, რაც ჩვენს საზოგადოებას ჩვენს დროში ესაჭიროება".[1]

და ს. მესხიც, ისე როგორც სხვა ჩვენი სამოციანელები, პროპაგანდას უწევდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებას და ამასთან ერთად ლაპარაკობდა იმაზე, რაც მის ხალხს აწუხებდა.

ქართველი ხალხის ტკივილებმა თავი იჩინა ლიტერატურაში, ლიტერატურულ კრიტიკაში, ესთეტიკაში, ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში და პუბლიცისტიკაში, რომელსაც ქართველი სამოციანელები ერთგულად ემსახურებოდნენ. სავსებით მართებულად შენიშნავს პროფ. დ. გამეზარდაშვილი, რომ „ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში იმ საერთო მატერიალისტურ პრინციებთან ერთად, რაც უშუალოდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთ› მოძღვრებიდან მომდინარეობდნენ, ყურადღება არის გამახვილებული იმ მომენტებზეც, რომლებიც უშუალოდ ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრების თავისებურებითაა ნაკარნახევი".[2]

ქართველი სამოციანელების ბრძოლა, ი. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით რეალისტური ხელოვნების დაცვისათვის, ბრძოლა ეროვნული და სოციალური საკითხების მოგვარებისათვის, ეპოქის აქტუალური და სასიცოცხლო ამოცანა იყო, ამ ამოცანის გადასაჭრელად ს. მესხი ილ. ჭავჭავაძესა და სხვა სამოციანელების გვერდით იბრძოდა, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილი.

ილ. ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული სამოციანელების და მათ შორის ს. მესხის სამოქმედო პროგრამის ძირითად მუხლს ეროვნული და სოციალური საკითხის მოგვარება წარმოადგენდა; ამ საკითხების ირგვლივ წარმოებულ გმირულ ბრძოლებში ქართველი სამოციანელები მჭიდროდ უკავშირდებოდნენ დიდ რუს ხალხს და რუსეთის იმპერიაში შემავალ ყველა ერს. „ჩვენ, — წერდა აკ. წერეთელი, — დიდად ვაფასებთ ძმობას, ერთობას, მეგობრობას რუსეთის ერებთან, ჩვენ გვსურს ხელიხელჩაკიდებული სიარული არა მარტო ეროვნული, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა"[3].

ეროვნულ და სოციალურ ბრძოლებში ჩვენმა სამოციანელებმა მხატვრული ლიტერატურა გამოიყენეს, როგორც ყველაზედ ბასრი

---

[1] ნ. გ. ჩ ერ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1954 წ., გვ. 546.

[2] დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, 1957 წ., გვ. 511.

[3] ჟურნ. „კლდე", 1913 წ., № 6.

და ელასტიური იარაღი თავისი აზრების პროპაგანდისათვის. მართებულად შენიშნავს პროფ. დ. გამეზარდაშვილი, რომ „რეოლუციურ-დემოკრატიულ აზრს იმ დროს უფრო მეტი გასაქანი სწორედ ლიტერატურის სფეროში შეძლო ეპოვნა; თანაც, ამ გზით, იგი უფრო მისაწვდომი იქნებოდა ხალხისათვის“.[1]

ს. მესხის გაგებით ხელოვნება საერთოდ და ლიტერატურა კერძოდ სამყაროს მხატვრული შემეცნებისა და გამოსახვის სპეციფიკური ფორმაა.

როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი იდეები წარმოიშობიან, ისინი მკვეთრ გამოხატულებას პოულობენ ლიტერატურაში და ქმედით გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. ამიტომ, ს. მესხის რწმენით, ხელოვნება და, კერძოდ, ლიტერატურა შეიძლება გამოყენებულ იქნას საუკეთესო იარაღად, რომელიც არა მხოლოდ ასახავს სინამდვილეს, არამედ შეუძლია ამ სინამდვილის შეცვლაც.

ს. მესხის გაგებით საზოგადოების მატერიალური, ეკონომიური ბაზისი ლიტერატურის უხვი წყაროა და იგი წარმოადგენს მის საგანსაც და განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორსაც. ამიტომ, მწერალი მოვალეა მხატვრული სახეებით გამოხატოს მის ირგვლივ არსებული ობიექტური სინამდვილე, დაგვანახოს ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობანი, ის იდეები, რომელნიც ამა თუ იმ ეპოქისათვის არიან ნიშანდობლივი და დამახასიათებელი, დაგვანახოს ბუნება მთელი თავისი საკვირველებით და გვიჩვენოს საზოგადოებაში არსებული ბრძოლის ცხოველი სურათები. ყოველივე ამას კი მწერალი მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ საფუძვლიანად შეიცნობს მატერიალურ სამყაროს.

ლიტერატურისა და აგრეთვე პერიოდული პრესის მიზანი და დანიშნულება „ნამდვილი ხალხის“ სამსახურია. „ნამდვილი ხალხის“ ცნებაში ს. მესხი გლეხობას გულისხმობს, რომელიც ჩვენი ცხოვრების დასაყრდენად მიაჩნია.

ვერც ლიტერატურამ და ვერც ქართულმა პერიოდულმა პრესამ, მიუხედავად საკმაო ხნის არსებობისა, ვერ მიაღწია „ნამდვილ ხალხამდე“. ამის მიზეზი კი ს. მესხის აზრით ის არის, რომ „ქართველმა სოფლის გლეხმა ჯერ წერა-კითხვაც არ იცის... ისეთს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ იმას არც ეწიგნება და არც ეგაზეთება“. მძიმე ეკონომიური მდგომარეობა, დღე-ნიადაგ ლუკმა-პურისათვის ბრძოლა, ქართველ გლეხობას არ აცლის ლიტერატურისა-

---

[1] დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, „ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან“, ტ. II, გვ. 208.

თვის. ამიტომ, ქართული ლიტერატურის მკითხველთა წრე მეტად ვიწრო და შეზღუდულია. „რაც დღემდი ქართულ ენაზე გამოსულა და გამოდის, — წერს ს. მესხი, — იბეჭდება იმ ერთი მუჭა თავადაზნაურობისათვის, რომელიც ჩვენს მკითხველ საზოგადოებას შეადგენს". ეს გარემოება კი მეტად უარყოფითად მოქმედებს როგორც ქართული ლიტერატურის, ასევე პერიოდული პრესის განვითარებაზე, რადგან მკითხველთა შეზღუდული წრე და ისიც ინდეფერენტულად განწყობილი მკითხველებისა, გავლენას ვერ ახდენს მწერლობის განვითარებაზე. მწერალს ეკარგება ხალისი და სტიმული შემოქმედებითი მუშაობისა, მით უმეტეს, რომ, „როგორც ეს თავადაზნაურობა, ეს ესრეთ-წოდებული მოწინავე ნაწილი საზოგადოებისა, აგრეთვე მთელი ქართველობა ამ ჟამათ ისეთს მდგომარეობაშია, რომ თითქო იმას ავიწყდება ყოველივე მშობლიური: ავიწყდება სამშობლო ისტორია, ძველი ქართველების მხნე და ხან-და-ხან დიდებული ცხოვრება, ავიწყდება მშობლიური ენა, ყოველივე ნაციონალური თვისება და ხასიათები; ავიწყდება და თითქო გულ-ხელ დაკრეფილი ღვთის განგებას და თავის ბედის წერას მიენდო; უძნელდება აწმყო ცხოვრება, ეზარება წარმოდგენა მომავალი ბედისა და ცხოვრებისა".[1] ხოლო, როდესაც ხალხი გულგრილად უწყებს ცქერას თავისი ქვეყნის საქმეებს, მშობლიურ ენასა და ლიტერატურას, — ეს დიდი ეროვნული საფრთხის წინაშე აყენებს მას.

შექმნილ ვითარებაში, ს. მესხის გაგებით, ქართული ლიტერატურის მოვალეობა ის არის, რომ თვალი აუხილოს ხალხს „წარსული ისტორიული ცხოვრების მოგონებითა და განათლებული ხალხების გაცნობით გამოაღვიძოს, გააგებინოს, რომ ერთ წერტილზე გაჩერება დამღუპველია ხალხისათვის, რომ ვისაც სიცოცხლე, კაცური სიცოცხლე სურს ამ დედა-მიწაზე, ის ყველაზე პირველათ ხელს უნდა ანძრევდეს, თავის თავს უნდა იცნობდეს,. თავის სამშობლო ენას არ უნდა ივიწყებდეს...

თუ ამ დროს ქართულმა ლიტერატურამ იმდენი ძალა და გამჭრიახობა გამოიჩინა, რომ... ცოტათი მაინც შეაყვარა ქართველს ენა, ქართველების სამშობლო და რამდენიმე ისეთი აზრი დათესა საზოგადოებაში, რომელიც ქართველებს თვალს გამოაჭყეტინებს და წარმატებისა და უკეთესი მომავლის სურვილს აღუძრავს, — ამის შეტს, ეხლანდელ მდგომარეობაში, ქართულ ლიტერატურას ნურას მოსთხოვთ: ესეც დიდი დახმარება იქნება".[2]

ს. მესხის რწმენით ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთი

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, 1963 წ., გვ. 115.

[2] ი ქ ვ ე გვ. 116.

ამოცანა ისიცაა, რომ ხალხში შეიტანოს და დანერგოს მეცნიერული ცოდნა. იგი საესებით იზიარებს ნ. ჩერნიშევსკის თვალსაზრისს, რომ „ხელოვნებას... არაჩვეულებრივი უნარი აქვს ადამიანთა ვეებერთელა მასაში გაავრცელოს მეცნიერების მიერ მოპოვებული ცნებები, იმიტომ, რომ, ხელოვნების ნაწარმოებებთან გაცნობა ადამიანისათვის ბევრად უფრო ადვილია და მიმზიდველი, ვიდრე მეცნიერების ფორმულებთან და მკაცრ ანალიზთან“.[1]

ბრძოლა ქართული ენის დაცვისა და განვითარებისათვის, მკითხველ საზოგადოებაში ეროვნული გრძნობის დანერგვა და გაღვივება, ხალხში მეცნიერული ცოდნის გავრცელება, პროგრესული იდეების პროპაგანდა — ეს არის, ს. მესხის აზრით, ქართული ლიტერატურის და პერიოდული პრესის ერთ-ერთი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

მაგრამ ს. მესხი ლიტერატურის ფუნქციას მხოლოდ ამით არ ფარგლავს. მისი მართებული რწმენით ლიტერატურა ცხოვრების სარკეა, რომელშიც იხატება ერის სახე და ეროვნული ხასიათი. ლიტერატურა კი არ უსაბუთებს, უჩვენებს ხალხს ცხოვრების აე-კარგს, რასაც ის უაღრესად დადებითი მნიშვნელობა აქვს, რომ ადამიანი მხატვრული სურათებით დანახულს უკეთ შეიგნებს და შეითვისებს, ვიდრე მშრალი ფრაზებით დასაბუთებულს. საზოგადოებრივი ცხოვრების ოსტატურად მიწოდებული სურათები ადამიანს საკუთარ ცხოვრებაზე დააფიქრებენ, ისინი საშუალებას აძლევენ ნაკლის აღმოფხვრისას, კარგისა და კეთილის განვითარებისას და წარმატების გზაზე დადგომისას. კაცობრიობის წინსვლა და წარმატება კი „მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ის თავის თავზე, თავის მდგომარეობაზე დაფიქრებას და დაკვირვებას დაიწყებს, როდესაც ის ლიტერატურის, როგორც სარკის საშუალებით დარწმუნდება, რომ ჭუჭყი აცხია და ამ ჭუჭყს მოხოცვა, მობანა ეჭირვება“.[2]

„კაცია-ადამიანის?!“ დასასრულს ილ. ჭავჭავაძე გულწრფელად მიმართავდა თავის მკითხველს: „მე თუ შენ მიყვარხარ მკითხველო, იმისათვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს — რამოდენადაც შეძლება აქვს — შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ური-

---

[1] ნ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948, გვ. 461.

[2] „დროება“, 1878 წ., № 268.

გობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე- თუ გინდა — მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე".

ამ სტრიქონებში, დიდი მწერლის მიერ მშვენივრად არის განმარტებული ლიტერატურის ერთ-ერთი დანიშნულება, რასაც ს. მესხი სავსებით იზიარებს.

ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფით მხარეთა გასწორება, „კაცური ცხოვრების" შექმნა ს. მესხის სანუკვარი მიზანი და ოცნება იყო და ამ მიზნის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად მას ლიტერატურა მიაჩნდა, რომელსაც დაურიდებლად უნდა ემხილებინა ჩვენი ცხოვრების მანკიერი მხარეები.

ს. მესხი კატეგორიული წინააღმდეგია ისეთი ნაწარმოებისა, რა ჟანრისაც არ უნდა იყოს იგი, რომელშიც არ ჩანს ქართული ხასიათი. თუ ქართველი ამა თუ იმ ნაწარმოებში თავის ეროვნულს ვერაფერს დაინახავს, ასეთ ქმნილებას არ შეუძლიან დიდი სარგებლობა მოუტანოს მკითხველს. ს. მესხის გაგებით, მხოლოდ იმ ნაწარმოებებსა აქვთ არსებითი მნიშვნელობა, რომელნიც საყოველთაო, სახალხო ჭირსა და ლხინს ეხებიან. „საზოგადოთ ლიტერატურა, — წერს იგი, — ყოველთვის ისეთ საგნებს უნდა შეეხებოდეს, რომელთაც საყოველთაო და საზოგადო ინტერესი აქვთ, რომელნიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღნიშნულ დროს საზოგადოებას აწუხებენ".

ს. მესხი, ისე როგორც ჩვენი სამოციანელები, ლიტერატურას მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის სამსახურში აყენებს. მისი ღრმა და მართებული რწმენით მწერლობა მოვალეა ხალხს მთელი სისრულით უჩვენოს ცხოვრება, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. მწერლობა მოვალეა აგრეთვე მიუთითოს ხალხს მომავალი ცხოვრების სწორი და ნათელი გზისაკენ. „ყოველ ლიტერატურულ ქმნილებას, — წერს ს. მესხი, — უნდა ჰქონდეს სახეში გამოხატოს კაცის ნამდვილი ცხოვრება, იმის ხასიათი და გარეგნობა. ყოველ ლიტერატურულ თხზულებაში უთუოდ უნდა იყოს გამოხატული კაცი თავისი ღირსებით და ნაკლოვანებით, თავისი საქები და გასაკიცხი ხასიათით, თავის სასარგებლო ან ბოროტი მოქმედებით. საზოგადოთ ლიტერატურის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სარკესავით უჩვენოს ხალხს იმის ცხოვრების საქები ან გასაკიცხი მხარეები. რასაკვირველია, ამასთანავე ლიტერატურამ არ უნდა დავიწყოს, რომ, თუ კაცის ცხოვრებაში ცუდსა და გასაკიცხს მხარეებს მონახავს, იმის ვალი ისიც არის, რომ უჩვენოს ისეთი ახალი გზა, რომელზედაც ამ ხალხმა უნდა გაიაროს, უჩვენოს ისეთი საშუალება, რომელმაც რომელიმე ჭირი ან ნაკლოვანება საზოგადოებისა უნდა მოსპოს. თუ რომელიმე ლიტერატურა არცერთს ამ დანაშაულთაგანს არ ასრულებს, თუ ის განიხილავს აწმყო ცხოვრებას და არ უჩვე-

ნებს მომავალი, საუკეთესო ცხოვრების გზას, მაშინ, შეგვიძლია დარწმუნებით ვთქვათ, ამნაირ ლიტერატურას არაფერი სარგებლობა არ მოაქვს, ის ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას".[1]

ამრიგად, ს. მესხის რწმენით, ლიტერატურის ამოცანა მდგომარეობს არა სინამდვილის უბრალო გადმოცემაში, არა მის ფოტოგრაფირებაში, არამედ, ლიტერატურა უნდა ჩასწვდეს საზოგადოებრივი ცხოვრების შინაგან კანონზომიერებას და რეალისტურად ასახოს მისი აწმყო, განსაზღვროს და მიუთითოს განვითარების შემდგომი გზები.

მაგრამ, ს. მესხის აზრით, საკმარისი არ არის მწერალმა რეალურად ასახოს ცხოვრება. აუცილებელია, რომ იგი დაეხმაროს მკითხველს ცხოვრების გაგებაში და უჩვენოს მას ის მიზეზები, რომელნიც ამ ცხოვრების საფუძველს წარმოადგენენ და განაპირობებენ მის განვითარებას.

ს. მესხისათვის ლიტერატურა ზედნაშენური კატეგორიაა, ამიტომ, ცალკეულ ლიტერატურულ მიმართულებებსა და თეორიებს არ შესწევთ უნარი ცხოვრებაში ცვლილებების მოხდენისა, თვით ცხოვრებაში მომხდარი ძვრები კი ცვლიან ლიტერატურულ მიმართულებებსა და თეორიებს, მაგრამ ლიტერატურას მაინც შესწევს უნარი, გარკვეული გავლენა მოახდინოს ბაზისზე და მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მის განვითარებაზე.

ს. მესხი მშვენივრად გრძნობს, თუ რა დიდი საპასუხისმგებლო ამოცანები დგას მწერლის წინაშე, მაგრამ მან ისიც იცის, რომ რაც უფრო დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები დგება მწერლობის წინაშე, მით უფრო ფართო გონებრივი განათლების მქონე ადამიანებია საჭირო მათი წარმატებით გადაჭრისათვის.

ჯერ კიდევ ბ. ბელინსკი შენიშნავდა, რომ „Было время, когда все твердили о том, что поэту нужны только талант и вдохновение, что он учен без наук, всезнающ без учения, что он сам себе судья и закон...

Такое воззрение на поэта господствовало у нас в эпоху так называемого романтизма блаженной памяти...

Теперь не то: все кричат о необходимости знания для поэта, об идеях, о направлении, о сочувствии к современной действительности"[2].

ს. მესხი სავსებით იზიარებს ბ. ბელინსკის ამ თვალსაზრისს, მისი რწმენით, ნამდვილი პოეტი ის არის, ვისაც ფართო გონებრივი

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 119—120.

2 В. Г. Белинский, Полное собр. соч., под ред. С. Л. Венгерова, т. X, გვ. 29ჟ.

განათლება აქვს, მაგრამ, გონებრივ განათლებასთან ერთად, ს. მესხი არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს გრძნობასაც. პოეტის შემოქმედებაში გრძნობა ძალდაუტანებლად უნდა იღვრებოდეს და იგი უნდა იყოს სადა, მარტივი და არა მხოლოდ გონებით ნაკარნახევი. „კარგი გრძნობა და კარგათ შემუშავებული ტვინი, — წერს ს. მესხი, — აი, აუცილებელი თვისება პოეტისა. განსაკუთრებით გრძნობა, გრძნობა, რომელიც ძალ-დაუტანებლად, თავის ნებით გამოთქმის, რომელიც გულისაგან გაჩენილა და არა მარტო ტვინით არის შეთხზული. მხოლოდ იმისთანა პოეტურ თხზულებას აქვს ადამიანზე გავლენა, მხოლოთ ის პოეზია არის ნამდვილი პოეზია, რომელიც მარტივია და არა ნაკეთები, გულიდან წარმომდგარა და არა მხოლოდ ტვინში შემუშავებულა“.[1]

გრძნობისა და გონების მჭიდრო ურთიერთკავშირი, ს. მესხს ჭეშმარიტი ლიტერატურული ნაწარმოების შექმნის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნია. ცივი გონების კარნახით შექმნილი ყალბი პათეტიკური ტონი და ნაძალადევი გრძნობებითა და არაბუნებრივი სიტუაციებით ჩახერგილი ნაწარმოები მხატვრულ ტალოდ არ ჩაითვლება.

ბ. ბელინსკიმ მოგვცა ხელოვნების სრულიად ახალი გაგება და მიუთითა, რომ „ხელოვნება არის უშუალო ჭვრეტა ჭეშმარიტებისა, ანუ სახეებით აზროვნება“.[2]

ს. მესხი, რომელმაც საფუძვლიანად შეითვისა ბ. ბელინსკის შეხედულებანი, გვერდით ამოუდგა ილ. ჭავჭავაძესა და ნ. ნიკოლაძეს და შეეცადა ქართული ლიტერატურა ხელოვნების ამ ახალი გაგების დონეზე აეყვანა. „ჩვენი მწერლობა მაშინ გაამართლებს თავის დანიშნულებას, — წერს ს. მესხი, — თუ იგი ფიქრს, გრძნობას და აზრს ხალხისას ხალხსავე გადასცემს მხატვრული სახეებით და არა მსწავლულის მსჯელობითა“.

მოტანილი ამონაწერიდან ისიც იგრძნობა, რომ ს. მესხს ხელოვნება და, კერძოდ, ლიტერატურა ცნობიერების გარკვეულ ფორმად მიაჩნია, რომელიც განსხვავდება ცნობიერების სხვა ფორმებისაგან და, კერძოდ, მეცნიერებისაგან. მაგრამ იგი მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის მჭიდრო კავშირსაც ხედავს და ხაზგასმით მიუთითებს ამ გარემოებაზე.

მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულების საკითხის გარკვევის დროს ს. მესხი ბელინსკის თვალსაზრისიდან გამომდინარეობს, იგი ბელინსკის მსგავსად ხელოვნებასა და მეცნიე-

---

[1] „დროება“, 1879 წ., № 37.

[2] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948 წ., გვ. 607.

რებას შორის არსებითი ხასიათის მსგავსებას ხედავს. ეს მსგავსება მათ შინაარსსა და მიზანში მდგომარეობს, მაგრამ მათ ასევე არსებითი განმასხვავებელი ნიშნებიც ახასიათებთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ საერთო მიზნის მისაღწევად და შინაარსის გადმოსაცემად ისინი სხვადასხვა ხერხებსა და მეთოდებს იყენებენ. „მწერლობაცა და მეცნიერებაც, — წერს ს. მესხი, — ხალხის მსახურნი არიან, მაგრამ სხვადასხვაგვარად ემსახურებიან, — მწერლობა გვიჩვენებს ხატებით, რომელშიც დიდი გრძნობაა ჩაწნული, მეცნიერი კი გვიმტკიცებს აზრებითა, რიცხვებითა... და იმასვე ამბობს, რაც მწერალმა თქვა“.

ხელოვნებისა და მეცნიერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი საკმაოდ სრულყოფილად განმარტა ილ. ჭავჭავაძემ თავის მრავალ წერილში და განსაკუთრებით კი წერილში „საქართველოს მოამბეზედ“. ყოველ ეჟვს გარეშეა, რომ ს. მესხი ამ საკითხზე მსჯელობის დროს ილიას შეხედულებებითაც ხელმძღვანელობდა.

ლიტერატურის ხალხურობის პრობლემას ქართველი სამოციანელები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აყენებდნენ და მწერლის ხალხურობასა და ეროვნულობას მუდამ მჭიდრო კავშირში განიხილავდნენ. ზემოხსენებული პრობლემის განხილვისას სამოციანელები და მათ შორის ს. მესხიც ბელინსკის თვალსაზრისს ემყარებოდნენ, რომელსაც ხალხურობა თავისი დროის ესთეტიკის ალფაჲ და ომეგად მიაჩნდა. განმარტავდა რა ხალხურობის საკითხს ლიტერატურაში, ბელინსკი წერდა: „Что такое народность в литературе?.. Отражение индивидуальности, характерности народа. выражение духа внутренней и внешней его жизни, со всеми ее типическими оттенками, красками и родимыми пятнами“[1].

ს. მესხი იზიარებს ბელინსკის ამ შეხედულებას და ლიტერატურის ამოცანად მიიჩნევს იმას, რომ იგი ასახავდეს ხალხის ცხოვრებას, გამოხატავდეს ხალხის გულისთქმას, ინტერესებს, მისწრაფებებსა და თავისებურებებს, მაგრამ ასახავდეს ისეთი ფორმით, რომ იგი ნათელი, გასაგები და ადვილად მისაწვდომი იყოს ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის. ამიტომ ბ. ბელინსკისა და ილ. ჭავჭავაძის მსგავსად, ს. მესხიც უდიდეს ყურადღებას აქცევს არა მხოლოდ ნაწარმოების შინაარსს, არამედ მის ფორმასაც. მისი გაგებით, მხოლოდ მაღალიდეური და ღრმა შინაარსიანი ნაწარმოები, რომელიც ხელმისაწვდომი ფორმით იქნება ნაქანდაკევი, მოუტანს ხალხს ჭეშმარიტ სარგებლობას.

---

[1] В. Г. Белинский, Полное собрание сочинении, изд. АН СССР, т. II, зд. 23.

ს. მესხი მშვენივრად ამჩნევს, რომ საზოგადოება დაყოფილია ორ ერთიმეორის საწინააღმდეგო ბანაკად. მათი მატერიალური ინტერესები არსებითად განსხვავებულნი არიან და განსხვავებულია აგრეთვე მათი დამოკიდებულება ლიტერატურისა და მშვენიერების მიმართ. ს. მესხი ხაზგასმით შენიშნავს, რომ არის „ერთი ნაწილი კაცობრიობისა, რომელსაც გაზაფხულის სიტკბოებისათვის, სიყვარულისათვის და სხვა ამგვარი გრძნობებისათვის სრულებით არ სცალია. მთელი თავისი სიცოცხლე ის ლუკმაპურის საპოვნელად დატრიალობს და იშვიათად თუ არის ხოლმე გამძღარი. ტკბილი გაზაფხული მხოლოდ მაშინ არის იმისათვის, როცა თვითონ და თავის ცოლშვილი გამძღარი და ჩაცმულ-დახურულია. ბულბულის ყურთა საამო გალობა არა გვგონია მაგდენათ საამო იყოს იმ ყურთათვის, რომელსაც დღე და ღამე მშიერი შვილების ტირილი და ყაყანი ესმის“.[1]

სავსებით მართებულად შენიშნავს მ. გაფრინდაშვილი, რომ „ს. მესხი აქ ნათლად გამოხატავს მატერიალისტური ესთეტიკის ის დებულებას, რომლის მიხედვით ესთეტიკური სიამოვნების ან, სხვაგვარად რომ ვსთქვათ, მშვენიერის კატეგორიას კლასთა მატერიალური ინტერესები უდევს საფუძვლად“.[2]

როგორც აღვნიშნეთ, ს. მესხს ღრმად სწამს, რომ საზოგადოების განვითარებისათვის ლიტერატურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, იგი ხალხის გონების გამხსნელი და გზის მანათობელია, „საზოგადოთ, ლიტერატურა ძალიან ეხმარება ხალხის ზნეობის გაუმჯობესებას“, მაგრამ თავის მხრით საზოგადოებაც ქმედით გავლენას ახდენს მწერლობის განვითარებაზე. რაც უფრო მრავალფეროვანია საზოგადოებრივი ცხოვრება, მით უფრო მრავალფეროვანია ლიტერატურაც და რაც უფრო ძლიერია საზოგადოებაში კითხვის ხალისი, რაც უფრო მეტია გატაცება მწერლობით, მით უფრო სწრაფად ვითარდება იგი. „საიდან უნდა გაჩნდეს... რიგიანი ლიტერატურა, თუ თვითონ საზოგადოებაში არ არის კითხვისა და სწავლის ხალისი? — კითხულობს ს. მესხი, — ლიტერატურა ყოველთვის ცხოვრების სარკეა; ეს ისეთი გაცვეთილი ჭეშმარიტებაა, რომელსაც დამტკიცება არ უნდა. თუ თვითონ საზოგადოებაში არ არსებობენ სიცხოველე და ცნობის ინტერესი — ლიტერატურაში საიდან უნდა გამოიხატონ ისინი?“

ს. მესხი, რომელიც ძალიან კარგად იცნობდა ქართული ლიტერატურის განვითარების გზებს, ხედავდა, რომ მეთვრამეტე საუკუ-

---

[1] „დროება“, 1875 წ., № 30.

[2] მ. გაფრინდაშვილი, ნარკვევები ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1959 წ., გვ. 318.

ნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე ქართულ ლიტერატურაში ლირიკული ჟანრი განვითარდა, რომელმაც ძირითადად მწერლის შინაგანი სამყარო გაგვაცნო და შედარებით ნაკლებად წარმოგვიდგინა რეალური სინამდვილე. ამ გარემოებას ჯერ კიდევ ილ. ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება 1862 წელს დაწერილ ერთ-ერთ დაუმთავრებელ წერილში: „ცისკარი" 1857 წლიდან — 1862 წლამდინა". ილია წერდა: „ძველი დროიდგან დაწყებული აქამომდე ჩვენ ლექს-თხზულებითს პოეზიაში შევნიშნეთ განვითარება მხოლოდ ლირიკულ პოეზიისა, რომელიც არის ერთი გვარი პოეზიისა და რომელსაც მუსიკის და პოეზიის შუა-ადგილი უჭირავს... საგანი ამგვარ პოეზიისა თითონ პოეტის სულის მდგომარეობაა სხვადასხვა შემთხვევებში და გარემოებაში; წუთის გრძნობის, წუთის აღბეჭდილების გამოთქმაა, ერთის სიტყვით თითონ პოეტი აქ მხოლოდ თავის გრძნობას ხატავს, თავის გულის მოძრაობას და აღბეჭდილებას... ეს მიმართულება ისე გაუფლებულია ჩვენში, რომ არამც თუ ჩვენი სასიქადულო და სახელოვანი პოეტები, არამედ ისიც, ვინც კი უნიჭოდ მოაწყობს ხოლმე ორ რითმას, ისიც კი ამგვარ პოეზიის მიმდევარია".[1]

პროზის ჩამორჩენილობა ს. მესხისათვის ნათელი და სამწუხარო ფაქტია. მისი დაკვირვებული თვალი კარგად ამჩნევდა, რომ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა გვქონდა რომანის მხრივ და ეს იმ დროს, როდესაც სწორედ რომანი იყო საჭირო, როგორც ეპიკური ჟანრის ნაწარმოები, რომელსაც შესწევდა უნარი სინამდვილის სურათების სრულად გადმოცემისა და ცხოვრებაში არსებული წინააღმდეგობების ყოველი მხარის ჩვენებისა.

„რომანებს, მოთხრობებს... და საზოგადოთ ბელეტრისტიკულ ქმნილებებს, — წერს ს. მესხი, — დიდი მნიშვნელობა აქვს ეხლანდელს ჩვენი საზოგადოების მდგომარეობაში, თუ ხეირიანი, აზრიანი იქნებიან ისინი".[2]

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ს. მესხი განსაკუთრებული სიმკვეთრით მოითხოვს ეპიკური ჟანრის განვითარებას და მწერლების წახალისების მიზნით თავისი ღარიბი ჯიბიდან ჰონორარსაც კი იღებს ეპიკური ნაწარმოებებისათვის.

მაგრამ ს. მესხი არანაკლებ ყურადღებას აქცევს დრამატურგიის განვითარებასაც. მისი წერილები ქართულ თეატრზე და დრამატურგიაზე, რომელთა შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ამის ნათელი მაჩვენებელია.

---

[1] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 458—459.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 47.

როგორც ჩანს ს. მესხი სავსებით იზიარებს ბ. ბელინსკის თვალსაზრისს, რომელიც დიდი კრიტიკოსის მიერ ნათლად არის ჩამოყალიბებული 1841 წელს დაბეჭდილ სტატიაში: „პოეზიის დაყოფა გვარებად და სახეებად". „ეპიკური პოეზია, — წერდა ბელინსკი, — უპირატესად ობიექტური, გარეგანი პოეზიაა როგორც თავის თავის მიმართ, ისე პოეტისა და მკითხველის მიმართაც. ეპიკურ პოეზიაში გამოხატულია ჭვრეტა სამყაროსი და სიცოცხლისა, როგორც თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ არსებული საგნებისა, რომლებიც სრულიად გულგრილნი არიან თავისი თავისა და მათი მჭვრეტელი პოეტის ან მკითხველის მიმართ.

ლირიკული პოეზია, პირიქით, უპირატესად სუბიექტური, შინაგანი პოეზიაა, თვით პოეტის გამოხატულებაა... ეპიკური პოეზია შეიძლება შევადაროთ საგანმანათლებლო ხელოვნებას — არქიტექტურას, ძერწვას და ფერწერას; ლირიკული პოეზია შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მუსიკას", ხოლო რაც შეეხება დრამატიულ პოეზიას, „ეს არის პოეზიის უმაღლესი გვარი და ხელოვნების გვირგვინი".[1]

რაც შეეხება პოეზიას, ს. მესხი მას ადამიანის საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, მაგრამ ყველა პოეტური ნაწარმოები არ შეიძლება ჭეშმარიტ პოეტურ ქმნილებად და ადამიანის სულის გამამდიდრებლად იქნეს მიჩნეული. „აგერ ერთი წელიწადია, რაც ჩვენ ამ აზრზე ვდგავართ, — წერს ს. მესხი, — ისე კვირა არ გასულა, რომ რამდენიმე ლექსი არ მოგვსლოდეს დასაბეჭდათ, ისე ნომერი არ გამოსულა თითქმის, რომ შიგ ორიოდე ლექსი არ ყოფილიყო დაბეჭდილი, და რაც უფრო მეტ ლექსს ვბეჭდავდით, მით უფრო და უფრო მეტი მოგვდიოდა. — რა ნაყოფი მოიტანა ამ ლექსების ბეჭდვამ?.. ჩვენ გვგონია, რომ დიდი არაფერი: ლექსები ჩვენ ბევრი შეგვძინა, მაგრამ ჩვენ პოეზიას და ლიტერატურას ამით არა მომატებია რა".[2]

ამიტომ იყო, რომ ს. მესხი, სიტყვიერად თუ წერილობით, მოსვენებას არ აძლევდა სახელოვან ქართველ მწერლებს, რომ მოეწოდებინათ „დროებისათვის" ჭეშმარიტი პოეტური ნაწარმოებები, რომელნიც ლიტერატურასაც გაამდიდრებდნენ და მკითხველსაც სულიერ საზრდოს მისცემდნენ. „ხეირიან ლექსებს დიდი სიამოვნებით დავბეჭდავთ ყოველთვის და ყველგან", — წერდა იგი აკაკი წერეთელს.

ს. მესხი ლიტერატურაში რეალიზმის, როგორც მხატვრული მკ-

---

[1] ბ. ბ ე ლ ი ნ ს კ ი, რჩეული თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 356—360.
[2] „დროება", 1870 წ., № 16.

თოდის, თავგამოდებული დამცველია. იგი შეუპოვრად იბრძვის ყოველგვარი ანტირეალისტური მიმართულების წინააღმდეგ და ცდილობს ხელოვნების ცხოვრებასთან დაახლოვებას თვით ამ ცხოვრების გარდაქმნის მიზნით. ს. მესხის ღრმა რწმენით, ლიტერატურა და ხელოვნება, საერთოდ, მხოლოდ მაშინ მოახდენენ ქმედით გავლენას საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, თუ ობიექტურად ასახავენ რეალობას, ასახავენ ისე, როგორც იგი არსებობს. შემოქმედმა არ უნდა შეაკეთოს და შეალამაზოს სინამდვილე, მაგრამ ს. მესხის გაგებით რეალური სინამდვილის ობიექტური ასახვა არ ნიშნავს მოვლენების პასიურ ჩვენებას, პირიქით მწერალი ვალდებულია აქტიური დამოკიდებულება გამოამჟღავნოს მის ხელთ არსებული მასალებისადმი და გვიჩვენოს თავისი დამოკიდებულება სინამდვილესთან. ასეთი მეთოდით დამუშავებული აქტუალური თემები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ, როგორც მკითხველზე, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე. ამიტომ ჰგმობს ს. მესხი აბსტრაქტულ თემებს როგორც ხელოვნებაში, ასევე პუბლიცისტიკაში და გულწრფელ, მეგობრულ რჩევას აძლევს დ. მიქელაძეს: „დაანებე, თავი ნუ მოგიკვდება, თავი ამ ბოროტებაზე, სიკეთეზე, პატიოსნებაზე და სხვა ამგვარ მაღალ და დაბალ გრძნობებზე და ჰაზრებზე წერას და უფრო მიწიერ, უფრო ყოველდღიურ, უფრო შესახებელ საგნებს მოჰკიდე ხელი, ისეთ საგნებს, რომელიც მკითხველს ცხვირში ეცეს და გამოაღვიძოს ძალაუნებურად".[1]

ლიტერატურული ცხოვრების და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობად ს. მესხს აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა მიაჩნია. მან ძალიან კარგად იცის, რომ ბრძოლა წინააღმდეგობათა შორის განვითარების პროცესის შინაგან შინაარსს წარმოადგენს, რომ „ჭეშმარიტება და რომელიმე საგნის რიგიანათ გაგება მხოლოდ მაშინ დაიბადება, როდესაც ამ საგანზე ორი ან მეტი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრები ერთმანეთს შეებმიან".[2] ს. მესხი აქ უდაოდ დიალექტიკურად მსჯელობს და ამ თვალსაზრისს იყენებს ჩვენს პირობებში ლიტერატურული ცხოვრების განვითარებისათვის. ს. მესხი უკმაყოფილოა იმ გარემოებით, რომ ამა თუ იმ აზრს, გამოთქმულს ჩვენს ლიტერატურაში, არ უპირისპირდება მეორე აზრი, რომელმაც გონივრულად უარჰყოს პირველი და ასევე გონივრულად დაასაბუთოს თავისი ჭეშმარიტება საზოგადოებრივი და არა პირადი ინტერესებიდან გამომდინარემ. წინააღმდეგობა,

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, 1949 წ., გვ. 90.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 141.

თუკი შეიძლება მას წინააღმდეგობა ეწოდოს, ჩვენს ლიტერატურაში მხოლოდ კინკლაობის, ლანძღვის ან დეკლარატიული უარყოფის ფორმით იჩენს თავს, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ დასაბუთებას და მეცნიერულ მსჯელობას.

ამ აზრის საუკეთესო ილუსტრაციად ს. მესხი მიიჩნევს 1863 წელს „საქართველოს მოამბის" გამოსვლას და ამ ჟურნალში დაბეჭდილი მოთხრობის „კაცია-ადამიანის?!" მიერ გამოწვეულ რეზონანსს.

ს. მესხი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ გაზეთი, ჟურნალი, ან ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ამხელს საზოგადოების ნაკლოვანებას, მკითხველის გაღიზიანებას კი არ ისახავს მიზნად, როგორც ეს დაბალი შეგნების ადამიანებს ჰგონიათ, არამედ ამ ნაკლოვანების გამოსწორებას. ნაკლოვანებათა გამოსწორება და საზოგადოებრივი ცხოვრების სწორი გზით წარმართვა კი ცალკეულ შეხედულებათა დაპირისპირებით არის შესაძლებელი, რადგან წინააღმდეგობათა ჭიდილში იჭედება ჭეშმარიტება.

თუ ამგვარია სურათი საზოგადოებრივი აზროვნების მხრივ, უფრო მძიმეა მდგომარეობა ლიტერატურული კრიტიკის სფეროში, რომელსაც ს. მესხი რუს რევოლუციონერ-დემოკრატების მსგავსად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატურის აღორძინებისა და განვითარების საქმეში.

ს. მესხი კარგად იცნობს ნ. ა. დობროლუბოვის მოძღვრებას ლიტერატურული კრიტიკის შესახებ, რომელშიც მშვენივრად არის განმარტებული კრიტიკის მიზნები და ამოცანები. დობროლუბოვის გაგებით «Дело критики состоит именно в том, чтобы рассмотреть отношения художника к изображенному предмету; критик должен рассмотреть этот предмет очень внимательно, обдумать и разрешить по-своему те вопросы, на которые наводит этот предмет, вопросы, которые едва затронул и, может быть, даже едва заметил сам художник».[1]

ს. მესხი იზიარებს აგრეთვე ლიტერატურული კრიტიკის იმ განსაზღვრას, რომელიც ნ. გ. ჩერნიშევსკიმ მოგვცა. „Критика, — წერს ჩერნიშევსკი, — есть суждение о достоинствах и недостатках какого-нибудь литературного произведения. Ее значение — служить выражением мнения лучшей части публики и содействовать дальнейшему распространению его в массе».[2]

---

[1] Н. А. Добролюбов, Полное собр. соч., в шести томах, т. I, გვ. 196.

[2] Н. Г. Чернышевский, Полное собр. соч., в пятнадцати томах, т. II, გვ. 254.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნება საქართველოში მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა ლიტერატურის განვითარების დონეს. ამ გარემოებას ძალიან კარგად ხედავდა ს. მესხი და გულის ტკივილით წერდა: „ჩვენი ეხლანდელი ლიტერატურა არაფერში არა გრძნობს ისეთს ნაკლოვანებას, როგორც კრიტიკაში. რა გვარი მწერალიც გნებავთ, მონახავთ ჩვენში: მოთხრობებისა და რომანების მწერლები, მელექსეები და პოეტები, დრამატურგები და უბრალო სცენების მწერლები და სხვა ყოველგვარი მწერლები არიან, მაგრამ კრიტიკოსი კი, რიგიანი კრიტიკოსი ჯერ-ჯერობით არცერთი არ მოიპოება, არავინ არ გამოჩენილა. ეს მოვლენა ძლიერ სამწუხარო მოვლენაა მით უფრო, რომ ჩვენს ლიტერატურას ეხლა, მგონი, ისე არაფერი და არავინ არ ეჭირვება, როგორც ხეირიანი კრიტიკოსი“.[1]

ს. მესხის მართებული გაგებით, ლიტერატურული კრიტიკის დანიშნულება მარტო ის კი არ იყო, რომ დახმარებოდა მწერალს და ეჩვენებინა მისთვის ნაწარმოების დადებითი და უარყოფითი მხარეები, არამედ ლიტერატურული კრიტიკა მოვალე იყო აგრეთვე დახმარებოდა მკითხველს ნაწარმოების სწორად გაგებაში, აეხსნა და განემარტა ის, რასაც საშუალო მკითხველი ვერ შეამჩნევდა, ან ვერ გაიგებდა.

ს. მესხი სასტიკი წინააღმდეგია ცალმხრივი კრიტიკისა, რომელიც მიზნად მხოლოდ ქებას, ან მხოლოდ ძაგებას ისახავს. ლიტერატურის კრიტიკოსი უნდა იყოს უაღრესად პრინციპული და ობიექტური, რომელსაც საჭიროა ჰქონდეს ფართო განათლება და მაღალი ესთეტიკური გემოვნება. მხოლოდ მეცნიერულ კრიტიკას შეუძლია გაუწიოს ხელმძღვანელობა ქართულ მწერლობას მისი განვითარების ფართო გზაზე.

ლიტერატურული კრიტიკის სფეროში ს. მესხი ყველაზედ მეტ იმედებს ნიკო ნიკოლაძეზე ამყარებდა. „ამ ჩვენი კრიტიკის სიღარიბეში, — წერდა ს. მესხი, — ჩვენ ყველაზედ უფრო მომეტებული იმედი გვქონდა და კიდეც გვაქვს უფ. ნ. სკანდელზე... ეხლანდელს ჩვენს მწერლობაში ეს „კრიტიკოსის“ სახელი, როგორც არის, ყველაზე უფრო კიდევ იმას მიეწერება“.

70-იან წლებში განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა ჟურნალ „კრებულში“. „კრებულში“ დაბეჭდილმა ლიტერატურულ-კრიტიკულმა წერილებმა დიდად შეუწყეს ხელი ქართული კრიტიკული აზროვნების განვითარებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ს. მესხი იზიარებდა ნ. ნიკოლაძის ცალკეულ შე-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 332.

ხედულებებს ზოგიერთი ნაწარმოების, ან რომელიმე ლიტერატურული საკითხის ირგვლივ. იგი ეკამათებოდა ჟურნალ „კრებულს“ და ნ. ნიკოლაძეს, ჟურნალ „მნათობს“ და ან. ფურცელაძეს და სხვებს და თავისი მახვილი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილებით, რომელთაც მეტად ორიგინალურად ერწყმოდა პუბლიცისტური ელემენტი, ახალ სიტყვას ამბობდა ქართულ ლიტერატურულ-კრიტიკულ აზროვნებაში. სავსებით მართებულად აღნიშნავს პროფ. გ. ჯიბლაძე, რომ „სერგეი მესხის სახით ქართულ ლიტერატურას ჰყავდა ნიჭიერი კრიტიკოსი, ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი მცოდნე, ნათელი გონებისა და მახვილი კალმის მქონე ადამიანი“.[1]

თავისი დროის ქართული მწერლობის განვითარებისა და „ჩვენი საკუთარი თავის გაცნობისათვის“ ს. მესხი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ძველი ქართული ლიტერატურის, სიგელ-გუჯრების და ღირსმნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტების შეკრების, შესწავლის და გამოცემის საქმეს. მისი აზრით, „ახლანდელი ცხოვრების რიგიან გზაზე დაყენებას ყველაზე მომეტებულად ჩვენი ძველი ცხოვრების, ჩვენი ისტორიული ბედისა და თავგადასავლის გაცნობა დაეხმარება“. ს. მესხმა იცის, რომ საამისო მასალები ძველ ქართულ წიგნებში და ხელნაწერებშია მიმობნეული, მაგრამ თვით ეს წიგნები და ხელნაწერები მიმოფანტულია საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარედაც. ამიტომ ს. მესხი მთელი სერიოზულობით აყენებს საკითხს ამ ძვირფასი საგანძურის შეგროვებისა და მიგვითითებს იმ ადგილებზედაც, სადაც შეიძლება მათი დაძებნა. „რამდენი ჩვენი ისტორიული ცხოვრების შესახებ ქაღალდები და მიწერ-მოწერა იპოვებიან თურმე დეპუტატების კრებისა, სინოდის კანტორისა და სხვა სასამართლოების არხივებში; ვინ იცის რამდენი ჩვენი წარსული ცხოვრების გასაცნობათ ძვირფასი დოკუმენტები და ცნობებია ამ არხივში გაფანტული, ვის არ გაუგონია, რომ დადიანს ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა დარჩაო? ვინ არ იცის, რომ თ. ალექსანდრე წერეთელს, საჩხერეში, აუარებელი ძველი ქართული წიგნები უწყვია თურმე ზანდუკებში? ახლა მონასტრებში, საზოგადოებაში, კერძო პირების ხელში — რამდენი ძვირფასი მასალები მოიპოვება“.[2]

მაგრამ, რა თქმა უნდა, ს. მესხი არ თხოულობს ყველა ამ დოკუმენტის ხელაღებით გამოცემას. მისი დამოკიდებულება ისტორიული მასალებისადმი საკმაოდ კრიტიკულია. მან იცის, „რომ ყველაფერი, რაც კი ძველებურ ეტრატზე ან სქელ მწვანე ქაღალდზეა ნაწერი,

---

1 გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები, წ. I, 1958 წ., გვ. 414.
2 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 139—140.

ჩვენი „თავის თავის გასაცნობლათ“ გამოსადეგი არ იქნება და ამიტომ იგი მოითხოვს, რათა დიდი სიფრთხილით შეირჩეს ეს მასალა.

ქართული მწერლობის განვითარებისა და აგრეთვე ხალხში პატრიოტული და მრავალი კეთილშობილური გრძნობების ჩანერგვის საქმეში ს. მესხი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს ფოლკლორს, ზღაპრებს, ლეგენდებს, ანდაზებსა და გამოცანებს და საერთოდ ხალხის ყველა გადმონაცემს. ს. მესხის მართებული რწმენით, გარკვეული საფუძველი აქვთ და მათ დიდი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭებათ. მართალია, ს. მესხმა იცის, რომ ამგვარ გადმოცემებში ბევრი რამ გაზვიადებულია, ზოგჯერ ქართველი ერთ ომში იმდენ მტერს ჰკლავს, რამდენის მოკვლაც შეიძლება ათას ომშიაც არ მომხდარიყოს, ანდა ერთ თავის გმირს ისეთ საქმეებს ჩაადენინებს, რომელიც ათასს არ ჩაედინოს, მაგრამ „კარგათ თუ ავათ ამგვარ გადმონაცემებში ჩვენი წინაპრების ზნეობითი მხარე, ვაჟკაცობა, სულგრძელობა და, ერთი სიტყვით, იმათი ცხოვრება და ხასიათი იხატება. იხატება ისეთი თვისებანი ძველი ქართველებისა, რომლის წყალობითაც ერთი მუჯა ხალხი ურიცხვ მტერს გამაგრებია, რომელშიაც სჩანს ერთმანეთის ძმური დახმარება გაჭირვებაში, სარწმუნოებისა და სამშობლოს ერთგულება, დამოუკიდებლობის სიყვარული“.[1] ყოველივე ამას კი, ს. მესხის გაგებით, გარდა ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობისა, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. ამიტომ როგორც ფოლკლორული, ასევე ეთნოგრაფიული ხასიათის მასალების შეკრება და გამოცემა აუცილებელი და გადაუდებელი საქმეა.

ასევე აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ მიიჩნევს ს. მესხი მასალების შეკრებას ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა შესახებ. „ტფილისში, ქუთაისში, ქართლში, კახეთში, იმერეთში, — წერს ს. მესხი, — კიდევ ბევრნი არიან ისეთი პირნი, რომელნიც იცნობდნენ წარსულ საუკუნეში ნაცხოვრ გამოჩენილ კაცებს, პირნი, რომელნიც ნათესაობდნენ, ან მეგობრობდნენ ამ საუკუნეში გამოჩენილ მწერალთა, თუ სხვა გვართა შესანიშნავ ქართველთა. ეს პირნი, ან ამ პირთ საშუალებით სხვა თანამგრძნობელნი დედა-მეტყველების წარმატებისა დიდ სამსახურს გაუწევენ მას, რომ გაგონების და გვარად დასწერდნენ სულ ყველაფერს, რასაც კი მოკრავენ ყურს ზემოაღნიშნულ პირთა შესახებ.

ოდესმე ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობებით შედგება სრული ცხოვრების აღწერა ჩვენთა საპატიო კაცთა“.[2]

---

[1] ს. მ ე ს ხ ი. თხზულებანი, ტ. II, 1963 წ., გვ. 70.
[2] „დროება“. 1883 წ., № 21.

ქართული ორიგინალური ლიტერატურის განვითარებისა და მკითხველი საზოგადოების ბონებრივი განათლებისათვის ს. მესხი საჭიროდ მიიჩნევს სხვა ერების საუკეთესო ლიტერატურული და მეცნიერული ნაწარმოებების თარგმნასაც. ამიტომ იყო, რომ ს. მესხმა განსაკუთრებით კეთილ და სასარგებლო საქმედ მიიჩნია ნ. ავალიშვილის მიერ „დონ-კიხოტის" თარგმნა და მასეს „ლუკმა პურის ამბავის" გადმოკეთება.

ქართული ლიტერატურის წარმატება დიდად არის დამოკიდებული პერიოდული პრესის ზრდაზე და მის ხარისხზე. ამიტომ, საკვლევით გასაგებია, თუ რატომ ზრუნავდა ს. მესხი ასე თავგამოდებით „დროების" კვირაში სამჯერ, ხოლო შემდეგ ყოველდღიურად გამოცემისათვის.

ს. მესხი აღფრთოვანებით ეგებებოდა აგრეთვე ყოველი პერიოდული ორგანოს გამოსვლას. მაგალითად, როდესაც 1869 წელს გამოიცა სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი „მნათობი", ს. მესხი გულწრფელი სიხარულით შეეგება მას და აღნიშნა, რომ „ჩვენთვის ძლიერ სასიამოვნოა ახალი ჟურნალის დაარსება; ყოველი მამულის კეთილ-დღეობის მოსურნე უნდა შეხაროდეს ამისთანა შესანიშნავ საზოგადო საქმეს; ახლანდელ ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში არა თუ ჟურნალის გამოცემა, ორი დაბეჭდილი თაბახის გამოსვლაც შესანიშნავია". პერიოდული პრესის წინაშე ს. მესხი მეტად დიდ ამოცანებს აყენებს. პრესა უნდა იყოს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ცენტრში და ტონს აძლევდეს მის განვითარებას, მან უნდა აღძრას ინტერესი და თანაგრძნობა საჭირბოროტო საკითხებისადმი, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის განვითარებას და გააღვივოს ხალხში კითხვის სურვილი.

ამ თვალსაზრისით მიუდგა ს. მესხი 1870 წლის ჟურნალ „ცისკრის" პირველ და მეორე ნომერს და როგორც ფორმით, ასევე შინაარსით იგი სავსებით მოძველებულ და ჩამორჩენილ პერიოდულ ორგანოდ მიიჩნია. ს. მესხის თქმით ჟურნალ „ცისკარს" „ყველაფერი თვისება ძველი, პატივსაცემი ჟურნალისა აქვს: სტატიები, რომელთაც ძალუძსთ ტკბილათ დაძინება და დასვენება მოხუცებულის დაღალული ტვინისა, — მიმტვრეული და გალესილი ასოები, რომელნიც დიდი ხანია თხოულობენ, რომ გადაგვადნეთ და ქვაბისათვის ძალიან გამოსადეგი ვიქნებითო... ყველაფერი ეს თვისებები... ამტკიცებენ, რომ ჩვენი „ცისკარი" მოხუცებულობას მიახლოვებულა"[1] და ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. უფრო მეტიც, — საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მოწყვეტა და ის კონსერვატიული მსოფლ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 27—28, 62—63.

მხედველობა, რაც დამახასიათებელი იყო „ცისკარისათვის“, უაღრესად ამუხრუჭებდა ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას.

ს. მესხს ღრმად სწამს, რომ ქართული ლიტერატურის განვითარება ბევრად არის დამოკიდებული იმაზედ, თუ რა მდგომარეობაშია ამ ლიტერატურის გამოცემის საქმე.

როგორც ცნობილია, 70-იან წლებში ქართული წიგნის გამოცემის საკითხი ვერ იდგა ჯეროვან სიმაღლეზე. ამ გარემოებას ს. მესხიც შენიშნავდა და წერდა: „ოღონდ ქართული წიგნი კი დაიბეჭდოს და გასაღდეს, და ჩვენთვის თითქოს სულ ერთია რა წიგნია ეს წიგნი, საინტერესოა, მოუტანს იმის წაკითხვა საზოგადოებას რაიმე ნაყოფს თუ არა“. წიგნებს სცემს ყველა, ვისაც კი სურვილი და შესაძლებლობა აქვს, გამომცემლებს არა აქვთ არავითარი პროგრამა, არავითარი გარკვეული მიმართულება; ბეჭდავენ პირველ რიგში იმას, რაც მათთვის სასარგებლოა, ან რაც მათ მიაჩნიათ სასარგებლოდ საზოგადოებისათვის.

ს. მესხი ფიქრობს, რომ ასეთი თვითნებური დამოკიდებულება საგამომცემლო საქმისადმი ყოვლად დაუშვებელია, რადგან „წიგნების გამოცემა ჩვენში ჯერ ნორჩი საქმეა, და როგორც ყველაფერს ნორჩს და დაუმწიფარს დიდი სიფრთხილე და წინდახედულება ეჭირვება. ჩვენი საზოგადოება თითქმის ეხლა ეჩვევა კითხვას, მაშასადამე, უპირველესი მოვალეობა ქართული წიგნების გამომცემლებისა ის უნდა იყვეს, რომ კითხვაში წასახალისებელი და თან ტვინის მარგებელი საზრდო აძლიოს ამ საზოგადოებას“.[1] ეს კი, ს. მესხის აზრით, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ გამომცემლები შეადგენენ ამხანაგობას და გონივრულად შეარჩევენ გამოსაცემ მასალას. „გამომცემელთა ამხანაგობის“ შედგენა აგვაცილებდა მრავალ შეცდომას და გაუგებრობასო.

წიგნების გამოცემის საქმე ს. მესხს იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ ამ საკითხს იგი რამდენჯერმე დაუბრუნდა. მაგალითად, 1876 წელს წერილში „წიგნის საქმე“, მან კვლავ მიუთითა გამომცემლებს, რომ ყოველი გამომცემლის მოვალეობაა „უარ-ჰყოს სპეკულიანტური მხარე და მოგება ამ საქმეში და გამოსცეს არა „ყარამანიანისთანა“ წიგნები, არამედ იმისთანები, რომელთაც ხალხის ცხოვრებაში და გონების გახსნაში რაიმე მნიშვნელობა ექნება“.[2]

1877 წელს, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში, თბილისის წიგნის ბაზაზე გაჩნდა ეგრეთ წოდებული „შაურიანი“ ლიტერატურა.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, 1963 წ., გვ. 71.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 228.

ეს იყო პატარა წიგნაკებად გამოცემული და თითო შაურად ღირებული „ომის სიმღერები“, „ბებუთოვის ლექსები“, „ჩოლოყაშვილის ლექსი“, „ქვრივის ლექსი“ და სხვა მისთანანი. ამგვარი ქმნილებანი, როგორც ესთეტიკური, ასევე შინაარსობლივი თვალსაზრისით უხამსობას წარმოადგენდნენ. ს. მესხმა სასტიკად გაილაშქრა ამ უმსგავსოების წინააღმდეგ და გააფრთხილა მკითხველი, რომ „ყველა ეს ბროშურები, ეს ლექსები, ეს შაურიანი წიგნები რომ ერთად მოეაგროვოთ, ყველაში ერთად ერთი მისხალი ჭკუა, გრძნობა, პოეზია და ჰაზრი არ მოიპოვება. ცარიელი უაზრო სიტყვების უაზრო და უხეირო რახა-რუხიაო“.

მაგრამ ეს წიგნები მაინც საღდებოდა, რაც ს. მესხს, გარკვეული თვალსაზრისით, სასიამოვნო და ყურადღების ღირს მოვლენად მიაჩნია. მისი შეხედულებით, ეს იმის დამამტკიცებელია, რომ „ხალხი, უბრალო მდაბიო ხალხი გონების საზრდოს თხოულობს, რომ ამ ხალხს კითხვა სწყურიან“, მაგრამ ნაცვლად ნოყიერი საზრდოსი — ნასუფრალით ჰკვებავენ. იაფი ლიტერატურა კი ძლიერი იარაღია, რადგან ხალხს მისი შეძენა არ უჭირს, იგი სიამოვნებით იხდის ხუთ კაპიკს პატარა წიგნაკში, გულითაც ეწაფება, მაგრამ ხახამშრალი რჩება ამ უნიჭობის ნიმუშით, რადგან „ეს იარაღი სხვა-და-სხვა ისეთს პირების ხელში ჩავარდნილა, რომელთაც წიგნების გამოცემა დუქნის გაღებაზე უფრო სასარგებლო საქმედ დაუნახავთ“. ამიტომ, ს. მესხი ქართველ ინტელიგენციას ავალდებულებს, რათა ხელიდან გამოაცალონ ეს მძლავრი იარაღი სპეკულანტებს, რომელთაც წიგნისა არა გაეგებათ რა, რომელთაც მხოლოდ მოგების სურვილი ამოძრავებთ და უსინდისოდ სარგებლობენ ხალხში გაღვიძებული წიგნების კითხვის სურვილით. „ჩვენი განათლებულებისათვის, — წერს ს. მესხი, — ხალხის გულშემატკივარ პირებისათვის, რომელთაც ხალხის წინამძღოლთ და გზის მაჩვენებელთ ეძახიან, პირველ მოვალეობას შეადგენს ახლა ის, რომ ეს ჩინებული და სასიამოვნო მოთხოვნილება ხალხისა უფრო გონიერად, უფრო რიგიანად დააკმაყოფილონ, ვინემ დღემდინ ის ზემოხსენებული წიგნების გამომცემელნი აკმაყოფილებდნენ“.[1]

ქართული ლიტერატურის აღორძინებისა და განვითარების ერთ-ერთ პირობად ს. მესხი თვით ამ ლიტერატურის ხალხში გავრცელებას მიიჩნევს. იგი მშვენივრად ხედავდა, რომ 70-იანი წლების საქართველოში წიგნების გავრცელება არასასურველ მდგომარეობაში იყო, ამიტომ იძულებული გახდა ეფიქრა და დაესახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც ხელს შეუწყობდა ლიტერატურის გავრცე-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, 1963 წ., გვ. 333.

ლებას ფართო მშრომელ მოსახლეობაში. მისი აზრით, „სადაც კი სოფლის შკოლაა გახსნილი, იქ უნდა იყოს თავმოყრილი ამ შკოლისა და სოფლის ხალხისათვის საჭირო და საინტერესო წიგნები. დანარჩენ სოფლებში წიგნების ქონება ძალიან ძნელი იქნება, ამიტომ ამ თავათ ყოველ უეზდის ქალაქში პატარა წიგნის მაღაზიის გახსნაც, უეჭველია, ძალიან სასარგებლო იქნება. ყოველ ქალაქში რომ ისეთი კაცები იყვნენ, რომელთაც იარმუკობაზე და სოფლის ობაზე გამოიტანონ წიგნები გასაყიდათ, რასაკვირველია, ისინი კარგათ გასაღდებოდნენ“.[1]

ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის საქმეში ს. მესხი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ლიტერატურულ საღამოებს: „ჩვენ ქართველები, — წერს იგი, — ჯერ კითხვას არა ვართ შეჩვეულნი: ათასში ერთი არ ჰკითხულობს ჩვენი ძველისა და ახალი დროების საუკეთესო მწერლების თხზულებებს და ჟურნალ-გაზეთებს. სხვა არა იყოს რა, ამგვარი საღამოების საშუალებით ცოტათი მაინც შეიძლება კითხვის ხალისი მიეცეს საზოგადოებას და გაიცნოს თავისი მწერლები, შეიტყოს რომ ქართველის ტვინს ოდესმე უშრომნია, უფიზლია და ახლაც შრომობს, რომ ქართული ლიტერატურა სრულებით ისე ღარიბი არ არის, როგორც ზოგიერთნი უმეცარნი ამტკიცებენ“.[2]

ლიტერატურის განვითარებისა და მწერლებში პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდის მიზნით ს. მესხი ილაშქრებს ფსევდონიმების სისტემატურად გამოყენების წინააღმდეგ. ფსევდონიმების ხშირად გამოყენებას, მისი აზრით, უარყოფითი გავლენა აქვს ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის განვითარებაზე, რადგან ფსევდონიმს ამოფარებული ავტორი ნაკლებ პასუხისმგებლობას გრძნობს მკითხველი საზოგადოების წინაშე, ხოლო როდესაც ავტორმა იცის, რომ მისი ხელმოწერით დაბეჭდილი წერილით საზოგადოებას საშუალება ექნება იმსჯელოს მის ნიჭსა და უნარზე, მიზნებსა და ამოცანებზე, — ასეთ შემთხვევაში იგი ეცდება მისი წერილი თუ სტატია, ლექსი თუ მოთხრობა, როგორც ფორმით, ასევე შინაარსით მაღალხარისხოვანი იყოს.

საკუთარი ხელისმოწერით ავტორთა წერილების ბეჭდვას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ როდესაც ამა თუ იმ პერიოდულ ორგანოში სახელოვანი მწერლები თანამშრომლობდნენ და თავის ვინაობას აშკარად აცხადებდნენ, ეს მკითხველთა ფართო ინტერესს იწვევდა და ხელისმომწერთა რიცხვს ზრდიდა. „წარმოიდგინე რომე-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 144.
[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, 1963, გვ. 56.

ლიმე უფერული ჟურნალი, მაგ. „Библиотека для чтения“ 1861 წლისა. წარმოიდგინე, რომ ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა იყიდეს იმ დროს ჟურნალი; გაუმრავლდებოდათ იმათ მკითხველები, რომელთაც გაგებული ექნებოდათ ეს ამბავი თუ არა? ნაცნობი სახელები განსაკუთრებით ჩვენი მკითხველისათვის, ერთი სიტყვით ბევრს ნიშნავს“.[1]

მიუხედავად ამისა, ს. მესხი მაინც იძულებული იყო ზოგ შემთხვევაში მიემართა ფსევდონიმებისათვის. ს. მესხი ფსევდონიმებს მაშინ იყენებდა, როცა ერთ ნომერში მისი რამდენიმე წერილი იბეჭდებოდა, ანდა, როდესაც არ სურდა თავისი პიროვნების გამომჟღავნება გარკვეული პოლიტიკური ან საზოგადოებრივი მოსაზრებით.

დღემდის ცნობილია და დადგენილია ს. მესხის შემდეგი ფსევდონიმები და ინიციალები: ლაზარე მესხიშვილი, ლაზარე მესხის შვილი, ლაზარე მეხის-შვილი, ლაზ. მესხიშვილი, მეკენჭე, სოლოლაკელი და ინიციალები ს. მ. მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ ს. მესხს სხვა ფსევდონიმები და ინიციალებიც ჰქონია. კერძოდ: ს. წკეპლაძე, კოღო-ბუზი, ს. იმერელი და ინიციალები ს. წკ.

ქართული პრესისა და ქართული ლიტერატურის წარმატების მიზნით ზოგიერთი ინტელიგენტი ურჩევდა ს. მესხს დაახლოებოდა გავლენიან პირებს, თეთრი კბილი ეჩვენებინა მათთვის, შეეამხანაგებინა რედაქციაში ისეთი ადამიანები, რომელთაც ახლო ურთიერთობა ჰქონდათ გავლენიან პირებთან, რომ იქნება ამ გზით „დროებას“ ნაკლები დაბრკოლებანი შეხვედროდა, მაგრამ პრინციპული ს. მესხი არ გაჰყვა ამ რჩევას. მან პირდაპირი, შეუპოვარი ბრძოლის გზა აირჩია და ამ გზით იარა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.

ს. მესხმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ქართველ მწერალს წინ მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა, რომელნიც აფერხებდნენ არა მხოლოდ მხატვრული, არამედ საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის განვითარებას. ერთ-ერთ ფელეტონში ს. მესხი გულის ტკივილით ესაუბრება მკითხველს ამ ხელისშემშლელი მიზეზების შესახებ და წერს: „საწყალი ქართველი მწერალი! ყველა იმის ბატონია, ყველა იმის მბრძანებელი! ყველასი და ყველაფრის უნდა ეშინოდეს, ყველასი და ყველაფრის მორიდება უნდა ჰქონდეს! რაც უნდა თავის დღეში ვერ იტყვის, რასაც ჰფიქრობს იმის გამოთქმას ვერ ბედავს, როგორც ჰსურს ისე ვერ ილაპარაკებს. ეს ქალბატონს არ მოეწონება, ის ვაჟბატონსაო, ამისათვის ივანე გაწყრება, იმისათვის მიხაკოო! ეს დიდ ბატონს შეაწუხებს, ის პატარასაო! ეს აზრი უდროოა, ის და-

---

[1] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის, 1949 წ., გვ. 75.

გეიანებული; ეს სიტყვა მკვახეა, ის ერთობ ტკბილია! რაზედაც შენ გინდა, რაზედაც შენ საჭიროდ მიგაჩნია, იმაზე კი ნუ ილაპარაკებ, იმაზე კი ნუ სწერ, იმაზე ილაპარაკე, რაც ჩვენ გვესიამოვნებაო!"[1]

ბრძოლა ამ დუხჭირი პირობების წინააღმდეგ ს. მესხის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო.

ს. მესხმა ძალიან კარგად იცოდა, რომ საზოგადოება, რომელიც კულტურული განვითარების გარკვეულ საფეხურზე დგას, თავის სიცოცხლის უნარიანობას იმითაც ამჟღავნებს, რომ ამ საზოგადოების წევრნი სხვადასხვა საგნებზე და მოვლენებზე სხვადასხვა აზრისანი არიან და სხვადასხვაგვარად მსჯელობენ. „ეს სჯისა და აზრების განსხვავება და შეტაკება რომ არ იყოს... არც წარმატება იქნებოდა. მართლაც, ხშირად ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება, როდესაც ორი ან მეტი, ერთმანეთის მოპირდაპირე აზრები შეებმიან და დაეტაკებიან ერთმანეთს".

აზრთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით მკვეთრად იჩენს ხოლმე თავს მოხუცებულებსა და ახალგაზრდებს შორის. ამის ერთ-ერთი მიზეზი ს. მესხის აზრით ის არის, რომ „ყოველი კაცი, თუ რასმეს იძენს გონების გასამდიდრებელს, იძენს მხოლოთ ახალგაზრდობაში. ახალგაზრდის ცოცხალი და მღვიძარე ჭკუა-გონება ძალიან ადვილათ ითვისებს ყოველ ახალ აზრს და სწავლას. მოხუცებულობაში კი კაცი ამ ახალგაზრდობის დროს შეთვისებულ რწმუნებებით და სწავლით ცხოვრობს. იმას ხორცათ და სისხლათ გადაქცევია დიდი ხნიდგან შეთვისებული აზრები და რწმუნებანი და ძნელათ გამოეთხოვება მათ".

ამის ცოცხალ მაგალითს ს. მესხი საფრანგეთის ცხოვრებაში ხედავს, სადაც ძველი თაობა მოუთმენლად მოელის და ცდილობს მონარქიზმის აღდგენას, ხოლო ახალი თაობა რესპუბლიკანიზმის თავგამოდებულ დამცველად გამოდის.

ს. მესხი აზრთა სხვადასხვაობას 70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც ხედავს. ილ. ჭავჭავაძის მსგავსად ისიც ამჩნევს, რომ ცხოვრება წინ მიდის, „მას თან მოაქვს ახალი სწავლა, ახალი ჩვეულებანი. ახალგაზრდობა ითვისებს ამ ახალ სწავლას და ჩვეულებებს და მოხუცებულები კი ძველს, მამა-პაპურ ადათს არ შორდებიან".[2]

როგორც ცნობილია, ძველი და ახალი თაობის დაპირისპირებამ კიდევ ერთხელ იჩინა თავი 70-იან წლებში, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში „მამათა" და „შვილთა" ბრძოლის მეორე ტურის სახელით არის ცნობილი.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 413.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 186—191.

ეს შეტაკება აღარ იყო ისეთი მწვავე ხასიათისა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა სამოციან წლებში, რადგან სამოცდაათიანი წლებისათვის „მამათა“ ბანაკი უკვე წელმოწყვეტილია. ყველა პრინციპული საკითხების ირგვლივ გამართულ ბრძოლაში მან ჯერ კიდევ 60-იან წლებში იგემა დამარცხება. 70-იან წლებში „მამებმა“ კიდევ ერთხელ გამოამჟღავნეს მათთვის დამახასიათებელი კონსერვატიზმი და შვილებმაც იმავე პოზიციებიდან შეუტიეს, რომლიდანაც 60-იან წლებში უტევდნენ. ერთი სიტყვით, ეს იყო განახლებული დავა ძველ ქერქში, რომელსაც 60-იან წლებთან შედარებით არც ერთი ახალი საკითხი არ წამოუყენებია და არც ისეთი მწვავე ხასიათი მიუღია, როგორც პირველი შეტაკების დროს ჰქონდა. თუ 60-იანი წლების ბრძოლამ თავისი მკვეთრი გამოხატულება ჯერ „ცისკრისა“ და შემდეგ „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე დაბეჭდილ მწვავე პოლემიკურ წერილებში ჰპოვა, 70-იან წლებში ეს ბრძოლა რამდენიმე ლექსით ამოიწურა. მართალია, ამ ლექსებში მკვეთრად გამოიხატა ორივე თაობის მსოფლმხედველობა, მაგრამ ეს ნაწარმოებნი ერთმანეთის პირადი შეურაცხყოფა უფრო იყო და ს. მესხის თქმისა არ იყოს, ერთმანეთის „ლამაზი სიტყვებით“ შემკობას წარმოადგენდა. ამ ნაწარმოებებს იმ პერიოდის საზოგადოებამ „უცენზურო მწერლობა“ უწოდა და იმ ხანებში ისინი არც დაბეჭდილან.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ორი ბანაკი მაინც არსებობდა და მათ შორის არსებული წინააღმდეგობა და უნდობლობა საზიანოდ მოქმედებდა საერთო საქმეზე. „ჩვენი მამები, — წერდა ს. მესხი, — ბრალად სდებენ შვილებს, რომ თქვენ ურწმუნონი, უსაქმონი და ლიბერალები ხართო, ენა წაგვიბილწეთო და სხვა ამისთანებს. შვილებიც თავის მხრით სხვადასხვა ბრუდე საქმეებს, საზოგადო სიკეთეზე დაუდევრობას და მხოლოთ თავის საკუთარ თავზე ზრუნვას აბრალებდნენ მოხუცებულებს. ამას გარდა ორივე მხრივ ბევრი გასამტყუნარი პუნქტია წარმოდგენილი“.[1]

განსაკუთრებული სიმკვეთრით შეეჯახა ახალ თაობას გრიგოლ ორბელიანი. ამ მხრივ უდაოდ საყურადღებოა გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთა“, რომელიც ძველი სემინარისტის ფსევდონიმით უნდა დაბეჭდილიყო 1874 წლის „ცისკრის“ მეშვიდე-მერვე ნომერში. გრ. ორბელიანის ეს ლექსი ერთგვარად შერბილებული რედაქციაა 1872 წელს დაწერილი მისი „გამოცანების პასუხისა“. მიუხედავად ამისა, ლექსში იმდენად მწვავედ იყო გამათრახებული ახალი თაობა, რომ მისი უპასუხოდ დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო. ს. მესხმა მოახერხა გრ. ორბელიანის ზემოხსენებული ნაწარმოების

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 191.

დაბეჭდვამდე ხელში ჩაგდება და იგი იმწამსვე პირად ბარათთან ერთად აკ. წერეთელს გაუგზავნა პასუხის დასაწერად. სერგეი წერდა: „გიგზავნი გრიგოლ ორბელიანის ახალს, მაგრამ ძველ კილოზე დაწერილ ლექსს ჩვენზე და შენ იცი, როგორ მახვილსა და შხამიან პასუხს დაუწერ და გამომიგზავნი“.[1] აკაკიმ მართლაც უპასუხა გრ. ორბელიანს ლექსით „პატრიოტის აღსარება“, რომელიც ს. მესხეს „დროების“ 1875 წლის მეოთხე ნომერში დაბეჭდა.

უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ გრ. ორბელიანის მწვავე დამოკიდებულება „დროებისა“ და განსაკუთრებით ს. მესხის მიმართ შემთხვევითი არ არის. როგორც პროფ. დ. გამეზარდაშვილიც აღნიშნავს, გრ. ორბელიანის და „თერგდალეულთა“ სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებები რადიკალურად, ან საგრძნობლად მაინც განსხვავდებოდნენ ყოველთვის და ყველა საკითხში“. ამ დებულების საილუსტრაციოდ უდაოდ საყურადღებოა ერთი ფაქტი. 1872 წელს „დროების“ მეათე ნომერში მოწინავის სახით დაიბეჭდა ს. მესხის წერილი „ჩვენი სოფლის სასამართლოები“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია „დროების“ ზემოხსენებული ნომერი. ამ ნომერში დაბეჭდილი წერილები და, კერძოდ, ს. მესხის სტატია ვიღაცას წითელი ფანქრით საგულდაგულოდ უსწორებია და გაზეთის აშიაზე შენიშვნებიც მიუწერია. „გასწორებულია“ წერილის ენა და სტილი და ზოგიერთი სიტყვის დაწერილობა. მაგალითად სიტყვები: „ჩვენში“, „აქვს“, „გვქონდა“ და სხვანი შემდეგნაირად არის გასწორებული: „ჩუენში“, „აქუს“, „გუქონდა“ და სხვ. წერილის გამსწორებელს არ მოსწონებია გამოთქმა: „გაამართლა ამათი მოლოდინი“, — ამ სტრიქონისათვის წითელი ხაზი გაუსვამს და გვერდით მიუწერია: „რ უ ს უ ლ ი ა“.

მოწინავეში ვკითხულობთ: „სოფლებში ჯერჯერობით ძნელად მოიპოვებიან ისეთი პირები, რომელთაც მართლა რიგიანათ ესმოდეთ მოსამართლეობისა და მამასახლისობის მოვალეობა“. კომენტატორს ამ წინადადებებისათვის გვერდით წითელი ხაზი ჩამოუსვამს და მიუწერია: „დიდი ტყუილია მესხი“.

მოწინავეში ს. მესხი უთითებს „დროების“ ამავე ნომერში დაბეჭდილ ი. კავთელის „სცენებზე“ და წერს: „დღევანდელ „დროების“ ნომერში დაბეჭდილია სოფლის სასამართლოების სცენები, რომლიდამაც მკითხველი ცხადათ დაინახავს, რომ იმ სოფლის გლეხები, რომელსაც ეს სცენები ეკუთვნის, ძალიან არ უნდა ემადლიე-

---

[1] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის „მოამბე“, ტ. III, გვ. 172.

რებოდნენ თავიანთ მამასახლისს და მოსამართლეებს". ამ წინადადების გასწვრივაც ჩამოსულია წითელი ხაზი და მიწერილია: „ვინ იცის სცენები ეგებ დამწერს მოუჩმახავს?"

მოწინავეში ს. მესხი მიუთითებს იმ საშუალებებზე, რომელნიც შესაძლებელს ხდიან, სოფლად პატიოსანი და საქმის მცოდნე პირები იყვნენ ამორჩეულნი მოსამართლეებად. კომენტატორს აქაც ჩამოუსვამს წითელი ხაზი და მიუწერია: „ეს რჩევა აქამდის რატომ არავის მოუვიდა გოგრაში?"

კომენტატორი საერთოდ უკმაყოფილოა ამ წერილისა და ბოლოში შენიშნავს: „ამაზე მეტი აღარა იყო რა სათქმელად?"

ვინ უნდა იყოს ამ მინაწერების ავტორი? ვის უსწორებია ს. მესხის ზემოხსენებული წერილი?

როგორც ცნობილია, ასეთი შენიშვნების გაკეთება „დროების" წერილების მიმართ, თვით „დროების" აშიებზე, დამახასიათებელია გრიგოლ ორბელიანისათვის, ისიც ცნობილია, რომ „დროების" და, კერძოდ, ს. მესხის ენა პოეტისათვის საესებით მიუღებელი იყო.

„დროების" მეათე ნომრის აშიებზე გაკეთებული მინაწერების შედარებამ გრ. ორბელიანის ავტოგრაფებთან დაადასტურა, რომ ეს მინაწერები გრ. ორბელიანს გაუკეთებია. ასეთივე მინაწერები გაუკეთებია პოეტს ამავე ნომერში დაბეჭდილი პეტრე ჩარექოვის წერილისათვის „ახალი სასამართლო" და სხვა ნომრების რამდენიმე სტატიისათვის.

გრ. ორბელიანის დამოკიდებულება ს. მესხისადმი უფრო მკვეთრად გამოვლინდა პოეტის ლექსში: „დროების ათი წლის იუბილე", რომელიც 1876 წელს დაიწერა. გრ. ორბელიანის აზრით,

ვერ ისწავლა მესხიმ წერა
ვერა!.. ვერა!..
და არც სჯერა,
რომ მან წერა
ვერ ისწავლა, ვერა, ვერა!

გრ. ორბელიანი ს. მესხს ახასიათებს როგორც უნიჭო მწერალს, რომელმაც ენა წაგვიხდინა, წაბილწა, რომელიც

ღრამატიკას
და ლოღიკას
არ დასდევს;
არახუნებს,
თითქოს კეტებს
ჰსცემს ყურსა!

გრ. ორბელიანი დამწუხრებულია, რომ აღარ ისმის „ცისკარის" საამო ხმა, რომ „დაბნელდა უდროოდა მნათობიც" და „რომ კრებუ-

ლი, მარილ-ქებული დავჰკარგეთ და დაედუმდით, დავმორჩილდით დროებას“.

განაწყენებული პოეტი ვერ მალავს აღშფოთებას და მთელ ღვარძლს დაუფარავად ანთხევს:

ფუ ამ დროსა
ენიპოსა
უკაცოს,
რომ დროება
წინ გეიძღვება
მესხითა.
ჩვენი ქვეყნის
მფარველად!!!
ბუქნა: — ფუ, მესხის და მის დროებას,
ფუ ჩვენცა,
ჰოო, ფუ ჩვენც.

ცხადია, რომ გრ. ორბელიანის ასეთი მკაცრი გალაშქრება ს. მესხის და „დროების“ წინააღმდეგ გადაჭარბებულია.

მართალია, გაზ. „დროების“ და, კერძოდ, ს. მესხის ენა ზოგჯერ უდაოდ სცოდავს, ამიტომ გრ. ორბელიანს ჰქონდა საფუძველი ესაყვედურნა ს. მესხისათვის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში პერიოდული პრესის და განსაკუთრებით გაზეთის ენა მხოლოდ ყალიბდებოდა და ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო ყველა ის ხარვეზი, რაც იმ დროს მას ახასიათებდა.

„დროების“ ენის ხარვეზებს ს. მესხიც გრძნობდა და წერდა: „გვეუბნებიან ჩვენ, რომ ენა გააფუჭეთო, გააჭრელეთო, კონსტრუქცია სულ ქართული არ არისო და სხვა. ეს ერთის მხრივ ტყუილიც არ არის, ჩვენდა სამწუხაროდ, მაგრამ ამას თავისი მიზეზებიცა აქვს“ და ამის მთავარ მიზეზს ს. მესხი იმაში ხედავდა, რომ ბევრმა არც წერა იცოდა და არც აზრების გამოთქმის უნარი ჰქონდა, გარდა ამისა, ცენზურაც ჩეხავდა ცალკეულ სტატიებს. რაც იწვევდა ქართული წინადადებების კონსტრუქციის რღვევას და საერთოდ ენის დამახინჯებას.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ს. მესხს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ევლო გრ. ორბელიანის მიერ მითითებული გზით — დაბრუნებოდა ძველი ქართული ენის ნორმებს და უკვე ხმარებიდან ამოღებულ ასოებს. ქართული ენის განვითარება მისი გახალხურების გზით მიემართებოდა და ახალ ეპოქაში ახალი, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული ახალი სალიტერატურო ქართული იქედებოდა, რაშიც ს. მესხიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. მაგრამ ეს

იმას არ ნიშნავს, თითქოს ს. მესხი საერთოდ წინააღმდეგი ყოფილიყო ძველი ქართული ენისა. ამ ენას „დროების“ რედაქტორი უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ძვირფას სალაროდ თვლიდა თანამედროვე სალიტერატურო ქართულის განვითარებისათვის. „ჩვენ არ მოგახსენებთ, — წერდა ს. მესხი, — რომ ჩვენი ძველი ენა სრულიად უსარგებლო იყოს ეხლა ჩვენთვის; ჩვენი ღარიბი ენისათვის მრავალი ისეთი სიტყვები და სიტყვის მნიშვნელობები მოინახება ძველ წიგნებში, რომელიც ჩვენ ახალ ენას არა აქვს. ამას გარდა ძველი ენა გამოგვადგება ჩვენ ძველი ისტორიული მასალების ამოსაკითხავათ“-ო.[1]

აქვე გვინდა ერთ გარემოებასაც გავუსვათ ხაზი: ს. მესხი, რომელიც ყოველთვის იბრძოდა მოძველებული ასოების ხმარების წინააღმდეგ, ხელაღებით არ უარჰყოფდა მათ მნიშვნელობას. როდესაც ს. მესხმა განიხილა გ. წერეთლის გამოკვლევა — „ფილოლოგიური განხილვა ქართული ენისა“, მან გაიზიარა ავტორის თვალსახრისი მოძველებული ასოების მნიშვნელობის შესახებ სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობისა და განვითარების ისტორიის შესწავლის საქმეში და აქვე მიუთითა, რომ „მართლწერაში მათი ხმარება საჭირო არ არისო“. ამიტომ, ს. მესხი გულწრფელად ურჩევს არქაისტებს. ყურადღება მიაქციონ გ. წერეთლის გამოკვლევას, რადგან „ისინი ბევრს ლაპარაკობენ ქართული მართლწერის დავიწყებაზე და არ იციან კი რა საბუთით“.[2]

მოძველებული ასოების ხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ს. მესხის აზრით, სავსებით მიუღებელია, „მაგრამ ქართული ეტიმოლოგიის ძიებისათვის ეს ასოები ძვირფასნი არიან და არასოდეს არ შეგვიძლიან დავივიწყოთ, რადგან ამ ასოებით ფილოლოგიურათ ქართული ენის შესწავლა ძნელია“. გ. წერეთლის ეს აზრი ს. მესხსაც ჰეშმარიტებად მიაჩნია.

ზემომოტანილი მსჯელობიდან ნათლად ჩანს ს. მესხის სწორი პოზიცია, როგორც სალიტერატურო ქართულის სიწმინდისათვის მებრძოლი კრიტიკოსისა.

ს. მესხის და საერთოდ „დროების“ თანამშრომელთა ენის წინააღმდეგ გაილაშქრა ვ. ა. თარხან-მოურავმაც, რომელმაც 1874 წელს გამოსცა „ქართული ენის მზრუნველები (სცენები ჩვენი მწერლობის მოქმედებიდამ)“, რომელშიც სასაცილოდ იყვნენ აგდებულნი ს. მესხი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და ნ. ავალიშვილი. თარხან-მოურავის ზემოხსენებულ „სცენებს“ დიდი პოპულარობა არ მოუ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 16.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 214.

პოვებია, რადგან იგი საკმაოდ უნიჭოდ დაწერილი ნაწარმოები იყო, რომელსაც კინკლაობისა და სუბიექტივიზმის მკვეთრი ბეჭედი ესვა.

ს. მესხმა ძალიან კარგად იცის, რომ ამგვარი განხეთქილება, რომელიც ხშირად კინკლაობაში გადადის, ამუხრუჭებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას და ქსაქსავს და ჰფანტავს ძალებს, რომელნიც საერთო მიზნისაკენ, ერის ბედნიერი ცხოვრების შექმნისაკენ უნდა მიისწრაფოდნენ. „ჩვენი ქვეყანა, — წერს ს. მესხი, — ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ იმისათვის აუცილებლათ საჭიროა ყველა ქართველი უწყობდეს ხელს საზოგადო საქმეებს და ეხმარებოდეს ამ საზოგადო საქმის სწორ გზაზე დადგომას, ყოველი საზოგადოების წევრი თავის შეძლების დაგვარად უნდა სცდილობდეს რაიმე სარგებლობა და დახმარება უძღვნას თავის საზოგადოებაა. ვინ არ იცის, რომ ეს დახმარება და სიკეთე მხოლოთ მაშინ იქნება შესამჩნეველი და საგრძნობელი, როდესაც ყველანი ერთათ იმოქმედებენ? მაშასადამე, ამ ურთი-ერთობის განხეთქილებისაგან. ამ მამებისა და შვილების მოხუცებულებისა და ახალგაზრდების უკმაყოფილებისა და დაუნდობლობისაგან რა სიკეთეს უნდა მოელოდეს ჩვენი საზოგადოება?! ჩვენი მტრები არის: უმეცრება, სიღარიბე და სხვა ათასი და თუ ერთმანეთში შური და დაუნდობლობა არ მოვსპეთ, უეჭველია, ეს მტრები სრულიად დაგვიმორჩილებენ და დაგვჩაგრავენ ჩვენა".[1]

ამ შემთხვევაში ს. მესხს, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს, არავითარი განსხვავებული პოზიცია არ უკავია სამოციანელებთან შედარებით. პირიქით, იგი სავსებით იზიარებს ილ. ჭავჭავაძის შეხედულებას იმის შესახებ, რომ ერის „წარმატებისათვის, კეთილდღეობისათვის საჭიროა, ყოველნი ძალნი ერთობისანი ერთად, ერთ-გვარად იყვნენ მიდრეკილნი და მიწვეულნი. თვით წარმატებაც, განვითარებაც მაშინ არის ჭეშმარიტი და ნაყოფიერი, როცა ყველანი ერთგვარად და ერთი სახით გაჭირვების უღელს ეწვევიან და თანასწორად ინაწილებენ უფლებას და მოვალეობას. საცა ეს არ არის, მაშინ ერთის ამაღლება, ერთის კეთილდღეობა, — მეორის დამდაბლებაზედ, მეორის გაღარიბებაზედ არის ხოლმე ხშირად დამოკიდებული. უსწორმასწორობა ერთმანეთ-შორის, სხვათა შორის უჯრა-უჯრად დაყოფის შედეგია; ვისაც კეთილი უნდა, ამ უჯრებს კი არ უნდა წაუმატოს, რაც არის, ისიც უნდა დაშალოს, დაარღვიოს და ქარს მისცეს".[2]

ასევე ფიქრობს ს. მესხიც. მასაც ღრმად სწამს, რომ ბრძოლა

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 191—192.

2 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, ნაწერების სრული კრებული, ტ. VIII, გვ. 50—51.

ერის კეთილდღეობისათვის მხოლოდ მაშინ გამოიღებს ჯეროვან შედეგებს, როდესაც ამ ბრძოლაში ჩაებმება არა ერთი რომელიმე თაობა ან წოდება, არამედ ყველა ერთად, — მთელი ერი. ამ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, წამყვანი როლი ახალგაზრდობას ეკუთვნის, როგორც ენერგიულს, ახალი პროგრესული იდეებით შეიარაღებულს, რომელსაც შესწევს გონივრული ხელმძღვანელობის უნარი. ამიტომ, ს. მესხს ჭეშმარიტად მიაჩნია ის გარემოება, რომ „საზოგადო გაჭირვებას საზოგადო დახმარება უნდა" და „მომავალი ყოველთვის ახალგაზრდობას ეკუთვნის".[1]

ძველი თაობის ჯგუფში, რომელიც „ცისკრის" ირგვლივ იყო შემოკრებილი, ს. მესხი თვალსაჩინო განსხვავებას ხედავდა. აქ იყვნენ წმინდა წყლის რეაქციონერები, რომელნიც კონსერვატიულ-რეაქციული პოზიციებიდან ებრძოდნენ სამოციანელებს (გიორგი ბარათაშვილი, გენერალი გიორგი ერისთავი, ირაკლი ლორთქიფანიძე, სარდიონ მესხიშვილი, თომა მაჭავარიანი, იაკინთე მესხიშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, ექვთიმე წერეთელი, ბარბარე ჯორჯაძე და სხვანი). „ცისკარშივე" თანამშრომლობდნენ ქართული პატრიოტული რომანტიზმის წარმომადგენლები: ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ რჩეულიშვილი, ვახტანგ ორბელიანი, დავით მაჩაბელი და სხვანი.

ქართველ რომანტიკოს მწერალთა შემოქმედება ს. მესხს სპეციალური კვლევის საგნად არ გაუხდია, მაგრამ კრიტიკოსის ის ცალკეული გამონათქვამები, რომელნიც ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას შეეხებიან, საშუალებას გვაძლევენ გავარკვიოთ ს. მესხის დამოკიდებულება ზემოხსენებულ მწერლებისადმი.

მაგალითად, შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ს. მესხმა ეროწონა „კრებულის" მიერ ალ. ჭავჭავაძის ლექსის „ვაჰ სოფელსა ამასა"... გამოქვეყნება. როგორც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ მართებულად აღინიშნა, ლექსში მკვეთრად არის გამოხატული პოეტის გულისტკივილი და პროგრესულ-სოციალური შეხედულებანი. ლექსი მიმართულია როგორც ეროვნული, ასევე სოციალური და კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ.

სწორედ ალ. ჭავჭავაძის ეს პროგრესული თვალსაზრისი იყო მიზეზი, რომ ათქმევინა ს. მესხს: „ეს წიგნი „კრებულისა" განსაკუთრებით მდიდარია ლექსებით; და ამ ლექსებში ზოგიერთები ქალიან კარგებიც ურევია. მაგ. ალ. ჭავჭავაძის ლექსი „ვაი, სოფელსა ამასა და მისთა მდგმურთა" — მშვენიერი ლექსიაო".[2]

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 192.

2 ი ქ ვ ე, გვ. 165.

1873 წელს „კრებულის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ოთხი წერილი მაიკო ორბელიანისადმი. ს. მესხს, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, ეს წერილები საუკეთესო მასალად მიაჩნდა ლიტერატურის ისტორიისათვის. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ს. მესხი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც შენიშნა უმჭიდროესი კავშირი ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლარულ და პოეტურ მემკვიდრეობას შორის. ამ წერილებში, — წერდა ს. მესხი, — „ნათლად იხატება ის სულის ბრძოლა, ის „ობლობა“ და ჰაზრის თანამოზიარის ნაკლებობა, რომელიც ასე მშვენივრად გამოხატულია მომეტებულ ნაწილ იმის ლექსებში („ჩემს მერანს“, „სული ობოლი“, „ბოროტი სული“ და სხვ.).[1]

მოაქვს რა ვრცელი ამონაწერი ნ. ბარათაშვილის წერილიდან, რომელიც პოეტს 1842 წლის 31 ოქტომბერს მიუწერია მაიკო ორბელიანისათვის, ს. მესხისათვის საკვლევით გასაგები ხდება, თუ „როგორ უნუგეშოთ და გულ-მოკლულად... უნდა ეგრძნო მაშინ თავი განსაკუთრებით ისეთ მაღალი გრძნობისა და იდეალების კაცს, როგორის პატრონიც ნ. ბარათაშვილი იყო“.

ს. მესხის თვალსაზრისი, ეპისტოლარული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ, მეტად ახლოა ილ. ჭავჭავაძის თვალსაზრისთან ამავე საკითხზე, რაც მწერალმა მშვენივრად გამოხატა კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილ წერილში 1872 წლის 9 დეკემბერს.

1892 წლის „ივერიის“ 77-ე ნომერში დაიბეჭდა ილ. ჭავჭავაძის წერილი „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, იგი ნაწილია ილიას ცნობილი „წერილებისა ქართულ ლიტერატურაზე“. ზემოხსენებულ წერილში ილიამ მოკლედ, მაგრამ მეცნიერული სიღრმით გააშუქა ნ. ბარათაშვილის შემოქმედება და ნათლად დაგვანახა მისი უდიდესი მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ ს. მესხის მიერ 1873 წელს გამოთქმული თვალსაზრისი ნ. ბარათაშვილის შესახებ, საკვლევით გაიზიარა ილ. ჭავჭავაძემ.

ს. მესხის დამოკიდებულება ქართული პატრიოტული რომანტიზმის წარმომადგენლებთან მეტად თავისებურია. მართალია, ს. მესხი არ იზიარებს მათ ძირითად თვალსაზრისს, მაგრამ იგი რომანტიკოსთა საქმიანობასა და მოღვაწეობაში ხედავს სამშობლოს გულწრფელ სიყვარულს და ზრუნვას ქართული ლიტერატურის აღორძინებისათვის. ამიტომ იყო, რომ ს. მესხმა მაღალი შეფასება მისცა ალექსანდრე ორბელიანის მოღვაწეობას. „თ. ა. ორბელიანი, — წერდა იგი, — იყო ერთი იმ პირთაგანი, რომელზედაც ხნიანობას ძლიერ

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 352.

მცირედი გავლენა აქვს: უკანასკნელ ჟამამდე ის დარჩა ეგრეთვე ჭკუით ცოცხალი და ახალი აზრების შემთვისებელი, როგორც ყმაწ-ვილობაში. ყოველს ახალს, სასარგებლო აზრს აღტაცებაში მოჰყავდა მიცვალებული და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ იმისთვის ხელი გაემართა. სხვათა შორის, იმას ძალიან კარგათ ესმოდა — თუ რა გავლენა აქვს საზოგადოების კეთილ-დღეობაზე სამშობლო ლი-ტერატურას და ამისათვის არაფერს არ ზოგავდა იმის აყვავებისა-თვის: 1857 წელს თითქმის სულ იმის მეცადინეობით განახლდა ჩვენ-ში პირველი ჟურნალის გამოცემა და უკანასკნელ დრომდინ მუდამ აძლევდა შემწეობას ამ ჟურნალსა, როგორც მატერიალურად, აგ-რეთვე ზნეობითაც და კალმითაც...

ძველ კაცებში, მგონი, მხოლოთ ეს ერთი გვყავდა, რომელიც ვით მამულის ნამდვილი შვილი, ზრუნავდა საქართველოს ბედზე. დასტიროდა იმის უბედურებას და დაჰხაროდა ბედნიერებას".

ს. მესხმა ეს სიტყვები წარმოთქვა ალ. ორბელიანის დაკრძალ-ვის დღეს, დაკრძალვაზე თავი მოიყარა მთელმა ქართველმა საზოგა-დოებამ. მათ შორის იყვნენ „მამათა" ჯგუფი და მთელი „გენერ-ლიტეტი".

კ. ლორთქიფანიძემ არ მოუწონა ს. მესხს ალ. ორბელიანის ამ-გვარი ქება-დიდება, რისთვისაც სერგეი სწერდა მას: „ძალიან ძწყინს... რომ ვერ მიხვდი რისთვის ვთქვი მე ამნაირი სიტყვა გენ-ერალიტეტის წინაშეო". შეიძლება ს. მესხმა მართლაც ოდნავ გააზ-ვიადა ალ. ორბელიანის როლი ქართული კულტურისა და ლიტერა-ტურის განვითარების საქმეში, მაგრამ ბობოლა „გენერალიტეტის" წინაშე, რომელთაც, ილ. ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს, ქვეყნის ავ-კარგი ფეხებზედ ეკიდათ, ამგვარ სიტყვას გარკვეული მიზანი ჰქონდა.

აღსანიშნავია, რომ ს. მესხის შეხედულება ალ. ორბელიანზე სავსებით ემთხვევა ილ. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შეხედულე-ბებს. ილიაც და აკაკიც ალ. ორბელიანის დამსახურებას ლიტერატუ-რის განვითარებისათვის ზრუნვაში და სამშობლოს უანგარო სიყვა-რულში ხედავენ. ილ. ჭავჭავაძემ, წერილში „მოკლე ბიოგრაფია ვახტანგ ორბელიანისა", ალ. ორბელიანი იმ გონება-გახსნილ ყმაწ-ვილკაცობის ბრწყინვალე წრეს მიაკუთვნა „საიდამაც გამოვიდნენ თ. გრ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, ორნი გიორგი ერისთავნი, ზაქარია ერისთავი, იოსებ და კონსტანტინე მამაცაშვილები, თ. ნ. ბარათა-შვილი... და ბევრნი სხვანი, რომელთაც სახელოვნად იჩინეს თავი ზოგმა ლიტერატურაში, ზოგმა საზოგადო და სახელმწიფო სარბი-ელზე. ამ წრის წმიდათა-წმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, რო-

ჭელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე გაიწია მათდა სასახელოდ".[1]

აკ. წერეთელი იგონებდა რა პირველ შეხვედრას ალ. ორბელიანთან, წერდა: „მბიარულად მიმიღო დიდის პატივით. „პატივით და მოწიწებით მიგიღებ, როგორც წერეთელსაო — მითხრა — და როგორც აკაკის — კი მინდა გადაგეხვიოო!".. პირველი ნახვისთანავე შემიყვარდა. ის იყო ნამდვილი ქართველი კაცი, ბევრის მნახველი, ბევრის გამგონე და ნალაფი... ის ძალიან საყვარელი იყო და საქართველოც განსხვავებულად უყვარდა; ეს მისი ნაწერებიდანაცა სჩანს..."[2]

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, არც ს. მესხი, რომელმაც საზოციანელთაგან პირველმა მოგვცა ალ. ორბელიანის შეფასება, და არც ილ. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი ალ. ორბელიანს არ თვლიდნენ „მამათა" რეაქციული ბანაკის წარმომადგენლად, რაც სავსებით მართებულია და გაოცებას იწვევს ის გარემოება, თუ რატომ მიაჩნია ზოგიერთ ჩვენ ლიტერატურის ისტორიკოსს ალ. ორბელიანი უკიდურეს რეაქციონერად.

პროფ. აპ. მახარაძე ეყრდნობა ილ. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და ს. მესხის შეხედულებებს ალ. ორბელიანის შესახებ და მართებულად ასკვნის, რომ არ შეიძლება „ალ. ორბელიანის როლი გადაჭარბებით შევაფასოთ, რომ მის პიროვნებაში ფართო დემოკრატიული იდეებისათვის მებრძოლი მწერალი დავინახოთ", მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ ალ. ორბელიანი კონსერვატორად და უკიდურეს რეაქციონერად მოვნათლოთ. „ალ. ორბელიანის სახით ჩვენ გვყავს ტიპიური რომანტიკოსი მწერალი, რომელიც თავისი ქვეყნისა და ხალხის ბედზე დრტვინავს, მისი დაწინაურებისათვის იღწვის. სრულიად კეთილი განზრახვით, ხან ერის კულტურული წინსვლისა და ამაღლების გეგმებს აწყობს და ხან წარსულის იდეალიზაციას ახდენს".[3]

დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულებას ამჟღავნებს ს. მესხი პლატონ იოსელიანისადმიც, რომელიც ძველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. პლ. იოსელიანი მას „კავკასიის თითქმის უძველეს მწიგნობრად" მიაჩნია. ს. მესხმა ძალიან კარგად იცის, რომ პლ. იოსელიანისა და სამოციანელთა მსოფლმხედველობა არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, რომ პლ. იოსელიანს ბევრი ისეთი მხარეები ახასიათებდა და „ბევრი ისეთი რამ ჩაუდენია თავის სიცოცხლეში", რასაც სამოციანელები კეთილად ვერ მოიხსენიებენ,

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 238.
[2] ა კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩეული ნაწერები, 1940, გვ. 470—471.
[3] ა პ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, ქართული რომანტიზმი, 1960, გვ. 141.

მაგრამ პლ. იოსელიანს ჰქონდა ერთი ღირსება, რომელიც, ს. მესხის აზრით, განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე იყო და რომელმაც ახალ თაობას პლ. იოსელიანის ცხედრის წინაშე მუხლი მოაყრევინა. ეს ღირსება იმაში გამოიხატებოდა, რომ „ერთ დროს ის იყო მოღვაწე ქართული ლიტერატურისა", სწორედ ამიტომ ს. მესხმა და საერთოდ სამოციანელებმა „დაივიწყა ყველაფერი, რაც მიცვალებულში არ მოსწონდა და გაიხსენა მხოლოთ ის ერთი დამსახურება. რომ ის ქართული მწერლობის შესამატებლათ და გასამდიდრებლაო ზრუნავდა; დაივიწყა ყველაფერი, რაც არ გაუკეთებია და გაიხსენა იმის წარსული შრომა, ის, რაც გააკეთა, და მხოლოთ ამისათვის სცა იმას უკანასკნელი პატივი".

ს. მესხისათვის ქართული ლიტერატურა ისეთი მაგიური ძალაა, რომელსაც შესწევს უნარი ორი თაობის შეერთებისა და რომელიც აიძულებს ახალ თაობას ბევრ დათმობაზე წავიდეს. „მამათა" ბანაკის უაღრესად რეაქციონური წრის წარმომადგენელთა საყურადღებოდ, რომელნიც ალმაცერად უყურებდნენ სამოციანელების მოღვაწეობას, ს. მესხი საჯაროდ აცხადებდა, რომ „ლიტერატურისა და ხალხის სახელით, ახალი თაობა ყოველთვის მზათაა ბევრი ნაკლულევანება, ბევრი შეცდომა მიუტევოს ყველას, ვინც უნდა იყოს, ოღონდ ჩვენი დაცემული ლიტერატურისა და ხალხის აღსადგინებლათა და განსაღვიძებლათ იზრუნეთ და ახალგაზრდობა მუდამ თქვენთან იქნება; ესაა ის საგანი, რომელიც უნდა გვაერთებდეს, რომელიც უნდა გვავიწყებინებდეს ყველა წვრილმან ანგარიშებს, უთანხმოებას, განხეთქილებას.

ამ აზრს ვაცხადებთ ჩვენ მიცვალებულის პლატონ იოსელიანის საფლავზედ იმ ჩვენი მამებისათვის, რომელნიც, საუბედუროთ, ჩვენ, თავიანთ შვილებს, როგორღაც განზე გვიყურებენ".[1]

ს. მესხს ღრმად სწამს, რომ თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული ახალგაზრდობა მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს ქვეყნის წინსვლისა და განვითარების საქმეში, რომ მომავალი ყოველთვის ახალგაზრდობას ეკუთვნის, მაგრამ იგი ამავე დროს მშვენივრად ამჩნევს, რომ ახალგაზრდობაში მკვეთრად შეიმჩნევა ერთგვარი დიფერენციაცია.

წერილში — „ახალი მიმართულება ჩვენი ახალი-თაობისა" — ს. მესხმა შეადარა ერთმანეთს 50—60-იანი წლების ქართველი ახალგაზრდობა 70-იანი წლების ახალ თაობას და რამდენიმე ფრიად საყურადღებო დასკვნა გააკეთა.

მისი აზრით, „ათი და ოცი წლის წინათ გამოზრდილი ყმაწვილ-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, 1962, გვ. 155—6.

კაცები მხოლოთ ჩინოვნიკობისათვის იყვნენ მომზადებულნი. თავიდანვე იმათ ისეთი მიმართულება ჰქონდათ მიცემული და შემდეგ სწავლასაც ისეთს იღებდნენ, რომ ან ჩინოვნიკათ უნდა წასულიყვნენ და ან სულ ტყუილ-უბრალოთ, უსაქმოთ და უმიზნოთ მოეკლათ დრო".

ს. მესხის დაკვირვებული თვალი ამჩნევს, რომ 70-იანი წლების ახალმა თაობამ იგრძნო თავისი წინა თაობების ყველა ნაკლოვანება, იგი „ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა... გამოუსადეგარი და ხანდახან მავნებელი გზა იყო", იგი შეუდგა ახალი გზის ძიებას და გამონახა კიდეც. ეს გზა, ახალგაზრდობის რწმენით, დასავლეთ ევროპის გზა იყო. და მართლაც 70-იან წლებში ქართველი ახალგაზრდობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა დასავლეთ ევროპის უმაღლესი სასწავლებლებისაკენ იწყო დენა.

ს. მესხი იწონებს და მხარს უჭერს ახალგაზრდობის არჩევანს, რადგან დარწმუნებულია, რომ „ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა და ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო ჯერ-ჯერობით დასავლეთი ევროპა არის. ყველა ხალხი და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გამოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუგეშებელია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოთ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგათ და ჭეშმარიტად გაუცანია".[1]

ს. მესხის გატაცება დასავლეთ ევროპით და საერთოდ მის მიერ დასავლეთ ევროპის მოწინავე აზროვნების პროპაგანდა, შემთხვევითი მოვლენა არ არის. 70-იანი წლების საქართველოში ინტერესი დასავლეთ ევროპისადმი განსაკუთრებით გაიზარდა, მეცნიერება და „კულტურის მარაგი... მაშინ ევროპის დროშით მოდიოდა" საქართველოში.[2]

* *
*

მშობლიური ენისა და ლიტერატურის აღორძინებას ისახავდნენ მიზნად ს. მესხის ლიტერატურულ-კრიტიკული და ბიბლიოგრაფიული წერილები, რომლებიც მან საკმაო რაოდენობით დაგვიტოვა. ამ წერილებში გავითარებულ თეორიულ თუ ისტორიულ-ლიტერატურული და კრიტიკული შეხედულებების მნიშვნელოვან ნაწილს დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და ამდენად ისინი უდაოდ

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 წ., გვ. 270—271.
[2] გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. I, 1958, გვ. 400.

ანგარიშგასაწევია ჩვენი წარსული ლიტერატურული ცხოვრების შესწავლის დროს.

ს. მესხი პირველი კრიტიკოსი იყო, რომელმაც ვრცელი წერილი უძღვნა ხალხურ „ა რ ს ე ნ ა ს ლ ე ქ ს ს“.

„არსენას ლექსი“ და ნაწყვეტი ილ. ჭავჭავაძის პოემიდან „კაკო ყაჩაღი“ 1872 წელს ცალკე წიგნად გამოსცა ნ. ყიფიანმა. გამოცემის საერთო ტირაჟი 1200 ცალს უდრიდა, რაც 70-იანი წლების საქართველოში დიდ ტირაჟად ითვლებოდა, მაგრამ მთელი გამოცემა მალე გაიყიდა და ნ. ყიფიანი ხელმეორედ შეუდგა წიგნის ბეჭდვას.

ს. მესხი აღფრთოვანებულია იმ გარემოებით, რომ წიგნმა ასეთი დიდი გამოხმაურება გამოიწვია, რომ მას კითხულობენ ყველგან: სახლში, ქუჩაში, ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად.

ს. მესხმა იცის, რომ „ჩვენ ქვეყანაში ისეთი ქართველი არ მოიძებნება, რომელსაც ზეპირად თუ არ უსწავლია არსენას ლექსი, უკანასკნელი ათჯერ მაინც გაუგონია ან მესტვირესაგან, ან საზანდრისაგან“. საქართველოს ყოველ კუთხეში: ქართლში, კახეთში, რაჭაში და გურიაში „არსენას ლექსის“ სხვადასხვა ვარიანტებია შემონახული და ხალხს, განსაკუთრებით ღარიბ გლეხობას იგი სახალხო გმირად მიაჩნია, „ყველა შენატრის მის ბედს, ყველა ლოცავს მის მარჯვენას, ყველას უკვირს მისი მოქმედება და ყველა, განსაკუთრებით ღარიბები, თანაუგრძნობენ და დამღერიან მას“.

რით ხსნის ს. მესხი ხალხის ასეთ დიდ სიყვარულს არსენასადმი? ის ხომ ერთი გავარდნილი ყაჩაღი და მძარცველი იყო და „განა ამისთანა კაცს თანაუგრძნობს ხალხი? განა ამისთანა კაცს ხდის ის თავის გმირათ?“

ს. მესხი ითვალისწინებს იმ ისტორიულ გარემოს თავისებურებებს, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება და მოქმედება არსენას, და მას არ მიიჩნევს ჩვეულებრივ ყაჩაღად. მისი ღრმა და მართებული რწმენით „არსენა იყო უბრალო სომხითელი გლეხი, ქართველი თავადიშვილის გლეხი. სცხოვრობდა ამ ოცი-ოცდაათი წლის წინათ, ე. ი. ისეთ დროს, როცა ბატონ-ყმობის უფლება სასტიკათ და განუკითხავათ სუფევდა ჩვენში. ვინ არ იცის, ვის არ ახსოვს ის მონობის დრო, როდესაც ყველა „ბატონს“ შეეძლო, როგორც უბრალო ნივთი, გაეყიდნა, დაეგირავებინა და გაესაჩუქრა თავისი გლეხი! ბატონს ჰქონდა უფლება გლეხის ოჯახიდან მამა ერთისთვის მიეყიდა, დედა მეორისათვის და შვილები მესამისათვის; ბატონს შეეძლო ეცემა და ხან ეწვალებინა თავისი გლეხი. იმას შეეძლო გლეხის ყველა ქონება და საკუთრება მიეთვისებინა. კანონით იქნება ხანდისხან ყველაფრის ამის ნება არ ჰქონდა, მაგრამ იმ „დალოცვილ დროში“ კანონს ძალიან ხშირათ გვერდს უვლიდნენ. ბატონი იყო თითქმის

განუკითხველი პატრონი თავის გლეხის სულისა, ხორცისა და ქონებისა; ხანდიხან ძლიერ სასტიკათაც ხმარობდა ის ამ უფლებას. ვის არ ექნება გაგონილი ზოგიერთი მებატონის ყოფა-ქცევა, რომელნიც თითქმის სულს აძრობდნენ და ტყავს ატყავებდნენ თავიანთ გლეხებს".

მოტანილ ამონაწერში ს. მესხის მიერ ბატონყმური ცხოვრების ზუსტი სურათია წარმოდგენილი. ამ მძიმე ვითარებაში ს. მესხი გლეხობის ორ ჯგუფს ამჩნევს. ერთი ნაწილი გლეხობისა, და ისიც უმრავლესობა, შეეჩვია მონურ მდგომარეობას. ისინი „ჰფიქრობდნენ, უთუოთ ეს ასე უნდა იყოსო, უთუოთ ღმერთს ჩვენ ბატონებისათვის გაუჩენივართო" და საოცარი სულგრძელობით ითმენდა თავს დატეხილ უბედურებას. მაგრამ თვით ამ გლეხობაში ჩნდებოდნენ თითო-ოროლა პირნი, რომელნიც პროტესტს გამოსთქვამდნენ ამ აუტანელი რეპრესიების წინააღმდეგ და „სცდილობდნენ, ან ეენო რამე იმ პირებისათვის, რომელნიც მას სჩაგრავდნენ და ან სრულიად მოშორებოდა ამ ქვეყანას".

არსენა გლეხობის ამ მეორე ჯგუფის წარმომადგენელია. მაგრამ ეს მეორე ჯგუფიც არ იყო ერთგვაროვანი. იყვნენ ყაჩაღები, რომელნიც ავიწროვებდნენ თავადაზნაურობასაც და გლეხობასაც, რომელნიც მხოლოდ საკუთარი, ეგოისტური მიზნებით ხელმძღვანელობდნენ; მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელნიც გლეხობის, დაჩაგრული მოძმის ინტერესებს იცავდნენ და მათ ქომაგად გვევლინებოდნენ. ასეთი იყო არსენა და მისდამი ხალხის სიყვარულსა და თანაგრძნობას თვით არსენას ფართო, თანაგრძნობით აღსავსე და ხალხის სიყვარულით გამთბარი გული ედო საფუძვლად. „არსენა ხედავდა ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას, ხედავდა ვინ იყო აქგვარი მდგომარეობის მიზეზი და ისე იქცეოდა, როგორც ჭკუა და გონება უჭრიდა. არსენა იყო ღარიბების მეგობარი. მართალია, თავის ღარიბებისადმი სიყვარულსა და მდიდრებზე უკმაყოფილებას ის ახირებულათ ამტკიცებდა: სადაც კი დახვდებოდა მდიდრებსა და ვაჭრებს, ართმევდა მათ ყველაფერს და შემდეგ ღარიბებს ურიგებდა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, ვინ იყო თვითონ არსენა და რა გარემოებაში ცხოვრობდა ის? უბრალო მარაბდელ გლეხს ამაზე მეტი არ მოეთხოვება".

ს. მესხს საერთოდ არ მოსწონს ავაზაკობა, შარა გზაზე ვისმე გაძარცვა, მაგრამ არის ზოგჯერ „შესაწყნარებელი მიზეზები", რომელნიც ამგვარი მოქმედების ერთგვარად გამართლების საშუალებას იძლევიან.

ამ მიზეზთაგან პირველ რიგში ანგარიშგასაწევი ის გარემოებაა, რომ უსამართლო სოციალური წყობილების წყალობით გაბორო-

ტებულ ადამიანს, რომელიც განუკითხავად არის ექსპლოატირებული და პირუტყვზედ უარეს მდგომარეობაშია ჩაყენებული, ბევრი არასასიამოვნო რამის ჩადენა შეუძლია. ანგარიშგასაწევია აგრეთვე ის მოტივებიც, რომლითაც ეს ადამიანები ხელმძღვანელობდნენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ მათი მოქმედება პირად გამდიდრებას და უზრუნველყოფას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ მშრომელი, ღარიბი ადამიანების დახმარებას. ასევე იყო არსენაც, რომელიც „თავისთვის... მხოლოდ იმდენს იტოვებდა, რამდენიც საჭირო იყო, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო, დანარჩენს ღარიბებს ურიგებდა".

არსენას მოქმედების გამართლებას ს. მესხი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული კლასობრივი ბრძოლის მაგალითებით ცდილობს.

დასავლეთ ევროპის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების კარგად მცოდნე ს. მესხმა იცის, რომ ისეთ დაწინაურებულ ქვეყნებში, როგორიც არის ინგლისი და საფრანგეთი, დიდი ხანია ბატონყმობა აღარ არსებობს, მაგრამ კლასობრივი წინააღმდეგობა, ქონების არათანაბარი განაწილების გამო, ხშირად მწვავე სისხლის მღვრელ შეჯახებებში იჩენს თავს. „ამ განათლებულ ქვეყნებშიც არიან ერთის მხრით ისეთი პირები, რომელნიც ფუფუნებითა და განცხრომით ატარებენ დროს და მეორეს მხრით ისეთები, რომელთაც არ იციან, ექნებათ დღეს რამე საჭმელი და ღამე სადმე თავშესაფარი-ბელი, თუ არა. ამ ორ მხარეს შუა მუდამ გაუწყვეტარებელი მტრობა და სიძულვილი არსებობს: ღარიბი და მდიდარი ძალიან იშვიათად თავსდებიან ერთად, რადგან მდიდარს უფრო ხშირათ ჰსურს ღარიბების შრომით როგორმე ისარგებლოს და ღარიბიც თავის მხრივ ცდილობს, თავის ოფლით მონაგები ლუკმა-პური მასვე დარჩეს. ჩვენ არ მოვთვლით ამ არეულობებს, რევოლუციებს და სისხლის ღვრას, რომელიც ამ ორი მხრის მტრობისა და სიძულვილის გამო მომხდარა ევროპაში; არაფერს არ ვიტყვით არც იმ საშინელ სისხლის ღვრაზე, რომელიც მოხდა მაშინ, როცა კომუნა დაწესდა პარიჟში და რომლის ნამდვილი მიზეზი იგივე მტრობა და ლუკმა-პურის მოპოების სურვილი იყო. გავახსენებთ მხოლოთ მკითხველს იმ სიტყვებს, რომელნიც ერთხელ „დროებაში" იყო მოყვანილი და რომელთაც პარიჟიდან გაქცეული კომუნის მომხრეები სწერდნენ საფრანგეთის ბურჟუას (მდიდრებს, კაპიტალისტებს): „იცოდეთ, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენ თქვენზე ძლიერნი ვიქნებით და მაშინ საშინლათ გადაგიხდით. მაშინ არ დავზოგავთ იმათ, რომელთაც 1848—1871 წ.წ. დახოცეს ხალხი, თავებს დაგაყრევინებთ, თუნდ რომ ეს თავები ჭაღარა თმით გქონდეთ შემოსილი! თქვენ ცოლებს და შვილებს სიკვ-

დილი მოელის; არცერთს არ გაუშვებთ ცოცხალს: იქნება ღმერთმა ქნას და თქვენი დაწყევლილი გვარი სამუდამოთ მოისპოს. ბურჟუაზიის წევრნო, ჩვენ მოგკითხავთ თქვენ ანგარიშს!"[1]

ეს არის კეთილშობილური ბრძოლა სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. ეს არის გამწარებულთა პროტესტი ფუფუნებაში მყოფთა წინააღმდეგ. ამ გამწარებული ხალხის ღვიძლი შვილია არსენაც, რომელმაც შეიძლება ბევრი საშინელი საქმე ჩაიდინოს, მაგრამ „ხანდისხან ეს საქმე იმას მიეტევება".

ს. მესხის ღრმა რწმენით ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს იმ ადამიანს, რომელსაც რაიმე სიკეთე მოუტანია მისთვის და გაჭირვებაში თანაგრძნობა გამოუცხადებია. მშრომელი მასების ქომაგი და თანამგრძნობი იყო არსენაც, რომლის ხსოვნაც მარად იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში.

პროფ. გ. ჯიბლაძე იხილავს ს. მესხის ზემოხსენებულ წერილს და სწორად შენიშნავს, რომ ს. მესხმა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში „პირველმა მიუთითა... ილია ჭავჭავაძის კაკოსა და ხალხურ არსენას მსგავსება".[2] მართლაც დიდია მათ შორის არსებული კავშირი. არსენას მაგალითი ზრდიდა გლეხობაში პროტესტანტულ სულს; კაკო, ზაქრო, გაბო და სხვანი მისი უშუალო შთამომავალნი იყვნენ, არსენას სახე ბავშვობიდანვე აცისკროვნებდა მათ გონებას, რასაც გულახდილათ ეუბნება ყაჩაღად გასული ზაქრო კაკოს:

„არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა —
ჩვენამდე, ძმაო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული".

ს. მესხი ხედავდა მჭიდრო კავშირს „არსენას ლექსსა" და „კაკო ყაჩაღს" შორის და სინანულით შენიშნავდა, რომ ნ. ყიფიანის გამოცემაში მხოლოდ ნაწყვეტი დაიბეჭდა ილ. ჭავჭავაძის ამ მშვენიერი ნაწარმოებიდან და არა მთელი პოემა.

ს. მესხისათვის მეტად ძვირფასი იყო საქართველოს ისტორიული წარსულის ის ძეგლები, რომლებშიც ნათლად ჩანდა ხალხის გმირული სული, მისი ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური თანასწორობისათვის. ამიტომ, თავისი კრიტიკული წერილით არსენა ოძელაშვილის შესახებ ს. მესხმა არა მხოლოდ ნაწარმოების ანალიზი წარმოგვიდგინა, არამედ ნათლად დაგვანახა ბატონყმური ცხოვრების საშინელებანი და სოციალური და კლა-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962 გვ. 185.

2 გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. I, 1958, გვ. 395.

სობრივი ბრძოლის ცოცხალი სურათები, როგორც საქართველოში, ასევე დასავლეთ ევროპაში.

საყოველთაოდ ცნობილია გიორგი ერისთავის და საერთოდ 40—50-იანი წლების რეალისტების დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე. გიორგი ერისთავი ითვლება კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლად, მაგრამ, როგორც სამართლიანად აღინიშნა ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, 40—50-იანი წლების რეალისტებმა „ვერ შესძლეს რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის, მომარჯვება ლიტერატურის წინაშე მდგომი ყველა არსებითი ამოცანის გადასაწყვეტად". მათ, და კერძოდ, გ. ერისთავმა ყურადღება ძირითადად მხოლოდ სოციალურ საკითხებზე გააამახვილა. მართალია, „თავისთავად ეს არ იყო მცირე მნიშვნელობის მოვლენა, მაგრამ მათ შემოქმედებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა იმისათვის, რომ გამხდარიყო სინამდვილის ამსახველ სარკედ".[1]

ილ. ჭავჭავაძე, „წერილებში ქართულ ლიტერატურაზე", შეეხო გ. ერისთავის შემოქმედებას და მწერლის უდიდესი დამსახურება იმაში დაინახა, რომ მან „მარტო სიყვარულისა და ტრფიალების მორევში მოარული ჩვენი გული და მარტო განლტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა; მისი „გაყრა" ამის მაგალითია... გ. ერისთავი, როგორც პოეტი, იმითია შესანიშნავი, რომ ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას" ეძახიან".[2] მაგრამ მან, მხოლოდ მაღალი წოდების ცხოვრება დახატა და ყურადღების გარეშე დარჩა „მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება", რაც ილიას მწერლის შემოქმედებითი ხედვის ნაკლად მიაჩნია.

გ. ერისთავის შემოქმედება ს. მესხის ყურადღების საგანსაც წარმოადგენდა. კრიტიკოსი განსაკუთრებით შეჩერდა — „დავაზე" და ხაზგასმით მიუთითა, რომ ეს კომედია „არც ერთ გ. ერისთავის სხვა დრამატულ თხზულებებს უკან არ ჩამოუვარდება". ს. მესხის მართებული რწმენით „დავა", „რომელსაც შესანიშნავი სცენიკური ღირსება აქვს", დიდი შენამატია ჩვენი ღარიბი რეპერტუარისათვის. მაგრამ კომედიას გარკვეული ნაკლიც ახასიათებს, რომლის აღნიშვნაც ს. მესხს საჭიროდ მიაჩნია. ეს ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ კომედიის მეოთხე მოქმედება, მცირე გამონაკლისის გარდა, მთლიანად რუსულადაა დაწერილი, რაც დიდ უხერხულობას ქმნის. მისი აზრით, შეიძლებოდა რამდენიმე სიტყვა უცხო ენაზე ყოფილიყო,

---

[1] დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, 1957, გვ. 211.

[2] ი ლ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953, გვ. 222.

მაგრამ „მთელი შვიდი თაბახის აჭრელება კი რიგი არ არის“.[1] მითუმეტეს, რომ მშვენივრად შეიძლებოდა ეს ადგილები ქართულად ყოფილიყო დაწერილი და ამით ნაწარმოებს „არც თავის აზრი და არც ირონია არ მოაკლდებოდა“.

საერთოდ, გ. ერისთავის დრამატურგიის მთავარ ნაკლად ს. მესხს შემდეგი გარემოება მიაჩნია: „გ. ერისთავის კომედიებს და მოქმედ პირებს ის ნაკლულოვანება აქვთ, რომ სიტყვაზე, ხშირად ცინიკურ ფრაზებზე არის მთელი კომედია დამყარებული და არა კომიკურ მოქმედებაზე“,[2] რაც ნაწარმოებს ეფექტურობას უკარგავს.

ეფექტურობთ, კრიტიკოსის ეს საყვედური ძირითადში მართებულია. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოითქვა მოსაზრება, რომ გ. ერისთავს არ ეხერხება დრამატული ინტრიგის ეფექტური გაშლა, რომ მას ახასიათებს ზოგიერთი ტიპის მკვეთრი მოცემა, მაგრამ დანარჩენები მხოლოდ პორტრეტებია და რომ მის ზოგიერთ ნაწარმოებში ნათლად იგრძნობა დაუხვეწელობა, მოქმედებათა არითანაბარი დაძაბულობით განვითარება და ზოგიერთი სურათის ხელოვნურად ჩართვა. ს. მესხის მოსაზრება, რომ გ. ერისთავის კომედიებში მოქმედებას ნაკლები ყურადღება ექცევა, ჩვენმა ლიტერატურის ისტორიკოსებმაც გაიზიარეს და იგი ღრმა მეცნიერული მსჯელობით დაასაბუთეს, მაგრამ პრიორიტეტი, ამ შემთხვევაში, მაინც ს. მესხს ეკუთვნის, თუმცა იგი არ ცდილა თავისი დებულების დასაბუთებას.

კომედიას, როგორც დრამატიულ ჟანრს, რომელიც მიზნად ისახავს ხუმრობითა და სიცილის ფორმით ამხილოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ცალკეული ადამიანების უარყოფითი მხარეები, ს. მესხი ერთ-ერთ საპატიო ადგილს უთმობს სხვა ლიტერატურულ ჟანრთა შორის და იძლევა მისი არსობისა და ფუნქციის განმარტებას. როგორც პროფ. გ. ჯიბლაძე შენიშნავს, ს. მესხის მიერ წარმოდგენილ განმარტებაში დარღვეულია კომედიის ტრადიციული გაგება, „თითქოს იგი იყოს მარტოოდენ სასაცილოს გამოხატვა... წინა პლანზე წამოწეულია თვით კომედიის არსობასთან ერთად მისი ფუნქციის საზოგადოებრივი ხასიათი. გარდა ამისა, კომედიის, როგორც ლიტერატურული ჟანრის, სასიცოცხლო ღირებულება მჭიდროდ არის დაკავშირებული თეატრთან, რომელიც ხელს უწყობს კომიკურის შინაგანი ღირსებების სრულყოფილ გაშლას და წარმოსახულის საზოგადოებისათვის უკეთ გადაცემას“.[3]

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 207,

2 „დ რ ო ე ბ ა“, 1879 წ., № 254.

3 გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. I, 1958, გვ. 386.

კომედიის ძირითადი მიზანი ს. მესხის გაგებით იგივეა, რასაც საერთოდ ისახავს მიზნად ლიტერატურა: „კომედიას, როგორც საზოგადოთ ყველა ლიტერატურულ ქმნილებას, — წერს ს. მესხი, — უნდა ჰქონდეს სახეში, გამოხატოს კაცის ნამდვილი ცხოვრება, იმის ხასიათი და გრძნობა". მაგრამ კომედიას განსაკუთრებული დანიშნულებაც აქვს, რაც მის სპეციფიკურობაში მდგომარეობს და იმაში გამოიხატება, რომ „ხალხის ცხოვრებიდამ გადმოიღოს და მომქმედ პირებში გამოხატოს რომელიმე სასაცილო და გასაკიცხი თვისებები და ცხადათ, სცენაზე, დაანახოს საზოგადოებას, რომ აი ეს მხარე თქვენი ხასიათის ან ცხოვრების სასაცილო და დასაგმობია და უნდა მოიშალოთო".[1]

სასცენო კომპოზიციის ყველა სახის ნაწარმოებს და მათ შორის კომედიასაც, ს. მესხი უდიდეს აღმზრდელობით-პედაგოგიურ ფუნქციას ანიჭებს, რადგან საკუთარი თვალით დანახულს უფრო მეტი ემოციური და ქმედითი გავლენა აქვს ადამიანზე, ვიდრე წაკითხულს ან გაგონილს. „კომედიას და საზოგადოთ ყოველგვარ თეატრის წარმოდგენას, — წერს ს. მესხი, — პედაგოგიური მნიშვნელობაც აქვს. წაკითხულს თავის დღეში არა აქვს კაცზე ისეთი მნიშვნელობა, როგორც თვალით ნახულს, როდესაც საზოგადოება ნათლათ, ცოცხლათ ხედავს მოქმედ პირებში იმ კაცის ხასიათის მხარეებს, რომელნიც დასაზრახნი არიან".

იმისათვის, რომ კომედიამ თავის მიზანს მიაღწიოს, რომ მან აღმზრდელობითი გავლენა იქონიოს მაყურებელ საზოგადოებაზე, ს. მესხის აზრით საჭიროა ორი მთავარი პირობა, რომლის განხორციელებაც დამოკიდებულია, როგორც მაყურებელზე, ასევე კომედიოგრაფზე: „პირველათ საჭიროა, რომ ამ საზოგადოებას ესმოდეს იმის (კომედიის, ი. ბ.) მნიშვნელობა: თუ საზოგადოება ამ კომედიას მარტო იმისათვის უყურებს, რომ იცინოს და არა ისწავლოს, მაშინ კომედიის წარმოდგენა ამისთანა საზოგადოებისათვის სრულებით უნაყოფო იქნება. მეორეთ — საჭიროა, რომ კომედიაც ისეთი იყოს, რომელშიაც მართლა ცხადათ იყოს გამოხატული საზოგადოების რომელიმე ნაკლოვანება. თუ კომედიის დამწერს ტალანტს გარდა, დაკვირვებისა და საზოგადო ნაკლულოვანების მონახვის ნიჭი არ აქვს და არ შეუძლია იმის ცოცხლათ გამოხატვა, — მაშინ, დარწმუნებული იყავით, ამისთანა მწერლის კომედიას არავითარი გაკლენა და მნიშვნელობა არ ექნება საზოგადოებისათვის".[2]

ზემომოტანილი მოსაზრებანი ს. მესხს გავითარებული აქვს

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 119—120.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 120 — 121.

ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილში, რომელიც მიეძღვნა გ. წერეთლის კომედია „ჯიბრის“ განხილვას. ამ წერილის გულდასმით გაცნობა მკითხველს ნათლად დაანახვებს, თუ, ხშირ შემთხვევაში, რა ახლოს არის ავტორის თვალსაზრისი ბ. ბელინსკის შეხედულებებთან, რომელიც დიდმა რუსმა კრიტიკოსმა განავითარა წერილში „პოეზიის დაყოფა გვარებად და სახეებად“ (მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით წერილის ის ნაწილი, სადაც ბელინსკი ეხება დრამატული პოეზიის საკითხებს).

კომედიისათვის წაყენებულ ზემოხსენებულ მოთხოვნილებებს ს. მესხის აზრით მხოლოდ ორი მწერალი თუ აკმაყოფილებს. ესენი არიან — გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტონოვი. „მხოლოთ ამ ორ მწერალს გაუგიათ ნამდვილი მნიშვნელობა დრამატიული თხზულებისა და ამათთვის ნიჭსაც ნება მიუცია, რომ რამდენიმე ხეირიანი კომედია დაეწერათ“.[1]

აკმაყოფილებს თუ არა გ. წერეთლის „ჯიბრი“ ყველა იმ მოთხოვნილებას, რაც ს. მესხმა კომედიას წაუყენა? ვიდრე ავტორი ამ საკითხს განიხილავდეს, იგი მკითხველს კომედიის მოკლე შინაარსს მოუთხრობს. როგორც პროფ. გ. ჯიბლაძე შენიშნავს, ამ შემთხვევაში „თვით შინაარსის გადმოცემას მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ბატონყმური ცხოვრების ცოცხალ ილუსტრაციას, კერძოდ კი იმ შეხედულებათა გადმოცემას, რასაც თვით ს. მესხი ემყარება“.[2]

მართლაც, კომედიის შინაარსის თხრობაში და იმ კომენტარებში, რომელთაც ს. მესხი თხრობის დროს იძლევა, ნათლად ჩანს მისი უარყოფითი დამოკიდებულება ბატონყმობისადმი.

ს. მესხის ღრმა რწმენით, გ. წერეთლის „ჯიბრი“ ცოცხალი სურათია იმ პერიოდის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა: ბატონყმობა იყო ის უაღრესად შავნე სოციალური ინსტიტუტი, რომელიც რყვნიდა ადამიანის ზნეობას და აღატაკებდა ფართო მშრომელ მასებს. „უმეტესი ნაწილი მაშინდელი მებატონეებისა თითქმის არაფერს არ აკეთებდა: თუ შინ ბრძანდებოდნენ, წამოწვებოდნენ დიდი მუხის ჩრდილში, ყალიონს აბოლებდნენ და ერთმანეთში მასლაათობდნენ ქვეყნის ამბებზე... უმეტეს ნაწილ დროს კი ჩვენი მებატონეები გარეთ ატარებდნენ ან ნადირობაში, ან სტუმრათ — ვისიმე ქორწილში, ან ნათვლაში, ან დამარხვაში. იშვიათი მათგანი უგდებდა ყურს სახლ-კარს და ადგილ-მამულს, რომელიც ჩაბარებული ჰქონდა მოურავს, ბატონის ოჯახის განუკითხავ გამგებელს“.

ს. მესხი ხაზგასმით მიუთითებს, რომ სწორედ ეს ზნედაცემული

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, 1962, გვ. 121.

[2] გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. I, 1958, გვ. 388.

მოურავები იყვნენ, რომელნიც ანადგურებდნენ და აჩანაგებდნენ არა მხოლოდ გლეხობას, არამედ თვით მებატონეთა ოჯახებსაც. მაგრამ ს. მესხის დაკვირვებული თვალი იმასაც ამჩნევს, რომ მხოლოდ მოურავები არ იყვნენ მიზეზი გლეხების ეკონომიური გაძვალტყავებისა. „ყველა მებატონეს არ ჰყოლია მოურავები... მაგრამ ამისთანა უმოურავო გლეხების მდგომარეობა უარესი თუ არ იყო, უკეთესი არ ყოფილა“.

ს. მესხის მართებული გაგებით თვით ბატონყმობა იყო ისეთი უვარგისი სისტემა, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში დადებით შედეგს ვერ გამოიღებდა. ეს იყო სოციალური ინსტიტუტი, რომლის წიაღშიც მეფობდა საშინელი ანტაგონიზმი, და რომელშიც ყოველი წევრი თხა და მგელივით უმზერდა ერთმანეთს. „რაღა ცხოვრება უნდა ყოფილიყო ჩვენში იმ დროს, — წერს ს. მესხი, — როდესაც თითქმის ყოველი წევრი საზოგადოებისა მხოლოთ იმას ჰფიქრობდა, რომ როგორმე რაიმე წაეგლიჯა მეორე წევრისათვის, როდესაც მებატონე სცდილობდა — რაც შეიძლება მომეტებულაო ესარგებლა გლეხის მუქთა შრომისაგან და გლეხკაცი თავის მხრით, ეძებდა ღონისძიებას, რომ რაიმე ზიანი მიეცა თავის ბატონისათვის. აი, ამნაირი განხეთქილება, ამნაირი „ჯიბრი“ დაბადა, სხვათა შორის, ჩვენში იმ სენმა, რომელსაც ჩვენ „ბატონყმობას“ ვეძახდით“.

მართალია, ბატონყმობა გადავარდა, მაგრამ მისი ნაშთები მტკივნეულად ბოგინობდნენ ს. მესხის ეპოქაში. ს. მესხი მშვენიერად გრძნობდა ამ მდგომარეობას და ხაზგასმით მიუთითებდა, რომ „ზოგიერთი ამ უხეირო თვისებათაგანი (რაც ბატონყმობას ახასიათებდა, ი. ბ.) ისე ღრმათ იყვნენ ჩანერგილი ჩვენს ცხოვრებაში და ჩვეულებაში, რომ ახლაც არსებობენ ჩვენში, თუმცა ბატონყმობა კი გადავარდა და იქნება კაი ხანმა გაიაროს, სანამ ჩვენ ამ ბატონყმობის კვალისა და იმის შედეგებისაგან განვთავისუფლდებით და სწორ გზაზე დავაყენებთ ჩვენ ცხოვრებას“.

ს. მესხი ახასიათებდა ბატონყმური ცხოვრების შავბნელ მხარეებს, მის მტკივნეულ გადმონაშთებს თანამედროვე ცხოვრებაში და გ. წერეთლის კომედიის უდიდეს ღირსებას სწორედ იმაში ხედავდა, რომ „იმას შეუძლია ჩვენს წარსულ და იქნებ ახლანდელ ცხოვრებაზედაც დააფიქროს ყოველი კაცი, რომლის ტვინიც ნორმალურად მუშაობს“.

ამრიგად, ს. მესხის დასკვნით გ. წერეთლის „ჯიბრი“, როგორც ლიტერატურული თხზულება, უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია.

მაგრამ, როგორია იგი, როგორც სცენიური ნაწარმოები? აკმაყოფილებს თუ არა „ჯიბრი“ იმ მოთხოვნილებებს, რაც წარედგინება

სცენისათვის დაწერილ თხზულებას? თუ ამ კუთხით შეეხედავო გ. წერეთლის კომედიას, ს. მესხის აზრით, იგი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, რადგან „ჩვენი საზოგადოება ისეთი კომედიების ყურებას არის მიჩვეული, იმას ისეთი კომედიები მოსწონს, რომელშიც ბლომათ არის სახარხარო ადგილები, მოულოდნელი და სასაცილო შემთხვევები და სცენიკური ეფექტი და მოძრაობა". გ. წერეთლის კომედიაში კი მხოლოთ ერთი კომიკური ადგილია, როდესაც უფლებააყრილ გამდელს ართმევენ თახჩის გასაღებს და აიძულებენ დატოვოს სამზარეულო, სადაც მთელი სიცოცხლე გაუტარებია. გარდა ამისა, კომედიის შინაარსი და მისი გარეგანი ფორმა, ს. მესხის აზრით, არ შეესატყვისებიან ერთმანეთს და რაც მთავარია, ნაწარმოებში ნაკლებია „სცენიკური მოთხრობა", რაც „ჯიბრს" გ. ერისთავის „გაყრაზე", ზ. ანტონოვის „მზის დაბნელებაზე" და ილ. ჭავჭავაძის „სცენებზე" დაბლა აყენებს. ს. მესხის მართებული რწმენით, დრამატული ნაწარმოების შინაარსი ვერ სწყვეტს მისი წარმატების საკითხს და ამიტომ მწერალი ვალდებულია ყურადღება შინაარსის სცენიური დამუშავების ხერხებზედაც გაამახვილოს. მაგრამ ს. მესხმა ისიც კარგად იცის, რომ შემოქმედებითი პროცესი მეტად რთულია, ცალკეული მხატვრული ფორმების მიგნება და სათანადო ხერხებითა და მეთოდებით მათი დამუშავება იოლი არ არის; იგი საგულდაგულო ძიებას მოითხოვს და მრავალი ლაბირინთის გავლა დასჭირდება მწერალს, ვიდრე შემოქმედების სწორ გზას დაადგებოდეს. ეს მწერლის შემოქმედებითი ზრდის დამახასიათებელი და სავალდებულო პროცესია და სწორედ ამაზედ მიუთითებს ს. მესხი, როდესაც წერს: „ხშირათ მწერლობაში, როგორც ცხოვრებაშიაც, სანამ სწორ გზაზე დადგებოდეს კაცი, ვალდებულია მიხვეულ-მოხვეულ გზებზე იაროსო".

მიუხედავად შენიშნული ნაკლისა, ს. მესხის აზრით, გ. წერეთლის „ჯიბრი" ჩვენს ღარიბ დრამატიულ ლიტერატურაში... მაინც შესანიშნავი თხზულებაა".

ს. მესხის ზემოხსენებული კრიტიკული წერილი მისი ავტორის ერთ-ერთი პირველი წერილთაგანია, რომლის მნიშვნელობაც საკმაოდ დიდია რეალისტური ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების განვითარების საქმეში. ამ წერილის „უმთავრესი ღირსება მის რეალისტურ კონცეფციასა და ლიტერატურული საკითხების სერიოზულ სიღრმით განხილვაში მდგომარეობს".[1]

1875 წლის 27 ნოემბერს თბილისის ქართულ სცენაზე წარმოადგინეს გაბრიელ სუნდუკიანცის სამმოქმედებიანი კომედია „პეპო",

---

[1] გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. I, გვ. 391.

რომლის ქართული თარგმანიც შესრულებული იყო თვით ავტორის მიერ რაფიელ ერისთავის დახმარებით.

ს. მესხი აღტაცებით შეხვდა ამ სასიხარულო მოვლენას და საკმაოდ ვრცელი რეცენზია დაბეჭდა „დროების" ფურცლებზე. რითაც იმას გვეუბნება, რომ „ამისთანა აზრიანი, სცენის დამაკმაყოფილებელი და მოფიქრებული კომედია ჩვენს საზოგადოებას ქართულ ენაზე და სცენაზე ჯერ არ ენახა".[1]

კომედიის მთავარ ღირსებად კრიტიკოსმა ის გარემოება მიიჩნია, რომ იგი ნათლად და რეალურ ფერებში გამოხატავდა ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს, როგორც თავისი უარყოფითი, ასევე დადებითი მხარეებით. ს. მესხის აზრით კომედიის მოქმედი პირნი „ჩვენი კარგი ნაცნობები" არიან, რომელთაც ყოველ დღე და ყოველ ნაბიჯზე შეხვდება ადამიანი. უდავოა, რომ ამ შემთხვევაში ს. მესხი იზიარებს ბ. ბელინსკის თვალსაზრისს ლიტერატურული ტიპის შესახებ, რაც დიდმა რუსმა კრიტიკოსმა შემდეგ სიტყვებში ჩამოაყალიბა: „Каждый тип для читателя есть знакомый незнакомец"[2].

გ. სუნდუკიანცის კომედია, ს. მესხის აზრით, იმითაც არის საყურადღებო, რომ იგი სცენიური თვალსაზრისით სავსებით გამართლებული ნაწარმოებია და, რაც მთავარია, დაწერილია დიდი მოფიქრებით და საკმაოდ აზრიანად.

ს. მესხი სავსებით სწორად შენიშნავს, რომ ნაწარმოებში ოთხი მთავარი მოქმედი პირია, რომელიც ავტორის მიერ ტიპიურობამდეა აყვანილი. ეს ტიპებია: პეპო, კაკული, არუთინ ზიმზიმოვი და გიქო. ტიპიური სახეა აგრეთვე ეფემიაც, მაგრამ კომედიაში იგი მეორეხარისხოვანია. დანარჩენი მოქმედი პირები კი ტიპებს არ წარმოადგენენ. ისინი მხოლოდ კომედიის საერთო ფონის შესაქმნელად სჭირდება ავტორს და „მხოლოთ იმისათვის არიან გამოყვანილნი, რომ უამათოთ მოქმედება არ შეიძლებოდა".

ვინ არის პეპო? იგი უბრალო მეთევზეა, მაგრამ არა უბრალო კინტო. მისი გონება საღად აზროვნებს, — „ტვინი მუშაობს". იგი „კარგათ აკვირდება ქვეყნის ბრუნვას", ერკვევა არსებული საზოგადოებრივი წყობის თავისებურებაში, ესმის საზოგადოების წესები და ცხოვრებაზე გონივრული დაკვირვების საფუძველზე საკუთარი პრინციპები შეუმუშავებია. „პეპოში გამოხატულია, განხორციელებულია ის ეკონომიური უთანხმოება, რომელიც მთელი ქვეყნისათვის საგრძნობი და დამაფიქრებელი შეიქმნა".[3]

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, 1963, გვ. 156.

[2] В. Г. Белинский, полное обр. соч., под. ред. С. А. Венгерова, т. II, зз. 224.

[3] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 158—159.

პეპოს შინაგანი არსება დულს და იტანჯება იმ უსამართლობით, რომელიც ქვეყანაზე სუფევს. მართალია, მას განათლება არ მიუღია, მაღალი მცნებები და თეორიები წიგნურად არ შეუსწავლია, „ძმობაზე, ერთობაზე და თანასწორობაზე სიტყვაც არ გაუგონია", მაგრამ ის დაკვირვებია ცხოვრებას, გაუვლია ცხოვრების ორომტრიალში და საკუთარ თავზე უგრძვნია მისი სიდუხჭირე. პეპო „უსამართლობასა და გამწარებას მჭერმეტყველ გამომთქმელად გაუხდია ყველა იმ სენისა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ქვეყანაზე". მას ვერ აუტანია ძლიერის მიერ სუსტის ჩაგვრა და წამება, ამიტომ მზად არის თავისუფლებაც კი გასწიროს, ოღონდ გამოააშკარაოს უსინდისოდ გამდიდრებული არუთინ ზიმზიმოვის პიროვნება და საერთოდ ამცნოს ქვეყანას, „თუ როგორები არიან ეს მდიდრები, როგორის საშუალებით შეუძენიათ იმათ ეს სიმდიდრე, ეს ფულები, ეს მშვენიერი მორთულობა და სხვა".

ცხოვრების მძიმე პირობებმა და თვით ამ ცხოვრებაში გამეფებულმა უსამართლობამ აალაპარაკა და აამოქმედა დარბაისელი მეთევზე პეპო. მისი გულწრფელი სურვილია ნიღაბი ჩამოგლიჯოს ზიმზიმოვის მსგავს ადამიანებს, რომელთაც „ყველანი თავს უკრავენ ყველანი ეპატიჟებიან, ყველანი ეფერებიან და პატივსა სცემენ". პეპომ მოინდომა გზა გადაეღობა ზიმზიმოვისა და მის მსგავს უსინდისო ადამიანებისათვის, რომ „შემდეგში... თავის მსგავსები დაეხსნა ამისთანა უსამართლობისაგან". ამიტომ, ს. მესხის აზრით, სრულიადაც არ არის გასაკვირი, რომ პეპომ „ამისთანა უანგარობა და თავის სარგებლობის დავიწყება გამოიჩინა". უნდა აღინიშნოს, რომ მეთევზე პეპოს მიმართ შემუშავებული ეს სავსებით სწორი თვალსაზრისი, ს. მესხმა რატომღაც შეცვალა. 1879 წელს ქართული მუდმივი დასის მიერ წარმოდგენილ გ. სუნდუკიანცის კომედიის შესახებ დაწერილ რეცენზიაში. ამ წლის „დროების" 223-ე ნომერში ს. მესხი უკვე სხვაგვარად აფასებს პეპოს. მისი აზრით, „პეპო ცოტა არ იყოს ხელოვნური, ავტორის ფანტაზიიდამ შექმნილი და არა ნამდვილი ცხოვრებიდამ გადმოხატული პირია. ვინ იტყვის, გლეხი კინტო და საზოგადოთ მდაბიო წოდების ხალხი ყველაზე უკეთ არ გრძნობს ახლანდელ საზოგადოების და ცხოვრების უსამართლობას, ეკონომიურ დაჩაგვრას, მდიდრისაგან ღარიბის ტყავის გაძრობას და სხვ, მაგრამ უეჭველია ვერც ერთი ახლანდელი კინტო და გლეხი ვერ წარმოსთქვამს ამას ისეთის სიტყვებით, როგორიც ავტორს მიუცია პეპოს ენისათვისო".

კრიტიკოსისათვის ყურადღების ღირსია კომედიის მეორე მოქმედი პირი კაკულიც. ისიც ტიპიური სახეა, რომლის მსგავსსაც ხშირად შეხვდებით თბილისის ქუჩებში, მაგრამ კაკული მაინც ბევრით

განსხვავდება პეპოსაგან. თუ პეპოს ხასიათი „ტვინს აკმაყოფილებს“, სამაგიეროდ კაკული „გულისთვის საამო სანახავია, სიმპატიურია...“ კაკული „უდარდელი, ქეიფის მოყვარე, დარდიმანდი და ჩიტივით უზრუნველი კინტოა“, ტოლ-ამხანაგების უსაზღვროდ მოყვარული, რომელიც თავს ბედნიერად გრძნობს, თუ პურ-ღვინო გააჩნია. ივი ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობს და ხვალინდელი დღის ფიქრი არა აქვს. კაკულისათვის უცხოა დარდის გულში ჩახვევა, „უსამართლობა ნახა სადმე — იყვირებს, ქველი საქმისათვის გადაგვხვევა, ვინც უნდა იყო და გადაგკოცნის, ახირებულად ნუ მოეჩვენები, თორემ ისეთნაირათ დაგცინებს, ისეთნაირად მასხარათ აგიგდებს, რომ გულს მოგიკლავს. შეურაცხყოფა მიაყენე რამე — ცხრა ლიტრიანი მუშტი მზათა აქვს. პრინციპების არა იცის რა: მუდამ პირველ გრძნობით, პირველ შთაბეჭდილებით ცხოვრობს და მოქმედობს“.

ს. მესხი სავსებით სწორად ახასიათებს კაკულის, როგორც დარდიმანდ კინტოს, რომელიც ძველი თბილისის ნატეხია, მისი ბუნება კრიტიკოსისათვის მეტად მახლობელი და ნაცნობია.

გ. სუნდუკიანცმა მევახშის სამაგალითო ტიპი შექმნა არუთინ ზიმზიმოვის სახით. ს. მესხი მშვენივრად ხედავს, რომ ზიმზიმოვები, ეს ჩვენი ცხოვრების ხორცმეტები, რომელთათვისაც „არაფერი წმინდა არ არის რა ქვეყანაში“, განუკითხავად პარპაშებენ ცხოვრების სარბიელზე და უკანასკნელ სისხლის წვეთს სწოვენ ალალმართალ, პატიოსან ადამიანებს. ზიმზიმოვი ის ადამიანია, რომლისთვისაც არ არსებობს სინდისის ცნება, რომლის თავმოყვარეობაც მოჩვენებითია. იგი გულგრილად ისმენს ლანძღვა-გინებას, იტანს შეურაცხყოფას, ოღონდ სხვამ არ გაიგოს, ქვეყანამ არ შეიტყოს. არუთინას გაქვავებულ გულზე არ მოქმედებს არც ვედრება, არც ცრემლები, მას „თავის სიცოცხლის მიზნათ ფული, ფული და ფული გაუხდია, რომელიც არავითარ საშუალებას არ ზოგავს, რომ ამ მიზანს მიაღწიოს... წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც გულ-გრილათ და წარბების შეუქმუხვნელათ შეუძლია ლატაკს უკანასკნელი გროში წაართვას, ჩამოწონწილს — დაფხრეწილი ჩოხა გააძროს, მშიერს ლუკმა გამოგლიჯოს პირიდან, — და ყველა ეს მხოლოთ იმისთვის, რომ ამათგან მოტაცებული გროშები ოქროებათ აქციოს და ზედ დასცქეროდეს, — წარმოიდგინეთ ეს და თქვენ თვალწინ იქნება სურათი არუთინასი!“ — დასძენს ს. მესხი.

კრიტიკოსი გულისტკივილით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ზიმზიმოვის მსგავსი ტიპები გამონაკლისს არ წარმოადგენენ; სავაჭრო და სავახშო კაპიტალიზმის ზრდამ სოკოებივით მოამრავლა ისინი

და „იმათი ნახვა აღარავის უკვირს; შევეჩვიეთ, მუდამ ყოველ ნაბიჯზე შევხვდებით“.

სიხარბის, შურიანობის და ამპარტავნობის განსახიერებაა არუთინ ზიმზიმოვის თანამეცხედრე — ეფემია. ს. მესხის მართებული გაგებით იგი „ჩინებული ტიპია იმ ღარიბი ოჯახიდამ მდიდარ ოჯახში ჩავარდნილი ქალებისა, რომელთაც სხვისი წაბაძვით, გარეგნობით და ყალბი ამპარტავნობით ჰსურთ თავის შთამომავლობა დაივიწყონ და ამაღლდნენ. გული მოუკვდება, თუ იმანაც ისე მდიდრულათ არ მორთო სახლი, როგორც იმის მეზობელსა აქვს... რა გული მოუთმენს, რომ კარაპეტას მარუამ პოდესუას კაბა, ან ხავერდის მოსასხამი შეიკეროს და იმან კი არა!“

რაც შეეხება გიქოს, ს. მესხის გაგებით, ისიც მშვენიერი ტიპია დინჯი, დარბაისელი და „გადამდნარი“ მოხუცებულისა, რომელსაც ცხოვრების ვრცელი გზა გაუელია, ამ გზაზედ ერთ დროს ისიც პეპოს მსგავსად ღელავდა, ჰქუხდა და დუღდა, მაგრამ წელთა სიმრავლეს მისი შეგრძნება დაუბლაგვებია და ინდეფერენტულად უყურებს ყველაფერს, რადგან იცის, რომ „ყოველივე ამა საწუთროსი წარმავალია“.

ს. მესხი შეეხო „პეპოს“ წარმოდგენის საკითხსაც და მსახიობების თამაშს, განსაკუთრებით კი მეტად მაღალი შეფასება მისცა პეპოს როლის შემსრულებლის ჩიმიშკიანის სცენიურ ხელოვნებას.

საესებით სამართლიანად წერს პროფ. გ. ჯიბლაძე, რომ „გაბრიელ სუნდუკიანცის კლასიკური კომედიისა და მისი წარმოდგენის ასეთი ღრმა ანალიზი შემთხვევითი არ არის. სერგეი მესხი ახლოს იცნობდა თეატრალურ ხელოვნებას. ეს არც გასაკვირია. სიმონ მესხის ოჯახმა სცენას მისცა კოტე მესხი, ქართული თეატრის ერთ-ერთი დიდი რეფორმატორი, მისცა ეფემია — ქართული სცენის ასევე ერთ-ერთი მშვენება და სილამაზე“.[1]

გაბრიელ სუნდუკიანცის რეალისტურმა თვალთახედვამ, რომელიც მშვენივრად გამოვლინდა მის კომედიაში და აგრეთვე სპექტაკლის ცხოვლად წარმოდგენამ ს. მესხის გულითადი ნატვრა გამოიწვია და ისურვა, რომ „ამისთანა გონივრული და ესთეტიკური დატკბობა, რაც შეიძლება, უფრო ხშირად ღირსებოდა ჩვენს საზოგადოებას“.

1871 წელს „კრებულის“ მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ილ. ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ პირველი სამი თავი. ს. მესხმა, რომელმაც მიმოიხილა „კრებულის“ ეს ნომერი ყურადღება განსაკუთრებით სწორედ „მგზავრის წერილებზე“ გაამახვილა და იგი ავტო-

---

[1] გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. I, გვ. 413.

რის პოეტური ნიჭისა და გონების შედეგრად მიიჩნია. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ს. მესხი მკითხველს საგულდაგულოდ მიანიშნებს ნაწარმოების ორ ადგილზე და მოაქვს იქიდან საკმაოდ ვრცელი ამონაწერები. ერთი ადგილია დღისა და ღამის ალეგორიული შედარება-დაპირისპირება, ხოლო მეორე — საუბარი მოხევესა და მგზავრს შორის. ს. მესხის მართებული რწმენით „ეს საუბარი, ეს სჯა და თვით ენა უბრალო მოხევისა ისეთი ხელოვნებითაა გადმოღებული, ისეთი ორიგინალური და შესანიშნავია", რომ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. ასევე ყურადღების ღირსად მიაჩნია ს. მესხს ილიას „ბედნიერი ერი", რომელმაც კრიტიკოსს ულრმესი კმაყოფილება აგრძნობინა და, ამავე დროს, მწარე ღიმილი მოჰგვარა.

ს. მესხი შეეხო ილ. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობსაც", რომელიც სრული სახით ეურნ. „კრებულში" დაიბეჭდა 1873 წელს. მართალია, ამ ნაწარმოების შესახებ მას პრესაში ოფიციალურად არ გამოუთქვამს თავისი თვალსაზრისი; მაგრამ ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე დოკუმენტი, რომელიც საკმაოდ მკაფიოდ გამოხატავს ს. მესხის აზრს „გლახის ნაამბობის" შესახებ. ერთ-ერთია ეკ. მელიქიშვილის წერილი, რომელიც მეტად საყურადღებოა, რადგან მასში, ერთი მხრით, საკმაოდ ნათლად ჩანს მომავალი მწერალი ქალის აზრი „გლახის ნაამბობზე", ხოლო მეორე მხრით, გასაგებს ხდის თვით ს. მესხის პასუხს. გარდა ამისა, მას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ, როგორც ირკვევა ეკ. მელიქიშვილის წერილში გავითარებული შეხედულება „გლახის ნაამბობის" შესახებ, საკმაოდ ყოფილა ფეხმოკიდებული იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურულ-კრიტიკულ აზროვნებაში.

„გლახის ნაამბობი, — წერს ეკ. მელიქიშვილი, — დიდის სიამოვნებით და აღტაცებით წავიკითხე. მშვენიერი ენით არის, მართლა, დაწერილი. რა ძალიან მარილიანი წინასიტყვაობა აქვს! მართალია ზოგიერთ ადგილას კი ძალიან неестественно, როგორც მაგალითად იმ თოთხმეტი წლის ყმაწვილის სჯა და ლაპარაკი. აბა, ერთი მითხარი, როგორ შეეძლო იმას ამგვარი ჰაზრიანი ლაპარაკი, როდესაც თავის სიცოცხლეში არაფერი კეთილი არ გაუგონია... ამას გარდა იმ ღვდლის ამგვარი კეთილი მოქმედებები, ამგვარი გავლენა ხალხზე ისე რომ, როცა ის დარიგებას მისცემდა ვისმე ისე აზროვანათ და ჭკვიანურათ, რომ მთელი ხალხი დაიწყობდა თითქმის ტირილს და სცდილობდნენ მოქცეულიყვნენ და კეთილი ჩაედინათ. ეს ძალიან საეჭვოა, რომ როდისმე ღვდელს ასეთი გავლენა ჰქონოდა ამ ხალხზე... Одним словом, какой то сверх-естественный тип, который уж большая редкость в особенности между священиками. რაც უნდა ბუნებით ჭკუა ჰქონდეს კაცს, ასე უსწავლელი

ღვდელი, რომელსაც მარტო თავის დროს ქართული წიგნები უკითხავს, ასეთ აზრებს ვერ გამოთქვამს. აი, ჩემო ბატონო, ჩემი აზრი ეს გახლავსთ“...[1]

ს. მესხმა არ გაიზიარა ეკ. მელიქიშვილის ზოგიერთი მოსაზრება და აღნიშნა: „გლახის ნაამბობი“ ტყვილად არ მოგწონებია შენ, მართალია, მთელი მოთხრობა ერთობ იდეალურია, არც ის მღვდელი და არც თვითონ გლახა არ ჩამოგვანან იმ მღვდლებსა და იმ გლეხებს, რომელთაც ჩვენ ჩვენში ვხედავთ, და ერთობ ფანტაზიურია, მაგრამ რაც უნდა იყოს, მოთხრობაში მშვენიერი ტენდენციებია და კიღევ უფრო მშვენიერი ენაა“.[2]

ჩვენ შეიძლება გავიზიაროთ ს. მესხის თვალსაზრისი, როდესაც იგი მღვდელს „იდეალურ“, „ფანტაზიურ“ და არარეალურ სახედ მიიჩნევს. მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ მღვდლის ილიასეულ სახეს სინამდვილეში რეალური დასაყრდენი ჰქონოდა (თითოოროლა ილიას მღვდლისებური პირი, დასაყრდენად არ გამოდგებოდა). ქართველი სამღვდელოება, რომელმაც გარკვეულ პერიოდში ერთგვარი პროგრესული როლი ითამაშა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის უკვე უაღრესად რეაქციულ ძალას წარმოადგენდა, რომელიც არა ნაკლებ ატყავებდა მშრომელ გლეხობას, ვიდრე მემამულენი, მოხელენი, თუ ჩარჩ-ვაჭრები. საუბედუროდ, სამღვდელოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ხელისუფლების საიდუმლო აგენტის სამარცხვინო როლიც იკისრა, რითაც საბოლოოდ დაკარგა ხალხის ყოველგვარი ნდობა და ავტორიტეტი.

ილ. ჭავჭავაძე მშვენივრად გრძნობს და ხედავს ამ სავალალო მდგომარეობას, ამიტომ, იგი რეალურად არსებულ მღვდლებს, უპირისპირებს მის მიერ შექმნილი იდეალური მღვდლის სახეს და ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი უნდა იყოს ერის „სულიერი მოძღვარი“.

ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ალ. ყაზბეგის შემოქმედებაშიც. დიდი რეალისტი-შემოქმედი წერილში „ბატონ მეუნარგიას „მოძღვრის“ წერილის გამო“, ხაზგასმით მიუთითებდა, რომ მისი მოძღვარი იყო არა რეალური პიროვნება, არამედ მომავლის იდეალური სახე. „ამასთანავე იქონიეთ მხედველობაში, რომ ამ მოთხრობაში ვხატავ იდეალურ მოძღვარს, ისეთს მოძღვარს, რომელიც წირვა-ლოცვის დროს მლოცველს ხელში არ შეჰყურებს და უმაღლესის მოვალეობის აღსრულების დროს დახლზედ არ ფიქრობს. ჩემი

---

[1] ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, № 16954—6.
[2] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, გვ. 53.

მოძღვარი ხალხისა და ქვეყნისათვის თავგანწირულია, ის აღზრდილია უმაღლესთა კანონთა საზრების გავლენის ქვეშ და ეს სწავლა იქამდის ტენდენციური არის, რომ თვით ჩემი მოძღვარიც თუ არ იდეალურს, ტენდენციოზურს ქმნილებათ, სხვა გვარად ვერ გამოიხატებოდა. როდესაც ჩემმა მოძღვარმა უპატრონოდ დაგდებული ქალი სახლში შეიყვანა, მოძღვარს ონოფრეს უეჭველად უნდა ემოძღვრა იმისათვის და მას რომ მოძღვრობის მაგივრად არშიყობა დაეწყო, მაშინ ის მოძღვარი კი აღარ იქნებოდა, არამედ წარმოგვიდგენდა ერთს იმ გალექსილს ყმაწვილ-კაცთაგანს, რომელიც სავალალოდ ისე გახშირდა ჩვენში და ისე ურცხვად დაკარგა პატივიც, ნამუსიც და თავის სამშობლოსებური, ყოველთვის სახელგანთქმული ნამუსი".[1]

ილ. ჭავჭავაძის მღვდელიც და ალ. ყაზბეგის მოძღვარიც არარეალური სახეებია. მათი დახატვით დიდმა მწერლებმა საკმაოდ მწვავე მათრახი გადაჰკრეს სასულიერო წოდებას და დაანახვეს ნამდვილი სახე დიდი მორალის მქონე „სულიერი მამისა", რომელიც ხალხის გვერდით უნდა მდგარიყო ჭირშიც და ლხინშიც და მთელი შეგნებით ეკისრა ჭეშმარიტი მოძღვრის მძიმე ტვირთი.

რაც შეეხება გლახის სახის გაგებას, აქ ჩვენ ვერ დავეთანხმებით ს. მესხს. უდავოა, რომ გლახა ჩვენი სინამდვილიდან ამოღებული ტიპიური სახეა; თუმცა გაბრიელს ახასიათებს სენტიმენტალიზმი მცირედი ნიშნები, მაგრამ ილიამ მაინც მშვენივრად შეძლო მოეცა რეალური სახე განაწამები გლეხისა და მკაცრი შეფასება ბატონყმური ძალმომრეობისა. ილიამ ოსტატურად დაანახა მკითხველს გლეხი „მისი დღითი-დღიური საჭიროებით, მისი სიცოცხლისაგან გათელილი ხასიათით, მისი გარემოებისაგან გაბინძურებული მდგომარეობით, მისი დამდაბლებული და უღონო, უპატიური ცხოვრებით" და ეს ილ. ჭავჭავაძის, როგორც რეალისტი მწერლის უდიდესი დამსახურებაა.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, თუ რა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეკიდებოდა ს. მესხი აკ. წერეთელს, როგორც მწერალსა და პუბლიცისტს. ეს სიყვარული და პატივისცემა გამომჟღავნდა აგრეთვე ს. მესხის ერთ-ერთ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წერილში, რომელშიც მან 1872 წლის ჟურნალ „კრებულის" მეექვსე და მეშვიდე ნომრები მიმოიხილა.

წერილში ს. მესხი სპეციალურად შეჩერდა აკ. წერეთლის დრამატულ ნაწარმოებზე — „სცენა საპატიმროში". კრიტიკოსის ღრმა და მართებული რწმენით აკ. წერეთელი უაღრესად ნიჭიერი და და-

---

[1] ა. ყ ა ზ ბ ე გ ი, თხზულებანი, ტ. V, 1950, გვ. 150.

ხელოვნებული მხატვარია, რომელსაც შესწევს უნარი „ერთი-ორი კარანდაშის მოსმით გამოჰხატოს... რომლისამე ადამიანის ანუ ბუნების სურათის სახე“. მწერლის ნიჭის ეს თავისებურება გამომჟღავნდა მის „სცენა საპატიმროშიც“. ნაწარმოების ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მწერლის მიერ „რამდენიმე კალმის გასმით გამოხატულია სხვადასხვა ჩვენში მცხოვრები ხალხების ნაციონალური ხასიათი, ამათი გონების გამჭრიახობა, ჩვეულება, ზნე, ცრუ-მორწმუნეობა და სხვა თვისებები“. აქ არიან ქართველი და იმერელი, ოსი და რაჭველი, მეგრელი და გურული, სომეხი და ებრაელი და მწერლის მიერ ყოველი მათგანი დიდი ოსტატობითა და სიზუსტით არის დახასიათებული. მწერალს შესწევს უნარი ღრმად ჩასწვდეს თითოეულის სულიერ სამყაროს, ფსიქო-იდეოლოგიას და მოურიდებლად ამხილოს ის მანკიერი და უარყოფითი მხარეები, რაც მათ ახასიათებთ და რამაც ისინი საპატიმროს კარამდე მიიყვანა. განსაკუთრებით კარგად არის განვითარებული დიალოგი, რომელიც იმდენად ლაკონიურია, რომ რამდენიმე სიტყვაში ან სტრიქონში მკვეთრად არის გამოვლენილი მოქმედი პირების ნიშანდობლივი ხასიათი.

ს. მესხის აზრით, ეს „სცენა“ ნამდვილი და ხელოვნური კალმით დახატული სურათია ჩვენი ცხოვრებისა. ერთი სიტყვით... ამ უკანასკნელ წელიწადში, ერთი-ორი ლიტერატურული თხზულების გარდა, ამისთანა არ გამოსულა ქართულ ენაზე“.

ს. მესხმა სავსებით სწორი შეფასება მისცა რაფიელ ერისთავსაც, როგორც შემომქმედს. მისი აზრით რაფ. ერისთავი თუმცა „შესანიშნავი ლიტერატურული ნიჭი არ არის“, მაგრამ ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში, რომელიც ღარიბია ტალანტებით, არ შეიძლება, რომ რაფ. ერისთავი შეუნიშნავი დარჩეს. მართალია, მის შემოქმედებაში მკითხველი ვერ იპოვის ღრმა ან ახალ აზრს, ფორმის თვალსაზრისითაც მისი პოეზია და პროზა რაიმე განსაკუთრებული ნიშნით არ ხასიათდება, მაგრამ რაფ. ერისთავის ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მისი „კალამი სწერს ხშირად შესანიშნავის სიმახვილით, ოხუნჯობით და ავტორში ცხოვრების დაკვირვების ნიჭს გვიჩვენებს“.

ს. მესხის აზრით რაფ. ერისთავის შემოქმედებაში განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მისი „სცენები“, რომელიც „დროება“-„კრებულის“ ფურცლებზე სხვადასხვა სათაურით იბეჭდებოდნენ („რამდენიმე სურათი ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“ და „სურათები ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან“). სწორედ აქ გამოვლინდა რაფ. ერისთავის დაკვირვებული თვალი და მახვილი კალმის ძალა. მწერლის „სცენები“ ნათლად მეტყველებენ, რომ რაფ. ერისთავი ძალიან კარ-

გად იცნობს ჩვენ ცხოვრებას და ამ ცხოვრებაში მოქმედი ადამიანების ხასიათებს. „ამჟამად, — წერს ს. მესხი, — ჩვენში ორ-სამ მწერალს გარდა, არავინ გეეგულება ისეთი, რომელიც ჩვენს ცხოვრებას რაფ. ერისთავზე უკეთ იცნობდეს და უკეთ ხატავდეს... ერთნაირის ხელოვნებით ხატავს რაფ. ერისთავი როგორც თფილისელ კინტოების ხასიათს, იმათ უდარდელობას და დარდიმანდობას, აგრეთვე უფრო მაღალი საზოგადოების უსაქმობას და ფუჭ ცხოვრებაა, და ახალგაზრდა ქალებისა და ვაჟების სიყვარულზე სჯასა და სხვა გულითად წადილებსა“.

რაფ. ერისთავის უდიდესი დამსახურება ს. მესხის აზრით ისიც არის, რომ მწერალი კარგად იცნობს არა მხოლოდ ქალაქს, არამედ — სოფელსაც და წერს „ნამდვილი გლეხ-კაცის ენით“, რაც მის ნაწარმოებებს უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის.

მაგრამ მხოლოდ ამით არ განისაზღვრება რაფ. ერისთავის შემოქმედების და, კერძოდ, მისი „სცენებისა“ და „სურათების“ მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. მათ უდიდეს ღირსებას კრიტიკოსი იმაშიც ხედავს, რომ „მარტო სიცილს არ აჯერებენ მკითხველს. ყოველი გონიერი და მოაზრე მკითხველი, უეჭველია, დაფიქრდება, როდესაც ზოგიერთ ამ სცენებს წაიკითხავს. როგორ არ დააფიქრებს, მაგალითად კაცს ის ზემოხსენებული სცენა ორ სოფლელ ქალს შუა, რომელშიც ასე ცხადათ იხატება ჩვენი გლეხების გაჭირვებული ცხოვრება და იმათი სიღარიბე? როგორ არ დაგაფიქრებთ იმისთანა ახალგაზრდა ქართველი ქალების დანახვა, რომელნიც ქართულს ისე ლაპარაკობენ, თითქოს ამერიკელი ქალები იყვნენ და სალაპარაკო საგნათ მუდამ ის აქვთ, რომ დღეს რა გააკეთონ, ხვალ ვისთან წავიდნენ დროს გასატარებლათ და ზეგ ვის წაყვნენ ცოლათ? ან კიდევ ის სურათი — როგორ ატყვილებს საწყალ უმეცარ გლეხს დაქნილი და სუდებში ნათრევი ვილაც ადვოკატი“.[1]

ს. მესხი რაფ. ერისთავის შემოქმედების განსაკუთრებულ ღირსებას მის რეალიზმში ხედავს, რომელსაც ჩვენი ცხოვრების მანკიერ მხარეთა მხილების გარდა, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს.

რაფ. ერისთავის შემოქმედება ს. მესხმა რეალისტურ-უტილიტარული პრინციპების თვალთახედვით შეაფასა და სინანული გამოთქვა, რომ იგი „ერთობ იშვიათად იღებს ხელში კალამს“-ო.

ცნობილია, რომ ანტონ ფურცელაძის შემოქმედებაში „მაცი ხვიტია“ ყველაზე პოპულარული ნაწარმოებია, რომელშიც მწერალ-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 212.

მა.საკმაოდ მუქ ფერებში გადმოგვცა ბატონყმობისდროინდელი სურათები სამეგრელოს ცხოვრებიდან. მაგრამ შემჩნეულია, რომ ნაწარმოების მოქმედი პირები უპერსპექტივო ადამიანები არიან და ავტორიც ადრე წყვეტს მათ სიცოცხლეს. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ს. მესხს, როდესაც წერდა: „ამ რომანის (იგულისხმება „მაცი ხვიტია“, ი. ბ.) შინაარსი ორი სიტყვით გამოითქმის: მოქმედება რომანისა მდგომარეობს ცხენების ქურდობაში; თავის მოქმედნი პირნი ფურცელაძემ ერთხელ კლდეზე გადაყარა, მეორეთ, როგორც იყო გადაარჩინა თოფის სროლას და სიკვდილს, მაგრამ ბოლოს კი მაინც და მაინც იმდენი შეუბრალებლობა გამოიჩინა, რომ სამი იმათაგანი ერთმანეთს შეაკლა; ჯერ ერთმა მეორე მოკლა ქურდობაში, მერე მეორემ მესამე და შემდეგ ეს მესამე მოკლული წამოხტა ზეზე და მეორეს „ჩაუსვა გულში ტარამდე ხანჯალი“.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ, ამ შემთხვევაში, ს. მესხის დამოკიდებულება ა. ფურცელაძისადმი ერთგვარად ტენდენციურია. აქ დაუმსახურებლად არის გაბიაბრუებული ნაწარმოები, რომელშიც, თუმცა ბევრია მიამიტური და გულუბრყვილო ეპიზოდები, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ სიუჟეტის ოსტატური განვითარება.

საერთოდ, ს. მესხი ა. ფურცელაძეს დაბალი მხატვრული ნიჭის შემოქმედად თვლის და ეს ნამდვილად ასეც იყო. როგორც მწერალი, ა. ფურცელაძე უდავოდ სუსტია, მეორეხარისხოვანია, მაგრამ ა. ფურცელაძეს, როგორც მოაზროვნესა და პუბლიცისტს საკმაოდ თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მიუხედავად ამისა, მან მაინც ვერ პოვა საყოველთაო აღიარება თანამედროვეთა შორის, რაც ძირითადად მისი უცნაური და ხშირად ახირებული პირადი თვისებებით იყო გამოწვეული. სავსებით სწორად შენიშნავს პროფ. მიხ. ზანდუკელი, რომ „ანტ. ფურცელაძე მოურიგებელი, დაუდგრომელი კაცი იყო; ჩვენი პრესის საუკეთესო წარმომადგენლებთან — ილ. ჭავჭავაძესთან, ნიკო ნიკოლაძესთან, გიორგი წერეთელთან და სხვებთან ხშირად არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება“.[1] მწვავე იყო ურთიერთობა ს. მესხსა და ა. ფურცელაძეს შორისაც. ამან მკვეთრად იჩინა თავი 70-იანი წლების პრესაში (იხ. მაგ., „დროება“, 1872 წლისა და „Тифлисский вестник“, 1873 წ., № 11,13), მართალია, მათი უთანხმოება პრინციპულ საკითხებს ეხებოდა, მაგრამ მწვავე პირადული ურთიერთობა არც ერთ მხარეს არ აძლევდა ობიექტური მსჯელობის საშუალებას.

---

[1] მ ი ხ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. III, 1955 წ., გვ. 267.

1879 წლის „დროების“ მეორე ნომერში დაიბეჭდა გრ. ვოლსკის „ელეგია“, ხოლო იმავე წლის 37-ე ნომერში გამოქვეყნდა მისივე მეორე ლექსი „მოტყუებულს“. ეს ორი ნაწარმოები საკუსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ ს. მესხს უმწიფარიძის ფსევდონიმს ამოფარებულ ახალგაზრდაში მზარდი პოეტური ნიჭი შეემჩნია და წაექეზებინა იგი ამ კეთილშობილურ ასპარეზზე სამუშაოდ. „მოულოცავთ ჩვენს ახალგაზრდა პოეტს, — წერდა ს. მესხი, — ასე ჩინებულად, ასე ნიჭიერად გამოსვლას სალიტერატურო ასპარეზზე და ვინატრებთ, რომ შემდეგი ნაბიჯებიც ისეთივე მარჯვე, ისეთი ბრწყინვალე ყოფილიყოს იმისი, როგორიც ეს პირველია. ვინატროთ, რომ ეს ნიჭი ისე უდროვოთ, ისე „დაუმწიფებლად“ არ დაჩაგრულიყოს და არ დამჭკნარიყოს, როგორც დაჭკნა ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა მწერლების ნიჭი, მაგალითად, გ. ჭალადიდელისა (ქოჩაქიძისა) და სხვ.“.[1].

ეჭვგარეშეა, რომ ს. მესხის წამახალისებელმა სტრიქონებმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს გრ. ვოლსკის ცხოვრებაში. როგორც ცნობილია, იგი აკ. წერეთლის სკოლის ერთ-ერთ ნიჭიერ პოეტად ჩამოყალიბდა, რომლის შემოქმედების ფორმა და თემატიკა გაგრძელებაა აკაკის მიერ დანერგილი ქართული პოეზიის დიდი ტრადიციებისა. გრ. ვოლსკის მრავალი ლექსი ხალხმა თავის წიაღში გაიტაცა და მღეროდა და დღესაც მღერის დიდი სიყვარულით. დღემდის შემორჩა ქართული სიმღერების მდიდარ რეპერტუარს გრ. ვოლსკის ნაწარმოებზე დაწერილი მ. ბალანჩივაძის ორი რომანსი: „ნანა, შვილო“ და „შენ გეტრფი მარად“. დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ფართოდ იყო გავრცელებული გრ. ვოლსკის პატრიოტული ლირიკის შესანიშნავი ნიმუში „როს საუკუნოდ დავდუმდე“.

მართალია გრ. ვოლსკი არ იყო პირველხარისხოვანი პოეტი, მაგრამ თავისი დროისათვის მან დიდი საქმე გააკეთა თანამემამულეთა შორის პატრიოტული გრძნობის ფართოდ დანერგვისათვის, რაც მისი უდავო დამსახურებაა.

საერთოდ, ს. მესხი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დამწყებ მწერლებთან მუშაობას და ყოველთვის დიდი სიფრთხილითა და სიფაქიზით ეკიდებოდა მათ პირველ ნაბიჯებს. „უნდა გაამხნევოთ ახალგაზრდა მწერალი, — წერდა იგი, — უნდა დაარიგოთ, აჩვენოთ, თუ, თქვენი აზრით, როგორ გზაზე უნდა დადგეს, რა გვარი თხზულებანი უფრო შეეფერებიან იმის ნიჭსა და მიმართულებას, —

---

[1] „დროება“, 1879 წ., № 37.

ერთი სიტყვით საჭიროა... მუდამი, და განუწყვეტელი პირადი ლაპარაკი, თუ არა, წერითი კავშირი მაინც გქონდესთ".[1]

ს. მესხი ყოველთვის დიდი აღფრთოვანებით ეგებებოდა ყოველ ახალ ნაწარმოებს, ორიგინალური იქნებოდა იგი თუ ნათარგმნი, რომელიც ამდიდრებდა ჩვენს ლიტერატურულ საგანძურს.

ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენად მიაჩნდა ს. მესხს მამია გურიელის (ფაზელის) მიერ მიხეილ ლერმონტოვის „დემონის" თარგმნა. თარგმანის ღირსებას ს. მესხი იმაში ხედავდა, რომ „ზოგიერთი ადგილები თარგმანისა ლექსის ძლიერებითა და გამოთქმის სიმკვირცხლით სრულიად არ ჩამოუდგებიან უკან თავის ორიგინალსა".[2] ცხადია, აქ ს. მესხი უდავოდ ცდება. თარგმანი ორიგინალის თანაფარდი არ არის. ს. მესხის აზრით, განსაკუთრებული სიძლიერით არის ნათარგმნი ის ადგილები, რომელიც ბუნების თვალწარმტაც სურათებს გადმოგვცემენ და სწორედ აქ მეღავნდება მ. ფაზელის „პოეტური ნიჭი და კალმის სიმარჯვე".

ს. მესხი, საერთოდ, წინააღმდეგია სიტყვა-სიტყვითი თარგმანისა, რადგან ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ აზრი იკარგება და არ ხერხდება პოეტური სულის ზუსტად გადმოცემა. მაგრამ ფაზელის დაჟსახურებას იმაში ხედავს, რომ თუმცა იგი „ზოგჯერ თითქმის სიტყვა-სიტყვით სთარგმნის დედნიდამ", მაგრამ ამას „სრულიად არ დაუკლია ღირსება ნათარგმნისათვის".

თუმცა ფაზელის მიერ „დემონის" თარგმანი კარგად არის შესრულებული, მაგრამ, ს. მესხის აზრით, მასში არის ცალკეული გამოთქმები, რომლებიც არ შეესატყვისებიან ქართული ენის ბუნებას. მაგალითად, ქართული არ არის „ფუჭსა ჯავრობს", არც „უწყვეტ (ე. ი. დაულეველს) ცრემლობას" და არც „პირველებს"... არ ითქმის აგრეთვე „შვებები" (მრავლობით რიცხვში) და სხვა". მაგრამ ს. მესხის თქმით, ეს წვრილმანი შეცდომებია და ისინი ვერ სცემენ თარგმანის ღირსებას.

ს. მესხის შენიშვნები იმდენად სწორია და მართებულია, რომ სავარაუდებელი იყო მთარგმნელი გაიზიარებდა მათ, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ფაზელმა არ მიიღო მესხის თითქმის არც ერთი შენიშვნა და შეეცადა მის მიერ ნახმარი გამოთქმებისა თუ ცალკეული სიტყვების მოქალაქეობრივი უფლების დაცვას სალიტერატურო ქართულში. მისი აზრით „ჩვენ ყოველდღე გვესმის ხოლმე, და მითუმეტეს თბილისის მრავალხალხიან ქუჩებში შემდეგნაირი სიტყვები: „დაეხსენ, თუ ღმერთი გწამს, მაგ ფუჭ ჯავრობას, მაგ ფუჭ დავას, ფუჭ

---

[1] ს. მესხი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 60.

[2] ი ქ ვ ე, ტ. I, გვ. 207.

საქმეს“ და სხვ. სადაც შეიძლება ითქვას „უსაფუძვლოს, ტყუილ უბრალოს“, იქ ფუჭსაც ითქმის. ამაზე არა მგონია შეიძლებოდეს დავა. თანასწორ მისა, სიტყვაც „უწყვეტი ცრემლები“ იხმარება ქართულად; მაგ. „რა არის ეს „უწყვეტი ცრემლები“ ამ ყმაწვილ ქალისა? „ეს განუწყვეტელი ლხინი ამ ყმაწვილისა!“ არა თუ გაუწყვეტელი და გამოულეველი, ხშირად ხმარობენ „დაუსრულებელსაც“, მიუხედავად ამისა, რომ დაუსრულებელი არ შეიძლება იყოს რაიმე ამ ცოდვილის მიწის პირზე... სიტყვაზე „პირველები“ აღარას ვიტყვით ამაზე მეტს: თუ კი სიტყვა „უკანასკნელები“ იხმარება, მაშინ მიზეზი აღარ რჩება რა „პირველების“ უხმარებლობისათვის.

ერთს მხოლოდ სიტყვაზე ვეთანხმები მე და ისიც სანახევროთ; ე. ი. „შვებები“ თითქმის მართალია, რომ მრავლობით რიცხვში მისი ხმარება რაღაც არ ეწყობა სმენას, მაგრამ რადგანაც ქართულ ენაზე ჯერჯერობით არ არის მისი თვისების თანახმა ღრამატიკა, ამისათვის სრული ნება გვაქვს ვიხმაროთ ის მხოლობითაც და მრავლობითაც“.[1]

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ამ შემთხვევაში ფაზელის თვალსაზრისი უდაოდ მცდარია. სავსებით კანონიერია ვიხმაროთ ისეთი გამოთქმები, როგორიცაა „ფუჭი დავა“, „ფუჭი საქმე“. „უწყვეტი ცრემლები“, მაგრამ არ ამბობენ „ფუჭსა ჯავრობს“, „უწყვეტს ცრემლობას“, „პირველები“ და მისთანანი. განსაკუთრებით უხერხულად ეღერს ეს გამოთქმები ფაზელის მიერ ნათარგმან ქვემოდ მოტანილ სტროფში, რომელიც ს. მესხმა გააკრიტიკა:

> მამავ. დაეხსენ ფუჭსა ჯავრობას,
> შენ საწყალ თამარს ნუღარ უწყრები:
> ხომ ხედავ უწყვეტს ჩემსა ცრემლობას
> და არ არიან ეს პირველები.

ს. მესხმა არ გაიზიარა ფაზელის თვალსაზრისი და გონივრული პასუხი გასცა მას. „ქართული ენის ხასიათი, — წერდა ს. მესხი, — ხშირად სრულიად არ ითვისებს და არ იფერებს იმ სიტყვების მრავლობით რიცხვს, რომელსაც გრამატიკაში „განყენებულ აზრს ანუ გამოხატვას“ (Отвлеченное понятие) ეძახიან. მაგ. ქართულად არ ითქმის ბედნიერებები, უბედურებები, შვებები, სიყვარულები და სხვ. ამგვარ სიტყვებს ჩვენი საუკეთესო ძველი და ახალი მწერლები ყოველთვის მხოლობით რიცხვში ხმარობენ. ჩვენ სრულიად არ ვეთანხმებით უფ. ფაზელს იმ აზრზე, რომ „რადგანაც ქართულს ენაზე

---

[1] „დროება“, 1872 წ., № 20.

ჯერჯერობით არ არის მისი თვისების თანახმა ღრამატიკა, ამისათვის სრული ნება გვაქვს ვიხმაროთ სიტყვა „შვება“ მხოლობითაც და მრავლობითაცო“. მართალია, ჩვენ ჯერჯერობით ხეირიანი ღრამატიკა არა გვაქვს, მაგრამ ჩვენ ენას, როგორც საზოგადოთ ყველა ენებს, აქვს თავისი საკუთარი კანონები, რომელსაც არა თუ წერაში, ლაპარაკშიაც არ უნდა გადასცდეს კაცი“.[1] ს. მესხის ეს თვალსაზრისი საკვლევით მართებული იყო.

1872 წელს გამოვიდა „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა. გამოცემული ქართველი ქალებისაგან. წიგნი პირველი“, რომელსაც დართული აქვს ხელმოუწერელი წინასიტყვაობა სათაურით „მკითხველს“. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდის გაურკვეველი იყო, თუ ვინ არის ამ წინასიტყვაობის ავტორი.

კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის კაბინეტში დაცულია ამ გამოცემის ერთი ეგზემპლარი, რომელშიც წინასიტყვაობის ბოლოს შავი მელნით ასეთი მინაწერია გაკეთებული: „დაწერილია სერგეი მესხისაგან. პ. უმიკაშვილი“. ეს მინაწერი ნამდვილად პეტრე უმიკაშვილის ხელით არის შესრულებული და საკვლევით საიმედო წყაროს წარმოადგენს ს. მესხის ავტორობის დასადასტურებლად, რადგან პ. უმიკაშვილი იმ პერიოდის ლიტერატურული ცხოვრების ცენტრში ტრიალებდა და ძალიან კარგად იცოდა, თუ ვინ იყო წინასიტყვაობის ავტორი. გარდა ამისა, წინასიტყვაობის ენა, სტილი და ცალკეული მოსაზრებანი ემთხვევა ს. მესხის ხელმოწერით 1872 წლის „დროების“ 44-ე ნომერში ამ თარგმანის შესახებ დაბეჭდილ ბიბლიოგრაფიულ-კრიტიკულ წერილში განვითარებულ თვალსაზრისს და საერთოდ ს. მესხის ენასა და სტილს.

ს. მესხი ამ წერილშიც იმეორებს თავის შეხედულებას ლიტერატურის დანიშნულებაზე და აღნიშნავს, რომ ლიტერატურა საუკეთესო საშუალებაა „მშიერი ტვინის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად“. ლიტერატურა ზრდის ადამიანს გონებრივად და ზნეობრივად, უჩვენებს ცხოვრების უარყოფით მხარეებს და მიუთითებს სწორი გზისაკენ. მაგრამ, ს. მესხმა ისიც იცის, რომ ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებს არ შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ადამიანს. „ერთი დრო იყო, რომ ამგვარ ლიტერატურულ თხზულებათა ვნების მეტი არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდათ მკითხველი საზოგადოებისათვის. ეს იყო ის დრო, როცა რომანებისა, მოთხრობებისა და ლექსების მწერლები თავის ნაწერებში თითქმის არ ეხებოდნენ ნამდვილ ცხოვრებას, სწერდნენ მხოლოდ სიყვარულზე,

[1] „დროება“, 1872 წ., № 20.

შეყვარებულების ყვნესა-ოხვრაზე, ამკობდნენ ტრფობას. ამისთანა თხზულებანი მართლაც რომ გონების გარყვნისა და ჭკუა-ხასიათის დამახინჯების მეტს სარგებლობას არ მოუტანდნენ მკითხველ საზოგადოებას".

ს. მესხი სასტიკი წინააღმდეგია ამგვარი ლიტერატურისა. თუ ნაწარმოები მხოლოდ ოცნებაზეა დაფუძნებული და „ნამდვილ ცხოვრებას, ნამდვილ ხასიათებს... ნამდვილ კაცს" არ შეეხება, მას არა თუ სარგებლობის, არამედ მხოლოდ ვნების მოტანა შეუძლია. ს. მესხის მართებული რწმენით თანამედროვე ცხოვრება რეალისტურ ნაწარმოებებს მოითხოვდა, რომელშიც ზუსტად იქნებოდა ასახული თანადროულობა და რომელსაც, გარდა ესთეტიკური დატკბობისა, „მქადაგებლის" მნიშვნელობა და ხასიათიც ექნებოდა. „ევროპისა და ამერიკის ლიტერატურაში, — წერს ს. მესხი, — ჩვენ ხშირად ვხედავთ ისეთ რომანებს მაგალითად, რომელთაც მხოლოდ ის დანიშნულება აქვთ, რომ რომელიმე ახალი ჰაზრი, ახალი სწავლა და ახალი საქმე გაავრცელონ საზოგადოებაში; ერთი სიტყვით, ამისთანა ადვილათ საკითხავი თხზულებების საშუალებით მწერლები ახალ ცხოვრების გზას უქადაგებენ საზოგადოებას და ამგვარათ ისინი ყოველთვის უფრო მალე მიაღწევენ ხოლმე თავიანთ წადილს, უფრო მალე ჰპოვებენ ახალ ჰაზრსა და სწავლის მომხრეებს, ვიდრე ღრმათ დაწერილს და ფილოსოფიური ტრაქტატების საშუალებითა".

თუ ასეთი დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს ბელეტრისტიკას კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში, მით უფრო დიდია მისი მნიშვნელობა ქართველი მკითხველისათვის, „რომელნიც კითხვას ეხლა ვეჩვევით". მაგრამ ს. მესხი ხედავდა, რომ რეალისტური ნაწარმოებები, რომელნიც ჩვენი ცხოვრების ნათელ სურათს ასახავდნენ და ამავე დროს ნერგავდნენ „ახალ ჰაზრსა და სწავლას", უჩვენებდნენ საზოგადოებას ცხოვრების განვითარების სწორ გზას, — სამწუხაროდ, ძალიან ცოტა მოგვეპოვებოდა. „ჩვენი საკუთარი ლიტერატურა და მწერლები ამ მხრით სრულიად ვერ აკმაყოფილებენ ჩვენი მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებასო".

ს. მესხი ქართულ ლიტერატურას რეალისტურ-უტილიტარული და ესთეტიკური თვალსაზრისით იხილავს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ „სურამის ციხისა", „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისა", „კაცია ადამიანისა" და „გლახის ნაამბობის" მეტს თითქმის ვერც ერთს ისეთს რომანსა და მოთხრობას ვერ შეხვდებით, რომ იმათი წაკითხვა ერთსა და იმავე დროს სასიამოვნოც იყოს მკითხველისათვის და სასარგებლოცა". მაგრამ მდიდარიც რომ იყოს ამ თვალსაზრისით ჩვენი ლიტერატურა, ს. მესხის აზრით, უცხოურიდან ნათარგმნ ნაწარმოებებს მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის, რადგან

„იმათი საშუალებით ჩვენი საზოგადოება გაიცნობს დაწინაურებული ქვეყნების ცხოვრებას, იმათ ჰაზრს, გონების მიმართულებას და წადილს და ამგვარი ცოდნა, უეჭველია, უნაყოფოდ არ ჩაივლისო“.

იმავე წელს, გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ წერილში ს. მესხმა ვრცლად გაარჩია „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა“. მისი რწმენით „ამ წიგნის გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში და ჩვენს ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლინებაა“. შეიძლება წიგნი თავისი შინაარსით განსაკუთრებული მნიშვნელობისა არ იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღების ღირსი ის გარემოებაა, რომ „ეს წიგნი გადმოთარგმნილი და გამოცემულია ქართველი ქალებისაგან... რომ ჩვენი ქალები, რომელნიც ამ უკანასკნელ დროებაში მხოლოდ სიყვარულზე, გათხოვებაზე, ცეკვა-თამაშზე და ტანისამოსზე ჰფიქრობდნენ, ჰკიდებენ ხელს ისეთ საქმეს, რომელსაც, უეჭველია, საზოგადოებისათვის რაიმე მნიშვნელობა უნდა ექნეს“.[1] ქართველი ქალების გამოფხიზლება, მათი ჩაბმა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ცხოვრებაში, ს. მესხს მეტად საუგეშო და ბევრის მთქმელ მოვლენად მიაჩნია.

ს. მესხი იწონებს ქალების (ეკ. გაბაშვილის, ეკ. მელიქიშვილის და ელ. ყიფიანის) ნამუშევარს, მაგრამ წერილის დასაწყისშივე ერთ მეტად არსებითი ხასიათის შენიშვნას აძლევს მათ. ს. მესხს სავსებით მართებულად სწამს, რომ თარგმნა ყოველთვის დედნიდან უნდა ხდებოდეს. რომელივე უცხოური ენიდან რუსულად გადმოთარგმნილი ნაწარმოების ქართულ ენაზე გადმოღება დედანს უკარგავს ცხოველმყოფელობას. თარგმანის თარგმანი ვერასოდეს ვერ გამოხატავს დედნის სულსა და გულს. გარდა ამისა უცხოურიდან რუსულად ნათარგმნის გადმოქართულებას უკვე აღარა აქვს, მაინცა და მაინც, დიდი მნიშვნელობა, რადგან „რუსული თითქმის ყველამ იცის ჩვენში, ასე რომ ეს ენა თითქმის „უცხო ენათ“ არ ჩაითვლება.

ქართველი ქალების მიერ გამოცემული წიგნის არსებითი ნაკლი კი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ერთი მოთხრობის გარდა („როსელის უკანასკნელი დღენი“), ყველა რუსული თარგმანიდან გადმოუქართულებიათ და არა დედნიდან. ეს კი გაუმართლებელია და გაუმართლებელია არა მხოლოდ იმიტომ, რომ თარგმანის თარგმანში დედანი ჰკარგავს თავის ელფერს, არამედ ის გარემოებაცაა მხედველობაში მისაღები, რომ უცხო ენებზე „უფრო ბევრი და უფრო უკეთესიც სათარგმნელი რომანები და მოთხრობები მოიპოვება“.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 280.

მიუხედავად ამისა, კრიტიკოსის აზრით, წიგნში შესულ ყველა ნაწარმოებს სიამოვნებით წაიკითხავს კაცი.

ს. მესხი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ვიქტორ ჰიუგოს „პარიჟელ ბიჭზე", რომელიც ამოღებულია მწერლის ვრცელი რომანიდან „საბრალონი". ეს ნაწყვეტი კრიტიკოსის აზრით, იმით არის ყურადსაღები, რომ მასში მშვენივრადაა გამოხატული პარიზელი ბიჭის სოციალური მდგომარეობა და, რაც მთავარია, დიდი მწერლის მიერ დახატული პარიზელი ბიჭი თავისი თვისებებითა და ხასიათით ძალიან ჰგავს ქართველ, ჩვენებურ ქუჩის ბიჭებს.

მართებულად შენიშნავს ს. მესხი, რომ რომელიმე დიდი რომანიდან ან მოთხრობიდან ცალკეული რჩეული ადგილების თარგმნა უდაოდ კარგი საქმეა, მაგრამ ეს ცალკეული ადგილები ვერ გააგებინებენ მკითხველს „რომანისა და მწერლის ხასიათსა და აზრს". ამიტომ იგი ურჩევს მთარგმნელებს, რომ „რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მთელი მოთხრობები და რომანები თარგმნონ, ანუ შემოკლებით მაინც მოიყვანონ იმათი შინაარსი და უფრო შესანიშნაი ადგილები კი სრულად გადმოთარგმნონ".

ს. მესხისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს „მეთვრამეტე საუკუნის ამერიკელი ქალების" ქართულ თარგმანს... რადგან ელეონორა უილსონის და მერი სლეკემბის სახით ქართველი მკითხველის და განსაკუთრებით ქართველი ქალების წინაშე მისაბაძ მაგალითად წარმოდგება დიდი პატრიოტების, თავდადებული საზოგადო მოღვაწეების და ნამდვილი დედების მარად უჭკნობი სახე.

უდავოდ კარგი შენაძენია ქართული ლიტერატურისათვის „ჟიულ ტაროც", რადგან მასში „ცხადათ და ხელოვნური კალმით გამოხატულია ის საზოგადო წყობილება და გარყვნილება, რომელიც ნაპოლეონის დროს სუფევდა საფრანგეთში და რომელმანც ეს შშვენიერი ქვეყანა ეხლანდელ დამცირებულ მდგომარეობამდე მიიყვანა". ნაწარმოების ღირსება ისიცაა, რომ იგი ქართველ მკითხველს ცოცხლად უხატავს პარიზის სურათს „კომუნის არეულობის დროს". ხოლო თვით ჟიულ ტაროს სახით აცნობს თავდადებულ პატრიოტს, რომელიც ცდილობს დაცემული საზოგადოების აღდგენას.

ასეთივეა კრიტიკოსის აზრით „ნათანელ როსსელის უკანასკნელი დღეებიც". ამგვარი ნაწარმოებები ს. მესხის ღრმა რწმენით ქართველ მკითხველ საზოგადოებას „სიამოვნებასთან სარგებლობასაც მოუტანს", მით უმეტეს, რომ ისინი „ნამდვილი ქართული ენით არის გადმოღებული".

1872 წელს ჟურნალ „კრებულის" ბოლო ნომრებში (10—11—12) ნ. სკანდელის ხელმოწერით დაიბეჭდა ნ. ნიკოლაძის მოზრდილი წერილი, სათაურით „ჩვენი მწერლობა". წერილში ნ. ნიკოლა-

ძემ ვრცელი ადგილი დაუთმო ქალების მიერ გამოცემულ ზემოხსენებულ წიგნაკს. იგი მიესალმა მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯს და ქალების „შრომა სწორედ საამო და ბედნიერ მოვლენად“ მიიჩნია ჩვენს ღარიბ ლიტერატურაში. „მაგრამ თუ ჩვენ მართლა გვწამს ჩვენი მომავალის ღირსება და სიკეთე, — შენიშნავს ნ. ნიკოლაძე, — ჩვენ ისე მჩატეთ და უზრუნველათ კი არ უნდა მოვეპყროთ „ქართველი ქალების“ შრომას, როგორც ჩვენი სკეპტიკები და ზოგიერთი სხვა პირებიც შვრებიან (ამ „ზოგიერთ სხვა პირებში“ ნ. ნიკოლაძე უდავოდ ს. მესხს გულისხმობს). ჩვენ არც იმ შემცდარი აზრით უნდა მივადგეთ ამ შრომას, როგორიც სკეპტიკოსებს ნიადაგ თავში უძევთ, და არ უნდა დავიწუნოთ ეს შრომა, მარტო იმ საფუძვლით, რომ უნაკლულევანო არ არის, არც იმგვარათ უნდა მოვეპყროთ იმას, როგორც კაცი ბავშვის პირველ ნაბიჯის გადადგმას, ან პირველი სიტყვის გამოთქმას აფასებს, და არ უნდა გვქონდეს ის დაფარული აზრი, რომ „თქვენგან, ბავშვებიდან, ესეც კარგიაო, არც ამას მოველოდითო“. ჩვენი აზრით, როგორც ჩვენი მადლობა შესრულებული შრომისათვის, ისე ჩვენი იმედი მომავალი საქმისათვის იმით უნდა გამოითქმოდეს რომ ჩვენ ნამდვილი გულწრფელობით დავაფასოთ ეს ნაწარმოები და მოვეპყრათ „ქართველ ქალებს“, როგორც ტოლი-ტოლს, კაცურად, პირუთვნელათ და გულგაშლილათ“.[1]

ნ. ნიკოლაძის აზრით ყოველ მწერალს თუ მთარგმნელს ყოველთვის ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ თავის შრომით საზოგადოებას სარგებლობა მოუტანოს, დაეხმაროს მას გონების გახსნაში და მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ნ. ნიკოლაძე ამ საზომით უდგება სარეცენზიო წიგნსაც და გულის ტკივილით აღნიშნავს, რომ წიგნი ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ნ. ნიკოლაძის აზრით არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენდა „პარიჟელი ბიჭის“ თარგმნა. მართალია, ეს ნაწყვეტი თავისთავად „ჩინებული რამ არის, და ის ვიქტორ ჰიუგოს რომანში „საბრალონი“ მარგალიტივით ბრწყინავს“, თარგმანიც უდავოდ კარგად არის შესრულებული, მაგრამ ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის, რომელიც უმთავრესად „სრულიად უსწავლელი და გონება გაუხსნელ პირებიდგან“ შედგება, ამ ნაწყვეტს არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. იგი ვერც ვერაფერს ასწავლის მკითხველს, ვერც ცხოვრებას და ადამიანის თვისებებს აცნობს, ვერც ხასიათს უკეთილშობილებს და გონებასაც ვერ უხსნის. „ის მხოლოდ რიგიანათ დახატული სურათია იმ მოხერხებული და საყვარელი ქმნილების, რომელსაც პარიჟელ გამენს ეძახიან და მხოლოდ მისი

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. III, 1963, გვ. 38.

ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ამ გამენების ხასიათს გვაცნობს". ამიტომ, ნ. ნიკოლაძის აზრით, უკეთესი იქნებოდა გამენების ხასიათის გასაცნობათ ანრი მონიეს სურათები ან გავარნის ზოგიერთი „ლეგენდები" ეთარგმნათ.

რაც შეეხება „ნათანიელ როსელის უკანასკნელ დღეებს" — ნ. ნიკოლაძის აზრით, არც ესაა დიდი შენაძენი ქართული მწერლობისათვის, რადგან მასში ჩანს არა გმირი, არამედ „საბრალო ახალგაზრდა კაცის ხასიათი", კაცისა, რომელიც სიკვდილის წინაშე თრთის.

ნ. ნიკოლაძე არც „ეიულ ტაროს" იწონებს. მართალია, მასში რამდენიმე სურათი კარგია, მაგრამ საერთოდ „ეს ისეთი მოთხრობაა, რომელსაც ჟურნალებში „ბალასტს" ეძახიან, და რომელსაც საზოგადოთ იმისათვის ბეჭდავენ, რომ ჟურნალის დანაკლისი თაბახები შეავსონ".

ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც ნიკოლაძის აზრით ამ კრებულში „უფრო შესანიშნავია", — ეს არის „ამერიკელი ქალები მეთვრამეტე საუკუნეში", „ამ თარგმანს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ის ღირსება ექნება, რომ აჩვენებს... თუ როგორ სცხოვრობენ სხვა ქვეყნის ქალები, რა ძალა და შრომა უხმარიათ თავიანთი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და როგორი გზით უვლიათ ამ ძნელ და საამო გზაზე..."

ნ. ნიკოლაძე შეეხო წინასიტყვაობასაც, რომელიც სარეცენზიო წიგნს ჰქონდა დართული. სხვათა შორის საყურადღებოა, რომ ამ წინასიტყვაობის ავტორებად ნ. ნიკოლაძეს ქართველი ქალები მიაჩნია. კრიტიკოსს მოსწონს წინასიტყვაობა, მითუმეტეს, რომ „საფუძვლათ იმას ორი ძლიერ ხეირიანი პრინციპი უძევს: სურათების სინამდვილე ცხოვრებასთან და სარგებლობის მოტანა საზოგადოებისათვის". მაგრამ საკამათოს კრიტიკოსი ამ წინასიტყვაობაშიაც პოულობს. იგი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ „ვითომ უწინდელ მწერლობაში სულ სიყვარულზე და ამისთანა რამეებზე სწერდნენ, და ახლა კი სულ რეალურ თხზულებებს სწერენ, თითქო უწინ გიოტე და ლესინგი, მოლიერი და ათასი სხვა მწერლები არ ყოფილიყვნენ; და ვითომ, კიდევ, ახლა კი არ იყვნენ, ათასობით პოლ-დე კოკები, ბორნები და ემსები".

ნ. ნიკოლაძე შენიშნავს, რომ წინასიტყვაობაში გაკიცხულნი არიან ის მწერლები, რომელნიც მხოლოდ სიყვარულზე წერდნენ, ამკობდნენ ბუნების სიტურფეს და დამღეროდნენ ბულბულისა და ვარდის ტრფობასო. აქ წინასიტყვაობის ავტორს მართლაც „საკიცხავი და საძრახისი" მწერლობა აქვს მხედველობაში, მაგრამ ამასთანავე საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს, რომ „ყველა თხზულება „სიყვა-

რულზე“ და სხვ. ასე ადვილათ გასაკიცხავი და უკუმისაგდები რო-
დია. თუმცა ათასს და იქნება მეტ თხზულებას სიყვარულზე მკით-
ხველებისათვის ვნების მეტი არა მოუტანიათ რა, მაგრამ ასი და
იქნება ხუთასი თხზულებაც მოიძებნებოდეს ამავე საგანზე ისეთი,
რომელთაც ნამდვილი და დაუვიწყარი სარგებლობა მოუტანიათ
მკითხველებისა და მთელი კაცობრიობისათვის“.

ასეთია ნ. ნიკოლაძის შეხედულება ქართველი ქალების მიერ,
თარგმნილ მოთხრობებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნ. ნიკოლაძის ეს
შეხედულებანი ზოგ შემთხვევაში უმართებულო და ტენდენციურია
და საერთოდ მისი წერილი გადაჭარბებული სიმკაცრით ხასიათდე-
ბა, როგორც ჩანს, ეს უხერხულობა წერილის ავტორსაც უგრძვნია
და წერს: „მართლაც რომ ვთქვათ, ჩვენ ნამეტანათ სასტიკათაც მო-
ვეპყარით იმათ წიგნსაო“.

ნ. ნიკოლაძის კრიტიკულ შენიშვნებს ს. მესხმა პასუხი გასცა
იმ ბიბლიოგრაფიაში, რომელშიც განიხილა 1872 წლის „კრებულის“
10—11 და 12 ნომრები.

მიუხედავად იმისა, რომ ს. მესხი დიდად აფასებდა ნ. ნიკოლა-
ძეს, როგორც ლიტერატურის კრიტიკოსს და დიდ იმედებსაც ამყა-
რებდა მასზე, მან მაინც გააკრიტიკა ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისი
„საამო საკითხავ თხზულებათა“ შესახებ.

ს. მესხი არ ეთანხმება ნ. ნიკოლაძეს, თითქოს „პარიელ ბი-
ჭის“ თარგმნას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდეს და არ შეეძ-
ლოს მკითხველის გონების გახსნა, მისი დაფიქრება ზოგიერთ მოვ-
ლენაზე და თუ ხასიათის გაკეთილშობილება არ შეუძლიან, ნიადაგს
მაინც მოამზადებს ადამიანის ხასიათის გასაკეთილშობილებლად.
ს. მესხის აზრით, თუ ეს ნაწყვეტი თავისთავად „ჩინებული რამ
არის, და ის ვიქტორ ჰიუგოს რომანში „საბრალონი“ მარგალიტივით
ბრწყინავს“, როგორც ამას ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, — ნუთუ არ
ღირდა მისი თარგმნა ქართულად? ს. მესხის მართებული რწმენით
არა თუ რომელიმე ნაწყვეტს მხატვრული ნაწარმოებებიდან, არამედ
არც რომელიმე ერთ წიგნს არ შეუძლიან ადამიანის „გონების გახს-
ნა“, „დაკვირვების გაღვიძება“ ან „გაკეთილშობილება“. „მართა-
ლია“, კარგი წიგნი ბევრ მასალას იძლევა ადამიანის გონების გა-
სახსნელადაც, ხასიათის გასაკეთილშობილებლად და საზოგადოდ
იმის ბუნების გასაუმჯობესებლად“, მაგრამ ფეოდალურ და კაპიტა-
ლისტურ გარემოცვაში ადამიანის ხასიათი იმდენად გაფუჭებულია,
რომ „იმის რომლისამე მხარის გასწორება ერთ წიგნს არ მოეთხოვე-
ბა. კაცის ხასიათის გასწორება, ან მისი გონების გახსნა და გაკეთილ-
შობილება რომ რომელსამე წიგნით შეიძლებოდეს, მაშინ ხომ ეხლა
დედა-მიწაზე არცერთი მცარცველი, არცერთი მტარვალი, არცერთი

ავაზაკი, არცერთი მოძმის დამჩაგვრელი და საზოგადოთ არცერთი ცუდი კაცი აღარ იქნებოდა".[1]

ს. მესხი ეთანხმება ნ. ნიკოლაძეს, რომ, რა თქმა უნდა, ევროპულ ლიტერატურაში „პარიჟელ ბიჭზე" უკეთესი ნაწარმოები მოიძებნება, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის ამასაც აქვს გარკვეული მნიშვნელობა, „ისიც გააცნობს მკითხველს რასმე და შეატყობინებს ისეთს რასმეს, რომელიც ადრე არ იცოდა, ისიც დააფიქრებს ისეთ შინაურულ მოვლენებზე, რომელზედაც ადრე არ უფიქრია, თუმცა კი მუდამ ხედავს... და ეს ცოტაა?!"

ს. მესხი არ ეთანხმება ნ. ნიკოლაძეს არც ნათანიელ როსელის პიროვნების შეფასებაში. ნ. ნიკოლაძის აზრით, როსელის სახით მკითხველი „ელის ნახოს მხნე, მამაცი, რომელსაც ესმის, რომ მისი საქმის სიწმინდე, მომავალი და სარგებლობა ითხოვს იმისგან მარჯვეთ მოკვდომას, რომელიც დამშვიდებულათ ელის სიკვდილს... და ამგვარი პირის მაგიერათ მკითხველს ხელში რჩება ახალგაზრდა კაცი, რომელიც ვერ ჰფარავს, რომ სიცოცხლე უყვარს და ცხოვრება უნდა, და რომელიც მთას და ბარს ედება გადარჩენისათვის, სწუხს, თითქმის სტირის და მტერს და მოყვარეს ატყობინებს, რომ სიკვდილის ლოდინით იტანჯება. არა, ასე არ იქცევა გმირი, და გმირის ხასიათის მაგიერათ საბრალო ახალგაზრდა კაცის ხასიათი გამოსჩვერს როსელის დღიურიდამ".[2]

ნ. ნიკოლაძე აქ უდავოდ ცდება, რაც ს. მესხმაც შენიშნა. ს. მესხს მოჰყავს ნაწარმოებიდან რამდენიმე ადგილი, რაც ნ. ნიკოლაძის შეხედულების სრულიად საწინააღმდეგოა. ნაწარმოებში ნათანიელ როსელი, ბაზენის არმიის არტილერიის ოფიცერი, პარიზის კომუნის აქტიური წევრი, რომელიც კომუნის პერიოდში სამხედრო მინისტრის თანამდებობას ასრულებდა, სრულიადაც არ გამოიყურება მხდალ პიროვნებად, როგორც ეს ნ. ნიკოლაძეს ეჩვენება. განა შესაძლებელია მხდალ პიროვნებას ასეთი სიტყვები წარმოეთქვა: „ადამიანი ასე ყმაწვილი მოკვდეს, ასე მსწრაფლად და ამისთანა საპატიო სიკვდილით პატივსაცემი სახელი დაიგდოს — განა ამისთანა სიკვდილი სანატრელი არ არის? დიდხანსაც და ქვეყნის გამოსადეგადაც რომ მეცოცხლა, ჩემი სიკვდილი მაინც უფრო სასარგებლო იქნება, ვიდრემ ჩემი სიცოცხლე"[1].

ბუნებრივია, რომ საპატიმროში ჯდომა და სიკვდილის მოლოდინი არავისათვის სასიამოვნო არ არის; ძნელი წარმოსადგენია იმა-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 334.

[2] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 44.

[3] თარგმანი საამო საკითხავ თხზულებათა, გვ. 120.

ზედ დიდი ტანჯვა ადამიანისათვის და როსელიც მით უფრო სწუხს, რაც უფრო ახლოვდება განაჩენის სისრულეში მოყვანის დრო, მით უფრო უღვივდება სურვილი განთავისუფლებისა, მაგრამ ამ შეკითხვევაშიც ძლევს საკუთარ თავს: „კიდევ კარგი, რომ ეს წვალება მე ძილს არ მიკრთობს. დღეში ხან რვა და ხან ათი საათი მძინავს. შემდგომ ვკითხულობ წიგნებს, მერე ვფიქრობ სხვადასხვა ხან სალიტერატურო ხან საპოლიტიკო და ხან სამხედრო საგნებზე. ხანდიხან გავმხიარულდები ხოლმე და ამისთანა ჩემი მდგომარეობა მაცინებს“.[1]

როსელი ესალმება კიდეც სიკვდილს და სწამს, რომ ის, რასაც სიკვდილი მოუტანს, უფრო ძვირფასია მისთვის, ვიდრე ის, რასაც წაართმევს. მართალია, არის შემთხვევა, როდესაც როსელში თავს იჩენს მისწრაფება სიცოცხლისა და სიყვარულისადმი: „მე მაინც სიცოცხლე და სიყვარული მინდაო“ — ამბობს იგი, მაგრამ ს. მესხის მართებული შენიშვნით, „აქედან განა იმ ჰაზრის გამოყვანა შეიძლება, რომ ის სიკვდილს მხთალათ დახვდა, რომ იმას ენანებოდა საზოგადო საქმისათვის თავის შეწირვა? რა გასაკვირველია, რომ ხორც-შესხმული კაცი, როგორც კაცი, ადამიანის ბუნებამ და სიცოცხლის სიყვარულმა დასძლიოს?, მაგრამ როსელი იმდენზე არ მისულა, რომ საზოგადო სიკეთე თავის კერძო სიცოცხლეში გაეცვალოს, და ჩვენ ამის მეტს, არა, თუ უბრალო კაცს, გმირსაც ვერაფერს ვერ მოვთხოვთ...“[2]

ვფიქრობთ, აქ ს. მესხი უდავოდ მართალია. საერთოდ, ნათანიელ როსელის, როგორც პარიზის კომუნის აქტიური მონაწილის, უკანასკნელი დღეების გაცნობა, რომელიც ამაევ დროს საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარი დახასიათებაც იყო, ქართველ მკითხველს სარგებლობის მეტს არას მოუტანდა.

ცალმხრივადაა გარჩეული ნ. ნიკოლაძის მიერ „ეიულ ტაროს“, მაგრამ ასევე ცალმხრივია ამ საკითხთან დაკავშირებით ს. მესხის მიერ ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა კრიტიკა. ამ ნაწარმოებში ნ. ნიკოლაძისათვის ყურადღების ღირსია არა მხოლოდ საფრანგეთის ერთი პროვინციალური საზოგადოების გარყვნილი, უთავბოლო და მონური ცხოვრება, როგორც ამას ს. მესხი აღნიშნავს, არამედ ის ადგილებიც, სადაც ასახულია ტუსკრეტენის ქალაქში „ტაროს მოსვლა და ის მოძრაობა, რომელიც იმისმა აზრებმა ქალაქში მოაბდინეს“.[3]

---

1 თარგმანი საამო საკითხავ თხზულებათა, გვ. 120.

2 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 335.

3 ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი, ტ. III, გვ. 45.

ასეთი ხასიათის იყო ის პოლემიკა, რომელიც გაიმართა ს. მესხსა და ნ. ნიკოლაძეს შორის „საამო საკითხავ თხზულებათა“ ირგვლივ. ამ პოლემიკას ორმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა: ერთის მხრით, იგი ახალისებდა ქართველ ქალებს შემდგომი ლიტერატურული მუშაობისათვის, ხოლო მეორე მხრით — ხელს უწყობდა ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების გამოფხიზლებასა და განვითარებას.

უდავოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ს. მესხი დიდი ინტერესით ეცნობა დასავლეთ ევროპის და განსაკუთრებით საფრანგეთის ლიტერატურას და საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ცალკეული მწერლებისა და მათი ნაწარმოებების შესახებ.

ფრანგულ ლიტერატურაში ს. მესხი ყურადღებას ამახვილებს იმ ნაწარმოებებზე, რომელნიც გამოხატავენ საფრანგეთის დიდ რევოლუციას და მის წინა ხანას. მაგალითად, ერკმან შატრიანის „დალოცვილი ძველი დროება“ ს. მესხის თქმით ლამაზი და აზრიანი მოთხრობაა, რომელშიც აღწერილია ერთი ეპიზოდი გლეხების ცხოვრებისა საფრანგეთის დიდი რევოლუციის წინ, „მაგრამ ეს ერთი ეპიზოდიც რიგიან სინათლეს ჰფენს იმ დროების ხალხის კეპირვებულ ცხოვრებას და უჩვენებს დიდი რევოლუციის ნამდვილს მიზეზსა“.[1]

ს. მესხმა მეტად მაღალი შეფასება მისცა ვიქტორ ჰიუგოს დიდებულ რომანს „93 წელი“. ამ ნაწარმოებით აღფრთოვანებული ს. მესხი სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „თუ რომანები გიკითხავს და განსაკუთრებით თუ ვიქტორ ჰიუგოს რომელიმე თხზულება წაგიკითხავს, მაშინ კარგათ გაიგებ ჩემ მდგომარეობას და მომიტევებ კიდეც, რომ ამ „Quatie vingt treize“-ის კითხვის გამოისობით ვეო შეეიძელი ჩვეულებრივი მიწერ-მოწერა არ შემეწყვიტა შენთან. რა მშვენიერი, რა ჭკვიანური, რა გრძნობით სავსე და აღმტაცებელი რამ არის ეს რომანი. რომ მოვკიდე ხელი, ვეღარ მოვშორდი და თუმცა ფრანცუზული წიგნების კითხვა ჯერ-ჯერობით ისე გაადვილებული არა მაქვს, მაგრამ სამი კარგა მოზრდილი ტომი მაინც საკ დღეში წავიკითხე“.

ს. მესხმა მიუთითა ამ რომანის მხატვრულ სიძლიერეზედაც და აღნიშნა, რომ ადამიანი, რომელსაც ეს მშვენიერი ნაწარმოები არ მოეწონება, მოკლებულია გრძნობას.

„93 წელმა“ ს. მესხი იმდენად მოხიბლა, რომ გადაწყვიტა მისი შემოკლებით თარგმნა და, თუ საშუალება მიეცემოდა, ცალკე წიგნად გამოცემა, „დროების“ ხელმომწერთათვის უფასოდ დასარიგებლად. მან თარგმნა კიდეეაც შემოკლებით რამდენიმე თავი, რომელიც

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 165.

დაიბეჭდა 1874 წლის „დროების“ 420, 421 და 422 ნომრებში, მაგრამ იგი მეტად დაუდევრად დაისტამბა, რამაც ს. მესხის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია: „ზოგიერთი ადგილები გამოუშვიათ, ზოგი გარდაუკეთებიათ, კორექტურა ხომ ღმერთმა შეინახოს“.

ს. მესხმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა აგრეთვე ალექსანდრე დიუმას (შვილის) რომანს — „ქალი კამელიებით“ და ავტორის მიერვე ამავე რომანის საფუძველზე შექმნილ დრამას — „მარგარიტა გოტიე“.

ალ. დიუმას ს. მესხი დიდი ტალანტის მქონე მწერლად მიიჩნევს. განსაკუთრებით მოსწონს მისი „ქალი კამელიებით“, რომელშიც მკვეთრად არის გადმოცემული ცხოვრების მახინჯი მხარეები, ოჯახის დამღუპველი დესპოტიზმი.

რამდენადაც მაღალი შეფასება მისცა ს. მესხმა ალ. დიუმას ზემოხსენებულ ნაწარმოებებს, იმდენად არ მოიწონა გუსტავ ფლობერის ერთ-ერთი პირველი და ამავე დროს ბრწყინვალე რომანი „მადამ ბოვარი“.

როგორც ცნობილია, რომანში საკმაო სიმკაცრით არის დაპირისპირებული რომანტიკული ილუზიები სინამდვილესთან და ნათლადაა წარმოდგენილი ის შინაგანი წინააღმდეგობანი, რაც დამახასიათებელი იყო ბურჟუაზიული სინამდვილისათვის. ისიც ცნობილია, რომ ამ რომანის გამოქვეყნებისათვის მისი ავტორი პასუხისგებაში მისცეს, როგორც საზოგადოების, მორალის და რელიგიის შეურაცხმყოფელი.

და აი, ეს რომანი, რომელიც ჩვენი აზრით არ ჩამოუვარდება ალ. დიუმას ზემოხსენებულ ნაწარმოებს, არც მხატვრულობისა და არც იდეურობის თვალსაზრისით, — ს. მესხის მოწონებას ვერ იმსახურებს. ამიტომ იგი გულდაწყვეტილი სწერს ეკ. მელიქიშვილს: „გუსტავ ფლობერის „Madame Bovary“-ს ვათავებ დღეს, მაგრამ ისე კარგი არ არის როგორც ამბობენ, რა ვიცი მე კი ვერაფრად მომეწონა“.[1] ეს ნამდვილად გაუგებრობაა, მაგრამ როგორც პროფ. გ. ჯიბლაძე აღნიშნავს ზემომოტანილი სტრიქონების წერის დროს ს. მესხი უდავოდ „ჯერ კიდევ ბოლომდე წაუკითხავი ნაწარმოების პირველი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა“.[2]

ს. მესხის ინტერესი დასავლეთ ევროპის ლიტერატურისადმი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ გარდა ვიქტორ ჰიუგოს „93 წელი“-სა მან სხვა ნაწარმოებებიც თარგმნა და დაბეჭდა „დროების“ ფურცლებზე. ასეთებია: ალფონს დოდეს „ცუდი ზუავი“ (1875 წ.,

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, წერილები, გვ. 139.

[2] გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, ეტიუდები, I, გვ. 407.

№ 33—34), ჟერმან პიკარის „ერთი სტაქანი წყლისათვის“ (1876 წ., № 125) და კლერტის „ფრანცუზული მოთხრობა“ (1877 წ., № 48,49).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ს. მესხს ორიგინალური ნაწარმოებებიც უწერია. 1868 წელს „დროების“ 47-ე ნომერში ლაზარე მესხიშვილის ხელმოწერით დაიბეჭდა მცირე მოცულობის სცენა „ხუმრობა“. ნაწარმოებში სამი მოქმედი პირია გამოყვანილი: სომეხი ვაჭარი არშაკ პოღოსიჩი, მისი მსახური — იმერელი ბიჭი მოსიკა და ყაჩაღი სოლომანა.

ნაწარმოების ქარგა ასეთია: არშაკ პოღოსიჩი და მოსიკა შარა გზის პირას სხედან და საუზმობენ. არშაკას სოფლისაკენ მიეჩქარება, სადაც ერთ-ერთ გლეხს მისი ფული ჰმართებს. ვაჭარი ვერ ისვენებს, მანამ ამ ფულს არ ამოიგებს. საუზმის დროს საუბარი ჩამოვარდება ყაჩაღ სოლომანაზე, რომელსაც არშაკა შარშან სწორედ ამ ადგილას გაუძარცვავს. თავით-ფეხებამდე შეიარაღებული არშაკა, რომელსაც საუზმის დროს მირთმეული კახური ტვინში ულიტინებს, ტრაბახსაც იწყებს: „სოლომონჯან, ეხლა მობრძანდი თუ ყაჩაღი ხარ და დაგხვდები როგორც გეკადრება!... თუ წაგაგორე კიტრივითა ამ ჩემი ორ ლულკითა!“ ხუმრობა ხომ არ არის, შეიძლება სოლომანის მოკვლისათვის არშაკას მედალიც კი დაჰკიდონ მკერდზედ.

ამ დროს გამოჩნდება ყაჩაღი სოლომანა. არშაკა გაშეშდება და ენა ჩაუვარდება შიშისაგან. ყაჩაღი წაართმევს იარაღს, ფულს და იმ თამასუქსაც, რომლითაც არშაკას გლეხისათვის ფული უნდა გადაეხდევინებინა. სოლომანა ტყეს მისცემს თავს, გაშტერებული არშაკა კი თავში ხელებს წაიშენს და ტირილით უხმობს თავის მსახურს, რომელიც სოლომანას გამოჩენისას ტყეში მიიმალა... ფარდა ეშვება.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოხსენებული სცენა მოცულობით მეტად პატარაა, მასში მაინც ნიშანდობლივად არის წარმოდგენილი გაუმაძღარი ვაჭრის მძარცველური, მაგრამ უაღრესად მხდალი პიროვნება, რომელიც უსვინდისოდ მდიდრდება სხვების ნაოფლარით.

1870 წელს „დროების“ ოცდამეცხრე და ოცდამეათე ნომერში ს. წკეპლაძის ხელმოწერით დაიბეჭდა მოზრდილი მოთხრობა „ორი სიყვარული“. ნაწარმოები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე იშლება. ავტორი სასტიკად გმობს იმ საშინელ ჩვეულებას, როდესაც მშობლები ქალს ათხოვებდნენ ანგარიშით და ყურადღებას არ აქცევდნენ უყვარდა თუ არა ქალს მშობლების არჩეული საქმრო. ს. მესხი სასტიკად ილაშქრებს აგრეთვე ოჯახური დესპოტიზმის — მეუღლისადმი ქმრის მხეცური დამოკიდებულების წინააღმდეგ, რაც ბუნებრივი შედეგია ნაძალადევი ქორწინებისა. მეტად მძიმე და ტრაგიკულია მოთხრო-

ბის მთავარი გმირის — ანიკოს ბედი, რომელიც გაბატონებული უგუნური ტრადიციების უდანაშაულო მსხვერპლი ხდება.

„ორ სიყვარულს" მოთხრობისათვის ნიშანდობლივი ყველა კომპონენტი ახასიათებს: სიუჟეტი საკმაოდ მარტივია, მოქმედი პირები — მცირე და ამბავიც ჩქარა ვითარდება, მაგრამ მხატვრულობის თვალსაზრისით იგი ძლივს აღწევს საშუალო დონემდე.

ორი ზემოხსენებული ნაწარმოები ნათლად გვიჩვენებს, რომ ს. მესხი არ იყო დაჯილდოებული მაღალი შემოქმედებითი მხატვრული ნიჭით. როგორც ჩანს, ეს გარემოება თვით სერგეისაც უგრძნია და მუშაობა მხატვრული ლიტერატურის სფეროში „ორი სიყვარულით" დაუმთავრებია.

* *
*

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებას ს. მესხი უდიდეს საგანმანათლებლო-აღმზრდელობით ფუნქციას ანიჭებს, რომელიც აფაქიზებს და წვრთნის ადამიანის ზნეობას და კაცურ კაცად ხდის მას.

ბ. ბელინსკი შენიშნავდა: «Есть много родов образования и развития и каждое из них важно само по себе, но всех их выше должна стоять образование нравственное. Одно образование делает вас человеком ученым, другое — человеком светским, третье — административным, военным, политическим и т. д., но нравственное образование делает вас просто «человеком»[1].

ზნეობრივი აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ს. მესხს თეატრი მიაჩნდა. სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე დღიდან ს. მესხი საჯაროდ აცხადებდა, რომ „თეატრს აქვს დიდი ზემოქმედება კაცის სულიერ თვისებებზე, მის ესთეტიკურად გახსნაზე, მამაკაცობაზე, კეთილმოყვარეობაზე და სხვ."[2] მისი ღრმა რწმენით თეატრი „ხალხისნური გრძნობების გამამტკიცებელია, გრძნობების ამაღლებელი და ზნეობის გამწმენდი. სხვანაირად ესთქვათ: სულის გამაძლიერებელი, გულის გამალმობიერებელი და ვინაობის დამცველი, ერთი სიტყვით — უდიდესი შკოლაა საზოგადოებრივი ცხოვრების გახსნისათვის და წარმატებისათვის".[3]

---

[1] В. Г. Белинский, полное собр. соч., т. XII, зз. 34.

[2] „დროება", 1869 წ., № 35.

[3] „დროება", 1879 წ., № 82.

ამიტომ იყო, რომ ს. მესხი ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და სხვა ქართველ სამოციანელების მხარდამხარ იბრძოდა ქართული თეატრის აღორძინებისა და წარმატებისათვის.

ერთ-ერთ პირად წერილში ილ. ჭავჭავაძე სწერდა ილია ოქრომჭედლიშვილს: „ხომ იცი თეატრი რა დიდი რამ არის ჩვენისთანა დაცემული ხალხისათვის. მაგის მეტი ნაციონალობის ნიშანწყალი ჯერჯერობით ჩვენ არა გვაქვს რა. ეგ ერთი ადგილია, საცა ჩვენი ენა საჯაროდ ისმის და საჯაროდ მოქმედებს. ესეც საკმაოა, რომ კაცმა თავი გამოიდოს, თორემ თეატრს ხომ სხვაც ბევრი სიკეთე მოსდევს".[1] რაში ხედავდა ილ. ჭავჭავაძე ამ დიდ სიკეთეს? „სცენა იგივე შკოლაა, — წერდა ილია, — რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას, იგი ამ თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამ... სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანაც იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს აადგმევინებს, ფრთას ააშლევინებს...

ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლს ვსთხოვთ. პირველი — რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე — იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის მშვენებითა და სიმდიდრითა".

ს. მესხი სავსებით იზიარებს ამ თვალსაზრისს. მან ძალიან კარგად იცის, რომ თეატრი „ეროვნების საჯარო ნიშანია" და იგი წარმატებით მხოლოდ მაშინ გადაწყვეტს მის წინაშე დასმულ ამოცანებს, თუ ხელოვნების მაღალ დონეზე იქნება განსახიერებული არა კერძოობითი, არამედ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე მოვლენები.

ს. მესხის თეატრალურ-კრიტიკულ მოღვაწეობას ორ პერიოდად ჰყოფენ; „პირველი მოიცავს 1869—1879 წწ., და აღინიშნება ქართული პროფესიული თეატრის აღდგენისათვის ბრძოლით, ხოლო მეორე, თეატრის დაარსების შემდეგ განისაზღვრება ეროვნული თეატრალური ხელოვნების განვითარებისა, მისი ეპოქის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე დაყენების ამოცანებით, და მოიცავს მცირე დროს 1879—1883 წლებს. ამავე დროს ორივე ეს პერიოდი ს. მესხის მოღვაწეობაში ორგანიულად არის დაკავშირებული ერთი მეორესთან".[2]

ქართული თეატრისა და დრამატურგიის ჩამორჩენილობის

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, წერილები, 1949 წ., გვ. 62.

[2] ს. მ ე ს ხ ი, წერილები თეატრის შესახებ, გვ. 55.

ერთ-ერთ მიზეზს ს. მესხი იმაში ხედავს, რომ „ძველათ თეატრის უქონლობის გამო სულ არ უწერიათ ჩვენში კომედიები და არც სხვა დრამატიული თხზულებებიო“. ამიტომ ქართული თეატრის ისტორიას ს. მესხი ვორონცოვის დროს დაარსებულ გ. ერისთავის თეატრით იწყებდა. ცხადია ეს მოსაზრება მცდარია. როგორც ჩანს ს. მესხისათვის უცნობი ყოფილა ის მასალები, რომელიც ქართული თეატრისა და დრამატურგიის წარსულზედ მეტყველებენ. მაგალითად, მოგვეპოვება ბუნდოვანი ცნობები საქართველოში ანტიკური ეპოქისა და საერთოდ წარმართული თეატრის არსებობის შესახებ. პროფ. დ. ჯანელიძის აზრით, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში ნაჭარმაგევში არსებულა „სათამაშო სახლი“. „სათამაშო სახლების“ შესახებ ცნობები მოგვეპოვება აღორძინების ხანაშიაც. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ერეკლე მეორეს დროს პიესებს დგამდნენ გორში და თელავში. თელავის სემინარიაში დავით რექტორის ხელმძღვანელობით მოსწავლეები მართავდნენ სანახაობებს. სპექტაკლები იმართებოდა ზუგდიდსა და ქუთაისშიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამავე პერიოდში თეატრალური ცხოვრება გამოცოცხლებას იწყებს თბილისშიც. ამის უტყუარი საბუთია ლევან მელიქიშვილის წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი, დათარიღებული 1845 წლით: „... ახლა ტფილისის ამბები: აქ მალ-მალ ტანცაობა აქვთ, დაიარებიან ხან თეატრში, ხან ვოლტიჟორებთან აკრობატების სანახავად, ხან მექანიკურ თეატრში და ძაღლების კამედიაც არის. წარმოიდგინე სამსაეე ამ გართობას კვირაში სამჯერ წარმოდგენა აქვს და მუდამ ხალხით სავსეა“. მართალია, ეს არ არის ქართული თეატრი, მაგრამ იგი უდაოდ ამზადებს ნიადაგს ამ დიდი საქმისათვის. აქეე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში დიდ თავადთა ოჯახებში იმართებოდა შინაური წარმოდგენები, — ცხადი გახდება, რომ თეატრალური ცხოვრების მაჯისცემა, თუმცა სუსტად, მაგრამ მაინც იგრძნობა საქართველოში და, კერძოდ, თბილისშიც XIX საუკუნის 50-იან წლებამდე.

XIX საუკუნის 50-იან წლებამდე საქართველოში ადგილი აქვს დრამატურგიის განვითარებასაც. იწერება ორიგინალური პიესები, უფრო მეტი კი ითარგმნება, უმთავრესად რუსულიდან. რუსულიდანაა გადმოღებული უცხოელი დრამატურგების ნაწარმოებებიც. გოდერძი ფირალიშვილს „ვეფხისტყაოსანი“ ტრაგედიად გადაუკეთებია და უწოდებია „ინდოეთის ტახტის მემკვიდრე და სიყვარული სამშობლოსადმი“. XVIII საუკუნის 90-იან წლებშია დაწერილი ისტორიული დრამა „თეიმურაზ მეფე“, 1801—1802 წლებშია დაწერილი ალექსანდრე ამილახვარის სატირა-კომედია „მოქმედება ასტრახანში“. დრამატიული თხზულებები უწერიათ მირიან ირაკლის ძე

ბატონიშვილს, თეიმურაზ, ოქროპირ და ფარნაოზ ბატონიშვილებს. დიდად შეუწყო ხელი ორიგინალური ქართული დრამატურგიის განვითარებას გიორგი ავალიშვილმა. საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება ნათარგმნი პიესებიც: ა. პ. სუმაროკოვის „რქის მატარებლის მიერ გამოსახვა კომედიისა", „დედა რაყიფი ქალისა", „საჩხუბარი" და მრავალი სხვა. ყოველივე ზემოთქმული კი იმაზე მიგვითითებს, რომ ქართული თეატრალური სანახაობანი და დრამატიული ნაწარმოებები უცხო არ ყოფილა XIX საუკუნის 50-იან წლებამდე.

70-იანი წლების მიწურულს ს. მესხმა ზემოხსენებული თვალსაზრისი შეიცვალა: „ქართულ თეატრს თავისი ისტორია აქვს, — წერდა იგი, — ამბობენ, პირველად წარსულ საუკუნეში ყოფილა გამართული წარმოდგენებიო".[1]

მეტად მძიმე პირობებში უხდებოდათ ბრძოლა ქართველ სამოციანელებს პროფესიული თეატრის აღდგენისათვის. სავსებით სწორად აღნიშნავენ შ. სალუქვაძე და ვ. ლოლაძე, რომ თეატრის მესვეურთათვის საკმარისი არ იყო მხოლოდ ცენზურის მიერ შექმნილი ბარიერის გადალახვა. თეატრისათვის საჭირო იყო მატერიალურ-ეკონომიური ბაზა, შენობა, რეკვიზიტი, გარდერობი, სადადგმო წარმოება, ახალი პროფესიული დასი და ა. შ. ყველაფერი ეს კი შესაქმნელი და მოსაპოებელი იყო... მთავრობისაგან რაიმე დახმარების მიღებაზე ფიქრი ფუჭი ოცნება იქნებოდა, ჩვენი სამოციანელები ვერც თავადაზნაურობას დაეყრდნობოდნენ, რადგან დეგრადაციის გზაზე დამდგარ და თავის გადარჩენის აზრით შეპყრობილ კლასს მართლაც და „არ ეთეატრებოდა". გაღარიბებულ ინტელიგენციას მატერიალური დახმარება არ შეეძლო „ხოლო ქართველი არისტოკრატიის რეაქციულად განწყობილი ნაწილი გაბოროტებით ილაშქრებს თეატრის წინააღმდეგ. კლერიკალურ წრეებთან გაერთიანებული „განსწავლული" კონსერვატორები. გაზულუქებული ფეოდალები, ერთის მხრივ, რელიგიურ დოგმატებს იმარჯვებენ. მეორეს მხრივ, პლატონიზმის იდეებს და ქართველობის იმ ჯამბაზობისაგან — თეატრისაგან — „გადასარჩენად" იბრძვიან, რომელსაც მათი რწმენით თუ ურწმუნობით, ერის ზნეობრივი განადგურება-გარყვნის მოტანა შეუძლია".[2]

ქართველ მშრომელ ხალხში კი დიდი იყო მისწრაფება თეატრისადმი. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით არსებული ქართული თეატრის დახურვის შემდეგ ხალხის სიყვარულმა თეატრისადმი კვლავ ახალი ძალით იფეთქა და თავისი გამოხატულება სცენისმოყვარეთა წრეებში ჰპოვა.

---

[1] „დროება", 1879 წ., № 261.

[2] ს. მ ე ს ხ ი, წერილები თეატრის შესახებ, გვ. 38.

სცენისმოყვარეთა წრეებმა განსაკუთრებით ხშირი ხასიათი ჰიიღო XIX საუკუნის 70-იან წლებში. ამ დროისათვის გახშირდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენები არა მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში, არამედ პატარა ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებშიც კი. წარმოდგენები იმართებოდა გორში, თელავში, ოზურგეთში, შორაპანსა და ხონში. სოფელ ბანძაში წარმოადგინეს შექსპირის დრამა „შეელოხა“, სოფ. წევაში და სუჯუნაში — „სკაპენის ცუღლუტობა“, წარმოდგენები გაიმართა ენისელში, ქვიშხეთში და სხვაგან.

ს. მესხი ამ ფრიად სასიამოვნო მოვლენაში რამდენიმე დადებით მხარეს ხედავდა: ერთის მხრით, წარმოდგენების გამართვა საქართველოს მცირე ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში ხელს უწყობდა ფართო მოსახლეობის ზნეობრივ და გონებრივ განვითარებას, მეორეს მხრით, წარმოდგენიდან მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა ან ქართულსავე სცენას, ან რომელიმე სასწავლებელს, ანდა ნიჭიერ მოსწავლეთა აღზრდას. გარდა ამისა, სცენისმოყვარეთა წრეებს ეს ზნიშვნელობაც ჰქონდათ, რომ იგი კარგი სკოლა იქნებოდა, სადაც მომზადდებოდა მსახიობების საიმედო კადრი პროფესიული თეატრისათვის.

ამიტომ იყო, რომ ს. მესხი დიდი სიხარულით შეხვდა მაგალითად სოფელ ენისელში ქართული წარმოდგენის გამართვას. „ეს პირველი მაგალითია, — წერდა იგი, — რომ კახეთის სოფელში ქართული წარმოდგენა იყო. იმერეთში რამდენსამე ალაგას გამართეს... წარმოდგენები... ყურადღების ღირსი ამ გარემოებაში ის არის, რომ ყველგან, სადაც კი გამართეს წარმოდგენები, ხალხი დიდის აღტაცებით დაიარებოდა და კმაყოფილებას პოულობდა“.[1]

1875 წლის 3 თებერვალს ქართული სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს გ. ერისთავის „გაყრა“. ს. მესხს არ მოეწონა ეს წარმოდგენა, რადგან მსახიობები მეტად უფერულად ასრულებდნენ როლებს, რამაც კომედიას თავისი ღირსება დაუკარგა. ს. მესხის რწმენით „თუ მართლა ნამდვილი, ნიჭიერი აქტიორები და აქტრისები არ თამაშობენ ამგვარი კომედიების როლებს და თვითონვე არ ამშვენიერებენ, ისე იმათ ერთი უმთავრესი თვისება სასცენოთ დანიშნულის დრამატიული თხზულებისა — სცენიური ღირსება — აკლიათ. აუცილებლათ ან მანჭია იმერელი უნდა იყოს და ან სამასხროთ აღებული სომეხი, თორემ ისე ვერ ხერხდება რიგიანი წარმოდგენა ამგვარი თხზულებებისა“.[2]

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 428.
2 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 17.

სცენის მოყვარეებმა ვერ შეძლეს გ. ერისთავის კომედიის სრულყოფილად წარმოდგენა, მაგრამ თუ მაყურებელი ტაშს უკრავდა, უკრავდა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული წარმოდგენა იყო. ეს გარემოება კი, ს. მესხის რწმენით, იმაზედ მიუთითებს, თუ რამდენად დიდია ქართველი მაყურებლის ინტერესი და სიყვარული ქართული სპექტაკლებისადმი.

აქვე ს. მესხი მეტად მტკივნეულ საკითხს აყენებს, რომლის დროულად მოგვარებაზედ ბევრად იყო დამოკიდებული ქართული თეატრის აღორძინების საქმე. ეს იყო ქართული რეპერტუარის საკითხი.

ს. მესხი მშვენივრად ხედავს, რომ ჩვენი ღარიბი რეპერტუარი საკმაოდ მოძველდა. „ძველი პიესები ახლანდელი ქართველი საზოგადოების მოთხოვნილებას და გემოს ველარ აკმაყოფილებენ, რომ უფრო ახალი, უფრო თანამედროული ცხოვრების გამოხატვას ეძებს მაყურებელი სცენაზე".[1] მაყურებელს მობეზრდა ეს ძველი კომედიები, ერთგვარმა შთაბეჭდილებამ და ერთმა და იმავე პიესებმა ნერვები დაუბლაგვა მას და „სცენას აღარავითარი გავლენა აღარა აქვს" მასზე.

ქართული რეპერტუარის სიღარიბის საკითხს ს. მესხი შეეხო 1875 წელს სპეციალურად დაწერილ წერილში — „ქართული რეპერტუარი". იგი გულისტკივილით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ „ოცდაათ წელზე მეტია, რაც პირველად ითამაშეს თფილისში ქართული წარმოდგენა. რაც მას შემდეგ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ქართულ დრამატიულ ლიტერატურას შეეძინა, იმდენი დანარჩენ 25 წელს არ შესძენია" გ. ერისთავის დროს იდგმებოდა „გაყრა", „მზის დაბნელება", „ტივით მოგზაურობა" და რამდენიმე სხვა პიესა და აი, საუკუნის მეოთხედმა განვლო მას შემდეგ და ქართული სცენა ისევ ამ რეპერტუარის ამარაა. „ერთ წერტილზედ დგას ქართული რეპერტუარი და ფეხს აღარ იცვლის, წინ ნაბიჯის გადადგმას თითქოს აღარ ფიქრობს".

ამგვარი მდგომარეობა ს. მესხს ყოვლად მოუთმენლად მიაჩნია. იგი არანორმალურად თვლის იმ ფაქტსაც, რომ მართალია, ამ ხნის განმავლობაში ქართულ ლიტერატურას რამდენიმე ახალი დრამატიული თხზულება შეემატა, მაგრამ ისინი გაურკვეველი მიზეზების გამო ვერ შევიდნენ ჩვენს რეპერტუარში. ათასში ერთხელ თუ წარმოადგენენ რაფიელ ერისთავის რომელიმე ვოდევილს, მაგრამ მხოლოდ ეს ხომ ვერ დააკმაყოფილებს მაყურებლის მოთხოვნილებას?

ს. მესხი ამჩნევს რომ თეატრალურ წრეებში დამკვიდრდა მეტად მავნე ტრადიცია მხოლოდ გ. ერისთავის და ზ. ანტონოვის კო-

მედიების წარმოდგენისა, „თითქოს ამათი თხზულებანი მართლა მოლიერისა და შექსპირის თხზულებებსავით კლასიკური იყვნენ“.

ამგვარი სტატიკურობა უარყოფითად მოქმედებს არა მხოლოდ მსახიობებზე, არამედ მაყურებლებზედაც. ერთი და იგივე პიესების თამაში მეოთხედი საუკუნის განმავლობაში კი არ ზრდის მსახიობს, არამედ დისკვალიფიკაციას იწვევს, ხოლო მაყურებელს უკარგავს ყოველგვარ ინტერესს თეატრისადმი. ამიტომ, ს. მესხის აზრით, „თუ ჩვენი რეპერტუარის ამგვარმა მდგომარეობამ კიდევ რამდენსამე წელიწადს გასძლო, თუ ეს მოუშორებელი „გაყრა“, „მზის დაბნელება“ და სხვა არ შევასვენეთ ცოტა ხანს და მის ნაცვლათ უფრო ახალ-, უფრო ცხოველი კომედიები არ ვითამაშეთ ქართულ სცენაზე, დარწმუნებული იყავით, მოთამაშეებს მოჰბეზრდებათ ეს ქართული სცენა, მითუმეტეს მაყურებელ საზოგადოებას“.

ს. მესხი ხედავს, რომ საქმეს ვერ უშველა ვერც იმ კომისიამ, რომელიც 1872 წელს შედგა და რომელსაც დაევალა ზრუნვა ქართული რეპერტუარის გასამდიდრებლად. ეს კომისია რამდენჯერმე შეიკრიბა და უბრალო სჯა-ბაასით დაამთავრა საქმე.

ს. მესხი ეძებს გამოსავალს ამ მძიმე ვითარებიდან და ფიქრობს, რომ „ამ უხეირო მდგომარეობიდამ ჩვენს სცენას მხოლოდ ერთი რამ უშველის: თფილისში საკუთარი თეატრი. ერთი ან რამდენიმე ისეთი მოთავე კაცი რომ გამოჩნდებოდეს, რომელნიც იკისრებდნენ ქართულ-სომხური თეატრის გამართვას, მაშინ ჩვენ დარწმუნებული ვართ, ჩვენი ღარიბი რეპერტუარიც გამდიდრდება, ახალი დრამები და კომედიებიც გამოჩნდება, მოთამაშენიც იქნებიან და მაყურებელნიცა. და ქართულ-სომხური თეატრის გამართვა თფილისში ყოველის მხრით — სხვათაშორის ვაჭრულის მხრითაც რომ სასარგებლო იქნება, ამას მტკიცება არ სჭირიან“.

სავარაუდებელია, რომ ქართულ-სომხური თეატრის შექმნა კომერციული თვალსაზრისით შეიძლება მომგებიანი ყოფილიყო; მუდმივი თეატრი ხელს შეუწყობდა აგრეთვე მაღალკვალიფიციური მსახიობების მოზიდვასაც, მაგრამ იგი მაინცა და მაინც დიდ სარგებლობას ვერ მოუტანდა რეპერტუარის გამდიდრების საქმეს.

რეპერტუარის გამდიდრება კი, ს. მესხის მართებული რწმენით, ეროვნული დრამატურგიის განვითარების გზით უნდა წარმართულიყო და განსაკუთრებით საჭიროდ მიიჩნევდა სახალხო პიესების შექმნას. სახალხო პიესები მას ყველაზე საუკეთესო მასალად მიაჩნდა დაბა-ქალაქებისა და სოფლების სცენისმოყვარეთა წრეებისათვის. „ორი თუ სამი პიესის გარდა, — წერდა იგი, — სხვა თითქმის ყველა გადმოთარგმნილები, ანუ გადმოკეთებულები არის. მათში არა სჩანს ქართული ხასიათი, ქართველი თავის ნაციონალურს ვერაფერს

ხედავს: საფრანგეთის, რუსეთის ან ინგლისის ცხოვრებაა მათში გა-მოხატული"[1], რაც დაბა-სოფლის მცხოვრებთათვის გაუგებარია. ამიტომ ს. მესხი ჩვენი მწერლობის მოვალეობად მიიჩნევს ისეთი სასალხო პიესების შექმნას, რომელშიც ნაჩვენები იქნება ჩვენი ცხოვრება თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით.

1879 წლისათვის სავსებით მომწიფდა მუდმივი ქართული თეატრის დაარსების საკითხი. ქართველ საზოგადოებრიობაში ამ დიდი საქმისადმი თანაგრძნობის აღძერის მიზნით 1879 წლის „დროების" 20 აპრილის ნომერში ს. მესხმა მოათავსა საკმაოდ ვრცელი წერილი სათაურით „ქართული თეატრის საქმე". ეს წერილი ქართული თეატრის კონსპექტური ისტორიაა დაწყებული გიორგი ერისთავის დროდან 1879 წლამდე და ძვირფას მასალას წარმოადგენს ქართული თეატრის ისტორიის მკვლევარისათვის. წერილში ხაზგასმით არის აღნიშნული ქართული თეატრის მოყვარულთა დამსახურება ამ დიდ ეროვნულ საქმეში, აღნუსხულია მათ მიერ ჩატარებული მუშაობა. „დრო, რომელიც მოუხმარებიათ მათ ქართული თეატრისათვის, ვაი-ვაგლახი, რომელიც აუტანიათ ამ დროის განმავლობაში; ის გარემოება, რომ ხშირად თავიანთი ჯიბიდამ გადაუხდიათ თეატრის ხარჯები; ბეჯითი მიმდევრობა ერთი აზრისა და — ეს ყველა მთელი ათი წლის განმავლობაში გამუდმებით, დაჟინებით — საკმაოდ ამტკიცებს, რომ მოყვარულებს თეატრის ასპარეზზედ უმოქმედნიათ არც პირადი სარგებლობის შეძენისათვის, არც ქონების დამსახურებისათვის — (ხშირად ბევრი გაკიცხვაც მიუღიათ საქვეყნოდ) — და არც უსაქმურობით, არამედ სამშობლო თეატრის მეტისმეტი სიყვარულისა გამო, იმის სამუდამო დაფუძნებისათვის, და ვარტო ამ სიყვარულს აუტანინებია იმათთვის მრავალგვარი ზნეობითი და ნივთიერი გაჭირვება — „ამ საქმის გადამკიდე".[2]

ს. მესხის რწმენით სწორეთ ესენი არიან ნამდვილი მზრუნველნი და მოკეთენი ქართული თეატრისა და მხოლოთ მათა აქვთ უფლება მიმართონ საზოგადოებას დახმარებისათვის მუდმივი ქართული თეატრის დასაარსებლად. საზოგადოება კი მოვალეა, არაფერი დაიშუროს თავისი საკუთარი თეატრისათვის, ყოველმა მოქალაქემ უნდა გაიღოს შემწეობა და შეძლებისამებრ დაეხმაროს ამ დიდი საქმის მოთავეთ.

იმ დროს, როდესაც მუდმივი ქართული თეატრი ფეხს იკიდებდა, როდესაც თითოეულ კაპიკს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მისი აღორძინებისათვის, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ნაცვლად იმი-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 109.

[2] „დროება", 1879 წ. № 82.

სა, რომ საზაფხულო თეატრის შენობა უსასყიდლოდ დაეთმო ქართული დასისათვის, ეს შენობა რუსული თეატრის რეჟისორსა და ანტრეპრენიორს, გაქნილ სპეკულანტ პალმს (მამას) გადასცა, რომელიც ტყავს აძრობდა ქართულ დასს თითო სპექტაკლის გამართვაში. ამ გარემოებაში ს. მესხი, სავსებით მართებულად, ცარიზმის ანტიპატიურ დამოკიდებულებას ხედავდა დიდი ეროვნული საქმისადმი და აღშფოთებული წერდა: „რისთვის მიანიჭეს უფ. პალმს ამისთანა წყალობა? რისთვის იჩაგრება მხოლოდ იმის კერძო სარგებლობისათვის ქართული და სომხური სცენის საქმე? განა იმის რუსულ წარმოდგენებს, იმის ტრუპპას, რომელშიაც ორი ნიჭიერი მოთამაშე აერევია, მართლა იმდენი სარგებლობა მოაქვს ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ ამდენ წყალობად ღირდეს და რომ იმას მსხვერპლად შეეწირონ ქართულ-სომხური თეატრის საქმე?

ამბობენ უფ. პალმს ისეთი კონტაქტი აქვსო, რომ თეატრი ყოველი თავის მოწყობილობით იმის სრულ განკარგულებაში არისო; ამ კონტაქტის ძალით იმას შეუძლიანო, როცა ჰსურს მიატოვოს თეატრი და მთავრობას კი უფლება არა აქვსო, რომ ჩამოართვას ეს საქმეო... უფ. პალმს სრული უფლება აქვს, ამ კონტაქტით. მოაგროვოს ხარა-ხურა ხუთი-ექვსი მოთამაშე, გამართოს კვირაში ერთჯერორჯერ რუსული უშნო წარმოდგენები და დანარჩენი დღეები კი ქართველებსა და სომხებს მიაქირავოს თეატრი, თვითონ მზარ-თეძოზე წამოწვეს და ჩვენგან თითო ღამეში ზალისათვის აიღოს 200—300 მანეთი! ამ გვარ რუსულ წარმოდგენიდამ ვის რა სარგებლობა ექნება? ამ გვარ მოთამაშეებისაგან წარმოდგენილ დრამებსა და კომედიებს რა ზნეობითი გავლენა ექნება საზოგადოებაზე".[1]

ს. მესხს, რომელსაც მშვენივრად ესმის თეატრის უდიდესი მნიშვნელობა, საფრანგეთის მაგალითი მოჰყავს, სადაც მთავრობა წლის განმავლობაში რამდენსამე ასი ათას ფრანკს სწირავს თეატრებს „იმ განზრახვით, რომ იმათ კარგათ შეიძლონ თავიანთ დანიშნულების შესრულება". რუსეთის ცენტრალურ ქალაქებშიც მას არც ერთი თეატრი არ ეგულება, რომელსაც მთავრობისაგან დოტაცია არ ეძლეოდეს. ქართული თეატრი კი მთავრობის მიერ ბედის ანაბარად მიგდებული და ნაცვლად დახმარებისა ხელს უშლიან მის წარმატებას.

რა თქმა უნდა, სასურველია, რომ ქართულ თეატრს ხელისუფლების მხრივ მატერიალური მხარდაჭერა ჰქონდეს, მაგრამ ს. მესხმა იცის, რომ ამ საკითხის დაყენება უაზრობა იქნება, ამიტომ, მისი თხოვნა ხელისუფლების მიმართ მინიმალურია: „ფულით დახმარე-

---

[1] „დროება", 1879 წ., № 261.

ბას ჩვენ არ ვთხოულობთ მთავრობისაგან, — წერს იგი, — ჩვენთვის ისიც საკმაო იქნება, იმისთვისაც მადლობელი ვიქნებით, მთავრობა რომ მოახდენდეს განკარგულებას, რომ თეატრის ზალის ქირა არ გადაგვახდევინონ".

მუდმივი ქართული დასის ჩამოყალიბების შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ დაისვა ორიგინალური დრამატურგიის შექმნის საკითხი, რადგან უცხოურიდან გადმოკეთებული ან გადმოთარგმნილი პიესების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ სცენაზე წარმატებით ვერ მიდიოდა. ამის მაგალითია ქართული დასის მიერ წარმოდგენილი მოლიერის „ჟორჟ დანდენი". „თვითონ პიესა, — წერს ს. მესხი, — როგორც თითქმის მოლიერის ყველა კომედიები, სასცენო კომედია არის: იმაში გამოყვანილია ყველასათვის ადვილად გასაგები და ნაცნობი ტიპები, კომიკური მოქმედება არის, სასაცილო სიტყვები კიდევ უფრო მომეტებული, მაგრამ მაინც... ამ კომედიამ ისეთი მოქმედება ვერ იქონია მაყურებელზე, როგორც მოსალოდნელი იყო".[1]

მიუხედავად იმისა, რომ „ჟორჟ დანდენი" ორჯერ დაიდგა ჩვენ სცენაზე და ორივეჯერ პირველხარისხოვანი მსახიობები თამაშობდნენ, — (პირველად მთავარი როლი ჟორჟ დანდენისა ისეთმა სახელოვანმა მსახიობმა შეასრულა, როგორიც ვასო აბაშიძე იყო, მეორედ კი — არა ნაკლები ნიჭის მქონე მსახიობმა კოტე მესხმა), მაინც „როგორღაც ერთობ მოწყენილად, ერთობ მშვიდობიანათ დაიწყო და ასევე გათავდა მთელი პიესა".

ს. მესხის აზრით, ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის. იგი ამჩნევს, რომ უცხო ენებიდან ნათარგმნი პიესები, საზოგადოთ, ვერ ხეირობენ ჩვენ სცენაზედ. მთელ ნათარგმნ რეპერტუარში სამ პიესას თუ დავასახელებთ, როგორიცაა, მაგალითად, „ძალად ექიმი", „სკაპენის ცუღლუტობა" და „საგანარელი", რომელნიც წარმატებით სარგებლობენ მაყურებელში, სხვა პიესებს კი „ისე ჩაუვლიათ, რომ ამათ თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენიათ საზოგადოებაზე".

ამ მდგომარეობის მიზეზს ს. მესხი სამ გარემოებაში ხედავდა: პირველი მიზეზი ის იყო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვყავდნენ დახელოვნებული მსახიობები, რომელთაც შეეძლო მათთვის უცხო ადამიანთა სულიერი ვითარების გადმოცემა, მეორე — პიესები არ იყვნენ კარგად ნათარგმნი, რაც ანელებდა ეფექტს და სპექტაკლის დინამიურობას და მესამე — საზოგადოებას არ ესმოდა უცხო ქვეყნის ხალხის მოქმედება, ზნე და ხასიათი.

---

[1] „დროება", 1879 წ., № 200.

ამ დებულების დასადასტურებლად ს. მესხი მოლიერის „ჟორჟ დანდენს“ უპირისპირებს დიმიტრი კონსტანტინეს ძე მეღვინეთ-უხუცესის ვოდევილს „კატა აწონას“ და წერს: „რაღა თქმა უნდა, რომ „ჟორჟ დანდენი“ ერთი-ათად უფრო ხელოვნურიც, უფრო საპატენოც, უფრო ნიჭიერადაც დაწერილი თხზულება არის, ვინემ „კატა აწონა“, რომელშიაც ვერც მოქმედებას ნახავს კაცი, ვერც-რასაკვირველია, აზრსა და ვერც მაინცა-და-მაინც ჩვენებური ხალხის ხასიათსა და ჩვეულებაა. მაგრამ საკმაო იყო მხოლოთ ის, რომ ეს ვოდევილი ჩვენი ცხოვრებიდამ არის, რომ სცენაზე გამოდიან ჩვენი ნაცნობი სომხები, გლეხები, ქალები, რომ აქ გამოხატულია ჩვენებური ხალხისათვის გასაგები მოქმედება, ტირილი და სხვ. — რომ საზოგადოებას აღტაცებითა და ტაშის კვრით მიეღო ეს უაზრო ვოდევილი“.

გამომდინარე აქედან ს. მესხი ასკვნის, რომ საჭიროა ქართულმა დასმა უპირველესი ყურადღება ორიგინალურ პიესებს მიაქციოს, რომელნიც ადგილობრივი ცხოვრებიდან იქნებიან ამოღებულნი და მკაფიოდ გამოხატავენ ჩვენი ხალხის ცხოვრებას. „რას იზამ! კაცა იმის დანახვა და გაგონება უფრო ესიამოვნება და ეადვილება, რაც იცის, რასაც იცნობს“, — ასკვნის ს. მესხი.

ყოველივე ზემოთქმული ცხადია იმას არ ნიშნავს, თითქოს ს. მესხი წინააღმდეგი ყოფილიყო უცხოური პიესების თარგმნისა და წარმოდგენისა. ცნობილია, რომ იგი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ივანე მაჩაბლის მიერ იტალიელი კომედიოგრაფის, გოლდონის პიესის, — „როგორც ჰქუხს, ისე არ წვიმს“, — გადმოქართულებას და აღნიშნა, რომ „უფ. ივ. მაჩაბლისაგან იტალიურიდამ ახლად გადმოკეთებული კომედია „როგორც ჰქუხს, ისე არ წვიმს“ ჩინებული მხიარული კომედია არის. გოლდონი ერთი ნიჭიერი და უხეი მწერალთაგანია იტალიის დრამატულ მწერლობაში. და უფ. მაჩაბელი მადლობის ღირსია, რომ ის გააცნო ჩვენს საზოგადოებას“.[1]

ასეთივე მაღალი შეფასება მისცა ს. მესხმა დ. ერისთავის მიერ გადმოკეთებულ ი. ა. კრილოვის კომედიას „საძაგელი“ („Чудовище“), რომელიც დაიდგა 1879 წლის 3 ოქტომბერს. სპექტაკლის წარმატებით აღფრთოვანებული ს. მესხი წერდა: „აი წარმოდგენა, რომლიდამაც ყველამ, ვინც კი დაესწრო, სასიამოვნო გრძნობა გამოიტანა, რომელმანც ნამდვილი ესთეტიკური სიტკბოება მოგვანიჭა! კაი ხანია ამისთანა წარმოდგენა არ უნახავს ჩვენს საზოგადოებას და ასე თანხმობით, კარგათ არ უთამაშნიათ ჩვენს ტრუპპას. ერთი-ორი კიდევ ამისთანა ჩინებული წარმოდგენა და მაშინ, უეჭველია, ისი-

---

[1] „დროება“, 1879 წ., № 38.

ნიც კი დაიწყებენ ქართულ თეატრში სიარულს, რომელთაც თავის დღეში არ უვლიათ, რომელნიც ცხვირ აბზუებით უყურებენ ყველაფერ ქართულს".[1]

ს. მესხის მართებული რწმენით ნათარგმნი პიესები აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ ქართულ რეპერტუარში, მაგრამ თარგმნა უნდა წარმოებულიყო დიდი სიფრთხილით. არ უნდა თარგმნილიყო გამოგონილ და უშინაარსო სიუჟეტებზე აგებული პიესები, ანდა ისეთები, რომელნიც ძალიან დაშორებულნი იყვნენ ჩვენს ცხოვრებას. რეალისტურ თვალსაზრისზე მდგარი ს. მესხი მოითხოვდა იაეთი პიესების თარგმნას, რომელიც იქნებოდა მაღალიდეური და რომელშიც რეალურად იქნებოდა ასახული საზოგადოებრივი ცხოვრება და ამავე დროს, ეს პიესები გასაგები უნდა ყოფილიყო ქართველი მაყურებლისათვის. მაგრამ ქართულ თეატრში ძირითადი ადგილი მაინც ორიგინალურ ქართულ დრამატულ ნაწარმოებებს უნდა დაეჭირა, რადგან ორიგინალური დრამატურგია თეატრის მაცოცხლებელი ძარღვია.

ს. მესხის ზოგიერთი რეცენზია ქართულ თეატრში წარმოდგენილი სპექტაკლების შესახებ მეტად მწვავეა. იგი მოურიდებლად აკრიტიკებს არა მხოლოდ პიესას, არამედ მსახიობების მიერ მის განსახიერებასაც. კრიტიკოსი სწვდება თეატრალური ხელოვნების ყოველ დეტალს და ზოგ შემთხვევაში არ ინდობს ისეთ ნიჭიერ მსახიობებსაც კი, როგორიც იყვნენ მ. საფაროვა, ვ. აბაშიძე, კ. მესხი და სხვანი. მაგრამ ს. მესხი იმასაც აღნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში ნიჭიერი მსახიობის მიერ ამა თუ იმ როლის სუსტად განსახიერებაში თვით საზოგადოებასაც მიუძღვის ბრალი, რადგან მაყურებელი მსახიობის წამახალისებელი, აღმაფრთოვანებელი და სტიმულის მიმცემია და ქართული თეატრი, კი არც თუ იშვიათად განიცდის მაყურებელთა ნაკლებობას. „რა ხალისი, რა ხეირიანად თამაშის სურვილი უნდა ჰქონდეს მოთამაშეს, — წერს ს. მესხი, — რომელიც გამოდის თუ არა სცენაზე, საზოგადოების მაგიერად ცარიელ ლოჟებს, კრესლოებს და სკამებს ჰხედავს? ვისთვის უნდა ითამაშოს? ვის უნდა ელაპარაკოს? ვისთვის უნდა „შევიდეს როლში?" ვის უნდა მოაწონოს თავისი თამაში? ცარიელ სკამებს და კედლებს?!

ამისთანა მდგომარეობაში ჩაეარდნილ მოთამაშეს, რასაკვირველია, გაუფუჭდება გული, დაეკარგება ხალისი და რაც უნდა კარგათ მომზადებული იყოს თავის როლის წარმოსადგენად, გულ-აცრუებით ითამაშებს".[2]

---

[1] „დროება", 1879 წ., № 206.

[2] იქვე, № 238.

ამიტომ, ს. მესხი მოუწოდებს საზოგადოებას, რომ ხუ დაიშურებენ თითო მანეთს ქართულ წარმოდგენაზე დასასწრებლად. მათი დასწრება საჭიროა არა მხოლოდ ქართული თეატრის აღორძინებისა და განმტკიცებისათვის, არამედ იმიტომაც, რომ „თვით ეს თეატრი, თვით ეს ქართული წარმოდგენები მისცემენ იმათ იმდენ ესთეტიკურ სიტკბოს და სიამოვნებას, რომ უეჭველია არ დაინანებენ იმ ერთ-ორ მანეთს და თუმანსაც, რომელსაც თვეში დახარჯავენ ამ წარმოდგენაზე წასასვლელად".[1]

1879 წლის 15 სექტემბერს ახლად აღდგენილ ქართულ პროფესიულ თეატრში წარმოადგინეს დიდი რუსი დრამატურგის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილი". ს. მესხმა ვრცელი რეცენზია უძღვნა ამ წარმოდგენას. მისი ღრმა რწმენით „შემოსავლიანი ადგილის" უდიდესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი მაღალიდეური და ამავე დროს მაღალმხატვრული ნაწარმოები იყო, რომელსაც თვით ოსტროვსკის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა თავისი მამხილებელი პათოსით და ტიპიური ხასიათებით. „ოსტროვსკის კომედიაში, — წერდა ს. მესხი, — გამოყვანილია პატარა წრე, რომელშიაც, თითქო მიკროსკოპში — დაპატარავებით გამოხატულია რუსეთის მაშინდელი ცხოვრებაო".[2]

ს. მესხი არ ეთანხმება ავტორს, როდესაც იგი „შემოსავლიან ადგილს" კომედიას უწოდებს. მისი აზრით, იგი უფრო დრამაა, ვიდრე კომედია, მასში „გამოხატულია ის დრო რუსეთის საზოგადო ცხოვრებისა, როდესაც ჯერ კიდევ ძლიერი იყო ძველი წესები, ძველი წყობილება თავის ძველი ჩინოვნიკებითა და დამჟავებულ საზოგადო აზრითა და მიმართულებით. აქ გამოხატულია ის დრო, როდესაც ახალი მმართველობა ახალი აზრისა და რწმუნების კაცები მხოლოთ თითო-ოროლად ჩნდებოდნენ, თითო-ოროლად გამოდიოდნენ ასპარეზზე და იწყებდნენ მოქმედებას, ამ „ახალ კაცებს" მაშინ... არ ჰქონდათ რუსეთში არც იმდენი ძალა, არც გამოცდილება, არც მაგალითები და მაგრათ ძვალსა და რბილში გამჯდარი რწმენა, რომ ამ რწმუნებისა და ახალ აზრებისათვის შესძლებოდათ ნამდვილი ბრძოლა, ჯეროვანი წინააღმდეგობა საზოგადო მიმართულებისა და ცხოვრებისა. იმათი ძალა იყო სიტყვა; ისინი ქადაგებდნენ, ლაპარაკობდნენ. ისე მრავალნი, ისე ღონიერნი არ იყვნენ, რომ თავის სიტყვა, თავის აზრი საქმედ გაეხორციელებინათ, ეცხოვრათ და ემოქმედნაო ისე, როგორც იმათი რწმენა და აზრი მოითხოვდა".

---

[1] „დროება", 1879 წ., № 238

[2] იქვე, № 193.

ს. მესხი. მთავარ ყურადღებას ნაწარმოების იდეურობაზე და მასში გაშლილ კონფლიქტზე ამახვილებს. მას განსაკუთრებით მოსწონს პიესის მამხილებელი ხასიათი, ბიუროკრატიისა და ჩინოვნიკების მავნე, ცბიერი და უგუნურ მოქმედებათა გამომზეურება და ამის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებელი საჭიროების ღრმა შეგნება. ამიტომ ს. მესხის თქმით „ეს კომედია არ არის ისეთი უბრალო, სამასხრო და უაზრო კომედია, რომელიც ჩვენ ხშირად გვინახავს ჩვენ სცენაზე, რომლის წარმოდგენა მარტო მასხრულ სიტყვების წარმოთქმაში, გრეხა-მანჭვაში და სცენაზე ხტუნვაში მდგომარეობს.

ამგვარ ბრძოლისა და ტიპების წარმოსადგენად საჭიროა ნამდვილი ნიჭი, მცოდნე აქტიორისა და აქტრისის თამაშობა, გულ-დამჯდარად მოკიდება ხელისა, საჭიროა კარგი მომზადება და სინდისიანი შრომა“.

შეძლო თუ არა ქართულმა დასმა ა. ოსტროვსკის „შემოსავლიანი ადგილის“ დამაკმაყოფილებლად წარმოდგენა? ღრმად შეიგრძნეს მსახიობებმა კომედიის იდეური პათოსი და ჩასწვდნენ თუ არა ნაწარმოების დედააზრს? ამ კითხვებზე ს. მესხის პასუხი უარყოფითია. მართალია, შენიშნავს ს. მესხი, ქართულ თეატრს ჰყავს ისეთი ნიჭიერი მსახიობები, როგორიც არიან ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, კ. მესხი, მ. საფაროვა და ნ. გაბუნია, მაგრამ მათ ჯერ არა აქვთ იმდენი გამოცდილება, რომ უნაკლოდ წარმოადგინონ „შემოსავლიანი ადგილი“. „სამწუხაროდა, — წერს ს. მესხი, — ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჯერ-ჯერობით ამ ახლანდელ ტრუპპისათვის ცოტა არ იყოს ადრეა ამისთანა პიესების წარმოდგენის კისვრა“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ს. მესხი მთლად მართალი არ იყო. ისეთი დიდი ნიჭის მსახიობებს, რომელნიც „შემოსავლიან ადგილში“ მონაწილეობდნენ, არ გაუჭირდებოდათ მოქმედ პირთა უდავოდ რთული და ღრმა შინაარსის მქონე ხასიათების გახსნა, რომ რიგიანი რეჟისორი ჰყოლოდათ და ჰქონოდათ უფრო მეტი დრო და საშუალება სპექტაკლის მოსამზადებლად. მხედველობაშია მისაღებია გარემოებაც, რომ მატერიალურად ღარიბ ქართულ თეატრს არ გააჩნდა სათანადო დეკორაციები, კოსტუმები, ბუტაფორია და რეკვიზიტი, რაც თავის მხრივ უარყოფით გავლენას ახდენდა სპექტაკლის მსვლელობაზე. ყოველივე ამან გამოიწვია „შემოსავლიანი ადგილის“ პირველი დადგმის ჩავარდნა, რაც მწუხარებით აღნიშნა ს. მესხმა და გულწრფელად ინატრა, რომ „მეორედ ამ პიესის წარმოსადგენად უფრო მომზადებულნი და უფრო დახელოვნებულნი გამოსულიყვნენ სცენაზე ჩვენი მოთამაშეები“.

1880 წლის 13 მაისს მარიამ საფაროვა-აბაშიძის საბენეფისოდ ქართულმა დასმა წარმოადგინა ალ. ყაზბეგის დრამა „ერთი უბ-

დურთაგანი". ეს იყო მოხეევის პირველი დრამატული თხზულება. სპექტაკლში სახელოვან ქართველ მსახიობთა გვერდით დრამის ავტორიც მონაწილეობდა.

16 მაისს გაზეთ „დროებაში" სპექტაკლისა და პიესის ირგვლივ დაიბეჭდა ს. მესხის რეცენზია. რეცენზენტმა არ მოიწონა ალ. ყაზბეგის ნაწარმოები. მისი აზრით „მოჩხუბარიძის პიესაში არავითარი დრამა არ მოიპოვება. სცენაზედ სწარმოებს რთული წუწუნი და კვნესა თავიდამ ბოლომდე. თუ იყო რამე დრამატიული ნინოს ცხოვრებაში ავტორმა დამალა ანტრაქტში, ისე რომ ნამდვილი დრამა უსათუოდ სწარმოებს სცენის იქით; არ არის ნაჩვენები ნინოს მდგომარეობა და ცხოვრება ლახვარიძის სახლში. არ არის გამოყენებული ნინოს ცხოვრება მას აქეთ, რაც მას სვიმონმა დაუკარგა უმანკოება და ყმაწვილქალობა და სხვა. ნინო (საფაროვის ქალი) თავიდამ ბოლომდე კვნესის. კვნესის მაშინაც როდესაც სალომე აყვედრის ლუკმა-პურს; კვნესის მაშინაც, როდესაც ესალმება ავ დღეს და იწყებს ახალ ცხოვრებას. ეს კვნესა მართალია გვიმტკიცებს, რომ ნინო უბედურია, მაგრამ ცარიელი კვნესა დრამას ვერ შეადგენს. დრამისათვის საჭიროა სიცოცხლე, ბრძოლა, სწორეთ ის, რასაც მოკლებულია მოჩხუბარიძის თხზულება. გარდა ამისა, ყველა პიესა უნდა იყოს რთული რამ, თავსა და ბოლოს შუა უნდა არსებობდეს რაიმე დამოკიდებულება და კავშირი. ესეევ დამოკიდებულება უნდა არსებობდეს აგრეთვე მომქმედ პირთა და თვითონ მოქმედობას შორის. ამგვარი არა არის რა მოჩხუბარიძის თხზულებაში".[1]

მოთხოვნილებანი, რომელიც ს. მესხმა დრამატულ ნაწარმოებს წაუყენა, სავსებით მართებული და კანონიერია. რეცენზიაც უდავოდ გულწრფელადაა დაწერილი და ავტორი არავითარ ტენდენციურობას არ ამჟღავნებს, მაგრამ მას მხედველობიდან გამორჩა ის გარემოება, რომ დრამა არ ყოფილა წარმოდგენილი იმ სახით, როგორც იგი დაიწერა. დრამატიულმა კომიტეტმა და დასის წევრებმა დრამა შეამოკლეს, ამ ოპერაციამ კი უარყოფითად იმოქმედა დრამაზე, რასაც ალ. ყაზბეგიც შენიშნავდა: „დანარჩენმა მოქმედებამ უფრო სუსტად გაიარეს, ჯერ ერთი იმის გამო, რომ პიესის ანუ ინტრიგის დამაკავშირებელი ამოგლიჯეს და მეორეც ისა, რომ უმთავრეს როლს პიესაში, მეტად დრამატიულსა და ძნელს, დრამის არტისტკა არ შეხვდა"-ო.[2]

უდავოდ მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოებაც, რომ „ერთი უბედურთაგანი" ალ. ყაზბეგის პირველი დრამატული ნაწარ-

---

1 „დროება", 1880 წ., № 103.

2 ალ. ყ ა ზ ბ ე გ ი, თხზულებანი, ტ. III, 1949 წ., გვ. 621.

მოები იყო, რომელსაც, რა თქმა უნდა, ჰქონდა რიგი მნიშვნელოვანი ხარვეზებისა, მაგრამ იგი მაინც მეტი მხარდაჭერის ღირსი იყო, რაც ავტორს შემდგომი მუშაობის სტიმულს მისცემდა. ს. მესხის რეცენზიაში და აგრეთვე მომდევნო რეცენზიაშიც, რომელიც 1880 წლის „დროების“ 104-ე ნომერში დაიბეჭდა, ავტორებმა ყოველივე ეს ყურადღების გარეშე დატოვეს.

ს. მესხი ახლოს იცნობდა თეატრალურ ცხოვრებას და თავისუფლად ერკვეოდა მის დეტალებში. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ თეატრის ძირითადი დასაყრდენი ძალა მსახიობი იყო, რომლის კეთილგონიერებაზე, მაღალ მორალურ თვისებებზე და პატრიოტულ სულისკვეთებაზე ბევრად იყო დამოკიდებული თეატრალური ცხოვრების აღორძინება. „ყოველ წევრს ტრუპისას, — წერდა იგი, — უნდა ახსოვდეს, რომ ის მარტო ჯამაგირისა და ჯილდოს მიღებისათვის არ გამოდის სცენაზე, უნდა ახსოვდეს ისიც, რომ ის ქართულ სცენას ემსახურება, რომ საზოგადოთ სცენის მსახურს და განსაკუთრებით ქართული სცენისას არ შეჰფერის ვერცხლ-მოყვარეობა და მატერიალურ ინტერესის ერთობ გულმოდგინედ გამოდევნება.

ერთი სიტყვით, ჩვენი აზრი ეს არის, რომ თუ ამ საქმეში, მატერიალურ ინტერესს გარდა, ცოტა მაინც ზნეობითი მხარეც იქნება შეტანილი, თუ ტრუპპა არ დაივიწყებს, რომ ქართულ საქმეს ემსახურება, მაშინ ჩვენი ქართული თეატრისა და ტრუპპის საქმე კარგად წავა. თუ არა და ისე დაიფუშება, როგორც ადრე დაფუშულა“.[1]

ს. მესხს ყურადღების გარეშე არ რჩებოდა მსახიობთა მოქმედების არც ერთი დეტალი. მისთვის სულ ერთი იყო დიდი და პატარა მსახიობი და ყოველ მათგანს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებდა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო სცენიური სახის განსახიერების დროს. განსაკუთრებით მკაცრი იყო ს. მესხი იმ მსახიობთა მიმართ, რომელნიც დაუდევრად ეკიდებოდნენ როლის შესწავლის საქმეს. „დრო არის, — წერდა იგი, — მოთამაშეებმა მიაქციონ ყურადღება როლების სინდისიერად შესწავლას და მხოლოდ ისე გამოსვლას სცენაზე; რით ვერ გაიგეს, რომ, თუ როლი არ იცის, ნიჭიერი მოთამაშეც კი ვერას გაარიგებს სცენაზე და როლის კარგად მცოდნე აქტიორი, ცოტა ნიჭიც რომ ჰქონდეს, მაყურებელს არ შეაწუხებს მაინც, თუ კარგათ ვერ ითამაშა“.[2]

ს. მესხმა ძალიან კარგად იცის, რომ დრამატული ნაწარმოების უმთავრესი ელემენტი მოქმედებაა და მსახიობიც ვალდებულია ყუ-

---

[1] „დროება“, 1879 წ., № 121.

[2] იქვე, № 227.

რადღება სწორედ ამ გარემოებაზე გაამახვილოს. ამიტომ ს. მესხი არა ერთგზის უთითებდა მსახიობებს, რომ „ნამდვილი კომიზმი კომიკურად თამაშში მდგომარეობს და არა კომიკურად სიტყვების წარმოთქმაში. მიხვრა-მოხვრა, მოქმედება კომიკისა უნდა იყოს სასაცილო და არა სიტყვები; ლაპარაკის დროსაც ჩვენი მოთამაშეები მაგრად წარმოთქმენ, თითქო ხაზს გაუსმენ ხოლმე იმ სიტყვებს, რომლებმაც, იმათი აზრით, საზოგადოების ყურადღება უნდა მიიპყრონ და მაყურებელი გააცინოს. ამას მხოლოთ სუსტი და ფარსიორი აქტიორი მოთამაშე იკადრებს. „ნამდვილი მოთამაშე კი თავის დღეში არ დაგრეხს სიტყვას არასოდეს არ დაიმანჭება არც თვითონ თამაშის დროს. კარგათ წარმოთქმული სიტყვა, რიგიანი მიხვრა-მოხვრა და ჟესტიკულაცია თავის-თავად, ძალ-დაუტანებლად, მოთამაშესაგან ხელის-მიუთითებლად მიიქცევს პუბლიკის ყურადღებას“.

ს. მესხს მშვენივრად ესმოდა, რომ სცენიური სახის ოსტატურად შესრულებისათვის საჭირო იყო მეტყველების ოსტატურად შერწყმა მოქმედებასთან. საერთოდ სცენიურ მეტყველებას და მსახიობთა მიერ ქართული ენის დაცვის საკითხს ს. მესხი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში აყენებდა. მსახიობი მოვალეა შეიმუშაოს დიქცია და სცენაზედ დინჯად და მკაფიოდ იმეტყველოს. სცენა ის ტრიბუნაა, საიდანაც უნდა ხალხს წმინდა ქართული მეტყველება ესმოდეს, ამიტომ ს. მესხი წინააღმდეგია დიალექტების უხვად გამოყენებისა. მას არ მოსწონს, როდესაც მსახიობები „მხოლოდ იმერლების და სომხების ლაპარაკის უშნო“ წაბაძვასა და დაცინვას ცდილობენ. ამგვარი წაბაძვისათვის ს. მესხმა მწვავედ გააკრიტიკა კ. ყიფიანი, რომელიც „ვენეციელ ვაჭარში“ შვეიკის როლს ასრულებდა. „ჩვენ გვიკვირს, — წერდა იგი, — რად უქცევდა ჩვენებურ ურიულად ლაპარაკის კილოს უფ. კ. ყიფიანი? შეელოხა ხომ ვენეციელი ურიაა და არა ქუთაისელი და შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“ ,ხომ სიტყვა-სიტყვით გადმოთარგმნილი დრამაა და არა ქართულს ხასიათზე გადმოკეთებული“.[1]

ამ საქმეში და საერთოდ სცენიური კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლაში ს. მესხი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პროფესიონალ რეჟისორს, როგორც გზის მაჩვენებელს, რომელიც თითქმის არასოდეს არ ჰყოლია ქართულ სცენას 70—80-იან წლებში. ეს იყო მიზეზი, რომ ყველა ისე თამაშობდა, როგორც მათ ესმოდათ და ეხერხებოდათ და ნაკლები ყურადღება ექცეოდა მსახიობის ამპლუას. ს. მესხის აზრით კი საჭირო იყო მსახიობის ამპლუაზე ყურადღების გამახვილება. ამიტომ იგი არა ერთგზის აღნიშნავს, რომ

---

[1] ს. მესხი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 374.

„ყველას ის უნდა მოეთხოვოს, რის ასრულებაც შეუძლიან, რასაც ნიჭი აძლევს ნებასო“.

როგორც მწერლობა, ასევე ქართული თეატრი ს. მესხს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის და ხალხის კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნდა, ამიტომ იგი მწერლებისგანაც და მსახიობებისგანაც მოითხოვდა შეესწავლათ ცხოვრება. „სწავლა, განათლება, ცხოვრების ცოდნა და გამოცდილება“ — აი, რა იყო საჭირო მწერლისა და მსახიობისათვის ს. მესხის მართებული რწმენით.

ს. მესხის მთელი ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა, — მისი რეცენზიები, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, კრიტიკული წერილები და თეატრალური სტატიები დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონეა, რომელნიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან XIX საუკუნის 70—80-იანი წლების ლიტერატურული და თეატრალური ცხოვრების შესახებ. მაგრამ ამ წერილების უდიდესი მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ისინი ჩვენს თანამედროვეობასაც ეხმაურებიან. ს. მესხის მიერ წამოყენებული და გადაჭრილი მრავალი საკითხი დღესაც აქტუალურია ქართველი მწერლებისა, კრიტიკოსებისა და თეატრალურ მოღვაწეთათვის.

70—80-იან წლებში ქართული თეატრის საკითხებით სხვა პერიოდული ორგანოებიც არიან დაინტერესებულნი. ამ მხრივ უდავოდ საყურადღებოა ჟურნალ „მნათობის“ მოღვაწეობა.

„მნათობის“ მართებული რწმენით, თეატრი როგორც განათლებული, ასევე განათლების მაძიებელი ხალხისათვის საუკეთესო სკოლაა, „თეატრი არის ცხოვრების პატარა ასპარეზი, სადაც ჩვენ ვხედავთ სხვა და სხვა ცხოვრების სურათებს ჩვენი დიდი და ვრცელი ცხოვრებიდგან არჩეულს და გამოკრებილს, შესანიშნავი რაიმე მხრით და ჩვენი ცხოვრებისათვის გამოსადეგს და სამოძღვრებელს“.[1]

„მნათობის“ რედაქციისათვის სავსებით გარკვეულია თეატრის აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო როლი ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ამიტომ მან ბევრი რამ გააკეთა მუდმივი ქართული თეატრის დაარსებისა და ქართული რეპერტუარის შექმნისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ „დროებასა“ და „მნათობს“ შორის საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან პრობლემებზე ცხარე პოლემიკა მიმდინარეობდა, თეატრის როლისა და მნიშვნელობის საკითხში ისინი ძირითადად ერთ თვალსაზრისზე იდგნენ.

დიდია აგრეთვე „ივერიის“ დამსახურება ქართული მუდმივი თეატრის დაფუძნებისა და აღორძინების საქმეში. გარდა ილ. ჭავჭა-

---

1 „მნათობი“, 1869 წ., № 7—8, გვ. 87.

ვაძისა თეატრის საკითხებზე „ივერიაში“ წერდნენ პ. უმიკაშვილი, გრ. ყიფშიძე, გ. თუმანიშვილი, ილ. ჭყონია და სხვები.

„ივერია“ ქართულ თეატრს ორ ძირითად ამოცანას უყენებდა: „პირველი — რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე — იგი უნდა იქნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზე უნდა წამოდგეს მთელი თავისი შვენებითა და სიმდიდრითა“.[1]

როგორც „დროებამ“, ასევე „მნათობმა“ და „ივერიამ“ დიდი საქმე გააკეთეს ქართული თეატრის აღორძინებისათვის, მაგრამ ისინი მაინც არ იყვნენ სპეციალური გამოცემები, რომელნიც არსებითად თეატრალურ საკითხებზე იმსჯელებდნენ.

80-იანი წლებისათვის უკვე იმდენად მომწიფდა საკითხი სპეციალური თეატრალური პერიოდული ორგანოს დაარსებისა, რომ მისი გადადება აღარ ხერხდებოდა. და აი, 1885 წლის 1 ივლისიდან ვასო აბაშიძის რედაქტორობით გამოსვლას იწყებს ყოველკვირეული ლიტერატურული და სამხატვრო გაზეთი „თეატრი“, რომელმაც 1890 წლამდე იარსება. ეს იყო პირველი სპეციალური თეატრალური ჟურნალი, რომელიც აშუქებდა თეატრისა და სცენიური ხელოვნების საკითხებს, ეხებოდა ქართული თეატრის ისტორიას, მსჯელობდა ქართულ დადგმებზე, რეპერტუარზე და სხვ.

გამოსვლის პირველივე დღიდან „თეატრი“ დაუპირისპირდა „დროებას“ და განსაკუთრებით „ივერიას“. 1890 წლიდან კი „თეატრმა“ არსებითად პოლიტიკური ორგანოს სახე მიიღო და უფრო გაამწვავა პოლემიკა „ივერიასთან“.

მიუხედავად ამისა „თეატრმა“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართული თეატრის და რეპერტუარის აღორძინებისა და სცენიური კულტურის დახვეწის საქმეში, რითაც პირნათლად მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე.

---

[1] „ივერია“, 1879 წ., № 2.

ბრძოლა დემოკრატიზმის პრინციპებისათვის სახალხო განათლებაში

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში არსებითი ხასიათის გარდატეხა მოხდა, — ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლა დრომოჭმულ ფეოდალურ წყობილებასა და აღმავლობის გზაზე მდგარ კაპიტალიზმს შორის, ამ უკანასკნელის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა.

ბატონყმობის გაუქმების შემდეგ საქართველოში საკმაოდ სწრაფი ტემპით წარიმართა მრეწველობის განვითარება კაპიტალისტური გზით. „70-იანი წლებიდან საქართველოს მრეწველობაში დგება ახალი ხანა: ამ დროიდან სწრაფად და ფართო მაშტაბით ვითარდება ფაბრიკა-ქარხნებისა და რკინიგზების მშენებლობა, აგრეთვე სამთამადნო მრეწველობა, და საფუძველი ეყრება კაპიტალისტურ ინდუსტრიალიზაციას".[1]

კაპიტალიზმის განვითარების პროცესი შედარებით ნელი ტემპით შეიმჩნევა სოფლის მეურნეობაშიც. ვ. ი. ლენინი შენიშნავდა, რომ „ახალი სამეურნეო ორგანიზმი, რომელიც ჩვენში ბატონყმური ნაჭუჭიდან გამოდის, არის სავაჭრო მიწათმოქმედება და კაპიტალიზმი... სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა რუსეთში განუწყვეტლივ მიმდინარეობს, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, და ეს სავაჭრო მიწათმოქმედება გარდაუვლად იქცევა კაპიტალისტურ მიწათმოქმედებად, თუმცა ამ გადაქცევის ფორმები უაღრესად მრავალფეროვანია და იცვლება ცალკეულ რაიონებში".[2]

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი საქართველო-

---

[1] საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, ტ. II, 1962 წ., გვ. 51.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 149.

შიც, — სავაჭრო მიწათმოქმედების ზრდა კაპიტალისტურ ხასიათს იღებდა.

არსებითი ხასიათის ცვლილებანი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მშვენივრად შენიშნა სამოციანელთა იდეურმა ბელადმა ილია ჭავჭავაძემ. „ყოველი კაცი, — წერდა იგი, — რომელსაც კი თვალებზედ ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყველაფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან“.[1]

სამოციანელებმა მკაფიოდ დაინახეს, რომ ცვლილებები ხდებოდა ან აუცილებლად უნდა მომხდარიყო ცხოვრების ყოველ დარგში და მათ შორის სახალხო განათლების სისტემაშიც.

ზრუნვა ხალხის და განსაკუთრებით მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლებისათვის ქართველი სამოციანელების სამოქმედო პროგრამის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა. ნამდვილი სახალხო სკოლა იყო მათი მართებული რწმენით „უმეცრებისა და უსწავლელობის წამალი“, ერის განათლებისა და აღორძინების უმნიშვნელოვანესი საშუალება. „საერო (ანუ სახალხო, ი. ბ.) სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე, — წერდა ილ. ჭავჭავაძე, — საზოგადოდ ის არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი, გაუჩარხოს გულის-ყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმართოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდს ჭკუა-გონება მართლმსჯელობისა და თვითმსჯელობისა. საერო სკოლამ უნდა მოუმზადოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენათ, რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუპირველბლივ გაუძღვეს იმ სულიერს და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის უმრავლესობა სულს იბრუნებს, სულითა და ხორცით იღწვის და მოქმედებს“.

საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებამ ქართველ სამოციანელებს ნათლად აგრძნობინა როგორც ტექნიკური, ასევე სასოფლო-სამეურნეო ცოდნის მქონე ახალგაზრდობის მომზადების აუცილებლობის საკითხი.

როგორც ს. მესხი, ასევე სხვა ქართველი საზოგადო მოღვაწენიც, მშვენივრად ხედავდნენ იმ უდიდეს ნაკლს, რაც ახასიათებდა ცარიზმის მიერ შემუშავებულ კლასიკური განათლების სისტემას, რომელიც მიზნად ისახავდა უურმოჭრილ მოხელეთა აღზრდას, რომელთაც არ ექნებოდათ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი და ცხოვრების ცოდნა. მართებულად შენიშნავს ო. ქინქლაძე, რომ

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრული კრებული, ტ III, 1953, გვ. 56.

„კლასიკური განათლების თეორია თვითმპყრობელური წყობილების განმტკიცების პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა და სწორედ ამიტომ იცავდა მას მეფის მთავრობა“.[1]

ცარიზმის მიერ დანერგილი კლასიკური განათლების მთელი სიმწვავე საკუთარ თავზე ჰქონდათ გამოცდილი ქართველ სამოციანელებს და მათ შორის ს. მესხსაც, ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი სასტიკად ილაშქრებდნენ მის წინააღმდეგ. ქართველმა სამოციანელებმა კლასიკურ განათლებას რეალური განათლება დაუპირისპირეს და ამ უკანასკნელის აშკარა უპირატესობა აღიარეს.

გაზ. „დროება“ და მისი რედაქტორი ს. მესხი სასტიკად ილაშქრებს ცხოვრებისაგან მოწყვეტილი სწავლების წინააღმდეგ. ივი კატეგორიული სიმკვეთრით აყენებს აღზრდის ხალხურობის პრინციპს და მოითხოვს სწავლების დაკავშირებას ცხოვრებასთან და შრომასთან. და ეს სავსებით გასაგებია, რადგან, როგორც პროფ. დ. ლორთქიფანიძე შენიშნავს „აღზრდის ხალხურობის პრინციპი დამახასიათებელია მთელი რუსული კლასიკური პედაგოგიკისა და უწინარეს ყოვლისა მისი ისეთი წარმომადგენლებისათვის, როგორიც არიან ბელინსკი, გერცენი, დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკი. უშინსკიმ კი ეს პრინციპი მთელი პედაგოგიური სისტემის ერთიანი საფუძვლის დონეზე აიყვანა“.[2] ს. მესხი, რომელიც კარგად იცნობდა და იზიარებდა ზემოხსენებული კლასიკოსების მოძღვრებას, ბუნებრივია, აღზრდაში ხალხურობის პრინციპის ერთგულ დამცველად უნდა გამოსულიყო. ხალხურობა ს. მესხს ესმოდა, როგორც ხალხის სურვილი თავისი ეროვნული მეობის შენარჩუნებისა და როგორც მიზანსწრაფვა წინსვლისაკენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში, იქნებოდა იგი ეკონომიური თუ ინტელექტუალური.

ამიტომ ს. მესხი განსაკუთრებულ ყურადღებას სოფლის სახალხო სკოლებზე ამახვილებს და მტკიცედ მოითხოვს სოფლის ახალგაზრდობის შეიარაღებას „ცხოვრებაში გამოსადეგი სწავლით“. „იყო დრო, — წერს იგი, — როდესაც სწავლას უყურებდნენ, როგორც სულის გამამშვენიერებელ სახსარს, როდესაც სწავლა უნდოდათ მარტო სწავლისათვის, ცოდნისათვის და არა ცხოვრებაში გამოსაყენებლად... საზოგადოდ კი ეხლა მეცნიერებას ისე უყურებენ, როგორც ცხოვრების გამაუმჯობესებელს სახსარს და ამიტომაც განათლებულ ქვეყნებში იმისთანა საგნებს მიაქციეს უყურადღება, რომელიც ყოველი კაცის ცხოვრებაშია გამოსადეგი, მაგ. მეურნე-

---

[1] ო. ქინქლაძე, „დროება“ და აღზრდის საკითხები, გვ. 74.

[2] დ. ლორთქიფანიძე, კ. დ. უშინსკის პედაგოგიკური მოძღვრება, 1955, გვ. 169.

ობა, კაცისა და ცხოველის აგებულების ცოდნა და საზოგადოთ ბუნების კანონების გამოკვლევა, მედიცინა, ტექნოლოგია და სხვ. ყველა ეს საგნები საჭიროა ყოველი კაცისათვის და განსაკუთრებით კი იმისათვის, ვისაც პირდაპირ ბუნებასთან აქვს საქმე. მაშასადამე, ჩვენი მდაბიო ხალხისათვის, რომელსაც უმთავრესად ბუნების კანონებთან აქვს საქმე, რადგან ის მიწისმუშა ხალხია, ყველაზე უფრო საჭიროა ამნაირი საგნების ცოდნა. ჩვენი აზრით ჩვენი სახალხო შკოლების დანიშნულებაც ის უნდა იყოს, რომ გარდასცეს ხალხს ამისთანა ცხოვრებაში გამოსადეგი ცოდნა".[1]

ამრიგად, ს. მესხი სახალხო განათლების სისტემაში ისეთივე კატეგორიულობითა და პრინციპულობით იბრძვის უვარგისი პრინციპის წინააღმდეგ — „სწავლა სწავლისათვის", როგორც ხელოვნებაში — „ხელოვნება ხელოვნებისათვის". საღი თვალსაზრისი ს. მესხს ცხოვრებასთან სკოლის უახლოესი კავშირის უპირატესობას აღიარებინებს, რადგან ღრმად სწამს, რომ ახალგაზრდობის მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, მათი შრომითი აღზრდა სრულფასოვანი ადამიანის ფორმირების აუცილებელი პირობაა.

ს. მესხი კარგად იცნობს მოწინავე პედაგოგიურ თეორიას, რომელზე დაყრდნობითაც იგი აღზრდის მიზანსა და მთავარ დანიშნულებას, კ. დ. უშინსკის მსგავსად, მოზარდი თაობის ცხოვრებისათვის მომზადებაში ხედავს.

კ. დ. უშინსკი შენიშნავდა, რომ „თვით აღზრდა, თუ მას ადამიანისათვის ბედნიერება სურს, მას უნდა ზრდიდეს არა ბედნიერებისათვის, არამედ ამზადებდეს შრომისათვის, ცხოვრებისათვის".

ერთ-ერთ უაღრესად საყურადღებო წერილში, რომელშიც ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების საკითხია განხილული, ს. მესხი ავითარებს დიდი რუსი პედაგოგის თვალსაზრისს და წერს: „აღზრდის დანიშნულება ის არის, რომ ყმაწვილი ცხოვრებისათვის მოამზადოს. ჩვენ იმიტომ ვზრდით და ვასწავლით ჩვენ შვილებს, რომ შემდეგ ისინი თავისთავისათვის და საზოგადოებისათვისაც გამოსადეგნი შეიქნენ. უეჭველია, რომ ყოველ აღმზრდელს და მასწავლებელს ეს უნდა ჰქონდესთ სახეში და იმის დაგვარათ იქცეოდნენ, როცა ისინი საზოგადოებისათვის მომავალ წევრებს ამზადებენ".[2]

ს. მესხი, რომელიც მშვენივრად გრძნობდა ეპოქის შესაბამისი პროფესიული განათლების აუცილებელ საჭიროებას, მკვეთრად აყენებდა სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური განათლების გავრცელების საკითხს. ს. მესხის გაგებით შეიძლება რომელიმე ქვეყანაში

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 41—42.

[2] ი ქ ვ ე, 130—131.

საკმაო რაოდენობით იყოს ფაბრიკა-ქარხნები და მარმარილოს სასახლეები, იყვნენ მილიონების პატრონებიც, მაგრამ ხალხის ფართო ფენები გაუნათლებელნი იყვნენ. ამა თუ იმ ქვეყნის კეთილდღეობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ს. მესხი მოსახლეობაში განათლების თანაბარ გავრცელებას მიიჩნევს, მაგრამ, ძირითადად, განათლება ღარიბ მშრომელ მოსახლეობაში უნდა ვრცელდებოდეს, რადგან „ყოველი სახელმწიფოს ძალა მდაბიო ხალხია.. და... ვერაფერი ვერ მისცემს რომელიმე ერს ისეთ ძალას, როგორსაც მისცემს განათლების გავრცელება ამ მდაბიო ხალხში“.[1]

მდაბიო ხალხის განათლების აუცილებლობის საკითხი მთელი სიმწვავით დგას არა მხოლოდ „დროება“-„კრებულის“, არამედ „მნათობის“ წინაშეც.

„მნათობსაც“ ღრმად სწამს, რომ განათლება სახელმწიფოს ეკონომიური პროგრესის აუცილებელი პირობაა.

„მნათობის“ თანამშრომლები — ა. ფურცელაძე, მ. ქიქოძე, გ. იოსელიანი, დ. ჯანაშვილი და სხვები ისეთი განათლების მომხრენი არიან, რომელსაც საყოველთაო გამოყენება აქვს და რაიმე პრაქტიკული შედეგი და სარგებლობა მოაქვს.

გამოყენებითი ცოდნის გავრცელების წინააღმდეგი არც „დროება“-„კრებული“ ყოფილა და მათ გარკვეული გზებიც კი დასახეს პრაქტიკული ცოდნის გასავრცელებლად, მაგრამ „მნათობი“ იმდენად გაიტაცა მხოლოდ და მხოლოდ სარგებლიანობის პრინციპმა, რომ აშკარა უკიდურესობამდე მივიდა; მაგალითად, ჟურნალის თანამშრომელმა ა. ფურცელაძემ მუსიკის შესწავლა აბსოლუტურად უსარგებლო საქმედ მიიჩნია.

„მნათობის“ თანამშრომელთა უმრავლესობას ყველაზე გამოსაყენებლად საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელება მიაჩნია, რადგან „ბუნების მეცნიერების“ ცოდნა აუცილებელი პირობაა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. განვითარებული სოფლის მეურნეობა კი, „მნათობის“ რწმენით, საქართველოს ეკონომიური აღორძინების საწინდარია.

ამავე თვალსაზრისს ავითარებს „დროება“ და მისი რედაქტორი — ს. მესხი.

70-იან წლებში ს. მესხის მთელი ყურადღება სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო სკოლების გახსნისაკენაა მიმართული და თავის ამ მოსაზრებას იგი შემდეგი მსჯელობით ასაბუთებს: „ბევრჯელ თქმულა, და ეს უთქმელადაც ცხადია, რომ ჩვენი ქვეყანა ყვე-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 38.

2 იხ. „მნათობი“, 1871 წ., № 5, გვ. 87.

ლაზე უწინ მეურნეობის ქვეყანაა... თვით ბუნებას, ისტორიულ ცხოვრებას მოუნიჭებია ჩვენთვის მეურნეობა.

მეურნეობიდამ უნდა მოველოდეთ ჩვენ ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებას და წარმატებასა. ის არის და ის უნდა იყოს ერთად ერთი წყარო ჩვენი ცხოვრებისა. მაშასადამე, იმაზე, ამ მეურნეობაზე და მიწის შემუშავებაზედ უნდა გვქონდეს ჩვენ უმთავრესი ყურადღება მიქცეული... მაგრამ ნაცვლად ამისა რას ვხედავთ? ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველი ქართველი, თუ ცოტათი რამ განათლება მიუღია, სტოვებს თავის ადგილ-მამულს მიწა-წყალს და შედის სამსახურში ან სხვა რაიმე საქმეს ჰკიდებს ხელს. რას ეამბობ განათლებულებზე! თვით გლეხიც ასე იქცევა: ისიც ყოველ წამს მზათ არის მიატოვოს თავის მამული (თუ კი გააჩნია). რისგან არის ეს? იმისაგან, რომ ჩვენი მეურნეობა ისევ იმავე მდგომარეობაშია, როგორც ჩვენი მამა-პაპების დროს ყოფილა, ისევ იმავე მიწას ვხნავთ, ისევ იმავე სამეურნეო იარაღებით, იმავე ხერხით".[1]

საქართველოში უხვად მოიპოვება ბუნებრივი სიმდიდრე. კლიმატური პირობები მრავალი კულტურის მოყვანის საშუალებას იძლევა, მაგრამ ქართველ გლეხს არა აქვს საიმისო არც პრაქტიკული და არც თეორიული ცოდნა, რათა გამოიყენოს ბუნებისაგან მომადლებული სიმდიდრე. სახალხო სკოლები, რომელნიც კანტი-კუნტად მოიპოვებიან ცალკეულ სოფლებსა თუ დაბებში სრულიად არ ითვალისწინებს ახალგაზრდობის მომზადებას ნამდვილი ცხოვრებისათვის.

შეიძლება თუ არა რიგიანი „სახელოსნო და სასწავლო შკოლების" გახსნა ჩვენ სოფელში? ს. მესხი აქ რაიმე გადაულახავ დაბრკოლებას ვერ ხედავს. სასკოლო შენობის და მიწის ნაკვეთის გამოძებნა სოფლად ძნელი არ არის. არც ხელობის მასწავლებლის მონახვა იქნება ძნელი, რადგან „ყოველ სოფელში რომელიმე ხელოსანი კაცი მოიპოვება ხოლმე ან მჭედელი ან ხურო ან ხარატი ან ხარაზი ან მეჭურჭლე და ან სხვა რომელიმე. ყოველი ხელოსანი მისცემს ნებას რამდენიმე შაგირდებმა იარონ იმასთან და ისწავლონ იმის ხელობა". ს. მესხის აზრით, შედარებით უფრო ძნელია ისეთი მასწავლებლის გამონახვა, რომელსაც გლეხზე უკეთ ეცოდინება სოფლის მეურნეობა. მაგრამ იგი ამ მდგომარეობიდანაც ხედავს გამოსავალს. მისი წინადადებით „ჩვენში არის რამდენიმე სამაგალითო ფერმები, რომელშიაც, რასაკვირველია, უკეთესი სახსრებით და უფრო მომეტებული ცოდნით მოჰყავთ სხვა და სხვა მიწისა და ხის ნაყოფები. ამ ფერმებიდან გამოსული შაგირდები, მე მგონია ჯერ-ჯერობით ივარგებენ ზემოხსენებული საქმისათვისო".

[1] „დროება", 1878 წ., № 207.

მაგრამ, გარდა ამისა, სოფლის სკოლებისათვის საჭიროა ისეთი მასწავლებლებიც, რომელნიც ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერების საფუძვლებს შეასწავლიან მოსწავლეებს. ამ დაბრკოლების გადალახვა, ს. მესხის აზრით, სამასწავლებლო სემინარიების დაარსებით არის შესაძლებელი, რომელნიც სწორედ სოფლის სკოლებისათვის მოამზადებენ ხელრიან მასწავლებლებს.

მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულის გარდა, იყო ერთი გარემოება, რომელსაც უფრო სერიოზული ჩაფიქრება უნდოდა. ეს იყო უკიდურესი სიღარიბე ქართველი გლეხობისა, რომელიც ხალხში განათლების გავრცელების უდიდეს ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა. „ცარიელი კუჭის პატრონს რა ეწიგნება?.. გააძღე ჯერ და მერე მიეცი წიგნი ხელში... ჯერ ჩააცვი, შემოსე და მერე ასწავლე. ასეა ღარიბი კაცის საქმე; ის პირველად იმას ცდილობს, რომ მშიერი არ დარჩეს, ის მთელი წელიწადი შრომობს იმისათვის, რომ წლის სამყოფი ნამუშევარი მოიყვანოს და იმით დაარჩინოს თავის თავიც და თავის ცოლ-შვილიც“.[1]

ამიტომ, ს. მესხის რწმენით, სწავლა-განათლების გავრცელებისათვის, ხალხის გონებრივი განათლებისათვის აუცილებელია ოდნავ მაინც დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობა. თვით სოფლის სკოლის შენახვაც ხომ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და როგორ გაიღებდა გლეხი ამ ხარჯს, თუ არაფერი ებადა? „თუ კაცმა თავის ცხოვრება გააუმჯობესა,... მაშინ დარწმუნებული იყავით, რომ ის დაიწყებს ზრუნვას სულისათვისაც, ე. ი. მაშინ შეუძლიან იმას იფიქროს სწავლაზე და თავის ჭკუის განათლებაზეც“. ს. მესხის ეს მსჯელობა უშუალოდ გამომდინარეობს ნ. ჩერნიშევსკის თვალსაზრისიდან, რომელიც ფიქრობდა, რომ „საზოგადოებრივი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო აუცილებელი წინასწარი საშუალება განათლების გავრცელებისა და ზნე-ჩვეულებათა გაუმჯობესებისათვის“.[2]

მაგრამ, ს. მესხის აზრით, ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ გულხელდაკრეფილნი ვისხდეთ და არაფერი გავაკეთოთ შვილების აღზრდისათვის, ვიდრე არ გავმდიდრდებით. ეს ძალიან დაგვიანებული და ალბათ შეუძლებელიც იქნება, რადგან სიმდიდრის წყარო ცოდნაა, რომელსაც ბევრი სიკეთე მოაქვს. ამიტომ „ყოველი კეთილი და სასარგებლო საქმისათვის კაცმა ცოტა უნდა მოითმინოს, ცოტა უნდა გაიჭირვოს... მაუდის ჩოხის ან აბრეშუმის ახალუხის

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ 43, 49.

[2] ნ. გ. ჩ ე რ ნ ი შ ე ვ ს კ ი, რჩეული პედაგოგიური შეხედულებანი, 1933, გვ. 57.

მაგივრად რო უბრალო შალის ჩოხა და უბრალო ჩითის ახალუხი ჩაიცვათ — არაფერი არ იქნება, მაგრამ ჩვენი შვილი რო უსწავლელი დავაგდოთ შინ — ეს კი ბევრს შეადგენს, ისიც უნდა გვქონდეს სახეში, რო ყოველი სწავლა რასაკვირველია, სარგებლობას მოუტანს თვით ცხოვრებაში კაცს, რადგან სწავლული უფრო მალე და უკეთაც მოძებნის ცხოვრების ღონისძიებას და საშუალებას. ერთი სიტყვით ეს ორი საქმე — სწავლა და შეძლება, ერთი მეორეზეა დამოკიდებული. თუ კაცი განათლებულია, ის უეჭველად მოიპოვებს ცხოვრების საშუალებას და თუ კაცი შეძლებულია, რასაკვირველია იმას ადვილად შეუძლია განათლდეს და შვილებსაც მისცეს ჯეროვანი განათლება".[1]

სწორედ ეს რწმენა ამოძრავებდა ს. მესხს, როდესაც იგი თავგამოდებით იბრძოდა ორივე ფრონტზე: იღწვოდა როგორც ხალხის განათლებისათვის, ასევე მისი მატერიალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისაც.

რა თქმა უნდა, ს. მესხის ზემომოტანილ მოსაზრებებში ზოგი რამ უდავოდ უტოპიურია. ამას ავტორი თვითონაც გრძნობდა და დასძენდა: „რასაკვირველია... ეს ყოველი ისე ადვილი გასაკეთებელი და მოსახდენი არ არის, როგორც ადვილად იწერებაო", მაგრამ ღრმად იყო დარწმუნებული, რომ სასოფლო-სამეურნეო და ტექნიკური სკოლები ფართო მასების მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყო და თუ ხალხის დახმარებით და „მმართებლობის შეწევნით" ამგვარი სკოლები მრავლად გაიხსნებოდა, მას დიდი სიკეთის მოტანა შეეძლო.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ როდესაც კავკასიის ტექნიკურმა საზოგადოებამ თბილისში სპეციალური სახელოსნო სკოლა გახსნა, ს. მესხი სიხარულით შეხვდა ამ კარგ წამოწყებას და მოუწოდა საზოგადოებას და ადგილობრივ ხელისუფლებას, რათა მეტი ყურადღება და გულისხმიერება გამოეჩინათ ამ სკოლისადმი.

ს. მესხი აღფრთოვანებით შეეგება აგრეთვე ლოქინის სამეურნეო სკოლის გახსნას (1871 წ. 20 თებერვალს), რომელიც მიზნად ისახავდა, მოემზადებინა კვალიფიციური კადრი სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში (მებაღეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა და სხვა).

1876 წლის 3 ოქტომბერს სოფელ მეჯვრისხევში გაიხსნა სახელოსნო სკოლა. დამტკიცებული პროგრამით სკოლაში უნდა ესწავლებინათ საღვთო წერილი, ქართული და რუსული წერა-კითხვა, არითმეტიკა. ხატვა, დურგლობა, მჭედლობა, ხარაზობა და მება-

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 49—50.

ღეობა. ს. მესხმა მოიწონა დამტკიცებული პროგრამა, რომელიც, მისი აზრით, სავსებით აკმაყოფილებდა ამ ტიპის სკოლის მოთხოვნილებას. მაგრამ, მან ძალიან კარგად იცოდა, რომ საქმე მარტო პროგრამის შედგენით არ ამოიწურებოდა. საჭირო იყო ამ პროგრამის კეთილსინდისიერად განხორციელება, წინააღმდეგ შემთხვევაში სკოლა დაკარგავდა თავის პირდაპირ დანიშნულებას. „მეჯვრისხევის შკოლა, — წერდა იგი, — პირველი სახელოსნო შკოლაა ჩვენში, რომელიც ქართლში ხალხმა გახსნა თავის ხარჯით. აი, ამიტომ უფრო სასურველია, რომ ამ შკოლის საქმე თავიდამვე რიგიანათ წავიდეს, რომ ამის მაგალითს სხვა სოფლებმაც მიბაძონ და იზრუნონ ამ საქმისათვის, რომელიც, უეჭველია, ერთს უმთავრესს საშუალებას შეადგენს ჩვენი ამ ჟამად დაცემული ხალხის ყოველ მხრივ წინწაწევისათვის“.[1]

ს. მესხი გრძნობდა ამ ტიპის სკოლების უდიდეს სარგებლობას და 1879 წელს თბილისისა და ქუთაისის სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკების წინაშე დააყენა საკითხი, რათა მათ თავისი შემოსავლის გარკვეული ნაწილი მოეხმარებინათ ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სკოლების გასახსნელად და შესანახად. ბანკებს უნდა ეზრუნათ ამ სკოლების კეთილმოწყობაზე, მოსწავლეთა აღზრდაზე და აგრეთვე ამ სკოლებიდან გასული ნიჭიერი ახალგაზრდობის უმაღლეს განათლებაზედაც, რადგან „ეს მიწის-შემმუშავებლები თავიანთ სწავლა-ცოდნას ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენის მეურნეობის გაუმჯობესებას მოახმარენ და ამნაირად იმ მიწა-წყლიდამ, რომლიდამაც დღეს, ვსთქვათ, მანეთი გვაქვს შემოსავალი, ისინი ამოიღებენ ექვს, შვიდ აბაზს და ორ მანეთს, — მხოლოდ მაშინ ვიტყვით ჩვენ, რომ ჩვენმა საადგილმამულო ბანკებმა ნამდვილი და ჭეშმარიტი სარგებლობა მოუტანა ჩვენს ქვეყანას“.[2]

მაგრამ ს. მესხი გრძნობდა, რომ ტიპიური ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო სკოლების მასიურად გასხნა საქართველოს სოფლებსა და დაბებში, შორეული მომავლის სანეტარო ოცნებად რჩებოდა, რადგან მათი დაარსება მრავალ დაბრკოლებასთან იყო დაკავშირებული. შედარებით უფრო იოლი იყო სოფლად სახალხო სკოლების ქსელის გაშლა, მაგრამ ეს სკოლები არ შეიძლებოდა ყოფილიყო იმ პერიოდში მოქმედი სკოლების მსგავსი. ს. მესხის აზრით, ჩვენს მომავალ სახალხო სკოლებში, გარდა წერა-კითხვისა და არითმეტიკისა, უნდა ესწავლებინათ მეურნეობა და „ზოგიერთი ხელოს-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 257.

[2] „დროება“, 1879 წ., № 90.

ნობა“ და საერთოდ მიეცათ ისეთი ცოდნა, რომელიც ყოველთვის გამოადგებოდათ ცხოვრებაში.

მოქმედი სკოლების დიდი უმრავლესობა კი ვერ აკმაყოფილებდა გლეხობის მოთხოვნილებას, რასაც ს. მესხიც მშვენივრად ხედავდა: „საქმე მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, — წერდა იგი, — რომ შკოლა გახსნა და სწავლის ფასი დანიშნო, თვითონ გლეხები უნდა ხედავდნენ და გრძნობდნენ, რომ ამ შკოლაში იმათი შვილები სწავლობენ რასმე და რომ ეს სწავლა პირდაპირ ცხოვრებაშია იმათთვის გამოსაყენებელი“.[1]

მშრომელი გლეხობა კი სრულიად საწინააღმდეგოს გრძნობდა და ხედავდა, რამაც მოსწავლეთა განთესვა და სხვადასხვა მაზრებში სკოლების დახურვა გამოიწვია. ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას სერიოზულად გამოერკვია სკოლების დახურვის მიზეზი და ქმედითი ღონისძიებანი გაეტარებინა მათ შესანარჩუნებლად, სრული გულგრილობით შეხვდა ამ სავალალო მდგომარეობას და სკოლების დახურვაში გლეხობა დაადანაშაულა.

მაგალითად, 1878 წლის გაზეთ „ობზორის“ 264-ე ნომერში, შორაპნის მაზრის უფროსმა ეფიმოვსკიმ დაბეჭდა ცილისმწამებლური ხასიათის წერილი, რომელშიც ურცხვად აცხადებდა, რომ შორაპნის მაზრის ზოგიერთ სოფელში სკოლების დახურვა ადგილობრივი გლეხობის სიძუნწის შედეგად მოხდა, რადგან მათ არ გადაიხადეს კუთვნილი „სკოლის ფულიო“.

„დროებამ“ სასტიკად გაილაშქრა ეფიმოვსკის ამ ცილისმწამებლური განცხადების წინააღმდეგ და საჯაროდ განაცხადა, რომ სკოლამ გლეხობა მოატყუა. თავდაპირველად ხალხი უკანასკნელ გროშს არ ზოგავდა განათლების საქმისათვის, ააშენა სკოლები, დაიქირავა მასწავლებლები, გულმოდგინედ და წესიერად იხდიდა კუთვნილ გადასახადს, რადგან „შკოლიდამ მოელოდა თავის შემაწუხებელ მდგომარეობის შემსუბუქებას. ეგონა: შვილს გავზრდი შკოლაში, წერა-კითხვას და ცოტა სხვა რამეს რომ შეისწავლის, მაშინ უკეთ მომეხმარება ჩემს ოჯახობაში, უფრო ადვილად და მომეტებულსაც იშოვის ლუკმა-პურს, ოჯახობაც უკეთ ეცოდინებაო“, მაგრამ მის იმედებს ცივი წყალი გადაესხა: „გლეხის შვილები სამოოთხი წელიწადი დაიარებოდნენ შკოლებში, შინაურულ მუშაობაშიც სცდებოდნენ და სკოლაშიაც ქართული წერა-კითხვა ვერ შეისწავლეს რიგიანათ, არა თუ სხვა რაიმე პრაქტიკული, ხალხისათვის გამოსაყენებელი საგნები... რად გაგიკვირდებათ, რომ ამის შემდეგ ხალხმა აიცრუა გული ამგვარს შკოლებზე? რად გაგიკვირდებათ,

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 151.

რომ ის ცდილობს დაკეტოს ამგვარი შკოლები, რომელთაც იმისათვის არავითარი პირ-და-პირი სარგებლობა არ მოაქვს“.

ხალხთა ფართო მასების გაუნათლებლობის მიზეზებს ს. მესხი სხვა გარემოებაშიც ხედავს. ის ამჩნევს, რომ დაბალი საზოგადოების ერთ ნაწილს არ ესმის, თუ რა სარგებლობა მოაქვს სწავლა-განათლებას ადამიანისათვის. მეორე ნაწილს ამავე საზოგადოებისას, თუმცა ესმის განათლების მნიშვნელობა, მაგრამ მატერიალური სახსარი არა აქვს, რომ შვილი სკოლაში მიაბაროს, გარდა ამისა, სკოლაში მოსიარულე ბავშვი მას ოჯახში აკლდება, როგორც მუშა ხელა, რაც უარყოფითად მოქმედებს მის ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე.

შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად ს. მესხს საჭიროდ მიაჩნია, სახელმწიფო ჩაერიოს საქმეში და შემოიღოს ე. წ. „ვალდებულებითი სწავლა“. ს. მესხი საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის, შვეიცის, ამერიკის და ევროპის სხვა ქვეყნების მაგალითზე მიუთითებს, რომ იქ ყველგან სავალდებულო სწავლება კანონად არის აღიარებული და მშობელი „რომელიც წერა-კითხვას არ ასწავლის თავის შვილს, სასჯელს მიეცემაო“.

შეიძლება თუ არა, ეს კანონი ჩვენშიც გამოიყენონ? შეიძლება თუ არა, გლეხს ძალა დავატანოთ, აუცილებლად ასწავლოს ბავშვს, იმ დროს, როდესაც არავითარი საშუალება არა აქვს სწავლის ქირის გადახდისა? ანდა შეიძლება ძალა დავატანოთ გლეხს, რომელსაც მუშახელი უჭირს, სამეურნეო საქმეებს მოაცდინოს და სკოლაში ატაროს შვილი? ეს საკითხები მეტად რთული მოსაგვარებელია და მათ ფრთხილად სჭირდება მიდგომა.

ს. მესხის აზრით, იმ პირთ, რომელთაც შეუძლიათ სწავლის ფასის გადახდა და რომელთა ოჯახსაც შვილის მოშორება ბევრს არაფერს დააკლებს, სახელმწიფომ ძალა უნდა დაატანოს, რათა შვილები სკოლაში მისცენ, ხოლო ხალხის მომეტებულ ნაწილს, რომელსაც მძიმე მატერიალური მდგომარეობა აქვს და სწავლის ქირის გადახდა არ შეუძლიან, სახელმწიფო ხაზინამ უნდა მოუმართოს ხელი.

მაგრამ რა საშუალებით შეიძლება ამ საქმის მოგვარება? აქ ს. მესხი საკმაოდ გონივრულ წინადადებას იძლევა. მან იცის, რომ ყოველი სახელმწიფო ძალიან დიდ თანხებს ხარჯავს სამხედრო საჭიროებისათვის, ამიტომ ეს სახელმწიფოები „ძალიან კარგს იზამდნენ, რომ სამხედრო ხარჯებს ცოტას მაინც მოუკლებდნენ, განსაკუთრებით მშვიდობიანობის დროს და ამ ფულებს ხალხის განათლებას მოახმარდნენ“. თუ ეს საქმე გადაწყდა, მაშინ შეიძლება ისიც მოგვარდეს, რომ სავალდებულო სწავლება უფასო გახდეს და ღარიბ ხალხს შესაძლებლობა მიეცეს შვილების სწავლა-განათლებისა.

ს. მესხის ღრმა რწმენით, ამას თვით სახელმწიფოსათვისაც ექნება უაღრესად დიდი მნიშვნელობა; „ამ ხალხის გამოზრდას, განათლებას, — წერს იგი, — უეჭველია, თვითონ სახელმწიფო სიმდიდრეზედაც დიდი გავლენა ექნებოდა, რადგან ჭეშმარიტებაა, რომ რაც ხალხი უფრო განათლებულია, უფრო მდიდარიც არის და მდიდარი და განათლებული ხალხი ძლიერიც არის; იმას სხვა ხალხების სამხედრო ძალის არასოდეს არ შეეშინდება". ასე ფიქრობს ს. მესხი და ამიტომ დაჟინებით მოითხოვს საყალდებულო უფასო სწავლებას, რადგან იგი ქვეყნის განვითარებისა და ძლიერების მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნია.

ს. მესხის ყურადღების ცენტრში მხოლოდ სოფლის სკოლები არ იყო. იგი ასეთივე დიდი ინტერესით ადევნებდა თვალყურს საქალაქო სკოლებს, გიმნაზია იქნებოდა იგი, სასულიერო და საოსტატო სემინარია, თუ რეალური სასწავლებელი.

მაგალითად, ქუთაისის გიმნაზიას, ამ ერთადერთ საშუალო სასწავლებელს მთელს დასავლეთ საქართველოში, ს. მესხი ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. „ქუთაისის გიმნაზიას, — წერდა იგი, — ჩვენს გონებითს ცხოვრებაში ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა და შემდეგშიაც ექნება, რომ იმის ბედი და მდგომარეობა ჩვენთვის საინტერესო უნდა იყვესო".

1876 წელს სასწავლო უწყების წინაშე დაისვა საკითხი, თუ რა სახე უნდა მიეღო ქუთაისის გიმნაზიას, რომლის პროფილიც მანამდე, თუ შეიძლება ითქვას, გაურკვეველი იყო, ე. ი. გადაკეთებულიყო იგი ტიპიურ კლასიკურ გიმნაზიად თუ რეალურ სასწავლებლად?

ს. მესხმა ამ საკითხს სპეციალური წერილი უძღვნა სათაურით „ქუთაისის გიმნაზია". ვიდრე საკითხს უშუალოდ გასცემდა პასუხს, ს. მესხმა განმარტა, თუ რა განსხვავება არსებობს კლასიკურ გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებელს შორის. მისი სიტყვით, კლასიკური გიმნაზიისათვის ის არის დამახასიათებელი, რომ იქ „უფრო მომეტებულათ ლათინურსა და ბერძნულ ენებს და ისტორიის სწავლას ეტანებიან. ამ გიმნაზიებში კურს-შესრულებულებს აქვთ უფლება სხვა და სხვა ლიცეიებში და უნივერსიტეტებში შევიდნენ". რაც შეეხება რეალურ სასწავლებელს, აქ „უფრო რეალურ საგნებს ასწავლიან და აქედან გამოსულებისათვის ყველა უმაღლესი სპეციალური სასწავლებლების კარები ღიაა, როგორც მაგალითად: სამეურნეო აკადემიებისა და ინსტიტუტებისა, ტეხნოლოგიური ინსტიტუტისა, საექიმო აკადემიისა და სხვ."[1]

---

[1] ს. მ ე ს ხ ი. თხზულებანი, ტ. II, გვ. 192.

რომელი ტიპის სასწავლებელს უნდა მისცემოდა უპირატესობა — რეალურ სასწავლებელს თუ კლასიკურ გიმნაზიას? ქუთაისის გუბერნიას რომ ორი საშუალო სასწავლებელი ჰქონოდა, მაშინ ს. მესხის წინადადებით ერთი რეალურ სასწავლებლად გადაკეთდებოდა, ხოლო მეორე კლასიკურ გიმნაზიად, მაგრამ ვინაიდან ორი სასწავლებლის გახსნა შეუძლებელი იყო, ამიტომ ს. მესხი გვთავაზობს შერეული ტიპის სასწავლებელს, სადაც კლასიკური გიმნაზიის კურსიც იქნებოდა და რეალური სასწავლებლისაც და რომ ასეთი გიმნაზიის კურსდამთავრებულს უნივერსიტეტებშიც შესძლებოდათ შესვლა და სხვა სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებშიც. ს. მესხის რწმენით ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ „ქუთაისის გუბერნიას თითქმის ერთნაირად ესაჭიროებოდა როგორც უნივერსიტეტიდან გამოსული კარგი მასწავლებლები, იურისტები, ფილოლოგები, აგრეთვე სპეციალურ სასწავლებლებში კურს-შესრულებული ტეხნიკები, მეურნეები, ექიმები, ინჟინრები და სხვა“.

ს. მესხი გულწრფელად ურჩევდა ქუთაისის თავადაზნაურობას, ეთხოვათ უმაღლესი მთავრობისათვის შერეული ტიპის გიმნაზიის დამტკიცება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დაახლოებით ასეთივე ტიპის სასწავლებლის დაარსებას უჭერს მხარს ჟურნალი „კრებული“.

„კრებული“ დაბეჯითებით თხოულობს ისეთ სასწავლებელს, სადაც ახალგაზრდობა მიიღებს როგორც ჰუმანიტარულ, ასევე საბუნებისმეტყველო განათლებას.[1]

მიუხედავად იმისა, რომ ს. მესხი კარგად გრძნობს პროფტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო განათლების საჭიროებას, გიმნაზიას, მაინც თავისებურ მნიშვნელობას ანიჭებს. „ყველას, ვისაც განათლებულსა და ნასწავლს ვეძახით, იქ მიუღია და იქ დაუსრულებია თავიანთი სწავლა-განათლებაო“. ს. მესხი ხედავდა, რომ სხვადასხვა გარემოებათა გამო უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მცირე რიცხვს შეეძლო სწავლის გაგრძელება, ეს კი ერთგვარად ზრდიდა გიმნაზიების პასუხისმგებლობასა და ვალდებულებას, რადგან ს. მესხის გაგებით ძირითადად გიმნაზიებში უნდა გაზრდილიყო „ესრეთ-წოდებული მოწინავე, განათლებული ნაწილი საზოგადოებისა და მოგეხსენებათ, რომ ამ საზოგადოების ნაწილზე მთელი ხალხის წარმატება და თითქმის ბედიც“ იყო დამოკიდებული.

ასრულებენ თუ არა ჩვენი გიმნაზიები მათზე დაკისრებულ მძიმე მოვალეობას? სვამს კითხვას ს. მესხი და თბილისისა და ქუ-

---

[1] იხ. „კრებული“, 1871 წ., № 3.

თაისის კლასიკური გიმნაზიების მუშაობის მაგალითზე დამაჯერებლად ასკვნის, რომ როგორც თბილისის, ასევე ქუთაისის გიმნაზიებში და თბილისის რეალურ სასწავლებელშიც მდგომარეობა მეტად სავალალოა.

ს. მესხი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გიმნაზიის მასწავლებლებში და მოსწავლეებში ადგილი აქვს ჯაშუშობას, ერთმანეთის დაბეზღება მათ სანუკვარ საქმედ მიაჩნიათ. ზოგიერთი მასწავლებლის ზნეობრივი დონე იმდენად დაბალია, რომ მევახშეობასაც კი ეწევა და პროცენტებით ასესხებს ფულს. მოსწავლეთა ცემა-ტყეპა ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ არც მოსწავლენი რჩებიან ვალში უხიაგ პედაგოგებს და „შაგირდებიც სცემენ მასწავლებლებს". გიმნაზიის ხელმძღვანელობა მოწაფეებს ერეკება სკოლიდან იმის გამო, რომ ქართული წიგნი, გაზეთი, ან ჟურნალი დაუნახა, ან თუ მოწაფე ქართულ წარმოდგენას დაესწრო. მეტად დაბალია ზოგიერთი მასწავლებლის მომზადების დონე და შეუფერებელია სწავლების მეთოდები.

ცხადია, ასეთ პირობებში გიმნაზიები ვერ აღზრდიდნენ ჯანსაღ თაობას, რომელსაც შესაძლებლობა ექნებოდა ამა თუ იმ საქმის რიგიანად წარმართვისა.

რა გამოსავალი არსებობდა ამ საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად? ამ საკითხზე 1877 წელს თავისი მოსაზრება გამოთქვა გაზეთმა „თბილისის მოამბემ". მისი აზრით, ვინაიდან „საგმოსწავლო უმაღლესი მთავრობა" დაშორებული იყო გუბერნიის გიმნაზიებს, არ ხერხდებოდა მათზე კონტროლი და ზედამხედველობა, ამიტომ, გაზეთის აზრით, „უმჯობესი იქნებოდა, თუ გიმნაზიები ადგილობრივ ადმინისტრაციას (გუბერნატორებს) დაექვემდებარებოდნენ, რომელიც კონტროლს გაუწევდა გიმნაზიების მუშაობას".[1]

ს. მესხმა კატეგორიულად უარყო „თბილისის მოამბის" წინადადება. მისი აზრით, თუკი შესაძლებელი იქნებოდა, რომ რიგიან ადმინისტრატიულ მთავრობას ეხელმძღვანელა და კონტროლი გაეწია გიმნაზიების მუშაობისათვის, რატომ არ შეიძლებოდა, რომ „ამგვარივე მთავრობა თვით სამასწავლებლო უწყებაშიც" მონახულიყო? და განა „ადმინისტრატიულ მთავრობას" ექნებოდა იმდენი პედაგოგიური გამოცდილება, რომ გაძღოლოდა გიმნაზიის მუშაობას? ს. მესხის ღრმა რწმენით, ამ საქმეს გუბერნატორები და მისი ჩინოვნიკები თავს ვერ გაართმევდნენ. საჭირო იყო თვით სამასწავლებლო უწყებას ეზრუნა გიმნაზიების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ეს კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ იგი

---

[1] „თბილისის მოამბე", 1877 წ., № 26.

პასუხისმგებლობით მოეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. „კავკასიის სამასწავლებლო უწყების მთავრობას, — წერდა ს. მესხი, — სამი პირი შეადგენს: სამასწავლებლო მზრუნველი და ორი მისი თანაშემწე — სამაზრო ინსპექტორები. თუ ეს სამი პირი რიგიანათ, პატიოსნად აასრულებენ თავიანთ მოვალეობას, თუ ისინი, როგორც კანონი მოითხოვს, ისე დაიელიან ყოველ წელიწადს რამდენჯერმე ყველა გიმნაზიებს, სასტიკათ მოეპყრობიან ამ გიმნაზიის უფროსებს ყოველს უწესობაში და უხეირობაში, დარწმუნებული იყავით, რომ მაშინ ჩვენი გიმნაზიების საქმე ბევრად უკედ წავა, ვინემ დღეს მიდის. მაგრამ მაგარი ეს არის, რომ ზოგიერთს ჩვენს სასწავლებლებს საზოგადოთ და განსაკუთრებით ჩვენს საშუალო სასწავლებლებს — გიმნაზიებს ამისთანა მცოდნე, თავის მოვალეობის აღმასრულებელი და ენერგიული გამგებლები და უფროსები არა ჰყავს. ღუბერნატორებისა და საზოგადოთ ადმინისტრაციის კონტროლი, ამ შემთხვევაში, ვერას მოეხმარება. სასწავლებლების ზედამხედველებად და გამგებლებად სპეციალისტებია საჭირო და არა პოლიციის ჩინოვნიკები“.[1]

ს. მესხს არა ერთხელ გამოუთქვამს საყვედური ქართველი საზოგადოების მიმართ იმ გულგრილობისათვის, რომელსაც იგი საგანმანათლებლო საქმეებისადმი იჩენდა. განსაკუთრებით მწვავე იყო ეს საყვედური ახალგაზრდობის მიმართ.

ს. მესხი, რომელიც კარგად იცნობდა ჩვენი ცხოვრების ვითარებას, ახალგაზრდობის გულგრილობის მიზეზს მის არა სწორ აღზრდაში და უვარგის გარემოში ხედავდა, ამიტომ, ნაწილობრივ ამართლებდა კიდეც ახალგაზრდობის ამგვარ საქციელს. „როგორი აღზრდა, როგორი განათლება მიგვიცია ჩვენი შვილებისათვის? და სწავლის შესრულების შემდეგ რა ცხოვრების მორევში ჩაგვიყენებია, როგორი საზოგადოებით ყოფილა გარე-შემორტყმული? ვინ ამხნევებდა, რა მაგალითები მიუძღოდა იმას წინ, როდესაც პირველად შედგა ცხოვრებაში ფეხი?“[2] აი კითხვები, რომელნიც აფიქრებენ და აწუხებენ ს. მესხს, მაგრამ უფრო მეტად მას ის გარემოება აშფოთებს, რომ ყველა ზემოხსენებულ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითი პასუხის გაცემა შეიძლება. საზოგადოებას არაფერი მიუცია ახალგაზრდობისათვის და ამიტომ მას არცა აქვს უფლება „ბევრი რამ მოსთხოვოს“ მას. სახალხო განათლების მახინჯი სისტემა ძირშივე სპობს ახალგაზრდობის უმრავლესობაში ჯანსაღ სულს და პასუხისმგებლობის გრძნობას თავისი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

ამიტომ, როდესაც 1879 წლის 6 თებერვალს გაიხსნა პირველი

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ 296.

[2] „დროება“, 1879 წ., № 31.

ქართული სკოლა, ს. მესხი დიდი აღფრთოვანებით შეეგება მას და იგი მიიჩნია ისეთ სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებად, რომელიც ახალგაზრდობაში ჩანერგავდა გულწრფელ სიყვარულს თავისი ქვეყნისა და დიდი ეროვნული საქმეებისადმი. „ყველაზედ უფრო ჩვენ იმიტომ გვახარებს ამ შკოლის გახსნა, — წერდა ს. მესხი, — რომ იმედი გვაქვს იმაში ისადგურებს ნამდვილი ქართული სული, ქართული ხასიათი, იქ არ დაავიწყდებათ ყმაწვილებს, რომ ისინი საქართველოს შვილნი არიან, რომ ისინი შემდეგში თავის ქვეყანას უნდა ემსახურონ, რომ საქართველოს ხალხისათვის იზრდებიან ისინი. რა კეთილ ნაყოფს მოიტანს ამგვარი ხასიათის შკოლა — ეს ცხადია". ამიტომ, ს. მესხი მოუწოდებდა საზოგადოებას, ყოველი ღონე ეხმარათ, რომ სკოლა ყოველმხრივ სანიმუშოდ მოეწყოთ, „სხვა არა იყოს-რა, ჩვენი თავ-მოყვარეობა მოითხოვს იმის კეთილწარმატებასო".

როგორც პროფ. დ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, „ყოველი პედაგოგიური სისტემა, რომელსაც კი იცნობს პედაგოგიკის ისტორია, ასე თუ ისე აუცილებლად მოიცავს პიროვნების განსაზღვრული მიმართულებით აღზრდის საკითხებსაც. მეტიც, თუ თვალს გავადევნებთ პედაგოგიკის რომელიმე კლასიკოსის პედაგოგიკურ სისტემას, ადვილად დავინახავთ, რომ აღზრდის საკითხები და მათი გადაჭრის მიმართულება საბოლოოდ განსაზღვრავენ ამ სისტემის სხვა ნაწილთა მიმართულებასაც. ეს გასაგებიცაა, რადგან გარკვეული მორალური პროფილის მქონე ადამიანის აღზრდას, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, აღზრდისა და სწავლების ყველა სხვა მხარე ექვემდებარება".

მართალია ს. მესხი არ ყოფილა პედაგოგიკის კლასიკოსი, მაგრამ მის პუბლიცისტიკაში მოზარდი თაობის აღზრდის, მისი მორალური სახის ჩამოყალიბების საკითხს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია.

ს. მესხის მართებული გაგებით მოზარდი თაობის აღზრდა სოციალური პროცესია, რომელიც განსხვავდება სწავლა-განათლებისაგან. „მე მგონია, არავინ შეშალოს ერთმანეთში აღზრდა და სწავლა ან განათლებაო" — შენიშნავს იგი. ასევე სწორად ესმის ს. მესხს აღზრდის მიზანი და დანიშნულება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მოამზადოს ადამიანი ცხოვრებისათვის, შეგნებული საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის. „აღზრდის საქმე, — წერს ს. მესხი, — იმაში მდგომარეობს, რომ გაუხსნას და გაუვარჯიშოს ყმაწვილს ყოველი კეთილი სულიერი მხარეები (მაგ. კეთილმოყვრობა, სიმართლე, პატიოსნება, ჯაფის მოყვარეობა და სხვ.). მეორეთ, აღზრდა ისეთი უნდა იყოს, რომ ის ამაგრებდეს და ამთელებდეს კა-

ცის სხეულს; თქმა არ უნდა, რომ აღზრდას დიდი გავლენა აქვს მთელს კაცის ცხოვრებაზე: თუ კაცი პატიოსანია, შრომის მოყვარე და სხვ., დარწმუნებული იყავით, ის დიდი სწავლულიც რო არ იყოს, მაინც ბევრ სარგებლობას მოუტანს ქვეყანასაც და თავის თავსაც. ამიტომ საჭიროა, რომ უფრო მომეტებული ყურადღება მივაქციოთ დაბადებიდანვე ყმაწვილის აღზრდას".[1]

ს. მესხი სწორად შენიშნავს, რომ შეიძლება ადამიანი საკმაოდ განათლებული იყოს, მაგრამ ცუდი აღზრდილი, ანდა პირიქით — „კაცი ძალიან კარგი გაზრდილი იყოს, მაგრამ გაუნათლებელი და უცოდინარი". რა თქმა უნდა, არც ერთი გარემოება სასიამოვნო არ არის, ბედნიერება ის არის, როცა აღზრდა და განათლება ერთმანეთს აესებენ და ამშვენებენ.

ფეოდალურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში სკოლა და ნაწილობრივ ოჯახი და საზოგადოება, კი არ ზრდიდა, არამედ რყვნიდა მოზარდის ზნეობას. ამიტომ სავსებით გასაგებია, თუ რატომ უკავია ს. მესხის პუბლიცისტიკაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ზნეობრივი აღზრდის საკითხებს.

ზნეობრივი აღზრდა ს. მესხს საზოგადოების ბედნიერების ერთ-ერთ პირობად და თვით ამ საზოგადოების ნორმალიზაციის არსებით ნაწილად მიაჩნია და ღრმად არის დარწმუნებული, რომ პირადი ბედნიერების მოპოვება მხოლოდ საერთო ბედნიერების მიღწევით არის შესაძლებელი. ს. მესხისათვის უცხოა ეგოიზმი და სასტიკად გმობს მის ყოველგვარ გამოვლინებას. „ყოველი განცალკევებული კაცი, — წერს იგი, — საზოგადოების წევრია და, მაშასადამე, ყოველ ღონისძიებას უნდა ხმარობდეს, რომ წარმატებაში შევიდეს ეს იმის გამომჩინებელი და დამარჩენელი საზოგადოება, მით უფრო, რომ საზოგადოების კეთილდღეობის შედეგი, კერძოთ, იმისივე კეთილდღეობა იქნება".

ზნეობრივი აღზრდის კატეგორიას აკუთვნებს ს. მესხი ადამიანში მოვალეობის, ურთიერთდახმარების და პასუხისმგებლობის კეთილშობილური გრძნობების გამომუშავებას. მაგალითად, მოვალეობისა და ურთიერთ დახმარების გრძნობის გამომუშავებას „პირ-და-პირი სარგებლობის მოტანის გარდა... სხვა სიკეთეც მოსდევს: ის ბადებს საზოგადოების წევრთა შორის ერთმანეთის იმედს, ნდობას და ძმურ სიყვარულს; და ეს ისეთი თვისებებია, რომელზედაც ყოველი კეთილი განწყობილი საზოგადოების ცხოვრება უნდა იყოს დამყარებული".[2]

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 40.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 348.

მოზარდი თაობის ნორმალური აღზრდა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად საღ პედაგოგიურ პრინციპზეა დამყარებული სკოლის საქმიანობა. ს. მესხი გულისტკივილით შენიშნავს, რომ თანამედროვე სკოლები ვერ აკმაყოფილებდნენ ელემენტარულ პედაგოგიურ მოთხოვნილებას. იგი ხედავს, რომ „ხანდიხან... ისეთნაირად ექცევიან შკოლაში მოწაფეებს და ისეთ საგნებს მიაქცევენ ხოლმე ყურადღებას, რომ ამნაირი მოქცევა და საგნების სწავლა უმეტეს ნაწილათ ცხოვრებაში, არა თუ სრულიათ გამოუყენებელი, მავნებელიც არის; ხან კი ისეთ რამეებს არ ასწავლიან და არ ჩააგონებენ, ურომლისოთ ახლანდელ ჩვენ ცხოვრებაში ერთი ფეხის გადადგმაც არ შეუძლია კაცს“.[1]

ს. მესხი უდაოდ იცნობს დიდი რუსი პედაგოგის კ. დ. უშინსკის პედაგოგიურ მოძღვრებას, რომელიც განსაკუთრებული სიმკაცრით ილაშქრებს სკოლასა და ოჯახში გამეფებული ფიზიკური დასჯის წინააღმდეგ, რაც უვიც პედაგოგებსა და მშობლებს აღზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ. საერთოდ, — წერს უშინსკი, — სხეულებრივი დასჯის შესახებ უნდა ითქვას, რომ ის აუცილებელია გაქრეს საოჯახო და საზოგადოებრივი აღზრდის სრულყოფის დროს; მანამდე კი ყოველთვის ექნება ადგილი ისეთ შემთხვევებს, უმეტეს ნაწილად აღზრდის ნაკლოვანებათა გამო, როდესაც აუცილებელი იქნება მიმართო სხეულებრივ დასჯას. გავრცელება ჯანსაღი პედაგოგიური ცნობებისა მშობელთა შორის, სასწავლო და აღმზრდელობითი დაწესებულებათა მოფიქრებულად მოწყობა, სწავლების მეთოდების გაუმჯობესება და გამოცდილ, თავდაჭერილ პედაგოგთა მომზადება არის ერთადერთი საშუალება სხეულებრივი დასჯის თანდათანობითი განდევნისა.

ს. მესხი, მშობლებისადმი მიმართულ ერთ-ერთ წერილში, საგანგებით იზიარებს დიდი რუსი პედაგოგის ზემომოტანილ თვალსაზრისს. იგი სინანულით აღნიშნავს, რომ „ჩვენი მშობლები ურიგოთ და ყოველგვარი აღზრდისა და ზნეობის კანონის დავიწყებით ზრდიან და ეპყრობიან თავიანთ შვილებს“ და რომ „ჩვენი შვილების აღზრდა მხოლოთ ცემა-ტყეპაში და შიშში მდგომარეობს“. ბავშვს სცემენ ოჯახშიც და სკოლაშიც, რადგან გაუნათლებელი მშობლებისა და უვიცი მასწავლებლების აზრით „ცემა... საუკეთესო საშუალებაა ყმაწვილის აღზრდისათვის“ და არ ესმით, რომ აღზრდის ამ მეთოდით მიწასთან ასწორებენ ბავშვის თავმოყვარეობას, უფუჭებენ ხასიათს, უსუსტებენ გონებას და ამახინჯებენ მომავალ მოქალაქეს.

ფიზიკური დასჯის ყოვლად მიუღებელ მეთოდს ს. მესხი გო-

---

[1] ი ქ ვ ე, გვ. 131.

ნივრულ და ჭეშმარიტ პედაგოგიურ ღონისძიებას უპირისპირებს და მოზარდ თაობასთან მუშტი-კრივის გამართვის ნაცვლად თხოულობს, რომ ლმობიერად მოვექცეთ მათ, დავაჯეროთ და დავარწმუნოთ მათი საქციელის ურიგობაში, წავაქეზოთ და წავახალისოთ კარგი მოქმედებისათვის და „ჩვენი კარგი მაგალითებით სიყვარული და პატივისცემა ჩაუნერგოთ შვილებს გულში“. ეს უდაოდ საღი პედაგოგიური თვალსაზრისი იყო, რომლის ცხოვრებაში გატარება ყოველი გონიერი მშობლისა და პედაგოგის ჭეშმარიტ მოვალეობას წარმოადგენდა. ეს თვალსაზრისი ჩვენი დროისათვისაც ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობას და აქტუალობას.

საერთოდ, უფროსების პირად მაგალითს და იმ გარემოს, რომელშიც უხდება ცხოვრება ბავშვს, ს. მესხი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს მოზარდი თაობის აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. მისი რწმენით ეს საზოგადო კანონია, რომელიც მკვეთრად მოქმედებს ცხოვრებაში და მისი გათვალისწინება მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის და საერთოდ აღმზრდელებისათვის აუცილებელია. „თუ დედ-მამა კეთილი, მშვიდი, პატიოსანი ხალხია, — წერს ს. მესხი, — დარწმუნებული იყავით, რომ შვილებიც რიგიანი გამოვლენ. თუ დედ-მამა და საზოგადოთ უფროსები მუდამ უკმაყოფილებაში არიან, მუდამ ჩხუბობენ, თუ ყმაწვილები წინ, გარშემო, მუდამ ცუდ, ბოროტ საქმეებს და ურიგო მაგალითებს ჰხედავენ, ხეირიანი იმათაგან არა გამოვა რა“.[1]

მოზარდი თაობის სწორად აღზრდის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა მასწავლებლის პირად მაგალითს და მის მომზადების დონეს ენიჭება. ბავშვი, რომელიც მიმბაძველი არსებაა, სწრაფად აღიქვამს და ითვისებს უფროსის და განსაკუთრებით მასწავლებლის ქცევას და ამიტომ მისი ყოველი მოქმედება მრავალგზის უნდა გაიზომოს და აიწონოს. „ყველა სასწავლებელში, „წერს ს. მესხი, — საცა კი ხეირიანი მშრომელი და ერთგული მასწავლებელია შაგირდებიც ეგეთები გამოდიან: ერთგულად სწავლობენ, კარგის ზნისანი არიან. წინააღმდეგ ამისა, საცა მასწავლებელი უფრო ქეიფს ეტანება, ზარმაცობს და გულ-აგდებით, ხელ-მოშვებით ასრულებს თავის წმინდა მოვალეობას, იქ მოწაფეებიც არ იმტვრევენ თავს სწავლისათვის და სამაგალითო ყოფა-ქცევისანი არ გამოდიან. ერთ ცუდს, უზნეო მასწავლებელს და განსაკუთრებით სასწავლებლის ზედამხედველს რამდენიმე ათი და ასი ნორჩი ყმაწვილის ხასიათის გაფუჭება და ზნეობით დაღუპვა შეუძლიან“.[2]

ს. მესხმა ძალიან კარგად იცის, რომ სკოლების დაკომპლექტე-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 229.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 230.

ბა ხეირიანი მასწავლებლებით ერთბაშად შეუძლებელია, შეუძლებელია აგრეთვე ერთბაშად გადაკეთება ოჯახებისა და მშობლებისა, მაგრამ ეს უახლოესი მომავლის აუცილებელი ამოცანაა, რომელზედაც დიდად არის დამოკიდებული ახალგაზრდობის ავკარგიანობა: უნდა მოინახოს და აღიზარდოს იმისთანა მასწავლებლები, „რომელნიც დღე და ღამე ლოთობაში, ერთმანეთის ბეზღაობაში და ჩხუბში არ ატარებდნენ თავიანთ ცხოვრებას და სინდისიანად თავის მოვალეობის აღსრულებით კეთილ მაგალითს აძლევდნენ მომავალ მოდგმას“.

როგორც ცნობილია, 70-იან წლებში ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის პედაგოგიურ პერსონალში, რომელიც ძირითადად მეტად დაბალი კულტურისა და განათლების მქონე ადამიანებისაგან შედგებოდა, თავი იჩინა ყოვლად უხამსმა კუთხურმა შოვინიზმმა. ს. მესხმა სასტიკად გაილაშქრა ამ არანორმალური მოვლენის წინააღმდეგ, საფუძველშივე დაგმო იგი და მიუთითა მის მავნებლობაზე. თუ ქუთაისის სასულიერო სემინარიის ოსტატები, — წერდა ს. მესხი, — „თვითონ არ განთავისუფლდებიან ამ ცრუმორწმუნეობისაგან, რომ მე ქართველი ვარ, ის კახელი, ის იმერელიო, თუ ის ვერ გაუგიათ, რომ ჩვენ ყველანი ქართველები ვართ, თუ თვითონ წვრილმანი თავმოყვარეობით არიან აღვსილნი... როგორ შეუძლიანთ იმათ საზოგადო შკოლის საქმის წაყვანა? როგორი შვილების გამოზრდას უნდა მოელოდნენ იმათგან ჩვენი მამები?“[1]

წერილში „რა სარგებლობა მოაქვს პედაგოგიურ ლიტერატურას“, კ. დ. უშინსკიმ მკაფიოდ დაახასიათა მასწავლებლის, როგორც მოზარდი თაობის აღმზრდელის ფუნქცია. „საზოგადოებრივი აღზრდის ორგანიზმში, — წერდა იგი, — ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი... უეჭველად მასწავლებელი და უახლოესი აღმზრდელია... რა რიგადაც არ უნდა იყოს შერჩეული და დაზუსტებული სწავლებისა და აღზრდის ინსტრუქციები, მათ მაინც არ შეუძლიანთ გასწიონ რწმენისა და შეხედულების მაგიერობა, თუ ასეთი არ გააჩნია მასწავლებელს. აღსაზრდელების წინაშე დაყენებული აღმზრდელი... თვით შეიცავს თავის თავში აღზრდის წარმატებათა მთელ შესაძლებლობას... ახალგაზრდა სულზე აღმზრდელის პიროვნების გავლენა შეადგენს იმ სააღმზრდელო ძალას, რომელსაც ვერ შესცვლის ვერც სახელმძღვანელოები, ვერც მორალური დარიგებანი, ვერც დასჯისა და ვერც წახალისების სისტემა. ბევრს ნიშნავს, რასაკვირველია სასწავლებლის სულისკვეთება. „მაგრამ ეს სულისკვეთება ცოცხლობს არა ქაღალდზე, არამედ აღმზრდელთა უმეტესობის ხასიათში და აქედან გადადის აღსაზრდელის ხასიათში“.[2]

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 48.

[2] კ. დ. უ შ ი ნ ს კ ი, რჩეული პედ. თხზულებანი, ტ. I, 1954 წ., გვ. 13.

კ. დ. უშინსკის მსგავსად ს. მესხიც მასწავლებელს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. პედაგოგის როლს იგი ორი არსებითი ფუნქციით საზღვრავს: — ერთია საგანმანათლებლო, ხოლო მეორე — აღმზრდელობითი. რომ მასწავლებელმა პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა, იგი უნდა იყოს ფართო განათლების ადამიანი, რომელიც თავისუფლად და სრულყოფილად ერკვეოდეს არა მხოლოდ იმ საგანში, რომელსაც ასწავლის, არამედ მისი საგნის მონათესავე დისციპლინებშიც. ამავე დროს მას უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი პედაგოგიურ-დიდაქტიკური განათლება და გულწრფელად უყვარდეს ბავშვი, იცოდეს მისი თავისებურებანი, პირადი მაგალითით უნერგავდეს კეთილშობილურ ჩვევებს.

გარდა ზემოთქმულისა ს. მესხი მასწავლებელს და განსაკუთრებით სოფლის მასწავლებელს ფართო საზოგადოებრივი ხასიათის საქმიანობასაც აკისრებს. 1879 წელს ს. მესხი გაზ. „დროების“ საშუალებით მხურვალედ მიესალმა გორის საოსტატო სემინარიის კურსდამთავრებულებს და მათ მოღვაწეობის გარკვეული პროგრამა დაუსახა. ს. მესხი არიგებდა ახალბედა პედაგოგებს, რომ მასწავლებლის მოვალეობას სოფლად მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება არ შეადგენდა. მისი რწმენით ჭეშმარიტი მასწავლებელი სოფლის მეგობარი უნდა ყოფილიყო, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი, ხალხის ცხოვრების გზის გამკვლევი, უმეცრებისა და სიღარიბის ჭაობიდან ამომყვანი. „ყოველი რიგიანი მასწავლებელი ამას უნდა ცდილობდეს. უნდა ცდილობდეს თავის პატიოსნებით და სამაგალითო ცხოვრებით მიაღწიოს იქამდინ, რომ ხალხი უჯერებდეს იმას, იმის სიტყვას და რჩევას ერწმუნებოდეს“.

მაგრამ ს. მესხი ხედავდა, რომ განათლებამიღებული ახალგაზრდობის ერთი ნაწილი თავს არიდებდა სოფლად მუშაობას, ქალაქის განათებული პროსპექტები ერჩიათ სოფლის ტალახიან ორღობეებს და სოფლურ დროსტარებას თეატრალურ სანახაობებს აჯობინებდნენ. ეგოისტური სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდობის ეს ნაწილი ქალაქის მჩქეფარე და ლაღ ცხოვრებას არჩევდა სოფლის ჭირ-ვარამით აღსავსე ყოფას, რაც ს. მესხის აზრით მეტად სამწუხარო მოვლენა იყო. ასეთი ადამიანები, რა თქმა უნდა, არ გამოდგებოდნენ სოფლის მასწავლებლებად, ისინი არა თუ ასწევდნენ ხალხის კულტურულ დონეს, არამედ მიწასთან გაასწორებდნენ მასწავლებლის ავტორიტეტს და ალბად სამუდამოდ შეაძულებდნენ გლეხკაცობას სკოლასა და წიგნს. სოფელს კი, — ს. მესხის თქმით, — ესაჭიროებოდა ისეთი „მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ თავის პიროვნულ, ეგოისტურ სიამოვნებას არ მისდევს და რომელსაც ნამდვილის გულით ჰსურს ხალხს რამე სიკეთე -და

სარგებლობა მოუტანოს; ამისთანა მასწავლებელი არასოდეს არ დაიზარებს სოფელში წასვლას და ცხოვრებას; არ დაიზარებს იმიტომ, რომ ჩვენი ნამდვილი ძალი, ნამდვილი სიმდიდრე და მომავალი სოფელშია და არა ქალაქში; არ დაიზარებს კიდევ იმიტომ, რომ სოფლის ხალხს უფრო ეჭირება ამ ჟამად ჩვენში ყოველმხრივი დახმარება, გზის ჩვენება და ხელის-მომართვა, ვინემ ქალაქს, რომელსაც უიმისოთაც საკმაოთ ჰყავს განათლებული კაცები".[1]

მასწავლებელთა თეორიულ-მეთოდური დონის ამაღლებისათვის ს. მესხი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასწავლებელთა კონფერენციებს, რომელზედაც განხილული უნდა ყოფილიყო სხვადასხვა პედაგოგიური, მეთოდიკური და პრაქტიკული საკითხები.[1] ამიტომ იყო, რომ იგი დიდი სიამოვნებით შეხვდა თბილისის გუბერნიის სოფლის სკოლის მასწავლებლების კრების მოწვევის საკითხს, რომელიც უნდა შემდგარიყო 1878 წლის სექტემბერში. ს. მესხის აზრით „ამგვარი კრებები რომ მუდამ წელს მოხდებოდეს და იმათ რომ ხეირიანი ხელმძღვანელი ეყოლებოდეს, უეჭველია, ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ჩვენი ხალხის განათლებას, რადგან ამის წყალობით მოუმზადებელი და გამოუცდელი მასწავლებელნი გაიცნობენ სწავლების საქმეს და გაიწვრთნებიან თავის ხელობაშიო".[2]

თუ რა საკითხები უნდა განეხილა მასწავლებელთა კრებას, ამის მაგალითად ს. მესხი სასწავლო უწყებას სთავაზობს ფინეთის სასწავლო უწყების ხელმძღვანელთა მიერ შედგენილ მასწავლებელთა ყრილობის პროგრამას, რომელიც შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელთა მიერაც. ფინეთის პროგრამა მრავალ საკითხთა შორის ითვალისწინებდა ისეთ საკითხებს, რომელიც აქტუალური იყო ქართული სოფლის სკოლებისთვისაც, — კერძოდ: — საჭირო იყო თუ არა, რომ სოფლის სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა მშობლიური ენის სწავლებას; როგორ უნდა წარმართულიყო ამ სკოლებში „ბუნებით მეცნიერების" სწავლება, რომ მას პრაქტიკული სარგებლობა მოეტანა ხალხისათვის; სად სჯობდა სკოლის გახსნა — სოფლის შუაგულში, თუ სოფელს გარეთ; როგორ შეიძლებოდა სოფლის სკოლის მასწავლებლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ...

ყოველივე ეს ხელს შეუწყობდა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც თავის მხრით გააუმჯობესებდა სწავლის ხარისხს. „სადაც კარგი მასწავლებელია, — წერდა ს. მესხი, — შკო-

---

1 „დროება", 1879 წ., № 115.

2 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 401.

ლაც რიგიანათ მიდის. სადაც მასწავლებელი პატიოსნათ და საქმის ცოდნით ასრულებს თავის მოვალეობას, იქ ყმაწვილებიც სწავლობენ რასმე და გლეხებიც მადლიერნი და კმაყოფილნი არიან“.

მოზარდი თაობის სწორად აღზრდისათვის ს. მესხს უდავოდ მავნებლად მიაჩნია ის გარემოება, რომ ქალებსა და ვაჟებს აკვნიდანვე აშორებენ ერთმანეთს. შემდეგ მათ ცალ-ცალკე სკოლებში ზრდიან და ასეთი განცალკევების შედეგად, როდესაც ისინი ცხოვრების ასპარეზზე გამოდიან, ერთმანეთისათვის სრულიად უცხონი არიან, მათ ერთმანეთის არა გაეგებათ რა, უცხონი რჩებიან ერთმანეთისათვის მას შემდეგაც, როდესაც შეუღლდებიან, რადგან სხვადასხვა აღზრდის შედეგად მათი ხასიათები, მიზნები და ინტერესთა სფერო განსხვავებულია. „ჩვენებურ აღმზრდელ დედას, — წერს ს. მესხი, — ვერაფრით ვერ დააჯერებთ, რომ იმისი ქალი და ვაჟი ერთ დროს ერთსა და იმავე საზოგადოებაში იცხოვრებენ, რომელსაც ერთი და იგივე საჭიროება და მოთხოვნილება აქვს; იმას ვერასოდეს ვერ დააჯერებ, რომ ხანდისხან ქალისა და კაცის მოქმედების წრე განსხვავებულია, მაგრამ საზოგადოება ქალსაც და კაცსაც თითქმის ორივეს ერთნაირათ მოსთხოვს თავის საჭიროების დაკმაყოფილებას და წყლულების მოსპობას“.

ამიტომ, ს. მესხი კატეგორიულად მოითხოვს შერეული სკოლის, ანუ საქალ-ვაჟო სკოლების დაარსებას, რადგან გარდა წმინდა პედაგოგიური თვალსაზრისისა, ამას ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური დონეც თხოულობს, განსაკუთრებით სოფლებში, სადაც ერთი სკოლის გახსნაც ჭირს, ჩვენი გლეხობისათვის მეტად ძნელი და თითქმის შეუძლებელიც კი იქნება ორი სკოლის გახსნა — ქალებისათვის ცალკე და ვაჟებისათვის ცალკე.

იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებაში ახალგაზრდობის ზნეობის შერყვნის საფრთხეს ხედავდა, ს. მესხი პირდაპირ აცხადებდა: „საზოგადოთ კაცს და ნამეტურ ახალგაზრდას ისეთი ხასიათი აქვს, რომ ის ყველაზე უფრო მიელტვის და მიეშურება იმ საგანს, რომელსაც აშორებენ, ართმევენ და რომლის მიკარება იმას აკრძალული აქვს. თუ ქალ-ვაჟი ბავშობიდამ ერთად იქნებიან, თუ ქალს პატარაობიდანვე არ ჩააგონებ, რომ ის სხვა არსებაა და ვაჟი სხვა, მაშინ, დარწმუნებული იყავით, ისინი ისე მგელსავით არ ეცემიან ერთმანეთს, როცა შეიყრებიან, როგორც ახლა მოხდება ხოლმე ხშირად და ზნეობის შემარყევი იმათ შორის არა მოხდება რა“.[1]

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 132.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ს. მესხის მიერ ქალ-ვაჟთა ერთიანი სკოლის შექმნის მოთხოვნა უდაოდ პროგრესული მოვლენა იყო და იგი საკ პედაგოგიურ თვალსაზრისს ემყარებოდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა ს. მესხი მოზარდი თაობის აღზრდას მხოლოდ ოჯახს აკისრებს. მისი აზრით, „აღზრდა ოჯახისა და დედ-მამის საქმეა და არა შკოლისა, შკოლა გარდასცემს ყმაწვილს მარტო ცოდნას, მეცნიერების ჭეშმარიტებებს, უხსნის ჭკუას; იმის ხასიათებს ის სრულებით არ ეხება და კიდეც რომ შეეხოს, არ შეუძლია გაუმჯობესოს და გაავარჯიშოს, რადგან შკოლას ამის თავი არა აქვს".[1]

ცხადია, რომ ს. მესხის ზემომოტანილი მსჯელობა საფუძველშივე მცდარია. თანამედროვე პედაგოგიური აზროვნება ოჯახთან ერთად სკოლასა და საერთოდ მთელ გარემომცველ ბუნებას უდიდეს აღმზრდელობით როლს აკისრებს, ხოლო მათ შორის, პრიორიტეტს სკოლას ანიჭებს. სავსებით სამართლიანად შენიშნავს პროფ. დ. ლორთქიფანიძე, რომ „ადამიანის აღზრდაში ხელმძღვანელი როლი სკოლას ეკუთვნის. ადამიანი აღზრდის საგანია. მისი აღმზრდელები არიან ოჯახი, სკოლა, ხალხი, ბუნება, მთელი ცხოვრება".[2] მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ერთ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება: ს. მესხი სკოლას მხოლოდ მოზარდი თაობის განათლებას სთხოვს და არა აღზრდას, რადგან მისი აზრით სკოლას ახალგაზრდობის აღზრდის თავი არა აქვს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ს. მესხის ამ მოსაზრების განზოგადება არ შეიძლება, რადგან იგი ეწინააღმდეგება ამავე საკითხზე სხვადასხვა დროს გამოთქმულ მისსავე თვალსაზრისს. უდავოა, რომ ამ შემთხვევაში ს. მესხს ძველი ხკოლა აქვს მხედველობაში, რომელსაც მართლაც არ შესწევდა უნარი მოზარდი თაობის აღზრდისა. ამას კ. დ. უშინსკიც შენიშნავდა და წერდა: „ის სკოლებიც კი, რომლებიც არსებობენ, შეიძლება ასწავლიან რაღაცას და როგორღაც, მაგრამ სრულებით ვერ ზრდიან თავის მოწაფეებს ვერც გონებრივად და ვერც ზნეობრივად და ოდნავადაც არ ახდენენ გავლენას ხალხური ხასიათის სწორ განვითარებაზეო".[3]

ამგვარ პირობებში მოზარდი თაობის აღზრდაზე ოჯახმა უნდა იზრუნოს; ოჯახში კი წამყვანი როლი ამ საქმეში დედას ეკუთვნის. „ამ საქმის ასრულება, — წერს ს. მესხი, — რომ დედაზე უკეთ

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 40.

2 დ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, კ. დ. უშინსკის პედაგოგიური მოძღვრება, 1955, გვ. 358.

3 К. Д. Ушинский, Собр. педагогических сочинении, 1875 г. გვ. 238.

არავის შეუძლია, ეს ჭეშმარიტებაა; მომავალი შთამომავლობის სიკეთე ყოველთვის დედებზე არის დამოკიდებული".[1] მაგრამ დედა მხოლოდ მაშინ შეძლებს ბავშვის აღზრდის გონივრულ ხელმძღვანელობას, თუ იგი განათლებული იქნება და სერიოზულად მოეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

ამიტომ ს. მესხის წინაშე ბუნებრივად ისმის ქალთა განათლების საკითხი, მესხი უკმაყოფილოა აღზრდის იმ მეთოდებისა, რომელსაც მიმართავს სკოლა და ოჯახი ქალთა აღზრდისა და განათლების საქმეში. ოჯახისა და სკოლის წყალობით ქალები ცხოვრებისათვის სრულიად მოუმზადებელნი არიან და არავითარი დამოუკიდებელი მოქმედების უნარი არ გააჩნიათ. „რას ასწავლიან და რას უჩურჩულებენ მუდამ ყურებში ჩვენ ახალგაზრდა ქალებს?! — კითხულობს ს. მესხი, — ასწავლიან მხოლოდ ისეთ რამეებს, რაც კაცების სასიამოვნოთ და მისაზიდავათ გამოადგებათ იმათ, მაგ., ცეკვას, მუზიკას, საზოგადოებაში კეკლუცად თავის დაჭერას, ცოტა ფრანცუზულ ენაზე ბურტყუულს და სხვა ამგვარებს. რას უჩურჩულებენ მუდამ ყურებში ქალს? თითქმის დაბადებიდანვე მხოლოდ იმას, რომ ის ქალია, რომ რაც კაცისათვის აუცილებლად საჭიროა (მაგ., სწავლა, შრომა), იმისათვის მაგდენათ ქალი თავს არ უნდა იწუხებდეს! შეიქმნება თუ არა გასათხოვარი, იმას დაუწყებენ ჩურჩულს მდიდარ ყმაწვილ კაცებზე, ასწავლიან როგორ უნდა მოიქცეს, რომ თავი მოაწონოს ამ მდიდარ საცოლო კაცებს და ცოლად გაუხდეს და სხვ."[2].

ს. მესხს ღრმად სწამს, რომ ამგვარმა აღზრდამ შეიძლება ერის მომავალი დაღუპოს, რადგან ცუდად აღზრდილი დედები თავის შვილებსაც ცუდად აღზრდიან. ჩვენ კი გვესაჭიროება გონიერი, განათლებული და აღზრდილი დედები, „ისეთი დედები, რომ ძუძუსთანავე ჩაენერგოსთ თავიანთ შვილებში კაცთ-მოყვარეობა, მხნე გული და პატიოსანი ხასიათი და ბოროტის სიძულვილი".[3]

ამასვე ფიქრობდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც ჯერ კიდევ 1858 წელს განსაზღვრა დედის მაღალი დანიშნულება და „სამღვთოვალი":

აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცენებას, —
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, —
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 41.
2 ი ქ ვ ე, გვ. 67.
3 ი ქ ვ ე, გვ. 67—68.

მენდე, მიიღებ ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ეით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კეალი განათლებული.

(„ქართველის დედას")

ქართველ დედათა მიერ ჭეშმარიტ მოქალაქეთა აღზრდა ეპოქის მტკივნეული საკითხი იყო.

საყურადღებოა, რომ ქალის როლს ს. მესხი მხოლოდ ოჯახური აღზრდით არ საზღვრავს. მისი ღრმა რწმენით „შკოლებში და შინ ყმაწვილის აღზრდას ვერავინ ვერ მოახერხებს ისე, როგორთაც ქალი... არავის არ შეუძლია ისე ხელოვნურად მოექცეს და წაახალისოს სწავლაზე შკოლის ყმაწვილები, როგორც ქალს. — მასწავლებელს", ამიტომ ს. მესხი გადაჭრით მოითხოვს ქალთა პედაგოგიურ განათლებას.

როდესაც 1869 წელს თბილისში, ცნობილი პედაგოგების — ბეს. ღოღობერიძის, ლ. მოძალევსკის, ვ. ყელიახოვსკის და რ. შენგერის ინიციატივით დაარსდა ქალთა პედაგოგიური კურსები, ს. მესხმა „დროების" ფურცლებზე, სპეციალური წერილი უძღვნა ამ კარგ წამოწყებას, თუმცა ამ წერილში სამართლიანად გააკრიტიკა ქალთა პედაგოგიური კურსების პროგრამა, რადგან იგი არ ეთანხმებოდა მის უშუალო დანიშნულებას. მართალია, მსმენელებს ასწავლიდნენ ისეთ საგნებს, როგორიცაა: ისტორია, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, რუსული ენა და გეოგრაფია, მაგრამ უგულებელყოფილი იყო აღმზრდელისათვის და განსაკუთრებით დედისათვის ისეთი აუცილებელი საგანი, როგორიცაა ბავშვის ჰიგიენა. პროგრამა არ ითვალისწინებდა აგრეთვე პედაგოგიკის სწავლებას, მისი მნიშვნელობა კი, ს. მესხის რწმენით, მასწავლებლისა და აღმზრდელისათვის განუზომელი იყო.

ს. მესხმა ყურადღება იმ გარემოებასაც მიაქცია, რომ ამ კურსდამთავრებულ პედაგოგებს ძირითადად ჩვენში მოუხდებოდათ მოღვაწეობა; ადგილობრივ მცხოვრებთა სწავლება კი მოითხოვდა ადგილობრივი ენების ცოდნას, ამიტომ მესხი სავალდებულოდ თვლიდა კურსების ხელმძღვანელებს პროგრამაში შეეტანათ ადგილობრივი (ქართული და სომხური) ენები, რაც მათ მიერ უგულებელყოფილი იყო.

გარდა ამისა, ს. მესხმა კურსების ხელმძღვანელთა ყურადღება კიდევ ერთ გარემოებას მიაქცია: ს. მესხის აზრით, ქალთა პედაგოგიურ კურსებდამთავრებული საუკეთესო რეზერვი იყო ჩვენი სოფ-

ლის სკოლებისათვის, სადაც მასწავლებლებად შეუფერებელი კადრები მუშაობდნენ, როგორნიც იყვნენ სემინარიელები, გიმნაზიისა სამ კლასდამთავრებული პირნი, ანდა გადამდგარი უნტეროფიცრები. „ამნაირ მდგომარეობაში მყოფ სააოფლო შკოლებისათვის, — წერდა ს. მესხი, — პედაგოგიური კურსებიდამ გამოსული ქალები უკვდავების წყარო იქნებოდნენ", მაგრამ სწავლის ფაული ამ კურსებზე იმდენად დიდი იყო, რომ ღარიბი დედ-მამის შვილნი, რომელნიც სწავლის დამთავრების შემდეგ ნამდვილად წავიდოდნენ სოფლის სკოლებში მასწავლებლებად, სიღარიბის გამო კურსებზე ვერ შედიოდნენ, შეძლებულნი კი არა თუ სოფლად, ქალაქადაც არ იკადრებდნენ მასწავლებლობას.

ს. მესხის ეს გონივრული შენიშვნები იმის მაუწყებელია, რომ მას საკმაოდ კარგად ესმოდა პედაგოგიური პროცესი, ეამოდა ქალთა პედაგოგიური კურსების მნიშვნელობა და უნდოდა მისი გამოყენება ფართო მშრომელი მასების აღზრდისა და განათლებისათვის.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ქართველი ქალების ერთ ნაწილში აღიძრა უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში წასვლის სურვილი. ამ გარემოებაა ხელი შეუწყო პროფ. ივ. თარხნიშვილის მიერ 1871 წელს თბილისში წაკითხულმა ლექციებმა ფიზიოლოგიიდან. ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით გ. წერეთელი იუწყებოდა: ივ. თარხნიშვილმა თავისი ლექციებით „აღძრა უმაღლესი სწავლის სურვილი მთელს ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით დედათა აქეს. უმეტეს ნაწილად ივ. თარხნიშვილის მჭევრმეტყველებას უნდა დაბრალდეს ის მოძრაობა, რომელიც აღმოჩნდა 1873 წელს ტფილისის ახალგაზრდობაში. პირველი მაგალითი იყო, რომ ამ წელს ერთმა გუნდმა ახალგაზრდა ქალებმა მოინდომეს საზღვარგარეთ წასვლა უმაღლესი სწავლა მეცნიერების მისაღებად".[1]

ქართველი ქალების ამ კეთილშობილურმა ვადაწყვეტილებამ ჩვენი საზოგადოების კონსერვატულ ნაწილში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ს. მესხის თქმით, „იმია მაგივრათ, რომ ჩვენს საზოგადოებას თანაგრძნობითა და სიხარულით მიეღო ეს ამბავი და წაექეზებინა ჩვენი ახალგაზრდა ქალები ამ საქმეში, ჩვენ ყოველი მხრით გვესმოდა და ახლაც გვესმის ხან დაცინვით და ხან უკმაყოფილო ლაპარაკი და აზრი ამ საგანზე: „თფილისის ნიგილისტკებიო! მოდას აჰყოლიანო!" — ამბობენ ერთნი. „ეს რა ამბავი არის: ვინ ქალი და ვინ ექიმიო! პანსიონი გაუთავებიათ, ქმარი შეირთონ და მოისვენონო!" — ამბობდნენ მეორენი.

წინააღმდეგ კონსერვატორებისა, ს. მესხი აღფრთოვანები

---

[1] „ქვალი", 1895 წ., № 12, გვ. 10.

შეხვდა ქალების ამ ნაბიჯს და სპეციალურად დაწერილ წერილში ხოტბა შეასხა მანდილოსანთა ლტოლვას უმაღლესი განათლებისაკენ. „ვხედავთ, — წერდა ს. მესხი, — რომ ეს ლტოლვილება ზოგიერთებს მარტო სიტყვით კი არა, თვით საქმით მოჰყავთ სისრულეში. მაშ ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას უფრო ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქონდეს, ვიდრემ საზოგადოთ ზოგიერთ ჩვენ კეთილ ლტოლვილებასა აქვს; ვისურვოთ, რომ ამ მოძრაობას თანდათან უფრო ნაკლები მიზეზები შეხვეოს თავის გზაზე მსვლელობის დროს და ის სარგებლობა მოეტანოს ჩვენთვის, რაც ჩვენზე უფრო დაწინაურებულ ქვეყნებს მოუტანა".[1]

გარდა კონსერვატორთა ბუზღუნისა, არსებობდა უფრო სერიოზული საფრთხე, რომელსაც შეეძლო ჩაეკლა ქალების კეთილშობილური მიზანსწრაფვა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 1873 წლის 21 მაისს მეფის ხელისუფლების მიერ გამოცემული ბრძანება, რომელიც ზღუდავდა ქალების გამგზავრებას რუსეთის იმპერიიდან საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მისაღებად. ამავე ბრძანებით სტუდენტ ქალებს წინადადება ეძლეოდათ, დაეტოვებინათ ევროპის უმაღლესი სასწავლებლები და სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, რადგან, სულ ერთია, საზღვარგარეთ უმაღლეს განათლებამიღებული რუსეთის იმპერიაში სამსახურს არ მისცემდნენ.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებული ბრძანება ჩირქს სცხებდა საზღვარგარეთ განათლების მისაღებად წასული ქალების ზნეობას. ბრძანებაში ნათქვამი იყო, რომ თითქოს ქალიშვილები სწავლა-განათლების საქმეს კი არ მისდევდნენ, არამედ თავისუფალი ყოფაქცევით საკუთარ ვნებათა ღელვას იკმაყოფილებდნენ. ამგვარმა უხამსმა ცილისწამებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ზოგიერთმა უცხოელმა რუსეთიდან და რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყნებიდან ჩასულ ქალებს ისე დაუწყო ცქერა, როგორც მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანებს. ბევრი ქალიშვილი დაათრთხო ამ ყოველგვარ უაზრო განკარგულებამ და ზოგიერთმა საშშობლოში დაბრუნებაც კი გადაწყვიტა.

ს. მესხმა სასტიკად დაგმო ეს უხამსი ბრძანებულება, მოურიდებლად ამხილა ცარიზმის შავბნელი ზრახვები და მანუგეშებელი წერილი გაუგზავნა ციურიხში მყოფ ქართველ ქალებს: „ამ განკარგულების თაობაზე, — წერდა იგი, — ჩემი აზრი ეს არის, რომ თქვენ იმას ყური არ უნდა ათხოვოთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ სანამ თქვენ მანდ სწავლას შეასრულებდეთ და ჩამოხვიდოდეთ, მანამ ბევრი მაგისთანა განკარგულება შეიცვლება და საზოგადოო

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 250—251.

ქალებს ბევრი უფლება მიემატება. ამ განკარგულების ჰაზრი... ის არის, რომ ქალებს სამზღვარ გარეთ სწავლა და განათლება მოუსპონ... მმართველობას არ სურს, რომ უცხო ქვეყნის თავისუფალი ცხოვრება და უკეთესი სწავლა მიიღონ იმის „ქვეშევრდომებმა“.

ქალების განათლებით და საერთოდ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებით XIX საუკუნის 70-იან წლებში დიდად არის დაინტერესებული ჟურნალი „მნათობიც“.

„მნათობს“ მშვენივრად ესმის ქალთა საკითხის სოციალური არსი და სწორედ ამ თვალსაზრისით მსჯელობს.

ჟურნალი გრძნობს, რომ ქალების განათლებას, მათი მდგომარეობის ნორმალიზაციას უაღრესად დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ „მნათობის“ თანამშრომლები კატეგორიულად მოითხოვენ: „ავარჯიშეთ ქალის ნიჭი ისე, როგორც ავარჯიშებთ კაცისას და თქვენ დაინახავთ რის შემძლებელი არის ქალი. გაუღეთ იმას კარი სამოქალაქო ცხოვრებაში და ის შეიქნება ისეთივე გონიერი და კეთილსაიმედო მოქალაქე, როგორც ერთი ჩვენთაგანი. უჩვენეთ იმას მოქმედების ფართო და თავისუფალი ასპარეზი და მერწმუნეთ მოიპოვებიან იმათში ბრძენნი და გმირნი, რომელნიც გაგვინათებენ ჩვენ მსვლელობის გზას და თავის ღვაწლით დაიმსახურებენ უკვდავებას“.[1]

„მნათობის“ მიერ გავითარებული ეს თვალსაზრისი არ ეწინააღმდეგება „დროების“ თანამშრომელთა და, კერძოდ, ს. მესხის თვალსაზრისს ამავე საკითხზე.

საყურადღებოა, რომ განათლების ერთ-ერთ მთავარ პირობად. „მნათობის“ მსგავსად, გაზ. „დროება“ და ს. მესხი კარგი სახელმძღვანელოების შექმნას მიიჩნევენ. ს. მესხის აზრით, რაც უნდა კარგი მასწავლებელი ჰყოლოდა ახალგაზრდობას, ხეირიანი სახელმძღვანელოს გარეშე იგი უძლური იყო; „უწიგნოთ კარგი მასწავლებელიც ვერას გაარიგებს სახალხო შკოლაში და რიგიანი სახელმძღვანელო წიგნების დახმარებით კი ცუდი მასწავლებელიც ბევრს სარგებლობას მოუტანს“.[2] ცხადია, რომ ამ მოსაზრების გაზიარება შეუძლებელია, რადგან რაც უნდა კარგად შედგენილი სახელმძღვანელო მივცეთ მოსწავლეს, თუ მასწავლებელმა არ აუხსნა მასში მოთავსებული მასალა და არ დაამუშავა იგი, ისე სახელმძღვანელო ვერ მოიტანს სასურველ შედეგს.

70-იანი წლებისათვის ჩვენი სასწავლებლები მეტად ღარიბნი იყვნენ სახელმძღვანელოებით. ს. მესხის თქმით, გარდა ი. გოგება-

---

[1] „მნათობი“, 1869 წ., № 3, გვ. 7—8.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 303.

შვილის „ანბანისა“, „ბუნების კარისა“ და გერასიმე კალანდარიშვილის „რუსული ენის დაწყებითი პრაქტიკული კურსისა ქართველთათვის“, არც ერთი ისეთი წიგნი არ მოგვეპოვებოდა, რომელსაც შეეძლო დაეკმაყოფილებინა სახელმძღვანელოსადმი წაყენებული ელემენტარული მოთხოვნილება. სახალხო სკოლებს არ ჰქონდათ არც არითმეტიკის, არც გეოგრაფიის და არც ისტორიის სახელმძღვანელოები, რაც მეტად ართულებდა სკოლების ისედაც მძიმე მდგომარეობას. თუ ზემოთქმულს იმასაც დაუმატებთ, რომ სახალხო სკოლებში რიგიანი პედაგოგების ნაცვლად ხშირად გადამდგარი სალდათები მასწავლებლობდნენ, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ რა დონეზედ უნდა მდგარიყო ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმე სოფლის სახალხო სკოლებში. კარგი სახელმძღვანელოების შექმნა კი ს. მესხს დიდ საზოგადოებრივ საქმედ მიაჩნდა და წერდა: „თუ სადმე ჩვენში აუცილებლათ საჭირო და ყურადღების ღირსია საზოგადო საქმე, ეს სახელმძღვანელოების გამოშვება არცერთ ამათგანზე ნაკლებ საჭიროებას არ შეადგენს და არცერთ იმათგანზე ნაკლები ყურადღების ღირსი არ არის“.[1]

ქართული სახელმძღვანელოებით სკოლების უზრუნველყოფა ს. მესხს იმიტომაც აინტერესებდა, რომ „მაშინ იმ პირთ, რომელნიც მიზეზს პოულობდნენ და ამბობდნენ, რომ ქართულ ენაზე სწავლა არ შეიძლებაო, რადგან ამ ენაზე სახალხო შკოლებისათვის სახელმძღვანელოები არ არისო, მაშინ იმ პირთ ამის თქმის უფლება აღარ ექნებათო“.[2]

მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ს. მესხმა 1872 წლის ბოლოს წამოაყენა წინადადება, შექმნილიყო საზოგადოება, რომელიც სოფლის სკოლებისათვის გამოსცემდა ორიგინალურ, გადმოთარგმნილ, ან გადმოკეთებულ სასკოლო სახელმძღვანელოებს მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. ამ საკითხთან დაკავშირებით 1873 წელს ს. მესხი სწერდა ეკ. მელიქიშვილს: „სახელმძღვანელოების თაობაზე ჩვენ მოლაპარაკებას ვაპირებთ და გვინდა, რომ კამისია შევადგინოთ, რომელმაც თარგმნოს და გამოსცეს ჩვენი შკოლებისათვის პატარ-პატარა სახელმძღვანელოები, რომელიც უფრო საჭიროაო“.

ასეთი წრე, მართლაც, შეიქმნა, რომელმაც იტვირთა ეს ძნელი და კეთილშობილური საქმე. სახელმძღვანელოებზე მომუშავეთა წასახალისებლად სტეფანე ზარაფოვმა ოცი თუმნის პრემიაც დააწესა. „დროების“, რედაქციასთან კი ს. მესხის თავმჯდომარეობით შე-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი ტ. I, გვ. 116.

[2] ი ბ ე ვ ე გვ. 436.

იქმნა ექვსი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა წარმოდგენილი სახელმძღვანელოების განხილვა.

1873—1874 წლებში კომისიამ ექვსი სახელმძღვანელო განიხილა, რომელთაგან პრემია მხოლოდ ი. გოგებაშვილის „საყმაწვილო კონამ" მიიღო. ორი სახელმძღვანელო დაიწუნეს, დანარჩენები კი ავტორებს დაუბრუნდათ გადასამუშავებლად.

საზოგადოების გონებრივი განათლებისათვის გარდა სახელმძღვანელოებისა ს. მესხი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სახალხო საკითხავი წიგნების შექმნას და მოსახლეობაში მის ფართო გავრცელებას. „ცარიელი წერა-კითხვის ცოდნა, — წერს ს. მესხი, განათლებას არ შეადგენს ხალხისათვის; წერა-კითხვა მხოლოთ ისეთი საშუალებაა, რომლის შემწეობითაც ხალხს შეუძლია სხვადასხვა წიგნებიდამ თავის ცხოვრებისათვის გამოსადეგი და ჭკუა-გონებისათვის გასახსნელი ცნობები შეიძინოს, და თუ ამისთანა სახალხო წიგნები არ იქნება, მარტო წერა-კითხვის ცოდნა მაგდენ სარგებლობას ვერ მოუტანს იმას და სრულიად ვერ გაუნათლებს გონებას".[1]

ვინ უნდა იკისროს ეს ფრიად საპატიო მოვალეობა? ვინ უნდა გამოსცეს სახალხო წიგნები, რომელნიც ხალხს ჭეშმარიტ ცოდნას მისცემენ და გონებას გაუხსნიან? ს. მესხის აზრით, ამ საქმეში კერძო პირები უძლურნი იქნებიან. ამისათვის საჭიროა შეიქმნას სახალხო იაფი წიგნების გამომცემელი საზოგადოება, — ისეთი როგორიც არსებობს პეტერბურგში და ფინეთში, რომელიც ამ საქმეს ითავებს და კარგადაც წარმართავს. სანიმუშოდ ს. მესხს მოჰყავს ასეთი საზოგადოების წესდების პროექტი, რომელიც ფინეთის მასწავლებელთა კრებამ დაამტკიცა, როგორც მისაბაძი მაგალითი ამ დიდ ეროვნულ საქმეში.

70—80-იან წლებში ქართული პრესის ყურადღების ცენტრში სხვა საკითხებთან ერთად ქართული ენის საკითხიც დგას. ჟურნალი „მნათობი" საჯაროდ აცხადებს: „ენა არის დაუფასებელი საუნჯე ხალხისა. იმაში ვხედავთ, იმისაგან გამოვსცნობთ ხალხის ჭკუას, გონებას, სოციალურს, პოლიტიკურს და ზნეობითს მდგომარეობას"[2].

„მნათობის" რედაქცია ღრმად არის დარწმუნებული, რომ ახალგაზრდობის განათლების მტკიცე საფუძველი მშობლიური ენის ზედმიწევნით ცოდნაში მდგომარეობს, მაგრამ საზოგადოების ერთმა ნაწილმა აბუჩად აიგდო ეს ეროვნული საუნჯე და მშობლიურ ენაზე ლაპარაკი იუკადრისა.

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 242.

[2] „მნათობი", 1869 წ., № 7—8, გვ. 76.

„მნათობი“ დროულად გამოეხმაურა ამ არანორმალურ მოვლენას და გულისტკივილით აღნიშნა, რომ „ჩვენ, ჩვენდა სასირცხვილოდ დავიწყეთ დედა ენის უკადრისობა. საითკენაც გაიხედავთ, ვისაც შეჰხვდებით, ან თუ საზოგადოებაში შეერევით. — უეჭველად შეჰნიშნავთ დედა ენის უკადრისობას. ბრუნდე თუ მართალი, მცოდნე თუ უმეცარი — ყველა ერთბაშად ჰკეკნის თავის ენას, ამ ენაზე ლაპარაკს ბევრნი არ ჰკადრულობენ“.[1]

„მნათობი“ არ არია უცხო ენების შესწავლის წინააღმდეგი. პირიქით, უცხო ენებს და განსაკუთრებით რუსულ ენას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს კაცობრიობის გონებრივი განვითარებისათვის, მაგრამ ღრმად სწამს, რომ „შეუძლებელი არის კაცმა ხეირიანად შეისწავლოს უცხო ქვეყნია ენა, თუ ჯერჯერობით არ იცის დავისი ენა“.[2]

აქედან გამომდინარე „მნათობი“ ილაშქრებს ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ. გმობს პირველივე დღიდან სწავლების დაწყებას რუსულ ენაზე და საერთოდ დაუშვებლად მიაჩნია ქართული ენის ამოღება სასწავლო პროგრამიდან.

მშობლიური ენის დასაცავად თავგამოდებით იბრძოდა „ივერიაც“. „ივერია“ აღშფოთებულია ერთ-ერთი რენეგატი ქართველი თავადის საქციელით, რომელმაც განცხადებით მიმართა რეალური სასწავლებლის დირექტორს, რათა მისი შვილისათვის ქართული ენა არ ესწავლებინათ. „ივერიას“ შეიძლება არაფერი ეთქვა, რომ ეს ფაქტი შემთხვევითი ხასიათისა ყოფილიყო, მაგრამ რედაქცია ხაზგასმით შენიშნავს, რომ „ეს ერთი და ორი არ არის და მეტად ცუდი ნიშანია ამგვარი ულმობელი უარყოფა დედა-ენისა.“[3]

„ივერიამ“ იცის, რომ „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული — ენაა“. მაგრამ ეს იციან ცარიზმის მოხელეებმაც და „ამიტომაც ტლანქი ხელი უმეცარის მოხელეებისა ყველაზედ უწინარეს ენას მისწვდა“.

„ივერია“ „მნათობის“ მსგავსად კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას და ჰგმობს მშობლიური ენის ამოღებას სასწავლო პროგრამებიდან. „ხალხის განათლების წყობილება, — წერს „ივერია“, — რომელიც უარჰყოფს დედა ენის შუამდგომლობას პირველ დაწყებითს სწავლის გარდასაცემად, გახსნის მაგიერ გონებას უხშავს ახალთაობას და ზნეობრივად ჰჩაგრავს და ყოველმხრივ ამდაბლებს“.[4]

---

1 „მნათობი“, 1869 წ., № 7—8, გვ. 60.

2 იქვე, გვ. 73.

3 „ივერია“, 1877 წ., № 2.

4 იქვე.

ხალხის განათლების და სახალხო სკოლების ჩამორჩენის არსებით მიზეზს „ივერია“ იმაში ხედავს, რომ არც სახელმწიფო დაწესებულებებში და არც დაწყებით სკოლებში ქართული ენა არ იხმარება: „ოცი წელი გადის, რაც ქართული ენის უფლებას იცავს ჩვენი უღონო აზრი და გონება, იცავს ძლიერად და თავგანწირულად და აქნობამდე არამც თუ სასამართლო უწყებაში (და საერთოდ საზოგადოებრივ საქმეებში, არამედ თვით პირველდაწყებითს სკოლაში და, ასე გასინჯეთ, სასულიერო უწყებაშიაც კი ვერ დამკვიდრებულა რიგიანად.

ეს გარემოება მიგვაჩნია ჩვენ მიზეზად, რომ ასე შეფერხებით მიდის ხალხის განათლება და პირველდაწყებითი სკოლის საქმე“.[1]

„მნათობთან“, „ივერიასთან“ და სხვა ქართულ პერიოდულ ორგანოებთან ერთად მშობლიური ენის უფლებების დასაცავად შეუპოვრად იბრძვის გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი ს. მესხი.

მოზარდი თაობის ნორმალური აღზრდისა და შეგნებული გონებრივი განათლების საქმეში, განსაკუთრებით პირველდაწყებითი სწავლების პერიოდში, ს. მესხი უდიდეს და გადამწყვეტ მნიშვნელობას მშობლიურ ენას ანიჭებს და აცხადებს, რომ „ნამდვილი პედაგოგია, ანუ სწავლის გადაცემის მეცნიერება მოითხოვს, რომ ყმაწვილმა პირველ-დაწყებითი სწავლა მაინც თავის მშობლიურ ენაზე მიიღოსო“.

ს. მესხი უდაოდ იცნობს კ. დ. უშინსკის მოძღვრებას მშობლიური ენის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ და იზიარებს საღ შეხედულებას, რომ „ხალხის ენა... წარმოადგენს სამშობლოსა და ხალხის სულიერი ცხოვრების სრულ ანარეკლს და ამავე დროს ბავშვისათვის იგი არის საუკეთესო განმმარტებელი იმის გარშემო არსებული ბუნებისა და ცხოვრებისა“.

ამიტომ, ს. მესხი ილ. ჭავჭავაძესთან, ი. გოგებაშვილთან და სხვა ქართველ სამოციანელებთან ერთად, ღრმა პრინციპულობით იბრძვის მშობლიური ენის მოქალაქეობრივი უფლებისათვის, მკაცრად ილაშქრებს მის მდევნელთა წინააღმდეგ და ყოველთვის თანმიმდევრულად იცავს მოსაზრებას, რომ „ყმაწვილს პირველ-დაწყებითი სწავლა თავის მშობლიურ ენაზედ უნდა გადაეცეს... რომ უცხო ენაზე სწავლის დაწყება ახალ-მოსწავლე ყმაწვილს რაც გონებას არ დაუჩლუნგავს და დაბრკოლებას არ მისცემს განათლების გზაზე წინსვლაში. სხვა სიკეთეს თითქმის სრულიად ვერას მოუტანს“.[2]

ს. მესხი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ჩვენი მასწავლებ-

---

[1] „ივერია“, 1883 წ., № 8.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 296.

ლების დიდ უმრავლესობას ესმის ეს პედაგოგიური ჭეშმარიტება, რომ არც „უმაღლესს ჩვენს მთავრობას არასოდეს და არსად არ გამოუთქვამს ის ჰაზრი, რომ უცხო თემის ყმაწვილმა მაინცა-და-მაინც რუსულ ენაზე უნდა დაიწყოს სწავლაო“, მაგრამ მაინც მოზარდ თაობას სწავლას მათთვის გაუგებარ ენაზე აწყებინებენ. ეს კი, ი. ა. კომენსკის თქმისა არ იყოს, იმას ნიშნავს, რომ „გსურდეს ასწავლო ვინმეს უცხო ენა, სანამ ჯერ დედაენას შეითვისებდეს, ეს უდრის იმას, რომ ვინმეს სურდეს ასწავლოს თავის შვილს ცხენოსნობა, სანამ სიარულს ისწავლიდეს“.[1]

ს. მესხს სავსებით გონივრულად მიაჩნია უმაღლესი მთავრობის მითითება, რომ რუსეთის ქვეშევრდომმა რუსული ენა უნდა იცოდეს, რომ ამ ენის სწავლებას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული, რადგან იგი დიდად საჭირო და გამოსადეგია ადამიანისათვის ცხოვრებაში. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შეეიწროვდეს მშობლიური ენის სწავლება, ანდა სრულიად არ ისწავლებოდეს იგი.

ს. მესხის შეხედულება რუსული ენის მნიშვნელობის შესახებ, სავსებით სწორი და მართებულია. ამ ენის უდიდეს მნიშვნელობას სხვა ქართველი სამოციანელებიც ასაბუთებდნენ. გარდა ამისა, „საგულისხმოა ისიც, რომ ქართველი ხალხისათვის რუსული ენის ცოდნის ეს უდიდესი მნიშვნელობა საესებით შეგნებული ჰქონდა თვით ხალხსაც; მას რუსული ენის ცოდნა მიაჩნდა ქართველის განათლებულობის აუცილებელ ელემენტად და ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად“.[2] მაგრამ უდაოდ ცდება ს. მესხი, როდესაც ფიქრობს, თითქოს „უმაღლესს ჩვენს მთავრობას“ არასოდეს არ გამოეთქვას აზრი, რომ ქართველ ბავშვს რუსულ ენაზედ დაეწყოს პირველდაწყებითი სწავლა. თუ გადავათვალიერებთ 1867 წლის 15 მაისის კანონს „О преобразовании учебной части на Кавказе“, 1868 წლის 19 თებერვლის განკარგულებას „Об обязательности преподавания русского языка во всех школах империи“ და 1873 წლის 22 ნოემბრის კანონს „Об устройстве учебной части на Кавказе и за Кавказом“, დავრწმუნდებით, რომ მართალია, იქ პირდაპირ არ არის ლაპარაკი რუსულ ენაზე პირველდაწყებითი სწავლების აუცილებლობის შესახებ, მაგრამ, ფაქტიურად ამას გულისხმობს, რადგან ამ დადგენილებათა და კანონთა ძალით მშობლიური ენების სწავლება გასაოცრად არის შეეიწროვებული. მაგალი-

---

[1] ი. ა. კ ო მ ე ს კ ი, რჩეული პედაგოგიური თხზ., ტ. I, 1949 წ., გვ. 319.

[2] პროფ. დ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, „დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი“, 1948 წ., გვ. 56.

თად. 1873 წლის 22 ნოემბრის დებულებით გიმნაზიის პროგიმნაზიულ კლასებში ქართული ენა დატოვებულია როგორც არასავალდებულო საგანი, მეტად მცირე საათების რაოდენობით.

აღსანიშნავია, რომ როგორც სასწავლო ოლქის მზრუნველნი, ასევე მათი ინსპექტორებიც ვერ მალავდნენ სიძულვილს ადგილობრივი ენებისადმი და ყოველ ღონეს ხმარობდნენ სასწავლებლებიდან მათი განდევნისათვის. ამ დებულების საუკეთესო მაგალითია შემდეგი ფაქტი: 1871 წლის დეკემბერში სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანუარ ნეველოვმა თბილისში მოიწვია საშუალო სასწავლებლებისა და სახალხო სკოლების დირექტორებისა და ინსპექტორების ყრილობა, რომელზედაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად უნდა განხილულიყო აგრეთვე ამიერკავკასიის სასწავლებლებში ადგილობრივი ენების სწავლების საკითხი.

ყრილობის გახსნამდე სასწავლო ოლქის ინსპექტორი ილიაშენკო, რომელიც ყოველთვის მოითხოვდა ადგილობრივი ენებისა გაძევებას გიმნაზიიდან იმ მოტივით, რომ „გიმნაზიის ყველა კლასში ქართულ ენიდან მხოლოდ წერა-კითხვას და ცოტაოდენ არითმეტიკას სწავლობენ. რადგან მასწავლებელსაც კურსის შესავსები მასალა არ გააჩნიაო", თავისი ვრცელი მოხსენებებით ცდილობდა მოემზადებინა ნიადაგი, რათა ადგილობრივი ენები სრულიად ამოღებული ყოფილიყო სასწავლო გეგმებიდან. ილიაშენკო, ერთ-ერთ თავის უერთგულეს მოხსენებაში, ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „მთავრობის ზრუნვა ადგილობრივი ენების სწავლების შესახებ იმ ზომით, როგორც ეს დღეს არსებობს, უდროოა და შეიძლება ზიანსაც აყენებდეს რუსული ენის წარმატებას. ყოველ შემთხვევაში ვნიშნავთ რა სასწავლებლებში ადგილობრივი ენების მასწავლებლებს სამსახურებრივი უფლებით, ვაჯილდოვებთ მათ ჩინებითა და პენსიით. ჩვენ ამით მივდივართ ინოროდცების არა ასიმილაციისაკენ, რაც, ვფიქრობ, ჩვენ მთავარ ამოცანას შეადგენს. ასეთი მოწონებითი დამოკიდებულება მთავრობისა ტუზემური ენებისადმი ამაღლება მათ მნიშვნელობას ინოროდცების თვალში და აკანონებს შესაძლებლობას საზოგადოებრივ ასპარეზზედაც კი ადვილად გავიდნენ მხოლოდ თავიანთი ბუნებრივი ენით, სახელმწიფო ენის გვერდის ავლით. ამიტომ ხშირად საპატიო წოდების პირნიც, რომელთაც სოფლისა და ქალაქის საზოგადო თანამდებობანი უჭირავთ, რუსულად სრულიად არ ლაპარაკობენ".[1]

ილიაშენკოს ამ შავრაზმულმა შეხედულებამ მკვეთრი გამოხატულება ჰპოვა ყრილობის 1873 წლის 13 იანვრის ოქმშიც, სადაც

---

[1] ცსსა, ფონდი 107, საქმე 400.

აღნიშნულია, რომ «По мнению большинства членов съезда, изучение туземных языков, невходящих в состав общеобразовательных учебных предметов, не может быть признано обязательным, тем более, что многие, например, из учащихся армян, не знают своего языка, и говорят в своих семействах по-грузински. Тип гимназии и в Закавказье должен быть общий, европейский, отступление же может быть допущено лишь для желающих изучить свой туземный язык; если ученик может управиться с обязательным общим курсом и имеет достаточно сил и средств на это побочное занятие».[1]

თუ ყოველივე ამას დავუმატებთ იმ საიდუმლო ცირკულიარებსაც, რომლებსაც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იღებდა პეტერბურგიდან, რომელთა მიხედვითაც მშობლიური ენები სასტიკად იდევნებოდა სასწავლებლებიდან, მაშინ სურათი საესებით ნათელი იქნება.

მშობლიური ენების დევნის საქმეში ს. მესხი პედაგოგებსაც ადანაშაულებდა და შენიშნავდა: „ჩვენი პედაგოგები... როგორც ეს ერთგვარ არსებათ ჩვეულებაა, ცდილობენ ამ მმართველობის ჰაზრს და მოთხოვნილებას გადააჭარბონ, — ვითომ რა — მომეტებული ერთგულება და სამსახური დაუმტკიცონ ამ მმართველობას". ამის მიზეზი კი ს. მესხის ღრმა რწმენით ის არის, რომ „ჩვენი სახალხო შკოლებისა და საზოგადოთ პირველ-დაწყებითი სწავლის საქმე ისეთ პირების ხელშია, რომელნიც ყველაზე პირველად თავიანთ კარიერას უყურებენ და არა გონივრულ პედაგოგიურ მოთხოვნილებას".[2]

ამ მხრივ უდაოდ საყურადღებოა თბილისის პირველი გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს დადგენილება, რომელსაც ხელს აწერს პირწავარდნილი რეაქციონერი, გიმნაზიის დირექტორი ლ. მარკოვი.

გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო და პირადად ლ. მარკოვი, ეყრდნობოდნენ 1873 წლის 22 ნოემბრის ცირკულიარს „Об устройстве учебной части на Кавказе и за Кавказом" და ერთ-ერთ სხდომის ოქმში ხაზგასმით აღნიშნავდნენ: ადგილობრივი ენების გიმნაზიაში სწავლების მიზანი შეიძლება იყოს მხოლოდ დახმარება უკეთესად და შეგნებულად შეთვისებისათვის ტუზემც მოწაფეთა მიერ რუსული ენისა, რომელზედაც მიმდინარეობს ყველა საგნის სწავლება გიმნაზიაში. ამ მიზნისაკენ უნდა იყოს მიმართული ადგილობრივ ენათა მასწავლებლების ყველა ღონისძიება,

---

1 ცსსა, ფონდი 107, საქმე 385.

2 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 297.

ამით განისაზღვრება როგორც სწავლების პროგრამა, ისე მეცადინეობის განაწილება კლასებში. ეს პროგრამები შეთანხმებული უნდა იყოს გიმნაზიის დაბალ კლასებში რუსული ენის სწავლებასთან და ადგილობრივი ენების მთელი სწავლება უნდა მიმდინარეობდეს რუსული ენის სწავლებასთან დაკავშირებით".[1] სწორედ ამ მიზნით, ქართული ენის პროგრამაში შეტანილი უნდა ყოფილიყო ისეთი მასალა, რომელსაც შემდეგ რუსულად ისწავლიდნენ.

ქართული ენა იდევნებოდა არა მხოლოდ სამოქალაქო სკოლებიდან, არამედ ასეთივე ბრძოლა ჰქონდა გამოცხადებული მას სასულიერო უწყების სკოლებშიც. სწორედ ამ გარემოების გამო გამოაქვეყნა ს. მესხმა სასულიერო სემინარიის ინსპექტორის ივანე კუკშინსკისადმი მიმართული გულისწყრომით აღსავსე წერილი, რომლითაც მოურიდებლად ამხილა თაღლითი ინსპექტორი მრავალ სიცრუესა და სიყალბეში.

ს. მესხი აღშფოთებულია იმ გარემოებით, რომ სასულიერო სემინარიის პირველ და მეორე კლასში ქართულს არ ასწავლიან. ეს საგანი მხოლოდ მესამე და მეოთხე კლასში ისწავლება, მაგრამ ისწავლება ფორმალურად, უგულოდ, მხოლოდ იმისათვის, რომ კუკშინსკის უფლება ჰქონდეს თქვას: — ქართულ ენას სემინარიაში ვასწავლითო. როგორ მიმდინარეობდა ქართული ენის სწავლება სემინარიაში? ამ კითხვაზედ ს. მესხი ნათელ პასუხს იძლევა: „შაგირდებს უჭირავთ ხელში ქამნი და სამოციქულო და ჰკითხულობენ. მასწავლებელი ჰკითხავს შაგირდებს „ესა და ეს ტექსტი სამღვთო წერილისა რუსულად, ან უკეთ ეთქვათ, სლავიანურად როგორ არისო. თუ მიუგო ხო კარგი, თუ არა და ისიც კარგი. ამგვარ ცოდნას მაინცა და მაინც შაგირდისათვის თითქმის სრულიად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. კაცი ყურს არ უგდებს: გინდა ცუდად იცოდეს შაგირდმა ეს ქართული და გინდა კარგად".[2]

კუკშინსკის სიტყვით, სასულიერო სემინარიისათვის დაშვებული ქართული ენის პროგრამის შესაბამისად და უწმინდესი სინოდის მოთხოვნილებით, მოსწავლენი ვალდებულნი იყვნენ სცოდნოდათ საუკეთესო ადგილები ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან და ღირსმნიშვნელოვანი შემთხვევები ქართული სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიიდან. მაგრამ ს. მესხი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ეს მხოლოდ ფორმალობა იყო და არაფერი ჰქონდა საერთო საქმის არსებით ვითარებასთან. „რომ ქართული ენისა და ქართულად საღვთო წერილის შესწავლა იმით იწყება და იმით მთავრდება, რომ

---

[1] ცსსა, ფონდი, 107, საქმე 2909.

[2] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 307.

ამ ენის მასწავლებელი, როგორც ზემოთ ვთქვით, მესამე და მეოთხე კლასში უგულოთ, უხეიროთ აკითხებს შაგირდებს მხოლოდ ქამნს, დავითნს და სამოციქულოს".

ს. მესხი სავსებით სამართლიანად მიუთითებს ივ. კუკშინსკის, რომ შეუძლებელია ორი წლის განმავლობაში, როდესაც ქართულ ენას კვირაში მხოლოდ ერთი საათი ეთმობა, მოწაფეებმა შეისწავლონ ქართული ენა — როგორც ენა, ქართული სამოციქულო, ქამნი, ქართული გალობა, ქართული საეკლესიო და სამოქალაქო ისტორია, ქართული ქადაგებანი და სხვა.

იმ მიზნით, რომ ივ. კუკშინსკის მკითხველი საზოგადოებისათვის ეჩვენებინა, თუ რაოდენ „დიდ ყურადღებას" აქცევენ სასულიერო სემინარიაში ქართულ ენას, იგი თავის წერილში ლაპარაკობს სემინარიის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნადი ფონდის არსებობის შესახებ. ს. მესხი ამ შემთხვევაშიც ფეხდაფეხ მისდევს მტკუანს და ამხელს მის სიყალბესა და თვალთმაქცობას. ს. მესხის თქმით, „მთელი ეს ბიბლიოთეკა შესდგება თითქმის მარტო იმ წიგნებიდან, რომელიც უფ. კუკშინსკის სხვა-და-სხვა დროს შაგირდებისათვის წაურთმევია! ამ წართმეულ წიგნებში ურევია რამდენიმე წიგნი ჟურნალის „კრებულისა", გურამიშვილის „დავითნი", „საყმაწვილო კონა" და სხვ. ამათ გარდა ბიბლიოთეკაში მოიძებნება რამდენიმე ეგზემპლარი სამოციქულოსი და სხვა სამღვთო წერილის წიგნებისა, არის აგრეთვე ნ. ბარათაშვილის ლექსები და ორი თუ სამი სხვა. ეს გახლავთ სულ ქართული ბიბლიოთეკა თფილისის სასულიერო სემინარიისა". მართალია, ეს წიგნები ბიბლიოთეკაში არის, მაგრამ ს. მესხის თქმით უბედურება ის არის, რომ მოსაწვლეებს ამ ორიოდე წიგნით სარგებლობის უფლებასაც არ აძლევენ. მხოლოდ ბოლო დროს მიუცია კუკშინსკის ცოტა შეღავათი მოწაფეებისათვის: „ერთი მხნე და გამბედავი შაგირდი მისულა უფ. ბიბლიოთეკართან „კრებულის" სათხოვნელად. ბიბლიოთეკარს, ჩვეულებისამებრ, მოუთხოვნია შაგირდისაგან, რომ ქართული ენის მასწავლებლის ხელწერილი მომიტანეო. შაგირდი მისულა იმასთან ამ ხელწერილის მოსაღებად, მაგრამ ამას თავის ნებით ვერ გაუბედნია: წადი ჯერ ინსპექტორს სთხოვეო, თუ მოგცემს ნებას, მერე ჩემთან მოხვალ და ხელწერილს დაგიწერო. წამოსულა ინსპექტორთან, რომელსაც ნება მიუცია, თუ ქართულის ენის მასწავლებელიც დათანხმდებაო. ახლა კიდევ ამასთან დაბრუნებულა, ამასაც ბოლოს როგორც იყო დაუწერია ბიბლიოთეკართან პატარა ხელწერილი... მაგრამ ამასთანავე მოუთხოვნია, რომ წიგნი რომ მოგცენ, ჯერ მე მომიტანე, წავიკითხო, „ხომ საეკვო არა არის რა შიგო და მერე შენ მოგცემო".[1]

---

1 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 308—309.

ს. მესხისათვის გაუგებარია თუ „ვისთვის და რატომ უნდა იყოს აკრძალული ამ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვა, რომელთაც ისეთი ხელმოჭერილი ცენზურა და ზედამხედველები ჰყავს?“

ივ. კუკუშინსკიმ მოსწავლეებს „ივერიის“ კითხვაზე კატეგორიული უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ „ჯერ მე „ივერიის“ რედაქტორს არ ვიცნობ, გავიცნობ და მერე გეტყვით: შეიძლება ამ გაზეთის კითხვა თუ არაო!“, ხოლო ქართული ენის მასწავლებელს სასტიკად აუკრძალა „ვეფხისტყაოსნის“ კითხვა სემინარიაში.

ასე ამხილა ს. მესხმა გაიძვერა კუკუშინსკი, რომელიც იმგვარად „სწავლობდა“ ქართულ ენას, რომ სემინარიიდან რიცხავდა მოსწავლეებს ქართული წიგნის კითხვისათვის და ამავე დროს ჰყოფნიდა გამბედაობა უსირცხვილოდ თავის მართლებისა.

1872 წელს გაზეთმა „ხმამ“ (№ 170) სასტიკად გაილაშქრა კავკასიაში ადგილობრივი ენების სწავლების წინააღმდეგ. ამ გაზეთის მოწინავე წერილის ავტორი მოხერხებულად იყენებდა გ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკის ბროშურას — „О существе национ. индивидуальности и об образовательном значении крупных единиц“ და მასში განვითარებულ რეაქციულ მოსაზრებას დიდ ერებში პატარა ერების გათქვეფის შესახებ. ავტორი უტიფრად აცხადებდა, რომ „ადგილობრივი ენების სწავლება კავკასიის სასწავლებლებში საჭირო არ არისო“. მისი აზრით „ქართლელს, იმერელს და მეგრელს ერთმანეთის ლაპარაკი სრულიად არ ესმით და ამის გამო თუ ყველა კავკასიის წვრილი ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მოვინდომეთ, მაშინ იქაურ სასწავლებლებში ვინ მოსთვლის რამდენი ენის სწავლება დაგვჭირდებაო“. ამიტომ, მისი აზრით, თუ კავკასიის პატარა ერებს წარმატება და რუსეთთან გათანასწორება სურთ, თავი უნდა დაანებონ მშობლიურ ენებს და რუსული ენა და ცივილიზაცია უნდა შეითვისონო. მოწინავე წერილის ავტორი არ მოერიდა პროვოკაციულ ცილისწამებასაც და კავკასიელი ხალხის მიერ მშობლიური ენის უფლებების დაცვაში საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფის და სრული დამოუკიდებლობის აღდგენის სურვილი დაინახა.

მიუხედავად მძიმე საცენზურო პირობებისა, ს. მესხმა მაინც შეძლო საკადრისი პასუხი გაეცა „ხმის“ თანამშრომლისათვის დიდი მგზნებარებით დაწერილი წერილით — „რუსული გაზეთების აზრი წვრილი ხალხებისა და სამშობლო ენაზე“.

ს. მესხმა გაზეთის მოწინავეში გავითარებულ შეხედულებებს „ხეპრული და უაზრო“ აზრები უწოდა და თვით რუსულ ლიტერატურაში გავითარებული საღი პედაგოგიური მოსაზრებების მომარჯვებით ამხილა შავრაზმელი პუბლიცისტის პროვოკაციული გამო-

დომა. „მე რომ გამოვსთქვა მაგალითად ის აზრი, — წერდა ს. მესხი. — რომ ყმაწვილს პირველდაწყებითი სწავლა ყოველთვის მშობლიურ ენაზე უნდა გადასცეს მასწავლებელმა მეთქი, ნუთუ ამ აზრისა გამოთქმისათვის მე საქართველოს დამოუკიდებლობისა და აღდგენის სურვილი და განზრახვა უნდა შემწამონ?.. თქვენს გარშემო რუსულს ლიტერატურაში მიიხედ-მოიხედეთ, უფ. „ხმის" პუბლიციტო და დაინახავთ რომ საუკეთესო რუსი მწერლები და პედაგოგები ამგვარი აზრისანი არიან".[1]

ს. მესხის რწმენით, ყოველი მმართველობა, რომელიც ზრუნავს ხალხის ბედნიერებისა და განათლებისათვის, იმას უნდა ცდილობდეს, რომ „ხალხს განათლების გზა და საშუალება გაუადვილოს" და ეს კი მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც ბავშვს მშობლიურ ენაზე გადასცემენ მეცნიერების საფუძვლებს.

როდესაც, 1881 წელს, დაიარა თბილისში მესამე გიმნაზიის გახსნის საკითხი, ს. მესხმა წამოაყენა წინადადება, რომ პროგიმნაზიის მოსამზადებელი კლასი სამგანყოფილებიანი ყოფილიყო: — ერთი რუსებისათვის, მეორე ქართველებისათვის და მესამე სომხებისათვის და თითოეულ ამ განყოფილებაში სწავლება მშობლიურ ენაზე წარმართულიყო. ს. მესხის აზრით „ორი წელიწადი რომ იაწავლოს ყმაწვილმა სამშობლო ენაზე ამ მოსამზადებელ კლასში, სულ არარაობას ეს სჯობიან და ამავე დროს ცოტ-ცოტათი შეეჩვევიან რუსულ წერა-კითხვას, უეჭველია, ამდენად მომზადებული იქნება, რომ პირველ კლასში მიიღებენ. და ამით დიდი შეშუბუქება მიეცემათ როგორც მშობლებს, აგრეთვე თვითონ ქართველ და სომეხ შაგირდებს, რომელთაც, საბრალოებს, გაჭირვებული აქვთ აწავლა იმით, რომ ჯერ სამშობლო ენაზე არა უსწავლიათ-რა და პირ-და-პირ უცხო გაუგებარს ენაზე ასწავლიან, უხსნიან".[2]

ს. მესხი ფიქრობს, რომ ქართული ენის ნორმალურად სწავლება და აგრეთვე რუსული ენისა და სხვა ყველა საგნის საფუძვლიანად ათვისება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ განათლების მესვეურნი ოთხ ძირითად პირობას დაიცავენ, თუ „ა) ქართული ენა ვალდებულებით საგნად შეიქნება ჩვენს გიმნაზიაში და საზოგადოთ ყველა სასწავლებლებში, ე. ი. როდესაც ყოველი ქართველი შაგირდი და მთავრობა მოვალე იქნება, რომ ისეთივე ყურადღება მიაქციოს ამ საგნის შესწავლას, როგორიც აქვს ახლა, მაგალითად რუსულ ენას, მათემატიკას, სამღვთო წერილს და სხვა საგნებს.

ბ) როდესაც ქართული ენის მასწავლებელს შტატის მასწავლებ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 288.

[2] „დროება", 1881 წ., № 250.

ლად ჩარიცხავენ სამსახურში, ე. ი. მიანიჭებენ ყველა იმ უფლებასა და უპირატესობას, რაც სხვა საგნების მასწავლებელთა აქვთ.

გ) როდესაც ქართული ენის სწავლება ჩვენს გიმნაზიაში მარტო პროგიმნაზიულ კლასებით კი არ გათავდება, არამედ ყველა კლასებში იქნება დაწესებული და

დ) როდესაც ქართული ენის პროგრამმაში, თვითონ ენისა და ლიტერატურის გარდა ჩარიცხული იქნება აგრეთვე შემოკლებით მაინც უმაღლესს კლასებში საქართველოს ისტორიის შესწავლაც".[1]

ს. მესხის მიერ წამოყენებული მოთხოვნა სავსებით კანონიერი და საფუძვლიანი იყო და იგი გონივრულ პედაგოგიურ თვალსაზრისს ემყარებოდა, მაგრამ ამიერკავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელობას მათი ცხოვრებაში გატარება ფიქრადაც არ მოსვლია, რადგან იგი არსებითად ეწინააღმდეგებოდა ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

ცარიზმი სრულიადაც არ იყო დაინტერესებული ხალხთა ფართო მასების განათლებით და ამიტომ არც იწუხებდა თავს სასკოლო ქსელის გასაფართოებლად. ამ საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი ფაქტი:

1875 წელს „თბილისის მოამბის" მესამე ნომერში დაიბეჭდა ამ გაზეთის თანამშრომლის სემენენკოს წერილი ქუთაისის გუბერნიაში წერა-კითხვის გავრცელების მდგომარეობის შესახებ. წერილის ავტორის აზრით გურიის მოსახლეობის გონებრივ განათლებას თურმე ის გარემოება უწყობდა ხელს, რომ გურიაში მუდამ იდგა „რუსის ჯარი", თვით გურულების მნიშვნელოვანი ნაწილიც მსახურობდა „ქვეითა მილიციაში" და გურიის მცხოვრებთა თითქმის მეოთხედი დანათესავებულნი ყოფილან რუსებთან. ხოლო „სამეგრელოს ხალხის გონების გახსნას ეხმარებოდა და ეხლაც ეხმარება აგრეთვე რუსის ჯარი და ერთის მხრით მოსამსახურე პირებიც, რომელთაც ამ ჟამად ზუგდიდში ორი კლუბი აქვთ გამართულიო".

ს. მესხმა სასტიკად გააკრიტიკა არა მხოლოდ წერილის ავტორი, არამედ „თბილისის მოამბის" რედაქციაც და მიუთითა, რომ მართალია, ყველას აქვს უფლება სისულელეების ლაპარაკისა, მაგრამ რედაქტორის მოვალეობაა, რომ თავის გაზეთში ეს სულელური და ხეპრული აზრები არ დაბეჭდოსო.

ს. მესხს სრულ უაზრობად მიაჩნია სემენენკოს „ბრძნულ-მეტყველებანი", რომლის მიხედვითაც „გამოდის, რომ შკოლების გახსნა და სხვა ამგვარი საჭირო აღარ უნდა იყოს. თუ რომელიმე ხალხის გონების გახსნა და განათლება გსურთ, სალდათები ჩააყენეთ შიგა

---

[1] „დროება", 1879 წ., № 59.

და დარწმუნებული იყავით, რომ ეს ხალხი მალე უგანათლებულეს და უწარმატებულეს ხალხად გადაიქცევა"[1], ირონიით დასძენს ს. მესხი.

სემენენკოს და მის მსგავს ავტორთა ამგვარი განცხადებანი შემთხვევითი ხასიათისა არ იყო. რუსიფიკატორულ-შავრაზმული სულით გამსჭვალული ადამიანები ქართველი ხალხის გადაგვარების ერთ-ერთ ღონისძიებად იმასაც მიიჩნევდნენ, რომ ქართულ სოფლებში სკოლები არ გახსნილიყო და მოსახლეობა „რუსის სალდათებისა" და მოხელეების ანაბარად დაეტოვებინათ.

ს. მესხი კი ხედავდა, რომ საქართველოში არსებული სკოლების რიცხვი იმდენად მცირე იყო, რომ ის ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ამიტომ, ბუნებრივად ისმოდა ახალი სკოლების გახსნის აუცილებლობის საკითხი.

მაგრამ ვინ უნდა ითავოს ახალი სკოლების გახსნა? ს. მესხისათვის ამ საკითხზე პასუხი საესებით ნათელია: „რადგან შკოლა ერთი უმთავრესი წყაროა ხალხის კეთილდღეობის მისაღწევნელად, მაშასადამე შკოლაც იმან უნდა გამართოს, ვისაც ხალხის კეთილდღეობაზე მზრუნველობა ეკუთვნის, ე. ი. მმართებლობამ".[2]

ბუნებრივია, რომ ასე უნდა ხდებოდეს ყველგან, მაგრამ ს. მესხის დაკვირვებული თვალი მშვენივრად ამჩნევს, რომ „მმართებლობა შკოლისათვის და საზოგადოთ ხალხის განათლებისათვის ზოგან იმის მეოთხედსაც არ ზრუნავს და არ ხარჯავს, რამდენსაც თითონ ამ ქვეყნის მოწინავე საზოგადოება ზრუნავს და ხარჯავს". ჩვენი მოწინავე საზოგადოება კი, ამ მხრივ სამწუხარო გულგრილობას იჩენს. არა თუ სკოლა, უბრალო დაწესებულებაც კი არ გამართულა საზოგადოების ინიციატივით. მთელ საქართველოში ერთ ან ორ სკოლას თუ დავასახელებთ, რომელიც კერძო პირის თაოსნობით დაარსებულა და ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში საკმაოდ მოიძებნებიან განათლებული ახალგაზრდები, რომელთაც შეუძლიათ ამ საქმის თაოსნობა. მაგრამ, სამწუხაროდ, „ამ გვარი საქმეების ხელის მოკიდების სურვილი ჯერ-ჯერობით იმას ერთხელაც არ განუცხადებია".

მაშ სად არის გამოსავალი? ს. მესხის აზრით, ამ არასასიამოვნო მდგომარეობიდან ქართველი ხალხი მხოლოდ მაშინ დააღწევს თავს, თუ ჩვენში ერობის დაარსება მოხერხდება. მისი ღრმა რწმენით რუსეთში ერობამ ფრიად ნაყოფიერი შედეგი გამოიღო და მოსახ-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 7.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 40.

ლეობაში სწორედ იგი ავრცელებს ძირითადად წერა-კითხვასა და საერთოდ განათლებას.

ს. მესხი, ისე როგორც ჟურნალი „კრებული“ და, კერძოდ, ნიკო ნიკოლაძე, 70-იან წლებში ერობაზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებდა. მესხს გულწრფელად სჯერა, რომ ერობა „ცოტათი მაინც გამოგვაფხიზლებს, გამოგვაჭყეტინებს თვალებს და ჩვენ მდგომარეობაზე დაგვაფიქრებს, ის აღძრავს ჩვენში საკუთარ თავზე ზრუნვას, მოსპობს იმ დაუდევრობას, რომლის წყალობით მუდამ სხვებს შევჩერებივართ და სხვებისაგან მოველით ჩვენი საკუთარი საზოგადო საქმის შესრულებას. ის გააღვიძებს ჩვენში იმ საზოგადო საქმეების ინტერესს, ის მოგვაკიდებინებს ჩვენ ხელს ისეთი საქმეებისათვის, რომლის საჭიროება და აუცილებლობა ჩვენ სხვებზე, გარეშე პირებზე უკეთ გვესმის, რადგან ეს საქმეები ჩვენი საკუთარი საქმეებია; ის დაგვაფიქრებს ჩვენ უმეცარი ხალხის განათლებაზე, ჩვენი საწყალი ხალხის ეკონომიურად გაუმჯობესებაზე, ჩვენი გაცალკევებული ქალაქებისა და სოფლების ერთმანეთთან გზების საშუალებით შეერთებაზე და ათას ისეთ სხვა რამეებზე, რომლებისათვისაც ფიქრი და ხელის განძრევა, დიდი ხანია დრო არის“.[1]

აღსანიშნავია, რომ როგორც ს. მესხი, ასევე ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებიც, რომელნიც დაჟინებით მოითხოვდნენ ერობის დაარსებას, ვერ ამჩნევდნენ, რომ „ერობას იმთავითვე არგუნა ბედმა რუსეთის სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობის ურმის მეხუთე თვალი ყოფილიყო, ისეთი თვალი, რომელსაც ბიუროკრატია მხოლოდ იმდენად ი თ მ ე ნ დ ა, რამდენადაც მისი ყოვლადშემძლებლობა არ ირღვეოდა, ხოლო მოსახლეობისაგან არჩეული დეპუტატების როლი განისაზღვრებოდა მარტოოდენ პრაქტიკით, იმ ამოცანათა უბრალო, ტექნიკური ასრულებით, რომლებიც ამავე მოხელეებმა დასახეს. ერობას არ გააჩნდა თავიანთი აღმასრულებელი ორგანოები, მათ უნდა ემოქმედნათ პოლიციის საშუალებით, ერობები ურთიერთ შორის დაკავშირებული და ერთბაშად დაექვემდებარნენ ადმინისტრატიულ კონტროლს... მთავრობა ერობის შემოღების მეორე დღესვე შეუდგა იმის სისტემატურად შევიწროვებას და შეზღუდვას: ყოვლის შემძლე მოხელეთა ხროვას არ შეეძლო შეგუებოდა ყველა წოდებათაგან არჩეულ წარმომადგენლობას და ყოველნაირად სდევნიდა მას.[2]

თუკი ასეთი იყო ერობის მდგომარეობა რუსეთის გუბერნიაში, ადვილად წარმოსადგენია, თუ რა შევიწროვებულ პირობებში იქნე-

---

[1] ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 344.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. V, 1949 წ., გვ. 42—43.

ბოდა იგი საქართველოში, რომ კიდევაც მოხერხებულიყო მისი დაარსება. ამდენად, რა თქმა უნდა, ერობა ვერ გაამართლებდა იმ დიდ იმედებს, რომელსაც მასზედ ს. მესხი და ნ. ნიკოლაძე ამყარებდნენ 70-იან წლებში.

შექმნილი ვითარება საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე და განსაკუთრებით სახალხო განათლების დარგში ყოვლად აუტანელი იყო, რაც ერის მომავალს დაღუპვით ემუქრებოდა. სწორედ ამით აიხსნება ს. მესხის მოურიდებელი ბრძოლა ყველა იმ სიმახინჯეთა მხილებაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სახალხო განათლების სისტემაში. ქართველ ხალხს სწავლა სწყუროდა, მშობლები არაფერს ზოგავდნენ, რომ შვილები მოემზადებინათ გიმნაზიაში მისაბარებლად, „მაგრამ მწარედ შემცდარი არიან მშობლებიცა და ყმაწვილებიც, — შენიშნავს ს. მესხი, — თუ ჰფიქრობენ, რომ ეგზამენის დასაჭერად მარტო ცოდნა არის საჭირო იმ საგნებისა და იმ პროგრამით, რომელიც ყმაწვილს ეგზამენის დროს უნდა მოეთხოვებოდეს“.

ჭეშმარიტი ცოდნის მაგივრად გადამწყვეტ როლს პროტექცია და ქრთამი თამაშობდა. ამის საილუსტრაციოდ ს. მესხს რამდენიმე დამაჯერებელი ფაქტიც მოაქვს. მაგალითად, ქუთაისის სასწავლებლის პედაგოგებს, გამოცდების წინ სამი დღით ადრე, მშობლებმა შვილები მოსამზადებლად მიაბარეს და ამ „მომზადებაში“ საკმაო რაოდენობის თანხა გადაიხადეს. ეს კი უკვე საკმარისი პირობა იყო, რომ მათი შვილები ან უგამოცდოდ ჩაერიცხათ ანდა ყველა მათგანს გამოცდები „ბრწყინვალედ“ ჩაებარებინა და სასწავლებელშიც მოხვედრილიყო. მონასტირცევისა და ტერ-აკოფოვის კერძო პანსიონის მოსწავლენიც დაუბრკოლებლივ ხვდებოდნენ გიმნაზიაში, რადგან ამ პანსიონში გიმნაზიის პედაგოგები მასწავლებლობდნენ და პანსიონის ხელმძღვანელობა „მარტო იმისათვის კი არ აძლევდნენ მასწავლებლებს თითო გაკვეთილში სამ და ოთხ მანეთს, რომ ესწავლებინათ და საგნებში მოემზადებინათ, არამედ უფრო იმისათვის, რომ როცა გიმნაზიაში გადასასვლელი ეგზამენის დაჭერა მოუხდებოდათ, მხედველობაში ჰყოლოდათ მათი შაგირდები“. მასწავლებლები გაქნილი ჩინოვნიკებივით ხელში შესჩერებოდნენ მშობლებს და მხოლოდ ქრთამი სწყვეტდა მათი შვილების აღზრდისა და განათლების საქმეს.

ამ მდგომარეობით აღშფოთებული ს. მესხი საზოგადოების წინაშე გულწრფელად სვამს სავალალო კითხვას: „საცა სწავლის წესი ასე არის გამართული, საცა ამისთანა მასწავლებლები არიან, საცა ყმაწვილების მიღებისა და ეგზამენის დროს პირველი ადგილი ფულსა და პროტექციას უჭირავს, საცა მასწავლებლები მოქრთამეები

არიან, — იქ სწავლას რა ხეირი უნდა დაეყაროს?"[1] ეს ისეთი დამფიქრებელი გარემოებაა, რომ ს. მესხის მართებული რწმენით, იგი არა მხოლოდ მთავრობის, არამედ ფართო საზოგადოების ყურადღების ღირსია.

ლტოლვამ განათლებისაკენ განსაკუთრებით იჩინა თავი დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა შორის, მაგრამ სასწავლებელთა ნაკლოვანების გამო მრავალი ახალგაზრდა სკოლის გარეთ რჩებოდა. ამიტომ, როდესაც 1872 წელს იმერეთის სამღვდელოების ყრილობამ გადაწყვიტა სასულიერო სემინარიის დაარსება, ს. მესხი კმაყოფილებით შეხვდა ამ თაოსნობას, მითუმეტეს, რომ ახლად დაარსებულ სემინარიას არ ექნებოდა ისეთი ვიწრო სასულიერო ხასიათი, როგორც ეს დამახასიათებელი იყო მანამდე არსებული რუსეთის სასულიერო სემინარიებისათვის. „სემინარიას, — წერდა ს. მესხი, — დასავლეთ საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ექნება და უანგარიშო სარგებლობის მოტანა შეუძლია; განსაკუთრებით ისეთ სემინარიას, რომელსაც ახალი წესდებულების ძალით, სრულებით აღარ ექნება ის განსაზღვრული სასულიერო ხასიათი, როგორც დღემდის ჰქონდათ რუსეთის სემინარიებს".[2]

ს. მესხი იქამდისაც კი მიდის, რომ სასულიერო სემინარიას დასავლეთ საქართველოს კეთილდღეობისათვის გიმნაზიაზე მეტ უპირატესობას ანიჭებს, რადგან „ჩვენს გიმნაზიებში... მომეტებული ნაწილი მოსწავლეებისა თავად-აზნაურების, ვაჭრების და საზოგადოთ უფრო შეძლებული ხალხის შვილები იზრდებიან, ე. ი. ყმაწვილები, რომელნიც ბავშვობიდან ხშირათ განებივრებულები და შრომას შეუჩვეველნი არიან. შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამათი სწავლებისაგან ჩვენი ქვეყანა მაგდენს ხეირს ვერაფოდეს ვერ ნახავს, რადგან განებივრებულ ყმაწვილს, როგორც საზოგადოთ შრომა, ისე სწავლისათვის რიგიანი შრომა არ შეუძლია".[3]

სემინარია კი, ს. მესხის აზრით, ამ მხრივ განსხვავებული იქნება, რადგან მასში თავს მოიყრიან მშრომელი ხალხის შვილები, რომელნიც ბავშვობიდანვე მიჩვეულნი არიან შრომას, რომელნიც „ნამდვილ ხალხში არიან აღზრდილნი" და რომელთაც ეცოდინებათ ხალხის მოთხოვნილება და საჭიროებანი. ს. მესხის რწმენით „სიღარიბეში გამოჯანგრული" ხალხის შვილი უფრო გამოსადეგი და საიმედო იქნება ხალხისათვის და თუ „სემინარიაში ნამდვილი ხალხოსნური სული და მიმართულებაც იქნება", ცხადია, ყოველი ქართველი ვალდებულია მხარი დაუჭიროს ამ კეთილ წამოწყებას.

---

1 „დროება", 1879 წ., № 191.

2 ს. მ ე ს ხ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 261.

3 ი ქ ვ ე, გვ. 339.

სასულიერო სემინარიის დაარსებას ქუთაისში ს. მესხის აზრით სხვა მნიშვნელობაც ექნებოდა: მისი რწმენით არც ერთ წოდებას, არც ერთ უწყებას არ შეეძლო იმდენი სარგებლობის მოტანა ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებისათვის, რამდენიც სამღვდელოებას. ს. მესხი ეხება სამღვდელოების ისტორიულ დამსახურებას ქართველი ერის ცხოვრებაში და წერს: „ჩვენი ხალხის საერო ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია საეკლესიო ისტორიასთან. სამღვდელო პირნი იყვნენ ჩვენში ძველად უბედურების დროს ხალხის მანუგეშებელნი, ლიტერატურის გამამდიდრებელნი და ხშირად ომში წინამძღოლნი. მათი წყალობით დაცულია დღეს ჩვენში დიდებული სარწმუნოება ქრისტესი და ამ სარწმუნოების დასაცველად ხალხი თავის სამშობლოსაც იცავდა".[1]

ს. მესხი კარგად ამჩნევს, რომ თანამედროვე ვითარებაში სამღვდელოებას აღარა აქვს პროგრესული როლი. მეტად დაბალია მათი გონებრივი განათლება, „განსაკუთრებით სოფლის მღვდლებს სასულიერო სემინარიაშიაც არ გაუთავებიათ სწავლა. ორი-სამი კლასი დაუსრულებიათ სადმე (ზოგს არც ეს) და მღვდლებათ კურთხეულან; რასაკვირველია, რომ ამისთანა მღვდლებს ბევრი არა მოეთხოვებათ რა". განათლებულ და გონებაგახსნილ სამღვდელოებას კი შესწევს უნარი, სწავლა-განათლება მოჰფინოს ხალხში, განსაკუთრებით სოფლად. „საქართველოს ყოველ სოფელში, — წერს ს. მესხი, — თითო მღვდელია. წარმოიდგინეთ, როგორ გავრცელდებოდა ჩვენს ხალხში, სხვა არა იყოს რა, წერა-კითხვის ცოდნა მაინც, ყველა სოფლის მღვდელს რომ პატარა სამრევლო სკოლა ჰქონდეს გამართული? წელიწადში რომ თითოეულმა მღვდელმა, უკანასკნელ, ოც ყმაწვილს ასწავლოს წერა-კითხვა, უეჭველია, ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში ერთი ისეთი კაცი აღარ იქნებოდა ჩვენში, რომ წერა-კითხვა მაინც არ სცოდნოდა, — და ამაზე უმაღლესს, ამაზე უკეთესს მოვალეობას რას აასრულებდა ჩვენი სამღვდელოება?"[2]

ს. მესხი დარწმუნებულია, რომ ჩვენი სამღვდელოება, უდიდეს საქმეს გააკეთებს, თუკი ხელს მოჰკიდებს სოფლად ხალხის განათლების საქმეს, სკოლას კლერიკალურ ხასიათს არ მისცემს და ამით არ ააცდენს სწორი გზიდან, რადგან იგი ყოველთვის მოკლებული იყო კლასიკურ ხასიათს, რაც ამ სამღვდელოების „პირველ და საუკეთესო ღირსებას" წარმოადგენდა.

ასე მსჯელობდა ს. მესხი 70-იან წლებში. მისი მსჯელობა მეტად უტოპიური ხასიათისაა. ეს იყო მხოლოდ კეთილი გულიდან

---

[1] ს. მ ე ს ხ ი. თხზულებანი, ტ. II, გვ. 53.

[2] ი ქ ვ ე.

გამომდინარე კეთილი სურვილები და მისი ავტორი ვერ ხედავდა, ან არ უნდოდა დაენახა, სამღვდელოების რეაქციული ბუნება, რაც 70-იან წლებში უკვე სავსებით მკაფიოდ იყო გამომჟღავნებული. მაგრამ ხალხის განათლების სურვილით გატაცებული პუბლიცისტი მაინც ცდილობდა სამღვდელოების გამოყენებას ამ კეთილშობილური საქმისათვის, რაც, ცხადია, შეუძლებელი იყო.

სახალხო განათლების საქმის მოწესრიგება საქართველოში ბევრად იყო დამოკიდებული სასწავლო ოლქის მზრუნველებზე, მაგრამ ყველა მზრუნველი პირწავარდნილი მოხელე იყო, რომელიც ერთგულად ახორციელებდა ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკას. ასეთ მზრუნველთა რიგებს ეკუთვნოდა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი, რომელიც კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველად დაინიშნა 1878 წელს და ამ თანამდებობაზე 1901 წლამდე დაჰყო.

ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი იანოვსკის დანიშვნას ერთგვარი იმედით შეხვდა. ს. მესხმა ვრცელი წერილით მიმართა კავკასიის სასწავლო ოლქის ახალ მზრუნველს და განუმარტა იმ დიდი მოვალეობის სირთულე, რომელიც მან იტვირთა. „აქ, ჩვენში, კავკასიაში, — წერდა ს. მესხი, — სადაც სხვა-და-სხვა გვარ-ტომის ხალხი ცხოვრობს, სადაც ხალხის განათლების საქმე დღემდინ ასე უთავბოლოდ, ასე ცუდათ და ასე უხეიროთ მიდიოდა, სადაც ხალხს ნამდვილი, ღირსეული პედაგოგი ჯერ ორიც არ უნახავს, აქ ეს მოვალეობა ბევრად უფრო ძნელი და სამძიმოა, ვინემ სადმე შუაგულ რუსეთის გუბერნიაში“.[1]

ამავე დროს ს. მესხმა ნათელი სურათი გადაუშალა მზრუნველს კავკასიაში და კერძოდ საქართველოში მანამდე არსებული მახინჯი პედაგოგიური სისტემისა და მოითხოვა მისგან ჩვენი ხალხის განათლების მდგომარეობის დაყენება საღ პედაგოგიურ ნიადაგზე. იანოვსკის საყურადღებოდ ს. მესხმა მკვეთრად გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ საქართველოში „მუდამ და ყველგან ირღვეოდა პედაგოგიის უპირველესი ჭეშმარიტება, რომ ყმაწვილმა თავის სამშობლო ენაზე, გასაგებ ენაზე უნდა მიიღოს პირველ-დაწყებითი სწავლაო. სხვა, გარეშე მიზეზებმა, სრულებით არა-პედაგოგიურ მიზეზებმა და გარემოებამ დაავიწყებინა, გაათელვინა ფეხ-ქვეშ ჩვენს პედაგოგებს ეს პედაგოგიური ჭეშმარიტება“.

ს. მესხმა გააგებინა კ. იანოვსკის, რომ ქართველი ხალხი ნიჭიერი და შრომის მოყვარეა, რომ იგი „უკანასკნელ პერანგს არ დაზოგავს“, ოღონდ დარწმუნდეს, რომ მისი შვილი სასარგებლო და ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნას იძენს, მაგრამ განათლების

[1] „დროება“, 1878 წ., № 267.

საქმე საქართველოში წარმატებით ვერ მიდის, რისი მიზეზიც სწავლების უეარგის სისტემაში და უეიც პედაგოგებში უნდა ვეძიოთო.

საყურადღებოა, უკანასკნელი რჩევაც, რომელიც ს. მესხმა იანოვსკის მისცა: „თქვენ მოსულხართ უცნობ ქვეყანაში. მაშასადამე შესაძლებელია, რომ თქვენ დაუგდოთ ყური და დაუჯეროთ ისეთ პირებს, რომელნიც თქვენზე ადრე მოსულან აქ, რომელთაც თქვენზე უფრო დიდხანს უცხოვრიათ კავკასიაში და რომელთაც, თქვენი ჰაზრით, უკეთ უნდა იცოდნენ აქაური ხალხიც და განათლების საქმეც.

ჩვენი რჩევა ის არის, რომ ამგვარ პირთ ნურაფერს დაუჯერებთ. თქვენ თითონვე ეცადეთ ყველაფერი დაინახოთ საკუთარის თვალითა და გაიცნოთ საკუთარის გონებითა“.

ამ უდაოდ გონივრული მოთხოვნით ს. მესხს უნდოდა, რომ ახალი მზრუნველი არ მინდობოდა და არ აჰყოლოდა იმ შავრაზმელ და რეაქციონერ მოხელეებს, რომელნიც მოკალათებულნი იყვნენ განათლების სისტემაში.

აღსანიშნავია, რომ ილია ჭავჭავაძეც დიდ იმედებს ამყარებდა კ. პ. იანოვსკიზე და 1879 წლის „ივერიის“ პირველ ნომერში წერდა: „განათლებას საზოგადოდ და ხალხის განათლებას კერძოდ კარგი მომავალს უქადის მიდრეკილება და მიმართულება მისი, ვინც ახლად დანიშნულ იქნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მეთაურად და მზრუნველად“.

აბა, მაშინ რა იცოდა ილ. ჭავჭავაძემ ან ს. მესხმა, რომ იანოვსკის სახით ცარიზმმა პირწავარდნილი შავრაზმულ-რეაქციონური საგანმანათლებლო პოლიტიკის ერთგული გამტარებელი მოავლინა კავკასიაში, რომელიც მეტად ოსტატურად იყო შენიღბული.

მუშაობის დაწყების პირველ ხანებში იანოვსკის მოქმედება მართლაც ერთგვარ იმედს იძლეოდა, რომ სახალხო განათლების სისტემაში მანამდე არსებული ხარვეზები და უხეში შეცდომები ახალი მზრუნველის ხელმძღვანელობით უნდა გამოსწორებულიყო. „პირველი ნაბიჯები თქვენის მოქმედებისა ჩვენში, — წერდა ს. მესხი, — თითქოს გვაიმედებდნენ, რომ რასაც ამბობდნენ თქვენზე მართალი იყო, რომ ნამდვილ პედაგოგიურს მიზანს მისდევდით და სხვას არაფერს. „ცირკულიარშიაც“ და პირადათაც მასწავლებლებს და შაგირდებს ეუბნებოდით, ამბობდით, აცხადებდით, რომ ყველამ თავის სამშობლო ენა უნდა შეისწავლოსო, ყველა კაცი თავის ქვეყნისა და მოქმედებისათვის უნდა იყოს მომზადებულიო, პირველდაწყებითი სწავლა სოფლის შკოლებში უეჭველად სამშობლო ენაზედ უნდა იყოსო! იქამდინ მიდით, რომ იქაურ მასწავლებლებში მყოფ რუსებსაც კი ვალდებულად ხდიდით, რომ ქართული ენა შე-

ესწავლათ; თითქოს ქართულ სახელმძღვანელოების გავრცელებას სცდილობდით და სხვ.".[1]

კ. იანოვსკიმ ქართველი ინტელიგენცია იმითაც მოხიბლა, რომ მან მხარი დაუჭირა კავკასიაში უმაღლესი სპეციალური სასწავლებლის დაარსებას და აღმოსავლური ენების ფაკულტეტის გახსნას თბილისში, ხოლო 1879 წლის 22 დეკემბერს კავკასიის სასწავლო ოლქთან არსებულ საბჭოს ასეთი დადგენილება გამოატანინა: „ეთხოვოს სასწავლებელთა უფროსებს და დაწყებითი სკოლების დირექტორებს ყურადღება მიაქციონ იმას, რომ სასწავლებელთა მოსამზადებელი კლასებისა და დაწყებითი სკოლების მასწავლებლები ადგილობრივ ბავშვებთან მეცადინეობისას რუსული სიტყვებისა და წინადადებების ასახსნელად იყენებდნენ მოწაფეთა მშობლიურ ენას, რამდენათაც ეს საჭიროა, რომ ყოველივე შესასწავლი შეგნებულად და არა მექანიკურად ისწავლებოდეს. ამიტომ მზრუნველის საბჭო საჭიროდ სცნობს, რომ ასეთ კლასებსა და სკოლებში შეძლებისდაგვარად ისეთი პირები ინიშნებოდნენ მასწავლებლებად, რომელნიც გაცნობილნი არიან ადგილობრივ მოსახლეობაში გაბატონებულ ენასო".

ცხადია, ეს უდაოდ გონივრული გადაწყვეტილება იყო, რის წინააღმდეგაც არაფრის თქმა არ შეიძლებოდა და ქართველი ინტელიგენციაც სავსებით კმაყოფილი იქნებოდა, რომ ეს დადგენილება ცხოვრებაში მართლაც გატარებულიყო, მაგრამ ილ. ჭავჭავაძის თქმისა არ იყოს იანოვსკის „ქმნულსა და თქმულს" შორის დიდი ზღვარი იყო. იგი ერთს ამბობდა და სრულიად საწინააღმდეგოს კი აკეთებდა. მაგალითად, იანოვსკიმ სასაცილოდ აიგდო ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი სტოიანოვი იმ მოხსენებისათვის, რომელიც მან 1879 წელს წარუდგინა იანოვსკის და აცნობა, რომ გასცა განკარგულება რათა, მოსამზადებელი და დაბალი კლასების არაქართველ მასწავლებლებს უმოკლეს ვადაში შეესწავლათ ქართული ენა. გარდა ამისა, როდესაც ხონის საოსტატო სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ იშუამდგომლა მზრუნველის წინაშე, რომ ქართული ენა სავალდებულო საგნად ქცეულიყო სემინარიაში ყველა ეროვნების მოწაფისათვის, მზრუნველმა ამ შუამდგომლობასაც უარით უპასუხა.

კ. იანოვსკი, რომელიც გამომდინარეობდა თვითმპყრობელობის საერთო პოლიტიკიდან განაპირა ქვეყნების მიმართ, სკოლის ძირითად მიზანს კავკასიაში იმაში ხედავდა, რომ სკოლას დაენერგა ახალგაზრდობაში რუსული სული, გადაეგვარებინა იგი, წაერთმია მის-

---

[1] „დროება", 1880 წ., № 254.

თვის ყველაზე ძვირფასი — მშობლიური ენა და აღეზარდა არა ეროვნული კულტურის უანგარო მუშაკნი, არამედ, მოხელე-ჩინოვნიკობა, რომელიც ერთგული მსახური იქნებოდა ცარიზმისა და ასევე ერთგულად გაატარებდა მის პოლიტიკას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

სწორედ ამას ისახავდა მიზნად კ. იანოვსკის მიერ ხელმოწერილი ცირკულიარი, რომელიც მან 1880 წლის ოქტომბერში დაუგზავნა ყველა თავის ხელქვეითს. ცირკულიარში ეკითხულობთ: „კავკასიაში რუსული სკოლების დაარსება და ადგილობრივ მკვიდრთა მოზიდვა მასში სასწავლებლად უდაოდ ამ მხარეში რუსული ცივილიზაციის განმტკიცების უმთავრეს საშუალებად უნდა ჩაითვალოს. იმედი უნდა ვიქონიოთ, ეს ცივილიზაცია, რომელიც მიისწრაფვის შეიპრას ხალხში და ვითარდება რაციონალურად მოწყობილი სკოლის საშუალებით, წინათ აქ არსებულ ცივილიზაციებზე უფრო მტკიცე აღმოჩნდება, რომელთა შესაცვლელად ის აქ მოვიდა და რომელნიც დაიღუპნენ უმთავრესად გარემომცველ უვიც ტომებთან და ხალხთან საბრძოლველად კულტურულ საშუალებათა უქონლობის გამო“.

ქართული ენის დევნისა და ახალგაზრდობის გადაგვარების ცდის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს იანოვსკის დამქაშის — მარსოვის და სხვათა გამოსვლა ქუთაისში 1880 წელს გამართულ მასწავლებელთა ყრილობაზე.

კ. იანოვსკიმ ყრილობაზე საგანგებოდ მიავლინა გორის საოსტატო სემინარიის დირექტორი, კ. დ. უშინსკის ნიჭიერი მოწაფე და თანამეზრძოლი, დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვი. დ. დ. სემიონოვი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიულ-პედაგოგიური საქმიანობით საკმაოდ პროგრესული პიროვნება იყო, რომელიც ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოში და კარგი ავტორიტეტითაც სარგებლობდა პედაგოგიურ წრეებში. ამიტომ შემთხვევითი არ იყო კ. იანოვსკის მიერ დ. სემიონოვის გაგზავნა ქუთაისის სახალხო მასწავლებელთა ყრილობაზე სწავლების საკითხებში მთავრობის ოფიციალური ხაზის დასაცავად.

სამწუხაროდ, დ. სემიონოვს, როგორც ოფიციალურად წარმოგზავნილ პირს, მოუხდა იმ დებულებათა დაცვა, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა მის საღ პედაგოგიურ თვალსაზრისს.

იანოვსკის მიზანი იყო ყრილობას გამოეტანა დადგენილება, რომ რუსული ენის სწავლა სკოლებში პირველი წლის მეორე ნახევრიდან დაწყებულიყო. სხდომაზე ლაპარაკი იყო ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის, მარსოვის კითხვაზე: „რა

მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს სახალხო შკოლებში სამშობლო ენას და რუსულ ენას... და რომელ ენაზე უნდა იყოს საგნების სწავლება სასოფლო შკოლაში". სავარაუდებელია, რომ ეს კითხვებიც წინასწარი პასუხით მარსოვს იანოვსკიმ გაუგზავნა.

ს. მესხმა საკითხების ამგვარად დაყენება საშინელ უაზრობად მიიჩნია და ირონიით შენიშნა: „რატომ იმაზედაც არ აბაასა ბ. მზრუნველმა მასწავლებელთა კრება — თუ სიბნელეში უნდა ასწავლოს ოსტატმა შაგირდს, თუ სინათლეში? ანუ სწავლის დროს ყირაზე უნდა იდგენ შაგირდები თუ პარტებზე უნდა ისხდნენ?".

დ. დ. სემიონოვი, რომელმაც ვრცელი საუბარი ჩაატარა მასწავლებელთა შორის, არ უარჰყოფდა იმ დებულებას, რომ პირველდაწყებითი სწავლა ახალგაზრდობას მშობლიურ ენაზე უნდა მიეღო, მაგრამ თავისი რწმენის წინააღმდეგ რუსული ენის სწავლებასაც იმ დღიდან მოითხოვდა, რა დღესაც მოწაფე სკოლაში ფეხს შედგამდა. სემიონოვს რუსული ენის ცოდნა იმიტომ მიაჩნდა აუცილებელ საჭიროებად, რომ იგი სახელმწიფო ენად იყო აღიარებული და რაც მთავარია, მისი აზრით, ქართველი ბავშვი მშობლიურ ენაზე ვერ ისწავლიდა ვერც ისტორიას, ვერც გეოგრაფიას, ვერც არითმეტიკას და ვერც სხვა საგნებს, რადგან ამ საგნებში ქართულ ენაზე სახელმძღვანელოები არ იყო. და თვით მასწავლებლებსაც რუსულად უფრო ეადვილებოდათ საგნების გადაცემა, ვიდრე ქართულად.

ს. მესხი გაკვირვებას და აღშფოთებას გამოთქვამს აღიარებული პედაგოგის ამგვარ ანტიპედაგოგიური მოსაზრებების გამო; იგი გაოცებულია იმ მეთოდითაც, რომელსაც სემიონოვი სთავაზობს მასწავლებლებს რუსული ენის შესასწავლად: „სურათები უჩვენეთ, რომელზედაც სხვა-და-სხვა ცხოველები და საგნები არის დახატული, რუსულად დაუსახელეთ და ზ ე პ ი რ ა თ ასწავლეთო!"

ს. მესხმა ძალიან კარგად იცის, თუ რა მნიშვნელობა აქვს რუსულ ენას და საჭიროდაც მიიჩნევს მის ცოდნას, მაგრამ ამ ენის სწავლება სკოლაში შესვლის პირველივე დღიდან და ისიც გაზეპირების მეთოდით, ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია.

რუსული ენის სწავლების საკითხს ს. მესხი სპეციალურად შეეხო წერილში: „რუსული ენა ჩვენს გიმნაზიაში". ამ წერილშიც მან სასტიკად დაგმო გაზეპირების მეთოდი და მოითხოვა რუსული ენის შესასწავლად გამოეყენებინათ მშობლიური ენა. ამიტომ, ს. მესხის მართებული რწმენით, მოსამზადებელ კლასებში რუსული ენის მასწავლებლებად უნდა დანიშნულიყვნენ ის პირები, რომელთაც ქართული ენა ეცოდინებოდათ და შესაძლებლობა ექნებოდათ ამ ენის საშუალებით აეხსნათ და განემარტათ მათთვის გაუგებარი რუსული სიტყვები, ცნებები და წინადადებანი.

ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კომისიამ, რომელიც გიმნაზიებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხზე მუშაობდა, დაადგინა, რომ ყველა საგნის მასწავლებელს მიეღო მხურვალე მონაწილეობა მოსწავლეთათვის რუსული ენის დაუფლების საქმეში. ს. მესხი, რა თქმა უნდა, არ არის წინააღმდეგი, რომ სხვადასხვა საგნებისა და ენების მასწავლებლებმა ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა მიერ რუსული ენის შესწავლის საქმეს, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს არა იმ სახით და იმ მეთოდით, რომელსაც იყენებს პროგიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი ვიღაც ჩიმაკაძე. „მე დღემდინაც ქართული ენის სწავლების დროს, — აცხადებდა კომისიის სხდომაზე ჩიმაკაძე, — მუდამ ის მქონდა მხედველობაში, რომ რუსულ ენაში გამევარჯიშებინა ჩემი შაგირდები; ამისათვის ყოველ ქართულ სტატიას რუსულად ვათარგმნინებ ყმაწვილებსო“.

სწავლების ასეთი ხერხი ს. მესხს ყოვლად მიუღებლად მიაჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა საგანი მსხვერპლად შეეწიროს რუსულ ენას, რაც სავსებით გაუმართლებელია. „რაღა თქმა უნდა, — წერს ს. მესხი, — რომ ჩვენ, წინააღმდეგი არა ვართ იმისა, რომ სახელმწიფო გიმნაზიის ქართველ შაგირდებმა და ან ვინც გინდა სხვამ კარგათ, ზედმიწევნით შეისწავლოს რუსული და თუნდაც ათი უცხო ენა, მაგრამ ჩვენ ვერ ვიტყვით, კეთილგონიერება, სწავლის სარგებლობა და პედაგოგია მოითხოვდეს იმას, რომ ერთი ენის შესწავლას მსხვერპლად შეეწირონ სხვა ყველა საგნები და საგნების შესწავლა“. ეს უდაოდ სწორი და მართებული პედაგოგიური თვალსაზრისია. გიმნაზიის მთავარი მიზანი ხომ მხოლოდ რუსული ენის შესწავლა არ იყო. საშუალო სასწავლებლის მიზანს ს. მესხი ზოგად საგანმანათლებლო ამოცანებით საზღვრავდა და წერდა: „უმთავრესი მიზანი საშუალო სასწავლებლებისა (გიმნაზიებისა) მდგომარეობს იმაში, რომ იმდენათ ასწავლონ სხვა და სხვა საგნები, იმდენი ს ა ზ ო გ ა დ ო გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა მისცენ, რომ შემდეგ, როცა ამ სასწავლებლიდამ გამოვა ყმაწვილი კაცი, თუ უმაღლესი, სპეციალური სწავლის ღონისძიება არა აქვს, იმ საზოგადოების სასარგებლო, გამოსადეგ წევრად შეიქნეს და თუ უმაღლესი სწავლის საშუალება აქვს, შესძლოს განგრძობა ამ მაღალ სწავლისა“.[1]

ქუთაისში გამართულ მასწავლებელთა ყრილობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. აქ იყვნენ კირილე ლორთქიფანიძე, ალექსი ჭიჭინაძე, ანტონ ლორთქიფანიძე, იაკობ ფხაკაძე და სხვანი. მათ კარგად ესმოდათ, რომ აქ წყდებოდა სახალხო სკოლის საკითხები და, მაშასადამე,

---

[1] „დროება“, 1880 წ., № 218.

ძირითადი ქართული კულტურის საკითხი, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ისინი ერთხმად წინ აღუდგებოდნენ ცარიზმის შავრაზმულ პოლიტიკას და არ გაიზიარებდნენ იანოვსკის მიერ ნაკარნახევ წინადადებას, რომ სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლება პირველი წლის მეორე ნახევრიდან დაწყებულიყო.

ქუთაისის სახალხო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ დაგმო იანოვსკის წინადადება და დაადგინა, რომ რუსული ენის სწავლება (ლექსიკური მეცადინეობა) დაწყებულიყო მეორე წლის მეორე ნახევრიდან. ეს იყო იანოვსკის პოლიტიკის სასტიკი დამარცხება, რაც მეტად მწვავედ განიცადა შავრაზმული სულით გაჟღენთილმა მოხელემ.

ქართული ენის სიძულვილმა იანოვსკი იქამდისაც კი მიიყვანა, რომ მან წინადადება მისცა სენაკის სკოლის მასწავლებელ ლომინაძეს, რომ „რადგანაც მეგრელების დედაენა მეგრული არისო, ამისათვის შეიძლებოდა მეგრულიდან პირდაპირ რუსულზე გადასულიყავიო“.[1]

კ. იანოვსკის ამგვარი შავრაზმული და ანტიპედაგოგიური გამოსვლები ქართველი ინტელიგენციის პროგრესულ ნაწილს უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ს. მესხი იყო პირველი, რომელმაც ამხილა კ. იანოვსკის „საქმენი საგმირონი“, ნიღაბი ჩამოხსნა ცარიზმის გაიძვერა მოხელეს და გააცამტვერა მისი ანტიპედაგოგიური თვალსაზრისი „დროებაში“ დაბეჭდილი სტატიით „ღია წერილი ბატონ იანოვსკისადმი“.

სავსებით მართებულად შენიშნავს პროფ. ტრ. ხუნდაძე, რომ ს. მესხის ზემოხსენებული წერილი „მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტია ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და პუბლიცისტიკის ისტორიაში: ასეთი მებრძოლი ტონითა და კილოთი კავკასიის უმაღლესი მთავრობის ან მისი რომელიმე წევრის წინააღმდეგ პრესაში მანამდე არავინ გამოსულა“.[2]

ამ წერილით ს. მესხმა ბრწყინვალედ დაიცვა ქართული ენის და ქართველი ერის მოქალაქეობრივი უფლებანი. „ორი ათასი წელიწადია, — მიმართავდა და უმარტავდა ს. მესხი იანოვსკის, — რაც ჩვენი ხალხი ისტორიული ცხოვრებით სცხოვრობს; ორი ათასი წელიწადია, რაც თითქმის დაუწყვნარებლად, მოუსვენრად იბრძვის თავის დედა-მიწის სარწმუნოების, ენის და ერობის დასაცავად. თითო მტკაველი თავის სამშობლო მიწისა, ყოველი მცნება ქრისტეს სწავლისა, ყოველი ლექსი თავის სამშობლო ენისა ათას, ათი ათას

---

[1] „დროება“, 1880 წ., № 259.

[2] ტრ. ხ უ ნ დ ა ძ ე, ნარკვევები..., გვ. 98.

თავის საუკეთესო შვილად უღირს. ამ ორი ათასი წლის განმავლობაში საქართველოს ხალხს ერთს ხელში მიწის სამუშაო იარაღი ეჭირა და მეორე ხელში შინაგან და გარეგან მტრის მოსაგერიებელი იარაღი. მუდამ დღე, მუდამ წამს ქართველი კაცის ფიქრი იმაზედ იყო, რომ ვინმე იმის ქვეყანას, იმის რჯულს, ენას და ერობას არ შეჰხებოდა.

თქვენ თუ არ გესმით, ჩვენს უმაღლეს მთავრობას კარგათ ესმის ამ ყველა ხალხისათვის ძვირფას საუნჯის მნიშვნელობა. ჩვენი უმაღლესი მთავრობა არასოდეს არ ცდილა, რომ თავის ქვეშევრდომ ხალხებისათვის მოესპო სამშობლო ენა, სარწმუნოება და ერობა. უმაღლეს მთავრობას კარგად ესმის, რომ პოლშელს პოლშური ენა, ქართველს ქართული ენა, სომეხს სომხური, თათარს თათრული არასოდეს არ დაუშლის რუსის ერთგულ ქვეშევრდომობას, სწავლა-განათლების გზაზე სვლას და მშვიდობიან ცხოვრებას.

და თქვენ გნებავსთ ახლა, რომ სოფლის სკოლების საშვალებით, უეცრად მოსპოთ ხალხის ენა და უცხო ენაზე აგვალაპარაკოთ? და თქვენ გნებავსთ, რომ ერთის თვალის დახამხამებაში ხალხმა დაივიწყოს ის, რაც ორი ათასი წლის განმავლობაში სისხლის ღვრითა და ტანჯვა-წვალებით შეუძენია და ძვირფას საუნჯეთ გარდმოუცია თავის შთამომავლობისათვის? და თქვენ გნებავსთ, რომ ამ გვარ ხალხმა, ერთის სიტყვით, მიატოვოს თავის გვარტომობა?

თქვენ უთხარით ახალ-სენაკის სკოლის მასწავლებელს: „თქვენ ქართველებს, რაღაც სხვა მიზანი გაქვსთ და არა პედაგოგიურიო! თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულისაო!"

არავის არა აქვს უფლება ამისთანა სიტყვებით მიჰმართოს ქართველ ხალხს. არავის არავითარი საფუძველი არა აქვს, რომ ამისთანა სიტყვებით სთქვას ქართველებზე.

ოთხმოცი წელიწადია, რაც რუსეთმა თავის მფარველობის ქვეშ მიიღო საქართველო და აბა ერთი მაგალითი მიჩვენეთ, რომელიც თქვენ სიტყვებს ამართლებდეს? ერთი მაგალითი გვიჩვენეთ, რომ ქართველ ხალხს რასშიმე მთავრობის ურჩობა, წინააღმდეგობა გამოეჩინოს? ჩვენ კი შეგვიძლიან ათასი მაგალითი წარმოგიდგინოთ, რომელიც ყველას დაარწმუნებს, რომ ქართველი ერი ყოველთვის ერთგული და მორჩილი ყოფილა, რომ მთავრობისათვის იმას თავის უკანასკნელი სისხლი და შეძლება არ დაუზოგავს. და თუ სადმე და ოდესმე ჩვენში აღმოჩენილა უკმაყოფილება, ეს უკმაყოფილება წარმომდგარა ისეთი პირების, ისეთი ჩინოვნიკების წყალობით, რომელნიც მმართველობისათვისაც მავნებელნი ყოფილან და ხალხისათვისაც დამღუპავნი.

ქართველების სურვილი იგივეა, რაც ყველა ხალხებისა: დაიც-

ვან თავის სამშობლო ენა, მამული, სჯული და სარწმუნოება. ეს სურვილი, მგონია, კანონიერია და ყოველი მმართებლობა ეხმარება თავის ხალხს ამაში.

თქვენი სურვილი კი, რომ ქართველებს ქართული დაავიწყოთ, რომ პირველ-დაწყებით შკოლებში შესვლის უმალვე ყმაწვილებმა უცხო ენაზე სწავლა დაიწყონ, ეს სურვილი წინააღმდეგია, როგორც სახელმწიფო ინტერესისა, აგრეთვე, რასაკვირველია, ნამდვილი და პოლიტიკააურეველის პედაგოგიურ ჭეშმარიტებისა".

მოტანილი ამონაწერი ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია საქართველოში ცარიზმის გამარუსებელი და კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ ს. მესხის შეუპოვარი ბრძოლისა.

პროფ. ტრ. ხუნდაძე ფიქრობს, რომ ს. მესხის „ღია წერილში იანოვსკისადმი" ბევრი ისეთი აზრია, რომლის გაზიარებაც შეუძლებელია, მაგალითად: „ს. მესხი დიმიტრი ყიფიანის მსგავსად, უსაფუძვლოდ ფიქრობს (ან უნდა იფიქროს), რომ ყოველი უბედურება, რაც ქართველ ხალხს თავს ატყდება, ადგილობრივ რუს მოხელეების ბრალია და არა ცენტრალური ხელისუფლების, ცარიზმის სისტემისა".

ვფიქრობთ, ეს მოსაზრება მართებული არ უნდა იყოს. ს. მესხმა მშვენივრად იცოდა ცარიზმის სისტემის მთელი არსი, მაგრამ თუ ამ შემთხვევაში იგი არ ლაპარაკობს ამ სისტემის უარყოფით მხარეებზე, ეს მხოლოდ მკაცრი საცენზურო პირობებით აიხსნება. მითუმეტეს, რომ უმაღლეს მთავრობას არასოდეს ოფიციალურად არ გამოუცხადებია, რომ იგი მიზნად ისახავდა პატარა ხალხების და მათი მშობლიური ენის გადაგვარებას და მოსპობას (თუმცა ეს მისი უპირველესი სურვილი იყო), მაგრამ ამ პოლიტიკას იგი მეტად ელასტიკურად ახორციელებდა ადგილებზე წარგზავნილი მოხელეების საშუალებით, რომელნიც უმაღლესი მთავრობისადმი ერთგულების დასამტკიცებლად უფრო ამძიმებდნენ და უხეშად ატარებდნენ იმ მითითებებს, რომელსაც საიდუმლოდ ღებულობდნენ პეტერბურგიდან.

თვით რესკრიპტშიც კი, რომელიც კონფირმებული იყო იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ 1801 წლის 12 სექტემბერს, ნათქვამია, რომ „არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთათვის, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელსა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა მივიღებთ ჩვენ თვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მმართველობისასა... ძალმან გარემოებათა ამათ, ზოგად ამის ძლით გრძნობამან თქვენმან, და ხმამან საქართველოს ერისამან, მოგვზიდნეს ჩვენ დავუტეოთ და არა მივსცეთ მსხვერპლად განსაცდელსა ენა ერთმორწმუნეთა, მომცემელთა

ხვედრისა თვისისა დიდსულისა რუსეთის საფარველისადმი". ამიტომ ს. მესხს არავითარი უფლება არ ჰქონდა ოფიციალურად ელაპარაკა ცენტრალური ხელისუფლების შესახებ, მაგრამ ს. მესხისათვისაც და „დროების" მკითხველებისათვისაც დღესავით ნათელი იყო, რომ ადგილობრივ მოხელეთა მთელი საქმიანობა თვით რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების მიერ იყო დაგეგმილი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ქართველი სამოციანელები აღარ გააჩაღებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და მხოლოდ უმსგავს და უხიაგ მოხელეთა შეცვლის საკითხს დააყენებდნენ. და თუ ს. მესხი ზემოხსენებულ წერილში ორიოდე სიტყვით აღნიშნავა, რომ „უმაღლესი მთავრობა არასოდეს არ ცდილა, რომ თავის ქვეშევრდომ ხალხისათვის მოესპო მშობლიური ენა, სარწმუნოება და ერობაო", ეს მხოლოდ ერთგვარი მანევრი იყო, რომელიც თვალს უხვევდა ცენზურას და საშუალებას აძლევდა „დროების" რედაქტორს ზემოხსენებული წერილის დაბეჭდვისას.

საერთოდ, ს. მესხი არც ერთ შემთხვევას არ უშვებდა, რომ არ ემხილებინა ის სიმახინჯენი, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სახალხო განათლების სისტემაში. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს შემდეგი გარემოებაც: 1882 წელს სინოდმა კავკასიის სასულიერო სასწავლებლების შესამოწმებლად გამოგზავნა ცნობილი რუსი პედაგოგი ნ. ი. მიროპოლსკი, ს. მესხმა ისარგებლა რევიზორის ჩამოსვლით და გაზ. „დროებაში" მოათავსა ვრცელი წერილი „ჩვენს სასულიერო სასწავლებლებზე", რომელშიც ერთხელ კიდევ ამხილა ის ნაკლოვანებანი და მათი გამომწვევი მიზეზები, რომელნიც ხელს უშლიდნენ მოზარდი თაობის ნორმალურ აღზრდასა და განათლებას, როგორც სასულიერო სასწავლებლებში, ისე საერთოდ სკოლებსა და გიმნაზიებში.

თბილისის სასულიერო სემინარიისა და საქართველოში არსებული სასულიერო სასწავლებლების ერთ-ერთ უდიდეს ხარვეზად ს. მესხს ის გარემოება მიაჩნია, რომ „ჩვენი სასულიერო სემინარია და სასწავლებლები თითქმის ზედგამოჭრილია იმ ტიპზე, იმ პროგრამით და იმ წესით არიან დაფუძნებულნი, როგორც ამგვარივე შუა-გულ რუსეთის სასწავლებლები. სარატოვისა და ტფილისის სასულიერო სასწავლებლებს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის; იგივე სლავიანური ენის სწავლა, იგივე ბერძნული, იგივე გუმილევტიკა, იგივე ღვთის-მეტყველება და სხვ."[1].

ს. მესხის მართებული შენიშვნით სასულიერო სასაწვლებლების პროგრამის შემდგენლებს დავიწყებიათ ის გარემოება, რომ „ეს

---

[1] „დროება", 1882 წ., № 99.

სასწავლებლები ქართველი ხალხისათვის იყო დანიშნული და არა ცარევო-კოკშის მცხოვრებთათვის".

ს. მესხი იმედოვნებდა, რომ ნ. ი. მიროპოლსკი, თუკი იგი წმინდა პედაგოგიური და ზნეობრივი თვალსაზრისით განიხილავდა სასულიერო სემინარიისა და სასწავლებლების მდგომარეობას, უდაოდ მოახდენდა ცვლილებებს მათ სასწავლო გეგმაში.

ნ. ი. მიროპოლსკიმ გულდასმით შეამოწმა სამეგრელოს, გურიის, ქუთაისის და თბილისის სასულიერო სასწავლებლები და წამოაყენა წინადადება, შეცვლილიყო მათი პროგრამები. მაგალითად, ნ. ი. მიროპოლსკი საჭიროდ მიიჩნევდა თბილისის სასულიერო სემინარიაში დაარსებულიყო ქართული ენის კათედრა, ქართულ ენაზე ესწავლებინათ ღვთისმეტყველება და საქართველოს ისტორია, განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ქართული გალობისა და ქართული ენის შესწავლისათვის ყველა სასულიერო სასწავლებლებში.

ს. მესხი აღტაცებით შეხვდა ნ. ი. მიროპოლსკის მიერ წამოყენებულ წინადადებებს; „თუ ყველა ეს მართალია, — წერდა იგი, — ჩვენს სამღვდელოებას და საზოგადოებას დიდი ხნის კანონიერი ნატვრა და სურვილი აუსრულდებაო".

მიროპოლსკის მიერ წარდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე სინოდმა, მართლაც, გასცა განკარგულება, რათა თბილისის სასულიერო სემინარიაში ესწავლებინათ ქართული საერო და სასულიერო ლიტერატურა. ამის ერთადერთი მიზანი მხოლოდ ის იყო, რომ სემინარიის მოსწავლენი იმდენად დაუფლებოდნენ ქართულ ენას, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ თავისუფლად ექადაგნათ „ღვთის სიტყვა" ქართველი ხალხისათვის ქართულ ენაზე.

მაგრამ ეს განკარგულება საშინლად დაამახინჯა ადგილობრივმა სასულიერო ხელმძღვანელობამ. როგორც ი. გოგებაშვილი წერდა: „მაღალყოვლადუსამღვდელოესმა პავლემ ისე დაუფიქრებლად განმარტა ეს განკარგულება, რომ არსებითად გამოვიდა უწმინდესი სინოდის აზრის მიმართ პირდაპირი დაცინვა. მისი სურვილით და დასტურით შემოიღეს ქართული ლიტერატურის ისტორიის მხოლოდ ჩონჩხის სწავლება და ისიც რომელ ენაზე? არა ქართულზე, არამედ რუსულზე და თხზულებებსაც ამ საგანში მოსწავლეები სწერენ აგრეთვე რუსულად ისეთ მოგონილ და თითქოს ქართულ-ლიტერატურულ თემებზე, როგორიცაა კატის აღწერა. აი, საღი აზრის როგორ დამახინჯებამდე და მიზანშეწონილი განკარგულების როგორ აბუჩად აგდებამდე მივყეევართ ყოველივე ქართულის ბრმა აუტანლობას! მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. რომ საბოლოოდ

დამდაბლებულიყო მოსწავლეთა წარმატება ქართულ ენაში, გაიცა განკარგულება, რომლის შესაბამისად ქართული ენის გაკვეთილების სწავლება არ არის საავალდებულოდ აღიარებული ქართველ მოსწავლეთათვის. ამ განკარგულებით, უფროსების გასახარებლად, უკვე ისარგებლა ზოგიერთმა მოსწავლემ, რომლებიც მიხვდნენ, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა უფროსების გულის მოსაგებად".[1]

ამრიგად, გაცრუვდა ს. მესხის იმედი და ქართული ენის სწავლება თბილისის სასულიერო სემინარიაში და სასწავლებლებში კვლავ კანონგარეშე მდგომარეობაში დარჩა, მაგრამ „დროების" რედაქტორს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ბრძოლა მშობლიური ენის მოქალაქეობრივ უფლებებში აღდგენისათვის.

ილია ჭავჭავაძემ და მისმა „ივერიამ" საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ს. მესხისა და მისი გაზეთის თავგამოდებულ ბრძოლას ცრუ პედაგოგებისა და სახალხო განათლების ყალბი სისტემის წინააღმდეგ. „ეგ პატარა გაზეთი „დროება", — წერდა ილია, — ეხლანდელს ნაღმის მიმტან პატარა გემს მაგონებს, რომელიც ეხლა ხანს მოიგონეს და რომელმანც იმდენი ვაი-ვაგლახი დააყარა ზორბა ხომალდებს წარსულს ომებში. ჩვენა გვგონია, რომ იმ პატარა გემების სამსახურსა ადვილად გაუწევს ჩვენს ქვეყანას ჩვენი პატარა „დროება"... „დროებამ" და „Тифлисский Вестник"-მა კი ნაღმი მოიტანეს და ააფეთქეს ის უგვანო და ზორბა გემი, რომელსაც მმართველად უსხედან ტაშკენტელნი პედაგოგები".[2]

ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ სერგეი მესხმა, როგორც პუბლიცისტმა და რედაქტორმა დიდი ამაგი დასდო ქართველი ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების სწორად წარმართვისა და მისი მშობლიური ხალხის პედაგოგიური კულტურის ამაღლების საქმეს.

ს. მესხის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მკაფიოდ აისახა XIX საუკუნის 70—80-იანი წლების საქართველოს სახალხო განათლების მდგომარეობა და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის თავდადებული და გმირული ბრძოლა ცარიზმის სახალხო განათლების მახინჯი სისტემის წინააღმდეგ.

ბრძოლა ახალი სკოლისათვის, რომელიც აღზრდის მეცნიერულ სისტემაზე იქნებოდა დაყენებული, ს. მესხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენდა და ამ საკითხების გადაწყვეტის დროსაც იგი ილია ჭავჭავაძის და იაკობ გოგებაშვილის მხარდამხარ იბრძოდა.

---

[1] ი. გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. I, 1952 წ., გვ. 457—458.

[2] „ივერია", 1879 წ., № 1.

შინაარსი

სერგეი მესხი და გაზეთი „დროება“ 7

ს. მესხი და ეროვნული საკითხი 70—80-იანი წლების პერიოდულ პრესაში 77

ბრძოლა საქართველოს სოციალური და ეკონომიური აღორძინებისათვის 125

სერგეი მესხის ლიტერატურულ-კრიტიკული შეხედულებანი 158

ბრძოლა დემოკრატიზმის პრინციპებისათვის სახალხო განათლებაში 248

რედაქტორი გ. დ ო ლ ი ძ ე
გამომცემლობის რედაქტორი ნ. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე
მხატვრული რედაქტორი თ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი გ. ჯ ო ხ ა ძ ე
კორექტორი თ. გ ა გ ნ ი ძ ე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/VII-68 წ.
ქაღალდის ზომა 60×90.
ნაბეჭდი თაბახი 19,25.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17, 43.

უე 01755. ტირაჟი 1.000. შეკვ. 493.

ფასი 80 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, კამოს ქ. № 13.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.
1968

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის თბილისის სტამბა № 4
Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного комитета Совета Министров Грузинской ССР по печати